

ითსებ იმედაშვილი



ქანთვალ
მოღვაწეთა
დექანიკონი

1801-1952

მ - რ

III

ტომი

იტსებ იმედაშვილი

ქანთვალ
მოდვანეთა
დექსიკონი

1801-1952

მ - რ

III

ტომი



ეროვნული ბიბლიოთეკის
გამომცემლობა

თბილისი
2023

UDC (უდკ) 316 (479.22) (092)
ო-471

ტექსტს რედაქცია გაუკეთა, ხელნაწერი და მისი ვარიანტები შეადარა და
ბიბლიოგრაფიები შეავსო ქეთევან გზირიშვილმა

სარედაქციო კოლეგია:

ქეთევან გზირიშვილი
ლევან თაქთაქიშვილი

კობა იმედაშვილი

თინა ლალიძე


გარეკანი **გიორგი წარეთლის**

ISBN 978-9941-9606-1-1 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-9867-2-7 (III ტომისთვის)

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

© კობა იმედაშვილი



იოსებ იმედაშვილი

ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის მასალა

იოსებ იმედაშვილს. ქ. თბილისი, რედაქ. „თეატრი და ცხოვრება“

გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ ი მ ი მ ა რ თ ვ ა .

დიდათ პატივცემულო მოქალაქე

აღბათ გაზეთებიდან უკვე გეცოდინებათ, რომ მე შევადგინე „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი,“ ე. ი. ისეთი საყოველთაოდ საჭირო, ოჯახებსა და სკოლებში აუცილებლად სახმარი წიგნი, რომელშიაც ანბანურის წესითა და ჟამთმორცხველობის რიგით შეიწავლია ყველა ჩვენი მოღვაწე ყოველს ასპარეზზე ქრისტეს უწინარეს მესამე საუკუნიდან ჩვენს დრომდე. წიგნი შეიცავს ისტორიულ, ბიბლიოგრაფიულ და სხ. ცნობებს. დაიბეჭდება საგანგებოდ, საუცხოო ქალაქებში ახალი ასოთი და ათასზე მეტი სურათით (მოღვაწეთა, ხელოვნურ ნაწარმოებთა, ისტორიულ ძეგლთა და სხ.) შემკული. ვინაიდან ჩვენი მიზანია, წიგნი რაც შეიძლება სრული იყოს, უნაკლო. შეცდომებს აცილებული და ჩვენი განვლილი ყოფა-ცხოვრების ყოველმხრივი ნამდვილი სარკე, და რადგან ამ წიგნში თქვენი სახელიც არის შესული, ამიტომ უმორჩილესათა გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი ვინაობა-დაბადებისა და ცხოვრება მოღვაწეობის ცნობები, ე. ი.: 1) გვარი, სახელი, მამის სახელი; 2) სად, რომელ წელსა და რომელ თვის რა რიცხვში დაიბადენით? 3) რა სწავლა-განათლება მიიღეთ? 4) სად მსახურდებით, რა საქმეს მისდევდით და მისდევთ? 5) როდის და რომელ ასპარეზზე გამოხვედით სამოღვაწეოდ (მწერლობის, სასცენო, საზღვაო, სასკოლო-საგანმანათლებლო, ქველმოქმედების, საგანმცემლო, საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ, საერო თუ სასულიერო და სხ.)? 6) რა ხანას, რა წრესა და პირობებში მოგიხდათ მუშაობა და გზის გაკვლევა? 7) რა დასწერეთ, თითოეული თქვენი ნაწარმოებთაგანი სად, როდის რომელ გამოცემაში დაიბეჭდა, ან ცალკე როდის გამოვიდა (სათაური, ხასიათი, გამოცემა, წელი, ნომერი გამოცემისა) და თუ ვინმემ გაარჩია თქვენი ნაწარმოები ანუ მოღვაწეობა, სად როდის?—აგრედვე ჩამოიწეროს ყოველი დარგის თქვენი ნამოღვაწევი; 8) სახელმწიფოებრივ, სამწერლო ან სხვა საქმეზე ხომ არ იყავით დასჯილი და რა სასჯელით? 9) თქვენთა ნაწარმოებთა მთავარი მიზანი, თქვენი მრწამსი და მოღვაწეობის დედაზრი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ხელოვნების, მწერლობის სოციალ-პოლიტიკურ და სხ. შესახებ; 10) მწერლობაში ანუ სცენაზე რა ნაცვალსახელებს ხმარობდით? 11, ვინ იყვნენ თქვენი თანამოღვაწენი (სახელგვარებით ჩამოსთვალეთ).

ყოველ ამ ცნობასთან ერთად გთხოვთ გამოგვიგზავნოთ (თუ არ გამოგვიგზავნიათ) თქვენი სურათი და, თუ მოგეპოებათ, უკვე ცალკე გამოცემული თხზულებანიც.

შენი მუნა: თუ პირველს ჩვენს მომართვაზე ცნობები უკვე გამოგვიგზავნიათ, გთხოვთ ახლა შეავსოთ, რის თქმაც მაშინ არ შეგეძლოთ, ანუ ვერ მოგაგონდათ.

ვინაიდან ამ წიგნის ბეჭდვას გამომცემელი უკვე ამ შემოდგომიდან იწყებს, ამიტომ უმორჩილესათა გთხოვთ, პასუხი დროით გამოგვიგზავნოთ, არა უგვიანეს ამა 1918 წ. ენკენისთვის პირველისა შემდეგის მისამართით: ქ. თბილისი, ბაზრის ქ. № 20 რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, ჩვენს სახელზე.

ღრმა პატივისცემით

იოსებ იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონს“ თვალი გადავაველე, იგი მეტად სასარგებლო და საყურადღებო ნაშრომია.

წიგნში შეტანილია საქართველოს ყველა დარგის მოღვაწე ძველ წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნიდან ჩვენს დრომდე. აქ შეგხვდებათ ანბანთა რიგზე დალაგებული ყველა მოღვაწის მოკლე ბიოგრაფია, ბიბლიოგრაფია და ცნობები ამა თუ იმ აღწერილ პირის შესახებ.

ამ ნაშრომში ხშირად ისეთი ნიუანსებია, ისეთი უცნობი სახელები და მასალაა, რაც სხვა წყაროებში ვერ შეინიშნება.

ავტორი, როგორც მახსოვს, ამ წიგნზე მუშაობს მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში, მე წამიკითხავს განცხადება ამ ნაშრომის შესახებ ჯერ კიდევ 1904 წელს ამავე ავტორის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ გამოცემის გარეკანზე.

აქ თავმოყრილია ისეთი მდიდარი მასალა, რომელიც გამოადგება ყველა დარგის მეცნიერ მუშაკს, – გარდა ამისა ეს წიგნი სახელოვან წინაპართა და თანამედროვე ნაამაგდარ შვილთა მოღვაწეობას გააცნობს, შეასწავლის და შეაყვარებს ჩვენი სამშობლოს მოზარდ თაობას.

მეტად სასურველია ამ წიგნის გამოცემა.

ეს წიგნი ყველასათვის ყოველდღიურ სახმარ „სამაგიდო წიგნად“ უნდა გადაიქცეს.

იოსებ გრიშაშვილი

1946 წლის 22 მაისი
თბილისი

მაზმიშვილი, ივანე ალექსის ძე (1898 –)

– მუშა-გამომგონებელი, – ქართლიდან (დაიბადა სოფ. მეტეხში, კასპის რ.), გლეხთაგანი, შინაური აღზრდით, თვითგანვითარებული. 1914 წლიდან 1915 წლამდე მუშაობდა ტელეფონის ქსელის მონტიორად, 1925-1927 წლებში თელასში – უფროს მონტიორად, 1927-1928 წლებში – მოსკოვის განყოფილების ელექტროქსელმშენში, მისი გაუქმების შემდეგ, 1930-1933 წლებში – რკინიგზაზე, სტალინის სახ. ორთქმავალთა შემკეთებელ საელექტროცენტში.

საგამომგონებლო მუშაობას შეუდგა 1928 წლიდან. ჰქონდა მრავალი გამოგონება, რომელთა უმეტესობა სათანადო დაწესებულებათა მიერ განხილული და მონონებული იყო, მათი ეფექტურობა – დადასტურებული: შრომის ნაყოფიერების ზრდის, ფიზიკური შრომის მექანიზაციით შეცვლისა და ეკონომიის თვალსაზრისით.

მის გამოგონებათაგან უფრო საგულისხმოაა მიჩნეული:

1. ელექტროხაზის დამცველი კოჭი – გაყვანილი ხაზის გადანვისა და ხანძრის გაჩენის საშიშროების ამცილებელი;
2. საცობის ბოთლიდან ამოსაღები მანქანა, ე. ი. ბოთლიდან დაუზიანებელი საცობის ამოღები, წლიურად 15.000 მან. ეკონომიის მომცემი;
3. საცობის დასაცობი მანქანა – ათი მუშის შემცვლელი, წლიურად 12.000 მან. ეკონომიის მომცემი;
4. გაჯის დასაფეკვაი მანქანა, დღიურად 30 ტონა გაჯის დამფეკველი, თითო ტონაზე 28 მან. ეკონომიის მომცემი;
5. კედლების სალესი მანქანა – 60 მუშის შემცვლელი, 18.000 მან. ეკონომიის მომცემი, ე. ი. ამითი მუშაობა ჯდება 60-ჯერ ნაკლები;
6. ელექტროლუმენ-საკუჭნაო – ენერჯის დიდი ეკონომიის მომცემი;
7. აგურ-კრამიტის საჭრელი მანქანა, – ამ დარგში მთელი გადატრიალების მომხდენი – აგურის მოჭრაში წლიურად 420.000 მან. დამზოგველი, კრამიტისა – 540.000 მან.;
8. მარცვლეულის საშრობი მანქანა – ელექტროსითბოს დახმარებით დღეში ერთი ვაგონი მარცვლეულის გამშრობი (რაც დღემდე არ იყო ცნობილი);
9. თევზსაჭერი ბადე-მანქანა – მექანიზაციის წესით თევზის საჭერი;
10. მექანიკური აბანო.

წყარო:

1. ვინ აჭიანურებს ამხ. მაზმიშვილის საქმეს // მუშა. - 1934. - 1 მაისი. - № 101;

2. მაზმიშვილი, ვ. გამოგონებები, რომელსაც არ ელირსა რეალიზაცია // მუშა. - 1934. - 12 დეკემბერი. - № 285;
3. აგურის საჭრელი პრესი. მუშა ივ. მაზმიშვილის გამოგონება // კომუნისტი. - 1935. - 2 ივნისი. - № 127. - გვ. 4.

მაზნიაშვილი, გიორგი ივანეს ძე (1872,

6/IV –) – მემუარისტი, – სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, – ქართლიდან (დაიბადა ყოფ. გორის მაზრის სოფ. სასირეთში, ნამსახურ აზნაურის ოჯახში). დაამთავრა კავკასიის სამხედრო გიმნაზია და ტფილისის სამხედრო სკოლა, რომლის შემდეგ (1891) ოფიცრად გამწესდა არდაგანს.

მონაწილეობდა: 1. ევროპა-ჩინეთის ომში (1900); 2. რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905), სადაც დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველზე დარჩა, რისთვისაც ოქროს ხმლით დააჯილდოეს; 3. იმპერიალისტურ ომში (1914-1918); ხოლო რევოლუციის შემდეგ, როცა ევროპული ჯარების შედგენის დებულება გამოცხადდა, გ. მაზნიაშვილი საქართველოში დაბრუნდა და რევოლუციური ჯარის შედგენას შეუდგა: შეადგინა ქართული მეორე მსროლელი დივიზია. 1918 წლის მარტის 30 დაინიშნა თურქების წინააღმდეგ მოქმედი ჯარების სარდლად, აპრილის 4-ს თურქების დივიზია სრულიად განადგურა ჩოლოქის ხიდთან. იმავე 1918 წლის ივნისში დაინიშნა სოხუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და ჯარების სარდლად; აგვისტოს 15, საქართველოს საგარეო მინისტრ ე. პ. გეგეჭკორთან ერთად, გაიგზავნა გენერალ დენიკინთან მოსალაპარაკებლად. ოქტომბრის 18 დაინიშნა ქ. თბილისისა და მისი მიდამოების გენერალ-გუბერნატორად, დეკემბრის 16 – საქართველოს დემოკრატიული ჯარების მთავარსარდლად სომხების წინააღმდეგ ომში, 1919 წლის თებერვლის 4 – ახალციხის გენერალ-გუბერნატორად, 1920 წლის ოქტომბრის 4-ს – თბილისის გამაგრებული რაიონის კომენდანტად (იგივე გენერალ-გუბერნატორი), 1921 წლის თებერვლის 25-დან მარტის 4-მდე – უკან დახეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების არიერგარდის სარდლად, მარტის 4-დან მარტის 17-მდე – საჯავახოს მიდამოებში მოქმედი ჯარების სარდლად, მარტის 17-დან, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადადგა და ბათუმიდან საზღვარგარეთ წავიდა, გ. მაზნიაშვილმა იკისრა ქართული ჯარების წინამძღოლობა და ბათუმში შემოსული თურქები განდევნა (1921 წლის მარტის 20-ს).

ბათუმში შემდგარმა ბოლშევიკურმა მთავრობამ – რევკომმა, ე. ი. რევოლუციურმა კომიტეტმა – გ. მაზნიაშვილი მარტის 17-ს დანიშნა საქართველოს ჯარების სარდლად. მარტის 24, ბოლშევიკთა სამხედრო კომისრის, შალვა ელიავას, ბრძანებით (№ 1), რომლითაც დაშლილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძველი ჯარი, გ. მაზნიაშვილი დაინიშნა დივიზიის უფროსად, რომელიც იმავე დღიდან შეუდგა დივიზიის ჩამოყალიბებას და შეადგინა ათასეული თავისი არტილერიითურთ და კავალერიით. აპრილის 6 თავისი ჯარებით გადავიდა თბილისს, სადაც შეუდგა დივიზიის გაზრდას.

პოლიტიკური ბრალდების გამო, 1922 წლის დეკემბრის 6 შეიპყრეს საგანგებო კომიტეტში (4K), სადაც 1923 წლის აგვისტოს 15-მდე დაჰყო, მიუსაჯეს დახვრეტა, რაც საქართველოს საზღვრებიდან გასვლით შეეცვალა, რის შემდეგ სპარსეთს გავიდა, ხოლო იქიდან – ევროპას, სადაც 1925 წლის 19 ნოემბრამდე დაჰყო. ამისტიით სამშობლოში დაბრუნდა.

დანერა „მოგონებანი“ (ტფ., 1927), რომელშიაც აღწერილია 1917-1921 წლებში საქართველოში მომხდარი პოლიტიკური და სამხედრო ამბები.

სოფ. სასირეთში ააშენა ეკლესია (1901), სკოლა (1918) და გამართა ბორანი (1918). თავისი სახლ-კარი და მამული საქართველოს სოცუზრუნველყოფას გადასცა, სადაც ერთხანს პენსიონერთა დასასვენებელი სახლი იყო გახსნილი და ფერმა მოეწყო.

1929 წელს პერსონალური პენსია ეძლეოდა ბათუმის დაცვისათვის.

ცალკე გამოცემული:

1. მოგონებანი 1917-1925. - ტფ.: სახელმწ. გამ-ბა, 1927 (ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის I-ლი სტამბა). - IX, 234, III გვ.; 18 სმ.

გამოქვეყნებული:

1. გენერალ მაზნიაშვილის მოწოდება მხედრებისადმი: [საბჭოთა საქართველოს ცნობისა და საბჭოთა აღმშენებლობაში მონაწილეობის შესახებ] // კომუნისტური. - 1925. - 28 ნოემბერი. - № 274. - გვ. 1. - იგივე სტატია დაიბეჭდა გაზეთში „ახალი საქართველო“ № 14;
2. მოხსენება: საზღვარგარეთ მოღვაწეობის შესახებ: [ეს დოკუმენტი გამოქვეყნებული იქნა ს. ორჯონიკიძის მიერ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეოთხე ყრილობაზე] // კომუნისტური. - 1925. - 6 დეკემბერი. - № 281. - გვ. 2.

მის შესახებ:

1. ახალციხის მაზრაში... // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 10. - გვ. 16. - ქრონიკა;
2. გენერალი მაზნიაშვილი: [ფოტო] // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 7. - გვ. 9;
3. მისალმებანი // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 6. - გვ. 15-16;
4. მხ-რი. ახალციხის ბრძოლის დღიურიდან // პროლეტარი. - 1919. - № 1. - გვ. 13-14;

5. ს., ა. საქართველო-სომხეთის ომის შესახებ // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 7. - გვ. 4-8;
6. სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ... // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 11. - გვ. 16. - ქრონიკა;
7. ჩ., სოსო. ჯარის მოწყობა ჩვენში // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 10. - გვ. 12;
8. საგანგებო კომისიისაგან: ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბის აღმოჩენის გამო: განაჩენი / საქართველოს საგანგებო კომისია // კომუნისტური. - 1923. - 23 მაისი. - № 115. - გვ. 1-2;

წყარო:

1. ჩვენი გმირები: გენერ. გიორგი ვან. მაზნიაშვილი... [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - № 11. - გვ. 1;
2. მაზნიაშვილი, გიორგი. მოგონებანი 1917-1925. - ტფ.: სახელმწ. გამ-ბა, 1927 (ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის I-ლი სტამბა). - IX, 234, III გვ.; 18 სმ.

მაისაშვილი, სიმონ ლევანის ძე (1868 –)

– მუშა-მწერალი, – რაჭიდან (დაიბადა სოფ. წესში, ღარიბი გლეხის ოჯახში). სკოლის გარეშე, თავისით შეისწავლა წერა-კითხვა და მერე, ხალხური მოღვაწის არჩილ ხვედელიანის (+ 1818) სარდაფში მზარეულობის დროს, ეგ. ნინოშვილის, იოსებ იმედაშვილისა და სხვათა გავლენით, ქართული წიგნების კითხვით, თვითგანვითარებას დაეწაფა. პოლიტიკური საქმის გამო, 1900 წელს, 4,5 თვე მეტეხის სეკრეტში იჯდა. 1909 წელს, როგორც სახელმწიფო წყობილებისათვის მავნე პირი, ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში, საიდანაც სამხედრო წესების მოხსნამდე კავკავს დააბრუნეს. გადასახლებაში დაჰყო 3 წელი.

მწერლობა დაიწყო 1890-იან წლებში ლექსებით, უმთავრესად, შრომას უმღეროდა: „რა მუშაა იგი მუშა, ვინც ოფლი არ მოიწურა“-ო და „როცა საქმე ბევრი არის, შრომა უნდა დააშურო“-ო. მისი ლექსებიდან ორი არტურ ლეისტმა გერმანულ ენაზე გადათარგმნა („Georgische Dichter“, ლეიპციგი, 1900). ციხიდან გამოსვლის (1901) შემდეგ გამოსცა მოთხრობა „ნატუსალარი“, რომელიც პირველად ცენზურამ აკრძალა. ამ მოთხრობაში გვისურათებს მუშა-ხელოსანთა ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობას, იმათ ყოფა-ცხოვრებას, ვისაც „არც სახლი აქვს, არც კარი“, დამქირავებულ ხაზეინთა უსამართლობას, რისი მსხვერპლიც ხდებიან ალალ-მართალი, პატიოსანი მშრომელი; აგვიწერს იმ ხანას, როდესაც მუშას „დილიდან ღამის თერთმეტ საათამდისინ და ხშირად უფრო ღამეებაც უთენებია მუშაობით“, სამაგიეროდ, შრომის ფასს იმდენს ვერ იღებდა, რომ თავი ერჩინა, ცოლ-შვილი გამოეკვება, როცა ხაზეინი მისი ნაშრომით ერთი ათად სარგებლობდა, ეს გარემოება კი იწვევდა სხვადასხვაგვარ დანაშაულს. ამიტომ ს. მაისაშვილი დაასკვნის: „დამნაშავე არავინ არის, გარდა სიღარიბისა, სიღარიბეც იქიდან არის, რომ კაცს თავისი შრომა არ უფასდება“-ო. გარდა ამისა,

მუშებს სამართალი არ მფარველობს: მოსამართლე მდიდრებს ემხრობა, – ამას მოსდევს ქურდობა, მკვლელობა და სხვა ასეთი საზიზღრობანი. მუშებს რომ ამისთანა „საზიზღარი მიზეზები არ გვედობებოდნენ წინ და თავისუფლად მუშაობა შეგვეძლოს, განა კაცი შემოგვაკვდება ან ქურდობას ჩავიდნენო!“, – არასოდეს: „ვიდრე არ მოისპობა მუშა ხალხის ასეთი ჩაგვრა და უსამართლო მოპყრობა ოსტატ-ხაზინებისაგან, ცარცვა-გლეჯა უფროსებისაგან, მანამდისაც არ მოისპობა არც ქურდობა, არც კაცის კვლა“. „არც ერთი ტუსალი არ არის ციხეში იმისთანა, რომელიც რაიმე მიზეზს ან გარემოებას არ მიეყვანოს აქამდე“. ადამიანთა უბედურების მიზეზია „უკუღმართობა, ძალმომრეობა, დაჩაგვრა, უსამართლობა, ერთის გაბატონება“ და სხვ.

ცალკე გამოცემულია:

1. ლექსები / თქმული სიმონ მაისაშვილისაგან. - ტფ.: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1898 (ნიგნის გამომცემელ ქართველთა ამხ. სტ.). - 79 გვ.; 18 სმ.;
2. ნატუსალარი / მოთხრობა სიმონ მაისაშვილისა. - თბ.: გამოცემა ი. გარსევანიშვილისა №2, 1904 (თ. გრ. ნ. დიასამიძის სტ.). - 29 გვ.; 18 სმ.

გამოქვეყნებულია:

1. პასუხი: [ლექსი] // ეშმაკის მათრახი. - 1908. - № 33. - გვ. 9;
2. მჭედლის სიმღერა: [ლექსი] // კომუნისტი. - 1923. - 11 თებერვალი. - № 32. - გვ. 3.

წყარო:

1. თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულება. - 1909. - 10 მარტი. - № 581; იგივე ცნობა საქართველოს ცენტრალური ისტორიულ-რევოლუციური არქივიდან. - ფონდი 63. - საქმე № 273-1909. - ფურც. 152;
2. მაისაშვილი, სიმონ. მჭედლის სიმღერა: [ლექსი] // კომუნისტი. - 1923. - 11 თებერვალი. - № 32. - გვ. 3;
3. გრიშაშვილი, ი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა - თბ.: სახელგამი, 1927. - გვ. 138;
4. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმე რედ. გ. ი. კიკნაძე; ბიბლიოგრაფიკული რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 476.

მაისურაძე, ალექსანდრე – მეფანდურე-მომღერალი, – სიგელოსანი, – ხალხური სიმღერების ფანდურზე ნიჭიერი შემსრულებელი, – გლეხი. სხვა საუცხოო სიმღერებთან ერთად, ასრულებდა ხალხური მოლექსე-მგოსნის, ისაკო მირიანაშვილის, ლექსებსა და, მასთან ერთად, კონცერტებს მართავდა სკოლებში, კოლმეურნეობებსა და სხვ., საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ხალხურ საკრავებზე შემსრულებელთა სრუ-

ლიად საკავშირო დათვალიერებაზე, 1939 წელს, მიიღო ქების სიგელი და ფულადი ჯილდო.

წყარო:

1. ხალხური მელექსე და ხალხური მეჩონგურე: [ა. მაისურაძე და ი. მირიანაშვილი] // კომუნისტი. - 1940. - 15 მარტი. - № 61. - გვ. 4.

მაისურაძე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე

(1894, 12/1 – 1931, 1/IV) – მუსიკოსი და ლოტბარი, – დაიბადა ქ. თბილისში 1894 წლის იანვრის 12, ნოქრის ოჯახში (მამა გორის მაზ. სოფ. სანებელიდან, დედა – ნინო გოგლიაშვილი – არელიდან). სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, 1902-1915 წლებში – მუსიკას ზ. ფალიაშვილის მასწავლებლობით, მეშვიდე კლასიდან – ქართულ ფილარმონიულ სკოლაში, მუსიკის თეორიის კლასში, თ. სულხანიშვილის, ია კარგარეთელისა და ზ. ფალიაშვილის მასწავლებლობით.

1917 წელს თბილისში ჩამოაყალიბა მომღერალ მუშა-მოსამსახურეთა გუნდი, აგრეთვე, მონაწილე „უწყებრივი გუნდები“ (თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელთა, სადარაჯო რაზმის ჯარისკაცთა და სხვ.), განვრთნა გუნდები, კონცერტებს მართავდა თბილისის კლუბებში, თეატრებში, პროვინციაში, საიუბილეო საღამოებზე და სხვ. მრავალფეროვანი პროგრამით, ხშირად 4 განყოფილებით, რომელთა მხატვრული აღსრულებით და თავისი ოსტატობით ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩაწერა 500-მდე ხალხური სიმღერა, აგრეთვე, შექმნა საკუთარი სიმღერები („სატრფოვ, ხშირად“; „ნუ მღერი, ტურფავა!“, „სამშობლოს“, „მურმანი“, „ნათელ-ანკარა“, „როცა ვხედავ“, „ყვავილები ნამოშლილან“, „რა კარგია გაზაფხული“ და სხვ., ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, ა. პუშკინისა და სხვა პოეტთა სიტყვებზე), გუნდისთვის ნოტებზე გამართა მეღ. ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერიდან“ მასხარას კუპლეტები, „ძმა ძმას სწირავს“, „შევარდენო, ფრთა გაშალე“; გადმოაკეთა „რერო“ და სხვ. მისი სიმღერა „სანადიმო“ ფირფიტებზეა გადაღებული.

პეტრე მირიანაშვილის 5 მოქმედებიან საოპერო ლიბრეტოზე „ქალის ცბიერება“ (ერეკლე II-ის ცხოვრებიდან) დაიწყო ოპერის წერა, დაწერა დუეტი, საცეკვაო ნომერი და სხვ., რის დასრულებაც სიკვდილმა შეაწყვეტინა. გარდაიცვალა 1931 წლის აპრილის 1. დაცულია მისი სამუსიკო ნაწყვეტები და არქივი.

გამოქვეყნებულია:

1. სახალხო მომღერალ-მგალობელთა შესახებ // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - № 9. - გვ. 14. - ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: სახ. მომღ.-მგალობელთა გუნდის ლოტბარი ა. მაისურაძე.

მის შესახებ:

1. ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდი (ქულაჯებში)... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - № 46. - გვ. 16;

2. ალ. მაისურაძის ქართული გუნდი... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - № 7. - გვ. 16;
3. დ-ე. ბორჯომის ქ.შ.ნ.-კ.გ. საზ-ბის... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - № 8. - გვ. 16;
4. იმედაშვილი, იოსებ (უსაგანო). ქართული კონცერტის სახელით ალ. მაისურაძემ... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - № 7. - გვ. 15;
5. ქართული კონცერტი... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - № 6. - გვ. 16;
6. ქართული გუნდი ალ. მაისურაძისა... // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - № 7. - გვ. 14;
7. ალ. მაისურაძის ქართველ მომღერალთა გუნდი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 10. - გვ. 16;
8. ლოტბარი ალ. მაისურაძე: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 2. - გვ. 10;
9. ალ. მაისურაძის კონცერტი... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - № 11. - გვ. 15;
10. ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი: მის კონცერტის გამო რომელიც იმართება 28 მარტს სახალხო სახლში დღისით [ჯგუფური ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - № 11. - გვ. 16;
11. ქართულ კლუბში კვირას... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - № 18. - გვ. 15.

წყარო:

1. კაშიაძე, შალვა. ალექსანდრე მაისურაძე: [ქართული ხალხური სიმღერების გამავრცელებლის და ლოტბარის გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 12 აპრილი. - №16.

მაისურაძე, გ. (18.. -) – გამომგონებელი,

– შრომის გმირი, – ლ. ბერიას სახ. ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშა. მისი პირველი რაციონალ-იზატორული წინადადება იყო ვაგონებზე აბრების ჩამოკიდების გამარტივება, რაც შემოიღეს და წინადადების შემტანიც დააჯილდოეს. ამით გამხნევე-ბულმა, 1928 წელს საწარმოო თათბირზე წარად-გინა წინადადება ვაგონების აწევის მექანიზაციის შესახებ. ამ წინადადების განხორციელებას ბევრი წინ აღუდგა. მაგალითად, ინჟინერი ზოსე, ქარხ-ნის უფროსი სტიმპოვი და სხვ., თვით მუშებიც კი, მაგ., ზეინკალი ხალიპინი. მის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ. ეხმარებოდა ერთადერთი ზეინკალი იორდანიძე. გ. მაისურაძემ, იორდანიძ-ესთან ერთად, თავისი სისტემის გვარად, გააკეთა დომკრატები და პირველი ვაგონი ასნია, რითაც მისი წინადადება სავსებით დადასტურდა: შრომა გადავილდა, მუშები მაღლიერნი დარჩნენ, რადგან ჭაპანსაწყვეტ, მძიმე მუშაობით თიაქრით („გრიჟა“) დაავადებას გადაურჩნენ და სხვ. გ. მაისურაძის წინადადებისა და სისტემის თანახმად, წარმოებას დიდი ხეირი მიეცა: 1) წინათ თუ თვეში 120 ვაგონს უშვებდნენ, წინადადების დანერგვის შემდეგ 240 ვაგონი გამოუშვეს; 2) წინათ თუ თითო ვაგონი 8 დღე-ღამე იდგა სამუშაოში, მერე 2-3 დღე დასჭირ-და; 3) წინათ – 1925 წელს თუ თითო ვაგონის შე-

კეთება ჯდებოდა 28 მან., შემდეგ 12 მან. დაჯდა; 4) წინათ, ძველი წესის თანახმად, მასზე მომუშავე მუშების თიაქრით დაავადება ხშირი მოვლენა იყო, გ. მაისურაძის წესის მიხედვით არავინ ავადმყო-ფობდა და სხვ. გარდა ამისა, სპეციალისტების გა-მონაგარიშებით, გ. მაისურაძის სისტემით მუშაო-ბამ ქარხანას წლიურად 50.000 მანეთის ეკონომია მოუტანა.

ამის გამო, გ. მაისურაძე დააჯილდოეს, ნივ-თიერი მდგომარეობა გაუმჯობესეს და შრომის გმირის წოდება მიანიჭეს. ამით წახალისებული გ. მაისურაძე კიდევ უფრო ხალისიანად შეუდგა მუშაობას გამომგონებლობის დარგში.

წყარო:

1. მაისურაძე, გ. ჩემი გამოგონება // მუშა. - 1934. - 5 დეკემბერი. - № 279.

მაისურაძე, გრიგოლ ივანეს ძე (1788 ახ

1789 – 1885, 6/VI) – მხატვარი, კახეთიდან. უმა-ღლესი სამხატვრო განათლება დაამთავრა პეტრო-გრადის სამხატვრო აკადემიაში. სწავლის გათ-ავებისთანავე თავისი სურვილით მასწავლებლად გამწესდა ქუთაისის ახლად გახსნილ ვაჟთა გიმ-ნაზიაში, სადაც 35 წელი იმსახურა დაახლოებით 1850-1880-იან წლებში. სხვათა შორის, მისი მოწაფე იყო აკაკი, არჩილ ჯორჯაძე და სხვ. მასზე მოგონე-ბა აქვს აკაკის – არჩილ ჯორჯაძის შესახებ ნეკრო-ლოგში (1913).

მის შესახებ:

1. ამ თვის 6-ს ქუთაისში გარდაიცვალა... // დროება. - 1885. - 19 ივნისი. - № 129. - გვ. 1-2. - შინაური ქრონ-იკა;
2. კვასხვაძე, შ. მხატვარი გრიგოლ ივანეს-ძე მაისუ-რაძე: [1788 - 1885] // საბჭოთა ხელოვნება. - 1940. - №9. - გვ. 27-32.

წყარო:

1. ცნობა ნადეჟდა რევაზ ამირეჯიბის ასულისაგან.

მაისურაძე, ლაზარე გიორგის ძე (1858

– 1921, 6/IX) – მუშა-მწერალი, რევოლუციონერი და სცენისმოყვარე, – ქართლიდან (დაიბადა სოფ. მეღვრეკისში, გლეხის ოჯახში). ხელობით მეჩე-ქმე, წერა-კითხვა თავისით შეისწავლა და წიგნების კითხვას დაენაფა. ხალხოსნურ-განმათავისუ-ფლებელ მოძრაობაში ახალგაზრდობიდანვე აქტი-ურად ჩაება: ხშირად თავის სახელოსნოში მუშა-ხე-ლოსნებს ესაუბრებოდა მთავრობისა და საზოგა-დოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ, რის გა-მოც მუშის მთავრობამ სახელოსნო დაუკეტა. რე-ოლუციური იდეებით გატაცებული, ჯარისკაცთა შორისაც დაურიდებელ პროპაგანდას ეწეოდა: მეფე უარყავით, იარაღი დაყარეთ, მღვდლებისა ნურა გჯერათ, ძმა ძმის წინააღმდეგ არ უნდა ვი-ბრძოდეთო და სხვ., რისთვისაც შეიპყრეს და კა-

ტორლა მიუსაჯეს (მეფის მემკვიდრის დაბადების გამო მანიფესტით სასჯელი შეუმცირდა: 6 თვე იჯდა ციხეში). მიუხედავად სასტიკი დევნისა, შეუდრეკლად ანარმობდა რევოლუციურ მუშაობას: 1905 წელს, თბილისში, ერთობის უბანში, ასისტავად იყო და უბნის მუშებს აიარალებდა მეფის მთავრობის ხულიგნური გამოსვლების წინააღმდეგ.

სახალხო წარმოდგენების მართვის საქმეშიც მონაწილეობდა, როგორც სცენისმოყვარე.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1890-იან წლებში: მის. სიმ. მეტეხელთან ერთად მუშათა ხელნაწერ ჟურნალს გამოსცემდა. წერდა ლექსებს, წერილებს და წერილ მოთხრობა-ამბებს; ცხოვრების უკუღმართობით გაბოღებული ლ. მაისურაძე მოთქვამდა: „როს ვხედავ ჩემებრ სხვებსაცა ცხოვრებისაგან განანამებსა, შხამით და ბაღმით მევსება გული და ზიზღით ვუმზერ წუთისოფელსა“. ამწარებდა, როს ხედავდა „ორნაირ ლამპარს: ერთგან ძაან ნათლათ და მეორეგან ბნელათ“, როს „ძმა ძმასა სჩაგრავს ძალმომრეობით“-ო და გვიძღერდა:

„ვნატრობ, როს დადგეს დროი ნეტარი,
ჩვენც რომ შეგვეგნოს ძმობა-ერთობა“.

და მოუნოდებდა:

„კეთილი საქმე ჩვენ დავამყაროთ ძმურათა...
ავმართოთ დროშა ძმობისა,
დავანყებინოთ ფრიალი,
ეგები მაშინ მოგვემორდეს
გულიდან სევდა ტიალი“.

დროგამოშვებით ჟურნალ-გაზეთებში წერილებსაც ათავსებდა ლ. ხელოსნის ფსევდონიმით. სხვათა შორის, მოითხოვდა მწერლობის სისპეტაკეს, მხოლოდ საზოგადოებრივი კითხვების გარკვევას: „სწერონ ისეთი სასარგებლო რამე, რომელიც ხალხს გაუკვერავს ეკლიანს გზას და დაანახეებს ქვემარტს გზა-ტყევილს ძმობა-ერთობისას და თავისუფლებისას ჩვენის დავრდომილი საქართველოსას“ („კვალი“, 1894, № 45). მოთხრობებში გლეხთა და მუშათა ყოფა-ცხოვრება აქვს ასახული („ყეენობა“, „ბოგანო“).

ცალკე გამოცემულია:

1. ლექსები და მოთხრობები / შედგენილი ლაზარე მაისურაძის მიერ. (ლ. ხელოსანი). - ტფ.: მიხეილ მეტეხელის გამოცემა, 1899 (ვ. გუნიას სტ.). - კანი, 48 გვ.; მე-2 გამოცემა.. - თბ.: მიხეილ მეტეხელის გამოცემა, 1903 (გ. დიასამიძის სტ.). - 56 გვ.; 18 სმ.;
2. სიმართლე / თხზულებანი ლაზარე მაისურაძისა. - ტფ.: მიხეილ მეტეხელის გამოცემა № 2, 1900 (მ. შარაძის და ამხ. სტ.). - 48 გვ.; 18 სმ.;
3. ვარსკვლავები: [ლექსები] / თხზულებანი მიხეილ სიმონიძისა. - თბ.: მიხეილ მეტეხელის გამოცემა № 3, 1901 (ე. ი. ხელაძის სტ.). - 40 გვ.; 18სმ.. - [რეზიუმე: ნიგნში დაბეჭდილი 25 ლექსიდან 4 ეკუთვნის ლ. მაისურაძეს, დანარჩენი 21 კი - მ. სიმონიძეს].

გამოქვეყნებულია:

1. ხმა ქალაქიდან // კვალი. - 1894. - № 45. - გვ. 6.

მის შესახებ:

1. ბიბლიოგრაფია: მაისურაძე, ლ. „ვარსკვლავები“. თხზულებანი ლ. მაისურაძისა. ფასი 10 კ. [რეცენზია] // მოგზაური. - 1901. - № 6-7. - გვ. 724-725.

წყარო:

1. ხელოსანი, ლ. ხმა ქალაქიდან // კვალი. - 1894. - № 45. - გვ. 6;
2. მოწმობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. - 1919. - 10 თებერვალი. - № 127;
3. პარპორტი. - 1920. - 3 აგვისტო. - № 1065;
4. ქართული ნიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. ნიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ. ი. კიკნაძე; ბიბლიოგრაფიკული რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: ნიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 476.

მაისურაძე, ნინო გიორგი გურდულის ასული (1883, 1/X -) – რევოლუციონერი, – ი. ბ.

სტალინის დადნაფიცი, – მთიულეთიდან (დაიბადა სოფ. კარსანაში, გლეხ გიორგი გურდულის ოჯახში).

რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა 1905 წლიდან. უმთავრესად, ტექნიკურ დავალებათ ასრულებდა (მიტინგებსა და წრეების კრებებს ინვეცდა. დევნილ რევოლუციონერთ იფარავდა თავის ბინაზე). სხვათა შორის, მის ბინაზე იფარავდა თავს მეფის მთავრობისაგან დევნილი, არალეგალურად მცხოვრები კობა – იოსებ ჯუღაშვილი (და ისეთი მზრუნველობით ეპყრობოდა ნინო, რომ კობამ ტყვიის ჩაჭრით, ძველი წესისებრ, დად გაიფიცა). აქვე ჰქონდათ ბინა დევნილ რევოლუციონერთ: ვასილ ჟღენტს, ილ. იმერლიშვილს, ვასო ფარესიშვილსა და სხვ. ცნობილი იყო, როგორც მოხერხებული კონსპირატორი, უშიშარი, დაუზარელი და მტკიცე ნებისყოფის, უანგარო, რევოლუციისთვის თავდადებული მუშაკი.

რევოლუციური მოღვაწეობისთვის მეფის მთავრობამ 1913 წლის იანვრის 15 შეიპყრო, 10 თვე გამოძიებაში ჰყავდა, რის შემდეგ 8 წლის კატორღა მიუსაჯეს. კატორღიდან დაბრუნდა 1917 წლის რევოლუციის წყალობით. ციხეში შეილით იჯდა. ქმარიც გადასახლებული ჰყავდა. დამსახურებისათვის დაენიშნა პერსონალური პენსია.

წყარო:

1. ნ. გ. მაისურაძის წერილი ი. ბ. სტალინის მიმართ;
2. პერსონალური პენსიის ნიგნაკი № მ-275.

მაისურაძე, სანდრო [ალექსანდრე] (1884,

15/VIII – 1918, 19/XII) – მუშა-რევოლუციონერი, – პროპაგანდისტი, აგიტატორი, ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელთაგანი, სამშობლოს ხსნისათვის თავგანწირული ეროვნული გმირი, – ქა-

რთლიდან (დაიბადა სოფ. დგვრისში, გლეხის ოჯახში). პირველდანიებითი სწავლა სოფლის სკოლაში დაიწყო, მაგრამ მამის ადრე გარდაცვალების გამო, სკოლას თავი გაანება და თბილისში ზეინკლად დაიწყო მუშაობა, აქედან ამიერკავკასიის რკინიგზათა მთავარ სახელოსნოში გადავიდა, სადაც თვითგანვითარებას შეუდგა და 1902 წლიდან რევოლუციურ მუშაობაში ჩაება, რის გამო, 1904 წელს, სამუშაოდან დაითხოვეს, როგორც არაკეთილსაიმედო. მუშაობდა კერძო სახელოსნოებში, მერე – ტრამვაიში. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებისას ცხინვალის რაიონის გლეხთა შორის აწარმოებდა პროპაგანდას, 1906 წელს დიდი მონაწილეობა მიიღო გაყარალებულ ნითელრაზმელებთან ბრძოლაში, 1908 წელს ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლეს 5 წლით, 1913 წელს თბილისში დაბრუნებული, უფრო ბეჯითად შეუდგა პოლიტიკურ-რევოლუციურ და პარტიულ-კულტურულ მუშაობას: თავმჯდომარედ იყო წყალსადენის მუშათა პირველ პროფკავშირის, თავის მიერ დაარსებული მომხმარებელი საზოგადოება „ალორძინების“, სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექციის, ნევრი სოციალ-დემოკრატთა რაიონული კოლექტივების, პარტიის ქალაქის კომიტეტის, ყველა პოლიტიკურ-მებრძოლი ორგანიზაციის, მუშათა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის, „საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის“, ნითელი გვარდიის შტაბის, შემდეგ – თავმჯდომარის ამხანაგი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის, საქართველოს პარლამენტის და სხვ.

1917 წლის რევოლუციის პირველ ხანებში, ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი იყო თბილისის თოფხანის (არსენალის) აღებისა, შემდეგ საქართველოს და რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ყველა ფრონტზე თავგამოდებით იბრძოდა ეროვნული და ინტერნაციონალური დროშით, სამშობლოს და დემოკრატიის უერთგულესი სიყვარულით გატაცებული.

1918 წლის დეკემბერში, როდესაც სომხეთის დაშნაკურმა ჯარებმა ეკატერინოფელდში, ბურუსიან ამინდში, გამცემის წყალობით, ქართველთა ბატარეა ხელთ იგდეს, ქართველთა ზარბაზნებით შემოუტეის აქედან თბილისში შემოსასვლელად, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დაესამარებინათ, ს. მაისურაძე ამხანაგ-გვარდიელებითურთ თავგანწირული ეტაკა მტერს და უკან დაახეინა; აქ, ყველაზე წინ მიმავალს, გულში მოხვდა ტყვია და იმავე წუთს სული განუტევა (1918 წლის დეკემბრის 19). ამით ცეცხლმოდებულმა გვარდიელებმა თავდავინყებით შეუტეის თავდამსხმელთ, შემუსრეს, მრავალი დაატყვევეს, ბატარეაც უვნებლად დაიბრუნეს. ს. მაისურაძის თავგანწირვამ სირცხვილისგან იხსნა ქართველთა ეროვნული ღირსება, დამხობისაგან – საქართველოს ნორჩი რესპუბლიკა, ხიფათისაგან – სამშობლოს თავისუფლება. ს. მაისურაძეს „სწამდა და სწყუროდა სამშობლოს თავისუფლება“, რასაც ზვარაკად შეეწირა, როგორც „სამშობლოსა და დემოკრატიისათვის თავგანწირული“.

დაიკრძალა მასთან ერთად განწირულ 32 გვარდიელთან თბილისში, ძმათა სასაფლაოზე, ე. წ. ხუდადოვის ტყესთან.

გამოქვეყნებულია:

1. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდია // მუშათა ცხოვრება. - 1919. - № 14. - გვ. 10-11. - ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: სახ. გვარდ. სანდრო მაისურაძე. - სქოლიოში რედაქციის შენიშვნა.

მის შესახებ:

1. სანანიის მიმართულებით... // რესპუბლიკის ჯარი. - 1918. - № 4. - გვ. 16;
2. გვარდიის ბელადნი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 14. - გვ. 5;
3. გრინევიჩი, ვ. სახალხო გვარდიის მონინავე რაზმი ქ. სოჩაში: [ჯგუფური ფოტო] // ეშმაკის მათრახი. - 1919. - № 3 (სპეციალური ნომერი „სახალხო გვარდია“);
4. თალაკვაძე, ნ. სიტყვა: წარმოთქმული სანდრო მაისურაძის ანდერძზე, მის ბინაზე ქ. თბილისში, 24 დეკემბერს 1918 წელს // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 3. - გვ. 15. - ტექსტის ბოლოს: დეკ. ნ. თალაკვაძე. - გავრდ. იბ. № 8. - გვ. 10. - ახლავს სურათი;
5. იმედაშვილი, იოსებ (არიმათიელი, იოსებ). - ა) ...და სხვანი... (32 სახალხო გვარდიელის სსოვნას) // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 1. - გვ. 10; ბ) სამშობლოს უმანკო ზვარაკი: მიხეილ სოლომონის ძე მაყაშვილი // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - № 26. - გვ. 8;
6. სანდრო მაისურაძე თავის გვარდიელებით სოჭის ფრონტზე: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 8. - გვ. 1;
7. სანდრო მაისურაძე // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 1. - გვ. 9-10;
8. ს., ა. საქართველო-სომხეთის ომის შესახებ // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 7. - გვ. 4-8;
9. სახალხო გვარდიელი ს. მაისურაძე: ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული [ფოტო] // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 8. - გვ. 1;
10. სახალხო გვარდიის მეთაურნი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 9. - გვ. 1;
11. სახალხო გვარდიის პირველი შტაბის პრეზიდენტის ნევრნი: სანდრო მაისურაძე, ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე: [ფოტო] // ეშმაკის მათრახი. - 1919. - № 3 (სპეციალური ნომერი „სახალხო გვარდია“). - გვ. 5;
12. ხელოსანთა კლუბში პარასკევს... // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 9. - გვ. 16. - წერილი ამბები;
13. Главари Народной Гвардии В. Джугели, А. Дгебуაძე и С. Майсурадзе: [ფოტო] // მუშათა ცხოვრება. - 1919. - № 7. - გვ. 3;
14. სანდრო მაისურაძე (1884-1918): [ბიოგრაფია და მოღვაწეობა. წერილები] / რ. არსენიძის რედაქტორობით. - თბ.: ს. მაისურაძის სახელობის წიგნთსაცავი სამკითხველოს გამგეობის გამოცემა, 1920. - 64 გვ.; 22 სმ.;
15. სანდრო მაისურაძის ბიბლიოთეკის შესახებ // მუშათა ცხოვრება. - 1920. - № 6. - გვ. 16;
16. ძმათა სასაფლაო: ხაშურის სახალხო გვარდიელები.

სანდრო მაისურაძე (მთ. შტ. წევრი, მოჰკლეს ეკატერინეველდ. 18. 1918 წ) [ფოტო] // სახალხო გვარდიელი. - 1920. - № 3. - გვ. 8;

17. ჯუღელი, ვალიკო. თავდადებულნი // სახალხო გვარდიელი. - 1920. - № 1. - გვ. 3-4.

წყარო:

1. იმედაშვილი, იოსებ (არიმათიელი, იოსებ). - ა) ...და სხვანი... (32 სახალხო გვარდიელის ხსოვნას) // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 1. - გვ. 10; ბ) სამშობლოს უმანკო ზვარაკი: მიხეილ სოლომონის ძე მაყაშვილი // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - № 26. - გვ. 8;
2. სანდრო მაისურაძე თავის გვარდიელებით სოჭის ფრონტზე: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 8. - გვ. 1;
3. სახალხო გვარდიელი ს. მაისურაძე: ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული [ფოტო] // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - № 8. - გვ. 1;
4. სახალხო გვარდიის მეთაურნი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 9. - გვ. 1;
5. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრაფიკის: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი), 1941. - გვ. 485.

მაკალათია, სერგი იოსების ძე (1893, 1/14/XII –) – ისტორიკოს-ეთნოგრაფი, – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, – სამეგრელოდან (დაიბადა სოფ. სეფიეთში, აბაშის რ., 1893 წლის დეკემბრის 1). დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი (1923) და იქვე იქნა დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1920 წლიდან სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში აწარმოებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოს ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიასა და ნუმიზმატიკაში, იმავე დროს, კითხულობდა საქართველოს ისტორიის კურსს პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1928 წელს, შრომების მიხედვით მიენიჭა დოცენტის წოდება, ხოლო 1938 წელს ლენინგრადში დაიცვა დისერტაცია. მიიღო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1948 წლის მაისის 25, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ეთნოგრაფიულ ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართველური ტომების ეთნოგრაფია“, რასაც 1948 წლის ივნისის 18 მაღალი შეფასება მისცა სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიამ. პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც სადოქტორო ხარისხი მოიპოვა საქართველოს ეთნოგრაფიაში.

მისი ღვაწლი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია ქართულ ეთნოგრაფიაში. მან პირველმა დაიწყო ეთნოგრაფიული მასალების თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნის მიხედვით სისტემატური შეკრება და ამ მიზნით მოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე; 1929-1939 წლებში მოაწყო

ეთნოგრაფიული ექსპედიციები: მთის რაჭას, მთიულეთს, ხევს, თუშეთს, ფშავს, ხევსურეთს, მესხეთ-ჯავახეთს, სამეგრელოსა და სხვ. ამ კუთხეებში შეკრიბა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ძვირფასი მასალა, ფოტოგრაფიულად გადაიღო ტიპები, მატერიალური კულტურის ნაშთები და შრომა-საქმიანობის დამახასიათებელი მომენტები. მთელი ეს მასალა მეცნიერულად დაამუშავა და გამოსცა ცალკე მონოგრაფიებად: თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, ხევი და სხვ. თითოეულ მონოგრაფიაში თითქმის ამომწურავად მოცემულია მოსახლეობის ისტორია, ეკონომიკა, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ცრუმორწმუნეობის გადმონაშთები და სხვ. ამით მან გაამდიდრა მეცნიერების ეს დარგი და შეავსო ის ხარვეზი, რომელიც მის დრომდე არსებობდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში.

მისი ეს ღვაწლი აღნიშნა აკადემიურმა ჟურნალმა „Советская этнография“, რომ საბჭოთა კავშირში ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლაში ს. მაკალათიას ეთნოგრაფიული შრომების მიხედვით საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს.

პარალელურად იგი კვლევით მუშაობას ეწეოდა საქართველოს ისტორიას, არქეოლოგიასა და ნუმიზმატიკაში. საქართველოს გმირული წარსულიდან მან მოგვცა პოპულარულ-გმირული მონოგრაფიები: „დიმიტრი თავდადებული“ (1942), „თამარ მეფე“ (1942), „ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება“ (1942), „ვახტანგ გორგასლანი“ (1942) და სხვ., აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს: რეკაში, ტყვიავში, დაბლა-გომსა, ავჭალაში და სხვ. მან აღმოაჩინა ტყვიავში უძველესი ყურღანული სამარხები, ძველი მონეტების საშუალებით გაარკვია და დაათარიღა მთელი რიგი არქეოლოგიური აღმოჩენები. მან აღმოაჩინა ახალი ტიპის კოლხური ფული და მოგვცა საყურადღებო კომენტარები მათზე გამოხატულ პორტრეტებსა და ფიგურებზე, დაადასტურა საქართველოში ფალოსისა და შირსას (მითრას) კულტის არსებობა. ამასთანავე, მან პირველმა მიაქცია ყურადღება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიული გადმონაშთების გამოყენებას არქეოლოგიურ აღმოჩენათა ინვენტარის გარკვევაში.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, იგი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს გეოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობის საზოგადოებებში. მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება და მის სწავლულ მდივნად აირჩა, ხელმძღვანელობდა საზოგადოების ფილიალების დაარსებას, საქართველოს სხვადასხვა რაიონში მხარეთმცოდნეებს ეხმარებოდა მასალების შეკრებასა და დამუშავებაში, საზოგადოების დავალებით ხელს უწყობდა საქართველოს კუთხეებში მხარეთმცოდნეობის მუზეუმების დაარსებას: ყაზბეგს, ახალციხეს, თელავსა და სხვ.

დანერლი აქვს სხვადასხვა ხასიათის 50-მდე შრომა და ნარკვევი.

ცალკე გამოცემულია:

1. ფშავერი ნაწლობა და ხევსურული სწორფრობა: (ეთნოგრაფიული მასალები) = *Materiaux pour l'ethnographie georgienne: [Les rites sexuels chez Pchav-Hevsours]* / ს. მაკალათია. - ტფ., 1925 (ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის განყ. მე-3 სტამბა). - V, 25 გვ.; 23 სმ. - ბიბლიოგრაფია ტექსტის შენიშვნებში;
2. საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია / სერგი მაკალათია. - ტფ.: სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1926 (საქ. კომ. პარტიის ცენტ. კომიტ. სტ.). - IV, 230, [1] გვ.: სურ.; 23 სმ.;
3. ფალოსის კულტი საქართველოში / სერგი მაკალათია. - ტფ., 1926 (პოლიგრ. ტრესტის 1 სტ.). - გვ. 121-136; სურ.; 22 სმ.. - ცალკე ამონაბეჭდი საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზ. ორგანოდან „მიმოხილველი“, 1926. V. 17. - რეზ. ფრანგ. ენ.;
4. ახალწელნადი საქართველოში: [ავტორის წინასიტყვაობით] / სერგი მაკალათია. - [ტფ.]: სახელგამი, 1927 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - IV, 55 გვ.; 18 სმ.;
5. საზოგადოებათ-მეცნიერება: შრომის სკოლის მე-8 ჯგუფის სახელმძღვანელო / ს. მაკალათია. - ტფ.: [სახელგამი], 1927 (ალმასკომის სტ.). - IV, 200 გვ.: სურ.; 22 სმ.;
6. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში: დაიბეჭდა და 1927 წლის 5 სექტემბერს. *Extrait* / ს. მაკალათია. - ტფ., 1927 (პოლიგრაფტრ. მე-3 სტ.). - 179-194, [1] გვ.: სურ.; 23 სმ.. - ცალკე ამონაბეჭდი საქ. მუზეუმის მოამბე III. - რეზიუმე ფრანგულ ენაზე;
7. 1920-1924 წ.წ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის (ტაბ. VIII-IX): დაიბეჭდა 1928 წლის 5 ნოემბერს / სერგი მაკალათია. - ტფ., 1928. - გვ. 161-188; სურ., ტაბ. in recto; 23 სმ. - ცალკე ამონაბეჭდი საქართველოს მოამბე, IV. - უთავფურცლო. - რეზიუმე ფრანგულ ენაზე;
8. სეტის მეთორმეტე საუკუნის ვერცხლის სურა / სერგი მაკალათია. - ტფ., 1928 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - გვ. 89-94; სურ.; 26 სმ. - ამონაბეჭდი. ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, IX;
9. მთის რაჭა / სერგი მაკალათია. - ტფ.: სახელგამი, 1930 (პოლიგრაფტრ. მე-6 სტ.). - 82, [2] გვ.: სურ., რუკა; 22 სმ.;
10. მთიულეთი: [ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი] / სერგი მაკალათია. - ტფ.: სახელგამი, 1930 (1-ლი სტ.). - 192 გვ.: სურ., რუკა; 21 სმ. - დანართი: ბიბლიოგრაფია. - ტერმინების მაძიებელი. - სურათების სია;
11. თუშეთი: [ნარკვევი] / ს. მაკალათია; მხატვრ.: უ. ჯაფარიძე, რ. შერლინგი, დ. ციციშვილი და რ. მირზაშვილი. - ტფ.: საქ. გეოგრაფ. საზოგადოების გამა, 1933 (პ/სკ. სტ.). - 226 გვ.: სურ.;
12. კოლხური დიდრაქმა / ს. მაკალათია. - ტფ., 1933. - გვ. 193-202; 21 სმ. - ცალკე ამონაბეჭდი, საქ. მუზეუმის მოამბე, VII;
13. ფშავი / სერგი მაკალათია. - ტფ., 1934 (პარტგამომც. მე-2 სტ.). - 238, [2] გვ.: ილ. 1 ჩ.ფ. რუკა; 22 სმ.. - საქ. გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. - თავფურცელი ქართ. რუს. და უცხო ენაზე. - ბიბლიოგრაფია ქართ. და რუს. ენაზე გვ. 231-32;
14. ხევი / სერგი მაკალათია. - ტფ.: სახელგამის სასწ.-პედ. სექტორი, 1934 (სახელგამის სასწ.-პედ. სექტორის 1-ლი სტ.). - 288, [2] გვ.: ილ.; 21 სმ + [1] ჩართ. ფ. რუკა. - ბიბლიოგრ.: „ბიბლიოგრაფია“ (35 სახელწ.);
15. ხევსურეთი / სერგი მაკალათია; [მხატვ. ს. კეცხოველი; პ/მგ რედ. აკ. კაჭახიძე]. - ტფ.: საქ. გეოგრაფიული საზ., 1935 (სტ. „კომუნისტი“). - 280 გვ.: ილ. + 1 დაკვეც. რუკა; 22 სმ.. - (საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები). - წიგნი ჩასმულია გარეკანში. - ბიბლიოგრ.: გვ. 268-270. - ტერმინ. საძ.: გვ. 271-275. - სურ. სია: გვ. 276-278;
16. თუშური ლექსები / ს. მაკალათია. - თბ.: ფედერაციის გამომც. და სტ., 1937. - 142 გვ.; 17 სმ.;
17. მესხეთ-ჯავახეთი: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი / ს. მაკალათია. - თბ.: ფედერაციის გამომც-ბა და სტ., 1938. - 157, [2] გვ.: სურ., [8] ჩართ. ფურც. ილ., რუკით; 21 სმ.. - (საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების შრომები). - დამატებითი თავფურცელი რუსულ ენაზე. - ბიბლიოგრ.: „ლიტერატურა“ შენიშვნებში;
18. ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში / სერგი მაკალათია; [პ/მგ რედ. ივ. ყიფშიძე]. - თბ.: საქ. სამხარეთმცოდნეო საზ-ბა, 1938 (თსუ-ს სტ.). - 47 გვ.; 23 სმ.. - დასკვნა რუს. ენ.: გვ. 41-47;
19. *Хевсурети: Историческо-этнографический очерк дореволюционного быта хевсуров / С. И. Макалатия; Груз. краевед. о-во. - Тбилиси, 1940 (Тип. ГПИ). - 223 с.: ил., 3 л. ил., карт.; 24 см.. - Библиогр.: с. 217-220;*
20. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია: საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების შრომები / სერგი მაკალათია. - თბ., 1941. - 384 გვ.: ილ. და პორტრ., 4 ჩართ. ფურც. რუკა; 22 სმ.. - ბიბლიოგრაფია შენიშვნებში და გვ. 374-8;
21. დიმიტრი თავდადებული / ს. მაკალათია; გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. - თბ., 1942. - 36 გვ.: ილ.; 14 სმ.;
22. ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება / ს. მაკალათია; საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება. - თბ., 1942. - 32 გვ.; 17 სმ.;
23. ვახტანგ გორგასლანი / ს. მაკალათია. - თბ., 1942 (სტამბა გ-ბა „ზარია ვოსტოკა“-სი). - 40 გვ.: ილ.; 14 სმ.;
24. თამარ მეფე / ს. მაკალათია; [პ/მგ. რედ. ს. კაკაბაძე]. - თბ., 1942 (პ/კ „კომუნისტი“). - 59 გვ.; 16 სმ.;
25. ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები = *Archaeological excavations of barrow funeral grounds in the village of Tkviavi = Археологические раскопки курганных погребений в сел. Тквиави* / ს. მაკალათია. - თბ., 1943 (ადგ. მრეწვ. სახ. კომ. სტამბა). - 62 გვ.; 23 სმ.. - (გორის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები; 1). - თავფურცელი ქართ. და ინგლისურ ენებზე. - დამატებითი თავფურცელი რუსულ ენაზე. - წინასიტყვაობა რედაქტორისაგან-პროფ. ბ.ა. კუფტინი, რუსულ ენაზე. - რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე;
26. გიორგი ბრწყინვალე / სერგი მაკალათია. - თბ.: საქ. მხარეთმცოდნეობის საზ-ბის გამ-ბა, 1944 (ადგ. მრეწვ. სახ. კომ. სტ.). - 32 გვ.; 16 სმ.;

27. გიორგი ბრწყინვალე / სერგი მაკალათია. - თბ.: საქ. მხარეთმცოდნეობის საზ-ბის გამ-ბა, 1944 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 42 გვ.; 15 სმ.;
 28. დავით აღმაშენებელი / სერგი მაკალათია; საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება. - თბ., 1944 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 58 გვ.; 14 სმ.;
 29. სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულეების განძი / ს. მაკალათია. - თბ.: სსსრ მეც. აკად. გ-ბა, 1944. - გვ. 218-257; 3 ჩ. ფ. ილ.; 26 სმ.. - ცალკე ამონაბეჭდი. - სსსრ მეც. აკადემია. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XII-B. - დასკვნა რუს. და ინგლ. ენ. გვ. 250-257. - ბიბლიოგრაფია ტექსტის შენიშვნებში;
 30. დავით აღმაშენებელი / სერგი მაკალათია; საქ. მხარეთმცოდნეობის საზოგადოება. - თბ., 1945 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 58 გვ.; 15 სმ. - კანზე; დავით აღმაშენებლის სურათი;
 31. საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში / ს. მაკალათია. - თბ.: საქ. მხარეთმცოდნეობის საზ-ბა, 1945 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 48 გვ.: სურ.; 20 სმ.. - გორის სახ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის შრომები. - ბიბლიოგრაფია ტექსტის შენიშვნებში;
 32. დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები / სერგი მაკალათია; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტ.-საგანამანათლებლო დანესებულებების საქმ. კომ-ტი. გორის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. - თბ.: საქ. სახელმწ. წიგნის პალატის გამ-ბა, 1948 (ლ.პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი კომუნისტი). - 70 გვ.: სურ., 1 ჩართ. ფურც. დვანის საფლავების გეგმა;
 33. არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და ალაიანში / სერგი მაკალათია. - [თბ.], [წ.ა.]. - გვ. 81-90; სურ.; 24 სმ.. - ცალკე ამონაბეჭდი; საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე XI-B;
 34. Археологические находки в селе Ахриси (Картли) / С. И. Макалатия. - [Б. м.], [Б. г.]. - 181-186 с.; 25 см.. - Отд. отт. из «Вестник древней истории» № 3, 1951. - Библ. в подстроч. прим.
- გამოქვეყნებულია:**
1. ატენის სიონი // მომავალი: სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის ყოველთვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი. - 1920. - № 1. - გვ. 22-26. - შენიშვნა სქოლიოში: ნაკითხულია საარქეოლოგიო სემინარიაში;
 2. ფალოსის კულტი საქართველოში // მიმოხილველი: საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზ. ჟურნალი. - 1926. - № 1. - გვ. 122-136;
 3. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში // საქართველოს მუზეუმის მოამბე. - 1927. - ტ. 3. - გვ. 179;
 4. 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის // საქართველოს მუზეუმის მოამბე. - 1928. - ტ. 4. - გვ. 122-136;
 5. სეტის 12 საუკუნის სურა // ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. - 1928. - ტ. 9. - გვ. 89-94;
 6. ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი // საქართველოს მუზეუმის მოამბე. - 1930. - ტ. 5. - გვ. 223;
 7. Einige ethnographisch-archäologische Parallelen aus Georgien // Mitteil der Anthropologischen Gesellschaft in Wien. - 1930. - Bd. IX. - გვ. 361;
 8. Découvertes archéologiques en Géorgie en 1930 // Mitteil der Anthropologischen Gesellschaft in Wien. - 1932. - Bd. 12. - გვ. 102;
 9. დაბა-გომის არქეოლოგიური აღმოჩენები // კომუნისტი. - 1933. - 30 ოქტომბერი. - № 251. - გვ. 6;
 10. კოლხური დიდრაქმა // საქართველოს მუზეუმის მოამბე. - 1933. - ტ. 7. - გვ. 170;
 11. ექსპედიცია მთიან სამეგრელოში // კომუნისტი. - 1935. - 3 დეკემბერი. - № 279. - გვ. 3;
 12. Культывые места и связанные с ними ритуальные обряды у грузин-мохевцев // Сб. Академия наук СССР академику Н. Я. Марру, XLV. - М.-Л., 1935. - стр. 517-522;
 13. ხევსურეთი: [მონოგრაფია] // საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. - 1936. - 300 გვ.;
 14. საქართველოს ფეოდალური მონარქია რუსთაველის ეპოქაში: [სტატია] // კომუნისტი. - 1937. - 23 დეკემბერი. - № 293. - გვ. 3;
 15. სოფელი რუსთავი და თქმულება შოთა რუსთაველზე: [ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის შესახებ მესხეთ-ჯავახეთში] // კომუნისტი. - 1937. - 30 აგვისტო. - № 99. - გვ. 4;
 16. Из старого народного быта пшавов // Советская этнография. - 1938. - № 1. - Стр. 98-117;
 17. О находке нового клада Колхидских монет // Вестник древней истории. - 1939. - Т. IV. - Стр. 154-159;
 18. Археологические находки в Дабла-Гоми и Агаяна // Советская археология. - Л., 1940. - Т. V. - Стр. 10;
 19. არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და ალაიანში // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. - 1941. - ტ. 11-B. - გვ. 81-90;
 20. სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულეების განძი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. - 1944. - ტ. 12-B. - გვ. 217-257. - რეზიუმე ინგლისურ ენაზე;
 21. გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი: დაარსებიდან 10 წლისთავი // კომუნისტი. - 1945. - 1 დეკემბერი. - № 237;
 22. ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. - 1947. - ტ. 14-B. - გვ. 425-428;
 23. გორში აღმოჩენილი ნეკროპოლის დათარიღებისათვის // გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. - გორი, 1947. - ტ. 2. - გვ. 99-106. - რეზიუმე რუსულ ენაზე.
- მის შესახებ:**
1. უჩანეიშვილი, დ. მარქსისტული სახელმძღვანელო შრომის სკოლაში: ბიბლიოგრაფია // კომუნისტი. - 1927. - 29 ნოემბერი. - № 270. - გვ. 6;
 2. არქეოლოგიური აღმოჩენა კახეთში: [ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეების ნივთები] // კომუნისტი. - 1937. - 28 იანვარი. - № 22. - გვ. 4;

- ს. მაკალათია: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი // სახალხო განათლება. - 1949. - 11 აგვისტო. - № 33. - გვ. 4;
- ს. ტ. სერგი მაკალათია - დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები: თბილისი, 1948 წელი: [რეცენზია] // სახალხო განათლება. - 1949. - 3 მარტი. - № 10. - გვ. 4. - ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: ს. ტ.; აგრეთვე იხ.: ს. მაკალათია. დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1948.

წყარო:

- ს. მაკალათია: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი // სახალხო განათლება. - 1949. - 11 აგვისტო. - № 33. - გვ. 4.

მალაზონია, ნესტორ გლახუნას ძე (1892,

10/X –) – მწერალი, – მგოსანი, ყურნალისტი და პედაგოგი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. მამათში, ულარიბესი გლეხის ოჯახში). დაამთავრა სოფ. ძიმითის 2-კლასიანი სკოლა, რის შემდეგ მშობლებმა ოზურგეთში, სახარაზოში მიაბარეს შეგიღდად. აქედან ნ. მალაზონია გაიპარა, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში შევიდა და სამეურნეო სკოლაში მოეწყო პანსიონერად, საიდანაც მეორე წელს (1907) გამოიციხეს მონაფეთა გაფიცვაში მონაწილეობისათვის. სამი წელი მუშაობდა სკოლის დარჯად, მამასთან ერთად – სოფლის სამმართველოს შიკრიკად, იმავე დროს, თავისით მოემზადა და 1912 წელს ხონის საოსტატო სემინარიაში შევიდა, სადაც მეორე წლიდან სახელმწიფო ხარჯზე გადიყვანეს. 1914 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მონაწილეობდა პირველ იმპერიალისტურ ომში (1914-1918). გერმანიის ფრონტზე დაჭრეს.

მასწავლებლობდა: 1919 წლის იანვრის 1-დან სოფ. აცანის (გურია) უმაღლეს პირველდანიებით სკოლაში (ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას), იმავე დროს, ასწავლიდა სოფ. მამათში 1925 წლის სექტემბრამდე, 1925-1932 წლებში – ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში; 1932 წლიდან მუშაობდა აჭარის განათლების კავშირში ჯერ მდივნად, შემდეგ – თავმჯდომარედ, ბოლოს – რაიონული გაზეთის რედაქტორად, აჭარის მთავლიტის უფროსად, გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ ღამის რედაქტორად; 1938 წლის მარტიდან – აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის სანარმოო განყოფილების გამგედ.

მწერლობა დაიწყო 1918 წელს. პირველი ლექსი „ფანტაზია“ გამოაქვეყნა გაზ. „გურიის კომუნარში“ (1921), იგივე დაიბეჭდა „ტრიბუნაში“ 1921 წლის გაზაფხულზე. შემდეგ, უმთავრესად, გაზ. „საბჭოთა აჭარაში“ ბეჭდავდა ლექსებს.

ნ. მალაზონია ცნობილია აჭარის ნიჭიერ ლირიულ პოეტად, რომლის მრავალი ლექსი ხალხში იმღერება. მისი შემოქმედების უმთავრესი თემაა სტალინის მიერ აჭარის მშრომელ ხალხში რევოლუციური მუშაობის, სოფლის მშრომელთა თანდათან გარეგოლუციონერებისა და სხვ. მხატვრული ასახვა.

ცალკე გამოცემულია:

- პატაკი ოქტომბერს: [ლექსები]. - ბათუმი: აჭარის სახელგამი და სტ.-ლით., 1937 [1938]. - 75, [2] გვ.; 15 სმ.;
- თავი: (აჭარული ზღაპარი). - ბათუმი: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, 1939 (ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტამბა-ლითოგრაფია). - 31 გვ.: სურ.; 19სმ. - გაშლილი თავ-ფურცელი რუსულ ენაზე;
- გულიზარ: პოემა. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1940. - 184 გვ.; 17 სმ.;
- ყვავილები: [ლექსები უმცროსი ასაკისათვის] / მხატვ.: რ. რევაზიშვილი. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1940. - 24 გვ.: ილ.; 22 სმ.;
- ეთერი და თინა: [ლექსები უმცროსი ასაკისათვის]. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1941. - 28 გვ.: ილ.; 20 სმ.;
- ქართული ანბანი / მხატვ.: ო. გრომოვი. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1941. - 8 დაუნომ. გვ.; 20სმ. - უთავფურცლო;
- გმირი ჯგმალიკო / რედაქტ.: პ. ო. ლორია; ილუსტრ. ავტ.: სეჩენიანი. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1943. - 16 გვ.: ილ.; 17 სმ.;
- გულის ხმა: [ლექსები]. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1944 (ადგილმრეწველკომისარიატის სტ.-ლითოგრაფ.). - 81, [3] გვ.; 14 სმ.;
- პანანინა ლუიზა: [ლექსი / მხატვ. მ. ჩარგეიშვილი]. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1944. - 16 გვ.: ილ.; 11 სმ.;
- ჩვენი ყვავილები: [საბავშვო ლექსები]. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1945 (აჭარის ადგილმრეწველკომისარიატის სტ.-ლითოგრაფ.). - 31 გვ.: 21 სმ.;
- დაბადებულან გმირები: ლექსები. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1947. - 107 გვ.; 13 სმ.;
- ასმათ ჯიჯავაძე: ნარკვევი. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1950 (აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველ სამინისტროს ქ. ბათუმის სამრეწველო კომბინატის სტ.-ლით.). - 40 გვ.: ილ.; 20 სმ.;
- რჩეული ლექსები. - ბათუმი: აჭარის სახელგამი, 1951 (საქპოლიგრაფგამომც. სამმართვე. ქ. ბათუმის სტ.-ლით.). - 128 გვ.; 14 სმ.

გამოქვეყნებულია:

- ლაშქრული: [ლექსი] // საბჭოთა აჭარა. - 1938. - 23 თებერვალი. - №44. - გვ. 4;
- სტალინი ჩვენი დეპუტატია: [ლექსი] // საბჭოთა აჭარა. - 1938. - 24 აპრილი. - №94. - გვ. 1;
- ასი წლის კაცი: [ლექსი ა. ნერეთლისადმი] // ლიტერატურული საქართველო. - 1940. - 20 ივნისი. - №17; ლიტერატურული აჭარა. - ბათუმი, 1940. - №4. - გვ. 11-12;
- ახალწვეულის სახსოვარი: [ლექსი] // ლიტერატურული აჭარა. - ბათუმი, 1940. - №4. - გვ. 9-10;
- და საფლავში გაიხარე მინც! (ნ. ა. ნეკრასოვს): [ლექსი] // ლიტერატურული აჭარა. - ბათუმი, 1940. - №4. - გვ. 15;
- მფრინავი ქალის სიმღერა: [ლექსი] // ლიტერატურული აჭარა. - ბათუმი, 1940. - №4. - გვ. 10;
- სახლი პუშკინის ქუჩაზე: [ლექსი] // ლიტერატურული აჭარა. - ბათუმი, 1940. - №4. - გვ. 7-8;

8. სტალინი ჩვენი დეპუტატია: [ლექსი] // ლიტერატურული აჭარა. - ბათუმი, 1940. - №4. - გვ. 6-7;
9. ქარიანი ღამე. (ალექსანდრე სულაბერიძეს): [ლექსი] // ლიტერატურული აჭარა. - ბათუმი, 1940. - №4. - გვ. 13-14; საბჭოთა აჭარა. - 1940. - 20 ოქტომბერი. - №245;
10. ძახილი ქარხნებში შევიდა: პოემიდან „გულიზარ“ // საბჭოთა აჭარა. - 1940. - 21 თებერვალი. - №42;
„ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან მძვინვარედ მქროლმან დადაუნყნარმან ჩემნი მთიებნი ჰყო გარის გარმან...“
აგრეთვე:

„იგრგვინვა ცამან ჩვენზედა რისხვითა საშინელითა, დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა, წარჰხდეს წალკოტნი მალაღნი, ჭი საცდურიტა ძნელიტა, ვაი დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ საცინელიტა ან განწირული უწყალოდ ვიწვი ცეცხლიტა არა ნელიტა“–ო.

მარიამის ლექსები დავით რექტორმა თავის ანთოლოგიაში შეიტანა. ნაწილი დაიბეჭდა გაზ. „ბახტრიონში“ (1922, № 13), ია ეკალაძის „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგიაში“ (ტფ., 1928, ნიგ. II); ყველა – ხუთივე ლექსი გამოაქვეყნა ლევან ასათიანმა თავის გამოკვლევაში: „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“ (ტფ., 1936).

გამოქვეყნებულია:

1. თქმული მეფის ირაკლის ასულის მარიამ - ქალაქის მოურავის დავით ციციშვილის მეუღლისაგან - მეფის ძის ალექსანდრეს დაწინდულის ნინოს სიკვდილზე: [ლექსი. რედაქციისა და ბარბაღე ქობულაშვილის შენიშვნებით] // დროება. - 1869. - 29 ნოემბერი. - № 48. - გვ. 4;
2. ყაბარდოს იყო იგი მზე: ლექსი ნათქვამი მარიამ ბატონიშვილის მიერ // თეატრი. - 1886. - №31. - გვ. 348-349. - სქოლიოში ნინო ორბელიანის განმარტება;
3. ლექსები // ბახტრიონი. - 1922. - № 13. - გვ.: 2, 5.

მის შესახებ:

1. აფხაიძე, შალვა. ქართველი პოეტი ქალები // ბახტრიონი. - 1922. - № 13. - გვ. 2;
2. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია / რედ.: ია ეკალაძე. - ტ. 2: XVI-XVIII საუკუნეები [ალორძინების პერიოდი] / წინასიტყვ. ავტ. ალ. ბარამიძე; გამოც. ხელმძღვ. შილაკაძე ანდრო. - ტფ., 1928 (ზარია ვოსტოკას სტ.). - XVI, 304 გვ.: სურ.: 27 სმ. - დანართი: მოკლე ბიოგრაფიული ცნობები;
3. ასათიანი, ლევან. ძველი საქართველოს პოეტი ქალები / [პ/მგ. რედ. გ. თავიშვილი]; გარეკანი, ყდა, ტიტული და თავბოლოხატულობა ლ. გუდიაშვილის. - ტფ.: სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილ. გა-მა, 1936 (ცეკავშირის სტ.). - 284 გვ.: [4] გვ., სურ. in recto, [2] გვ..

წყარო: არ არის მითითებული.

მარი, ალექსანდრა ალექსი შუკოვსკის ასული (1860 – 1941, I) – მეცნიერი მუშაკი, – მეუღლე და მეცნიერული თანამოღვაწე აკად. ნ. ი. მარის, დედა პროფესორ იური მარის, და (ცნობილი ირანისტი – ვალენტინ შუკოვსკის, მედიცინის დოქტორის – ივანე შუკოვსკის და აკად. ვ. ვ. ბარტოლდის მეუღლისა, ღრმად განათლებული, ევროპული ენების მცოდნე, ამავე დროს, უბრალო და სათნო (რომელსაც ერთ წელიწადში გარდაეცვალა მეუღლე,

შვილი და ძმა). გარდაიცვალა 1941 წლის იანვარს, ლენინგრადში.

მთელი თავისი მრავალმხრივი ცოდნით ეხმარებოდა მეუღლეს სამწერლო-სამეცნიერო მუშაობაში, რითაც საკმაო წვლილი შეიტანა ქართულ-სომხური კულტურის საქმეში. უშუალო მონაწილე იყო ქ. ანის გათხრებისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ექსპედიციის; დასთან – მარიამთან ერთად, შეადგინა თავისი ქმრის ნ. მარის, აკად. ვ. ბარტოლდის და სხვათა შრომების მრავალმხრივი „საძიებლები“, მათი მრავალტომეულ გამოცემათა მასალები სისტემაში მოიყვანა (რითაც მეცნიერ-მკვლევართ შრომა გაუადვილა), ეხმარებოდა ნ. მარის სალექსიკონო მუშაობაში: ა) სათანადო ფურცლებზე გადიტანა დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ აუარებელი მასალა; ბ) შევლოდა აფხაზურ-რუსული ლექსიკონის“ შედგენაში; გ) აფხაზური ენისა და აფხაზეთის ისტორიის შესახებ ნ. მარის მიერ დაწერილი 25 შრომის ერთ ტომად გამოცემას დიდი ამაგი დასდო; დ) ნ. მ. მართან ერთად მოიარა აფხაზეთის სხვადასხვა რაიონი, აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზი მეცნიერ-მუშაკების აღზრდასა და აფხაზეთის სამეცნიერო კერათა შექმნაში; ვ) მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქმრისა და შვილის ნაშრომთა გამოცემაში და სხვ.

წყარო:

1. Миханкова, В. А. Николай Яковлевич Марр: Очерк его жизни и научной деятельности / В. А. Миханкова. - М.; Л.: ОГИЗ, 1935 (2-я тип. «Печатный Двор»). - 360с.; 20см.. - (Известия ГАИМК, вып. 154). - Паралел. тит. л. на фр. яз.. - Библиогр. в подстроч. примеч.;
2. მეგრელიძე, ი. - ა) К биографии Н. Я. Марра // Проблемы ГАИМК. - Л., 1935. - № 2-3. - ტაბულა № 2; ბ) ნეკროლოგი. ალექსანდრა ალექსის ასული // საბჭოთა აფხაზეთი. - 1941. - 10 იანვარი. - № 8; სტალინელი. - გორი, 1941. - 12 იანვარი. - № 6.

მარი, იაკობ პატრიკის ძე (- 1874, 25/ III) – აგრონომი, – ჩაის თესლის, ინდიგოს და ციტრუსოვან მცენარეთა ჯიშების პირველი შემომტანი საქართველოში, ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი და „ფერმის ბაღის“ გამშენებელი, – შოტლანდიელი იყო, ინგლისელი შეძლებული კაცის უმცროსი შვილი. ინგლისში არსებული სამემკვიდრეო წესით (მაიორატის სისტემით), როგორც უმცროსმა შეიღმა, მამისაგან კუთვნილი მემკვიდრეობის წილი ფულად მიიღო და საქართველოსკენ გამოსწია ბედის საძიებლად, რადგან იმ ხანებში, რუსეთის მეფის ალექსანდრე I-ის მიერ 1821 წლის ნოემბრის 15 გამოცემული კანონით, საქართველოში ყველა მოვაჭრე რუსსა და უცხოელს პირველი გილდიის ვაჭრის უფლება ენიჭებოდა, ყოველგვარი გადასახადისაგან 10 წლით თავისუფლდებოდა და სხვა შეღავათი ეძლეოდა. იაკობი თავისი ცოლ-შვილით (მეუღლე – ესპანელი ქალი ფაგუნ-

და, ასული – ფაგრი და ვაჟი – ივანე) 1822 წელს თბილისს ჩამოვიდა, მაგრამ ვერაფერი იხიერა, ცალობით ვაჭრობის უფლება კი არ მისცეს. ამიტომ გურიის თავისუფალ სამთავროს მიმართა (ეს სამთავრო რუსეთმა მხოლოდ 1828 წელს დაიპყრო). იაკობი განათლებით აგრონომი იყო, იფიქრა – ისევე ჩემს ხელობას დავუბრუნდებო და გურიის მთავარს – მამია გურიელს სთხოვა, თქვენს სამთავროში ცხოვრების ნება მომეცითო. მამია გურიელს ძლიერ ესიამოვნა განათლებული მინათ-მოქმედის ნახვა და შესთავაზა მინა ყმებითურთ. იაკობმა მიუგო: აგეთი საჩუქარი არ მინდა, – „მე კაცის კაცზე ბატონობას უსამართლობად ვთვლი, ხოლო მინაში სასყიდელს მოგცემთ და დაქირავებული გლახებით დავამუშავებო“.

მამია გურიელის ნებართვით, იაკობ მარი აღმოსავლეთ გურიაში, სოფ. ბუკისციხეში დასახლდა, მდ. სუფსის ნაპირზე გააშენა მშვენიერი ბაღი, გურიელს ოზურგეთში გაუშენა ასეთივე ბაღი, 1842 წელს მდ. რიონის ნაპირზე დააარსა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და შექმნა იშვიათი მცენარეულობით შემკული „ფერმის ბაღი“.

პირველმა მოიტანა საქართველოში ჩაის თესლი, ინდიგო და ციტრუსოვან მცენარეთა ჯიშები (რომლებმაც შემდეგში დასავლეთი საქართველო ციტრუსების ბაღად გადააქციეს. ნაყოფი საკავშირო ბაზარზე გავიდა). სპარსეთიდან შემოიტანა ბამბის თესლი, იტალიიდან – იტალიური აბრეშუმის ჭიის თესლი, ყირიმიდან – ვაზის ჯიშები. მთავარმართებელს სთხოვა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი გამოეწეო და სხვ.

ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი აგრონომი, მცხოვრებთა შორის ძვირფას და სასარგებლო სამეურნეო ჯიშების გამავრცელებელი.

საქვეყნო მუშაკობაში მამას არც ასული – ფაბრი ჩამორჩა. მისი ვაჟის, ივანეს, ჩამომავლები არიან ბუკისციხეში მცხოვრები მარები.

ხანში შესულ იაკობ მარს გარდაეცვალა მეუღლე ფაგუნდა, რომლის შემდეგ შეართვეკინეს ახალგაზრდა, 15 წლის გურული ქალი, მალულარიას ასული, ობლად აღზრდილი ბებია შარაშიძისას, რის გამო, შარაშიძის ქალად იხსენიება, სახელად ალათი. ამ ალათისაგან შეეძინა ქალი, რომელიც ბავშვობაშივე გარდაეცვალა, და ვაჟი – ნიკო, შემდეგში ცნობილი დიდი მეცნიერი.

წყარო:

1. [გურიელი, აღ.]. ნეკროლოგი // დროება. - 1874. - 3 მაისი. - №421. - გვ. 2. - ავტორის შესახებ იხ. ჟ. „დროება“ №434, გვ. 1;
2. მარის გვარეულობის ორი გენეალოგიური ტაბულა და საარქივო მასალები // Проблемы ГАИМК. - Л., 1935. - № 2-3;
3. მეგრელიძე, ი. ბ. - ა) К биографии Н. Я. Марра // Проблемы ГАИМК. - Л., 1935. - № 2-3. - Стр. 131-134; ბ) აკადემიკოს ნიკო მარის ცხოვრება-მოღვაწეობა და მისი წინაპრები // სტალინელი. - გორი, 1940. - 11 დეკემბერი. - № 156; გ) ნ. მარი და აფხ-

მარი, იური ნიკოლოზის ძე (1893, 6/19/ – 1935, 1/XI) – ირანისტი, პოლიგლოტი და მგოსანი, – ირანის ლიტერატურისა და სიტყვიერების დოქტორი, ორდენოსანი პროფესორი, – საბჭოთა მოწინავე ირანისტი-მეცნიერი, – შვილი აკად. ნიკო მარის, დისწული ცნობილი ორიენტალისტის, პროფ. ვ. ა. ჟუკოვსკისა და აკად. ვ. ვ. ბარტოლდის მეუღლისა (დედამისი იყო ალექსი ჟუკოვსკის ასული). დაიბადა პეტროგრადში, 1893 წლის იანვრის 6. ბავშვობიდან დიდი ყურადღებით ზრდიდნენ მეცნიერი მშობლები; ბრწყინვალედ დაამთავრა პეტერბურგის გიმნაზია (1913), იქვე, წარჩინებით – უნივერსიტეტი (1917) აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე არაბულ-სპარსულ-თურქულ-თათრული სიტყვიერების განხრით; აგრეთვე, სწავლობდა ქართულ-სომხურ ფილოლოგიასა და ენებს. უმთავრესად, მუშაობდა ირანის მწერლობის ისტორიისა და ენების დარგში, განსაკუთრებით, ყურადღებას აქცევდა ირანისა და საქართველოს სამწერლო ურთიერთობას.

გარდაიცვალა 1935 წლის დეკემბრის 1 აბასთუმანში, ტუბერკულოზით. დაიკრძალა თბილისში, ვერის ახალ სასაფლაოზე.

ი. მარი სხვა ქვეყნების გაცნობას, ზოგადი ცოდნის შეძენას და უცხო ენების შესწავლას გიმნაზიაშივე შეუდგა. 1911 წელს, თავის ბიძასთან (დეიდის ქმართან, აკად. ვ. ვ. ბარტოლდთან) ერთად იმოგზაურა გერმანიას, საფრანგეთსა და ამერიკაში, სადაც გაეცნო ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებს, უმთავრესად – აღმოსავლეთმცოდნეობის მხრივ. 1913 წელს კონსტანტინეპოლში სწავლობდა თურქულ ენასა და მატერიალური კულტურის ძეგლთ ეცნობოდა. 1914 წელს, სტუდენტობის დროს, მივლინებულ იქნა სირიას, ბერძენთა და დამასკოს – არაბული ენის შესასწავლად, 1916 წელს – ფინეთს; მონაწილეობდა მამის ზოგიერთ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ქ. ანსა და სხვ., მოიარა ჩრდილო და სამხრეთ კავკასია, საქართველოს ყოველი კუთხე, ერთხანს, მამის სოფელში – ბუკისციხეში იყო, 1919 წელს ჩოხატაურში (გურია) გერმანულ ენას ასწავლიდა. 1919-1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა, იმავე დროს – საქართველო-კავკასია-რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს მთარგმნელად, 1922-1923 წლებში – ლენინგრადში, მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად და ცოცხალ ენათა ინსტიტუტში ლექტორად იყო, 1923-1925 წლებში – დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურათა და ენათა შედარებითი ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, 1925-1926 წლებში ირანში მეცადინეობდა, ირანული ენების – ტაჯიკურ და სხვ. კილოკავებს სწავლობდა, 1928-1935 წლებში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ (ამჟამად აკად. ნ. ი. მარის სახელობის კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლე-

ით) ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში – უფროს სწავლულ სპეციალისტად იყო, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ლექტორად.

განსაკუთრებით, ცნობილი იყო, როგორც ირანული ლიტერატურული საკითხების მცოდნე, პოეზიის შემგრძნობი, დიდი მცოდნე და მრავალმოენე: რუსული, სპარსული, ფრანგული და ინგლისური ენები იმდენად კარგად იცოდა, რომ ხშირად ამ ენებზე ლექსებს ექსპრომტად წარმოსთქვამდა ხოლმე; სარგებლობდა, აგრეთვე, ქართული, გერმანული, სომხური, იტალიური, უკრაინული, თურქული, არაბული, ლათინური, ბერძნული, სანსკრიტული და სხვ. ენებით, რომელთაგან ზოგზე თავისუფლად მუსაიფობდა და მეცნიერულ შრომებსაც წერდა. სამშობლო ენად ქართულსა და რუსულს თვლიდა. წერდა რუსულ, ქართულ და სპარსულ ენებზე. ლექსებსა და პოემებს თხზავდა რუსულსა და სპარსულ ენებზე, – განსაკუთრებული სპარსული მღერითი კილოთი კითხულობდა სპარსულ ლექსებს. სხვადასხვა ენაზე ზეპირად იცოდა მრავალი ლექსი (უცხო ენათა შესწავლის მსურველთ ურჩევდა – ლექსები გაიზეპირეთ, რომ სიტყვის მარაგი დაგიგროვდეთ).

სამწერლო-სამეცნიერო კვლევით დარგში უმთავრესად ირანის პოეტების – (X-XI სს.), ნიზამისა და ხაკანის (XII ს.) პოეზიის შესწავლაზე მუშაობდა, აგრეთვე, მისი კვლევის საგანი იყო ირანისა და საქართველოს სამწერლო-კულტურული ურთიერთობა, ლექსიკოგრაფია და სხვ.

პირველი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა 1924 წელს (მაგალითად: „Газель Низами в рукописи Азиатского Музея“, „О двух персидских версиях поэмы Лейла и Маджнун“, „Газели и рубай, приведенные в Хафт иклим“, „Касыда Низами в рукописи Азиатского музея“).

1926 წელს, ი. მარმა, კ. დ. დონდუასთან ერთად, ლენინგრადში ცალკე ნიგნად გამოსცა „სპარსულ-ქართული ცდან“ („Etudes persanes-georgiennes“, Tome I, Изд. Наркомпроса ССР Грузии, П., 1926)“, რომელშიაც მოათავსა საკუთარი შრომა „ულურ-ბეგის ზიჯის ვახტანგისეული თარგმანი სპარსულ-ქართული ლექსიკონით“; 1929 წელს დასაბეჭდად გადასცა „Отрывок из Низами, касающийся Кавказа“ („ნაწყვეტი ნიზამიდან კავკასიის შესახებ“). 1930 წელს, კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ-სპარსულ კომისიაში მოხსენება გააკეთა ფარსადან გორგიჯანიძის ლექსიკონის გამოცემის შესახებ, პირველმა შეადგინა სპარსული და არაბული იაფეტიდოლოგიური ანალიტიკური ალფაბეტი – „Персидский аналитический алфавит“ („Известия“ АН, 1931, стр. 755-758), Проект арабского аналитического алфавита, შემოუშვა ირანულ ენათა ლათინიზებული ალფაბეტი.

1933 წელს წაიკითხა „საქართველოს მუზეუმშიდან შვიდი სპარსული დოკუმენტის კომენტირებული თარგმანი“. შეადგინა „Документальный персидско-русский словарь“, вып. I, изд. Инс. Кавка-

зоведения грузинского филиала АН, Тифлис, 1934 (დასაბეჭდად მომზადებული გამოუცემელი დარჩა II ნაკვ.).

მისი ხელმძღვანელობით და ახლო მონაწილეობით, ვ. ს. ფუტურიძემ შეადგინა სპარსული ენის დაწყებითი ქრესტომათია (В. С. Путиридзе. Начальная хрестоматия персидского языка, под ред. Ю. Н. Марра, М.-Л., 1935), რომელშიაც სპარსულ-ქართულ-რუსული ლექსიკონი შეტანილია ანალიტიკურ წერილობით.

განსაკუთრებით, აღსანიშნავია მისი შრომა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის“ (აკად. ნ. ი. მარის 45 წლ. სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კრებული „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოც., 1934, გვ. 185-192), იკვლევდა რუსთაველის პოემის მეტრიკას, შეადგინა გეგმა ნიზამის, ხაკანისა და რუსთაველის ეპოქის შესწავლისათვის კოლექტიური მუშაობისა და სხვ. (ამ შრომათა ნაკვეთი თბილისში გამოვიდა მისი სიკვდილის დღეს).

1934 წელს მონაწილეობა მიიღო ირანის დედაქალაქ თეირანში ფირდოუსის დაბადების 1000 წლისთავის აღსანიშნავად მოწვეულ საერთაშორისო კონგრესზე, როგორც საბჭოთა კავშირის დელეგატმა. აქ, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სახელმწიფო ერმიტაჟის დელეგაციის სახელით, სპარსულ ენაზე მისასაღებელი სიტყვით და მოხსენებით „შაჰნამეს ლექსის ზომა“ გამოვიდა, რომლებიც თეირანის გაზეთებშიც დაიბეჭდა. მთელი კონგრესი აღტაცებაში მოიყვანა, აგრეთვე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თეირანის საზოგადოებრიობასა და ირანის მთავრობაზე თავისი სიტყვის შინაარსითა და ლამაზი სპარსული გამოთქმის უნარით. აქვე გააცნო „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილის საკუთარი პროზით თარგმანი. აგრეთვე, სპარსულად დაწერილი თავისი ორიგინალური ლექსები, რომლებიც მოხიბლა ირანის მწერალთა საზოგადოებრიობა. ირანის ხელოვნების და არქეოლოგიის III კონგრესზე ლენინგრადში, 1935 წელს, ი. მარი ყოველთ უპირველესად მიიწვიეს, სადაც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო, მაგრამ კონგრესმა მაინც სიამაყით მოიგონა მისი ბრწყინვალე გამოსვლა თეირანის კონგრესზე 1934 წელს და ირანისტიკის დარგში სამეცნიერო დამსახურებისათვის, ირანის მთავრობის მადლობასთან ერთად, ჯილდოც (პირველი ხარისხის ორდენი) მიართვა, ხოლო საბჭოთა სამეცნიერო აკადემიამ, დისერტაციის დაუცველად, განუღებ შრომათა მიხედვით, ირანის ლიტერატურისა და სიტყვიერების დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

ი. მარის ნაშრომთა სია (Список работ Ю. Н. Марра) შეადგინა ი. მეგრელიძემ (Ю. Н. Марр. Статьи, сообщения и резюме докладов, Т. I, М.-Л., АН СССР, стр. XVII-XXI). სულ შეადგენს 114 ერთეულს, ამათგან გამოქვეყნებულია 83, დანარჩენი – დასაბეჭდად მომზადებული. ზემორე მოხსენებულ ნაშრომთა გარდა, აღსანიშნავია:

1. Кое-что о Пәһләван кәчәле и других видах народного театра в Персии [Текст] / [Соч.] Ю. Н. Марра. - Ленинград: Акад. наук СССР, [19--]. - 14 с., 1 л. ил. - Иран, II. С. 75-88;
2. Персидский петрушка // Театр народов Востока [Текст]: путеводитель по выставке устроенной в большом конференц-зале Академии 26 марта - 9 апреля 1927 г. / Академия наук СССР; сост. В. М. Алексеев и [и др.]. - Ленинград: Изд-во Академии наук СССР, 1929. - Стр. 15-17;
3. ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობიდან // მნათობი. - 1934. - № 9. - გვ. 144-148;
4. Фердовси // Заря Востока. - 1934. - 16 мая. - № 116;
5. Фердовси и мировая поэзия // Литературная газета. - 1934. - 20 сექტემბერი. - № 127. - [შეცდომით მიწერილი აქვს: Н. Марр];
6. Rawābit wa 'ala' iki-Gurjistān wa Irān (ქართულ-სპარსთა ლიტერატურული კავშირი) // მებრ: ჟურნალი. - თეირანი, 1934. - 22 დეკემბერი. - № 7. - გვ. 732-736;
7. Sahname va Firdovsi haqqında əski və yeni məlumat [თურქულ ენაზე] // Jnqilab ve medənijiat: ჟურნალი. - 1934. - სექტემბერი-ოქტომბერი. - № 9-10 (=116-117). - გვ. 19-26;
8. ნიზამის ახალი გამოცემა // ლიტერატურული გაზეთი. - 1935. - 20 თებერვალი. - № 8. - გვ. 2.

ცალკე გამოცემულია:

1. Сборник трактатов о стрельбе из лука: (Представлено акад. С. Ф. Ольденбургом в ОИФ 2 III 1925) / Ю. Н. Марр. - Б. м.: Б. и. - Отт. из: „Доклады Рос. акад. наук 1925“. Стр. 35-38;
2. Автобиография Мирзы Мохаммеда Кермани и его работа о поверьях и обычаях, связанных с „Красной средой“ [Текст] / [Соч.] Ю. Н. Марра. - [Ленинград]: [б. и.], 1927. - [12] с.;
3. Образец бахтиярской литературы [Текст] / Ю. Н. Марр. - [Ленинград]: [б. и.], 1927. - [4] с.;
4. Отрывок из „книги о голоде“ мирзы Мопсена Дәстгерди [Текст] / [Соч.] Ю. Н. Марра. - [Ленинград]: [б. и.], [1928]. - 14 с.;
5. Документированный персидско-русский словарь / Ю. Н. Марр; Ред. Н. Я. Марр. - Вып. 1: От [алефа] до [бе]. - Тифлис: Закавказ. фил. АН СССР, 1934. - 15, 144 с.;
6. Статьи, сообщения и резюме докладов [Текст] / Ю. Н. Марр; Акад. наук СССР. Груз. филиал. Науч.-иссл. ин-т кавказоведения им. акад. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936-1939 (Л.: тип. Акад. наук СССР). - Т. 1 [Текст]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936. - Стр. 1-104; Т. 2 [Текст]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1939. - Стр. 1-314;
7. Заметки о турецком языке окрестностей Абастумани [Текст] / Н. Я. Марр и Ю. Н. Марр; Академия наук СССР. Институт языка и мышления им. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1937 (Ленинград: тип. Акад. наук СССР). - Обл., 31 с.;

8. Пособие для авторов и наборщиков восточных шрифтов [Текст] / Ю. Н. Марр, И. В. Мегрелидзе; Ин-т языка и мышления им. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1938 (Л.: Тип. Акад. наук СССР). - 32 с.: ил.;
9. Кое-что о Пәһләван кәчәле и других видах народного театра в Персии [Текст] / [Соч.] Ю. Н. Марра. - Ленинград: Акад. наук СССР, [19--]. - 14 с., 1 л. ил. - Иран, II. С. 75-88.

მისი წინასიტყვაობით და რედაქციით გამოცემა:

1. *Хакани. Незами. Руставели [Текст]: [Статьи и заметки] / [Предисл.: Юрий Марр]; Акад. наук СССР. Науч.-иссл. ин-т кавказоведения им. акад. Н. Я. Марра. - Т. 1 [Текст]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1935 (Л.: тип. Акад. наук СССР). - Обл., 52 с.;*
2. Нахичеванские рукописные документы XVII-XIX вв. / С предисл. К.С.; Пер. и коммент. К.Н. Смирнова и Дж. Гарибова; Под ред. Ю.Н. Марра. - Тифлис: Груз. фил. Академии наук СССР, 1936 (Тип. „Заря Востока“). - 143 с.; 22 см.. - (Передняя Азия в документах / АН СССР, Грузинский филиал, Ин-т языка, истории и материальной культуры; Кн. I. Серия памяти Ю.Н. Марра).

გამოქვეყნებულია:

1. *Современные средства передвижения в изображении персидских поэтов // Записки Коллегии Востоковедов при Азиатском Музее АН СССР. - Том V. - Л.: Издательство Академии Наук СССР, 1930. - С. 221-234;*
2. *Выражение фонетики стиха в персидском письме // ИАН, СССР. - 1934. - № 2. - [то же в сокращенном виде в кн. “С. Ф. Ольденбург...”, стр. 232-335].*

მის შესახებ:

1. გორგაძე, ს. ნ. მარრი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა // სახალხო გაზეთი. - 1910. - 21 დეკემბერი. - № 189;
2. გარდაიცვალა პროფესორი იური ნიკოლოზის ძე მარი: ბიბლიოგრაფიული ცნობები // კომუნისტი. - 1935. - 3 დეკემბერი. - №281. - გვ. 4;
3. ტაბიძე, ტ. იური მარი: [მისი გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1935. - 5 დეკემბერი. - №281. - გვ. 4;
4. Мегрелидзе, И. В. Юрий Николаевич Марр: [Его жизнь и деятельность] // Марр, Ю. Н. Статьи, сообщения и резюме докладов [Текст] / Ю. Н. Марр; Акад. наук СССР. Груз. филиал. Науч.-иссл. ин-т кавказоведения им. акад. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936-1939 (Л.: тип. Акад. наук СССР). - Т. 1 [Текст]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936. - Стр.: V-XVI, XVII-XXI. - [ითარგმნა ინგლისურადაც].

წყარო:

1. გარდაიცვალა პროფესორი იური ნიკოლოზის ძე მარი: ბიბლიოგრაფიული ცნობები // კომუნისტი. - 1935. - 3 დეკემბერი. - №281. - გვ. 4;

2. Мегрелидзе, И. В. - а) К биографии Н. Я. Марра // Проблемы ГАИМК. - 1935. - № 2-3. - Стр. 134, ტაბულა № 2; ბ) Звуковой состав цезского (дидойского) языка // Язык и мышление [Текст] = Le langage et la mentalité: [сборник статей] / Акад. наук СССР, Ин-т языка и мышления. - Кн. 6-7 / [ред. изд. И. И. Мещанинов]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936. - 345 с., [1] л. портр.: ил., табл.; г) Пособие для авторов и наборщиков восточных шрифтов [Текст] / Ю. Н. Марр, И. В. Мегрелидзе; Ин-т языка и мышления им. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1938 (Л.: Тип. Акад. наук СССР). - Стр. 5-7; д) Статьи, сообщения и резюме докладов [Текст] / Ю. Н. Марр; Акад. наук СССР. Груз. филиал. Науч.-иссл. ин-т кавказоведения им. акад. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936-1939 (Л.: тип. Акад. наук СССР). - Т. 2 [Текст]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1939. - Стр. 5-6;
3. Юрий Николаевич Марр // Тифлисский рабочий. - 1935. - 5 декабря. - № 278;
4. კობიძე, დ. იური მარი, ნეზამი განჯელის შესახებ // საბჭოთა ხელოვნება. - 1940. - № 1. - გვ. 60-63.

მარი, ნიკოლოზ [კაპო] იურის ძე (19.. -)

– ალპინისტი, – შვილიშვილი აკად. ნ. ი. მარის, შვილი იური ნიკ. მარისა. მუშაობდა საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში. ცნობილია, როგორც მთამსვლელი.

წყარო:

1. Мегрелидзе, И. В. К биографии Н. Я. Марра // Проблемы ГАИМК. - 1935. - № 2-3. - Стр. 134. - გენეალოგიური ტაბულა № 1.

მარი, ნიკოლოზ [ნიკო] იაკოვის ძე (1864,

25/XII – 1934, 20/XII) – ენათმეცნიერი, – ლინგვისტი, არქეოლოგი, ფილოლოგი, პოლიგლოტი, ისტორიკოსი, ეთნოლოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე და ორიენტალისტი, ენის შესახებ მატერიალისტური მოძღვრების ფუძემდებელი, იაფეტური თეორიის შემქმნელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესაძირკველეთაგანი, ქართველოლოგი, სომხური სიტყვიერების მაგისტრი და დოქტორი, რევოლუციონერი მეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული და საზოგადო მოღვაწე, ორდენოსანი აკადემიკოსი, – გურიიდან, – დაიბადა ქ. ქუთაისში, 1864 წლის დეკემბრის 25, გამოჩენილი სწავლული მეზარის იაკობ მარის ოჯახში (მამამისი იაკობი იყო შოტლანდიელი, დედა – გურული, – მალულარიას ასული ალათი, ობლად აღზრდილი ბებია შარაშიძისას, რის გამო შარაშიძედაც იხსენიება, რომელიც 15 წლისა მეორე ცოლად მიათხოვეს ნაქვრივალ მოხუც მარს). ბავშვობა ნ. მარმა გურულ ბავშვთა შორის გაატარა, რომლებთანაც თავის მიერ გამოგონილი სათამაშოებით ერთობოდა, ყოველდამ კი გლეხური

მდიდარი, ერთმანეთზე მობმული ზღაპრების მოსმენით ტკბებოდა. ხშირად ანცობდა კიდეც, რის გამოც მოხუცი მამა ეტყოდა ხოლმე: „შენი ხელიდან ხეირიანი არაფერი გამოვაო“, სამაგიეროდ, დედა დიდი წარმოდგენის იყო შვილზე – ჩემი ბიჭიკო ყველას მჯობიაო. თუმცა ნ. მარის დედ-მამას ერთმანეთის ენა არ ესმოდათ: მამა ლაპარაკობდა ინგლისურს, ფრანგულს, ძლიერ კოჭლად რუსულს, ხოლო დედას არცერთი არ ესმოდა, ერთმანეთს შეჭრელებული სიტყვებით ან ხელების მოძრაობით თუ აგებინებდნენ რასმეს, რამაც ბავშვის ენა-მეტყველებას ბეჭედი დაასვა, ნიკო მაინც თავის სამშობლო ენად ქართულს (გურულ კილოს) თვლიდა. 8 წლისას მამა გარდაეცვალა (1874). ობლად დარჩენილი ნიკო მეზობლებს დაღუპულად მიაჩნდათ: იმდენად უნიჭოა, მამის წიგნებსაც კი ვერ წაიკითხავსო. მიუხედავად ამ მითქმა-მოთქმისა, დედამ ნიკო ოზურგეთის სასწავლებელში შეიყვანა, რომლის დასრულების შემდეგ, თუმცა ცხოვრების სახსარი არ გააჩნდა, ნათესავებმაც დედიანად შინიდან დაითხოვეს, მაინც მამის დამსახურების გამო, ქუთაისის გიმნაზიაში მოეწყო პანსიონერად (სახელმწიფო ხარჯზე). მისაღები გამოცდების დროს, რუსულ წერით სამუშაოში ერთი სიტყვაც კი შეუცდომლად ვერ დაწერა, არც საღმრთო სჯულის გაეგებოდა რამე, დირექტორის დასტურით მაინც მიიღეს: ეგ ინგლისელია, არა უშავსო (ნ. მარი თავის თავს დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომად თვლიდა უნივერსიტეტის დასრულებამდე, მერე კი – საქართველოს შვილად). თუმცა გიმნაზიაში ცელქობდა, ბეჯითი სწავლით, გალობაში კარგი ხმით და ორკესტრში კლარნეტზე დაკვრით თავი ისახელა. უცხო ენების შესწავლისადმი მიდრეკილება ბავშვობიდანვე ჰქონდა: პირველ ხანად, რამდენადაც რუსულში მოისუსტებდა, იმდენად ლათინურის შესწავლით ისახელა თავი და ხშირად ამხანაგებსაც უწერდა ლათინურად საკლასო სამუშაოებს, უთარგმნიდა კიდეც. აქვე შეისწავლა ფრანგული, იტალიური, გერმანული, ინგლისური, ბეჯითი სწავლით კლასიდან კლასში გადადიოდა; ავადმყოფობით ნ თვე სწავლას მოცდა. სწორედ ამ დროს შემოიღეს ბერძნულის სწავლება. ამას დაემატა დედის სიღარიბე. ამიტომ ნ. მარმა განიზრახა ტელეგრაფისტად შესვლა, რომ დედას დახმარებოდა, მაგრამ დედამ თავი გამოიძო – უეჭველად უნდა ისწავლოო. დეკემბრის არდადეგების დროს გაყინულ, უჭერო ოთახში, ცეცხლის შუქზე ნ. მარი ბერძნულის შესწავლას დაეწყო და ისე მოემზადა, რომ გიმნაზიაში სწავლა განაგრძო, იმავე დროს, განვითარების მიზნით, წიგნების კითხვას შეუდგა (პირველად წაიკითხა ქართული ზღაპრების წიგნი, რუსულად „რობინზონ კრუზო“, რომელთაც ახალი მსოფლიო გადუშალეს, ფანტაზია გაუცხოველეს). ამავე ხანში დედა გაუთხოვდა, მარტო დარჩენილი ნ. მარი უფრო ჩაეფლო წიგნების კითხვაში. მე-2 კლასში დააარსა ხელნაწერი უფრნალი „ბედი“, რომელშიაც საკუთარ ლექსებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული შინაარსის წერილებს ათავსებდა. წერილთა შორის ჰქონდა „ბათუმის“ განმარტება, ლექსებში აკაკის „დღეს

მერცხალი შემოფრინდა“ პასუხი „მონოდეა“, რომელშიაც წერდა: ჭიკჭიკის მაგიერ მოქმედებაა საჭიროო. იყო დიდი შრომისმოყვარე, დაუცხრომელი და ბეჯითი, – თითქმის მოსვენება არ იცოდა: დღე-ღამეში მხოლოდ სამიოდე საათს თუ იძინებდა. გიმნაზიის უკანასკნელი გამოცდების დროს, რუსული ენის ჩაბარებისთვის დაწერა თხზულება თემაზე: „ადამიანის ცხოვრებაში შრომის მნიშვნელობა“, რომელშიაც ამბობდა: „შრომა ადამიანს თავის თავისადმი პატივისცემას შთააგონებს“; „ადამიანის ცხოვრებაში შრომის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ უიმისოდ თვით ცხოვრებაც ჰქრებაო“. ენების შესწავლით იმდენად იყო გატაცებული, რომ ბერძნულის უკეთ შესასწავლად მე-8 კლასში მეორე წელს დარჩა (თუმცა გიმნაზიის საუკეთესოდ დამთავრების ატესტატი მზად იყო), რის გამოც, მასწავლებლობამ ჭკუაზე შეშლილად ჩათვალა (რადგან იმ ხანად კლასიკური ენების სწავლებასა ძალით ნერგავდნენ, მისი სწავლა არავის ეხალისებოდა) და გიმნაზიიდან გარიცხა. ნ. მარმა მზრუნველის ჩარევით თავი აღიდგინა, გიმნაზია წარჩინებით (ოქროს მედლით) დაამთავრა (1884) და კავკასიის სტიპენდიით პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ერთსა და იმავე დროს სამი განხრით სწავლობდა: 1. კავკასიურს (ქართულ-სომხურს); 2. არაბულ-სპარსულს და 3. სემიტურს (არაბულ-ებრაულ-სირიულს). ზემოხსენებულთა გარდა, მეცადინეობდა სანკრიტულს, ძველ სპარსულსა და ფეხლევში. უნივერსიტეტის პირველი ხარისხით დამთავრებისთანავე (1890), იქვე დატოვეს პრივატ-დოცენტად. სადღილომ შრომად დაწერა „Историко-литературный обзор грузинских повестей, писанных в прозе в XI и XII веках“ და ქართულ ფილოლოგიაში ფიქრობდა მუშაობას, მაგრამ კათედრის გამგემ, პროფ. ალ. ცაგარელმა არ მიიღო, როგორც ლინგვისტურ-ლიტერატურული მრწამსით თავისი მოწინააღმდეგე და მამხილებელი, ხოლო სომხური ფილოლოგიის კათედრაზედაც სომხები გაუხდნენ წინააღმდეგნი: არასომეხს ჩვენს კათედრაზე რა ხელი აქვსო! ნ. მარი მაინც, პროფ. პატკანოვის დახმარებით, სომხურ კათედრასთან მოეწყო და თავისი შრომებით არათუ მხოლოდ შესანიშნავი, შეუცილებელი არმენისტი შეიქნა, არამედ დიდი ქართველოლოგიც, ყველაზე სანდო სპეციალისტი; ქართულ და სომხურ ლინგვისტიკასა და ფილოლოგიაში მუშაობით, აღმოსავლეთმცოდნეობით, არქეოლოგიური გათხრებით, საკუთარი მოძღვრების – იაფეტიდოლოგიის თეორიის შექმნით და სხვ. მსოფლიო მეცნიერის სახელი დაიმსახურა. ამავე დროს, იგი იყო საზოგადოებრივი დაუზარელი მუშაკი, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა შემქმნელი და ხელმძღვანელი. 1923 წელს, მეცნიერ მუშაკთა პირველ საკავშირო ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ; 1928 წელს მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელობის პრემია სამეცნიერო მუშაკობისათვის; 1929 წელს აირჩა საკავშირო ცკ-ის წევრობის კანდიდატად და კომკადემიის წევრად, სადაც დააარსა მატერიალის-

ტური ლინგვისტიკის სექცია; ამ წელსვე დააჯილდოეს ლენინის ორდენით და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებით; 1930 წელს აირჩიეს საკავშირო სამეცნიერო აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად და კომპარტიის წევრად, 1931 წელს – საკავშირო ცკ-ის წევრად, პრეზიდენტი იყო მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიისა, დირექტორი: ენისა და აზროვნების ინსტიტუტისა, ეროვნებათა მოსკოვის ინსტიტუტისა, კავკასიისმცოდნეობის თბილისის ინსტიტუტისა, თავმჯდომარე სსრკ სამეცნიერო აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალისა, პროფესორი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა, ავტორი 550-ზე მეტი მეცნიერული შრომისა და სხვ. შრომასა და აზროვნებაში იყო ჩაფლული ყველგან, ყოველთვის: მოგზაურობის დროს – გემზე, ცხენზე, ეტლში, აგარაკზე, მატარებელში, კრებაზე თუ სხვ., იცოდა 30 ენა, – მათ შორის, ქართული და კავკასიური ენები – სრული სისავსით.

მისი სამეცნიერო მუშაობის თანამოღვაწე იყო მეუღლე (ალექსანდრა მარი). მისი შვილი იყო ცნობილი ირანისტი (იური მარი), ხოლო ნახევარ-და მადამ ფაბრი – პედაგოგი.

გარდაიცვალა 1934 წლის დეკემბრის 20. დაიკრძალა ლენინგრადში, ალექსანდრე ნეველის ლავრის სასაფლაოზე.

ნ. მარის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი სახელი დაერქვა მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიას, კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტს, სკოლებს, ქუჩებს, კაბინეტებს, შეიქმნა მისი სახელობის სტიპენდიები და სხვ.

პედაგოგიურ და პრაქტიკულ სამეცნიერო მუშაობას უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შეუდგა: 1890 წლის ზაფხულში ეჩმიაძინსა და სევანში ირკვევდა მატერიალური კულტურის ძეგლებს; 1891 წლიდან დაიწყო ლექციების კითხვა სომხური ლიტერატურიდან; 1892 წელს ქ. ანის გათხრებს დაუდო საფუძველი (რომლის დასრულებამ 1913 წელს შესანიშნავი არქეოლოგის სახელი დაუმკვიდრა, ჯილდოდ ოქროს მედალი მოაპოვებინა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის მხრით. ამასთანავე, მით მარქსისტული არქეოლოგიის გამომუშავებას ჩაუყარა საძირკველი); 1894 წელს სამეცნიერო მივლინებით იყო დასავლეთ ევროპაში აღმოსავლური ფილოლოგიის საფუძვლიანად გასაცნობად: სტრასბურგში მოისმინა მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერთა ლექცია-სემესტრები: სირიული, მანდეური, სპარსული – ფირდოუსის ენა (თ. ნოლდეკესგან), ძველი სპარსული და ბერძნულის შედარებითი გრამატიკა (გუბმანისაგან), ძველი ფილოსოფია (ვ. ვინდელზანდისაგან) და იმავე წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველთმეტყველების კურსის კითხვა დაიწყო; 1896 წლის ზაფხულში ვენას, რომს, ვენეციასა და ინსბურგში სხვადასხვა ხელნაწერსა და ლიტერატურულ ძეგლებზე (საშუალო საუკუნეთა არაკებსა და ზღაპრებზე) მუშაობდა; 1898 წელს ათონის მთაზე დაამუშავა ქართული ბიბლიური და ჰაგიოგრაფიული ტექსტე-

ბი; დაწერა სადისერტაციო შრომა („Сборник притч Вардана. Материалы для истории средневековой армянской литературы“. Часть I. Исследование. СПб., 1899, XLI, [3], 594с.; Ч. II и III. Приложение. Описание 10 эчмиадзинских рукописей с указанием, арабский и дополнительные армянские тексты, армянский текст с переводом армянской сказки „Лиса и волк в западне“. СПб., 1894, XVI, 344 с. и X, 202 с.), რისთვისაც 1899 წელს მიენიჭა სომხური სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი. ამავე წლის ზაფხულში იმუშავა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერებზე და ნაიკითხა ქართულ-სემიტური შედარებითი გრამატიკის კურსი; 1900 წელს დაინიშნა ექსტრა-ორდინარულ პროფესორად ქართული და სომხური სიტყვიერების კათედრაზე. 1901 წელს სომხური სიტყვიერების დოქტორის ხარისხი ებოძა სომხური ქრისტიანული ლიტერატურული ძეგლისათვის (რომელიც დაკარგულად იყო მიჩნეული და ნ. მარმა აღადგინა ქართულიდან თარგმანის მიხედვით). 1902 წელს სინას მთაზე დაწვრილებით აღწერა ქართული ხელნაწერები, არაბულ-ქართულ და სირიულ-ქრისტიანულ ხელნაწერებში აღმოაჩინა წმ. გრიგოლის მისიონერული მოღვაწეობის ქალკიდონური ვერსია არაბულ ენაზე; იერუსალიმში – მანამდე დაკარგულად მიჩნეული ქართული ჰაგიოგრაფიული ხელნაწერი გიორგი მერჩულისა „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელისა“, ქართული კლასიკური მეტყველებისათვის ისეთივე დიდმნიშვნელოვანი, როგორც „გვეფხისტყაოსანი“. 1909 წელს აირჩიეს სამეცნიერო აკადემიის ადიუნტად, 1911 წელს გარნისში გათხარა რომაული სტილის წარმართული ტაძარი, გელამის მთებში აღმოაჩინა მატერიალური კულტურის ძეგლები, სვანებში აუარებელი მასალა დააგროვა, ლინგვისტური მიზნით მოიარა თურქეთის ჭანეთი (ლაზისტანი) და ჭანური ენის შესანიშნავი გრამატიკა გამოსცა; ამავე დროს, დაინიშნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანად. 1912 წელს აირჩიეს აკადემიის ნამდვილ წევრად, 1914 წლიდან ამოიკითხა ახემენიდთა ლურსმნული წარწერები, მსოფლიო ომის დროს ეტრუსკული და ბასკური (ესპანეთი) შეისწავლა და ბასკურ-ქართულს შორის თვალსაჩინო პარალელები აღმოაჩინა, სწავლობდა აგრეთვე ბერბერულს (ჩრდ. აფრიკა), ჩუვაშურსა და ჩინურსაც. 1920-1921 წლებში აკადემიაში დაარსდა მისი თეორიის საკვლევ-საძიებო ინსტიტუტი-ლაბორატორია (რომელიც 1931 წლამდე „იაფეტური ინსტიტუტის“ სახელით იყო ცნობილი, შემდეგ – „ენისა და აზროვნების ინსტიტუტად“). 1922 წელს გერმანიაში აღმოაჩინა სვანურის მაგვარი ენობრივი ფენა. ლინგვისტური ექსპედიციები მოაწყო კავშირის სხვადასხვა კუთხეში, სხვათა შორის – ჩუვაშეთში და ჩუვაშური ენა საკვლევ-საძიებო საგნად გახადა. 1926-1927 წლებში პარიზში ქართული ენის კურსს კითხულობდა, რაც იქვე დაბეჭდა სათაურით „La langue géorgienne“ – ქართული ენა (მ. ბრიერთან ერთად შესრულებული, პარიზი, 1931 წ., 858 გვ.); 1932 წელს „თურქეთის

პრეზიდენტმა მიიწვია თურქეთში ლინგვისტურ და ისტორიულ მეცნიერულ დაწესებულებათა მოსაწვევად და იაფეტიდოლოგიაში საკონსულტაციოდ, აქედან საბერძნეთს გაემგზავრა ზოგიერთი კამპანიის სანარმოებლად და სხვ.

საენათმეცნიერო-კვლევითი სამწერლო მუშაობა ქართველოლოგიაში ნ. მარმა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში, მე-2 კურსზე სტუდენტობის დროს, 1886 წელს დაიწყო, როცა ორიენტალისტების მეშვეობით კრებაზე ვენაში, თითქმის ყველა ჩამორჩენილი ხალხის ან მკვდარი ენის შესახებაც კი რაღაც იტყვა, ხოლო „ქართული ენის, ან მწერლობის და ან ისტორიის შესახებ არაფერი“, „ქართულის ენის შედგენილობაზე გამოკვლევა“ არ ჩანდა („ივერია“, 1888, № 62), ენათმეცნიერებაში კი ქართული ენის შესახებ ყალბი შეხედულება იყო გაბატონებული. ნ. მარმა ქართული ენისა და ბუნების კვალი, რომ „ჩვენს ენას დიდი მზგავსება აქვს სემიტური ენებისა“, ამ აზრის გამჟღავნებას იმ დროს უარყოფით შეხვდნენ, თვით ცნობილმა ორიენტალისტმა არაბისტმა ვ. როზენმა გააფრთხილა – შრომა უქმად ჩაგივლის, არაფერი გამოგივა: „ეს რომ სწორი იყოს, აქამდე არ დაუცდიდნენ კავკასიიდან ვისიმე ჩამოსვლასო“. ნ. მარი ამან არ შეაკრთო, ბეჯითად შეუდგა ებრაულისა და სირიულის შესწავლას და გამოაქვეყნა პირველი წერილი „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“ („ივერია“, 1888, № 86), რომელშიაც უარყო ქართული ენის შესახებ პროფ. ალ. ცაგარლისა და სხვ. შეხედულება და გამოთქვა აზრი, რომ „ქართული ენა ნათესავია ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით სემიტურის ენათა ჯგუფისა“ და სხვ. ამის ძირითადი დებულებანი 20 წლის შემდეგ განასახიერა შრომაში „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“ („Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическим“. СПб., 1908, 16 стр., I-XX табл.). ამ ნაშრომს რუსული დიდმპრობელური იდეოლოგიის პროფესორები დაცინვით შეხვდნენ, ხოლო აკად. ვ. როზენმა, რომელიც 20 წლის წინ ამ აზრს აგრეთვე უნდობლად მოეპყრო, ახლა ნ. მარს უთხრა: „да, у вас все продумано и проработано, да, у вас все ясно и доказано!“-ო. 1888 წლიდან სიკვდილამდე, პრაქტიკულ მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, ნ. მარს სამეცნიერო-კვლევითი თეორიული შრომაც არ შეუწყვეტია, უმთავრესად, როგორც ქართული, ისევე სომხური ძველი სამწერლო ძეგლების შესწავლისა და საენათმეცნიერო კვლევის საქმეში. შეისწავლა რა კავკასიური ენები და მათ შორის ისტორიამდელი საფუძვლები და ნათესაობითი კავშირი დაადგინა, შეუდგა ხმელთაშუა ზღვის ენათა უძველესი (არქაული) ელემენტების შესწავლასა და ამოხსნა მათი ინდოევროპულამდე არსებული საფუძვლები. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1920 წელს გამოქვეყნებულ შრომას „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში“ („Яфетический

Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземной культуры“, ლეიპციგი, 1920 წ., გამოქვეყნდა რუსულ და გერმანულ ენებზე).

1908 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими“) დაასაბუთა-რა ძირითადი დებულება ქართულის ნათესაობის შესახებ სემიტურ ენებთან, ქართული ენის მონათესავე სემიტური ენების შტოს უწოდა „იაფეტური“ (იმ საფუძველზე, რომ ვინაიდან სემიტური და ქამიტური ენების სახელწოდება წარმოდგა ბიბლიური ნოეს შვილების – სემისა და ქამის - სახელთაგან, ხოლო რადგან ნოეს ჰყავდა სამი შვილი – სემი, ქამი და იაფეტი, ნ. მარი კი ამტკიცებს ქართული და კავკასიური სხვა ენები სემიტურისა და ქამიტური ენების ძმა-ნათესავები არიანო, ამ ენათა ოჯახს იაფეტური უწოდა, ხოლო მის შესახებ მოძღვრებას – იაფეტიდოლოგია ანუ იაფეტური თეორია). იაფეტური თეორიის შესახებ აკადემიურ მუშაკთ მხოლოდ 1911 წლის 29 დეკემბერს მოახსენა გამოკვლევაში: „Кавказ и памятники духовной культуры“ („Известия Академии Наук“, 1912, стр. 69-82). იაფეტური ენა ქართული ენის კვლევის ნიადაგზე აღმოაცენა და მით ქართული ენა მსოფლიო სარბიელზე გაიყვანა. ნ. მარის გამოკვლევით, „იაფეტურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის კავკასიური ენები, ვანისა და მესოპოტამიის გადაშენებული ენები, შუა აზიის ერთი (ვერშიკული) ენა და ევროპელი იაფეტებისა – ბასკური და ეტრუსკული“ და ბოლოს: „იაფეტური თეორია მოიცავს მსოფლიო ყველა ენას“. ნ. მარმა ენათმცოდნეობის არსებულ მეთოდებს დაუპირისპირა საკუთარი – იაფეტური თეორია (იაფეტური თეორიის შესახებ მისი უმთავრესი წერილები მოთავსებულია კრებულში „По этапам развития яфетической теории“ (Москва-Ленинград, 1926); განსაკუთრებით, აღსანიშნავია „Яфетическая теория“ (Общее чтение о языке. Баку, 1928 და სხვ.). იგი თავისი „იაფეტური თეორიით“ გვასწავლის, რომ ენა, ბგერითი მეტყველება, თავისი განვითარების არც ერთ სტადიაში, არც ერთ თავის ნაწილში არ წარმოადგენს ბუნების უბრალო ნიჭს. ხშიერი მეტყველება არის კაცობრიობის ქმნილება. კაცობრიობამ შექმნა თავისი ენა შრომის პროცესში განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში და აწარმოებს მის გარდაქმნას ყოფა-ცხოვრების ნამდვილად ახალი სოციალური ფორმების შეცვლასთან ერთად, თანახმად ამ პირობებში არსებული ახალი აზროვნებისა“ („რჩეული შრომები“ („Избранные работы“) ლენინგრადი, 1936, გვ. 25).

ნ. მარმა პირველმა წამოაყენა ენის კლასობრიობის თეზისი (მაგალითად, 1903 წელს დაადასტურა, რომ სომხებს ორი ენა აქვთ: ფეოდალური, – მწერლობით ძეგლებში დაცული, – და ხალხური, მდაბიო, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან).

ნ. მარმა პირველმა დაიწყო კავკასიურ ენათა ჯგუფის შესწავლა, ქართულ-სომხურ ენებზე არსებულ ლიტერატურულ ძეგლთა მეცნიერულად

ფილოლოგიური დამუშავება, რისთვისაც დააარსა დროგამოშვებითი გამოცემანი: „Monumenta hagiographica Georgica“, „Bibliotheca Armeno-Georgica“, „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, „Материалы по яфетическому языкознанию“, „Яфетический сборник“, „Христианский Восток“, „Язык и мышление“ და სხვ.; განსაკუთრებით, აღსანიშნავია „Тексты и разыскания“ 12 ტომად, რომელთაგან 8 ტომი მარტო ქართულის შესახებაა. მათ შორის, ნ. მარის რედაქციით გამოვიდა: X-XI საუკუნეების ქართული ტექსტი (ტ. 2), X საუკუნის იპოლიტეს „ქებათა ქებაი“ (ტ. 3), XII საუკუნის ქართული ხოტბითი პოეზიის ნიმუშები (ტ. 4), „სახისმეტყველი“ (ტ. 6), გ. მერჩულე. „გრიგოლ ხანძთელი“ (ტ. 7), ა. სტრატიგი. ძველქართული ტექსტი (ტ. 9). მე-12 ტომში გამოაქვეყნა საკუთარი მიმოხილვა „Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовой коже“ Шоты из Рустава: Груз. текст, рус. пер. и пояснения с этюдом „Культ женщины и рыцарство в поэме“. ამავე სერიის მე-8 ტომში დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის „Государственный строй древней Грузии и древней Армении“.

პირველად ნ. მარმა დააყენა მეცნიერულ საფუძველზე „ამირანდარეჯანიანის“ კულტურულ-ლიტერატურული შესწავლის საკითხი („Персидская Национальная тенденция в грузинском романе „Амирандареджаниани“. Жур. Мин. Нар. Просв., 1895, Июнь, Стр. 352-365).

პირველად ნ. მარმა განსაზღვრა ქართული მწერლობის რაობისა და სადაურობის დასაბამი: ჯერ ფიქრობდა, ვითომც ქართული საერო ლიტერატურა აღმოცენებულიყოს, უმთავრესად, სპარსული კულტურის გავლენით („Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы“, Жур. Мин. Нар. Просв., 1899, декабрь, стр. 223-252; Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из „Русданиани“, „Вост. заметки“, СПб, 1895), შემდეგ გერმანულად გამოქვეყნებულ შრომაში („Die georgische Sprache“, 1928; „Das neue Rusland“, 1929, გვ. 361-368), აგრეთვე, რუსულ ენაზე („Яфетическая теория“, Баку, 1928) გამოთქვა აზრი, რომ ქართული საერო მწერლობის დასაბამი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში უნდა ვეძიოთ, ქართული პოეზია ძველი ქართული წარმართული შემოქმედებიდან მომდინარეობსო.

პირველად ნ. მარმავე დაადგინა მეცნიერულად „ვისრამიანის“ ტექსტი.

ნ. მარმა საფუძველი დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად შესწავლასა და რუსთველოლოგიის დასაწყისი მისცა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გამოკვლევებით (მათი ანოტაცია და ოდენობა იხ.: გ. იმედაშვილი, „რუსთველოლოგია“, თბ., 1941, გვ. 230-235).

ნ. მარმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოაყენა დებულება, რომ ხმელთაშუა ზღვის ორივე მხარეს, ჯერ კიდევ რომისა და ათონის წინათ, ქართულად მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ და თავისი კვალი დატოვეს საფრანგეთის, იტალიის,

ოსმალეთის მცხოვრებთა ენაში, ჩვეულებებსა და მეტადრე გეოგრაფიულ სახეებში.

პირველად ნ. მარმა ჩაუყარა საფუძველი უმწერლობო ენების შესწავლას: „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა („Грамматика чанского (лазского) языка: С хрестоматией и словарем“. Санкт-Петербург, 1910, XXX, 240 с.; (Материалы по яфетическому языкознанию; 2);

1922 წელს, საზღვარგარეთიდან (სამეცნიერო მივლინებიდან) დაბრუნების შემდეგ, გამოაქვეყნა შრომები, რომლებშიაც წამოყენებული და დამტკიცებულია მარქსისტული დებულებანი იაფეტილოლოგიაში.

არქეოლოგიაში დაიმსახურა მარქსისტული არქეოლოგიის მამამთავრის სახელი. მის მიერ ამიერკავკასიაში – ქ. ანსა და სხვ. წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა არქეოლოგია და მუზეუმთმცოდნეობა ახალ საფუძველზე დააყენა.

ნ. მარმა თავისი მოძღვრების მიმდევართა სკოლა შექმნა, აღზარდა მრავალი მონაფე-მეცნიერი, რომელთაგან ბევრმა თავი ისახელა დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობით.

ნ. მარის მოძღვრებით, ენათმეცნიერება დაკავშირებულია მატერიალისტურ კულტურასთან. ენა ზედნაშენია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი ეკონომიური საფუძვლით მტკიცედ განსაზღვრული. სალაპარაკო ენა მუდამ ასეთი როდი იყო, როგორც დღესაა, ადამიანის მეტყველებამ რთული გზა გაიარა: ხელის ენიდან – ბგერით მეტყველებამდე. ენის სტადიური განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარებაზე. კლასობრივ საზოგადოებაში ენა კლასობრივია, მრავალი ენდონომიდან კაცობრიობა ერთი უნივერსალური ენისაკენ მიემართება. არ არსებულა წინარენა (პრანენა). არ არსებობს ენათა „ოჯახები“. ბურჟუაზიული ზღაპარია რასული თეორია. ენა მჭიდროდ დაკავშირებულია აზროვნებასთან და სხვ. ნ. მარის მოძღვრების ძირითადი მიზანია ყველა ენის ურთიერთკავშირის დადგენა: ერთი საერთო უკლასო საზოგადოების ენის შექმნა. ენათა განვითარების ცალკე და ძველ საფეხურს წარმოადგენენ იაფეტური ენები, მათ შორის ქართულიც. ენათმეცნიერებაში ქართული ენის შესწავლას დიდი წვლილი შეაქვს, როგორც სრულყოფილ ენას. ნ. მარის აზრით, „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთს ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ენა, უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნებებზე მხოლოდ გადიღებს საჭირო აზრს. ასე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიური“ და ქართული ენა (ცოცხალიც არა ნაკლებ, ვინემ ძველი) შეადგენს მეცნიერებისათვის დიდ ინტერესს იმისთვის, რომ მასში დალექილია მეცნიერებისათ-

ვის უძვირფასესი ელემენტები, – დღეს იქნება თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად კაცობრიობის კულტურულ სიძველეთა ვერც ერთი საკითხი ვერ გადიჭრება, ვერც ერთი უნივერსიტეტი სიძველეთა საკითხში უქართულენოდ წარმოსადგენი ვერ იქნება, – ქართული ენა უნივერსალურია კავკასიის საზღვრებში“ („მნათობი“, 1925, № 5-6, გვ. 326). „ქართული ენა კავკასიის საზოგადოებრივობის ენაა. ის მდიდარია კულტურული ნაანდერძაობით – გადმოცემებით, გონივრულია შეთვისების მხრით, უმეტესათ, კავკასიის საზღვართა შორის... უბრალო ხალხიც ლაპარაკობს მასზე დამყნულ ქართულს ეროვნულ ენაზე, თუმცაღა მას შიგ შეაქვს მცირეოდენი განსაკუთრებული თქმები“ („К изучению современного грузинского языка“, Петроград, 1922, стр. 13-18).

აკად. კ. კეკელიძის სიტყვით: „ნაყოფიერი და წმინდა მეცნიერული ხანა ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა დაიწყო ეგრეთ წოდებულმა პეტროგრადის სამეცნიერო სკოლამ განსვენებულ აკადემიკოს ნ. მარის მეთაურობით და ხელმძღვანელობით... განსაკუთრებულ ნიჭსა და ენერგიას იჩენდა თვით ნ. მარი... ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიება ნ. მარმა დაამყარა წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე, მან გაუკვლია მას გზა, აღნუსხა მეთოდები, გაუთვალისწინა მიზნები... მან გაარკვია ბევრი საცილობელი და საკამათო საკითხი, წამოაყენა სრულიად ახალი საკითხები და სხვანაირად გააშუქა უკვე მიღებული და დამყარებული დებულებანი“ („ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თბ., 1941, გვ. 21-30).

ნ. მარი, უმთავრესად, მრავალმხრივი მეცნიერი იყო, მაგრამ არანაკლებ ცნობილია, როგორც რევოლუციონერი მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე. იგი აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში ტირანიის წინააღმდეგ, როგორც ჩაგრულ მცირე ეროვნებათა მომხრე. ჯერ კიდევ გიმნაზიაში მონაწილეობის დროს საქართველოს განთავისუფლებაზე ოცნებობდა ეროვნული მოძრაობის გზით, ხოლო სტუდენტობის დროს ერთ ამხანაგს გაუფიცა: ფარ-ხმალი არ დავყაროთ, ვიდრე საქართველოს არ გავათავისუფლებთო.

ცხრაასიან წლებში გურიაში შეესწრო სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ განხეთქილების გამო გამართულ კამათს და გამოეხმაურა კიდევ (რუსულ გაზ. „რასსვეტში“, გადმოიბეჭდა „ცნობის ფურცელში“, 1905, № 2910-2912), რომელშიაც დაახასიათა გურიის მოძრაობა, ათისთავ-ასისტავების სისტემა, შეეხო ბოლშევიკ-მენშევიკთა კამათს, ერთ კრებაზე გამოვიდა კიდევ: მეცნიერული სოციალიზმის შემუშავება ინტელიგენციის საქმეა, საჭიროა სწავლა და მეცნიერების გავრცელება, რომ თვით მარსზე მდებარე მიწებიც გამოიყენოთო.

1905 წლის განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ნ. მარმა საგაზეთო წერილებში გამოაშკარავა თვითმპყრობელობის უკუღმართობა ამირკავკასიაში მოსახლე ეროვნებათა ურთიერთ-

შუღლის საქმეში, დაიცვა საქართველოს კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა და აღიარა, რომ როგორც სომხეთის, ისევე საქართველოს მუდამ შეუწყალებელი მტერი იყო დიდ სახელმწიფოთა მტარვალური წყობილება, დიდმპყრობელურ ხალხთა სარწმუნოებისა და გვარტომობის მიუხედავად.

1905 წლის გურიის რევოლუციური მოძრაობის აღწერის დროს, გურიის გლეხობას და გურულ ბოლშევიკებს თანაგრძნობა გამოუცხადა.

ერთ-ერთ თავის წერილში („История Грузии“, СПб., 1906) ნ. მარმა, სხვათა შორის, გამოთქვა: „რუსეთის ფარგლებში ერთიანად ჩაჭედილი და საერთაშორისო პოლიტიკის ყოველგვარ ინტერესთა გარეშე დარჩენილი ქართველი ხალხი თითქოს ფსკერისაკენ დაიძირა“.

ყველა ამისათვის და, აგრეთვე, მეცნიერებაში თავისებური რევოლუციური გეზისათვის, ძველ შეხედულებათა ნგრევისა და ახლის დამყარებისაკენ მისწრაფებისათვის, ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთის მეფის დიდმპყრობელური მთავრობა და შავრაზმელი პროფესურა ნ. მარს კარგი თვალით არ უყურებდა. არც ქართველთა კარგა დიდი ნაწილი ემადლიერებოდა თავისებურ, გაბატონებულ აზროვნების წინააღმდეგ გალაშქრების ან ზოგჯერ მცდარ შეხედულებათა გამოთქმისათვის. მიუხედავად ყველა ამისა, ნ. მარი თავისი არჩეული გზით, მეცნიერებაში ჭეშმარიტების განმტკიცებისათვის, მხნედ იბრძოდა.

მეცნიერება, საზოგადოებრიობა, მწერლობა, მშობელი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ მუშაობ იმდენად ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ასეთი მოღვაწის სიკვდილიანობაც არა სჯეროდა. ჯერ კიდევ 1932 წელს წერდა: „ადამიანი, პიროვნულად სხეულებრივი სიკვდილის დროს არ კვდება საზოგადოებრივად, თვისი საქციელით და შემოქმედებით ცოცხალ გარემოცვაში, საზოგადოებრიობაში გადადის; იგი განაგრძობს სიცოცხლეს მათში, რომლებიც ცოცხლად რჩებიან, თუ მიცვალებული სიცოცხლის დროს სიცოცხლობდა და მკვდარი არ იყო. და ცოცხალი კოლექტივი აღადგენსო“.

იგი იყო დამოუკიდებელი მოაზროვნე, თავისებური მეცნიერი, საკვლევო საგნის ურყევი მიუდგომლობით შემფასებელი, პირდაპირი, შეუდრეკელი, გულმართალი. თუ რაშიმე როდისმე შესცდებოდა, მეცნიერის სულდიდობით თავის შეცდომას თვითონვე აღიარებდა. მეცნიერულ კვლევა-ძიების დროს მუდამ ღირსებსა ეძებდა: „საქმე რაოდენობაში კი არ არის, არამედ ხარისხშიო“, და თავის მრავალ ათეულ მონაწილეთა უნერგავდა, რომ თვითეული მათგანი ყოფილიყო თავისთავადი, დამოუკიდებელი მკვლევარი, რადგან სწამდა, რომ „არ გამოგვადგება ისეთი ძალები, რომლებიც ემსგავსებიან ქართული ანდაზის ცნობილ ღვინის ჭურს – „ჭურს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს“-ო, საჭიროა მუდმივი მოქმედი ნამყვანი ძალა“-ო.

ნ. მარის ნაშრომნი 1888 წლიდან სიკვდილამდე 550-ზე მეტს უდრის (1934 წლამდე გამოქვეყნდა

523), მათგან ქართველოლოგიის შესახებ, ზემოხსენებულთა გარდა, აღსანიშნავია, სხვათა შორის, კიდევ:

1. სია ხელ-ნაწერებისა, რომელიც შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ბ-ნმა მ. დ. ალექსი-მესხივილიმა // ივერია. - 1888. - 9 ნომბერი. - №236. - გვ. 4; 11 ნომბერი - №238. - გვ. 4; 12 ნომბერი - №239. - გვ. 3; 13 ნომბერი - №240. - გვ. 4; 2 დეკემბერი - №254. - გვ. 3-4;
2. «Мудрость Балавара», грузинская версия «душеполезной истории о Варлааме и Иоасафе» // Записки Восточного отделения Русского археологического о-ва. - 1889. - Т. 3. - Стр. 223-260;
3. წერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამო // თეატრი. - 1890. - 18 მარტი. - №12. - გვ. 1-2;
4. წერილი პეტერბურგიდამ // ივერია. - 1890. - 12 იანვარი. - №8. - გვ. 2-3;
5. როსტომიანი: (ორიოდე სიტყვა „შაჰნამე“-ს ქართულ თარგმანის შესახებ) // ივერია. - 1891. - 25 ივნისი. - №132. - გვ. 2; 26 ივნისი. - №133. - გვ. 2-3; 28 ივნისი. - №135. - გვ. 2;
6. Житие Петра Ивера царевича-подвижника и епископа Майумского V века. Грузинский подлинник / Изд., пер. и предисл. Н. Я. Марра // Православный Палестинский сборник. - 1896. - 47-й выпуск (Т. XVI. Вып. 2). - С. I-XXXIX, 1-119; ил.; Указ. имен: с. 121-122;
7. К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую: [о „Висрамиани“] // Журнал Министерства народного просвещения. - 1897. - Ч. 310, [№ 3], Март. - Стр. 233-236;
8. Хитон Господень в книжных легендах армян, грузин и сирийцев // Сборник статей учеников профессора барона Виктора Романовича Розена ко дню двадцатипятилетия его первой лекции 13 ноября 1872-1897. - Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1897. - Стр. 67-96;
9. Два древне-грузинских одописца: (1. Иоанн Шавтели) // Кавказский Вестник. - 1900. - Январь. - № 1. - Стр. 56-77;
10. Об единстве задач армяно-грузинской филологии // Кавказский Вестник. - 1902. - № 3. - Стр. 15-29;
11. მეგრული ენა // ცნობის ფურცელი. - 1905. - 16 მარტი. - №2772. - გვ. 2-3; 17 მარტი. - №2773. - გვ. 2;
12. ორი სურათი ანისში: წმინდა ნინო და თამარ მეფე // ცნობის ფურცელი. - 1905. - 11 აგვისტო. - №2884. - გვ. 3-4. - ტექსტის ბოლოს: „ანისის ნანგრევები. აგვის. 6“;
13. Исторический очерк Грузинской Церкви с древнейших времен: [К вопросу об автокефалии Грузинской церкви] // Церковные Ведомости. - 1907. - № 3. - стр. 107-142;
14. წინასწარი ცნობა ქართულის ენის სემიტურს ენებთან ნათესაობის შესახებ // განათლება. - 1909. - №1. - გვ. 115-120;
15. Антиох Стратиг. Пленение Иерусалима в 614 г. / Грузинский текст исследовал, издал, перевел и арабское извлечение приложил Н. Марр // Тексты и

- разыскания по армяно-грузинской филологии. - Кн. 9. - Санкт-Петербург, 1909. - VI, 82, 43, 66, 12 стр.;
16. Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII века // Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества. - 1909. - Т. 19. - Стр. 53-113;
 17. ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ // მნათობი. - 1924. - № 5. - გვ. 231-237;
 18. ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით // მნათობი. - 1925. - №4. - გვ. 199-211; №5-6. - გვ. 289-328;
 19. Грузинский язык // Большая Советская энциклопедия. - 1930. - Т. 19. - Стлб. 608-618;
 20. ჩახრუხადის ლექსები // ლიტერატურული მემკვიდრეობა. - წ. 1 / რედ.: ლ. აღნიაშვილი; პ/მგ. რედ.: გ. ლეონიძე, ვ. ასათიანი, ქრ. რაჭველიშვილი, აკ. ჭყონია; რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი. - ტფ.: სახ. უნტი, 1935 (სახუნტის 1-ლი სტ.). - გვ. 257-269.

დაწერილებით სია იხ.: Список печатных работ Н. Я. Марра // Избранные работы / Н.Я. Марр; [Предисл.: В. Аптекарь]; Акад. наук СССР. Гос. акад. истории материальной культуры. - Т. 1: Этапы развития яфетической теории. - Ленинград: изд-во ГАИМК, 1933 (Тип. Акад. наук СССР). - Стр. XI-XXVI; Т. 5: Этно- и глоттогония Восточной Европы / [Отв. ред. Ф.В. Кипарисов]. - Ленинград: изд-во ГАИМК, 1935. - Стр. XXI.

აგრეთვე, გამოქვეყნებულია:

1. ბუნება და თვისება ქართულის ენისა: (მცირე შენიშვნა) // ივერია. - 1888. - 21 აპრილი. - №86. - გვ. 3;
2. სიბრძნე ბალავარისა // ივერია. - 1888. - 22 ივლისი. - №153. - გვ. 1;
3. Два древне-грузинских одописца: (1. Иоанн Шавтели) // Кавказский Вестник. - 1900. - Январь. - № 1. - Стр. 56-77;
4. სახოკიას მოსაზრების გამო ჩიჩილაკის შესახებ // ცნობის ფურცელი. - 1904. - 2 ივნისი. - №2512. - გვ. 3;
211. Тревер, К. В. Кавказ и античная культура в свете учения Н. Я. Марра: [Миф о Прометее и армянский храм в Гарни] // Известия Академии наук СССР. - 1950. - №2. - стр. 136-146.

წყარო:

- ივ. მაჭავარიანის ავტობიოგრაფიიდან (ზოგი ცნობა);
- ნ. მარრი: [ბიოგრაფია] // საქართველოს კალენდარი. - 1903. - გვ. 440.. - პორტრეტი იხ.: გვ. 359;
- პროფესორი ნიკოლოზ იაკობის ძე მარრი: [ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა] // განათლება. - 1909. - №1. - გვ. 113-114;
- Кирион II. Культурная роль Иверии в истории Руси / Еп. Кирион. - Тифлис: тип. К.П. Козловского, 1910. - Стр. 439;
- ქართული ბიბლიოგრაფია: 1. ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. - პეტროგრადი, 1916. - გვ. 113;
- ყვენტი, თენგიზ. 1905 წელი გურიაში. - მე-2 გამოც. (შესწ. და შეეს.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ. 56-57;

7. ხუროძე, ვარლამ. ქართული ლიტერატურის თემატიკურად განხილვა მე-XIX საუკუნიდან თებერვლის რევოლუციამდე: [დამზ. წიგნი შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის]. - ტფ.: პოლიტკატორელთა მალაზიის გამოცემა, 1927 (პოლიგრაფტრ. მე-2 სტ.). - გვ. 13-14;
8. Малая советская энциклопедия [Текст]: [в 10 т.] / Глав. ред. Н. Л. Мещеряков. - Т. 4: Ковальская-Масив. - Москва: АО «Советская энциклопедия», 1929. - 931-932 стб.; 2-е изд. - Т. 6: Кумыки-Модика [Текст]. - Москва: Советская энциклопедия, 1937. - 616 стб.;
9. Мещанинов, Иван Иванович. - ა) Введение в яфетидологию / И. Мещанинов. - Ленинград: [Прибой], 1929 (тип. Печатный двор Госуд. изд-ва). - 203 с., [4] с. объявл.; ბ) Научное наследие Н. Я. Марра // Литературная газета. - 1950. - № 2. - Стр. 1.
10. მეგრელიძე, ი. - ა) აკად. ნ. მარრის შესახებ: [ლია ბარათი გიორგის] // მნათობი. - 1930. - № 4. - გვ. 219-231; № 8-9; ბ) აკადემიკოსი ნიკო მარის ცხოვრება-მოღვაწეობა და მისი წინაპრები: [გარდაცვალებიდან 6 წლისთავის გამო] // სტალინელი. - გორი, 1940. - 11 დეკემბერი. - №156;
11. აკად. ნ. მარრის იუბილე // სალიტერატურო გაზეთი. - 1933. - 11 დეკემბერი. - № 26;
12. აკადემიკოსი ნ. ი. მარი // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1934. - 22 დეკემბერი. - № 292;
13. აკადემიკოს ნიკო მარის ხსოვნას: [წერილები] // კომუნისტი. - 1934. - 22 დეკემბერი. - №294. - გვ. 2;
14. აკადემიკოს ნ. ი. მარის ხსოვნას: [დეპეშები, ბიოგრაფიული ცნობები] // მუშა. - 1934. - 22 დეკემბერი. - №293;
15. მარი, ნ. ძვირფასო ამხანაგო ორაგველიძე!: ერთ-ერთი უკანასკნელი პირადი წერილი: [რედაქციის შენიშვნებით] // კომუნისტი. - 1934. - 23 დეკემბერი. - №295. - გვ. 2;
16. მუშა. - 1937. - 21 დეკემბერი. - № 292;
17. კოლექტივიზაცია. - 1935. - 9 თებერვალი. - № 33;
18. ნიკო მარი: 1864-1934: [საბჭოთა ენათმეცნიერი. ბიოგრაფია] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1935. - №52. - გვ. 4;
19. ჩხენკელი, მიხეილ. ჩიქობავა ა. ზოგადი ენათმეცნიერება: [ბიბლიოგრაფია] // კომუნისტი. - 1936. - აპრილი. - №80. - გვ. 4;
20. საბჭოთა მასწავლებელი. - 1940. - 3 თებერვალი. - № 12;
21. საქართველოს ისტორია: უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე / წინამდებარე წიგნი შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ. უძველესი ხანიდან ვიდრე მე-10 საუკუნის დამლევამდე (გვ. 5-115) დასწერა პროფ. ს. ჯანაშიამ, მე-10 საუკუნის დამლევადან ვიდრე მე-16 საუკუნის დამდეგამდე (გვ. 116-284) - აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, მე-16 საუკუნის დამდეგადან მე-19 საუკუნის დამდეგამდე (285-414) - პროფ. ნ. ბერძენიშვილმა, მე-19 საუკუნის დამდეგადან ვიდრე ჩვენს დრომდე (გვ. 415-486) - პროფ. გ. ხაჭაპურიძემ. - თბ.: სახელგამი. სასწ. პედ. სექტ., 1940. - გვ. 445;

22. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 476;
23. ლონტი, ალ. არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერების“ გამო // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - 7 მარტი. - № 9.

მარკოზოვი, ივანე [ივანო] გეორგის ძე –

სცენისმოყვარე, სახალხო თეატრების მსახიობი, შვილი ტფილისელი ლარიბი მუშისა, ბუნჰალტერი, 1900 წელს ავლაბრის სახალხო სცენაზე გამოვიდა, 1925 წელს გადაუხადეს 25 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე და მისი სახელობის დრამწრეც დააარსეს მუშკოოპთან.

წყარო:

1. მუშკოოპის დრამატიული წრე // თეატრი და ცხოვრება. - 1925. - № 4. - გვ. 8.

მარსაგოვილი [მარსაგოვი], გიორგი პეტრის ძე – (1917, 19/II) –

რევოლუციონერი, – პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, – ამიერკავკასიის რკინიგზათა თბილისის მთავარი სახელოსნოს ხელოსანი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი დაუცხრომელი მუშაკთაგანი, უმეტესად, „გიორგი პეტროვიჩის“ სახელით ცნობილი, მოხვევ, – 1900 წლიდან სიკვდილამდე მუშათა გათვითცნობიერებისა და განთავისუფლების საქმეში თავდაუზოგავად მოღვაწეობდა, უმთავრესად – სამხედრო საქმეში.

ცნობილი იყო გაბედეულებით, პირდაპირობით, მიუდგომლობით, პრაქტიკოსობით. არ მოსწონდა უბრალო სიტყვის ხალხი, ენამოცვეთილი და უქნარა, გმობდა ისეთ ადამიანთ, რომელნიც ზერელედ „სოციალისტობდნენ“ და საზოგადოებრივ უბედურებათა მიზეზს ვერ ჩაჰკვირვებოდნენ: „მძაგს, მძაგს გრძნობის სოციალისტები!.. შედეგს კი ნუ ებრძვი, მიზეზი მოსპეთო“, – იტყოდა ხოლმე.

მეფის მთავრობამ პოლიტიკურ საქმეზე ნთუ 7 წელი ციხეში, ბოლოს – სამადლო სახლში ამყოფა, სადაც ხანგრძლივი ტყვეობით დასწულდა.

გარდაიცვალა აბასთუმანში, 1917 წლის ივლისის 19. დაიკრძალა სამშობლო სოფელში (მთაში).

მის შესახებ:

1. ამბ. გიორგი მარსაგოვი... // წინ. - 1907. - 24 თებერვალი. - № 10. - გვ. 3;
2. გიორგი პ. მარსაგოვი: (ნეკროლოგი) // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №19. - გვ. 301-302;
3. როინიშვილი, ვასილ. გ. მარსაგოვის...: [ლექსი] // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №23. - გვ. 363.

წყარო:

1. არიმათიელი [იმედაშვილი], იოსებ. ჭირშიაც ქედ-მოუხრელი გიორგი მარსაგოვი // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - № 31. - გვ. 9;
2. გიორგი მარსაგოვი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - № 35. - გვ. 1.

მარუაშვილი, მინა მაღაქიას ქ (1885 – 1928, 12/VIII) – ექიმი-მაღარიოლოგი, – სამედიცინო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, – საქართველოში მაღარიისა და მასთან მეცნიერული ბრძოლის ერთ-ერთი გამორჩენილი მკვლევარ-მწარმოებელი, – იმერეთიდან (დაიბადა ქ. ქუთაისში, დურგლის ოჯახში). 10 წლისას მამა – დურგალი გარდაეცვალა. სწავლობდა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში; 1903 წლიდან – თბილისის სამინათმეზომელო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1907 წელს ექსტერნად ჩააბარა გამოცდები სიმნიფის მონმობაზე და იმავე წელს ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე შევიდა. 1912 წელს ექიმის წოდებით აღჭურვილი სამშობლოში გამოეჩქარა და თელავის მაზრის სოფელ ყვარელში დაიწყო მოღვაწეობა. ყვარლიდან სოფ. ქვემო მაჩხანში გადავიდა საექიმო პუნქტის გამგედ.

მსოფლიო ომის (1914-1918) დროს ოსმალეთისა და სპარსეთის ფრონტებზე იყო, 1918 წელს სოფ. მაჩხანსვე დაბრუნდა, 1919 წელს ქ. ხაშურის ექიმად მიიწვიეს, 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური კათედრის ასისტენტად აირჩიეს, 1920-1922 წლებში მონაწილეობდა ყარაიასა და კახეთის სამალარიო ექსპედიციებში მაღარიისა და მასთან ბრძოლის პირობების გამოსაკვლევად. 1921 წელს, ზურგზე ქინაქინის მარაგმოკიდებულმა, ექიმ ს. კანდელაკთან ერთად, ფეხით შემოიარა თითქმის მთელი კახეთი და მაღარიის ეპიდემიით დაავადებულ გლეხობას დაულალავად ეხმარებოდა. 1925 წელს გადავიდა რკინიგზის საავადმყოფოს სამალარიო განყოფილებაში, რომლის ხელშეწყობითაც დაულალავად მოგზაურობდა და პრაქტიკულად იკვლევდა მაღარიის გავრცელების პირობას. 1926 წელს მიიწვიეს ჯანსახკომში სამალარიო სექციის გამგედ, იმავე დროს – ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. 1927 წელს ჯანსახკომმა მიავლინა საზღვარგარეთ, სადაც, განსაკუთრებით ჰამბურგში, აწარმოებდა მეცნიერულ დაკვირვებებს მაღარიასთან ბრძოლის თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის გასაცნობად.

ყოფილი მიწისმზომელი, დიდი ცოდნის მქონე, საუცხოოდ იცნობდა საქართველოს ადგილმდებარეობასა და მაღარიის გავრცელების ბუნებრივ მიზეზებს. განსაკუთრებით კარგად იცნობდა გადასახლებისა და ახალშენების საკითხს, რის გამოც ჯანსახკომი მუდამ მას გზავნიდა ხოლმე საქართველოს საგემო კომისიაში, სადაც მის გონიერ რჩევას მაღარიის, გადასახლებისა და ახალშენების საკითხების გადაჭრის დროს დიდი წვლილი იქონია.

მენდნენ. ჯანსახკომისა და საქართველოს საგემო კომისიის დავალებით, შეადგინა „მაღარია და მასთან ბრძოლის გეგმა საქართველოში“ (ტფ., 1929), რომლის მასალები ჯანსახკომმა თავისი პრაქტიკული საქმიანობის საფუძვლად მიიღო.

მ. მარუაშვილი კახეთის სოფლებში პრაქტიკული მუშაობით დარწმუნდა, თუ რა დიდი უბედურებაა ჩვენი გლეხობისთვის მაღარია, იგივე ციებ-ციხლება. ეს არის საქართველოს ეროვნული, საუკუნეობითი და მასთან უაღრესად სოციალური უბედურება. მაღარიასთან ბრძოლას საქართველოში აქვს დიდი საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობა. მაღარიის მოსპობა ჩვენს ხალხს გააჯანსაღებს და შრომისუნარიანობას აღუდგენს, რაც მისი ნივთიერად მოღონიერების წყარო შეიქნება.

მაღარიის დარგში მ. მარუაშვილს დანერგილი აქვს, ზემოხსენებულის გარდა:

1. ერთროციტების ბაზოფილური მარცვლოვნობის მნიშვნელობა მაღარიის დროს“ [კლინიკური დაკვირვებანი 230 სტაციონარულ ავადმყოფზე];
2. საქართველოს სამალარიო სადგურების მუშაობის გეგმა;
3. ქ. ფოთის მაღარიის ლიკვიდაციის საკითხისათვის;
4. საახალშენო საკითხი მაღარიასთან დაკავშირებით [ამიერკავკასიის სამალარიო ყრილობაზე წაკითხული. დაიბეჭდა გერმანულ პრესაში];
5. კურორტ წყალტუბოს მაღარიისგან გაჯანსაღების გეგმა [1928 წ.]

და სხვ.

ცალკე გამოცემულია:

1. მაღარია და მასთან ბრძოლის გეგმა საქართველოში. - ტფ.: [სოც. ჰიგ. ინსტიტუტის გა-მა], 1929 (კავკ. წ. დრ. ჯარის სტ.). - 88 გვ.: ავტ. სურ.; 22სმ. - (სანიტარული განათლების ბიბლიოთეკა; №8). - წანართი: ა) [წინასიტყვაობა]-სოც. ჰიგ. ინსტიტუტი. ბ) ექიმი მ. მ. მარუაშვილი [ბიოგრაფია და მოღვაწეობა] - ა. ნ-ლი. - დანართი: დამატებანი (72-85 გვ.).

მის შესახებ:

1. ხოლერასთან საბრძოლველათ // ახალი გზა. - 1910. - 15 აგვისტო. - №47. - გვ. 3;
2. საერთაშორისო სანიტარული კონფერენცია: [საუბარი ექიმ მარუაშვილთან] // კომუნისტი. - 1928. - 25 მარტი. - №70. - გვ. 5.

წყარო:

1. ა. ნ-ლი. ექიმი მ. მ. მარუაშვილი [ბიოგრაფია და მოღვაწეობა // მაღარია და მასთან ბრძოლის გეგმა საქართველოში. - ტფ.: [სოც. ჰიგ. ინსტიტუტის გა-მა], 1929 (კავკ. წ. დრ. ჯარის სტ.). - გვ. 5-9.

მარჯანიშვილი, ალექსანდრე (18.. –) – მწერალ-მთარგმნელი, – მამა კოტე მარჯანიშვილისა, პეტერბურგში განათლებული, ფრანგული

ენის კარგად მცოდნე, ლიტერატურის მოყვარული, – ლექსების მწერალი და მთარგმნელი. ფრანგულიდან გადმოთარგმნა ალ. დიუმას რომანი „ორი დიანა“.

წყარო:

1. Кешелава, Платон. Крупнейший мастер театра // Вечерний Тбилиси. - 1938. - 16 апреля. - № 87.

მარჯანიშვილი, კონსტანტინე [კოტე] ალექსანდრეს ძე (1872, 28/IV – 1933, 17/IV) – მსახიობი და რეჟისორი, – რევოლუციონერი ხელოვანი,

– სინთეტური თეატრის ფუძემდებელი, ქართული თეატრის განმაახლებელი, „დურუჯის“ ბელადი და თბილისის მეორე სახელმწიფო აკადემიური დრამის დამაარსებელი, – რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სერგეი მესხის დედის ძმისწული, – კახეთიდან (დაიბადა სოფ. ყვარელში, 1872 წლის მაისის 28 (ზოგან შეცდომით ნაჩვენებია 22 მაისი, 1871 ან 1873)). მამა იყო განათლებული, ლექსების მწერალი და ფრანგულიდან მთარგმნელი, დედა – სოლომონ ჭავჭავაძის ასული, დიდად კულტურული, თეატრისა და მწერლობის მოყვარული. სწავლობდა თბილისის ერთ კერძო პანსიონში, ნ თვეში – კადეტთა კორპუსში, შემდეგ – პირველ კლასიკურ გიმნაზიაში ჩინებულად, მაგრამ ოჯახური მიზეზით ვერ დაამთავრა. საქართველოსა და რუსეთში სასცენო მოღვაწეობით დიდი ოსტატის სახელი დაიმსახურა, როგორც სათეატრო ხელოვნებაში სიახლის შემტანმა, მოსკოვსა და საქართველოში ახალი თეატრების შემქმნელმა, პირველი რევოლუციური წარმოდგენის დამდგმელმა და სხვ. გარდაიცვალა 1933 წლის აპრილის 17, მოსკოვში. მისი ნეშტი (ფერფლი ურნით) თბილისში, საოპერო ბაღში დაკრძალეს ვანო სარაჯიშვილსა და ზ. ფალიაშვილის გვერდით.

სცენაზე გამოვიდა გიმნაზიაში სწავლის დროს, 1886 წელს (ზოგით, 1884), ქალის როლში (ნ. გოგოლის პიესაში „ЖЕНИТЬЯ“, აგაფია ტიხონის ასული). სცენისმოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენებს დგამდა სოფ. ყვარელში (სადაც, ერთსა და იმავე დროს, თვითვე იყო დეკორატორი, მსახიობი, რეჟისორი, მოკარნახე) და თელავში. მსახურობდა ქუთაისის სცენაზე. 1894 წლის ნოემბრის 27 თბილისის დრამატულმა დასმა სადებიუტო წარმოდგენაში („პატარა კახი“) კახის როლში გამოიყვანა, რასაც რეცენზია გულთბილად შეხვდა „ფრიად სასარგებლო არტისტი“ იქნებაო. მერე შეასრულა პიერი „ორ ობოლში“ და მასისიანი „ხათაბალაში“. 1894-1895 წლებში რუსეთის საიმპერატორო დრამატულ სკოლაში თავისუფალ მსმენელად დადიოდა, რასაც უსახსრობის გამო თავი გაანება და სამსახური დაიწყო. 1897-1903 წლებში რუსეთის დიდ პროვინციულ ქალაქებში (ელიზავეტგრადი, ქერჩი, ვიატკა, ტამბოვი, აშხაბადი, უფა, პერმი, კურსკი, ხარკოვი, ორიოლი, ლუგანსკი, მოსკოვი და სხვ.) მსახიობად მსახურობდა.

1905 წელს ნეზლობინის თეატრი კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული პიესით (მ. გორკის „მო-

აგარაკენი“) მოსკოვს ჩავიდა საგასტროლოდ. ამ დადგმას განსაკუთრებული მხატვრული წარმატება ხვდა, რის გამოც კ. მარჯანიშვილს გამარჯვება მიულოცეს კ. სტანისლავსკიმ და ა. სუმბათოვი-იუჟინმა. 1906-1907 წლებში ხარკოვში რამდენიმე პიესა დადგა, 1907-1908 წლებში კიევში მუშაობდა. სატატო ქალაქების გაზეთები დიდი ქებით იხსენიებდნენ მარჯანიშვილის ამ ხანის მუშაობას. 1909 წელს სოფიის (ბულგარეთი) სახელმწიფო თეატრმა გაიწვია. ამავე დროს, იგი სარეჟისორო ასპარეზზე გამოვიდა – 1899 წელს, ქ. ვიატკაში დადგა ან. ჩეხოვის „ბიძია ვანო“ („Дядя Ваня“), რითაც ყურადღება მიიპყრო, როგორც წარმოდგენის ორგანიზატორ-ოსტატმა. 1904 წელს ქ. რიგაში ნეზლობინის თეატრმა მიიწვია მთავარ რეჟისორად, – ეს თეატრი მოსკოვისა და პეტერბურგის შემდეგ ერთი მონიწვეთაგანი იყო. მოსკოვის სამხატვრო თეატრში მიიპატიჟეს, სადაც, სხვათა შორის, გორდონ კრევის თანარეჟისორობით, დადგა „ჰამლეტი“, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან – „ძმები კარამაზოვები“, დამოუკიდებლად – კნუტ ჰამსუნის „ცხოვრების კლანჭებში“ და ჰ. იბსენის „პერ გიუნტი“, რომლის განსახიერებით რამდენადაც საზოგადოებაში მოიპოვა დიდი სახელი, იმდენად სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელობა დარჩა უკმაყოფილო (რადგან კ. მარჯანიშვილის სარეჟისორო ხერხები და დებულებანი მიუღებლად მიიჩნია), რის გამოც სამხატვრო თეატრს ჩამოშორდა. ამ ხანებში თბილისში დადგა „მეფე ოდიპოსი“, ს. დიაგილევის მოწვევით პარიზში რამდენიმე წარმოდგენა გამართა.

მთელ რუსეთში კ. მარჯანიშვილი პირველი შეუდგა თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელებას – „სინთეტური თეატრის“ შექმნას, ე. ი. ისეთი თეატრისას, რომელშიაც სანახაობათა ხელოვნების ყველა გვარი – ოპერა, პანტომიმა, დრამა და ბალეტი – ერთმანეთში შერწყმული იქნებოდა. ამ მიზნით, მოსკოვში ჩამოაყალიბა „თავისუფალი თეატრი“ სადაც ერთ სეზონში (1913-1914 წწ.) ოთხი წარმოდგენა დაიდგა მისი გააზრებით, რომელთაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. მათგან საკუთრივ კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული „მშვენიერი ელენე“ რუსული ოპერის ისტორიაში რეჟისორული ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშად აღინიშნა.

1914-1915 წლებში, იმპერიალისტური ომის დროს, სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, საიდანაც მოსკოვის „პალას-თეატრის“ მეცადინეობით გაათავისუფლეს. 1916-1917 წლებში „პალას-თეატრში“ დადგა ოპერეტები: „ბოკაჩიო“, „მასკოტა“ და სხვ., რომელთაც ოპერეტების დადგმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ პეტერბურგის „სამების თეატრში“ მოუსწრო, სადაც კ. მარჯანიშვილმა მოლიერის „ძალად ექიმი“, ო. უაილდის „სალომეა“, უ. შექსპირის „მეცდომების კომედია“ დადგა (რუსულ ენაზე).

სამოქალაქო ომის ხანაში კ. მარჯანიშვილი ხან „უკრაინის მთავარი რეჟისორი“ იყო, ხან „კიევის მთავარი რეჟისორი“, ხან „უკრაინის თეატრების გაეროვნებულების კომისიის“ თავმჯდომარე, ანუ

კომისარი. 1919 წელს, კიევიში, ყოფ. სოლოვცევის თეატრში დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ („ფუნტე ოვეზუნა“), რომელმაც ბრძოლის ველზე მიმავალ მებრძოლთა რაზმებზე დიდი რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა და „თეთრების“ წინააღმდეგ გამარჯვებისთვის ალაფრთოვანა. სარდალმა კ. მარჯანიშვილს ხელი ჩამოართვა და უთხრა: „ჯარის ყველა ნაწილს ფრონტზე გამგზავრების წინ თქვენს წარმოდგენას ვუჩვენებთ და გამარჯვება უზრუნველყოფილია“-ო. აქვე დადგა „ინტერესთა თამაში“. 1920 წელს პეტროგრადში ჩამოაყალიბა კომიკური ოპერის თეატრი, ამავე 1920 წელს კომინტერნის კონგრესთან დაკავშირებით დეკორატიულად გააფორმა ქალაქი და საფონდო ბირჟასთან მასიური სანახაობა მოაწყო 75.000 ქალ-ვაჟის მონაწილეობით, რაც გამოხატავდა „კომუნისტურ იდეათა განვითარებას უტოპიიდან მეცნიერულ სოციალიზმამდე“ და სოციალიზმისთვის ბრძოლას, რამაც მთელი კონგრესი ალაფრთოვანა. დასრულდა აღლუმით, რომელიც მიიღო კომინტერნმა ლენინის მეთაურობით.

1922 წლამდე ლენინგრადის „კომიკურ ოპერაში“ მუშაობდა.

ქართული ეროვნული თეატრის აყვავებას ჯერ კიდევ ადრე – 1910-1914 წლებში შენატროდა, შესაფერის გეგმებსაც ქმნიდა, ხოლო ამ აზრის განხორციელებას საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ელირსა: 1922 წელს, განსახკომის განკარგულებით, რუსთაველის თეატრს ჩაუდგა სათავეში – იმ დროს, როცა რეპერტუარის უქონლობა, განსაკუთრებით, ხელმძღვანელთა არარაობა ქართულ თეატრს სიკვდილს უქადდა. პირველ ყოვლისა, შექმნა სათეატრო სტუდია, რომელშიც 1922 წლის აგვისტოს 31 მონვეული 100 გამოსაცდელი ახალგაზრდისაგან შესაფერი ნიჭიერი ძალები ამოირჩია, ხოლო ამავე წლის ნოემბრის 25 დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, რომელმაც თავისი შინაარსით, დადგმის თავისებურებით და სიახლით უზომო შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დღიდან დაიწყო ქართული თეატრის განახლება და გაფურჩქნა. აქ გამოიჩინა კ. მარჯანიშვილმა თავისი სარეჟისორო დიდი ოსტატობა. პიესა დადგა სრულიად ახალი ხერხით, რომელშიაც მხატვრობა, მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, სინათლეა და სხვ. ერთმანეთში იყო შექსოვილი, დაიდგა მანამდე უცნობი ახალი ძალებით და ქართული თეატრის ისტორიაში ართქმული, უსუფლიოროდ, რომლის მონაწილეებმა თავისი სასცენო უნარიანობით საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. ამ დროიდან სცენაზე ცალკეული პიროვნების ან მსახიობის მაგიერ კოლექტიურ-ანსამბლური შემოქმედება დამკვიდრდა, ყველა და ყველაფერი ერთი მთლიანი შეთანხმებული შემოქმედების ნაწილად გადიქცა, უძრაობა, ბორძიკი, შეუგნებლობა, მოკარნახე-სუფლიორი გაქრა. ასეთივე ოსტატობით დადგა: „გააზნაურებული მდაბიო“, „ჰამლეტი“, „ინტერესთა თამაში“, „მასკოტა“, „მალმტრემ“, „კაც-მასა“ და სხვ.

ქართული ეროვნული თეატრის, პროფესიონალური მსახიობისა და სათეატრო ხელოვნების ამ-

აღლების მიზნით, მისი მეთაურობით, რუსთაველის თეატრში ჩამოყალიბდა კორპორაცია „დურუჯი“, რომელიც თავისი მანიფესტით საზოგადოებას წარუდგა 1924 წლის იანვრის 21 და რომელსაც მიზნად ჰქონდა (წესდებით):

I. თეატრის იდეა – მართული თეატრი სრული დამოუკიდებელი მხატვრული შემოქმედების ფორმებში. ძიება თეატრალურ განსახიერების ქართული რასისა და ტემპერამენტის გამოსახვის: ა) რითმის, ბ) მეტყველების, გ) ემოციულობის ეპოქის მაჯისცემასთან შეფარდებული;

II. არტისტი პროფესიონალი – 1. არტისტი კულტურულად და მხატვრულად აღზრდილი; 2. არტისტი – აქტიური ელემენტი ხელოვნების სხვა დარგებისაც; 3. არტისტი – საზოგადოებრივი ცხოვრების ესთეტიური და ეთიკური ხელმძღვანელი; 4. არტისტი – ეროვნული კულტურის მტკიცედ დამცველი და გამტარებელი;

III. კორპორანტი – ძმობისა და მეგობრობის იდეის გამტარებელი;

IV. კორპორაცია – „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ (დაარსდა 1924 წლის იანვრის 5 და დიდი ბრძოლაც გადიტანა ძველ თეატრალთა წინააღმდეგ).

1925-1928 წლებში კინოში მუშაობდა, სადაც გამოაჩინა თეატრში მიღებული თავისი დიდი რეჟისორული ოსტატობა და მანამდე დადგმულ ზოგიერთი სურათის გასცენურების მაგიერ, დადგმებში შეიტანა ნამდვილი სიცოცხლე და სიცხოველე. ზ. ბერიშვილთან ერთად განსახიერა „სამანიშვილის დედინაცვალი“ – კინოკომედიის ერთ-ერთი პირველი ცდათაგანი; დამოუკიდებლად – „გოგი რატიანი“ (1927), „კრაზანა“ (1928), „კომუნარის ჩიბუხი“ (1929), რომელთა განსახიერებაში უმნიშვნელო საშუალებებით უდიდეს მხატვრულ ეფექტურობას მიიღწია. მანვე დადგა „ქარიშხლის წინ“; კინოს აღუზარდა მრავალი ნიჭიერი კინომუშაკი.

1928-1929 წლების სეზონში დააარსა ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო თეატრი, რომლის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები. ორი სეზონი ქუთაისში იმუშავა, სადაც დადგა: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ ერ. ტოლერისა, „ლიანდაგი გუგუნებს“ ე. კირშონისა, „წმინდა ქალწული (ჟანა დ'არკი)“ ბ. შოუსი, „ცხვრის წყარო“ ლოპე დე ვეგასი, „ურიელ აკოსტა“ კ. გუცკოვისა, „კაკალ გულში“ შ. დადიანისა, „ყვარყვარე თუთაბერი“ პ. კაკაბაძისა.

სეზონის ბოლოს მთელი დასით საგასტროლოდ გაემგზავრა ხარკოვს, მოსკოვსა და თბილისს. ეს იყო ქართული თეატრის პირველი გასტროლები რუსეთსა და უკრაინაში, რამაც თავისი მაღალი ხელოვნებით საერთო აღტაცება გამოიწვია და ქართული სასცენო ხელოვნება საბჭოთა კავშირის სათეატრო ხელოვნებათა მონიწივე რიგებში ჩააყენა, სახელი და დიდება მოუპოვა და ეროვნებათა შორის კულტურული ურთიერთობა, ძმობა-ერთობა განამტკიცა.

1930 წლიდან თბილისის ყოფ. ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლში ჩამოაყალიბა მეორე

სახელმწიფო დრამა თავისივე ხელმძღვანელობით (შემდეგში „კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრის“ სახელით წოდებული).

1930-1931 წლების სეზონში აქ დადგა „კომუნა სტეპში“ ნ. კულმისა, „არსენას ლექსი“, ხალხური, „სამი ბლენდი“ ი. ოლეჟასი, „პური“ ვ. კირმონისა, „პოემა ცულზე“ ნ. პოგოდინისა, გაიმეორა ძველი დადგმები, 1931-1932 წლებში: „ვარსკვლავები ანათებენ“ და „ცეცხლის ხაზი“ ი. მიკიტენკოსი, „მოხუცი ენთუზიასტი“ მუშა იაშვილისა, „სახლი მტკვრის პირზე“ კ. კალაძისა, „მუნჯები ალაპარაკდნენ“ გ. ბააზოვისა და სხვ.

კ. მარჯანიშვილს საქართველოში გადმოსვლის შემდეგაც ინვესტორს მოსკოვს სარეჟისორო მიზნით: 1931 წელს მოსკოვში, კორმის თეატრში დადგა „მშენებელი სოლნესი“, რომელმაც ცხოველი კამათი გამოიწვია. ბოლო ხანებში ერთსა და იმავე დროს მუშაობდა რამდენიმე თეატრში: მოსკოვის მცირე თეატრში დასადგმელად ამზადებდა ფ. შილერის „დონ კარლოსს“, ოპერეტასთვის – „ღამურას“, მოსკოვის დიდი საოპერო თეატრისათვის – „აბესალომ და ეთერის“, თბილისის ოპერისათვის – „ოტელოს“ და სხვ.

სასცენო მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე 300-ზე მეტი დადგმა ჰქონდა საბჭოთა კავშირის ყველა თვალსაჩინო ქალაქში, მათგან დაახლოებით 70 – ქართულ სცენაზე, საქართველოში.

საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც უდიდესი თავისებური ოსტატი სასცენო ხელოვნებისა, სცენაზე ხალისიანობის, სიცოცხლისა და მუდამ სიახლის შემტანი, მასიურ სანახაობათა გამართვის დიდი შემოქმედი, ფართო ფანტაზიის მქონე. სხვათა შორის, ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დადგა უაბესალომოდ, ე. ი. აბესალომის (ვანო სარაჯიშვილის) მაგიერ სცენაზე შუქი მოძრაობდა, რამაც მთელი საზოგადოება ააქეთინა. „ეს იყო მარჯანიშვილის ფანტაზიის ნაყოფი, რომლის მსგავსი დედამინის ზურგზე ასეთი არსად არაფერი გაკეთებულა“. კ. მარჯანიშვილმა „სძლია ძველი სათეატრო შემოქმედებითი ხერხები, სათეატრო ხელოვნებაში გამოიყენა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა, რადიო და კინო, გარდაჰქმნა მოდა“ და სხვ.

მან შექმნა არა მხოლოდ თავისებური წარმოდგენები, არამედ თეატრებიც, რომელთაც რუსული სათეატრო კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს, ხოლო ჩვენში გადატრიალება მოახდინეს. მის მიერ 1913 წელს, მოსკოვში შექმნილი „თავისუფალი თეატრიდან“ წარმოიშვნენ კომისარჟევსკის, კამერული და მოსკოვის დრამატული თეატრები; დიდი ღვაწლი შეიტანა მუსიკალური კომედიის შექმნაშიაც. თავისი შესანიშნავი ქართული დადგმებით („მზის დაბნელება საქართველოში“, „გმირი“, „ინტერესთა თამაში“ და სხვ.) სოციალისტური ხელოვნების კულტურა გაამდიდრა. „თეატრში დანერგა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, განამტკიცა შემოქმედებითი დისციპლინა, აამაღლა აქტიორული და რეჟისორული კულტურა, ქართუ-

ლი სასცენო ხელოვნება კუთხური გამოთქმებისაგან გასწმინდა, თეატრი ააშორა საყოფაცხოვრებო კილოს“ და სხვ. იგი მუდამ ხელოვნების რევოლუციურ მწვერვალზე იდგა და სასცენო ხელოვნებაში რამდენადაც ინტერნაციონალური იყო, იმდენად ნაციონალური, ნაციონალური ფორმით სოციალისტურ იდეათა გამავრცელებელი. მასთან ფართო მასიური: ყოველთვის, განსაკუთრებით, რევოლუციის შემდეგ, ცდილობდა მის მიერ დადგმულ პიესებს, მათს შინაარსსა და იდეას ფართე მასამდე მიეღწია, რისთვისაც წარმოსადგენი პიესების შინაარსს კონსპექტების სახით ხშირად ცალკე დაბეჭდილს – წინასწარ ავრცელებინებდა.

მეფის მთავრობის უსამართლობას რევოლუციურ პიესების დადგმით ებრძოდა, რის გამოც არაერთხელ განდევნეს ერთი ქალაქიდან მეორეში ან სხვაფრივ დაუსჯიათ.

როგორც რეჟისორი-მასწავლებელი, რამდენადაც პირად ურთიერთობაში იყო მოკრძალები, თავაზიანი, თითქმის მორცხვი, იმდენად რეპეტაციის დროს მძაფრი, მრისხანე, დაუნდობელი. მსახიობისაგან მტკიცედ მოითხოვდა ცხოვრების სინამდვილით განსახიერებას, არ მოსწონდა უნდილი მსახიობი: თუ უსიცოცხლობას შეატყობდა, მასთან მუშაობას შესწყვეტდა: არ სწამდა როლის დაღეჭვა. შესანიშნავი მეტყველი მკითხველი იყო: პიესას ისე წაიკითხავდა, რომ ყოველი ხატება, ყოველი მოქმედი პირი ცხოვლად თვალწინ დაგესახებოდა. ყოველ მსახიობს მისი ხასიათის, გემოვნებისა და გონებითი ავლა-დიდების შესაფერ როლს მისცემდა. სეზონის დასასრულს მომავალი წარმოსადგენი პიესების სიას გამოჰკიდებდა. ყველამ იცოდა, ვის რა უნდა შეესრულებინა და უნდა მომზადებულიყო. ყოველი დადგმის მიმართ შემოქმედებით ყურადღებას მოითხოვდა არა მხოლოდ მონაწილეთა, არამედ მთელი კოლექტივისას. სარეპეტიციო დარბაზში ბევრთად ათვალიერებდა დამსწრეთა გამომეტყველებას, ვერ იტანდა მუშაობისადმი გულგრილობას, არაკრიტიკულ დამოკიდებულებას. კომპოზიტორიც კი ყურადღებით უნდა მიჰყოლოდა პიესის ტექსტს, დადგმასა და მსახიობის თამაშს: დადგმას ერთ რიტმს უმორჩილებდა, მუსიკა-კი მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ყოველ პიესაში შემოქმედებითი შესწორება შეჰქონდა, ისე კი, რომ ავტორის აზრს არ არღვევდა. გაურბოდა არაბუნებრიობას. ყოველ პიესას თავისებური მზრუნველობით ეკიდებოდა, საკუთარი თეატრალური სტილით დგამდა. მისი დადგმის პრინციპი სინთეტიზმის განსახიერება იყო: მრავალიანობის სინთეზი უკიდურესობამდე დაყვანილი, ყოველი ინდივიდუალური მომენტი საერთო მთლიანობაში გახსნილი: მსახიობი, მუსიკოსი, დეკორატორი, ბუტაფორიც-კი გაერთსულოვნებული იყო.

კ. მარჯანიშვილის აზრით: რეჟისორი მაღალხარისხოვანი მაცურებელია, რომელიც მსახიობს ნიჭის გაშლაში ეხმარება, რეჟისორი კარგად შეკუმშულ-დახვეწილი წარმოდგენა-კონცერტების შემქმნელი უხილავი ლობტარია.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალი თაობის აღზრდას. მან გამოზარდა მსახიობთა, დრამატურგთა, მხატვართა, კომპოზიტორთა და რეჟისორთა მთელი თაობა, რომლებიც წარმოდგენებს დგამდნენ და სათეატრო ხელოვნებას დღითიდღე ამაღლებდნენ „უმარჯანიშვილოდ მარჯანიშვილისებურად“.

1931 წლის დეკემბრის 2 თბილისში გადახდილი იქნა კ. მარჯანიშვილის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის შესრულების იუბილე, რომლის დროსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მინიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება და ოქროს ყეტიონით დაასაჩუქრა, სახელმწიფო ორგანიზაციებმა ფულადი ჯილდო მიართვეს, დაარსდა მისი სახელობის სტიპენდიები და სხვ. მისი იუბილე ქართული თეატრის დღესასწაულად გადაიქცა. სხვათა შორის, მეორე სახელმწიფო თეატრის დარბაზს, სადაც იუბილე გაიმართა, ამშვენებდა წარწერა: „გაუმარჯოს ქართული თეატრის რეფორმატორს, გაუმარჯოს ქართული საბჭოთა თეატრის შემქმნელს კოტე მარჯანიშვილს“.

ალ. თაიროვის სიტყვით: „Имя Котэ Марджанишвили одинаково дорого всем нам. Выдающийся русский режиссер и подлинный реформатор грузинского театра, он, как замечательный советский художник, синтезировал в своем творчестве все лучшие черты культур обоих братских народов“ („Заря Востока“, 1947, 28 мая, № 105). მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ დანერგეს: ქვრივმა, ელენე დონაურმა – „მემუარები“, პ. კეშელავამ – მონოგრაფია. მრავალი წერილი აქვს მიძღვნილი ქართულ, რუსულ და სხვ. ენებზე.

კ. მარჯანიშვილის მდიდარი არქივი შეიძინა თბილისის თეატრალურმა მუზეუმმა. მეფის მთავრობა და ცენზურა სდევნიდა.

ცალკე გამოცემულია:

1. მემუარები და წერილები / [დ. ჯანელიძის წინასიტყვაობით]. - თბ.: ხელოვნება, 1947 (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტ.). - XV, 120 გვ.: პორტრ.; 22 სმ.

გამოქვეყნებულია:

1. საუბარი რეჟისორ კოტე მარჯანიშვილთან: [მომავალი სეზონის შესახებ]: [საუბარი აკადემიური დრამის სამხატვრო ნაწილის გამგესთან, ჩაინერა გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელმა] / თარგმანი შალვა დადიანისა // კომუნისტი. - 1923. - 1 ივნისი. - №123. - გვ. 4;
2. მსახიობთ, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მოქანდაკეთ და მუსიკოსთ! [მიმართვა]: მწერალთა და ხელოვნათა განცხადებანი და დეკლარაციები // ხელოვნების დროშა. - 1924. - №2. - გვ. 38;
3. ქართული თეატრის საკითხები // კავკასიონი. - 1924. - №1-2. - გვ. 193-199;
4. მხურვალე საღამო ძმური საბჭოთა უკრაინის ხელოვნების მუშაკებს: [წერილები] // კომუნისტი. - 1931. - 27 ივნისი. - №147. - გვ. 3. - წერილების ში-

ნაარსი: მთლიანი ფრონტით - პროლეტარული კულტურისათვის / ბ. ულენტი; „ბერეზილი“ / ს. მელნიკი; საღამო „ბერეზილი“ / კ. მარჯანიშვილი;

5. როგორ იპოვნა რეჟისორმა მსახიობი: ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი მემუარებიდან // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 7 ოქტომბერი. - №33;
6. გორკი და მარჯანიშვილი: კ. მარჯანიშვილის გამოუქვეყნებელი მემუარებიდან // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1947. - 27 მაისი. - №63;
7. „თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობს“: კ. მარჯანიშვილის სიტყვის ჩანაწერი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 20 აპრილი. - №16.

მის შესახებ:

1. კახეთის მოამბე. თელავი, 25 ნოემბერი // ივერია. - 1893. - 27 ნოემბერი. - №257. - გვ. 2;
2. მამალაძე, ს. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1893. - 19 დეკემბერი. - №275. - გვ. 3;
3. აბლოვი, ეკატერინე. ბ-ნო რედაქტორო! // ივერია. - 1894. - 16 მარტი. - №57. - გვ. 4;
4. ი-ა. თეატრი და მუსიკა // ივერია. - 1894. - 21 დეკემბერი. - №270. - გვ. 3
5. კვირას, 18 დეკემბერს... // ივერია. - 1894. - 15 დეკემბერი. - №265. - გვ. 1;
6. კვირას, 27 ნოემბერს... // ივერია. - 1894. - 26 ნოემბერი. - №251. - გვ. 1;
7. მანოელიძე (არტემ ახნაზაროვი). თეატრის მატთანე // ივერია. - 1894. - 29 ნოემბერი. - №252. - გვ. 4;
8. პროვინციელების საჩივარი და სათხოვარი // ივერია. - 1894. - 8 აპრილი. - №76. - გვ. 1-3;
9. № (ივანე პატაშვილი). თელავი // ივერია. - 1895. - 18 ივლისი. - №151. - გვ. 4;
10. X. თეატრის მატთანე // ივერია. - 1895. - 8 იანვარი. - №5. - გვ. 3;
11. ახალი ამბავი // ივერია. - 1895. - 10 აგვისტო. - №170. - გვ. 1;
12. ე-ძე, ი. (ილია ზურაბიშვილი). თეატრის მატთანე // ივერია. - 1895. - 6 იანვარი. - №4. - გვ. 3;
13. ი. (ილია ზარაფიშვილი). თეატრის მატთანე // ივერია. - 1895. - 22 აპრილი. - №84. - გვ. 3-4;
14. კვირას, 21 მაისს... // ივერია. - 1895. - 18 მაისი. - №103. - გვ. 1;
15. პარასკევს, 6 იანვარს... // ივერია. - 1895. - 4 იანვარი. - №2. - გვ. 1;
16. ატოს. ქართული თეატრი ქუთაისში // ცნობის ფურცელი. - 1896. - 16 ნოემბერი. - №28. - გვ. 2-3;
17. თეატრის მატთანე // ცნობის ფურცელი. - 1896. - 25 ოქტომბერი. - №6. - გვ. 2-3; 25 დეკემბერი. - №67. - გვ. 3-4;
18. ქართული თეატრი // ცნობის ფურცელი. - 1896. - 20 ოქტომბერი. - №1. - გვ. 3; 1 ნოემბერი. - №13. - გვ. 2-3; 6 დეკემბერი. - №48. - გვ. 3; 14 დეკემბერი. - №56. - გვ. 2-3;
19. დადვაძე, პ. „ლურჯი ჩიტი“ მ. მეტერლინკისა: კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული ოდესის საქალაქო თეატრში // ახალი დროება. - 1909. - 26 აპრილი. - №6. - გვ. 2-3;
20. გაზეთების სიტყვით... // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №9. - გვ. 16;

21. მარჯანიშვილი რეჟისორად // ხალხი. - 1910. - 15 თებერვალი. - №7. - გვ. 3. - ახალი ამბები;
22. კასრაძე, დ. ვლად. აღექსი-მესხიშვილი // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1913. - №3. - გვ. 39-49;
23. „ოქროს ვერძის“ ქრონიკა: ჩვენი თანამემამულე კ. მარჯანიშვილი... // ოქროს ვერძი. - ქუთაისი, 1913. - №3. - გვ. 48;
24. კ. მარჯანიშვილს, რუსეთში სახელგანთქმულ რეჟისორს... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №14. - გვ. 16;
25. რეჟისორი კ. მარჯანიშვილი... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №8. - გვ. 16;
26. საფაროვი, შაქრო. სტუმრად რეჟისორ კ. მარჯანიშვილთან // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №30. - გვ. 2-4. - დართული აქვს კ. მარჯანიშვილის პორტრეტი;
27. სარეჟისორო სკოლის მოწყობა... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №28. - გვ. 16;
28. წერეთელი, სვ. გადაუდებელი საკითხი // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №28. - გვ. 16;
29. ახალი თეატრი: [ინფორმაცია სეზონის გახსნის შესახებ 10 ნოემბერს ახალ თეატრში სპექტაკლით „სალომეა“ კოტე მარჯანიშვილის დადგმით] // კომუნისტი. - 1922. - 5 ნოემბერი. - №255. - გვ. 3;
30. გ. თ. ქართული თეატრის აღდგენა: [კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით] // კომუნისტი. - 1922. - 3 დეკემბერი. - №278. - გვ. 4;
31. დრამატული სტუდიის გახსნა: [რუსთაველის თეატრის სარკის დარბაზში დრამატული სტუდიის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით]: თეატრი და ხელოვნება // კომუნისტი. - 1922. - 5 ოქტომბერი. - №228. - გვ. 3;
32. თათბირი ქართული თეატრის შესახებ: [კრიზისი ქართული დრამისა] // კომუნისტი. - 1922. - 15 ნოემბერი. - №262. - გვ. 3;
33. კალაძე, რ. - ა) ქართული კულტურის კრიზისი: განსახკომის კაბინეტში მომხდარი სათეატრო თათბირის გამო: [გამოხმაურება] // კომუნისტი. - 1922. - 16 ნოემბერი. - №263. - გვ. 2; ბ) ჩვენი ძველი კულტუროსნები: [ქართული თეატრის შესახებ კოტე მარჯანიშვილის მოხსენების გამო] // კომუნისტი. - 1923. - 22 ივნისი. - №141. - გვ. 3-4;
34. კ. მარჯანიშვილი ქართული აკადემიური დასის მთავარ რეჟისორად: [ინფორმაცია ხელოვნების კომიტეტის მიერ კოტე მარჯანიშვილის დანიშვნის შესახებ] // კომუნისტი. - 1922. - 7 დეკემბერი. - №281. - გვ. 3;
35. რ. გ. - ა) რუსთაველის თეატრი: [რეცენზია სპექტაკლზე „ცხვრის წყარო“]: რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი // კომუნისტი. - 1922. - 28 ნოემბერი. - №273. - გვ. 3; ბ) რუსთაველის თეატრი: [კრიტიკული რეცენზია ოპერეტაზე „ნატერის თვალი“]: რეჟისორი კ. მარჯანიშვილი // კომუნისტი. - 1923. - 6 აპრილი. - №77. - გვ. 4;
36. რუსთაველი თეატრი: [ცხვრის წყარო კ. მარჯანიშვილის დადგმით] // კომუნისტი. - 1922. - 1 დეკემბერი. - №176. - გვ. 3;
37. ხელოვნება // კომუნისტი. - 1922. - 24 სექტემბერი. - №219. - გვ. 4; 28 სექტემბერი. - №222. - გვ. 3-4; 29 ოქტომბერი. - №249. - გვ. 3; 7 დეკემბერი. - №281. - გვ. 3; 19 დეკემბერი. - №291. - გვ. 2; 1923. - 3 მარტი. - №49. - გვ. 4; 17 მარტი. - №60. - გვ. 3; 22 მარტი. - №64. - გვ. 4; 24 მარტი. - №66. - გვ. 3;
38. ბუაჩიძე, შ. (შ. ბ.). - ა) ქართული აკადემიური დრამის სეზონის გახსნა: [სპექტაკლი „გაყრა“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით] // კომუნისტი. - 1923. - 20 ოქტომბერი. - №241. - გვ. 4; ბ) თეატრის გარშემო: ძველი თუ ახალი: [კორპორაცია „დურუჯის“ მანიფესტის გამო] // კომუნისტი. - 1924. - 22 თებერვალი. - №44. - გვ. 3;
39. გვიდო ფერანტი (ვაჩნაძე ვახტანგ). ქართული თეატრის ზეიმი: [ზ. ანტონოვის პიესა - ვინ არის დამნაშავე - რუსთაველის თეატრის სცენაზე კოტე მარჯანიშვილის დადგმით თეატრის დაარსებიდან 73 წლისთავეზე] // კომუნისტი. - 1923. - 4 იანვარი. - №2. - გვ. 4;
40. დამსწრე (კაკაბაძე მეთოდე). ქართული თეატრის ბედი: [ხელოვნების სასახლეში გამართული საჯარო სხდომის შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 21 ივნისი. - №140. - გვ. 4;
41. ვეფხისტყაოსნის მზადება რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით: [ხელოვნება] // კომუნისტი. - 1923. - 29 ნოემბერი. - №275. - გვ. 6;
42. ლონდა: [ინფორმაცია რუსთაველის თეატრში გრიგოლ რობაქიძის მისტერიის „ლონდას“ მესამედ ნაწილადგენის შესახებ კ. მარჯანიშვილის დადგმით] // კომუნისტი. - 1923. - 4 მარტი. - №50. - გვ. 4;
43. სპ-ლი, შ. ქართული დრამის 1922-23 წლის სეზონი: [რეცენზია სპექტაკლებზე] // კომუნისტი. - 1923. - 9 ივნისი. - №130. - გვ. 3-4;
44. ქართული დრამის ახალი დასი: 1923-1924 წლის სეზონი: განათლების კომისარიატმა დაამტკიცა რუსთაველის აკადემიური დრამის დასი შემდეგი შემადგენლობით: [2 რეჟისორის, 14 მსახიობი ქალის და 15 მამაკაცის სია] // კომუნისტი. - 1923. - 15 ივნისი. - №135. - გვ. 3;
45. ხელოვნება: [წერილები] // კომუნისტი. - 1923. - 21 თებერვალი. - №40. - გვ. 4; 18 დეკემბერი. - №291. - გვ. 5; 1924. - 21 ივნისი. - №140. - გვ. 3;
46. ახალი რევოლუციონური კინოსურათი: [სახელმწიფო კინომრეწველობა ამჟამად იღებს ახალ რევოლუციონურ კინოსურათს სახელით „წინააღმდეგობა“. სცენარი დაწერილია კ. მარჯანიშვილის და შ. დადიანის მიერ] // კომუნისტი. - 1924. - 23 აგვისტო;
47. გარვინი, იულიუს. თეატრი წარსულის და თეატრი მომავლის // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - № 2. - გვ. 1-3;
48. ლელი (მეტრეველი, ლევან). - ა) მალშტრემ: სახელმწიფო აკადემიური დრამა: [რეცენზია სპექტაკლზე „მალშტრემ“] // კომუნისტი. - 1924. - 31 ოქტომბერი. - №250. - გვ. 3; ბ) ქართული დრამის სეზონის გახსნა: [რეცენზია სპექტაკლზე „მათრახის პანაშვიდი“] / თარგმანი ალ. შანშიაშვილისა // კომუნისტი. - 1924. - 28 ოქტომბერი. - №247. - გვ. 5;

49. მსახიობთა დელეგაცია „კომუნისტის“ რედაქციაში: [კ. მარჯანიშვილის თაოსნობით, რედაქციაზე მსახიობთა ჯგუფის „თავდასხმის“ გამო] // კომუნისტი. - 1924. - 3 თებერვალი. - №28. - გვ. 3;
50. ქართველ მწერალთა და ხელოვანთა განცხადებანი და დეკლარაციები: [მონოდებები საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე ახალი ქვეყნის შენების მიზნით] // კომუნისტი. - 1924. - 13 ივლისი. - № 152. - გვ. 2;
51. ხელოვნება: სახელმწიფო დრამა: [გრიგოლ რობაქიძის მალტრემი რუსთაველის თეატრის სცენაზე 28 ოქტომბრიდან]: [ინფორმაცია] // კომუნისტი. - 1924. - 25 ოქტომბერი. - №245. - გვ. 1;
52. ვინჯან. დურუჯი: [კორპორაციის ერთი წლის არსებობის გამო] // კომუნისტი. - 1925. - 29 იანვარი. - №23. - გვ. 3;
53. ხელოვნების მუშაკთა ყრილობა: [ინფორმაცია შვიდი ჩატარებული სხდომის შესახებ] // კომუნისტი. - 1925. - 11-14 თებერვალი. - №34-37. - გვ. 2-3; 17 თებერვალი. - №39. - გვ. 2;
54. დურუჯი: [სადღესასწაულო გამოცემა. ჩვენს მასწავლებელს საპატიო კორპორანტს კოტე მარჯანიშვილს!] - 1926. - 29 იანვარი. - [გრ. რობაქიძის, ბიოგრაფ ანდრონიკაშვილის, შ. აფხაიძის, ივ. გომართელის, აკ. ფალავასი, აკ. ვასაძის, ბ. ჟღენტის, აღ. ახმეტელის, მ. საფაროვა-აბაშიძისა და სხვ. წერილების კრებული];
55. სკამი №107. გრ. რობაქიძის დრამა „ლამარა“ // კომუნისტი. - 1926. - 31 იანვარი. - №24. - გვ. 6;
56. შ. - ა) დეზერტირკა: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1926. - 2 ნოემბერი. - №250. - გვ. 4; ბ) კაკალ-გულში - შ. დადიანის: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1929. - 14 აპრილი. - №84. - გვ. 5;
57. შხეფი. - ა) ლამარა: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1926. - 10 ნოემბერი. - №257. - გვ. 4; ბ) სინათლე: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1926. - 25 ნოემბერი. - №270. - გვ. 4; გ) კინო: [შტეფან ცვაიგის მოთხრობის ამოკის ეკრანიზაცია] // კომუნისტი. - 1927. - 6 ოქტომბერი. - №226. - გვ. 4;
58. გორდეზიანი, ბ. (ბ. გ.). - ა) „ჰამლეტი“ რუსთაველის თეატრში: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1927. - 17 დეკემბერი. - №286. - გვ. 4; ბ) „ხელობა ბატონ კიურესი“: [თბილისის მუშათა თეატრის სპექტაკლი] // კომუნისტი. - 1927. - 31 დეკემბერი. - №298. - გვ. 3; გ) მეორე სახელმწიფო დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით: [სეზონის გახსნა] // კომუნისტი. - 1930. - 3 დეკემბერი. - №283. - გვ. 4; დ) ყოფილი კორმის თეატრის გასტროლები: [სპექტაკლი „მშენებელი სოლნესი“] // კომუნისტი. - 1931. - 2 ივნისი. - №125. - გვ. 4; ე) „ფსკერზე“: [მაქსიმ გორკის 4 მოქმედებიანი პიესით თბილისის სახელმწიფო რუსული თეატრის სეზონის გახსნა] // კომუნისტი. - 1932. - 11 ნოემბერი. - №261. - გვ. 4;
59. რეჟისორ მარჯანიშვილის ექსპედიცია: [ბათუმში კინოექსპედიციის თაობაზე] // კომუნისტი. - 1927. - 27 ოქტომბერი. - №244. - გვ. 6;
60. მალანჩიშვილი, ლ. კინო: [კინოსურათ ბორას შესახებ] // კომუნისტი. - 1928. - 5 მაისი. - №102. - გვ. 5;
61. ქიქოძე, პ. მეორე სახელმწიფო თეატრის გახსნა ქუთაისში // კომუნისტი. - 1928. - 6 ნოემბერი. - № 258. - გვ. 4;
62. გეგენავა, ს. ამხანაგო რედაქტორო: მადლობის გამოცხადება კ. მარჯანიშვილსა და თეატრის თანამშრომლებს სტუდენტთა სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის გამო // კომუნისტი. - 1929. - 4 ივნისი. - №125. - გვ. 4;
63. ვ. კომუნარის ჩიბუხი: [ინფორმაცია კინოსურათზე] // კომუნისტი. - 1929. - 20 იანვარი. - №16. - გვ. 6;
64. „კაკალ გულში“. დღეს ქუთაის-ბათუმის თეატრის მიერ კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ოპერის თეატრში აბონემენტის გარეშე წარმოდგენილ იქნება შ. დადიანის ორიგინალური კომედია „კაკალ გულში“ // კომუნისტი. - 1929. - 12 აპრილი;
65. ქუთაის-ბათუმის ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით: გასტროლები ტფილისში. - ტფ., 1929 (კ.წ.დ.ა. სტ.). - [14] გვ.;
66. სახელმწიფო ქართული დრამა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები ხარკოვსა და მოსკოვში. აპრილი-მაისი 1930. - ტფ.: სახელგამი, 1930 (ზარია ვოსტოკა-ს სტ.). - XIII, 78, [3] გვ.: [14] გვ. სურ. ტექსტში in recto;
67. დიდ ხელოვანს, ხელმძღვანელს და მასწავლებელს: [კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო] // კომუნისტი. - 1931. - 2 დეკემბერი. - №275. - გვ. 3. - ხელმოწერა: კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის კოლექტივი;
68. ჟღენტი, ბ. - ა) კოტე მარჯანიშვილი: [სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის შესრულების გამო] // კომუნისტი. - 1931. - 2 დეკემბერი. - №275. - გვ. 3; ბ) კოტე მარჯანიშვილის ხსოვნას // კომუნისტი. - 1933. - 29 აპრილი. - №99. - გვ. 3; გ) К. Марджанишвили и грузинская драматургия: [По поводу 75-летия со дня рождения] // Заря Востока. - 1947. - 29 мая. - №106;
69. შ-ო. მარჯანიშვილის 40 წლის იუბილე: [საზეიმო სხდომა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში] // კომუნისტი. - 1931. - 4 დეკემბერი. - №277. - გვ. 2;
70. ა. კ. კოტე მარჯანიშვილის ნეშტის დაკრძალვა // კომუნისტი. - 1933. - 30 აპრილი. - №100. - გვ. 4;
71. დონ კარლოსი მოსკოვის მცირე თეატრში: [წერილები]: კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების გამო // კომუნისტი. - 1933. - 21 აპრილი. - №92. - გვ. 4;
72. კოტე მარჯანიშვილი: [მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მისი გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1933. - 18 აპრილი. - №90. - გვ. 4;
73. კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების ორი წლისთავი // კომუნისტი. - 1935. - 17 აპრილი. - №91. - გვ. 2;
74. კ. მარჯანიშვილის ნეშტის ჩამოსვენება: [მოსკოვიდან თბილისში ჩამოსვენების შესახებ] // კომუნისტი. - 1933. - 27 აპრილი. - №97. - გვ. 4; 28 აპრილი. - №98. - გვ. 2;
75. კოტე მარჯანიშვილის სამოქალაქო პანაშვიდი: [თბილისის მეორე სახელმწიფო თეატრში] // კომუნისტი. - 1933. - 24 აპრილი. - №95. - გვ. 3;
76. კ. მარჯანიშვილის ცხედრის კრემაცია. კ. მარჯანიშვილის ნეშტის ჩამოსვენება // კომუნისტი. - 1933. - 26 აპრილი. - №96. - გვ. 4;

77. კ. მარჯანიშვილის ხსოვნას // კომუნისტი. - 1933. - 22 აპრილი. - №93. - გვ. 3;
78. კოტე მარჯანიშვილი: [წერილები გარდაცვალებასთან დაკავშირებით] // კომუნისტი. - 1933. - 20 აპრილი. - №91. - გვ. 4;
79. საყვარელიძე, პ. მუდამ სახსოვარი ადამიანი // კომუნისტი. - 1933. - 29 აპრილი. - №99. - გვ. 3;
80. ფალავა, ა. კოტე მარჯანიშვილი: [რეჟისორის გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1933. - 23 აპრილი. - №94. - გვ. 2;
81. ჩხეიძე, უშანგი. - ა) კოტე მარჯანიშვილის ხსოვნას // კომუნისტი. - 1933. - 17 ოქტომბერი. - №240. - გვ. 4; ბ) კოტე მარჯანიშვილი: რეჟისორი და ხელმძღვანელი / საქ. თეატრალური საზ-ბა. - თბ.: ხელოვნება, 1949 (საქ. სსრ პოლიგრ. და გამომც. საქმ. სამმართველო-2 სტ.). - 88 გვ.: 7 ფურც. პორტრ. და ილ.; გ) კოტე მარჯანიშვილი - რეჟისორი და ხელმძღვანელი // მნათობი. - 1949. - №5. - გვ. 104-145;
82. ჭავჭავაძე, თ. - ა) ჩვენი მასწავლებლის ხსოვნას: [კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1933. - 23 აპრილი. - №94. - გვ. 2; ბ) Моя жизнь в театре: [К 10-летию юбилею театра им. Марджанишвили] // Заря Востока. - 1939. - 15 января. - №12. - С.3; გ) მგზნებარე შემოქმედი: [კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან 12 წლისთავის გამო] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 20 აპრილი. - №14; დ) კოტე მარჯანიშვილი: გარდაცვალებიდან 14 წლის შესრულების გამო // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 20 აპრილი. - №16; ე) სცენის დიდი ოსტატი კოტე მარჯანიშვილი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 24 მაისი. - №20; ვ) დიდი ქართველი რეჟისორი: საქართველოს სახალხო არტისტის [წერილი]: [კ. მარჯანიშვილი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - 15 აპრილი;
83. ესკადრის დაღუპვა: კორნეიჩუკის პიესა ქართული თეატრის სცენაზე: მარჯანიშვილის თეატრის დადგმა // ლიტერატურული გაზეთი. - 1934. - №27. - ტექსტის ბოლოს: რეჟ. ნაკაშიძე;
84. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში: [კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების წლისთავისა და ე. ნინოშვილის გარდაცვალების 40 წლისთავის აღნიშვნის შესახებ] // კომუნისტი. - 1934. - 6 აპრილი. - №81. - გვ. 4;
85. კოტე მარჯანიშვილის თეატრში: [სამი წერილი შ. დადიანის პიესის „ჩატეხილი ხიდის“ დადგმის შესახებ] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1935. - №247. - გვ. 3;
86. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული მუშაკები მარჯანიშვილის თეატრში // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1935. - №250. - გვ. 4;
87. ჯანელიძე, დ. ფუტლიარში ჩაძინებული ნიჭი: „ოტელო“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში // საბჭოთა ხელოვნება. - 1935. - №3. - გვ. 4;
88. გრიშაშვილი, ი. მარჯანიშვილის სურათთან: [ლექსი] // კომუნისტი. - 1936. - აპრილი. - №89. - გვ. 2;
89. კოტე მარჯანიშვილი: [გარდაცვალებიდან 3 წლის შესრულების გამო] // კომუნისტი. - 1936. - აპრილი. - №89. - გვ. 2;
90. ფაშალიშვილი, ს. კ. მარჯანიშვილის ხსოვნას: [გარდაცვალებიდან 3 წლის შესრულების გამო] // მუშა. - 1936. - აპრილი. - №89. - გვ. 2;
91. Мистерия „Буфф“ В. Маяковского в творческих исканиях К. Марджанишвили // Заря Востока. - 1936. - январь. - № 9. - С.4. - Подпись: Б. Ш.;
92. ავაზაშვილი, ა. თეატრალური ხელოვნების გენიალური ოსტატი: 5 წელი კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1938. - 17 აპრილი. - №88. - გვ. 3;
93. კეშელავა, პ. - ა) კოტე მარჯანიშვილის უკანასკნელი დადგმები: კ. მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან 5 წლის შესრულების გამო // ლიტერატურული საქართველო. - 1938. - 26 აპრილი. - №10. - გვ. 4; ბ) К. Марджанишвили о А. М. Горьком // Заря Востока. - 1938. - 28 марта. - №71. - С.3; გ) დიდი ქართველი რეჟისორი: [კ. მარჯანიშვილი] // ლენინური გზით. - ყვარელი, 1947. - 2 ივლისი. - №52-53;
94. ნარიძე, გ. კოტე მარჯანიშვილი: [დიდი ხელოვანის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ] // მუშა. - 1938. - 16 აპრილი. - №87. - გვ. 3;
95. დონაური, ელენე. - ა) ათი წლის მანძილზე: [თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრი] // კომუნისტი. - 1939. - 9 იანვარი. - №7. - გვ. 4; ბ) Как работал К. А. Марджанишвили: [Воспоминания в связи с 10-летием театра им. Марджанишвили] // Заря Востока. - 1939. - 15 января. - №12. - С.3;
96. ლუნდბერგი, ე. კოტე მარჯანიშვილი: [როგორც არტისტი და რეჟისორი] // საბჭოთა ხელოვნება. - 1939. - №10. - გვ. 18-26;
97. მემუარები და დოკუმენტები კ. ა. მარჯანიშვილის არქივიდან // კომუნისტი. - 1939. - 9 ივლისი. - №155. - გვ. 4; საბჭოთა აფხაზეთი. - 1939. - 8 ივლისი. - №154. - გვ. 4;
98. ღამბაშიძე, შ. - ა) კოტე მარჯანიშვილი [გარდაცვალებიდან 6 წლის გამო] // კომუნისტი. - 1939. - 16 აპრილი. - №87. - გვ. 3; ბ) სიახლის მაძიებელი [კოტე მარჯანიშვილი]: გარდაცვალებიდან თერთმეტი წლისთავის გამო // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1944. - 21 აპრილი. - №14; გ) კოტე მარჯანიშვილი: [გარდაცვალებიდან 13 წლის შესრულების გამო] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 12 აპრილი. - №16; დ) ჩვენი მასწავლებელი კ. მარჯანიშვილი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 24 მაისი. - №20; ე) Воспитатель актеров: [К. Марджанишвили] // Заря Востока. - 1947. - 28 мая. - №105; ვ) კ. მარჯანიშვილი და ახალგაზრდა მსახიობის აღზრდის საკითხი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - №14. - გვ. 4;
99. Архив К. Марджанишвили [приобретен Тбилисском государственным театральным музеем] // Заря Востока. - 1939. - 8 июля. - №151. - С.4;
100. Глебов, Г. Марджанишвили и Маяковский: В музее театра Руставели // Заря Востока. - 1939. - 18 января. - №15. - С.3;
101. Из воспоминаний К. А. Марджанишвили. 1904-1905 г.г.: Накануне 10-летия имени К. Марджанишвили // Заря Востока. - 1939. - 12 января. - №10. - С.3;

102. *Славный юбилей: [10-летие театра им.Марджанишвили]: [Передовая] // Заря Востока. - 1939. - 15 января. - №12. - С. 1;*
103. ანთაძე, დ. – ა) კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი სისტემა: [ქუთაისის თეატრის 60 წლისთავისათვის] // „ქუთაისის თეატრი“ ერთდროული საიუბილეო გამოცემა. - 1940. - 1 ივლისი; ბ) მარჯანიშვილი და ქუთაისის თეატრი // კომუნისტი. - 1940. - 30 ივნისი. - №149; გ) თეატრის გამოჩენილი მოღვაწე: [კ. მარჯანიშვილი] // ინდუსტრიული ქუთაისი. - ქუთაისი, 1947. - 14 ივნისი. - №111; დ) კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა // მნათობი. - 1947. - №5. - გვ. 148-159;
104. ბუხნიკაშვილი, გ. – ა) *Котэ Марджанишвили: К 10-летию со дня смерти режиссера театра и кино К. Марджанишвили // Заря Востока. - 1943. - 17 апреля;* ბ) კოტე მარჯანიშვილი ქალაქ ვიატკაში // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 7 სექტემბერი. - № 36; გ) კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის შესახებ // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 24 მაისი. - №20; დ) *Творческий путь Коте Марджанишвили // Заря Востока. - 1947. - 28 мая. - №105;*
105. ანჯაფარაძე, ვ. – ა) დიდი ხელოვანი: კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან თერთმეტი წლისთავის გამო // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1944. - 21 აპრილი. - №14; ბ) აქტიორთა შესანიშნავი აღმზრდელი // კომუნისტი. - 1947. - 28 მაისი. - №106;
106. ჭელიძე, ს. კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან 12 წლის შესრულების გამო // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 20 აპრილი. - №14;
107. Крыжицкий, Г. Константин Александрович Марджанов: (Котэ Марджанишвили) 1873-1933 / Г. Крыжицкий; [Ред. О. Россихина]. - М.; Л.: Искусство, 1946 (Тип. «Красный печатник»). - 72 с.: 1 вкл. л. фронт. портр.;
108. გერსამია, ს. „თავისუფალი თეატრის“ წარმოშობის შესახებ კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 24 მაისი. - №20;
109. დადიანი, შ. მზიური: [კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 24 მაისი. - №20;
110. კეველიშვილი, გ. მარჯანიშვილი და ქართული თეატრი // ლენინური გზით. - ყვარელი, 1947. - 2 ივლისი. - №52-53;
111. კოლხი, კ. კოტე მარჯანიშვილი: [დაბადებიდან 75 წლისთავის გამო] // საბჭოთა აჭარა. - ბათუმი, 1947. - 28 ივნისი. - №104;
112. კოტე მარჯანიშვილი. 1872-1947: [წერილები და შენიშვნები] // ლენინური გზით. - ყვარელი, 1947. - 2 ივლისი. - №52-53;
113. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავი: [28 მაისი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 2 მარტი. - №9;
114. კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო დღეები თბილისში // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 31 ივნისი. - №21;
115. კოტე მარჯანიშვილის საღამო ჭიათურაში // კომუნისტი. - 1947. - 18 ივნისი. - №121;
116. კოტე მარჯანიშვილის ხსოვნის საღამო: [ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში 28 მაისს] // კომუნისტი. - 1947. - 20 მაისი. - №107;
117. მარჯანიშვილის ხსოვნის საღამო ქუთაისში: [14 ივნისი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 21 ივნისი. - №24;
118. მალაზონია, ნ. კოტე მარჯანიშვილი: [ლექსი] // საბჭოთა აჭარა. - ბათუმი, 1947. - 6 ივლისი. - №132;
119. მარჯანიშვილი, ვ. საინტერესო გამოფენა: [კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - №24;
120. მარჯანიშვილი, კ. პირველი ნაბიჯები: ნაწყვეტები კ. მარჯანიშვილის გამოუქვეყნებელი მემუარებიდან] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 24 მაისი. - №20;
121. საბჭოთა სცენის დიდი ოსტატი: [75 წელი კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან] // ნორჩი ლენინელი. - 1947. - 29 მაისი. - №22;
122. საფაროვა-აბაშიძე, მ. კოტეს ბავშვობა: [მაკო საფაროვა - აბაშიძის მოგონებებიდან] // ლენინური გზით. - ყვარელი, 1947. - 2 ივლისი. - №52-53;
123. შადური, რ. საბჭოთა სცენის დიდი შემოქმედი: [75 წელი კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან] // კომუნისტი. - 1947. - 28 მაისი. - №106;
124. ხარაზიშვილი, ს., უგულავა ირ. დიდი ხელოვანის გზა: [75 წელი მარჯანიშვილის დაბადებიდან] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1947. - 27 მაისი. - №63;
125. Васадзе, А. Несравненный мастер грузинской сцены: [К 75-летию со дня рождения К. Марджанишвили] // Заря Востока. - 1947. - 28 мая. - №105;
126. *Выдающийся деятель советского театра: [К 75-летию со дня рождения К. А. Марджанишвили] // Заря Востока. - 1947. - 28 мая. - №105;*
127. *Из воспоминаний К. Марджанишвили // Заря Востока. - 1947. - 28 мая. - №105;*
128. *К 75-летию со дня рождения К. А. Марджанишвили // Заря Востока. - 1947. - 8 марта. - №50; 23 мая. - №101;*
129. *Кедров, Месхетели, Прудкин и др. Высоко чтим память К. А. Марджанишвили // Заря Востока. - 1947. - 28 мая. - №105;*
130. *Кутаисский театр чтит память Коте Марджанишвили: [14 июня] // Заря Востока. - 1947. - 14 июня. - №117;*
131. *Реформатор грузинского театра: [К 75-летию со дня рождения К. А. Марджанишвили] // Молодой сталинец. - 1947. - 31 мая. - №65;*
132. *Торжественное заседание, посвященное 75-летию со дня рождения К. Марджанишвили // Заря Востока. - 1947. - 31 мая. - №107;*
133. *Февральский, А. Спектакль, возродивший театр: [По поводу постановки К. Марджанишвили пьесы „Фуэнтте овехуна“] // Заря Востока. - 1947. - 28 мая. - №105;*
134. *კოტე მარჯანიშვილი, 1872-1947: საიუბილეო კრებული / [რედ.: ს. ჭილაია, ბ. ჟღენტი, ს. გერსამია]; საქ. თეატრ. საზ-ბა. - თბ.: ხელოვნება, 1948 (თსუ-ს სტ.). - 276 გვ.: პორტრ. და ილ., 3 ჩართ. ფურც. პორტრ. და ილ.;*

135. მარკოზოვი, ლ. შემოქმედებითი გამარჯვება // სახალხო განათლება. - 1948. - 23 ნოემბერი. - № 48;
136. სიგუა, ა. დიდად საყურადღებო წიგნი: [“მემუარები”] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - № 18. - გვ. 4;
137. ცერცვაძე, ლ. წიგნი დიდ ქართველ რეჟისორზე [კოტე მარჯანიშვილზე]: [რეცენზია] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1949. - 27 თებერვალი. - №9;
138. ბაგრატიონი, ლ. წიგნი დიდ ქართველ რეჟისორზე: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1950. - 29 მარტი. - №67;
139. ბეროშვილი, ი. კოტე მარჯანიშვილს: [ლექსი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1950. - 29 ოქტომბერი. - №44;
140. ბურთიკაშვილი, ალ. წიგნი დიდ ხელოვნებაზე: [რეცენზია] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1950. - 11 ივნისი. - №24.

წყარო:

1. იმედაშვილი, იოსებ. ქართული კინო // თეატრი და ცხოვრება. - 1925. - № 5. - გვ. 5;
2. სათეატრო მიმოხილვა. ქართული აკადემიური დრამა // თეატრი და ცხოვრება. - 1925. - № 3. - გვ. 15;
3. დუდუჩავა, შ. საქართველოს მხატვრული კულტურა 10 წლის თავზე // მნათობი. - 1931. - № 1-2. - გვ. 238;
4. კოგანი, ვლ. რეჟისორ კ. მარჯანიშვილის 40 წლის სათეატრო მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეზე // მუშა. - 1931. - 4 დეკემბერი. - № 275. - გვ. 3;
5. შ-ო. მარჯანიშვილის 40 წლის იუბილე: [საზეიმო სხდომა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში] // კომუნისტი. - 1931. - 4 დეკემბერი. - №277. - გვ. 2;
6. გარდაიცვალა კოტე მარჯანიშვილი // კომუნისტი. - 1933. - 18 აპრილი. - № 90;
7. გრიშაშვილი, ი. ქართული თეატრის გაზაფხული // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1933. - 27 აპრილი. - № 97;
8. კოგანი, პ. ს. მარჯანიშვილი ფეხდაფეხ მიჰყვება ეპოქას // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1933. - 27 აპრილი. - № 97;
9. ლუნარსკი, ა. ახალი ქართული თეატრის შემქმნელი // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1933. - 27 აპრილი. - № 97;
10. Дадвадзе, П. Памяти мастера сцены // Заря Востока. - 1933. - 18 апреля. - № 90;
11. К. А. Марджанишвили // Заря Востока. - 1933. - 18 апреля. - № 90;
12. ანთაძე, დ. უმარჯანიშვილოდ, მაგრამ მარჯანიშვილისებურად // საბჭოთა ხელოვნება. - 1934. - № 4;
13. Малая советская энциклопедия [Текст] / Глав. ред. Н. Л. Мещеряков. - 2-е изд. - Т. 6: Кумыки-Модика [Текст]. - Москва: Советская энциклопедия, 1937. - Стр. 545;
14. Джanelidze, D. Первый спектакль грузинского советского театра // Вечерний Тбилиси. - 1937. - 25 ноября. - № 271;
15. ნარიძე, გ. კოტე მარჯანიშვილი: [დიდი ხელოვანის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ] // მუშა. - 1938. - 16 აპრილი. - №87. - გვ. 3;

16. Из мемуаров К. Марджанишвили: [Отрывок] // Вечерний Тбилиси. - 1938. - 16 апреля. - № 87;
17. Кешелავა, платон. Крупнейший мастер театра // Вечерний Тбилиси. - 1938. - 16 апреля. - № 87;
18. Чиаурели, М. Э. К. Марджанишвили - кинорежисер // Вечерний Тбилиси. - 1938. - 16 апреля. - № 87;
19. დონაური, ელენე. - ა) ათი წლის მანძილზე: [თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრი] // კომუნისტი. - 1939. - 9 იანვარი. - №7. - გვ. 4; ბ) Как работал К. А. Марджанишвили: [Воспоминания в связи с 10-летием театра им. Марджанишвили] // Заря Востока. - 1939. - 15 января. - № 12. - С.3;
20. ლამბაშიძე, შალვა. კოტე მარჯანიშვილი [გარდაცვალებიდან 6 წლის გამო] // კომუნისტი. - 1939. - 16 აპრილი. - №87. - გვ. 3;
21. Альтман, Иоганн. Театр им. К. Марджанишвили // Известия. - 1939. - 5 сентября. - № 206;
22. Чавчавадзе, Т. Моя жизнь в театре: [К 10-летию юбилею театра им. Марджанишвили] // Заря Востока. - 1939. - 15 января. - № 12. - С.3;
23. მესხი, დავით. მოგონებანი. - თბ.: ფედერაცია, 1940. - გვ. 44;
24. შადური, რ. ს. ახალი ამოცანების წინაშე // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 20 ოქტომბერი. - № 41;
25. Крыжицкий, Г. Константин Александрович Марджанов: (Котэ Марджанишвили) 1873-1933 / Г. Крыжицкий; [Ред. О. Россихина]. - М.; Л.: Искусство, 1946 (Тип. «Красный печатник»). - 72 с.: 1 вкл. л. фронт. портр.;
26. ბერულავა, ხუტა. კოტე მარჯანიშვილის საღამო მოსკოვში // კომუნისტი. - 1948. - 24 ნოემბერი. - № 233;
27. ვასაძე, აკ. სამხატვრო თეატრი და საქართველოს თეატრალური ცხოვრება // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - № 43;
28. შალიკაშვილი, ა. სამხატვრო თეატრი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - 24 ოქტომბერი. - № 42;
29. ცერცვაძე, ლიუდმილა. კ. მარჯანიშვილი და სამხატვრო თეატრი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - 31 ოქტომბერი. - № 43.

მარჯანიშვილი, მიხეილ ნიკოლოზის ძე
 (– 1919) – მოკარნახე, მთარგმნელი, – მოღვაწეობა დაიწყო 1892 წელს ქუთაისში, კ. მესხის დასში. არაჩვეულებრივი უნარის მოკარნახე იყო. ქუთაისის თეატრის დანვის შემდეგ, მ. მარჯანიშვილმა დასი შეადგინა და წარმოდგენების მართვა დაიწყო ხარაზოვის თეატრში. 1909 წლიდან ბაქოში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართული სცენის წინსვლის საქმეში. თარგმნა პიესები: „კაეზანი“, „ახალი სისტემა“, „მეამბოხე“, „პაულ და ანგე“ და სხვ. ორგზის გადუხადეს იუბილე – 10 წლის და 20 წლის.

მის შესახებ:

1. ბაქოს დასი. 1914-1915: [დასის მსახიობთა პორტრეტები] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №37. - გვ. 9-10;

2. ი.ი. მიხეილ ნიკოლოზის ძე მარჯანიშვილი: [ნეკროლოგი] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - №9. - გვ. 3.

წყარო: არ არის მითითებული.

მასხულია, ვასილ ალექსანდრეს ძე

(1865 – 1951, 20/VIII) – მუშა-მწერალი, პირველი მუშკორი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა სოფ. აბაშას, სენაკის მაზრა, ღარიბ ოჯახში. პირველდანიეებითი სწავლა მიიღო ლანჩხუთის სასოფლო სკოლაში, 4 კლასის ცოდნის გამოცდა ჩააბარა მარტვილის სასწავლებელში და (ტელეგრაფის შესწავლით) 1883 წელს სამსახური დაიწყო რკინიგზაზე. თავიდანვე ჩაება საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოძრაობაში (ეგ. ნინოშვილის, მ. ცხაკაიას და სხვათა გავლენით), უმთავრესად – რკინიგზის მუშათა კულტურული დანიშნულების საქმეში. 1890 წლიდან გაზ. „ივერიამი“ ტყიბულის მალაროს მუშების უნუგეშო მდგომარეობაზე წერილებს ათავსებდა და მათ ინტერესებს იცავდა, რის გამოც 1896 წელს, როცა ა/კ რკინიგზა თავისი არსებობის 25 წლის იუბილეს იხდიდა, ვ. მასხულიამ მუშა-მოსამსახურეთა სახელით მიმართა გზის უფროსს (ინჟ. ვედენეევს), რათა ამ დღესასწაულის აღსანიშნავად, ღარიბ მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში რამდენიმე სტიპენდია დაენიშნა, ხოლო დიდ სადგურებსა და სახელოსნოებში წიგნთსაცავ-სამკითხველოები გაეხსნა და ყველა სადგურში თითო ცალი რუსულ-ქართული გაზეთი გამოეწერა. თუმცა გზის უფროსი პირველად ამის წინააღმდეგი იყო (ინჟ. ვედენეევი ამტკიცებდა, ჟურნალ-გაზეთები მუშებისათვის არავითარ სულიერ საზრდოს არ წარმოადგენს, სტიპენდიების დანიშვნა კი სახელმწიფო და კერძო პირთა თაოსნობის საქმეა, თუ მუშა-მოსამსახურეთ სურთ – შეუძლიათ, ფული გაიღონ და დააარსონ სტიპენდიებიო), ბოლოს მაინც ვ. მასხულიამ გაიმარჯვა: რკინიგზამ რამდენიმე სტიპენდია დანიშნა და სამკითხველოებიც დააარსა დიდ სადგურებსა და სახელოსნოებში. ვ. მასხულიამ მოითხოვა, ბათუმის რკინიგზის უმთავრესი ხაზი სადგურ რიონიდან ქუთაისში შესულიყო, აქედან – სადგურ კოპიტნარზე გავლით, რაც ბათუმ-ქუთაისის ხაზს 10 ვერსით ამოკლებდა. მანვე აღძრა საკითხი შავი ზღვის რკინიგზის მიმართულების შეცვლის შესახებ (ქუთაისი, ხონი, მარტვილი, სალხინო, ზუგდიდი და სხვ.).

1905 წელს, სადგურ ქვალონში უფროსად ყოფნის დროს, აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. მის ბინაზე იმართებოდა რევოლუციონერთა არალეგალური კრებები, სადაც იხილებოდა და წყდებოდა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვისა და სხვა საკითხები. ფოთიდან გამომგზავრებული საბარგო მატარებელი,

რომელსაც მთავრობის თოფები (ვინტოვკები) მოჰქონდა, ვ. მასხულიასთან წინასწარი შეთანხმებით და წინადადებით, მთავარმა კონდუქტორმა კუკავამ ჭალადიდის ტყეში გააჩერა, რომლისგანაც რევოლუციონერებმა იარაღი გადმოტვირთეს და ტყეში გადაამალეს.

1917 წლის რევოლუციამ მას მოუსწრო რკინიგზის ხაზზე – ევლახის რაიონში, საიდანაც იგი მუშა-მოსამსახურებმა თბილისში გაგზავნეს პირველ საოლქო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობაზე დეპუტატად. შემდეგ გადაიყვანეს ქუთაისში, სადაც 1918 წელს მუშა-მოსამსახურებმა რკინიგზის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ კომიტეტმა, ვ. მასხულიას თაოსნობით, ქუთაისის ქალაქის საბჭოს გადააბარა ოსმალთა შემოტევების დროს ბათუმიდან და ტრაპიზონიდან გამოტანილი აუარებელი ქონება. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ვ. მასხულიას მოთხოვნით (გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1927, 27 იანვარი), რკინიგზის სამმართველომ შეცვალა სადგურებიდან შემოსული ფულის თბილისში გადაგზავნის წესი, რომლის წყალობით რკინიგზას ყოველწლიურად ასი ათასი მანეთის ეკონომია რჩებოდა.

ვ. მასხულია წერდა, უმთავრესად, სწავლა-განათლების, კოოპერაციის, ქვანახშირისა და შავი ქვის მრეწველობის, მუშათა მდგომარეობის და სხვა საზოგადოებრივ-კულტურულ საკითხთა შესახებ, ხანდახან – ლექსებსაც (ზოგჯერ ფსევდონიმებით: მეგრელი, შიკრიკი, ვ. მ., ვ. ოდიშელი, ვ. მ-ლია და გორაციო). ვ. მასხულია თავის ნაწერებით იცავდა საქართველოს მთლიანობას და მშრომელი ხალხის ინტერესებს. იგი შეღალაღებდა:

„შრომის მოყვარე გამხადე,
რომ ოფლით ვჭამო პური,
ჩემს სამშობლოს მამსახურე,
არავის მქონდეს შურია“-ო.

ვ. მასხულიას აზრით: „რომელი ერიც თავის თავს და სამშობლო ენას ღალატობს, იმ ერს თავის დღეში სიკეთე არ დაეყრება...“

ვ. მასხულიამ გაილაშქრა იმ თავის თანამემამულეთა წინააღმდეგაც, რომელთაც (რუსების – ვოსტორგოვ-ლევიცკების შთაგონებით) მეგრელებისათვის ახალი ანბანის შექმნა განიზრახეს და, ბოლოს, შიგადაშიგ ავტონომიაზე დაიწყეს ლაპარაკი დედა-საქართველოდან განცალკევების მიზნით. ვ. მასხულია წერდა: „თითქმის ნახევარი ქართული სიტყვებია მეგრულს კილოში და როდესაც ასეთი ნათესაობაა ქართულსა და მეგრულს შორის“, რათ უარპყოფთ ქართველებთან ნათესაობასა და ქართულ წერა-კითხვასო: „დღეს სამეგრელოს მშრომელ ხალხს ავტონომია კი არ უნდა, არამედ დანარჩენ ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად მუშაობა ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული წარმატებისათვისო“.

მანვე პირველმა აღძრა საკითხი ქართველ მსახიობთა დასახმარებლად „საპენსიო თანხის“ შედგენისათვის, ქუთაისში ბაგრატიის ტაძრის კედლების დაცვისათვის გალაგნის შემოვლებით (რა-

თა “შეგუნარჩუნოთ იგი მომავალ თაობას“, რისთვისაც იმ ხანად ფულიც შეიკრიბა; ეგ. ნინოშვილის საფლავზე რკინა-ბეტონის მოაჯირის გასაკეთებლად (ფული შეიკრიბა და ეს დავალება თვითონ აღასრულა 1912 წელს) და სხვ.

გარდაიცვალა 1951 წლის 20 აგვისტოს, ღამის 1-ელ სთ-ზე. დაიკრძალა ვაკის სასაფლაოზე 23 აგვისტოს.

ვ. მასხულის ნაწერთაგან აღსანიშნავია:

1. საერთო წყლულის განკურნების სახსარი // მწყემსი. - 1890. - №20. - გვ. 6-10;
2. მეგრულ ენაზე წერა-კითხვის გამოგონების გამო // მწყემსი. - 1891. - №1. - გვ. 3-4;
3. მეგრულს კილოზე წერა-კითხვის შემოღების გამო // ივერია. - 1891. - 2 თებერვალი. - №26. - გვ. 2;
4. ტყიბულის ქვის ნახშირი: (წერილი ურგებიდან) // ივერია. - 1891. - 6 ნოემბერი. - №236. - გვ. 1-2;
5. ჩემი ლოცვა: [ლექსი] // მწყემსი. - 1891. - №7. - გვ. 11;
6. წერილი ტყიბულიდან // ივერია. - 1893. - 11 ივნისი. - №121. - გვ. 2-3; დასასრული იხ: 12 ივნისი. - №122. - გვ. 2-3;
7. ტყიბულის ავ-კარგაიანობა. ქვის-ნახშირის მადნები. ნაქერლას გზატკეცილი. ბაზრობის დამტკიცება და კურთხევა... ფოსტის საჭიროება // ივერია. - 1894. - 21 სექტემბერი. - №200. - გვ. 1-3;
8. ტყიბულის ქვის ნახშირის მადნები: (წერილი ურგებიდან) // ივერია. - 1894. - 1 აპრილი. - №70. - გვ. 1-2;
9. ქუთაისის ძველი ტაძრის ნანგრევი: [ბაგრატის ტაძრის] // კვალი. - 1895. - №39. - გვ. 8-10;
10. დიდმა მსხვერპლმა დიდი ნაყოფი იცის // საქართველო. - 1908. - №2. - გვ. 4-5;
11. ქუთაისის წყალსადენის საკითხი // კოლხიდა. - 1911. - 1 ივლისი. - № 76;
12. შავი ზღვის რკინიგზის მიმართულების შესახებ // კოლხიდა. - 1911. - 11 ივნისი. - № 60. - იგივე რუსულად იხ.: Вестник Закавказской железной дороги. - 1911. - № 8;
13. სამეგრელოს „ავტონომისტების“ საპასუხოდ // კომუნისტი. - 1925. - 24 სექტემბერი. - №219. - გვ. 1.

აგრეთვე, გამოქვეყნებულია:

1. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1890. - 2 მაისი. - №92. - გვ. 3; 1892. - 25 აპრილი. - №86. - გვ. 4; 28 ნოემბერი. - №252. - გვ. 3-4; 31 დეკემბერი. - №278. - გვ. 4; 1893. - 17 იანვარი. - №11. - გვ. 3-4; 4 მაისი. - №92. - გვ. 3-4;
2. რკინის გზაზე მოსამსახურე ქართველთა საყრადღებოდ // ივერია. - 1891. - 17 აგვისტო. - №174. - გვ. 3-4;
3. სამტრედია // ივერია. - 1892. - 2 მაისი. - №92. - გვ. 3;
4. სოფ. საჭივალო // ივერია. - 1892. - 8 თებერვალი. - №30. - გვ. 3;
5. სოფ. ტყიბული // ივერია. - 1892. - 2 აგვისტო. - №163. - გვ. 3-4; 30 სექტემბერი. - №206. - გვ. 2;
6. წერილი ტყიბულიდან // ივერია. - 1893. - 7 ივლისი. - №142. - გვ. 3; დასასრული იხ: 8 ივლისი. - № 143. - გვ. 2-3;
7. კვალის რედაქციას // კვალი. - 1895. - №16. - გვ. 16. - საქველმოქმედო საქმე;

8. ტყიბულის ავ-კარგაიანობა // ივერია. - 1895. - 6 სექტემბერი. - №191. - გვ. 1-3;
9. კიდევ აქციონერთა საზოგადოების ქვის ნახშირის მადნის შესახებ (წერილი ტყიბულიდან) // ივერია. - 1896. - 13 იანვარი. - №9. - გვ. 2-3;
10. საქველმოქმედო საქმე // კვალი. - 1896. - № 41. - გვ. 738-739;
11. ქუთაისი // კვალი. - 1896. - №48. - გვ. 853. - „კვალის“ კორესპონდენციები;
12. წერილი ხარაგაულიდან: (მცირე შენიშვნა) // ივერია. - 1896. - 30 მარტი. - №68. - გვ. 2-3;
13. ხაშური // კვალი. - 1896. - №36. - გვ. 636-639;
14. გაზ. „НОВ. ОБОЗ.“ 31 ივლისის №-ში... // ივერია. - 1897. - 27 აგვისტო. - №176. - გვ. 4;
15. ტყიბულის ქვის-ნახშირის მადნები... // ივერია. - 1897. - 5 დეკემბერი. - №252. - გვ. 2-3;
16. წერილი ტყიბულიდან // ივერია. - 1898. - 4 ოქტომბერი. - №212. - გვ. 2;
17. სადგ. ქვალონი: [მისალოცი დებეშა არჩეულ სოციალ-დემოკრატებს] // ლამპარი. - 1906. - 30 მაისი. - №32. - გვ. 2;
18. პასუხათ ბ. გოგავას: გაზ. „ლაზვარი“-ს 7 ნომერში... // ლაზვარი. - 1907. - 27 აპრილი. - №15. - გვ. 4;
19. პოეტის მკვლელებს: [ი. ჭავჭავაძეზე] // ნიშადური. - 1907. - №5. - გვ. 2;
20. საზოგადოების საყურადღებოდ: (მცირე შენიშვნა) // ძალა: სალიტერატურო მხატვრული ალმანახი. - 1909. - №5. - გვ. 7-8;
21. მცირე შენიშვნა: ბ-ნ. ლ. ბ. წერილის გამო // ფონი. - 1910. - 7 თებერვალი. - № 6. - გვ. 7;
22. სასწაული მცენარეთა სამეფოში: (ყურნალ-გაზეთებიდან) // სასოფლო გაზეთი. - 1912. - №4. - გვ. 10-11;
23. ნორჩი ყვავილის ამონაკენესი: (პატარა ანდრეიკას ხსოვნას) [ლექსი] // ჯეჯილი. - 1919. - №2-4. - გვ. 24-25;
24. რკინიგზის მაგისტრალის ქუთაისზე გაყვანის შესახებ // კომუნისტი. - 1923. - 8 თებერვალი. - №29. - გვ. 4.

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

1. ზემბა, იოსებ. სად არის შველა? (ეკონომიური წერილი) // მეურნე. - 1897. - №1. - გვ. 1-6;
2. უაილდი, ოსკარ. ვარდი დი ბულბული // მომავალი. - 1909. - 15 ნოემბერი. - №67. - გვ. 3;
3. ჩეხოვი, ან. სადგურის უფროსი // კოლხიდა. - 1911. - № 190;

აგრეთვე, თარგმნა ვ. გარშინის „მშვენიერი ბზის ხე – ატალია“, რომელიც გაზ. „იმერეთში“, 1912 წელს დაიბეჭდა.

მის შესახებ:

1. საჯაოხელი, რაჟდენ [ხუნდაძე, რაჟდენ]. მეგრულიდან ქართულად ნათარგმნი „მამაო ჩვენო“-ს გამო // მწყემსი. - 1891. - № 3. - გვ. 9-10;
2. „სად არის შველა“? ახალი ქართული წიგნაკი // ცნობის ფურცელი. - 1897. - 5 მარტი. - №133. - გვ. 1;
3. ილია ჭავჭავაძის... // ისარი. - 1907. - 14 ოქტომბერი. - №225. - გვ. 2;

4. პრესა: როდესაც... // შურდული. - 1907. - №3. - გვ. 2-3;
5. ლას-ბანელი. შენიშენის შენიშენა: (კ-მ ვ. მასხულიას) // შინაური საქმეები. - 1910. - №11. - გვ. 11-12.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. მ. ორმოცაძის მოწმობა;
3. ქართული ბიბლიოგრაფია: 1. ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. - პეტროგრადი, 1916. - გვ. 113;
4. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვ.; ბიბლიოგრ. რედაქცია და საიბულები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 395;
5. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 492;
6. სამედიცინო განცხადება // კომუნისტი. - 1951. - 22 აგვისტო. - № 197; Запя Востока. - 1951. - 22 августа. - № 197.

მასხულია, ნიკოლოზ მიხეილის ძე (1887 12/XI –) – ფარმაცო-ქიმიკოსი, დოცენტი მედიცინისტიკისა, სამეგრელოდან (დაიბადა აბაშას, სენაკის მაზრა). ბათომის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესის ფარმაცევტულ ინსტიტუტში მიიღო უმაღლესი განათლება (დაამთავრა 1917 წელს). 1919 წელს მუშაობდა ტფილისის უნივერსიტეტის ასისტენტად, 1929 წლიდან მედიცინისტიკაში, 1930 წლიდან დოცენტია, – კითხულობს ლექციებს ფარმაცო-ქიმიური ანალიზისა და ფარმაცო-ქიმიის (სამკურნალო ქიმია) დარგში. აქვს საკუთარი გამოკვლევანი და შრომები:

1. „გოგირდმჟავას და ეთერ-გოგირდმჟავას რაოდენობა შარდში ღომის მილების შემდეგ“, ტფ., 1925 წ.;
2. „არსენიკუმის რაოდენობის განსაზღვრის საკითხის შესახებ არსაქცინში“ (ჟურ. „თანამედროვე ფარმაცია“, 1930 წ.);
3. „ზემანქანმჟავას კალიუმის ხსნარის ცვალებადობის შესახებ“ (ჟურ. „თანამედროვე ფარმაცია“, 1930-1931 წწ.);
4. „თუთიას ჟანგის რაოდენობითი განსაზღვრა თუთიას საცხში“ (ჟურ. „თანამედროვე ფარმაცია“, 1930-1931 წწ.);
5. „მთრიმლაგ ნივთიერებათა განსაზღვრა“ (ჟურ. „თანამედროვე ფარმაცია“, 1930 წ.);
6. „სამკურნალ-წამლო ნივთიერებათა კონტროლის აუცილებლობის შესახებ“, ტფ., 1930 წ. (ჟურ. „თანამედროვე ფარმაცია“, 1930 წ.).

დაუბეჭდავი მასალებია: „Atropa Caucasica-ს შესახებ“ (სადისერტაციო), „დიგალენი“ – დიგა-

ლენის მომზადების წესი ადგილობრივ მომზადებულ მცენარისაგან ლიგიტალის-ფერუმინისაგან“ და სხვ.

მონაწილეობდა ქართული ფარმაცოპეას შედგენაში, აგრეთვე, ხელმძღვანელობს სამეცნიერო-საგამოკვლევო ფარმაცოქიმიური ინსტიტუტის ფარმაცოქიმიურ და ფარმაცოქიმიური ანალიზის განყოფილებებს.

გამოქვეყნებულია:

1. არსენიკუმის რაოდენობის განსაზღვრის საკითხის შესახებ არსაქცინში // თანამედროვე ფარმაცია. - 1930. - № 2. - გვ. 36-39;
2. რაოდენობითი განსაზღვრა იოდისა იოდკალიუმში // თანამედროვე ფარმაცია. - 1930. - № 5-6. - გვ. 34-39;
3. სამკურნალ-წამლო ნივთიერებათა კონტროლის აუცილებლობის შესახებ // თანამედროვე ფარმაცია. - 1930. - № 1. - გვ. 22-32;
4. GALLAE ROSAE-ს მთრიმლაგ ნივთიერებათა შესახებ // თანამედროვე ფარმაცია. - 1930. - № 3-4. - გვ. 46-59;
5. Kalium hypermanganicum-ის ხსნარის მომზადების შესახებ // თანამედროვე ფარმაცია. - 1930. - № 1. - გვ. 53-55;
6. ალკალიოიდების რაოდენობითი განსაზღვრა შმაგას ფოთლებსა და მის პრეპარატებში // სამეცნიერო-საკვლევო ფარმაცო-ქიმიური ინსტიტუტის შრომათა კრებული. - 1939. - ტ. 2. - გვ.34-35;
7. დიგალენ-ნეო // სამეცნიერო-საკვლევო ფარმაცო-ქიმიური ინსტიტუტის შრომათა კრებული. - 1941. - №4. - გვ. 7-9. - რეზუმე რუსულ ენაზე.

წყარო: არ არის მითითებული.

მატარაძე, ვიქტორ ნიკოლოზის ძე (1888, 20/IV –) – მსახიობი, – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, – სიღნაღის თეატრის დამაარსებელი და სათეატრო აგიტკოლექტივის შემქმნელი, – კახეთიდან (დაიბადა ქ. თელავში, მოსამსახურის ოჯახში). 5 წლისას მამა გარდაეცვალა. აღიზარდა სიღარბიეში. ბავშვობიდან მწერალთა წრეში ტრიალებდა. დაამთავრა თბილისის სამოქალაქო სასწავლებელი. 1901-1902 წლებში ექ. ხელაძის სტამბაში მუშაობდა.

სცენისადმი მისწრაფება ბ. ახოსპირელმა ჩაუნერგა. სცენაზე გამოვიდა 1903 წელს, ქართული დრამატული დასის წარმოდგენაში ვ. გუნიას ხელმძღვანელობით („პატარა კახში“ მწყემსისა და „ადვოკატთან“ – ზარუბანიძის როლებში. ამ წლიდან განუწყვეტლივ მონაწილეობდა ქართულ თეატრში უფრო სახალხო სცენებზე, ლადო მესხიშვილისა და ვასო აბაშიძის საგასტროლო წარმოდგენებში ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, სიღნაღს, ბაქოს, კავკავსა და საქართველოს ყველა დაბა-ქალაქში. ქ. თბილისის (ავლაბრის) ხალხურ თეატრებში, როგორც რეჟისორი და მსახიობი მონაწილეობდა, თვით ნივთიერად გაჭირვებული, ხელფასის აულებლად მართავდა საქველმოქმედო წარმოდ-

გენებს პოლიტპატიმართა, გადასახლებულთა და მათი ოჯახების სასარგებლოდ.

1916-1917 წლებში საბურთალოზე სრულიად უფასოდ მუშაობდა რეჟისორ-მსახიობად.

1921-1927 წლებში რაჭა-ლეჩხუმში მართავდა სახალხო წარმოდგენებს, უფრო მეტად – უფასოდ.

1928 წელს ქ. სიღნაღში დააარსა თეატრი, შეუქმნა მუდმივი დასი და მთელი სიღნაღის რაიონის სოფლებში წარმოდგენების მართვა გააჩაღა.

1937 წელს ჩამოაყალიბა 4 მონაწილისაგან შემდგარი კოლექტივი (მსუბუქი სააგიტაციო-იმორისტული ჟანრის პატარა პიესების, ანტირელიგიური და საყოფაცხოვრებო ვოდევილების რეპერტუარით), რომელმაც 1938 წლამდე 114 სოფელს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და ფაბრიკა-ქარხანას გაუმართა სააგიტაციო შინაარსის წარმოდგენები, რითაც გლახთა საერთო სიყვარული დამსახურა. წარმოდგენები ისეთ სოფლებშიც გაუმართავს, სადაც მანამდე სცენის ხსენება არ ყოფილა. ამ კოლექტივით მოიარა აგრეთვე წულუკიძის, მახარაძის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ოჩამჩირის, გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს და ონის რაიონები.

შეუსრულებია მრავალი როლი, მათგან ბევრი – შეუდარებლად. მაგალითად: ანტონიუსი – „იულიოს აკოსტაში“, დე-სანტოს – „ურთელ აკოსტაში“, გიგო – „მსხვერპლში“ და სხვ. (დე-სანტოსის როლს იმდენად მაღალხელოვნურად ასრულებდა, რომ როდესაც ლადო მესხიშვილს (ურთელ აკოსტას) ტაშის გრიალით გამოიწვევდნენ ხოლმე, ლადო დე-სანტოსს (მატარაძეს) წინ გამოგდებდა და საზოგადოებისგან მოითხოვდა: ამას გაუმართეთ ოვაციები, ვინაიდან „თუ ეს არა, სტიმულს ვერ მივიღებდი ურთელის აღსაგზნებლად“.

მონაწილეობდა კინოშიც (მაგალითად, სურათი „კამერა 7-9“) და სხვ.

1934 წლის ივნისის 12 კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების იუბილე, რომლის დროსაც, ცკის დადგენილებით, მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. დაენიშნა პერსონალური პენსიაიც. ასეთივე საღამოები გაუმართეს ქ. სიღნაღს, ონსა და სხვ.

მისი მეუღლე და თანამოღვაწე იყო ალექსანდრა ივერიელი, სცენაზე 1915 წლიდან სახასიათო როლების აღმასრულებელი.

ცალკე გამოცემულია:

1. დედის განსაცდელი და სხვა და სხვა ლექსები / შედგენილი ვიქტორ მატარაძისა. - ტფ.: ალ. შახ-ბარათოვის გამოცემა №3, 1902 (არ. ქუთათელაძის სტ.). - 16 გვ.

გამომცემელია წიგნისა:

1. ჰაუპტმან, ჰერგარტ. ავადმყოფი ხალხი: დრამა 2 მოქმედებად / ვალერიან გუნიას ნათარგმნი. - [თბ.]: ვიქტორ მატარაძის გამოცემა, 1908 (მ. კიკნაძის სტ.). - 64 გვ.

მის შესახებ:

1. მიმინო. კვირას 31 დეკემბერს, დილით... // მნათობი. - 1907. - 4 იანვარი. - №3. - გვ. 3;
2. ქართული წარმოდგენა №9... // ცის ნამი. - 1907. - 8 დეკემბერი. - №3. - გვ. 1;
3. ავჭალის სახალხო აუდიტორია // ამირანი. - 1908. - 15 აგვისტო. - №134. - გვ. 1;
4. ახალი წიგნი // სავაჭრო გზა. - 1908. - 20 ნოემბერი. - №24. - გვ. 2;
5. ქართული წარმოდგენა: ავჭალის სახალხო აუდიტორია... // ხომლი. - 1908. - 15 აგვისტო. - №28. - გვ. 1;
6. შაბათს, 2 აგვისტოს, 1908 წ. ავჭალის სახალხო აუდიტორიაში... // ხომლი. - 1908. - 2 აგვისტო. - №18. - გვ. 1;
7. ცირკი და თეატრი ძმ. ნიკიტინებისა // სავაჭრო გზა. - 1908. - 18 სექტემბერი. - №6. - გვ. 1;
8. თეატრი რენესანსი: (ქართული წარმოდგენა „უბედური ნაბიჯი“, დრამა 3 მოქმედებად კარევისა და „ადვოკატთან“ ვოდ. 1 მოქმედებად) // დროება. - 1909. - 24 იანვარი. - №18. - გვ. 4;
9. ქართული თეატრი // მომავალი. - 1909. - 21 ნოემბერი. - №72. - გვ. 1; ხალხი. - 1910. - 8 მარტი. - №10. - გვ. 4;
10. არავინ. ქართული თეატრი // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №39. - გვ. 13-15;
11. ახალი პიესა „ამირანი“ // ხალხი. - 1910. - 1 მარტი. - №9. - გვ. 3;
12. ზალა ბირჟა, კვირას 10 იანვარს... // დროება. - 1910. - 9 იანვარი. - №6. - გვ. 1;
13. ქართულ დრამატიულ მუდმივ დასში ჯერ-ჯერობით ირიცხებიან... // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №32. - გვ. 11;
14. მალრადე, გიორგი. დავეხმაროთ! (ვ. მატარაძის ავადმყოფობის გამო) // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №11. - გვ. 13;
15. მსახიობ ვ. მატარაძის სასარგებლოდ... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №17. - გვ. 16;
16. მსახიობი ვ. მატარაძე... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №10. - გვ. 16; №19. - გვ. 16;
17. ჯიხაიშელი, ნ. საჭიროა საყოველთაო დახმარება // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №32. - გვ. 9-11;
18. საბურთალოს დრამ. წრემ... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №43. - გვ. 15;
19. -ბა. ბაქოს დრამ. წრემ კვირას... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №7. - გვ. 14-15;
20. გულისაბა. ბაქოს დრამატიულმა წრემ... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №4. - გვ. 16;
21. მსახიობი ვ. მატარაძე: ეს ერთი წელიწადია უსასყიდლოდ რეჟისორობს... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №1. - გვ. 5;
22. სან-ქან. ბაქოს დრამ. წრემ კვირას... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №10. - გვ. 15;
23. ქურდი, სანდრო (სან-ქან). ბაქოს დრამ. წრემ კვირას... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №3. - გვ. 15;
24. ნერეთელი, სვ. 1917 წლის მეორე ნახევრის სათეატრო სეზონი: ქართული თეატრი // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №1. - გვ. 12-13;
25. „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 10 წლის

- სახსოვრად: (იბეჭდება საიუბილეო კომისიის მოთხოვნის (ნ. რიყამაძე), გიორგი ვნებაძე (ვ. მატარაძე) და სალო (ვ. ივერიელი) [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №24. - გვ. 9;
26. „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 10 წლის სახსოვრად: (იბეჭდება საიუბილეო კომისიის მოთხოვნის (ნ. რიყამაძე), გიორგი ვნებაძე (ვ. მატარაძე) და სალო (ვ. ივერიელი) [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №24. - გვ. 9;
27. „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 10 წლის სახსოვრად: (იბეჭდება საიუბილეო კომისიის მოთხოვნის (ნ. რიყამაძე), გიორგი ვნებაძე (ვ. მატარაძე) და სალო (ვ. ივერიელი) [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №24. - გვ. 9;
28. „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 10 წლის სახსოვრად: (იბეჭდება საიუბილეო კომისიის მოთხოვნის (ნ. რიყამაძე), გიორგი ვნებაძე (ვ. მატარაძე) და სალო (ვ. ივერიელი) [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №24. - გვ. 9;
29. „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 10 წლის სახსოვრად: (იბეჭდება საიუბილეო კომისიის მოთხოვნის (ნ. რიყამაძე), გიორგი ვნებაძე (ვ. მატარაძე) და სალო (ვ. ივერიელი) [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №24. - გვ. 9;
30. მეორე ქართული კლუბში... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №23. - გვ. 16;
31. ორ-გო. არტისტული საზოგადოების თეატრში... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №22. - გვ. 14;
32. ში-კი. მოგ ზაურმა დასმა... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №17. - გვ. 13;
33. ა. ბ. ვიქტორ მატარაძე: [სასცენო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო] // კოლექტივიზაცია. - 1934. - №133;
34. კასრაძე, დ. 30 წელი სცენაზე: [მსახიობ ვიქტორ მატარაძის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს გამო] // კომუნისტი. - 1934. - 11 ივნისი. - №134. - გვ. 4.

წყარო:

1. მალრაძე, გიორგი. დავეხმაროთ! (ვ. მატარაძის ავადმყოფობის გამო) // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №11. - გვ. 13;
2. მსახიობი ვ. მატარაძე: ეს ერთი წელიწადი უსასყიდლოდ რეჟისორობს... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №1. - გვ. 5;
3. ა. ბ. ვიქტორ მატარაძე: [სასცენო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო] // კოლექტივიზაცია. - 1934. - 11 ივნისი. - №133;
4. ვიქტორ მატარაძე // მუშა. - 1934. - 11 ივნისი. - №133;
5. კასრაძე, დავით. - ა) 30 წელი სცენაზე: [მსახიობ ვიქტორ მატარაძის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს

- გამო] // კომუნისტი. - 1934. - 11 ივნისი. - №134. - გვ. 4; ბ) ვ. მატარაძე: [ხელნაწერი]. - 1934. - 12 ივნისი; 6. 114 მაღლობა 114 გამოსვლისათვის // კომუნისტი. - 1938. - 16 ნოემბერი. - №262. - გვ. 4. - ახლავს ფოტო.

მაქსიმიძე [მქინაროვი, იზივა მქინარიშვილი], კონსტანტინე – მსახიობი, – 1880-იან

წლებიდან სცენაზე მონაწილეობდა, როგორც ერთი „ისეთი მოთამაშე, ურომლისოთ არც ერთი პიესის მართებულად დადგმა არ მოხერხდებოდა ხოლმე“. კ. მაქსიმიძე „პიესის რიგიანი წარმოდგენისათვის კარგი შემწეობა და სამსახური გაუწევია“ და ზოგის როლის შესრულებით მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. ა. ცაგარლის „ციმბირელის“ პირველი წარმოდგენის დროს (1888 წლის 18 მაისი) შესარულა ვექილ ქლესოვის როლი.

მის შესახებ:

1. წარმოდგენილი იქნება ქეთევან ანდრონიკოსა და კ. მაქსიმიძის სასარგებლოდ...: [განცხადება] // დროება. - 1882. - 6 ივნისი. - №116. - გვ. 4;
2. ბენეფისი კ. მ. მაქსიმიძის... წარმოდგენილი იქნება...: [განცხადება] // დროება. - 1883. - 23 დეკემბერი. - №260. - გვ. 1;
3. ბენეფისი კ. მაქსიმიძისა. წარმოდგენილი იქნება: I. ორ ცეცხლს შუა, 3 მოქმ. დრამა ჟირარდენისა. II. ერთი სცენა შილერისა ტრაგედიიდან „ავაზაკები“. III. „მეჯლისი იტალიელებით“, ოპერეტა...: [განცხადება] // ივერია. - 1886. - 14 იანვარი. - №9. - გვ. 1;
4. გუნია, ვალ. (ვალეკო-ია). ქართული თეატრი // ივერია. - 1886. - 26 თებერვალი. - №44. - გვ. 2;
5. ქართული თეატრი: 15 იანვარს ბენეფისი კ. მაქსიმიძისა. წარმოდგენილი იქნება: 1. „ორ-ცეცხლ შუა“, დრამა 3 მოქმ. თხზ. დე-ჟირარდენისა; 2. ერთი სცენა შილერის დრამიდან „ავაზაკები“; 3. „მეჯლისი იტალიელებით“, ოპერეტა 1 მოქმ. ოფფენბახისა... // თეატრი. - 1886. - №2. - გვ. 20;
6. ჭავჭავაძე, ილია. - ა) ქართული თეატრი: [რეცენზია] // ივერია. - 1886. - 17 სექტემბერი. - №200. - გვ. 2-3; ბ) ქართული თეატრი // ივერია. - 1886. - 22 ოქტომბერი. - №228. - გვ. 2-4. - [პლ. კემელავას ცნობით];
7. გარდახვენილი (გიორგი შარვაშიძე). ქართული თეატრი // ივერია. - 1893. - 17 დეკემბერი. - №273. - გვ. 2-3;
8. ზანგი (გრიგოლ რცხილაძე). სიტყვა-კაზმული მწერლობა 1902 წ. // ცნობის ფურცელი. - 1904. - 24 იანვარი. - №2388. - გვ. 2-3.

წყარო:

1. გუნია, ვალერიან. ქართული თეატრი (1879-1889). - თბ., 1889 (გრ. ჩარკვიანის სტ.). - გვ.: 3, 18, 25, 126-127;
2. ცაგარელი, აქსენტი. კომედიები / ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით. - ტფ.: ფედერაცია, 1936. - გვ.: 432-433.

მაღალაშვილი, ლევან დავითის ძე (1872, 12/II –) – საზოგადო მოღვაწე და მომღერალ-მგალობელი, – გურჯაანის რაიონის ეთნოგრაფიული სახალხო გუნდის შექმნელი და ხელმძღვანელი, – კახეთიდან (დაიბადა სოფ. გურჯაანში, გლეხის ოჯახში). თვითგანვითარებული, ყოფ. დიაკვანი (1917 წელს გაანება თავი) და სოფლის მეურნე.

პეტრე კაპანაძისა და იაკობ მონადირაშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლა გალობა და ნოტები. 1899 წლის მინურულიდან გურჯაანის სკოლაში ასწავლიდა სიმღერა-გალობას.

1900 წლიდან შექმნა საეკლესიო და საერო ხალხურ (კახელ) მომღერალთა საკუთარი, უხელოვასო გუნდი, უფასოდ ასწავლა და კახეთის სოფლებში კონცერტებს მართავდა, რომლის შემოსავალი სოფ. გურჯაანის ათწლეულის შენობის ასაგებ ფონდში შეჰქონდა. საკუთარი ხელით გაშენებული ვენახი, ჰექტარ-ნახევარი, ამავე სკოლას შესწირა.

1929 წელს, სრულიად საქართველოს ხელოვნებათა ოლიმპიადაში თავისი გუნდით მონაწილეობის დროს, აღმოსავლეთ საქართველოს მომღერალ გუნდთა შორის პირველი ჯილდო მიიღო (გუნდს 3.000 მან. და ხელფასი 25.000 მან.), ასევე გაიმარჯვა 1937 და 1938 წლებში – გუნდს გადასცეს I ხარისხის სიგელი, ხოლო თვით კი – საათი წარწერით და პირველობის მოწმობა. მისი რეპერტუარია: „ძველი მუშური“, „დიამბეგო“, „მუმლი მუხასა“, „დედოფლის წაყვანა“, „ლაშქრული“ და სხვ., აგრეთვე, საეკლესიო საგალობელი. მღეროდა 70-ზე მეტ ხალხურ სიმღერას. გუნდში ჰყავდა 30 წევრი.

შექმნა საკუთარი მუსიკით სიმღერები და თვითონვე გადილო ნოტებზე. ხალხურ ძველ სიმღერებს მღეროდა სრული სისწორით და ორიგინალობით.

ყოველთვის უსასყიდლოდ ემსახურებოდა რკინიგზასა და საზოგადოებას, – სხვადასხვა რაიონს, სოფელსა და ქალაქში; აგრეთვე, მოწაფეთა თვითმოქმედ წრეს უფასოდ ხელმძღვანელობდა. 1923 წელს გადაუხადეს საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე. 1938 წლის 16 აგვისტოს საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედების კაბინეტმა დანიშნა გურჯაანის რაიონის მომღერალთა ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. ივლიტა მაღალაშვილის მიერ მოწოდებული ცნობები;
3. სახალხო გაზეთი. - 1913. - № 1005. - დამატება № 177;
4. სსსრ კახეთის გურჯაანის საბჭო. - 1930. - 6 ნომბერი. - № 4668. - მოწმობა ბალაშვილისა და რაქვიშვილის ხელმოწერით;
5. გურჯაანის სრული საშუალო სკოლა: მადლობის ფურცელი. - 1936. - 27 ივნისი. - № 373;
6. დევიძე, კაკო. საინტერესო გუნდი // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1938. - 27 ნოემბერი;
7. ხალხური შემოქმედების კაბინეტი. ცნობა. - 1938. - 16 აგვისტო. - № 111. - გრ. კოკელაძის ხელმოწერით;

8. საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. - 1940. - 21 აპრილი. - № 492. - ძამუკაშვილისა და კილასონიას ხელმოწერით.

მაღალაშვილი, ლუარსაბ – კამერჰერი,

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი. 1894 წლის მაისის 2 ტფილისის სათავადაზნაურო კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგა. საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ხანგრძლივი სამსახურისთვის („კვალი“, 1894, № 25). ამავე წელს უარი განაცხადა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობაზე.

ეკუთვნოდა მესამოცე წლების განათლებულ ქართველთა იმ ბრწყინვალე გუნდს, რომელმაც ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის აღორძინება-განვითარებაში დიდი ღვაწლი შეიტანა, საზოგადოება გაყინული წერტილიდან დასძრა და წარმატების გზას შეუყენა. მის ხელში ბევრი ქართული საზოგადო საქმე აღორძინდა: იმ დროის ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს თავში ედგა და შესაფერ კვალსაც ატყობდა, რისთვისაც ყოველგვარ დამაბრკოლებელ ძალას (მთავრობის [...]) გაბედულად შეებრძოლებოდა ხოლმე. სხვათა შორის, მამაცური პასუხი გასცა მოსკოვის შაერაზმულ გაზ. „მოსკოვის უწყება“-ს გამოლაშქრებას, რომელმაც „სამშობლოს“ წარმოდგენის დროს საქართველოს ეროვნული დროშა სასაცილოდ აიღო. დიდი ამაგი დასდო სათავადაზნაურო სკოლასაც, მისივე თაოსნობით გაყვანილ იქნა კახეთის რკინის გზა.

გამოქვეყნებულია:

1. თბილისის მაზრის თავადაზნაურთა... // დროება. - 1882. - 23 მარტი. - №61. - გვ. 1-2. - გაგრძ. იხ.: გაზ. „შრომა“. - 1882. - 7 აპრილი. - №13. - გვ. 3;
2. მოწყალეო ხელმწიფე თავადო დავით ალექსანდრეს ძევ! // დროება. - 1885. - 17 მაისი. - №101. - გვ. 3.

მის შესახებ:

1. ახალი ამბავი // ივერია. - 1893. - 19 თებერვალი. - №36. - გვ. 2-3;
2. ლექსიკური პოლემიკა (გამოცანებით): მცირე წინასიტყვაობა // ნიშადურის კრებული. - 1907. - №1. - გვ. 3-7. - სქოლიოში მოხსენიებულია: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, აკაკი, ბეს. ლოლობერიძე, ლუარსაბ მაღალაშვილი, ს. მესხი, მეველე (დ. მიქელაძე), მ. ქიქოძე.

წყარო:

1. თ. ლ. ა. მაღალაშვილი: [ბიოგრაფია] // კვალი. - 1894. - №25. - გვ. 1-2.

მაღალაშვილი, ქეთევან კონსტანტინეს ასული (1894 –)

– მხატვარი-პორტრეტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქ. ქუთაისში. დაამთავრა საშუალო სასწავლებელი,

თბილისის სამხატვრო სასწავლებელი, მოსკოვის ფერწერისა და ქანდაკების სკოლა (1914-1917) და პარიზის კოლოროსის აკადემია (1923-1926). გამოფენებში მონაწილეობა დაიწყო 1927 წელს. განსაკუთრებით, თავი ისახელა პორტრეტების შესანიშნავი ხატვით, – მის მიერ ნახატი პორტრეტები მართო გარეგნული, ფოტოგრაფიული გამოსახულება კი არ არის, არამედ შინაგანი, სულიერი ვინაობისა და რაობის გამომეტყველი. აღსანიშნავია მისი: „ამხანაგი სტალინი 1902 წ.“, „თ. გოთობია“, „ბავშვის პორტრეტი“, „პროფ. შ. ამირანაშვილი“, „თ. ვირსალაძე“, „ავტოპორტრეტი“ და სხვ. მისი ნახატ-ნაშრომები შექმნილი აქვთ: 1. „იმელს“ („ამხ. სტალინი 1902 წ.“); 2. ხელოვნების მუზეუმს („მეტეხი“, „ი. ნიკოლაძე“, „ე. ახვლედიანი“, „ი. ნაზარიშვილი“, „შ. დადიანი“); 3. თბილისის კომუნალურ მუზეუმს („ამხ. სტალინი“, „მხატვრის დედა“); 4. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს („ა. ნერეთელი“, „დ. კლდიაშვილი“, „გ. ორბელიანი“, „გ. ორბელიანი“); 5. საქართველოს თეატრალურ მუზეუმს („ამხ. სტალინი“, „ლ. ბერია“, „გ. ერისთავი“); 6. სოხუმის მუზეუმს („ს. ორჯონიკიძე“, „ალ. წულუკიძე“); 7. აღმოსავლეთის კულტურის მოსკოვის მუზეუმს („მხატვარი ნ. თამამშვიტი“). მასვე ეკუთვნის ნახატები: „კ. ჩარკვიანი“, „ლ. კეცხოველი“, „ილ. ჭავჭავაძე“, „ს. ჩიქოვანი“, „ბ. ბალანჩივაძე“, „კ. გამსახურდია“, „მ. თოიძე“, „ნატა ვაჩნაძე“, „ვერიკო ანჯაფარიძე“, „ვე. გოძიაშვილი“, „ს. ქობულაძე“, „არ. ქურდიანი“, „ვე. ლენინი“ და სხვ.

ცნობილია მხატვარ-რესტავრატორადაც. დიდხანს მუშაობდა მუზეუმში, 1926-1937 წლებში გადმოიღო ქართული ხელოვნების ნიმუშები, მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მონაწილე ექსპედიციებში, გადმოიღო ძველი ისტორიული ძეგლებიდან ფრესკები, მოზაიკები, მინიატურების ასლები და სხვ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დავით გარეჯის მონასტრის X საუკუნის შესანიშნავი ფრესკა „საიდუმლო სერობა“.

მამამისიც მხატვრობას მისდევდა. მისი ნათესავი იყო ცნობილი მხატვარი რომანოზ გველესიანი (1859-1884).

მის შესახებ:

1. ქართველი ქალი... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №37. - გვ. 16. - წერილი ამბები;
2. გუდიაშვილი, ნინო. საქართველოს მხატვარი ქალები // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 8 მარტი. - № 10;
3. აღზაზიშვილი, შალვა. ქეთო მალალაშვილის მხატვრობა // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - № 5.

წყარო:

1. საბჭოთა საქართველოს მხატვრები: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, დეკორატიული მხატვრობა / ნინასიტყვ. ავტ.: ლეო ესაკია; შემდგენ.: გ. გაბუნია, ნ. გუდიაშვილი, შ. კვასხვაძე, არ. ჯინჭარაძე; საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი; საკავშ. სამხატვრო ფონდის საქართვე. განც-ბა. - თბ., 1941. - გვ. 67.

მაღალდაძე, ნიკოლოზ დიმიტრის ძე

– მოლექსე, წმიდათა ცხოვრების გამლექსავი. გალექსა და გამოსცა: „საუნჯე სულისა“, „ვენებანი წარმოდგენილნი მრუშებისა და სიმთვრალისაგან“, „ცხოვრება და ვნება წმიდისა დიდისა მონამისა ეკატერინასი“, „ცხოვრება წმიდათა მოციქულთა სწორთა მეფე კონსტანტინესი და დედისა მისისა დედოფლისა ელენასი“.

ცალკე გამოცემულია:

1. ხელთა პოენისათვის პასექისა / შედგენილი მღვდლის ნიკოლოზ დიმიტრის ძის მაღალდაძესაგან. - თბ., 1878 (ექ. ხელაძის სტ.). - კანი, 27 გვ.; 16სმ.;
2. ნამება წმიდისა დიდებულისა, დიდისა მონამისა და ძლევა შემოსილისა გიორგისა / ლექსად თქმული მღვდლის ნიკოლოზ დიმიტრის-ძის მაღალდაძისაგან. - თბ., 1879 (ექ. ხელაძის სტ.). - 52, [2] გვ.; 17სმ.;
3. ვნებანი წარმოდგენილნი მრუშებისა და სიმთვრალისაგან / ლექსად თქმული მღვდლის ნიკოლოზ მაღალდაძისაგან. - ტფ., 1883 (ექ. ხელაძის სტ.). - 32 გვ.; 21სმ.;
4. დაუსრულებელი მაჩვენებელი კვირიაკეთა, აღდგომის სახარებათა და ხმათა / შედგენილი მღ. ნიკოლოზ დიმიტრის-ძის მაღალდაძესაგან, ხოლო გამოიცა წიგნი ესე ნებართვითა მისის მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობის პაველ არხიების-კოპოსისა საქართველოს ექსარხოსისა, საფასითა არხიმანდრიტის მაკარისა, სასარგებლოდ ეპარქიალურ ქალთა-სასწავლებელისა ჩყბე-სა წ. თებერვლის კე-სა დღესა. - ტფ., 1885 (ექ. ხელაძის სტ.). - 76 გვ.; 17სმ.;
5. ცხოვრება და ვნება წმიდისა დიდისა მონამისა ეკატერინასი: [ლექსად] / შედგენილი მღვდლის ნიკოლოზ მაღალდაძისაგან. - თბ., 1885 (ექ. ხელაძის სტ.). - 52 გვ.; 20სმ.;
6. ცხოვრება წმიდათა მოციქულთა სწორთა მეფე კონსტანტინესი და დედისა მისისა დედოფლისა ელენასი / ლექსად თქმული მღ. ნიკოლოზ დიმიტრის-ძის მაღალდაძესაგან. - თელავი, 1890 (სტ. ე. ხელაძისა). - 81 გვ.; 25სმ.;
7. საუნჯე სულისა / პოემა მღვდლის ნიკოლოზ დიმიტრის-ძის მაღალდაძესი. - სიღნაღი, 1892 (ექ. ხელაძის სტ.). - 48 გვ.; 16სმ.

გამოქვეყნებულია:

1. ლექსნი მათის იმპერატორებთის დიდებულებაზედ და მათის სიკუდილის განმზრახველზედ // საქართველოს სასულიერო მახარებელი. - 1868. - №4. - გვ. 123-126;
2. სიბრძნე სოლომონისა: (ზღაპარი ქიზიყში გაგონილი და ჩანერილი მღვდელ ნიკოლოზ მაღალდაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №6. - განყ. III. - გვ. 21-28;
3. ხელმწიფის ცოლი ქალ-ბაყაყი: (ზღაპარი, ქიზიყში გაგონილი და ჩანერილი მღვდ. ნ. მაღალდაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №6. - განყ. III. - გვ. 1-20.

წყარო: არ არის მითითებული.

მაღაროელი, თომა [თომა ზაქარიას ძე ნასიძე] (1872, 17/VI –) – ბელეტრისტი, სახალხო მუშაკი და საზოგადო მოღვაწე, – რწმენით სოციალ-ფედერალისტი (დაიბადა 1872 წლის 17 ივნისს სოფ. მაღაროს, სიღნაღის მაზრა, ქიზიყში. მამა, – ზაქარია, – აზნაური, შინაური სწავლით, დედა, – სოფიო, – გლეხის ასული), თვითნაკითხი („ვისრამიანი“, „ყარამიანი“, „ქალ-ვაჟიანი“ და სხვ. ზეპირად იცოდა). თ. მაღაროელი სწავლობდა სოფ. მაღაროს სკოლაში, გაათავა საცხენისის ორკლასიანი და თბილისის უმაღლესი საქ. სასწავლებელი საოსტატო ინსტიტუტთან. ხელოვნების დიდმა მოყვარულმა თავისით შეისწავლა მხატვრობა, მუსიკა და სხვ. მსახურობდა თბილისის სახაზინო პალატაში, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში და სარკინისგზო ფოსტის ვაგონის უფროს-მოხელედ. 1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობის დროს გაფიცვის მოწყობისა, პროპაგანდა-აგიტაციისა, არსებული წეს-წყობილების დასამხობად მონაწილეობისა და „სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირში“ მონაწილეობისათვის 1906 წლის იანვრის 28 მეტეხის ციხეში ჩასვეს, რის გამო შემდეგ სამსახურში აღარ მიიღეს და კერძო ვეჟილობას მიჰყო ხელი. მხურვალე მონაწილეობა მიიღო „ქართული კლუბის“ დაარსებაში, რომლის ერთ პირველ მამასახლისთაგანადაც აირჩიეს. აქ დიდი ამაგი დასდო კლუბის მოწყობას. 1909-1915 წლებში ავღაბრის სახალხო თეატრს მეთაურობდა, შეადგინა ამავე თეატრში სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წესდება და წრის თავმჯდომარედ ირიცხებოდა 1911-1915 წლებში, რომლის დროსაც აყვავდა წრის მოღვაწეობა: წარმოდგენები მუდმივ იმართებოდა (არაქსიანისეულ და მურაშკოს) თეატრებში, მოაწყო მომღერალთა გუნდი (საკუთარ ეროვნულ ტანისამოსით), შთასაბერ საკრავების ორკესტრი, მართავდა კონცერტებს, ლიტერატურულ გასამართლებათ და სხვ., რითაც მდებო ხალხში შექმნდა ეროვნულ-ხალხოსური თვითმემეცნება და ხელოვნების შეგნება-სიყვარული. ასრულებდა რეზონიორთა როლებს და სხვადასხვა გუნდებშიაც მონაწილეობდა, როგორც მომღერალი. 1917 წლის გადატრიალების შემდეგ ამხანაგებმა ისევ მიიწვიეს სამსახურში ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში კავშირის გამგეობის წევრ-მდივნად, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაეროვნულების საქმეში: გაქართველების შემოღებისთვის სხვადასხვა კომისიებში მუშაობდა. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წელს, წერდა თანამედროვე საზოგადოებრივ საკითხების შესახებ („სახალხო საქმე“, „Речь“, „საქართველო“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.), ქართულად – თ. მაღაროელისა და რუსულად – Магарский-ის ფსევდონიმებით. დასწერა ვრცელი [...] და ჩრდილოეთის ტალღები [...] სურათებით წარმოადგენს. გვისურათებს მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩვენს დრომდე მთელ ხანას, დაწერილია საუცხოო ენით, მნიშვნელობის დიდი განძია. რუსულიდან სთარგმნა პოტაპენკოს ისტორიული

მოთხრობა „ჯვარისა და სარწმუნოებისათვის“, საქართველოს წარსულიდან (მე-16 ს.).

გამოქვეყნებულია:

1. *კმარა ბატონებო! (ჩვენი დეპუტატების გარშემო) // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №35. - გვ. 1-3;*
2. *ქართული საერო და საეკლესიო გუნდები // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №17. - გვ. 11-12;*
3. *შიოს დილა ნამდვილი... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №8. - გვ. 14-15.*

წყარო: არ არის მითითებული.

მაღლაკელიძე, ალექსანდრე სარდიონის ძე (1902, 4/XI –) – მსახიობ-რეჟისორი, სამეგრელოდან – (დაიბადა ქ. ზუგდიდს. მამა მოსამსახურე იყო, დედა – დისახლისი). საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში [სწავლობდა ხონის ვაჟთა გიმნაზიაში და ქუთაისის I გიმნაზიაში (დაასრულა 1920 წელს)], უმაღლესი – ტფილისში. 1921-1924 წლებში აკ. ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატულ სტუდიაში სწავლობდა. სცენისადმი მისწრაფება პატარაობიდანვე ჰქონდა. სცენაზე პირველად გამოვიდა 1921 წელს ნ. ჩხეიძისა და მ. ქორელის წარმოდგენაში მ. ქორელის ხელმძღვანელობით („სიყვარულის ძალა“, ბიჭის როლში). შემდეგ მუშაობდა ოთხი სეზონი (1922-1926 წწ.) რუსთაველის თეატრში, 1926-1928 წლებში – ბათუმის სახელმწიფო თეატრში, 1928-1931 წლებში – მარჯანიშვილის თეატრში, 1937 წლამდე სტუდენტი – საინჟინრო დარგის, 1937 წლიდან – თელავის სახელმწიფო თეატრში სამხატვრო ნაწილის გამგედ და რეჟისორად. როგორც მსახიობს, ამჟღავნა არა სწამს (შეუსრულებია: ჯაკომო – „ბეატრიჩე ჩენჩი“, ფრონდოზო – „ცხვრის წყარო“, ირინარხი – „კაკალ გულში“ და სხვ.). 1928 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველო შემოიარა პიესებით: „რღვევა“, „ხანუმა“ და სხვ. 1932 წელს ურალში (ბელორეჩკა) თავისი ხელმძღვანელობით, მუშა-მოსამსახურეთა ძალებით დასდგა „რღვევა“; 1937 წელს თელავში – „ცხვრის წყარო“ (განახლებული), „კაცია ადამიანი“, „ნაცარქექია“. სათეატრო ხელოვნებასთან ერთად საალმწიფელო დარგშიაც მუშაობს, როგორც ქვანახშირის მაღაროების ინჟინერი. ეკუთვნოდა დურუჯის კორპორაციას, 1921 წლიდან ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრი. მისი აზრით, სცენაზე განუყრელნი არიან დრამატურგი, მსახიობი და რეჟისურა, – უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს რეჟისორობას.

წყარო:

1. იმედაშვილი, შ. ქართული სცენის ალბომი: [ხელნაწერი].

მაღრაძე, იაკინთი (– 1904) – რევოლუციონერი-ორგანიზატორი, ხარაგოულის რაიონის ს. დ. ბ. ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელთაგანი, მოკლულ იქნა 1904 წელს.

წყარო:

1. ჟღენტი, თენგიზ. რევოლუციონური მოძრაობა შორაპნის მაზრაში (1905 წ.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ. 17.

**მაყაშვილი, ალექსანდრე [სანდრო] ლუ-
არსაბის ძე [იზივე „პელიჩი“] (1855 – 1908)**

– რევოლუციონერი, – ერთი პირველი ხალხოსან-თაგანი, პროპაგანდისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, – ილია ჭავჭავაძის ბიძაშვილი, – კახეთიდან (დაიბადა სოფ. იყალთოში). სწავლობდა თბილისის პირველ გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე (სხვა ცნობით, თბილისის გიმნაზიის მე-3 კლასიდან გამოსული, პეტერბურგში აგრონომიას სწავლობდა).

რუსეთში დაუახლოვდა რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელთა და მათი იდეის გამარჯვებას ხელს უწყობდა.

1876 წელს, რუსეთიდან საქართველოში წამოსვლის დროს, სამხედრო გზის სადგურებზე გაავრცელა ნებადაურთველი წიგნაკები: 1. „4 стражника“; 2. „Правда-кривда“; 3. „Народные чтения о смутном времени на Руси“, რის გამოც შეიპყრეს (გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა: „Умственное развитие Европы“, „Анархизм по Прудону“ და „Общая идея революции в XIX в.“ და დიდის ამბით (თავით-ფეხამდე შეიარაღებული 6 ჩაფრით და ხმალამოღებული ურიადნიკის თანხლებით) თელავიდან თბილისს ჩამოიყვანეს, ჯერ საკომენდანტოში, შემდეგ მეტეხის ციხეში ჩასვეს და ყოველგვარი ლაპარაკი აუკრძალეს: თავის თავთანაც კი არ შეეძლო დალაპარაკება, რის გამოც დაავადმყოფდა. მისმა შეპყრობამ და ასეთმა სასჯელმა თბილისში დიდი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აჰყარეს ყოველგვარი უფლება: არ შეეძლო სამსახურში შესვლა, არც ხმა ჰქონდა, – ოჯახი მისი ჟანდარმერიის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო და სიკვდილამდე ჩხრეკდნენ. მიუხედავად ამისა, ალ. მაყაშვილი რევოლუციურ მუშაობას არ ჩამოშორებია: თბილისში გ. გაბაშვილის წრეში მონაწილეობდა, რუსეთის რევოლუციონერებთან კავშირი ჰქონდა, რისთვისაც კავკავს დადიოდა ხოლმე, გლეხებს წიგნებსა და გაზეთებს უკითხავდა (რაც იმ ხანად დიდ სახიფათო საქმედ ითვლებოდა) და სხვ.

საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდა: სოფ. ყვარელში (სადაც ჯერ კიდევ 3 წლის ბავშვი გადიყვანეს) სკოლა ააშენებინა, დიდი ამაგი დასდო საავადმყოფოს აგებას, პირველმა ჩაიტანა და გლეხებს გააცნო ვენახების შესანამლი მანქანა და, საერთოდ, გლეხკაცობის კულტურულ დანიანურებას ყოველმხრივ ხელს უწყობდა და ეხმარებოდა, თუმცა გლეხები უნდობლად უყურებდნენ და აბუჩადაც იღებდნენ: პირველად რომ სარევოლუციო-პროპაგანდისთვის, გლეხკაცობის გამოფხიზლებისა და ამოძრავებისთვის შეიპყრეს, ციხეში ჩასვეს და მის შესახებ გლეხებს ჰკითხეს, რა დააშავა, რომ ციხეში ჩასვესო, – მიუგეს: „რა მოგახ-

სენოთ! ამბობენ, „კაპეიკი“ მოუპარავს და იმისათვის დაუჭერიათო. აფსუსი არ არის, ამისთანა ვაჟკაცი კაპეიკის გულისათვის წახდესო!“ (ამ „კაპეიკის“ მოგონებით დაცინვით გულისხმობდნენ მის მიერ გავრცელებულ რევოლუციური შინაარსის წიგნაკს „Копейка“). მთელი მამული სოციალისტურ საქმიანობას შეაფლანგა, ხოლო როცა გარდაიცვალა – არც არავინ ახსენა და მისი მზრუნველობით აშენებულ სკოლაში კი გლეხთა მჭამელების სურათები ჩამოჰკიდეს.

ცნობილი იყო, როგორც თავისებური, ორიგინალური კაცი. უმეტესად, იხსენიებდნენ სანდროს და პარტიული ნოდებით – პელიჩის (დედის – პელოს გამო) სახელით.

წერდა ლექსებს გლეხთა ყოფა-ცხოვრებიდან და ლექსებსაც „სანდროს“ ფსევდონიმით.

მისივე თანამოღვაწე იყო იოსებ (სოსო) რამაზის ძე მაყაშვილი, იყალთოელი, რომელიც სოფელ-სოფელ მასწავლებელთა შორის ხალხოსნურ პროპაგანდას ეწეოდა. კავშირი ჰქონდა ასეთივე რევოლუციური მუშაობის მწარმოებელ სოფელ საბუეს მასწავლებელ ჭიჭინაძესთან.

გამოქვეყნებულია:

1. წერილი კახიდამ // საქართველოს მატყანე. ივერია. - 1878. - № 30. - გვ. 1-2;
2. გულის სწორს: [ლექსი] // იმედი. - 1882. - №5. - გვ. 64;
3. როდემდის უნდა: [ლექსი] // იმედი. - 1882. - №7-8. - გვ. 98;
4. შური: [ლექსი] // იმედი. - 1882. - №5. - გვ. 40.

წყარო:

1. მისი ასულის – ნინო მაყაშვილი-ტაბიძის და ლევან ჩერქეზიშვილის მოგონებანი;
2. საქართველოს რევოლუციური მუზეუმი. თავად მაყაშვილის საქმე // თბილისის ჟანდარმთა საქმე. - № 19/9;
3. გიორგაძე, გრიგოლ. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 / გრიგოლ გიორგაძე. - ტფ.: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - გვ. 489;
4. მანსვეტაშვილი, იაკობ. – ა) ჩემი წარსულიდან // ქართული მწერლობა. - 1929. - № 5. - გვ. 82; ბ) მოგონებანი. ნახული და გაგონილი / ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვე და შენიშვნებით - ტფ.: ფედერაცია, 1936. - გვ.: L4, 238;
5. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვე.; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მჭავარიანის. - ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 399.

მაყაშვილი, იოსებ [სოსო] რამაზის ძე

(დაახლ. 1856 –) – რევოლუციონერ-პროპაგანდისტი, – ალექსანდრე ლუარსაბის ძე მაყაშვილის თანამოღვაწე, ერთი ხალხოსანთაგანი, კახეთიდან (დაიბადა სოფ. იყალთოში, დაახლოებით 1856 წელს). სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, იყო

ხალხოსანთა წრის წევრი. სოფელ-სოფელ, მასწავლებელთა შორის რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა, კავშირი ჰქონდა სოფ. საბუეს მასწავლებელ ჭიჭინაძესთან, რომელიც ასეთივე მოღვაწეობას მისდევდა. ხალხოსანთა დაპატიმრების დროს, 1876 წელს, სხვებთან ერთად, ისიც დააპატიმრეს. ამ დროს 20 წლის იქნებოდა.

წყარო:

1. საქართველოს სარევოლუციო მუზეუმი. თავად მაყაშვილების საქმე // თბილისის ჟანდარმერიის საქმე. - № 19/9;
2. გიორგაძე, გრიგოლ. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 / გრიგოლ გიორგაძე. - ტფ.: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - გვ. 489;
3. კალენდარი. - 1930. - 20 ივნისი.

მაყაშვილი, კონსტანტინე [კოტე] ზაქარიას ძე (1875, 13/XI –M1927, 29/VIII) –

მგოსანი, – ლირიკოს-სატირიკოსი და საზოგადო მოღვაწე, – კახეთიდან (დაიბადა სოფ. იყალთოში, წვრილი მემამულის, მამულის პირადი მოვლით გატაცებული ხელმოკლე თავადის ოჯახში. დედა კახელი იყო ჰყავდა, სოფ. ოჭიოდან, აბელიშვილის ასული, შინაურულად, ქართულ მნიგნობრობაზე აღზრდილი). 5 წლისას მამა გარდაეცვალა და პატარობიდანვე რუსულ ზღაპრების კითხვით გარუსების გზას დაადგა. 9 წლისა გატაცებით კითხულობდა სენტიმენტალურ რომანებსა და ისტორიული ხასიათის წიგნებს. 10 წლისა ბიძამ – დედის ძმამ – სათავადაზნაურო სკოლაში მიაბარა, სადაც ჩინებულად სწავლასთან ერთად, მთელ თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა, გატაცებული იყო მაინ რიდის, ვალტერ სკოტის და გ. ებერსის ნაწარებით. მეორე კლასის დასრულებისთანავე, მეორე გიმნაზიაში განაგრძო სწავლა, წარჩინებით დაამთავრა და, 1895 წელს, სათავადაზნაურო ოცმანეთიანი სტიპენდიით, პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. აქ იგრძნო სამშობლო ენის ცოდნის აუცილებლობა და შეუდგა „დაბადების“, სახარების, „ვისრამიანისა“ და სხვ. კითხვას. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე გადინაცვლა ქართულის უკეთ დაუფლებასთან ერთად, არაბულისა და სპარსული ენების შესასწავლად, მაგრამ სტუდენტთა არეულობაში ჩაერია, რის გამოც გამორიცხეს და 1898 წელს ვიბორგის ციხეშიაც იჯდა. სამშობლოში დაბრუნებული ქართული ლიტერატურის შესწავლას შეუდგა.

მსახურობდა 1900 წლიდან ქართულ გიმნაზიაში რუსული ენის მასწავლებლად და აღმზრდელად, 1903 წელს აირჩიეს სათავადაზნაურო ბანკში დამფასებლად, 1915 წლიდან – დირექტორად, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ – თბილისის კომუნალური ბანკის საადგილმამულო განყოფილების დირექტორად და სხვ.

საზოგადოებრივ სარბიელზე – 1903 წელს თელავის მხრით აირჩიეს სათავადაზნაურო დაწესებულებებში დეპუტატად, 1906-1909 წლებში მონაწილეობდა ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობაში, ერთი დამაარსებელთაგანი იყო „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“, მესვეურთაგანი ქართველ მწერალთა პირველი კონფერენციის, თავმჯდომარე მწერალთა კავშირის, ინიციატორი სახელოვნო ცენტრის, საქართველოს პირველ პარლამენტში სახელოვნო კომისიის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს ხელოვნათა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, მხურვალე მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა ქართულ საზოგადო დაწესებულებაში; მისი თავგამოდებით შეიქმნა სათავადაზნაურო დაწესებულებასთან განსაკუთრებული ფონდი მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების და მუსიკის დარგში ყოველი გამოჩენილი ნიჭიერი ახალგაზრდის დასახმარებლად განათლების და მთავრებისათვის (წოდებრიობისა და მიმართულების განურჩევლად) და სხვ.

სამწერლო ნიჭი ბავშვობიდანვე გამოაჩნდა. პირველი ლექსი 9 წლისამ დაწერა რუსულ ენაზე. პირველ კლასში სწავლის დროს, 10 წლის ბავშვი, თითქმის ყველა ამხანაგს უწერდა ლექსს. პირველი ლექსი-სატირა „ნუგეში მტირალს“ გამოაქვეყნა 1901 წელს „ცნობის ფურცელში“ (№ 1401), დაახლ. 1902 წელს – რომანსი „დავრდომილი“.

უმთავრესად, წერდა ლირიკულ ლექსებსა და სატირულ პოემებს, ზოგჯერ – რუსულადაც. თარგმნა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ („ფუნტე ოვეზუნა“), რომლის დადგმითაც, 1922 წლის ნოემბრის 25, კ. მარჯანიშვილმა ქართული თეატრის განახლება დაიწყო.

კ. მაყაშვილის შემოქმედების მთავარი ჰანგია „ტანჯულ სამშობლოს“ სულისკვეთებათა გამოთქმა. იგი ლაჩარტ გმობს და ვაჟკაც-გმირებს მოუწოდებს ბრძოლის ველზე ცხოვრების სულის ჩასადგმელად. მას სწამს, რომ თუმცა მონობა უღვთოდ გვანევს, მაინც „გამარჯვება ჩვენია“ და ამ იმედით გამხსნევებული თანამემამულეთ შესძახის:

„ნინ! ნუ შედრკებით არწივნო!
გმირთ ელის ხალხი ტანჯული;
ძირს დავსცეთ ძველი კერპები,
ეხლა ვინამოთ სხვა სჯული!“

დაუნდობლად კიცხავდა იმ თავადაზნაურობას, რომელიც „სოფელში ხვრინავდა, ქალაქში ბრდღვინავდა, ბანკში კარგავდა მამულს, ჯიბეში ვერ ინახავდა ფულს“. თუმცა, დრომ უწყალომ მაყაშვილებს მწარე ხვედრი არგუნა, წუთისოფელი ვერ გაძღა „მაყაშვილთა წამებით“ და პირადად კ. მაყაშვილის ასული – 17-18 წლის უმშვენიერესი არსებათაგანი – მარო ომის ქარცეცხლმა შეინირა, უსამართლობისა და უხეშობის წინაშე მაინც ქედს არ მოვიხრი, „მოლუნულს ვერ მნახავო“, რითაც თანამემამულეთ სულის სიმტკიცეს უწერგავდა.

მისი ფსევდონიმები და ხელმოწერები: ორი-ენტალისტი, კ. ერუფაქიძე, კ. მ., მაყაშ-ი, СПИРИТ (რუსულ ლექსებს აწერდა), კოტე.

გარდაიცვალა 1927 წლის აგვისტოს 29, წაღვერში. დაიკრძალა დიდუბის პანთეონში, თბილისში.

ცალკე გამოცემულია:

1. კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება: [ლექსად]. - თფ., 1903 (კ. თავართქილაძის სტ.). - კანი, 31 გვ. - [სხვა წყაროებში შეცდომით ლ. მაყაშვილის მონერით არის ნაჩვენები];
2. ლირიკა / კ. მაყაშვილი. - თბ., 1914 (სორაპანიის სტ.). - X, 99 გვ.: პორტრ.; 24 სმ.;
3. ეშმაკი საქართველოში: სატირა. - ტფ.: სახელგამი, 1926 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 175 გვ.; 17სმ. - ეპიგრაფი ლექსად.

გამოქვეყნებულია:

1. ნუგეში მტირალს: (ლექსი) // ცნობის ფურცელი. - 1901. - 6 მარტი. - №1401. - გვ. 1-3. - შეცდომების გასწორება იხ. №1402, გვ. 2;
2. ამირანი: [ლექსი] // ივერია. - 1905. - 17 თებერვალი. - №1. - გვ. 2;
3. შუა ზამთარში, მკაცრ სიცივეში: [ლექსი] // ივერია. - 1905. - 13 იანვარი. - №9. - გვ. 2;
4. ძველს ღმერთებს: [ლექსი] // ივერია. - 1905. - 16 იანვარი. - №11. - გვ. 2;
5. გაკვრით: [სომხური გაზეთების გამოლაშქრება ქართველების წინააღმდეგ] // პატარა გაზეთი. - 1906. - 4 მარტი. - №9. - გვ. 1-2;
6. ვინ არის დამნაშავე: [იუმორისტული სცენა] // პატარა გაზეთი. - 1906. - 4 იანვარი. - №3. - გვ. 2-4;
7. მოწოდება: [ლექსი] // პატარა გაზეთი. - 1906. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 2;
8. ნანგრევებზე დასავლეთ საქართველოში: [ლექსი] // პატარა გაზეთი. - 1906. - 4 მარტი. - №9. - გვ. 2;
9. სტიროდა... ცრემლი სდიოდა: [ლექსი] // მეგობარი. - 1906. - 22 ოქტომბერი. - №24. - გვ. 2;
10. ჩვენი ლიბერალი // პატარა გაზეთი. - 1906. - 7 მარტი. - №11. - გვ. 2;
11. სამი სურათი: (ილია ჭავჭავაძის ხსოვნას) [ლექსი] // ისარი. - 1907. - 3 ნოემბერი. - №242. - გვ. 2. - ფელეტონი;
12. ადამიანის სიმღერა: [ლექსი] // დროება. - 1908. - 14 დეკემბერი. - №23. - გვ. 2. - ფელეტონი;
13. რამანსი: [ლექსი] // ნიშადური. - 1908. - №46. - გვ. 6;
14. სულის სალარო: [ლექსი] // [ნიავი: სალიტერატურო კრებული / პ. თუმანიშვილის გამოცემა. - თბ., 1908]. - 288 გვ.;
63. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №15. - გვ. 13-14;

64. სახელდახელო ბარგი // ვზათა უწყების მოამბე. - 1920. - №6-7. - გვ. 65-67;

65. დათვი // პიონერი. - 1935. - № 4;

66. ირემი და ქუნა // ოქტომბრელი. - 1936. - № 9, 10.

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

1. ბუვიე, ალექსი. მოთხრობები: I. ქვრივი. II. ბატონო მსაჯულო. III. ძეგლი. IV. ბავშვის ძალა. V. მეგობრები. VI. დაინყებულნი. VII. ქვეყნის მანათობელი [ფრანგულიდან თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] // მოამბე. - 1894. - №10, განყ. I. - გვ. 143-156; №11. - განყ. I. - გვ. 183-198;

2. დოდე, ალფონს. - ა) ტარტარენ ტარასკონელი: [მოთხრობა. თარგმანი ივ. მაჭავარიანის მიერ] ი. მ-ნი // მოამბე. - 1894. - №4, განყ. I. - გვ. 55-92; №5. - განყ. I. - გვ. 57-94; №6. - განყ. I. - გვ. 39-75; ბ) უფროსი ძმა: [დრამა 1 მოქ.] // ცხოვრების სარკე: პიესების კრებული. მსახიობთა სურათებით. - წ. 2: [პიესები, ლექსები და წერილები] / წინასიტყვე. ავტ.: ი. იმედაშვილი. - თბ.: ძმ. იმედაშვილების გამოცემა, № 20, 1901 (ე. ი. ხელაძის სტ.). - 421 გვ.; 19სმ. - სია სათამაშოდ ნებადართული პიესებისა;

3. ზოლა, ემილ. – ა) წარღვნა: მოთხრობა ემილ ზოლა-სი (ფრანგული) [თარგმანი ივ. მაჭავარიანის მიერ] ი. მ-ნი-სა // მოამბე. - 1894. - №7, განყ. I. - გვ. 51-81; ბ) გამარჯვება ჩვენია: [მოთხრობა. თარგმანი ივ. მაჭავარიანის მიერ] // მოამბე. - 1897. - №6, განყ. I. - გვ. 45-81;
4. ლოტი, პიერ. სამი ამბავი პიერ ლოტისა: I. „მოხუცი პატიმრის წუხილი“. II. „საკლავი“ [თარგმანი ივ. მაჭავარიანის მიერ]. III. „კატა“ [თარგმანი] ს-ძე // მოამბე. - 1894. - №8, განყ. I. - გვ. 85-96;
5. სტრინდბერგი, ავგუსტ. სვინდისის მხილება: მოთხრობა ოგიუსტ სტრინდბერგისა ფრანგულით [თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] ი. მ-ანისა // მოამბე. - 1894. - №3, განყ. I. - გვ. 94-115;
6. ერმაკ-შატრინი, ემ. გლეხი-კაცის ისტორია: [რომანი. თარგმანი ი. მაჭავარიანის მიერ] // მოამბე. - 1896. - №10, განყ. I. - გვ. 33-59; №11, განყ. I. - გვ. 43-100; №12, განყ. I. - გვ. 133-170; 1897. - №1, განყ. I. - გვ. 91-130; №2, განყ. I. - გვ. 132-174; №3, განყ. I. - გვ. 97-125; №4, განყ. I. - გვ. 77-115; №5, განყ. I. - 103-128;
7. მანასეინი, მ. ბუნებრივი სამზღვრები შთაგონებისა: (შთაგონებანი სკოლაში და ცხოვრებაში) // მოამბე. - 1896. - №8, განყ. II. - გვ. 49-58; №9, განყ. II. - გვ. 87-99; №10, განყ. II. - გვ. 99-109;
8. სვენტოხოვსკი, ა. ჩემი თავი: [მოთხრობა. თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] ი. მ-ანისა // მოამბე. - 1896. - №8, განყ. I. - გვ. 89-97;
9. არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ: თარგმანი მ. დეფერმერისა [ქართული თარგმანი] ი. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1897. - №12, განყ. III. - გვ. 1-16; 1898. - №1, განყ. III. - გვ. 21-44; №2, განყ. III. - გვ. 58-75;
10. ერეი, პოლ. ბრტყალები: დრამა სამ მოქმედებად [თარგმანი ი. მაჭავარიანისა] // მოამბე. - 1897. - №2, განყ. I. - გვ. 111-129; №3. - განყ. I. - გვ. 37-68;
11. დასტამბული სიტყვის იდეალები, პროფესორის ი. რ. თარხნიშვილისა: [ფელეტონი] // ივერია. - 1897. - 18 თებერვალი. - №28. - გვ. 1-2; 19 თებერვალი. - №29. - გვ. 1-2. - მაჭავარიანი, ი. (მთარგმნელი);
12. კარმენ-სილვა. დედის სიყვარული: მოთხრობა კარმენ სილვასი [თარგმანი ივ. მაჭავარიანის მიერ] X-ისა // მოამბე. - 1897. - №3, განყ. I. - გვ. 126-129;
13. უკეთური: [კორეული] (ზღაპარი) [თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1899. - №11, განყ. I. - გვ. 113-118;
14. Rieffel, A. უცნაური სანამლაგი: ამონასუნთქი ჰაერის მავნებლობა: [თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] // მოამბე. - 1897. - №1, განყ. II. - გვ. 85-90;
15. კიპლინგი, რ. მოტი გეჯის აჯანყება: (მოთხრობა კიპლინგისა). [თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] ივ. მ-ანისა // ჯეჯილი. - 1900. - №3. - გვ. 7-20;
16. მოლიერი. ტარტიუფი ანუ მუზმუზელა: კომედია ხუთ მოქმედებად მოლიერისა [თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] // მოამბე. - 1901. - №1, განყ. I. - გვ. 80-112; №2. - განყ. I. - გვ. 101-142;
17. ჰიუგო, ვიქტორ. საბრალონი: რომანი ვიქტორ ჰიუგოსი (თარგმანი ფრანგულით) ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1901. - №6, განყ. I. - გვ. 1-51; №7. - განყ. I. - გვ. 17-80; №8. - განყ. I. - გვ. 21-94;
18. ბროსე, მ. დემნას ანუ დიმიტრი ბატონიშვილის თავგადასავალი: (ბროსე: დამატებანი და განმარტებანი ქართლის ცხოვრებისა) // მოამბე. - 1904. - №5, განყ. II. - გვ. 70-77;
19. მირო, ოქტავ. საპოეველა: [მოთხრობა. თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1905. - №9. - განყ. I. - გვ. 44-49;
20. პარდო-ბასანი, ემილია. ცრემლი სინანულისა: [მოთხრობა. თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1904. - №1, განყ. I. - გვ. 90-94;
21. რივი, მაქს. სევდა ადამიანისა: მოთხრობა მაქს რივისა. თარგმანი ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1905. - №1, განყ. I. - გვ. 134-136;
22. სენკევიჩი, ჰ. ორი სამეფო: ინდური თქმულება გ. სენკევიჩისა [თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1904. - №12, განყ. I. - გვ. 42-48;
23. ფლამარიონი, კამილ. მების ხუმტურები: კამილ ფლამარიონისა. თარგმანი ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1904. - №12, განყ. II. - გვ. 18-21;
24. ჰერცი, ანრი. პირველი სხივი: დრამატული სურათი ერთ მოქმედებად ანრი ჰერცისა [თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] // მოამბე. - 1904. - №3, განყ. I. - გვ. 70-116;
25. Rednault, F. ტყე და ხალხის კეთილდღეობა: [თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1904. - №9, განყ. II. - გვ. 39-46;
26. Romme, R. რძის თავყვანისცემელთა საყურადღებოდ: [თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1904. - №11, განყ. II. - გვ. 39-48;
27. Ular, A. ჩინელებისა და იაპონელების მომავალი: [თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // მოამბე. - 1904. - №10. - გვ. 67-82;
28. ბერი, პოლ. – ა) პოლ ბერის საუბარი: [ბუნებისმეტყველებიდან. თარგმანი ი. მაჭავარიანისა] ი. მ. - ა-ნისა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1905. - №5. - გვ. 255-259; №6. - გვ. 309-313; №7. - გვ. 372-376; ბ) პოლ ბერის საუბარი: ხარჯი // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1908. - №7. - გვ. 12-17;
29. ვაგნერი. ბაქია და ცრუპენტელა: (ზღაპარი) [თარგმანი] ი. მაჭავარიანისა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1905. - №9. - გვ. 487-495;
30. ვოდოვოზოვი, ვ. ვ. საყოველთაო საარჩევნო უფლება / [თარგმანი] ივ. მაჭავარიანისა // ივერია. - 1905. - 7 აპრილი. - №47. - გვ. 2-3;
31. ლაგერლეფი, სელმა. გულწითელა: ლეგენდა (ფრანგულით) ივ. მაჭავარიანისა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1905. - №6. - გვ. 291-297;
32. საზღვარი / თარგმანი ი. მაჭავარიანისა // ივერია. - 1905. - 10 აგვისტო. - №139. - გვ. 2;
33. ჩაუსერი. ოთხასნი: ისტორიული მინიატურა ჩაუსერისა: [მთარგმ. ივ. მაჭავარიანი] // ივერია. - 1905. - 2 ივნისი. - №90. - გვ. 4;
34. Hericourt D-r. ექიმის დანიშნულება: [თარგმანი] ივ.

- მაჭავარიანისა // მოამბე. - 1905. - №3, განყ. II. - გვ. 71-80;
35. ელტიერ, ჟ. უებარი წამალი: (ფრანგულიდან) // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1906. - №2. - გვ. 23-33;
 36. ფედო. ნყალზედ აღმოცენებული ხახვი: (გასართობი ბოტანიკა) // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1907. - №10. - გვ. 18-20;
 37. დობრესი, მ. მუზიკის გავლენა ცხოველებზედ // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1908. - №5. - გვ. 24-30;
 38. უაილდი, ო. ჭაბუკი მეფის სიზმარი: (ზღაპარი) // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1908. - №3. - გვ. 26-40;
 39. გულნიტელი / ლეგენდა სელმა ლაგერლევისა (თარგმანი ივ. მაჭავარიანისა) // მოთხრობები. - [ტფილისი]: ამხ. „ცისკარი“-ს სახალხო გამოც. № 5, 1913. - 32 გვ.; 17 სმ.;
 40. დოროშევიჩი. სინდისი: (დოროშევიჩისა) [მოთხრობა. თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №7. - გვ. 3-4;
 41. მენდესი, კატ. სანაძლეო: (კატ. მენდესისა) [ნოველა. თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №6. - გვ. 10;
 42. ოჟეტტი, უგო. მიხაკი: დრამა ერთ მოქმედებად [პიესა. თარგმანი ივ. მაჭავარიანისა] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №9. - გვ. 9-12; №10. - გვ. 9-13;
 43. მოლიერი. ტარტიუფი ანუ მუზმუზელა: კომედია ხუთ მოქმედებად // მოლიერი. კომედიების კრებული / რედ., წინასიტყვ. და შენიშვნ. პლატონ კეშელავასი; მხატვ.: შ. ბერიტაშვილი. - თბ.: ფედერაციის გამომც. და სტ., 1937. - XXV, 442 გვ.: 1 ჩართ. ფურც. პორტრ.; 22სმ.

მის შესახებ:

1. შინაური ქრონიკა // დროება. - 1885. - 20 მარტი. - №61. - გვ. 2;
2. ახალი ამბავი // ივერია. - 1887. - 20 ოქტომბერი. - №218. - გვ. 2;
3. გარდახვენილი (გიორგი შარვაშიძე). ქართული თეატრი // ივერია. - 1893. - 15 ოქტომბერი. - №221. - გვ. 1-2;
4. ქართული სახიობა: I. „სტუმარი“. დრამა 2 მოქმ. ბრანდესის, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა. II. „აირია მონასტერი“, კომ. 3 მოქმ. გადმოკ. თ. სახოკიასი და ვ. გუნიასი // კვალი. - 1893. - №43. - გვ. 2-3;
5. კვირას, 27 მარტს... პირველად ახალი პიესა „უბრალოდ დასჯილნი“, კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა... // ივერია. - 1894. - 25 მარტი. - №65. - გვ. 1;
6. კვირას, 5 თებერვალს... I- „უბრალოდ დასჯილნი“, კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგ. მაჭავარიანისა: II- „გულმა იგრძნო“, ვოდ. 1 მოქმ. // ივერია. - 1895. - 4 თებერვალი. - №26. - გვ. 1;
7. კვირას, 28 იანვარს, წარმოდგენილი იქნება... I- „უბრალოდ დასჯილნი“, კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგმანი ი. მაჭავარიანის მიერ: II- „დემონი“, დრამატ. სცენა 1 მოქმ. ლერმონტოვისა, თარგ. მ. გურიელის მიერ // ივერია. - 1896. - 28 იანვარი. - №22. - გვ. 1;
8. ახალი ქართული წიგნი // ცნობის ფურცელი. - 1897. - 12 ივნისი. - №223. - გვ. 2;
9. შემონირულება ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების წიგნსაცავისათვის... // ივერია. - 1897. - 26 ოქტომბერი. - №221. - გვ. 4;
10. აკაკი [წერეთელი] შენიშვნები // აკაკის კრებული. - 1898. - №11, განყ. I. - გვ. 3-7;
11. ერკმან-შატრიანის თხზულება ქართულ ენაზე // ცნობის ფურცელი. - 1899. - 27 მარტი. - №783. - გვ. 1;
12. ბენეფისი გ. ვ. გედევანოვის, ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის და ქ. ნ. ჩხეიძის მონაწილეობით... წარმოდგენილი იქნება: „ბრჭყალები“, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა. „დავით რაბინი“, კომ. 3 მოქმ. ე. შატრიანისა, თარგმ. ა. ცაგარლისა // კვალი. - 1900. - №50. - გვ. 804;
13. პირველად ახალი პიესა: „მიკუნჭული ბედნიერება“, კომ. 3 მოქმ. გ. ზუდერმანისა, თარგმ. გ. რცხილაძისა; „სტუმარი“, დრ. 2 მოქმ. ე. ბრანდესისა, თარგმ. ი. მაჭავარიანისა // კვალი. - 1903. - №6. - გვ. 106;
14. „კაი გრაკხი“, დრ. 5 მოქმ. მონტისა. თარგმ. ივ. მაჭავარიანის: რეცენზია - ქართული დრამა: [ვლ. მესხიშვილის ბენეფისზე დადგმული პიესის შინაარსი. ბენეფიციანტის თამაშის ქება. დესპინე ივანიძის და სხვ. შესახებ] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 19 თებერვალი. - №2748. - გვ. 3;
15. „კაი გრაკხი“, დრამა მონტისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანის: რეცენზია - ახალი ამბავი: [ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენის დიდი წარმატებით ჩატარება] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 15 მარტი. - №2771. - გვ. 3;
16. ჟორჟოლიანი, სერგო (პელაგიაშვილი ს.). ქუთაისი: [მონტინის დრამის „კაი გრაკხის“ დადგმა ვლ. მესხიშვილის, ვ. გამყრელიძის, ი. ზარდალიშვილისა და სხვათა მონაწილეობით. თარგმ. ივ. მაჭავარიანი] // ივერია. - 1905. - 14 იანვარი. - №10. - გვ. 3;
17. გვთხოვენ დავებეჭდოთ // ისარი. - 1907. - 26 ივნისი. - №137. - გვ. 2;
18. მოგვივიდა საყმანვილო ჟურნალის... // ისარი. - 1907. - 29 მაისი. - №115. - გვ. 2;
19. ქართული წარმოდგენა // ისარი. - 1907. - 21 მარტი. - №62. - გვ. 1;
20. ადგილობრივი პრესა // დასაწყისი. - 1908. - 9 მარტი. - №6. - გვ. 2;
21. ნაკადული // ამირანი. - 1908. - 9 ივლისი. - №103. - გვ. 2;
22. გლეხი-კაცის ისტორია: მიიღება ხელის მონერა... // ფონი. - 1909. - 13 დეკემბერი. - №15. - გვ. 8. - №16. - გვ. 8; №17. - გვ. 8; აგრეთვე: მომავალი. - 1909. - 15 ნოემბერი. - №67. - გვ. 1; №80. - გვ. 1; №85. - გვ. 1; №86. - გვ. 1; №87. - გვ. 1; №88. - გვ. 1... - განცხადებანი;
23. „გუთნის“ შესახებ: (პასუხად ბ-ნ ივ. მაჭავარიანს) // დროება. - 1909. - 23 იანვარი. - №M17. - გვ. 4. - ტექსტის ბოლოს: „გუთნის“ შემდგენელნი;
24. კვირას, 25 ოქტომბერს... // ფონი. - 1909. - 25 ოქტომბერი. - №8. - გვ. 1;

25. ქართული თეატრი // მომავალი. - 1909. - 4 ოქტომბერი. - №31. - გვ. 4;
26. გლეხი-კაცის ისტორია: მიიღება ხელის მოწერა... // დროება. - 1910. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 6;
27. ქართული თეატრი // ახალი აზრი. - 1910. - 5 ოქტომბერი. - №3. - გვ. 1;
28. კრიტიკული დახასიათება: („გლეხი-კაცის ისტორია“ ერკმან-შატრიანისა. თარგ. ივ. მაჭავარიანისა) I. // შინაური საქმეები. - 1911. - №21. - გვ. 9-11;
29. მთარგმნელი: [პორტრეტები] // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №14. - გვ. 5-6;
30. ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №40. - გვ. 16. - წერილი ამბები;
31. ქართული თეატრის ისტორიის გამოცემა განიზრახა... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №41. - გვ. 16;
32. უსავანო. ტარტიოფი ანუ მუზმუზელა... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №40. - გვ. 14. - ქართული სახიობა;
33. შიუკაშვილი, ნ. ვალერიან გუნია - მფარველი ქართული ლიტერატურისა: (მოგონება) // მადლობის დღე. 1882-1917 (XXXV). - 1917. - [№1]. - გვ. 9-11;
34. ჯაბაური, გ. სახალხო თეატრის ისტორია: (იხ. „თ. და ცხ.“ №51.) // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №2. - გვ. 13;
35. რურუა, ან. ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი“ // კომუნისტი. - 1936. - 16 აპრილი. - № 88.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. ქართული ბიბლიოგრაფია: 1. ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. - პეტროგრადი, 1916. - გვ. 50;
3. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ.: 476, 492;
4. კომუნისტი. - 1943. - 12 მარტი. - № 59;
5. Заря Востока. - 1943. - 13 მარტი. - № 60.

მაჭავარიანი, ილიკო – გორის სამაზრო სამმართველოს მოხელედ ყოფნის დროს, 1880-იან წლებში, მონაწილეობდა გორის რევოლუციონერების ვინრო წრეში. 1883 წელს ჟანდარმერიამ დააპატიმრა მეტეხის ციხეში.

წყარო:

1. მოგონება // რევოლუციის მატინე. - 1923. - № 4. - გვ.: 185, 188, 189.

მაჭავარიანი, იოსებ [ოსიკო] კონსტანტინეს ძე (1873, 3/XI –) – პოლიტიკური მოღვაწე, – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი

დამაარსებელთაგანი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, – სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის მე-7 კლასიდან გადაეცეს კომედიის დაწერისათვის, რაშიც უარყოფითად დაასურათა მაშინდელი სკოლების გამრუსებელი სისტემა და კლასიკური გიმნაზიის ზოგიერთი მასწავლებელი. დაამთავრა თბილისის I კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1903 წელს ჩაენერა თბილისის ვეჩილთა კორპორაციაში.

უმთავრესად, პოლიტიკურ პროცესებსა („სენაკის რესპუბლიკა“, „ჯიხაძის რესპუბლიკა“, „კანდიტერ ალიხანოვის მკვლელობა“, „აჭარის პროცესები“ და სხვ.) და „სალიტერატურო გასამართლებათა“ წარმოებაში მონაწილეობდა („სამშობლოს“, „ღალატის“, „თამარ ცბიერისა“ და სხვა წარმოებთა გამირების გასამართლებათა).

1915 წლის მარტის 10, თბილისის საოპერო თეატრში გამართულ „აკაკის დილაზე“ სიტყვით მოუწოდა ქართველ პატრიოტებს – „ეროვნულ-დემოკრატიული“ დროშის ქვეშ შეიკრიბენითო. იმავე წელს აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსებაში და გაზ. „საქართველოს“ გამოცემაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დაწყებისთანავე, საჯარო კრებაზე ქართულ თეატრში ქართველ ხალხს მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობის განთიადი. იმავე 1917 წლის 15 აგვისტოს, „მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე“, როგორც საქართველოს ნაციონალისტური ჯგუფების წარმომადგენელმა, რუსეთს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნეს მთლიანად საქართველოს სუვერენული უფლებანი, თანახმად 1793 წლის ტრაქტატისაო. ამ სიტყვაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „არამც თუ დაფხრინეს 1783 წლის ტრაქტატი, როგორც უბრალო „ქალღლის ნაფლერთი“, არამც თუ გადარცვეს და განიტაცეს საქართველოს ნაციონალური სიმდიდრენი, არამედ ისეთ ელემენტარულ სვინდისის და უფლების საკითხშიაც კი, როგორც არის სარწმუნოება, როგორც არის კანონიერი წყობილება საქართველოს ეკლესიისა, რუსეთი უშვერის დაცინვით ფეხქვეშ სთლავს საქართველოს უფლებას და მის ეროვნულ თავმოყვარეობას. გავალებთ, რომ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნეს პოლიტიკური უფლებანი საქართველოსი. სრული ჭეშმარიტება წარმოსთქვა აქ კერენსკიმ: „არ არის თავისუფლება უსამშობლოდ, არ არის სამშობლო უთავისუფლებოდ“-ო. 117 წელი გავიდა, რაც რუსეთმა წაართვა ქართველ ერს თავისუფლებაც და სამშობლოც. კმარა, დროა დაუბრუნოთ მას ერთიცა და მეორეც“. ასეთივე მოთხოვნით გამოვიდა იმავე 1917 წლის სექტემბერში „კიევის ერთა ყრილობაზე“. 1917 წლის ნოემბრიდან ი. მაჭავარიანი, საქართველოს ეროვნული საბჭოს შემდეგ, დამფუძნებელ კრების წევრი იყო 1921 წლამდე. ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს სასახლეზე სახელმწიფო დროშად ინტერნაციონალური წითელი ალამი აღმართეს,

ეროვნულ საბჭოს დიდი უმრავლესობა (უმთავრესად, სოციალისტური პარტიებისაგან შემდგარი), რევულარული ჯარის დაარსების წინააღმდეგი იყო, რადგან თავდაცვისათვის საკმარისად მიაჩნდა წითელი გვარდია, ამისათვის ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ი. მაჭავარიანმა 1918 წლის 16 ივნისს საბჭოს სხდომაზე, სხვათა შორის, განაცხადა: „სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და იმის მთლიანობის მთავარი ბურჟია რევულარული ჯარი და არა „წითელი გვარდია“... მაგრამ თქვენ (სოციალ-დემოკრატებს) საქართველო გინდათ თქვენი პარტიისათვის და არა პარტია საქართველოსათვის... რაც შეეხება დროშას, – სახელმწიფო სასახლეზედ ამართული უნდა იყოს ეროვნული სახელმწიფო დროშა და არა პარტიული, თუნდაც ინტერნაციონალური, ბაირახი. პარტიული ბაირახი კი არ უნდა ჩრდილავდეს სახელმწიფოსას, პირიქით – სახელმწიფო დროშა და ალამი გამაერთებელის ძლიერებით უნდა სახავდეს ყოველ პარტიას, ყოველ ნოდებას, ყოველ ჯგუფს, როგორც მთლიანი ერთეული თავის შემადგენელ ნაწილებს. სახელმწიფო დროშა, როგორც ემბლემა, ფუძეა ეროვნული მთლიანობის და სიმტკიცის“-ო.

როდესაც პარლამენტში ირჩეოდა საკითხი, თუ რა ენაზე ხდებოდა სამართლის წარმოება, ი. მაჭავარიანმა გაილაშქრა სოციალისტური პარტიების კანონპროექტის წინააღმდეგ და, სხვათა შორის, თქვა: „თუ თქვენ სახელმწიფო დანესებულებებში იმდენ ენაზე აწარმოეთ საქმეები, რამდენ ენაზე მოლაპარაკე მოქალაქეც საქართველოს ტერიტორიაზედ აღმოჩნდება, მაშინ ეს საქართველოს სახელმწიფო კი აღარ იქნება, არამედ ბაბილონის გოდოლი, რომლის დანგრევის დღეები დასათვლელი შეგვექნება... სამართლის წარმოება არის ერთგვარი კულტურა. ჩვენ გვაქვს ძველი კანონმდებლობა, საკმაო ტერმინებიც და მაინც გვიძნელდება სასამართლოს ნაციონალიზაცია... საიდან შეუქმნათ ჩვენ ასეთი კულტურა ოსებს, ლეკებს, თათრებს, სომხებს და სხვ... თქვენ სწადიხართ ისეთსავე დანაშაულს, როგორიც იყო „რეალური მოსახლეობის პრინციპის“ თქვენ მიერ აღიარება: როგორც ამ პრინციპის გადაყიდვით, თქვენ მიერ წაქეზებული ჩვენი მეზობლები დღეს გვედავებიან და ლამობენ საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის ჩამოგლეჯას, ისე საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათ უფლება და საშუალება ეძლევა მოგვთხოვონ სრული განაღდება იმ თამასუქებისა, რომელთაც ამ კანონით თქვენ მათ აძლევთ და რომელთა განაღდებას თქვენ ვერ შესძლებთ...“.

„საქართველო სხვადასხვა სახელმწიფოებისაგან კი არ კონინდება, არამედ ეს არის ერთი მთლიანი ეროვნული სხეული, ერთი განუყოფელი სახელმწიფო და მას აქვს და კიდევ უნდა ექნეს ერთი სახელმწიფოებრივი ენა“-ო.

გამოქვეყნებულია:

1. ვეილის (იოსებ მაჭავარიანის) სიტყვა // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №12. - გვ. 6-9;

2. იოსებ მაჭავარიანის სიტყვა, თქმული საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე, მარიამობისთვის 15 (სტენოგრამით) // საქართველო. - 1917. - 23 აგვისტო. - № 185. - გვ. 1.

მის შესახებ:

1. ბარძიგაშვილისა, ეკატერინე. მონყალეო ხელმწიფევი! იოსებ კონსტანტინეს ძე მაჭავარიანო! // ეკალი. - 1908. - 18 სექტემბერი. - №15. - გვ. 4. - წერილები რედაქციის მიმართ;
2. გასამართლება „სამშობლო“-ს გამირების ქეთევან ლიონიძისა და ლევან ხიმშიაშვილისა // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №12. - გვ. 3;
3. ვეილი იოსებ მაჭავარიანი: [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №12. - გვ. 6;
4. გაერთიანებული რეაქცია: იოსებ მაჭავარიანი და შალვა ქარუმიძე [ორი ნახატი] // ეშმაკის მათრახი. - 1921. - №60. - გვ. 12. - ნახატებს დართული აქვს იუმორისტული ლექსი.

წყარო:

1. ავტობიოგრაფიული ცნობები;
2. საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომის სტენოგრამები;
3. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრამები;
4. გასამართლება „სამშობლო“-ს გამირების ქეთევან ლიონიძისა და ლევან ხიმშიაშვილისა // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №12. - გვ. 3;
5. სახალხო ფურცელი. - 1915. - 10 ივლისი. - № 230;
6. იოსებ მაჭავარიანის სიტყვა, თქმული საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე, მარიამობისთვის 15 (სტენოგრამით) // საქართველო. - 1917. - 23 აგვისტო. - № 185. - გვ. 1;
7. „კიევის ეროვნებათა ყრილობის“ სტენოგრამები. - 1917;
8. Революция и национальный вопрос [Текст]: Документы и материалы по истории национального вопроса в России и СССР в XX веке / Под ред. С. М. Диманштейна; Ком. акад. Комис. по изучению нац. вопроса. - Т. 3: 1917. Февраль-октябрь [Текст] / Сост. И. Левин, Е. Драбкина; Предисл. С. М. Диманштейна. - Москва: Коммунистическая академия, 1930. - Стр. 396-397.

მაჭავარიანი, იოსებ [სოსო] ივანეს ძე, იბივე „სტალარი სოსო“ (1877, 25/XI –) – რევოლუციონერი, – პროპაგანდისტ-აგიტატორი, ორგანიზატორი, მუშა-ყურნალისტი, პარტიუმაკი და კოოპერატორი, – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, – კახეთიდან (დაიბადა სოფ. ახაშენში, ყოფ. სიღნაღის მაზრა, უღარიბეს ოჯახში, რომლის მამასაც მ შვილი ჰყავდა, გვარი აზნაურის ჰქონდა, ქონება კი არც ლატაკი გლეხისა, რის გამოც „ტიყუილ აზნაურებს“ ეძახდნენ). ი. მაჭავარიანი ბავშვო-

ბიდან საქონელს მწყემსავდა სოფელში, 16 წლისა გამოიპარა თბილისს, სადაც ადრე გამოპარული იყვნენ მისი ძმები. 1893 წელს, უფროსი ძმის დახმარებით დურგალს („სტალარს“) მიეზარა, 3 წელში ხელობა შეისწავლა, ამავე დროს წერა-კითხვის სწავლას შეუდგა. ზ. ჭიჭინაძის დახმარებით (წიგნებს აძლევდა უფასოდ) და იოსებ იმედაშვილის შემწეობით (სალამ-სალამოთი ასწავლიდა უფასოდ) თვითგანვითარებას დაეწაფა. მისი ძმის საწვრიმალეო ღუქანში ხშირად იკრიბებოდნენ იმ დროის რკინიგზის მოწინავე მუშები (მ. ბოჭორიძე, არაქეკე ოქუაშვილი და სხვ.), რომელთა კამათს ხშირად ესწრებოდა. ამ დროს ისახებოდა „მესამე დასი“ და რკინიგზელი მუშები საიდუმლო წრეებს ქმნიდნენ მარქსისტული ლიტერატურის შესასწავლად. 1896 წელს, ი. მაჭავარიანი, მ. ბოჭორიძისა და დ. როსტომაშვილის (წინონმინდელი) დახმარებით, რკინიგზის მოწინავე მუშების საიდუმლო წრეს დაუკავშირდა, სადაც უფრო ბევრთად შეუდგა პარტიულ-პოლიტიკური განხრით მომზადებას (წრეში ამ დროს გადიოდნენ გრამატიკას და არითმეტიკას, რათა უფრო შეგნებით შესძლებოდათ საჭირო წიგნების წაკითხვა. კითხულობდნენ რჩეულ და არალეგალურ წიგნაკებსა და სხვ.). 1900 წელს უკვე პარტიულ ფანატიკოს მუშაკად გარდაიქცა, მთელ დროს პარტიულ მუშაობას ანდომებდა, აქტიურად მონაწილეობდა ყოველ პირველმაისობასა და გაფიცვებში (სხვათა შორის, 1903 წლის დასაწყისში – 2 თებერვალს, ქაშვეთის წინ ქუჩაზე შემდგარ მიტინგზე, რომელსაც ორივე მხრით პოლიცია და ჟანდარმერია შემოერტყნენ, იოსებ იმედაშვილის მიერ წარმოთქმული რევოლუციური სიტყვის დროს, მან ააფრიალა წითელი დროშა, რასაც დიდი დემონსტრაცია მოჰყვა გოლოვინის (იგივე რუსთაველის) გამზირზე). ბოლოს ხელოსნობა მიატოვა და საპროპაგანდო-სააგიტაციოდ დადიოდა მაზრებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის დავალებით. 1906-1908 წლებში თბილისის კომიტეტის მიერ გამოყოფილი საგუბერნიო სასოფლო ხელმძღვანელი სამეულის წევრად იყო (მ. ქარცივაძესა და ვასო ცაბაძესთან ერთად) და პარტიულ-რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა ქართლ-კახეთ-მთიულეთში.

სამწერლო დარგში – დაახლოებით 1907 წლის დასაწყისს თბილისში გამოსცა სასოფლო-სახალხო გაზეთი „ახალშენი“ და „ცის ნამი“, რომლებშიაც წერდა „სტალარი სოსოს“ ფსევდონიმით. სხვათა შორის, დაწერა და თავის სახელ-გვარით გამოსცა „ვინ არიან ხალხის მტრები სოციალ-დემოკრატები თუ ფედერალისტები“ (ტფ., 1908, 24 გვ.), რის გამოც შეიპყრეს და 4 წელი ციხეში ჰყავდათ გამოძიების ქვეშ, თუმცა, ამ წიგნაკის გამო, 1 წელი მიესაჯა. აბრალებდნენ ნადიროვკაში (ახალუბანში, ყოფ. სომხის სემინარიასთან) აღმოჩენილი ყუმბარების საწყობში მონაწილეობას. 1910 წელს მეტეხის ციხეში იოდი თავი მოინამლა და ზედა სართულის აივნიდან გადმოვარდა სასიკვდილოდ (მიზეზი: ჟანდარმთა როტ-

მისტრი ბაშინსკი დაჟინებით სთხოვდა, ჯაშუშად დაგვიდექ, თორემ ციხეში ამოგალპობო და ახალ-ახალ ბრალდებას უდგენდა). 1912 წელს მერეს გადაასახლეს, შემდეგ – როსტოვს, საიდანაც საიდუმლოდ ტფილისს დაბრუნდა (1913), ხოლო ვინაიდან გაძლიერებული ჯაშუშობის გამო იმ დროს თბილისში ცხოვრება არ შეიძლებოდა, 1914 წელს სოფ. ველისციხეში სახელოსნო გახსნა, იმავე დროს, ახლად დაწყებულ კოოპერაციულ მოძრაობაში ჩაება და, სხვებთან ერთად, სოფ. ახაშენში დააარსა კოოპერატივი „ნორჩი“, ველისციხეში – „ერთობა“ (რომლის გამგეობაშიაც მუშაობდა) და აკაკის სახელობის სამკითხველო. 1915 წელს, მისი მხურვალე მონაწილეობით, თელავ-სიღნაღ-თიონეთის მაზრების კოოპერატივთა გაერთიანებით შეიქმნა „კახეთის კავშირი“, რომლის გამგეობის წევრადაც აირჩიეს.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ კახეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, იმავე დროს – სამაზრო „საადგილმამულო კომიტეტის“, შემდეგ – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად.

1920 წელს „სხივებს“ მიემხრო, მაგრამ ინტელიგენტური კინკლაობა შეატყო, მალე ჩამოშორდა და პარტიის გარეშე დარჩა.

1924 წელს არჩეულ იქნა თელავში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წევრად, შემდეგ – თელავის პროფკავშირთა კულტგანყოფილების გამგედ, 1925 წელს – სახალხო მოსამართლედ კახეთში (სოფ. შილდას), 1927 წელს – დამცველთა კოლეგიის წევრად, თელავის სცენისმოყვარეთა გამგეობის წევრად, სადაც მისი შთაგონებით განახლდა დრამატული დასი დამსახურებულ სცენისმოყვარეთა ახალგაზრდა ძალების მონაწილეობით, ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი და სხვ.

თანამშრომლობდა სხვადასხვა ყურნალ-გაზეთში. ზემოხსენებულის გარდა, მის ნაწერთაგან აღსანიშნავია: „ერთი ცალი წითელი კვერციხი“ („ხალხის თავისუფლება“, 1917).

მისი ფსევდონიმებია: კახელი სოსო, კახეთის მეთვალყურე, მოგზაური. წერდა კოოპერაციაზე, აგრეთვე – კორესპონდენციებს.

ცალკე გამოცემულია:

1. ვინ არიან ხალხის მტრები სოციალ-დემოკრატები თუ ფედერალისტები / შედგენილი და გამოცემული სოსო მაჭავარიანის მიერ. - ტფ., 1908 (ამხ. „პრომა“-ს სტ.). - 24 გვ.; 21სმ.

გამოქვეყნებულია:

1. მესამე ღუმა და ჩვენი ტაქტიკა // ცის ნამი. - 1907. - 6 დეკემბერი. - №1. - გვ. 1-2;
2. ჩვენი უმოქმედობა // ცის ნამი. - 1907. - 16 დეკემბერი. - №9. - გვ. 1-2;
3. აკაკი რითია ძვირფასი? // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №10. - გვ. 15-16;
4. ჩუმი მოღვაწენი: სცენის მოყვარე ნაპოლეონი // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №33. - გვ. 14;

5. უსწავლელი მასწავლებელი // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №12. - გვ. 6-7;
6. წერილი თელავიდან // სოფლის მუშა. - 1917. - №2. - გვ. 7-8;
7. ჩემი გულწრფელი სალამი „ახალი კვალი“-ს ხელმძღვანელთა // ახალი კვალი. - 1921. - №2. - გვ. 9.

მის შესახებ:

1. კოკიაში ისხნება იაფფასიანი... // ისარი. - 1907. - 14 თებერვალი. - №53. - გვ. 1;
2. ბ. რედაქტორო!: ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით... // ხომლი. - 1908. - 2 აგვისტო. - №18. - გვ. 4. - წერილები რედაქციის მიმართ. - ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: გამგეობის მონდობილობით მასწ. გიგო ნაცვალაოვი;
3. მოსული. მკითხველის მცირე შენიშვნის შესახებ // ნაპერწკალი. - 1908. - 28 ივნისი. - №28. - გვ. 3-4;
4. ხუთშაბათს, 7 მარიაშობისთვის გამოვა... // ხომლი. - 1908. - 2 აგვისტო. - №18. - გვ. 1;
5. ველის ციხეში აკაკის სახელობის წიგნთსაცავის გახსნას აპირებენ // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №18. - გვ. 16. - წერილი ამბები;
6. კახეთის საკრედიტო და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათა კავშირის გამგეობა: იოსებ (სოსო) ივანეს ძე მაჭავარიანი, დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი, დავით ნიკოლოზის ძე ქადაგიძე [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №10. - გვ. 8;
7. ორბი-შვამთელი. თელავი // ეშმაკის მათრახი. - 1920. - №20. - გვ. 15. - დეპეშები.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. კახელი სოსო. სად რა კეთდება – ვინ რას აკეთებს? ვეშადადოთ სახალხო სახლში შესასვლელად // თეატრი და ცხოვრება. - 1925. - № 3. - გვ. 14;
3. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრაფ. რედაქცია: თ. ნაკუშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 476.

მაჭავარიანი, ლადო ილიას ძე (1893 – 1939, 3/III) – დაიბადა სოფ. ილემში, ზესტაფონის რაიონი. უმაღლესი განათლებით.

მწერლობა დაიწყო 1914 წელს. წერდა ლექსებსა და პოემებს.

ცალკე გამოცემულია:

1. სარკოქაგები. - [წ. 1]. - ტფ., 1924 (სამხედრო კომისარიატის სტ.). - 22, [15] გვ.; 22სმ;
2. მტკვარი ჯავშნოსანი: პოემა. - ტფ., 1928 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - 131 გვ.; 18სმ.

გამოქვეყნებულია:

1. NINEAVIAS. 6. ა-ლს: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1925. - №5. - გვ. 9;

2. მთა იმერეთი: [ლექსი] // სალიტერატურო გაზეთი. - 1934. - №1. - გვ. 3.

წყარო:

1. ლიტონდის საანკეტო ფურცელი;
2. ლიტერატურული საქართველო. - 1939. - 5 მარტი. - № 8.

მაჭავარიანი, მირიან – 1929 წელს დაამთავრა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი. დამცველთა კოლეგიის წევრად ყოფნის დროს, დამცველთა კოლეგიის წმენდისას (1930 წლის 18 თებერვალს), განაცხადა: „სასამართლო არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს კლასობრივი, საბჭოთა ხელისუფლება ამ მხრივ უხემ შეცდომას სჩადის“.

წყარო:

1. გ-ი. დამცველთა კოლეგიის წმენდა: „ყოფილების“ ახალი სერია // კომუნისტი. - 1930. - 22 თებერვალი. - № 44. - გვ. 3.

მაჭავარიანი, მიხეილ – მუსიკოს-მომღერალი, სახალხო სიმღერების შემკრები, – ტფილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა სიმღერა-გალობას. 1878 წელს ნოტებით გამოსცა თვისმიერ შეკრებილი და ნოტებზე გადაღებული სიმღერები „სამშობლო ხმები“, რომელიც ძვირფასია იმ მხრივ, რომ ცხადყოფს, ჩვენში რა გზით დაიწყო სიმღერების შეკრების საქმე და მით სამშობლო მუსიკის აღორძინება.

ცალკე გამოცემულია:

1. სამშობლო ხმები: ყმანვილებისათვის სამღერადი სახალხო სიმღერები, გარდაღებული ნოტებზე ერთ, სამ და ოთხ ხმისათვის / შედგენილი მ. მაჭავარიანისა. - თბ.: გამოც. გ. ჩარკვიანისა-მიერ, 1878. - 27, [2] გვ.; 25სმ..

გამოქვეყნებულია:

1. უფ. ანდ. მრევლოვის ნოტებზედ // დროება. - 1878. - 3 მარტი. - №45. - გვ. 2;
2. უფ. რედაქტორო!... // დროება. - 1879. - 26 მაისი. - №108. - გვ. 2;
3. წერილი რედაქტორთან // დროება. - 1880. - 22 ივნისი. - №131. - გვ. 2-3.

მის შესახებ:

1. დღიური // დროება. - 1878. - 21 სექტემბერი. - №190. - გვ. 1; 7 ოქტომბერი. - №203. - გვ. 2;
2. მრევლოვი, ანდრია. უფ. რედაქტორო!... // დროება. - 1878. - 11 თებერვალი. - №31. - გვ. 3;
3. სვიმონიძე (იაკობ გოგებაშვილი). მცირე შენიშვნა ახალ საქმეზედ // დროება. - 1878. - 10 აგვისტო. - №161. - გვ. 1-2;

4. მაკარი არხიმანდრიტი. ბ. რედაქტორი!... // დროება. - 1880. - 23 აგვისტო. - №178. - გვ. 2-3; 24 აგვისტო. - №179. - გვ. 2-3;
5. ნაკაშიძე, მელქისედექ. თქვენო მაღალ ღირსებავ მამო არხიმანდრიტო მაკარი!... // დროება. - 1880. - 24 აგვისტო. - №179. - გვ. 3;
6. ცამცივეი-ძამსაშვილი, ნომან. ბატ. ანჩხატელს // შრომა. - ქუთაისი, 1882. - 3 თებერვალი. - №5. - გვ. 4.

წყარო:

1. არაყიშვილი, დ. – ა) Музыкально-этнографические очерки о грузинской народной музыке: [сборник] / Д. И. Аракчиева. - Москва, 1906. - с. 119; ბ) ქართული მუსიკა: მოკლე ისტორიული მიმოხილვა / მ. იპოლიტოვ-ივანოვის წინასიტყვაობით. - ქუთაისი: გამომცემლობა მეცნიერება საქართველოში, 1925 (ადგილობრივი მეურნეობის სტ.). - გვ. 41; 24სმ.;
2. გოგებაშვილი, იაკობ. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწარები / იაკობ გოგებაშვილისა. - ტ. 1. - თბ., 1910 (ს. ლოსაბერიძის სტ.). - გვ. 64-68.

მაჭავარიანი, ნუნუ ილიას ასული (1898,

23/IX—)—მსახიობი და მწერალი, — დაიბადა ტფილისში. მამა — მოლარე, დედა — დიასახლისი და ოჯახში მკერავი. იზრდებოდა მეტად ღარიბ მდგომარეობაში. სწავლა დაიწყო წმ. ნინოს სასწავლებელში 1906 წელს, 1909 წელს გადავიდა „განათლებაში“, საიდანაც 1912 წელს დაითხოვეს მასწავლებლთან შეკამათების გამო, სახლში თვით მოემზადა და ვაჟთა I გიმნაზიაში სიმწიფის მოწმობაზე გამოცდა ჩააბარა, ამავე დროს, ლ. მესხიშვილის დრამატულ კურსებზე მსმენელად იარებოდა. სცენისადმი მისწრაფება აღუძრა „სამშობლოს“ ნახვამ, პირველად სცენაზე გამოიყვანა ზ. ბერიშვილმა ნაძალადევის თეატრში 1917 წელს, ხოლო სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობა დაიწყო 1920 წელს შ. დადიანის ხელმძღვანელობით ქუთაისში (პიესა „ვარამში“ შეასრულა გულსუნდა). 1920-1921 წლების სეზონი ქუთაისში იმსახურა, 1921-1922 წწ. — დუშეთში, 1922-1924 წწ. — ბათომში, 1924-1927 წწ. — ქუთაისში, 1929-1930 წწ. — მარჯანიშვილის თეატრში, 1936-1937 წწ. — ხულოში, 1937-1938 წწ. — თელავში. ამპლუა არა სწამს. შეუსრულებია: დეზდემონა — „ოტელო“, გინატრე — „გურია“, თიკა-მაკა — „კაკალ გულში“, ევა შერგ — „ჰოპლა“, ივდიითი — „ურიელ აკოსტა“, ლიზა — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ფანი — „ჯოისტრიტი“, პასკუალა — „ლაურენსია“, ნუცა — „ალღუმი“, დედა — „ქართველის დედა“, ბრმა — „ორი ობოლი“ და სხვ. მონაწილეობს ესტრადაზე დაც, პირველ წელსვე (1920-1921) გაუმართეს ბენეფისი. ცნობილია, როგორც ხალისიანი, ნიჭიერი და საზოგადოებრივი მისწრაფებით გატაცებული სცენის მუშაკი, ნაკისრ როლების სინდისიერად შემსრულებელი.

1935 წელს იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში, საკუთარი ხელმძღვანელობით დასდგა წარმოდგენები

ხულოს, ბათომს და სხვ. დასწერა საბავშვო პიესა „ცრუ პენტელა“, 4 მოქ. (დაიდგა ტფილისში, ბავშვთა ოლიმპიადაზე 1 მოქ., 1935 წელს — ხულოში, 1937 წელს — ქედაში), საესტრადო სცენები: „სოფლელი დედაკაცი“, „უკრაინელი“, „ბავშვის სცენა“, „ცუდი ცოლის ყოლასა სჯობს კარგი ცოლის ყოლაო“, ვუძღვნი ლოთებს“, „სუქანი სჯობს გამხდარს, გამხდარი სჯობს სუქანსა“ და სხვ. წევრია ხელოვნების მუშაკთა კავშირისა. მისი აზრით, სცენაზე მთავარი მნიშვნელობა აქვს მსახიობის თვითშემოქმედებას.

წყარო:

1. იმედაშვილი, შ. ქართული სცენის ალბომი: [ხელნაწერი].

მაჭავარიანი, სიმონ (— 1924, 2/IX) — პოლი-

ტიკური მოღვაწე და კოოპერატორი, ქართლიდან, მეფის დროს რუსეთში გადასახლებული, სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი, ხალხის კეთილდღეობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მზრუნველი, დახვედრილი 1924 წლის ენკენისთვის 2 (თუ აგვისტოს გასულს).

წყარო:

1. ს. ფ. ორჯერ გიორგისთან ციხეში // სახალხო საქმე. - პარიზი, 1932. - აპრილი. - № 7. - გვ. 31.

მაჭავარიანისა, ნინო მიხეილ იესეს ძე სულსანიშვილის ასული (1877, 12/VI —) — საზო-

გადო მოღვაწე, — ღარიბ ქართველ ქალთათვის პირველი ჭრა-კერვის სკოლის დამაარსებელთაგანი, მასწავლებელი და მისი აღორძინების დაუცხრომელი, უანგარო-უშრომისხელფასო მუშაკი, მრავალი საზოგადოების (მეომართა, აჭარელთა, ღარიბ სტუდენტთა დამხმარე, წერა-კითხვის...) წევრი, საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენა-ლატარიების მომწყობთაგანი, ხაზინადარი ან ფულის შემკრები ქართული კულტურული საქმიანობის დასახმარებლად.

წყარო:

1. ივ. ნიკ. მაჭავარიანის ხელნაწერიდან.

მაჭარაშვილი, ალექსანდრე (— 1924) —

რევოლუციონერი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, საჩხერის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი. გასაბჭოების შემდეგ ფარულად მუშაობდა საჩხერის მხარეში. 1924 წელს მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რის გამოც დააპატიმრეს და ქ. ზესტაფონში დახვედრეს. დარჩა წვრილი ცოლ-შვილი.

წყარო: არ არის მითითებული.

მაჭარაძე, ალექსანდრე თომას ძე (1858 – 1917) – სახალხო მასწავლებელი, – სოფ. მარტვილში 8 წელი მასწავლებლობდა, შემდეგ ხონში კერძო სასწავლებელი დააფუძნა, რომელიც თანდათან პროგრამით შეავსო და, ბოლოს, ქალთა საპროფესიო სკოლად გადააკეთა. ხონშივე დააფუძნა სტამბა და სხვა კულტურულ საქმეებშიც მონაწილეობდა. სახალხო განათლების საქმეს 38 წელი თავგამოდებით ემსახურებოდა.

მის შესახებ:

1. *ამ დღეებში ალექსანდრე მაჭარაძეს... // ნინ. - 1907. - 21 თებერვალი. - №7. - გვ. 3. - ახალი ამბები;*
2. *გვთხოვენ დავებუდით // ისარი. - 1907. - 2 თებერვალი. - №24. - გვ. 2. - ახალი ამბავი;*
3. *ქვეშ-ქვეშა ეშმაკი. ხონის რამე-რუმე: [ხონის შინაური მიმოხილვა] // მათრახი და სალამური. - 1910. - №26. - გვ. 10;*
4. *გოლგოთელი, ი. პროვინციის მოღვაწენი: გიორგი ფარნაოზის ძე ნიენივაძე // ეშმაკის მათრახი. - 1916. - №50. - გვ. 12-13.*

წყარო:

1. *ალექსანდრე თომას ძე მაჭარაძე (1858-1917): (წლის თავის შესრულების გამო) // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - №1. - გვ. 7.*

მახარაძე, ალექსანდრე როსტომის ძე (1872, 15/IX – 1933, 27/IV) – ხალხური მომღერალი, სახალხო გუნდების შემდგენი და ლოტბარი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ბახვიში, ყოფ. აზნაურთა ოჯახში). დაამთავრა ბახვის ორკლასიანი სასწავლებელი.

სიმღერამ გაიტაცა 15-16 წლისა და განუწყვეტილად მონაწილეობდა ცნობილი სახალხო მომღერალ-ლოტბარის სამუელ ჩავლეიშვილის გუნდში, როგორც განსაკუთრებული ხმის პატრონი (მთელ რიგ სიმღერებში ორი კაცის მოვალეობის შემსრულებელი) და იშვიათი კრიმანჭულის მცოდნე. 1900-1913 წლებში გურიის სხვადასხვა სოფელსა და კუთხეში (ბახვს, ნატანებს, ნაგომარს, ჩოჩხათს, სუფსას, ლანჩხუთსა და სხვ.) გლეხობას ხალხურ სიმღერებს ასწავლიდა. 1914 წელს, ნიკო ნიკოლაძის მეშვეობით, გაიწვიეს ფოთის გუნდის ხელმძღვანელად, სადაც ხალხურ სამხმოვან სიმღერებს ასწავლიდა უნოტოდ; ნიკო ნიკოლაძისავე შუამდგომლობით მიღებულ იქნა რკინიგზის სამსახურში, რათა უკეთ შესძლებოდა მუშა-მომღერალთა შეკრება-ხელმძღვანელობა. 1917 წელს ალ. მახარაძე ტფილისის გადმოიგზავნა სარკინიგზო სამსახურში. რევოლუციის დროს, რკინიგზის მოძრაობის უფროსის ლევან აბელიშვილის დავალებით, თბილისში მოაწყო გურულ მომღერალთა გუნდი, რომლის შექმნაშიაც ლ. აბელიშვილი ყოველმხრივ ეხმარებოდა (მაგალითად, მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდში მონაწილეობა მიეღოთ, ლ. აბელიშვილმა ალ. მახარაძის შუამდგომლობით რკინიგზის სამსახურში 8 კაცი მიიღო). ამავე გუნდს თავისი

ხარჯით გურული ჩაქურები შეუკერა ნოე სიხარულიძემ. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, თბილისის რკინიგზის სადგურის ადგილკომის დავალებით, ალ. მახარაძემ მოაწყო ხალხურ მომღერალთა ახალი გუნდი. 1927 წლიდან შექმნა „თბილისის რკინიგზის მტვირთავთა გუნდი“, 12 კაცისაგან შემდგარი, რომელიც განსაკუთრებით გურულ ხალხურ სიმღერებს მღეროდა უნოტოდ (რეპერტუარი: „ხასან-ბეგურა“, „შვიდ-კაცა“, „ლატარია“, „ჯაშის ქალო მარიკელა“, „ინდი-ბინდი“, „აჭარული მაყრული“, „პატარა საყვარელო“, „საჯავახური“, „ყანური“, „ალავერდი“, „ძველი მაყრული“, „ალი-ფაშა“, „დათვმა ლინი გადინადა“, „იერიში“, „გახსოვს, ტურფაე!“, „ჩვენ მშვიდობა“, „გაყოფილი ხელხვაი“, „ძველი ხელხვაი“, „ნამოკრული ლილინი“, მრავალი სალხინო სიმღერა და სხვ.). გუნდს ჰყავდა გურული მეჩანგურე და მედოლე. ხშირად მართავდა კონცერტებს, დროგამოშვებით გამოდიოდა რადიოში თავისი გუნდით, რომლის გუნდის სურათი რადიოთი გადაეცა რუსეთსა და ევროპას. 1927 წელს მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ეთნოგრაფიულ საღამოზე, სადაც ქართლ-კახურ და მეგრულ გუნდებთან ერთად პირველი ჯილდო მიიღო. 1929 წლის ივნისის 28-30 მონაწილეობდა სრულიად საქართველოს ხალხური გუნდების ოლიმპიადაში. მანვე შექმნა კომკავშირის სახელობის გუნდი, კოპინკავშირთან – ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი, უკანასკნელად ხელმძღვანელობდა რადიოსტუდიის გურულ მომღერალთა გუნდს, ხალისით ამზადებდა ახალგაზრდებს, ასწავლიდა ძველსა და ახალ სიმღერებს და სხვ.

გარდა ხალხური გუნდების შექმნა-ხელმძღვანელობისა, ალ. მახარაძე 1901 წლიდან გურიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

მის შესახებ:

1. *ბ-ნო რედაქტორო! // მომავალი. - 1909. - 10 ნოემბერი. - №62. - გვ. 4. - ნერილი რედაქციის მიმართ. - ტექსტის ბოლოს წარწერა: „კონცერტის გამგე პლატონ ბერიძე“;*
2. *კალანდაძე, ნესტორ (ეშმაკი). ვაჟა-ფშაველას საღამო: გურულ მომღერალთა ჯგუფი. სამუელ ჩავლეიშვილი, ალ. მახარაძე, ვ. სიმონიშვილი, ს. ჩხიკვიშვილი. [კარიკატურა] // ეშმაკის მათრახი. - 1916. - №1. - გვ. 5.*

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. მახარაძე, ვასო, ბერიძე, ვასო. ალ. მახარაძის ხსოვნას // საბჭოთა ხელოვნება. - 1933. - 12 მაისი. - №4.

მახარაძე, კობე (1926, 17/XI –) – მსახიობი და კალათბურთელი. ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელში დადგმულ წარმოდგენებში ასრულებდა მთავარ როლებს. 1948 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი ფრიაღზე. იმავე წელს

შევიდა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასში და საპასუხისმგებლო როლების შესრულებით საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1948 წელს არჩეული იყო კომკავშირის თბილისის კონფერენციის დელეგატად.

წყარო:

1. ნესტორიძე, კ. სასცენო ხელოვნების გზაზე // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1948. - 25 ნოემბერი. - № 142.

მახარაძე, მელქისედექ ივანეს ძე (18.. - 1918) - სახალხო მოღვაწე, „გურიის მამად“ ნოდებულის, - გურიიდან (დაიბადა სოფ. ბახეში, აზნაურიშვილის ოჯახში). სკოლის გარეშე თვითგანვითარებული, რუსულის არმცოდნე, ენამეტყველი, გლექსაკობის დამხმარე და თვითმპყრობელობის უსამართლობისგან ხალხის მფარველი.

დაახლოებით 1895-1896 წლებში გურიის (ოზურგეთის) მაზრის უფროსმა თათარყან დადიშქელიანმა ხალხის შეწუხება დაიწყო, თითქოს შურს ძიობდა თავისი მამის, კონსტანტინეს, მაგიერ, რომელიც რუსის ჯარებს გაუმაგრდა, ხოლო გურულ-მეგრელთა შესევას კი ველარ გაუძლო და ძლეულ იქნა. თათარყან დადიშქელიანის უდიერობამ აუარებელი გურული გააქცია ტყეში ყაჩაღად. მელ. მახარაძემ იმდენი იმეცადინა, რომ უმაღლესმა მთავრობამ საგანგებოდ გამოგზავნა გუბერნატორი, რომელმაც მთელი მაზრის ადმინისტრაცია გადააყენა.

1908 წელს (მესამე სათათბიროს დროს), რეაქციის გაძლიერების ხანაში, მაზრის უფროსმა ზაკუსოვმა ხალხის დადუხჭირება რომ დაიწყო, მელ. მახარაძემ არაერთგზის მიმართა მეფისნაცვალს, ხოლო რადგან სამეფისნაცვლო კანცელარია ზაკუსოვს ხელს აფარებდა, - მელ. მახარაძის განცხადებას გზას არ აძლევდა - მელ. მახარაძემ გაზეთში დაწერა „სამართალს ვეძებ, ვერ მიპოვნიაო“, რაც რუსულ გაზეთებში გადაიბეჭდა. ამას ყურადღება მიაქცია მესამე სათათბირომ დეპუტატ კარლო ჩხეიძის სახით და მელ. მახარაძეს პასუხი მოსთხოვეს. მელ. მახარაძემ დააგროვა მთელი მასალა (ნიკო ნიკოლაძემ დაწერა) და საგანგებო კაცის ხელით სათათბიროში გაუგზავნა კ. ჩხეიძეს. ამის გამო პეტერბურგიდან ჩამოვიდა საგანგებო გამომძიებელი გენერალი შიგროვსკი (პეტერბურგიდან პირდაპირი მატარებლით ნატანებში), რომელმაც ჩამოსვლისთანავე მოითხოვა და მელ. მახარაძე. მელ. მახარაძემ რომ შეიტყო, რა მიზეზითაც ჩამოსულიყო გენერალი შიგროვსკი, მოახსენა: ნება მიბოძე, ვიდრე გურიაში იქნებით, ჩემი მცველები მოგიჩინოთ, - პოლიტიკური მიზეზით ტყეში გასულელების, რომ პროვოკატორებმა არაფერი გავნოთო. მართლაც, მელ. მახარაძემ ტყეში გახიზნული რევოლუციონერები - ვალოდია გოგუაძე და სერგო მათითაიშვილი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი, გენერალს მოუსხა

გვერდით ეტლში და, ამგვარად, 15-16 დღე მთელი გურია შემოატარა. გენერალმა გურიის ყველა სოფელში გამოიძია ადგილობრივი მთავრობის უსამართლობა და უკან დაბრუნდა. ტყის ძმებმა - ვ. გოგუაძემ და ს. მათითაიშვილმა - გენერალი, მელ. მახარაძესთან ერთად, ნატანებში მატარებელში ჩასვეს თუ არა, თვითონ კვლავ ტყეს შეაფარეს თავი. თბილისში, სამეფისნაცვლოში, გენერალ შიგროვსკის ჰკითხეს - როგორი მასალა შეკრიბეთო? - გენერალმა მიუგო: ამას სათათბიროს მოვახსენებო და, რა ნუთსაც გენერალი თბილისიდან რუსეთისაკენ გავიდა, თბილისში მელ. მახარაძე შეიპყრეს, ხოლო გურიაში - 60-მდე კაცი ციხეში ჩასვეს. ეს ამბავი შიგროვსკის დეპუტით დაადევნეს როსტოვს, რომელმაც ათიოდე დღის შემდეგ ყველა დაპატიმრებული ციხეებიდან გამოაშვებინა, ხოლო მთელი მაზრის ადმინისტრაცია სამსახურიდან გადააყენა (ოზურგეთის მაზრის უფროსმა ზაკუსოვმა საკუთარი ხელით გაულო კარი თვის მიერ ციხეში ჩაყრილთ და შეემუდარა: ნუ გადამემტერებით, არაფერი დამიშავოთ, მე თქვენთვის ცუდი კაცი არა ვყოფილვარო).

მელ. მახარაძე, გარდა ამისა, რევოლუციონერ-პარტიულ მუშაკებს ყოველმხრივ მფარველობდა, რევოლუციური მოძრაობის განვითარებას ეხმარებოდა.

კერძო ნიადაგზე მოკლეს 1918 წელს, რომლის მკვლელებიც დახვრეტილ იქნენ.

გამოქვეყნებულია:

1. ბატ. რედაქტორო!! // დროება. - 1883. - 1 თებერვალი. - №22. - გვ. 3;
2. წერილი რედაქციის მიმართ: [გურიის მღელვარების ზოგიერთი მიზეზი] // ივერია. - 1905. - 24 თებერვალი. - №8. - გვ. 4. - რედაქტორის შენიშვნით;
3. წერილი რედაქციის მიმართ // მოგზაური. - 1905. - №13. - გვ. 211-212;
4. წერილი რედაქციის მიმართ: [ტყუილი ხმები სოფ. ბახეში მისი დაჭრის შესახებ; დამსჯელი ჯარის მოქმედება გურიაში] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 9 თებერვალი. - №2999. - გვ. 4;
5. სამუელ ნაკაიძე // ისარი. - 1907. - 28 მარტი. - №68. - გვ. 1;
6. სამუელ ნაკაიძეს // ისარი. - 1907. - 22 მარტი. - №63. - გვ. 1;
7. ღია წერილი ბ. ფ. მ-ს // ლახვარი. - 1907. - 4 ივნისი. - №44. - გვ. 1.

მის შესახებ:

1. 1907 წელს მაისის 22 დღესა,... // ლახვარი. - 1907. - 2 ივნისი. - №42. - გვ. 4. - სამედიატრო სასამართლო. - ტექსტის ბოლოს: ფ. მ., ნ. დ., კ. ჯ., გ. მ. და ტ. ჯ.;
2. 29 აგვისტოს, ქ. ბათუმში... // ჩვენი გზა. - 1907. - 6 სექტემბერი. - №3. - გვ. 3. - ბათუმის ქრონიკა;
3. ბათუმში, ვილაც უცნობს... // ისარი. - 1907. - 1 სექტემბერი. - №191. - გვ. 2. - ახალი ამბავი;
4. ნაკაიძე, სამუელ. - ა) მელქისედექ მახარაძეს // ისარი. - 1907. - 25 მარტი. - №66. - გვ. 1; ბ) მელქისედექ მახარაძეს // ისარი. - 1907. - 4 აპრილი. - №74. - გვ. 1; გ)

ლია წერილი ნ. დოლიძესა და ტრიფ. ჯაფარიძეს // ისარი. - 1907. - 15 ივნისი. - №128. - გვ. 4. - განცხადებანი;

5. ტ. ჯ. - ძე. ლია წერილი სამუელ ნაკაიძეს: // ისარი. - 1907. - 7 ივლისი. - №146. - გვ. 4;

6. მ. მ. ვანელი. ს. ჩხარი(შორაპნის მარა) // მომავალი. - 1909. - 28 აგვისტო. - №3. - გვ. 4. - კორესპონდენციები.

წყარო:

1. ალექ. როსტ. მახარაძის მიერ ნამბობი, სიტყვა-სიტყვით ჩაწერილი 1929 წლის 2 ივლისს.

მახარაძე, ფილიპე იესეს ძე (1868, 9/III – 1941, 10/XII) – რევოლუციონერი, პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტ-კრიტიკოსი და მარქსიზმის იდეოლოგი, ჟურნალისტი, კომპარტიის ერთ-ერთი ბელადთაგანი და საქართველოს გასაბჭოების ერთ-ერთი მესვეური, ბოლშევიკური პარტიის ძველი მოღვაწე, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მშენებელთაგანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, – გურიიდან. დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფ. კარის-ყურეში 1868 წლის მარტში, გარდაიცვალა 1941 წლის დეკემბრის 10, თბილისში, მცირე ავადმყოფობის შემდეგ. დაიკრძალა მთაწმინდაზე.

მამამისი, სოფლის გაჭირვებული, ნაყმევი, სახლში თვითნასწავლი მღვდელი იყო, წერა-კითხვის უცოდინარი. ფ. მახარაძემ ბავშვობა ყანასა და საოჯახო მუშაობაში გაატარა. საზოგადოებრივი უთანასწორობა ბავშვობიდანვე შენიშნა. წერა-კითხვა ძმამ დააწყებინა სახლში. სწავლობდა შემოქმედის სკოლაში, ნოე ჟორდანიასთან ერთად დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი (1884), ამასთან ერთად, თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. მის დროს სემინარიაში სასტიკი პირობები იყო გამეფებული. მიუხედავად ამისა, არსებობდა თვითგანვითარების საიდუმლო წრეები. ამ წრეებში ფ. მახარაძე პირველ ხანად მონაწილე იყო, შემდეგ – ხელმძღვანელი. ამ ხანებში მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სილ. ჯიბლაძის გაბედულმა საქციელმა – რექტორ ჩუდეცკის ცემამ და იოსებ ლალიაშვილის გმირობამ – იმავე რექტორის მოკვლამ. ბოლოს და ბოლოს, ფ. მახარაძემ საეკლესიო საგნები მიატოვა და საზოგადო მეცნიერებათა გაცნობას შეუდგა, განსაკუთრებით, ისტორიული და საბუნებისმეტყველო წიგნების კითხვას. აქვე, ნოე ჟორდანიასთან და სხვებთან ერთად, სცემდა ხელნაწერ ჟურ. „ლამპარს“. აკრძალული წიგნების კითხვას დაენაფა, უმთავრესად, ზ. ჭიჭინაძის დახმარებით, რევოლუციურ მოძრაობას გაეცნო და პირველ ხანად ხალხოსნურ და ნაროდნიკულ მიმართულებას გაჰყვა; პავლე ექსარხოსისა და დ. ყიფიანის შეჯახების გამო, სხვა მონაფეებთან ერთად, სემინარიიდან გარიცხეს, მაგრამ ბოლოს ინსპექტორის შუამდგომლობით ისევ მიიღეს, როგორც სამაგალითო მონაფე. ამ

დროიდან სემინარიელთა წრე, ფ. მახარაძის მესვეურობით, სემინარიის მთავრობას კრიჭაში ჩაუდგა. უკანასკნელ კლასში რომ იყო, რუსის ზოგიერთმა მოხელემ (მასწავლებელმა და ზედამხედველმა) ქართულ ენას „ძალის ენა“ უწოდა, გარდა ამისა, სემინარიაში არ ასწავლიდნენ ქართულსა და ისტორიას. ყველა ამის გამო, სემინარიის მონაფეობა აღელდა. ფ. მახარაძეს, ნ. ჟორდანიას, თ. კიკვაძის, ის. კვიციანიძისა და სხვ. მეთაურობით, 1890 წლის მარტში მთელი სემინარია გაიფიცა მთავრობის წინააღმდეგ და 10 მოთხოვნა წარუდგინა, მათ შორის: სემინარიაში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღება, მონაფეთადმი ზრდილობიანი მოპყრობა, მონაფეთა მიერ ოფიციალური გაზეთების გამოწერა და კითხვა (რის ნებას არ აძლევდნენ) და სხვ.

გაფიცვა სამ დღეს გაგრძელდა. მთავრობამ თუმცა მოთხოვნათა ნაწილი დააკმაყოფილა, დანარჩენის დაკმაყოფილებასაც შეჰპირდა, მაინც გაფიცვის მეთაურთ, მათ შორის ფ. მახარაძეს, ყოფაქცევაში კურსის გათავებისას „4“ ჩაუწერა („იმიტომ, რომ ხშირად არ დადიოდა ეკლესიაში და კითხულობდა მხოლოდ საბუნებისმეტყველო სამეცნიერო ხასიათის წიგნებს“), რომ ამით გზა დაეხშო მისთვის უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა. სემინარიის უკუღმართმა წეს-წყობილებამ ფ. მახარაძეს შთაუწერა ეკლესიის, სარწმუნოებისა და მეფის ტახტის ზიზღი, მძულვარება და მტრობა, თუმცა სემინარიაში მორწმუნედ შევიდა.

1890 წელს ქუთაისში კერძო მასწავლებლობით და რეპეტიტორობით ირჩენდა თავს. 1891 წელს, ნ. ჟორდანიასთან ერთად, დიდი წვალეობით, ვარშავის (პოლონეთის) საბეითლო ინსტიტუტში შევიდა. აქ გაეცნო მოწინავე სტუდენტობას და მათთან ერთად შექმნა მუდმივი წრე მარქსიზმის შესასწავლად (იმ წრემ ჩაუყარა საძირკველი ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას): მუშათა ჯგუფს აცნობდა პოლიტიკურ ანბანს, მზურვალე მონაწილეობას იღებდა საზღვარგარეთიდან რუსეთში არალეგალური მარქსისტული ლიტერატურის შემოგზავნაში და სხვ. 1892 წელს, ვარშავაში დაწერა „უთავბოლოების ნაყოფი“ – საქართველოში დეპოკასების დაარსების საკითხის განხილვა, რომელსაც ეგ. ნინოშვილის წრე ხელნაწერის სახით ეცნობოდა. ფ. მახარაძე პირველად აქ (1893 წლის 14 მარტი) გამოვიდა საჯარო მოხსენებით კ. მარქსის გარდაცვალების 10 წლის შესრულების ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე და ნაიკითხა „მეცნიერული სოციალიზმი“, რომელმაც საპატიო სახელი მოუპოვა (ეს მოხსენება ხელნაწერი სახით გავრცელდა სამეცადინოდ). 1893 წელს არალეგალური ლიტერატურის საზღვარგარეთიდან მიღების გამო, ალექსანდრეს ციტადელის (პოლიტიკოსთა ციხე ვარშავაში) საკანში ჩასვეს, საიდანაც მხოლოდ 1895 წელს გაათავისუფლეს თავდებით და სამშობლო სოფელში გადაგზავნეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო აქედან – ტფილისის მაზრაში ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ, იქ კი არა-

ლეგალურად ცხოვრობდა. შემდეგ, პოლიტიკური საქმის გამო იჯდა: 1901 წელს ტფილისის სამხედრო ციხეში, 1905-1908 წლებში – მეტეხში, 1914 წელს – ბაქოს, ბაილოვის ციხეში, 1919 წელს – მეტეხში, საიდანაც გაიქცა 1920 წლის დასაწყისში. გადასახლებული იყო 1908 წელს ასტრახანის გუბ. ქ. კრასნოიარს, 1915 წელს – ბაქოს გუბერნიაში, ქ. ყუბას. გადასახლებიდან გათავისუფლდა 1917 წელს.

თავიდანვე წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ოპორტუნიზმის, განსაკუთრებით, ნაციონალიზმის, ხოლო 1903 წლიდან გადაჭრით იდგა ბოლშევიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

მწერლობამ სემინარიაშივე გაიტაცა. აქ, სხვათა შორის, დაწერა „ქართული მწერლობის მომთხილვა უძველესი დროიდან ჩვენამდე“, 1889 წელს სემინარიელთა საერთო კრებაზე წაკითხული (რის გამოც სასწავლებლიდან გამორიცხვა დაუპირეს). სამწერლო მოღვაწეობას შეუდგა 1892 წელს, ვარშავას. პირველი წერილი დაბეჭდა 1895 წელს „კვალში“, შემდეგ მისი მუდმივი თანამშრომელი იყო, ერთ ხანად – ხელმძღვანელიც. 1896 წელს „კვალში“ ამტკიცებდა, რომ „კაპიტალიზმი აუცილებელია ჩვენში, მან უკვე ფეხი მოიკიდა ჩვენში და საქართველოშიც ისეთივე გზით უნდა წავიდეს ეკონომიური ურთიერთობა, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში, კლასთა ბრძოლის გზით“ („რუსეთის შინაგანი ქრონიკა“, „კვალი“, 1896, № 45). იმავე „კვალში“ ამტკიცებდა, რომ „ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელია მომავლის შეცნობა, რადგანაც იგი აუცილებელი შედეგია წარსულის და აწმყოსი.. მხოლოდ ამისთვის ერთადერთ უტყუარ საშუალებას შეადგენს თვითცნობიერების განვითარება. თვითცნობიერება ის იარაღია, რომელსაც იძლევა ისტორიული მატერიალიზმი...“ („კვალი“, 1901, № 31), „თანამედროვე ერი ბურჟუაზიის პირმშო შეილია... მხოლოდ მშრომელი ხალხი განახორციელებს ძმობას, ერთობას და თანაგრძნობას, როგორც ერთი ხალხის წევრებს, ისე სხვადასხვა ერებს შორისაც...“ („კვალი“, 1902 წ.; თხზ. კრებული, ტ. 1, ტფ., 1924).

მისი პირველი წიგნია „ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე“ (ტფ., 1897, გამოცემა ი. იმედაშვილის და სპ. ჭელიძისა); 1905 წელს მისი ფაქტიური რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურ. „მოგზაური“, რომელმაც ქართულ პრესაში მტკიცე მარქსისტული მიმართულება დაამკვიდრა. 1913 წელს, ბაქოში, მისივე ხელმძღვანელობით გამოდიოდა ჟურ. „ჩვენი წყარო“. ზემოხსენებულ გამოცემათა გარდა, ფ. მახარაძე თანამშრომლობდა ჯერ სოციალ-დემოკრატიულ და შემდეგ – ბოლშევიკურ-კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ქართულში, ისე – რუსულში („ახალი დრო“, „სხივი“, „განთიადი“, „ელვა“, „თანამედროვე აზრი“, „წყარო“, „ბრძოლა“, „კომუნისტი“, „Кавказский рабочий“, „Волна“, „Правда“, „Заря Востока“ და სხვ.). მისი ფსევდონიმებია: მოსაუბრე, ე-ძე, მ. მონიძე, ფარი, პროვინციელი, შემო-

ქმედი, Vetus. ენებიდან, რუსულის გარდა, იცოდა ფრანგული და გერმანული.

5. წელს შეუსრულდა 25 წელიწადი, რაც ქართულ სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობს მსახიობი მარო მდივანი // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - №6. - კანის მე-2 გვ.;
6. საიუბილეო კომიტეტის: თახსინ ხიმშიაშვილის, სულიმან ვარშანიძის და სხვ. მოწოდება (1899-1924).

მდივანოვი, სარგი სტიფანეს ძე –

თითქმის 50 წელი ბეჭდავდა „ჯიბის კალენდარს“, რაიც მდაბიო ხალხში საკალენდრო ცნობების გარდა, წერა-კითხვასაც ავრცელებდა. ს. მდივანოვი სწერდა ლექსებსაც. გადმოიღო და გამოცა 1894 წელს „ათას ერთი ლამის ზღაპრები“, ორ წიგნაკად.

ცალკე გამოცემულია:

ა) კალენდარი სომეხთა და ქართველთა

1. კალენდარი სომეხთა და რუსთა ანუ ქართველთა 1863 წლისა. - ტფ., [1862] (კავკასიის ნამესტნიკის სტ.). - 104 გვ.; 16სმ.;
2. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1864 წლისა / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., [1863] (ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტ.). - 188 გვ.; 13სმ.;
3. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1865 წლისა / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1864 (ა. ენფიანჯიანცის და კამპ. სტ.). - [112] გვ.; 12სმ.;
4. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1866 წლისა. წელიწადი მეოთხე / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1865 (მელიქოვის და კამპ. სტ.). - [52] გვ.; 13სმ.;
5. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1867 წლისა: წელიწადი მე-5 / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1866 (მელიქოვის და კამპ. სტ.). - [80] გვ.; 12სმ.;
6. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1868 წლისა: წელიწადი მეექვსე / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1867 (მელიქიშვილის და კამპ. სტ.). - [64] გვ.; 12სმ.;
7. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1870 წლისა: წელიწადი მერვე / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1869 (მელიქიშვილის და კამპ. სტ.). - [96] გვ.; 12სმ.;
8. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1871 წლისა: წელიწადი მეცხრე / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1870 (ამბ. ენფიანჯიანცის და კამპ. სტ.). - [80] გვ.; 12სმ.;
9. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1872 წლისა: წელიწადი მეთათე / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1871 (მელიქიშვილის და კამპ. სტ.). - [80] გვ.; 12სმ.;
10. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1873 წლისა: წელიწადი მეთერთმეტე / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1872 (მელიქიშვილის და კამპ. სტ.). - [96] გვ.; 12სმ.;
11. კალენდარი სომეხთა და ქართველთა 1874 წელსა: წელიწადი მეთორმეტე / გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1873 (მელიქიშვილის და კამპ. სტ.). - [96] გვ.; 13სმ.;

- მდივანოვისაგან, 1901 (тип. А. Петрова). - [192] გვ.; 14სმ.;
41. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1903 წლისა: წელიწადი 41 / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს ძის მდივანოვისაგან. - ტფ., [1902] (тип. А. Петрова). - [192] გვ.; 13სმ.;
 42. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1904 წლისა: წელიწადი ორმოც-და მეორე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - Тифлис, [1903] (А. Петрова). - [160] გვ.; 12 სმ.;
 43. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1905 წლისა: წელიწადი ორმოცდა-მესამე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს ძის მდივანოვისაგან. - Тифлис, [1904] (Тип. А. Петрова). - [160] გვ.; 11 სმ.;
 44. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1906 წლისა: წელიწადი 44-ე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძე მდივანოვისაგან. - ტფ., [1905] (тип. А. Петрова). - კანი, [191] გვ.; 13სმ.;
 45. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1907 წლისა: წელიწადი ორმოცდამეხუთე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს ძის მდივანოვისაგან. - ტფ., [1906] (Тип. А. Петрова). - [194] დაუნომრავი გვ.; 13სმ.;
 46. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1908 წლისა: წელიწადი ორმოც და მეექვსე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანესძის მდივანოვისაგან. - ტფ., [1907] (тип. А. Петрова). - 191 გვ.; 13სმ.;
 47. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1909 წლისა: წელიწადი 47-ე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - ტფ., [1908] (тип. „Братство“). - [191] გვ.; 13სმ.;
 48. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1910 წლისა: წელიწადი ორმოც და მერვე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს ძის მდივანოვისაგან. - ქუთაისი, 1910 (тип. „Коммерческая“). - [192] გვ.; 14სმ.;
 49. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1911 წლისა: წელიწადი 49-ე / შედგენილი სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - ყვირილა, [1910] (ყურ. „მწყემსის“ რედაქციის სტ.). - 191 გვ.; 13სმ.;
 50. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1912 წლისა: წელიწადი ორმოცდამეათე / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - ტფ.: ავტორის გამოცემა, 1911 (არ. კერესელიძის სტ.). - 191 გვ.; 14სმ.;
 51. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1913 წლისა: წელიწადი ორმოც და მეთერთმეტე, ხოლო ცენზორის მიერ 1860 წელს დასაბეჭდათ პირველ ნება დართვიდან არის ორმოც და მეცამეტე წელიწადი / შედგენილი სერგეი სტეფანესძის მდივანოვისაგან. - ქუთაისი, 1912 (ფერაძის და კარნაუხოვის სტ.). - 192 გვ.; 14სმ.;
 52. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1914 წლისა: წელიწადი 52-ე / შედგენილი სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - ქუთაისი, 1913 (ბ.ს. კურცხალიას „კომერციული“ სტ.). - 190 გვ.; 13სმ.;
 53. კალენდარი ქართველთა და სომეხთა 1915 წლისა: წელიწადი 53-ტე / შედგენილი სერგეი სტეფანეს ძის მდივანოვისაგან. - ქუთაისი, 1915 (ფერაძის და კარნაუხოვის სტ.). - 191 გვ.; 13სმ.;
 54. კალენდარი ქართველთა და სომეხთა. 1916: წელიწადი ორმოცდა მეთოთხმეტე. ხოლო ცენზორის მიერ 1860 წელს დასაბეჭდათ პირველ ნება დართვიდან არის ორმოც-და მეთექვსმეტე წელიწადი / შედგენილი სერგეი სტეფანეს ძის მდივანოვისაგან. - ტფ.: მდივანოვის გამოცემა, 1916 (კ. თავართქილაძის სტ.). - 190 გვ.; 13სმ.
- ბ) ანბანი ქართული**
55. ანბანი ქართული / შედგენილი და ახლად გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1863 (გ. მელქუმიანცის და ამ. ენფიანჯიანცის სტ.). - 64 გვ.; 15სმ.;
 56. ანბანი ქართული / შედგენილი და მეორედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1866 (კავკასიის ნამესტნიკის უპირატესის გამგეობის სტ.). - 64 გვ.; 15სმ.;
 57. ანბანი ქართული / შედგენილი და მესამედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - მე-3 გამოცემა. - ტფ., 1869 (კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტ.). - 61 გვ.; 17სმ.;
 58. ანბანი ქართული / შედგენილი და მეშვიდედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - მე-7 გამოცემა. - ტფ., 1873 (კავკ. ნამესტ. უმთავრესის გამგეობის სტ.). - 48 გვ.; 20სმ.;
 59. ანბანი ქართული / შედგენილი და მეცხრედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1877 (კავკ. ნამესტნ. უმთავრეს გამგეობის სტ.). - 48 გვ.; 19სმ.;
 60. ანბანი ქართული / შედგენილი და მეათედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1880 (ე. ხელაძის სტ.). - 48 გვ.; 18სმ.;
 61. ანბანი ქართული / შედგენილი და მეთერთმეტედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან; მეათე გამოცემა დაიბეჭდა 1880 წელსა. - ტფ., 1887 (ექ ხელაძის სტ.). - 48 გვ.; 24სმ.;
 62. ანბანი ქართული / შედგენილი და მეთორმეტედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - მე-12 გამოცემა. - ტფ., 1890 (ექ. ხელაძის სტ.). - 40 გვ.; 21სმ.;
 63. ანბანი ქართული / შედგენილი და მეცამეტედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1899 (ხელაძის სტ.). - 40 გვ.; 20სმ.;
 64. ანბანი ქართული / შედგენილი და მერვედ გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - ტფ., 1875 (კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტ.). - 48 გვ.; 20სმ.;
- გ) თვით მასწავლებელი რუსული ენისა**
65. თვით მასწავლებელი რუსული ენისა / შედგენილი და გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - Тифлис, 1890 (Тип. Хеладзе). - 64 გვ.; 20 სმ.;
 66. თვით მასწავლებელი რუსული ენისა / შედგენილი და მეორედ გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - Тифлис, 1893 (Тип. И. Мартиросианца). - 64 გვ.; 21 სმ. - თავფურ. ქართულ და რუსულ ენაზე;

67. თვითმასწავლებელი რუსულის ენისა / შედგენილი და მესამედ გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - [მე-5 გამოც.]. - Тифлис, 1899 (Тип. А.И. Петрова). - კანი, 62 გვ.; 21სმ.. - თავფურცელი ქართულ და რუსულ ენაზე;
68. თვით მასწავლებელი რუსული ენისა / შედგენილი და მეოთხედ გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან. - Тифлис, 1903 (Тип. А. Кутателадзе). - 62 გვ.; 18 სმ.. - თავფურცელი ქართულ და რუსულ ენაზე;

დ) თვით მასწავლებელი რუსულისა და ქართულის ენისა

69. თვით მასწავლებელი რუსულისა და ქართულის ენისა / შედგ. და გამოც. სერგეი მდივანოვისაგან. (ზია-შვილი). - გამოც. მე-2. - Тифлис, 1891 (Тип. Я.А. Мансветова). - 116 გვ.; 20 სმ.;
70. თვით მასწავლებელი რუსულის და ქართულის ენისა / შედგენილი სერგეი მდივანოვისაგან (ზია-შვილი). - მესამედ გამოცემული [მე-4 გამოც.]. - Тифлис: Издание Л.Б. Хиддекеель, 1896 [კანზე: 1897] (Тип. Хеладзе). - 112 გვ.; 21 სმ.;
71. თვითმასწავლებელი რუსულისა და ქართულის ენისა / შედგენილი და გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან (ზია-შვილი). - მე-4 გამოც.. - Тифлис, 1901 (Тип. К.И. Мартиросянца). - 96 გვ.; 21 სმ.. - თავფურცელი რუსულ და ქართულ ენაზე;
72. თვით მასწავლებელი რუსულისა და ქართულის ენისა / შედგენილი და გამოცემული სერგეი მდივანოვისაგან. - მე-5 გამოც.. - Тифлис, 1903 (Тип. Кутателадзе). - 96 გვ.; 21 სმ.. - თავფურცელი რუსულ და ქართულ ენაზე;
73. თვით მასწავლებელი რუსულისა და ქართულის ენისა / შედგენილი სერგეი მდივანოვისაგან. - მე-6 გამოც.. - ქუთაისი: издание книжного магазина Г.Г. Галустова, 1913 („Коммерческая“ тип. Б.С. Курцхалия). - 96 გვ.; 22სმ.;

ე) სიზმრის აღსნა სხვა და სხვა მეცნიერთაგან გამოცემული

74. სიზმრის აღსნა სხვა და სხვა მეცნიერთაგან გამოცემული / შედგენილი ს.მ...გან. - ტფ.: გამოცემული ს.მ...გან, 1891 (მარტიროსიანცი ი.ა.). - 24 გვ.; 21სმ.;
75. სიზმრის აღსნა, სხვადასხვა მეცნიერთაგან გამოცემული / შედგენილი და მეორედ გამოცემული ს. მ...გან. - Тифлис, 1893 (Тип. И. Мартиросянца). - 24 გვ.; 22 სმ.;
76. სიზმრის აღსნა. სხვა და სხვა მეცნიერთაგან გამოცემული / შედგენილი ს. მ.-გან; მეორედ გამოცემული ს. მ...გან. - ტფ., 1899 (ე. ხელაძის სტ.). - 32 გვ.; 21სმ.;

აგრეთვე, ქართულად გადმოიღო, შეადგინა და გამოსცა:

77. ათას ერთი ღამე. არაბული ზღაპრები. მოთხრობა შაჰერაზადისა / ქართულად გადმოღებული და გამოცემული ს. ს-ძის მ...საგან [სერგეი სტეფანეს ძე მდივანოვი]. - წ. 1. - ტფ.: ს. ს. მ...საგან გამოცემული, 1894 (ივ. მარტიროსიანცის სტ.). - 32 გვ.; 21 სმ.; წ. 2. - ტფ.: ს. ს. მ...საგან გამოცემული, 1894 (ივ. როტინიანცის სტ.). - 32 გვ.; 21 სმ.;

78. სასარგებლო საუბარი, ძმური რჩევა / გამოცემული სერგეი სტეფანეს-ძის მდივანოვისაგან; ნაწერი მდივანოვისა; გადმობეჭდილი მდივანოვის კალენდრებიდან. - ტფ.: ავტორის გამოცემა, 1900 (ე. ხელაძის სტ.). - 56 გვ.; 20სმ.;
79. იაზონია / შედგენილი და გამოცემული ს. მდივანოვისაგან. - თფ.: ავტორის გამოცემა, 1904 (ე. ქუთათელაძის სტ.). - 15 გვ.; 21სმ.

გამოქვეყნებულია:

1. კალენდარი 1863 წლის-ქართულ ენაზე შედგენილი // ცისკარი. - 1862. - №12. - გვ. 320
2. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელს // ცნობის ფურცელი. - 1898. - 8 იანვარი. - №420. - გვ. 2.

მის შესახებ:

1. ტფილისის ანბავი // ცისკარი. - 1861. - №12. - გვ. 365-369;
2. გოგებაშვილი, ი. (კალმახელიძე, კ.). ერთი მუჭა ნიგნი, ათი მუჭა სულელიობა, ანუ უ. მდივანოვის ანბანი // დროება. - 1877. - 7 ივლისი. - №89. - გვ. 1-3; 8 ივლისი. - №90. - გვ. 1-3;
3. დლიური // დროება. - 1877. - 7 ივლისი. - №89. - გვ. 1-2; 8 სექტემბერი. - №139. - გვ. 2-3;
4. ახალი ამბავი // ივერია. - 1890. - 9 დეკემბერი. - №262. - გვ. 2;
5. გამომცემელთა კინკლაობა // ცნობის ფურცელი. - 1896. - 22 დეკემბერი. - №64. - გვ. 3;
6. მ. გაჩეჩილაძეს თავის წარსულ... // კალენდარი ქართველთა და სომეხთა. - 1911. - გვ. 113-151.

წყარო:

1. გრიშაშვილი, იოსებ. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. - [ტფ.]: სახელგამი, 1927 (ა.კ. წ.-დრ. ჯ. სტ. განყ-ბა). - გვ.: 62, შენ. 3.

მაგრალიშვილი, იოსებ [იბივა „პოსოროი-კო“] – პროპაგანდისტ-ორგანიზატორი, 1904-1905 წლებში გურიის მოძრაობის თვალსაჩინო რევოლუციონერი მუშაკი, კარგი ორგანიზატორი და მომზადებული პროპაგანდისტი. 1905 წლამდე ქუთაისის ციხეში იჯდა.

წყარო:

1. ჟღენტა, თენგიზ. 1905 წელი გურიაში. - მე-2 გამოც. (შესწ. და შეეს.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ.: 77, 124.

მაგრალიძე, აპქსენტი ვასილის ძე (1877, 3/1 –) – მომღერალ-მგალობელი, ხალხური გუნდების შემქმნელ-ლოტბარი, მეჩონგურე-მომღერალ ქალთა პირველი ანსამბლის შემქმნელი და ხელმძღვანელი, – მასწავლებელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, – ორდენოსანი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ხრიალეთში, სუფსის რაიონ-

ში, სასულიერო წოდების ოჯახში). დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარიის 4 კლასი და პეტროგრადის ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების მიზნით და სასულიერო სემინარიის ვალის გადახდისათვის 1,5 წელი ანაფორა ჩაიცვა, თუმცა მღვდელმსახურება არ შეუსრულებია და პარტიულ მუშაობაში ჩაბმის გამო ანაფორა გაიძრო, რისთვისაც მეფის მთავრობამ სახელმწიფო სამსახურში შესვლა აუკრძალა 10 წლით.

სიმღერა-გალობას სემინარიაშივე შეუდგა, სადაც 1897 წელს შექმნა საკუთარი გუნდი (მასში მონაწილეობდა კ. ფოცხვერაშვილიც). 1898 წელს მიწვეული იქნა ფოთის ქალთა გიმნაზიაში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლად, ამავე დროიდან სიმღერა-გალობას ასწავლიდა სასულიერო და საერო სამინისტროს სკოლებში – ოზურგეთსა და ფოთის ყველა სასწავლებელში (ოზურგეთში – 1898-1900 წლებში, ფოთში – 1900-1917 წლებში). სკოლებში მასწავლებლობასთან ერთად, სკოლის გარეშე გუნდებიც ჰყავდა (მის გუნდებში, სხვათა შორის, სწავლობდნენ: იუსტინე კალანდაძე, კირ. პაჭკორია, ვასო შარაშიძე, მიხ. ხავთასი, ლ. გეგეჭკორი და სხვ. ამ დროს ა. მეგრელიძე სკოლებში რევოლუციურ სიმღერებსაც ასწავლიდა, რის გამოც შემდეგში მთავრობამ დევნა დაუწყა). ა. მეგრელიძემ 1900 წელს ფოთში შეადგინა მოხალისე-მომღერალთა გუნდი და საქველმოქმედო საღამოებზე მუდამ უფასოდ მონაწილეობდა. 1912 წელს შექმნა ახალი ეროვნული გუნდი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს ყველა დაბა-ქალაქში გამართა საჩვენებელი კონცერტები (ამ კონცერტის გუნდის წევრი-მომღერალი დ. ნიკოლაიშვილი საგანგებო მოხსენებას წაუძღვარებდა ხოლმე კონცერტის მიზნისა და ქართული ხალხური სიმღერების დიდი მნიშვნელობის შესახებ: „ძვირად მოეპოვება რომელსამე ერს ისეთი ბრწყინვალე წარსული, როგორც ჩვენა გვაქვს, – ყური დაუგდეთ ჩვენს ძველ მუსიკას, და ამაში დარწმუნდებით... მუსიკა განმაურებული გრძნობაა, – აქ გამოიხატვის ხალხის სულიერი სახე, მისი ტანჯვა და სიხარული, – ჩვენი გუნდის მთავარი მიზანია, შეებრძოლოს ხალხური ვოკალური მუსიკის გადაგვარებას, გაქრობასო, – ჩვენ მთელს ძალ-ღონეს მოვახმართ ხალხური სიმღერების შეკრებას, შესწავლასა და შეუღებვას სახით ისევ ხალხისათვის გადაცემასო“. ამ მიზნის განსახორციელებლად ლეონიდემ (XVIII-XIX სს.) ფონოგრაფიც უთავაზა გუნდს სიმღერების გადასაღებად). გუნდი სიმღერებს სწავლობდა დაუმახინჯებლად და სისწორით. გუნდმა პირველი კონცერტი გამართა ფოთში, 1913 წლის აგვისტოს 11, შემდეგ სხვა დაბა-ქალაქებში ჰყავდა ქალ-ვაჟთა გუნდიც. დაიშალა 1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყების გამო.

1917-1918 წლებში ა. მეგრელიძემ ხელახლა შეუყარა თავი დაშლილი გუნდის ძველ წევრებს ახლების მონაწილეობით, მაგრამ 1919 წელს თბილისს, ჩუღურეთის უმაღლეს დაწყებით სას-

წავლებელში მასწავლებლად გადაყვანის მიზეზით, საგუნდო მუშაობა დროებით შეაჩერა, რაც განაახლა 1927 წელს. ა. მეგრელიძემ პირველმა ალაღინა ჩონგური და თავისი ხელმძღვანელობით შექმნა მეჩონგურეთა პირველი ანსამბლი 1927 წელს სუფსაში, 20 კაცის მონაწილეობით და 1928 წლიდან კონცერტების მართვა დაიწყო (პირველად – ოზურგეთში, პროფკავშირთა სამაზრო კონფერენციის დროს, ხალხური სიმღერების მცოდნეთა თანდასწრებით), რითაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა და მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადაში თბილისში, 1929 წლის 29-30 ივნისს. აქ ხალხური სიმღერების საუკეთესოდ შესრულებისათვის დაიმსახურა მესამე ჯილდო. ამ გუნდის მონაწილე წევრები ოზურგეთის მაზრის სუფსის თემის გლეხები და მუშა-მოსამსახურენი იყვნენ, 60 კაცამდე, 20-მდე მეჩონგურეთა დასით. 1933 წლიდან ასეთივე მეჩონგურეთა ანსამბლი ჩამოაყალიბა თბილისში სხვადასხვა დანესებულებებთან, სკოლებთან, თეატრებთან და სხვ. ასევე ბათუმს, მახარაძეს, ფოთს; ასევე, 1947 წლიდან ჩამოაყალიბა ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, შექმნა მეჩონგურეთა გუნდი თავის მიერ შექმნილი საკონცერტო ნომრებით.

აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრიბა დიდძალი სამუსიკო მასალა და ჩონგურისათვის გადაამუშავა 50-მდე ხალხური სიმღერა. თავის გუნდს აღუდგინა ძველებური ქართული საკრავებიც – რაჭული სტვირი, სვანური ჩანგი და ჭიანური. პირველმა შექმნა მეჩონგურე-მომღერალ ქალთა უმშვენიერესი გუნდი, იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში და რესპუბლიკაში, სადაც თავისი გუნდით დიდი მოწონება დაიმსახურა და ორდენიც მიიღო, ხშირად მონაწილეობდა რადიოში და მისი მეჩონგურეთა გუნდის მიერ შესრულებული ქართული ჰანგები, კავშირის გარდა, საზღვარგარეთაც იფინებოდა. გუნდი ასრულებდა, განსაკუთრებით, გურულ სიმღერებს იმ სახით, როგორც თვით ხალხი მღერის საქართველოში. ეს იყო ერთადერთი პირველი ხალხური გუნდი, რომელიც ხალხურ სიმღერებს ნოტებით ასრულებდა ოთხი მეჩონგურის გამოძახილით – აკომპანიმენტით. გუნდის რეპერტუარში იყო მეგრული, სვანური, ქართლ-კახური და ევროპული სიმღერებიც. პირველად ბ-ქემ გადილო ნოტებზე გურული სიმღერები, აგრეთვე ჩონგურის ხმები და ნოტებითვე შეასწავლა გუნდს. გადაღებულია გასაოცარი სინამდვილით. მანვე შემოიღო პირველად მრავალ მეჩონგურის ერთად მონაწილეობა და მათი შეხმატკბილება. გუნდის რეპერტუარი 90-მდე სიმღერისგან შედგებოდა („ხასანბეგურა“, „შვიდკაცა“, „ინდი-მინდი“, „პატარა საყვარელი“, „მარიკელა ჯაშის ქალო“, „ყანური“ – სამნაირი, „დედოფლის სიმღერა“, „დათვის წვეულება“, „მე რუსთველი“, „ხელხვაი“, „ალი ფაშა“, „ელესა“, „პარასკევს სიზმარი ვნახე“, „ჩვენო ნათლისდედო“, „სვანეთში ნამღერი ომის დროს“, „მაცრული“ – სამნაირი (ამათში ერთი

– თათრული), „ჩვენ მშვიდობა“, „სუფრის ხელხვა-ვი“, „კუჩხა ბედნიერა“, „ჩელა“, „ლაშქრული“ და სხვ. მრ.).

1910 წლიდან ა. მეგრელიძე ფოთის მუსიკალურ-დრამატული საზოგადოების ერთი აქტიური მუშაკთაგანი იყო, როგორც გამგეობის მუდმივი თავმჯდომარე, სცენისმოყვარე და დრამატული წრისა და გუნდის ხელმძღვანელი, რომლის მესვეურობითაც იმართებოდა საქველმოქმედო წარმოდგენები, მონაწილეობა მიიღო კავკასიის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა ყრილობაზე (1916) და სხვ. 1905 წლიდან განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება, როგორც რსდმპ წევრი და ფოთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

ამ დროს მასთან თავს იყრიდნენ ფოთის მუშები, როგორც ვითომდა სიმღერის სასწავლად, ნამდვილად კი – სარევოლუციო-პოლიტიკური მუშაობის მიზნით.

1906 წლის რეაქციის დროს გურიამი (სოფ. ხრიალეთი) არალეგალურად ცხოვრების უამს, პარტიის დავალებით პროკლამაციებს ბეჭდავდა და ფოთს გზავნიდა. ამავე ხანში, როგორც ჩოჩხათ-სუფსა-მიქელგაბრიელ-სამხთოს რაიონის წარმომადგენელი, სახელმწიფო სათათბიროს ნაკაზს უგზავნიდა (მისი თავმჯდომარეობით სუფსის სარაიონო კრებამ სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტით მოსთხოვა: თვითმპყრობელ მთავრობას სამხედრო საქმეებისათვის არცერთი კაპიკი არ მისცეთო. დეპუტას ხელს აწერდნენ თვით ა. მეგრელიძე, თ. გორდელაძე და ბ. ბოლქვაძე). 1917 წლის რევოლუციის მოხდენისთანავე, არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პ/მ მდივანად, ქ. ფოთის აღმასკომის წევრად, სამხედრო გამომძიებელ კომისიაში და სხვ. 1905-1919 წლებში დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ფოთის ფილიალის თავმჯდომარედ იყო, 1919-1921 წლებში – სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ცენტრალური საბჭოს წევრად, ამავე დროს – ქ. ტფილისის მუშა-მოსამსახურეთა აღმასკომის მდივანად, საქართველოს გასაბჭოებელნი (1921 წლიდან) – ჩუღურეთის რაიონის ადგილკომის თავმჯდომარედ, 1922 წლიდან – სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობის პ/მ ინსტრუქტორად 1927 წლამდე (მივლინებული საქართველოს ყველა მაზრაში კავშირის ძირითადი უჯრედების დასაარსებლად და საინსტრუქტოროდ, ამავე დროს, პროფკავშირთა საბჭოს დავალებით, ზოგიერთ მაზრაში ყველა ადგილობრივ კავშირს ხელმძღვანელობდა).

1927 წლიდან, ავადმყოფობის გამო, თუმცა პენსიონერად გადაირიცხა, მაინც განაგრძო ხალხური სიმღერების შეკრება-გავრცელების საქმე და გლეხებს სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა. „ა. მეგრელიძემ უკუაგდო „შაბლონი“, ტრადიციული ფორმა ხალხურ სიმღერათა შესრულებისა და შექმ-

ნა ახალი... რაიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთის ან ორი-სამი კაცის მაგიერ მთელი გუნდი იწყებს მღერას და ბოლომდის ასრულებს მას“.

ა. მეგრელიძე ცნობილია, როგორც გამოცდილი ლოტბარი, – განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გურულ სიმღერებს. პირველად მან შეასრულა გურული სიმღერები საუკეთესოდ მრავალრიცხოვანი მომღერლის მონაწილეობით: შვიდი-რვა კრიმანჭული ერთად მანამდე ვერავის წარმოედგინა... „ა. მეგრელიძემ განსაკუთრებული უნარით, სინამდვილით ჩაწერა ხალხური სიმღერები, რომლებიც სამუსიკო-ეთნოგრაფიული მხრით დიდად საყურადღებოდ იქნა ცნობილი“.

ცალკე გამოცემულია:

1. *Гурийская колхозная песня о Сталине [Ноты] = sakolmeureo: [для хора с чонгури] / запись А. Мегрелидзе; рус. текст С. Болотина и Т. Сикорской. - М.: Музгиз, 1938. - 8 с.; 27 см. - Лит. текст груз., рус.. - Перед нот. текстом загл.: Колхозная-гурийская;*
2. *Сулико [Ноты] = suliko: (Душенька): Грузинская песня: для хора с аккомп. чонгури / сл. А. Церетели; зап. А. Мегрелидзе; рус. текст Т. Сикорской. - М.: Музгиз, 1938. - 3 с.; 28 см. - Текст на рус. и груз. яз.;*
3. *Сулико [Ноты]: (Душенька): Грузинская песня: [для хора с фортепиано] / запись А. В. Мегрелидзе; [слова А. Церетели]; пер. Т. Сикорской. - 2-е изд. - Л.: Музгиз, 1938. - 4 с.; 20 см;*
4. *Сулико [Ноты]: Грузинская песня: [для хора с фортепиано] / зап. А. Б. Мегрелидзе. - [Ташкент], 1939. - 2 с.; 23 см. - Текст на узбек. и рус.;*
5. *Сулико [Ноты]: (Душенька): Грузинская песня / зап. А. В. Мегрелидзе; пер. Т. Сикорской. - [М.]: Музгиз, 1948. - 3 с.; 31 см.;*
6. *მეგრელიძე, ავქ. მომღერალთა და მეჩონგურე-მეფანდურეთა თვითმოქმედ წრეებთან მუშაობა საკლუბო დაწესებულებებში: მეთოდური მითითებანი / საქ. სსრ მინისტრთა საბჭ. არსებ. კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმ. კომ-ტი. კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპ. მეთოდური კაბინეტი. - თბ., 1949 (ლ.პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი კომუნისტი). - 48 გვ.; 20სმ. - ბიბლიოგრაფია: ლიტ-რა, - შენიშვნებში. - უფასო, 1500ც.*

გამოქვეყნებულია:

1. *პეტერბურგი: [მისაღმება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ნოე ყორდანიას მოთხოვნები] // ლამპარი. - 1906. - 18 ივნისი. - №45. - გვ. 2. - ხელმოწერა: „მიქელ-გაბრიელის საზოგადოება (გურია). კრების მონდობილობით გ. ბოლქ-ძე, თ. გორდელაძე, ა. მეგრელიძე“;*
2. *ტრამვაის დირექტორს გამოუწერია...: [იუმორი] // მათრახი და სალაშური. - 1910. - №3. - გვ. 9. - ახირებული ამბები;*
3. *ღია წერილი ქ-ნ მ. ნ. თოფურიძეს // ჩვენი გაზეთი. - 1910. - 6 მაისი. - №28. - გვ. 4;*
4. *Сулико / зап. А. Мегрелидзе // Сборник массовых песен. Выпуск 10 [Ноты]: для духового оркестра. -*

Голоса с дирекционом в строе Б. - М.: Искусство, 1938. - 1 дирекцион (31 с.), 21 парт. (327 с. разд. парт.); 19 см.;

5. Сулико: Грузинская народная песня / зап. А. Мегрелидзе; сл. А. Церетели; пер. Т. Сикорской // Песенник [Ноты]: [для пения без сопровожд.] / [ред. М. Иорданский]. - М.; Л.: Музгиз, 1940. - 95 с.; 16 см.

მის შესახებ:

1. აქაური. ქ. ფოთი // კვალი. - 1900. - №45. - გვ. 715-716;
2. თ. გ-ძე. ქ. ფოთი // კვალი. - 1900. - №24. - გვ. 375-376;
3. ქ. ფოთი // ივერია. - 1900. - 2 ნომბერი. - №239. - გვ. 2; ცნობის ფურცელი. - 1902. - 27 იანვარი. - №1709. - გვ. 4;
4. ელიავა, ვლადიმერ. წერილი რედაქციის მიმართ: [ლიომიდე შილაკაძესთან და ავქსენტი მეგრელიძესთან ერთად მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს მღვდელობას თავი დაანებოს] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 10 თებერვალი. - №3000. - გვ. 4;
5. ფოთის... // ნობათი. - 1906. - №5. - გვ. 79;
6. მენაღარიშვილი, ვლ. (ვალთა). აკაკი ფოთში // ჩვენი აზრი. - 1909. - №6. - გვ. 4;
7. ვალია. ფოთი: რამდენიმე თვეა... // ახალი სხივი. - 1910. - 6 თებერვალი. - №3. - გვ. 3-4;
8. ბათუმის გაზეთი. - 1913. - 5 სექტემბერი. - № 63; 26 სექტემბერი. - № 69; 1914. - 6 ივნისი. - № 45;
9. იმერეთი. - 1913. - 25 სექტემბერი. - № 152;
10. სახალხო გაზეთი. - 1913. - 8 სექტემბერი. - № 988; აგრეთვე, მისი სურათებიანი დამატება. - 1913. - 8 სექტემბერი. - № 174;
11. თანამედროვე აზრი. - 1915. - 16 ოქტომბერი. - № 185;
12. სამშობლო. - ქუთაისი, 1915. - 5 მაისი. - № 72;
13. მუშა. - 1928. - 12 აპრილი. - № 1618;
14. ფუხარა. - ბათუმი, 1928. - 9 აპრილი. - № 82;
15. მეღვინეთუხუცესი, კ. საქართველოს რესპუბლიკა. საქართველოს მომღერალ გუნდების ოლიმპიადა // კომუნისტი. - 1929. - №148. - გვ. 6;
16. ჩვენი კოოპერაცია. - 1929. - № 9;
17. Жизнь искусства. - 1929. - № 48. - Стр. 11;
18. Заря Востока. - 1929. - 26 июля. - № 168; 20 сентября. - № 216;
19. ხალხური სიმღერის ენთუზიასტები: [ავქსენტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით არსებულ მეჩონგურეთა გუნდის შესახებ] // კომუნისტი. - 1935. - 27 დეკემბერი. - №299. - გვ. 4;
20. ბუდეშტსკი. [ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილენი]: [ფოტო] // კომუნისტი. - 1937. - 5 იანვარი. - №4. - გვ. 4;
21. ქართული ხელოვნების მონაწილეთა მიღება კრემლში: მიღებას დაესწრნენ ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, პეტროვსკი, ეჟოვი, ბერია, კერჟენცევი და სხვები // კომუნისტი. - 1937. - 16 იანვარი. - №13. - გვ. 1;
22. ხუბოვი, გ. ქართველი ხალხის ცეკვა-სიმღერები // კომუნისტი. - 1937. - 16 იანვარი. - №13. - გვ. 2;

23. შილაკაძე, ვ. ავქსენტი მეგრელიძე: [დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულების გამო] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 20 აპრილი. - №16.

წყარო:

1. იმედაშვილი, იოსებ. ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის მასალა;
2. Метрическая выпись из Зедобанской Архангельской церкви. - 1886. - 30 марта;
3. Свидетельство об образовании, выданное Прав. Кутаисской духовной семинарии. - 1900. - № 163;
4. Черноморский вестник. - Батуми, 1909. - 18 июня. - № 84;
5. Билет психоневрологического института. - 1910. - № 382;
6. Закавказье. - 1910. - 8 марта. - № 54;
7. Канцелярия Е. И. В. по принятию прош. - 1914. - 19 мая. - № 41362. - [ნამსახურის შეზღუდვის შესახებ თავის ნებით ანაფორის გახდის გამო];
8. მოწმობა შამშე ლეჟავასი. - 1917. - 16 ივნისი. - [პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ];
9. ნამსახურობის სია, შედგენილი 1919 წლის 23 სექტემბერს;
10. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა საბჭოს მოწმობა. - 1921. - № 40;
11. მანდატი სრულიად საქართველოს განათლების კავშირის ცენტრალური გამგეობისა. - 1923. - № 1549;
12. მუშა. - 1936. - 13 ნომბერი. - № 261;
13. Аракишвили, Д. И. Краткий исторический обзор грузинской музыки / Д. И. Аракишвили. - Тбилиси: Госиздат Грузии Муз.-лит. сект., 1940. - Стр. 65;
14. ვარდიაშვილი, გ. ქართული ხალხური სიმღერების დასაცავად // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 1 დეკემბერი. - № 46;
15. ჭიაურელი, ნ. ღირსშესანიშნავი კოლექტივი: ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 23 აგვისტო. - № 32.

მეგრელიძე, პარტოლოგი გრიგოლის ძე

(1883, 15/II –) – პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ხიდისთავში).

1903 წლიდან განუწყვეტილად მასწავლებლობდა არასრულსა და სრულ საშუალო სკოლებში, დირექტორობდა სხვადასხვა სკოლაში და ინსპექტორობდა ქართულ-რუსულ-სომხურ-ბერძნულ სკოლებში მუსლიმან ქართველთ შორის.

აქტიურად მონაწილეობდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც უანდარმერია სდევნიდა, მრავალჯერ დააპატიმრა, ხოლო 1908 წლიდან აუკრძალა გურიაში ცხოვრება და მასწავლებლობა. ამის შემდეგ მასწავლებლობდა ხულოში (აჭარა) და საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა ქართველ მუსლიმანებში – აჭარას, ართვინსა და საინგილოში.

წერდა პედაგოგიური ხასიათის წერილებს ჟურ. „განათლებაში“, „განათლების მუშაკში“ (1927, № 14; 1928, № 19) და სხვ.

აღსანიშნავია მისი: „დედა-ენის საკითხი ქართულ მუსულმან ინგილოებში“ („განათლების მუშაკი“, 1928, № 2), „სწავლა-განათლების საქმე საინგილოში“ („განათლების მუშაკი“, 1928, № 15) და სხვ. მისი შვილია იოსებ მეგრელიძე.

წყარო:

1. დოც. ი. მეგრელიძის ხელნაწერი;
2. ნოლაიდელი, ჯემალ. აჭარის ხალხური სიტყვიერება: ზღაპრები, არაკები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები / აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიურო. - ნ. 2 / ჯემალ ნოლაიდელის მიერ შეკრებილი და დამუშავებული. მისივე შესავალი წერილი, შენიშვნები, ავტორთა საძიებელი და ლექსიკონი. - ბათომი: აჭარის სახელგამი, 1940. - გვ. XII-XIII.

მეგრელიძე, ბრიგოლ [ქუქუ] ილიას ქი

(1909 –) – გამომგონი, – მეცნიერი მეურნე, – გურიიდან (დაიბადა ჩოხატაურის რ. სოფ. ქვენობანში). დაამთავრა ხისიდთავის შვიდწლელი (1924), ქ. ფოთის ათწლელი (1927), თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1931) და მოსკოვის აკად. კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ასპირანტურა (1935), რომლის შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობა დაიწყო მოსკოვში, სსრკ სოიას წარმოების ტრესტის („СоязПРОМСОЯ“) სოიას გადამამუშავების ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

გამოიგონა სოიას შროტის ფერმენტული სითხის მიღების საშუალება. პროფ. ე. ნ. მიშუსტინის სიტყვით, პრაქტიკამ საბოლოოდ დაამტკიცა გრ. მეგრელიძის მეთოდით მიღებული პროდუქციის მაღალხარისხიანობა და რაციონალურობა. აქვს სამეცნიერო შრომები, რომლებსაც იგივე პროფ. ე. ნ. მიშუსტინი და სხვები კარგ შეფასებას აძლევენ.

გრ. მეგრელიძის შრომები:

1. Бактериальные питательные среды из продуктов гидролиза соевого шрота // Труды лаборатории Союзпрощся. - М., 1939. - Кн. III. - [ე. ნ. ვოლკოვის თანაავტორობით];
2. О режиме пастеризации ферментативного соевого соуса // Труды лаборатории Союзпрощся. - М., 1939. - Кн. III. - [რეზეცოვის თანაავტორობით];
3. Применение соевого шрота и жмыха для приготовления соевых ферментативных соусов // Труды лаборатории Союзпрощся. - М., 1939. - Кн. III;
4. Кисло-молочный творог соевой муки // Труды лаборатории Союзпрощся. - М., 1941. - Кн. IV;
5. О методике приготовления кумыса из соевого молока // Труды лаборатории Союзпрощся. - М., 1941. - Кн. IV.

წყარო:

1. მეგრელიძე, ი. ხელნაწერი;
2. Мишустин, Е. Н. // Труды лаборатории Союзпрощся. - М., 1939. - Кн. III.

მეგრელიძე, ვარლამ მაქსიმეს ქი (– 1914)

– (სოფ. ხიდისთავიდან, ოზურგეთის მაზრა), რომელიც ჟანდარმებს შემოაკვდათ, გურიაში წამოასვენეს (1914) და ფოთში პროტესტის ფურცელი გამოუშვეს, მუშებმა დემონსტრაციაც მოაწყვეს.

წყარო:

1. ი. მეგრელიძის ცნობებიდან.

მეგრელიძე, იასონ [დანიელ] ექვთიმეს ქი

(1875 – 1908) – რევოლუციონერი, – პროპაგანდისტ-აგიტატორი, ორგანიზატორი და მწერალი, – გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მესაძირკვე, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ხიდისთავში, ღარიბი მღვდლის ოჯახში). სოფლის სკოლისა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების (1891) შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა, საიდანაც 1893 წელს, მონაფეთა ამბოხების გამო, სხვებთან ერთად გარიცხეს სხვა სასწავლებელში შესვლის უფლების აღკვეთით, რომლის შემდეგ სავსებით რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. 1893-1895 წლებში სოფელში განაგრძო თვითგანვითარება, 1895-1899 წლებში თბილისის მუშათა წრეებში აწარმოებდა სარევოლუციო მუშაობას, როგორც პროპაგანდისტი და აგიტატორი. 1899 წლიდან თითქმის მთელი გურიის სოფლები შემოიარა ფეხით, გლეხთა ორგანიზაციები მოაწყო, გურიაში პირველმა ჩაუყარა საძირკველი გლეხთა მოძრაობას და, სხვებთან ერთად, გლეხური მოძრაობა მუშურ მოძრაობას დაუკავშირა. ეს იყო პირველი „მოქადაგე“ მთელ გურიაში, დაუზარელი, ყველას საყვარელი: სოფლიდან სოფლად გადაჰყავდათ და მის სიტყვას ყოველთვის დიდი ყურადღებით ისმენდნენ. ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი ორატორი, ენაწყლიანი, მოსწრებული და მკაფიო, ნათელი, ყველასათვის გასაგები მოლაპარაკე, რევოლუციური ცეცხლით აღმგზნები და საკუთარი ძალისადმი მტკიცე რწმენის შთამნერგველი: „თქვენ, ლომებო! თქვენ, ვეფხვებო! სადა ხართ ამდენ ხანს, სად არის თქვენი ძალა?! რატომ არ სინჯავთ თქვენს ძალას მტერზე?! თქვენი ძალა მტრისას აღემატება, – თქვენ მტერს დაამარცხებთ!“-ო. „ჯაშუშს რა ფუყოთ? – ჰკითხეს. – „ჯაშუშს ყურში“, – მიუგო მეგრელიძემ მოჭრით და ყველამ ღრმა რწმენით გაიმეორა: „ჯაშუშს ყურში, ჯაშუშს – ტყვია!“ – რაკი დანიელმა (მეგრელიძემ) თქვა, ეს ასე უნდა იყოსო. – „მტერმა (თვითმპყრობელობამ) წაიფორხილა, პროლეტარიატი და გლეხობა ბრძოლას განაგრძობენ... მაგრამ შეხეთ: აქედან გამოძვრნენ მელიები, იქიდან – ტურები, სხვა მხრიდან – მგლები, დათვები!“ – ამბობს მეგრელიძე. დამსწრენი სიამით ხარხარებენ: უკვე მიხვდნენ, რომ მოლაპარაკე ამ მხეცთა სახელებით ნათლავს მოწინააღმდეგე რწმენის პოლიტიკურ მოღვაწეებს და სხვ. მისი გავლენით გურიიდან ხალხმა გააძევა ყველა მოხელე და ძალაუფლება თვითონ ჩაიგდო ხელში.

მუშაობდა ბათუმშიაც, ბათუმის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტის წევრად, გურიის კომიტეტის ცალკე დაარსებამდე გურიის მოძრაობას ხელმძღვანელობდა ყოველი მხრით: იყო გურიის რევოლუციური ახალგაზრდობის წრის ხელმძღვანელი, პროპაგანდისტ-აგიტატორთა მომამზადებელი კოლექტივის წევრი, ბათუმში მოწვეული სოფლად მომუშავეთა პირველი ყრილობის დელეგატი, პარტიული განხეთქილების დროს კრებათა ხელმძღვანელ-თავმჯდომარე, პროკლამაციების დამწერ-გამავრცელებელი, მიტინგების მუდმივი ორატორი, რომლის ყოველი გამოსვლა საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელებზე და სხვ. ჯერ კიდევ 1901 წელს, თბილისში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაკების შეპყრობის შემდეგ, სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის წრის შექმნასა და რევოლუციურ მუშაობაში. 1905 წელს, მოძრაობის მიზეზთა გამოსარკვევად მეფისნაცვლის მოადგილის, კრიმ-გირეის, გურიში მოგზაურობის დროს, ი. მეგრელიძე ბარბაღე კალანდაძესა და ლოლა ბიბინიშვილის თანხლებით, საზოგადოების მხრით წარუდგა კრიმ-გირეის და წინასწარ შემუშავებული მოთხოვნებიანი წარუდგინა და სხვ.

რევოლუციურ-პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, თანამშრომლობდა ჟურ. „კვალში“ შოველის ფსევდონიმით, მუშათა ცხოვრებიდან დაწერა ხალხური წიგნაკი „ძაფით დაბმული ცხრათავიანი მდევი“, რუსულიდან თარგმნა არალეგალური წიგნაკი „ობუხოვის თავდაცვა“ და სხვ.

პოლიტიკურ-რევოლუციური მოღვაწეობისთვის, 1901 წელს ჟანდარმერიამ გაჩხრიკა. გურიში ძლიერ ხატად ცნობილ „ლომის კარეზე“ დაფიცვისაგან გაცემული, თ. ჟღენტთან ერთად, ოზურგეთის ციხეში იჯდა, 1904 წელს ორენბურგის გუბერნიაში გადასახლეს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, რეაქციის დაწყების შემდეგ – 1908 წელს თბილისში შეიპყრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, სადაც, ყველასგან მივიწყებული, მუცლის სახადით დასწებობებული, გარდაიცვალა იმავე წელს.

გამოქვეყნებულია:

1. ბასილეთი: (გურია) // კვალი. - 1898. - №20. - გვ. 341-342. - „კვალის“ კორესპონდენციები;
2. ბათუმი // ივერია. - 1902. - 10 ნომბერი. - №241. - გვ. 3;
3. ბათუმი // ცნობის ფურცელი. - 1902. - 10 სექტემბერი. - №1920. - გვ. 3;
4. წერილი ბათუმიდან // ცნობის ფურცელი. - 1902. - 29 ივნისი. - №1852. - გვ. 4; 9 ივლისი. - №1861. - გვ. 4;
5. ბათუმი // ივერია. - 1903. - 26 იანვარი. - №21. - გვ. 3; 30 იანვარი. - №24. - გვ. 3;
6. ქალაქის საბჭოს კრება... // ივერია. - 1903. - 10 ივნისი. - №123. - გვ. 2-3;
7. წერილი ხიდისთავიდან // კვალი. - 1903. - №29. - გვ. 473-474;
8. ბათუმი: [ქალაქის საბჭოს მორიგი კრება. ქალაქის თვითმმართველობის კომისიაში მუშების მონაწილეობის საკითხი. გრიგოლ ვოლსკის თხოვნით გამგეობის წევრის არჩევნების გადადება] // ივერია. - 1905. - 13 მაისი. - №74. - გვ. 4;

9. ბათუმი: [ქართველი მაჰმადიანის, ჰაჯი-ეფენდი-ზადე ყიღრიშვილის მკვლელობა; ამის გამო, ქართველების ინიციატივით ბათუმის მცხოვრებთა ყრილობის მოწვევა თეატრის შენობაში] // ივერია. - 1905. - №83. - გვ. 4;
10. ბათუმი: [ქარხნების დაკეტვა; ვაჭრობის დაცემა; ბაქოს ნავთის ექსპორტის შეჩერება; აბაშიძეების მიერ სადავო ადგილების მოგება; ქალაქის მოურავის და ხმოსნების უმოქმედობა] // ივერია. - 1905. - 8 სექტემბერი. - №160. - გვ. 4;
11. სოფელი კვათანა (სენაკის მაზრა): [ქალის მოტაცების ცდა და მკვლელობა] // ივერია. - 1905. - 10 აგვისტო. - №139. - გვ. 4;
12. წერილი ბათუმიდან: [საბჭოს სხდომა. საექიმო საზოგადოების კრება] // ივერია. - 1905. - 9 მარტი. - №21. - გვ. 3-4.

მის შესახებ:

1. მედიატორეთა განჩინება // კვალი. - 1900. - №26. - გვ. 419-420;
2. იასონ მეგრელიძის გარდაცვალება // ჩვენი საქმე. - 1909. - 13 თებერვალი. - №8. - გვ. 4;
3. იასონ მეგრელიძის გარდაცვალების გამო... // ჩვენი საქმე. - 1909. - 22 თებერვალი. - №16. - გვ. 3;
4. იმედაშვილი, იოსებ (ლი). იასონ მეგრელიძე: [ნეკროლოგი] // ტარტაროზი: იუმორისტული ალმანახი. - 1909. - №10. - გვ. 2.

წყარო:

1. ცერტორარქივი. Дело по архиву № 296. - Т. 2. - 1901. - Стр. 472; № 420. - Т. 2 - 1902. - Стр. 515;
2. ა. ი. იასონ ექვთიმეს ძე მეგრელიძე (1875-1908) // 1917 წლამდე დაღუპულ რევოლუციონერთა ხსოვნას / სსსრ. საქ. კომპარტიის და რევოლუციის კომისია. - ტფ.: ჟურნ. რევოლუციის მატრიანეს გამოც., 1923 (ზარია ვოსტოკას სტ.). - გვ. 43-44;
3. კალენდარი. - 1926. - 18 აპრილი;
4. ჟღენტი, თენგიზ. 1905 წელი გურიის. - მე-2 გამოც. (შსნ. და შვეს.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ.: 8, 12, 17, 19, 20, 23, 33-34, 52, 53, 63, 124.

მეგრელიძე, იოსებ მაქსიმელის ძე (- 1935)

– მოლექსე და ცნობილი მოჯირითე, – როსტომ ფალავანის ძმა, ეგნატე ნინოშვილის სკოლის მეგობარი. 1898 წლიდან ჟანდარმერიისაგან დევნილი, 13 წელი ამერიკაში ცხოვრობდა. ცნობილი მოჯირითე იყო და ლექსებსაც წერდა. მისი ლექსი ეგ. ნინოშვილზე ფ. მახარაძემ გამოაქვეყნა 1930 წელს. გარდაიცვალა ლანჩხუთში, 1935 წელს.

გამოქვეყნებულია:

1. ეგნატეს ხსოვნას: იესე მეგრელიძის მიერ წარმოთქმული ლექსი მიტინგზე // კომუნისტი. - 1929. - 27 დეკემბერი. - №299. - გვ. 2.

წყარო:

1. ი. ბ. მეგრელიძის ხელნაწერიდან.

მეგრელიძე, იოსებ [სოსო, სოსიკო] ბართლომეუს ძე (1909, 10/IV –) –

ენათმეცნიერი, – იაფეტიდოლოგი, – ლინგვისტურ მეცნიერებათა კანდიდატი, – გურიიდან (დაიბადა ხიდისთავის თემის სოფ. ჭაჭიეთში, მასწავლებლის ოჯახში. დედა – ელიზბარ ჭანიშვილის ასული მარიამი, დიასახლისი).

დაამთავრა ხიდისთავის რვანლენი (1923), ქ. ფოთის ათნლენი (1926), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი დარგი – საენათმეცნიერო და სალიტერატურო (1930), ამავე დროს მუშაობდა უნივერსიტეტის ქართული ენის კაბინეტში პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით, აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. ნ. მარის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო წრისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური (ახლანდელი ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის) ინსტიტუტის იაფეტიდოლოგიური კაბინეტის ჩამოყალიბებასა და მუშაობაში, როგორც მისი ერთი დამაარსებელთაგანი და მუდმივი მდივანი.

1931 წელს ლენინგრადის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში შევიდა ენისა და აზროვნების ინსტიტუტში აკადემიისათვის მოსამზადებლად, 1932 წელს გადავიდა აკადემიის ძირითად ასპირანტურაში, სადაც აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით მუშაობდა. 1935 წლის ივლისის 28 საჯაროდ დაიცვა დისერტაცია „ლაზური და მეგრული ფენები გურულში“, რისთვისაც მიენიჭა ლინგვისტურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1936 წლის 5 აგვისტოს, ასპირანტურის დამთავრებისთანავე, დაამტკიცეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად კავკასიოლოგიაში, სადაც დარჩა 1939 წლის 28 ოქტომბრამდე. 1939 წლის 1 ნოემბრიდან მუშაობდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში დოცენტად, ქართული ენის კათედრის გამგედ და ენისა და ლიტერატურის კაბინეტის ხელმძღვანელად ენის დარგში. აქ კითხულობდა სპეციალურსა და არასპეციალურ კურსებს ქართულ-რუსულ სექტორებზე ძველსა და ახალ ქართულში, ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში და ენათმეცნიერების შესავალში, აგრეთვე, სემესტრულ კურსებს გორის, ცხინვალისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ქართულსა და რუსულ სექტორებზე.

უნივერსიტეტსა და აკადემიაში ი. მეგრელიძე სპეციალურად მუშაობდა ძველსა და ახალ ქართულ ენაში, ამასთან დაკავშირებით სწავლობდა ლაზურს (ჭანურს), მეგრულს, სვანურს, სომხურსა და არაბულ ენებს, აგრეთვე ლათინურს, სანსკრიტულს და, პრაქტიკულ-სამეცნიერო საჭიროე-

ბისათვის – ფრანგულსა და გერმანულს. მანვე შეისწავლა ჩრდილო კავკასიური იაფეტიური – დიდოური ენა. მუშაობდა ფოლკლორისტიკისა და მატერიალური კულტურის პრობლემებსა და საკითხებზეც აკად. ი. მეშჩანინოვის, პროფ. ი. გ. ფრანკ-კამენეცკის, პროფ. მ. კ. აზოდოვსკისა და სხვ. ხელმძღვანელობით.

1926-1927 სასწავლო წელს, ქ. ფოთის ათნლენის დამთავრების შემდეგ, ასწავლიდა კახის (საინგილო, აზერბაიჯანის სსრ) ქართულ სკოლებში, ხოლო 1928 წლიდან ყოველ ზაფხულს, ზოგჯერ თავისი სურვილითა და ხარჯით, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების მივლინებით, 1-2 თვით მოგზაურობდა კავკასიის სხვადასხვა კუთხეში: საქართველოში (აჭარა, გურია, მესხეთ-ჯავახეთი, ქართლი, კახეთი, საინგილო, ხევი, სამეგრელო, სვანეთი), სომხეთში (ალბარანის, თალინის, ალაგოზის, ეჩმიადინის, ერევნისა და სევანის მიდამოებში), დაღესტანში (დიდოეთი, ნაჰადა, კაპუჭი) და სხვ. ყველგან კრებდა ენათმეცნიერულ (ხელისა და ხმიური ენის) და ფოლკლორისტულ-ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიურ მასალებს და მათზე დაკვირვებას აწარმოებდა. შეკრიბა მდიდარი სამეცნიერო მასალა (რომლისაც მხოლოდ მცირე ნაწილი გამოაქვეყნა 1941 წლის 21 ივლისამდე). მას ეკუთვნის მრავალმნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა: 1939 წლის აგვისტოში, დიდოეთში (დაღესტნის ავტონომიური სსრ), ასახის მიდამოებში – რეტლოსა და ჩალიახოს აულებს სამხრეთით, მთა ქიდილაშანზე აღმოაჩინა ბრინჯაოს ნივთების მდიდარი კოლექცია (62 ცალი ბრინჯაოს ნივთი და რამდენიმე შავი კერამიკის ნიმუში), რომელსაც კავკასიის ძველი ისტორიის შესასწავლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელიც კავკასიის ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ უმდიდრეს კოლექციად ითვლება. ინახება ქ. გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

მონაწილეობდა ლენინგრადს, მოსკოვსა და თბილისში სამეცნიერო კონფერენციებისა და ყრილობების მუშაობასა და დისკუსიებში. 1937 წელს იგი იყო სსრკ მწერალთა კავშირის V (შოთა რუსთაველის 750 წ. საიუბილეო) ყრილობის დელეგატად სსრკ მეცნიერებათა აკადემიიდან, ერთი ხელმძღვანელთაგანი შ. რუსთაველისადმი მიძღვნილი იუბილეს მონყობისა მოსკოვსა და ლენინგრადში (1938 წლის იანვარში) და სხვ.

მწერლობა დაიწყო ქ. ფოთის ათნლენში სწავლის (1923-1926) დროს კედლის გაზეთებში ლექსებისა და წერილების მოთავსებით, სიკო გურულის ფსევდონიმით. შემდეგში, ამავე ფსევდონიმით, „ტარტაროზში“ იუმორისტულ ლექსებსა და სურათებს ათავსებდა. ბოლო ხანებში თბილისის, მოსკოვ-ლენინგრადისა და სხვ. გაზეთებში წერდა.

ი. მეგრელიძის შრომები, უმთავრესად, ეხება ზოგად ენათმეცნიერებას (ძირითადად, აკად. ნ. მარის მოძღვრებას, კერძოდ – სპეციალურ კავკასიოლოგიურს, უმთავრესად – ქართველოლოგიურ: ენათმეცნიერულ, ფოლკლორისტულ, ფილოლოგი-

ურ და ეთნოგრაფიულ პრობლემებსა და საკითხებს). გამოაქვეყნა (1941 წლის ივნისამდე) 44 შრომა ქართულ, რუსულ, უკრაინულ ენებზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, აკად. ნ. მარის სახელობის მატერიალური კულტურის სახელმწიფო აკადემიის, სსრკ უკრაინის აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის, სსრკ აკადემიის საქართველოს ფილიალის (ახლანდელი აკადემიის), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალურ შრომებსა და სხვ. გამოცემებში. საკუთარ ნაშრომებს გარდა, ი. მეგრელიძის შენიშვნებით, მაჩვენებლებითა და რედაქციით გამოიცა ნ. მარის, ი. მარის და სხვათა 8 ცალკეული წიგნი, მათ შორის, აკად. ნ. მარის „О языке и истории абхазов“ (Л., 1938); მისივე – „Описание грузинских рукописей синайского монастыря“ (Л., 1940), ი. მარის „Статьи и сообщения“, Т. II, М., Л., 1936-1939 гг. და სხვ.

მეცნიერულ შრომასთან ერთად, ი. მეგრელიძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ და სხვა თავისუფალი ორგანიზაციების მუშაობაში.

ცალკე გამოცემულია:

1. Мегрельский и лазский слои в гурийском [Текст]: (Тезисы диссертации на степень кандидата наук) / И. В. Мегрелидзе; Акад. наук СССР. - [Ленинград]: тип. Акад. наук СССР, [1935]. - 5 с.; 23 см.;
2. Лазский и Мегрельский слои в гурийском. - Л.: Изд-во Академии наук СССР, 1938. - 247 с.;
3. Народные предания о Шоте Руставели [Текст] / И. В. Мегрелидзе; Акад. наук СССР. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1938. - 39 с.; 19 см.;
4. Пособие для авторов и наборщиков восточных шрифтов [Текст] / Ю. Н. Марр, И. В. Мегрелидзе; Ин-т языка и мышления им. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1938 (Л.: Тип. Акад. наук СССР). - 32 с.: ил.; 22 см.

ი. მეგრელიძის გამოქვეყნებული უმთავრესი შრომებია:

1. აკად. ნ. მარის შესახებ (ლია ბარათი გიორგის) // მნათობი. - 1930. - № 4. - გვ. 219;
2. რევოლუცია ქართულ ფოლკლორში. ქართული რევოლუციონური ფოლკლორიდან // Советский фольклор / სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორული სექციის ორგანო. - Л., 1934. - წიგ. I; 1939. - წიგ. VI;
3. აკადემიკოსი ნიკო მარრი // მნათობი. - 1935. - № 1. - გვ. 173;
4. გადასვლის საშუალებათა სემანტიკა ენასა და ფოლკლორში: [უკრაინულ ენაზე] // Новознаство / სსრ უკრაინის აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული. - კიევი, 1936. - წიგ. X;
5. Звуковой состав цезского (дидойского) языка // Язык и мышление [Текст] = Le langage et la mentalité: [сборник статей] / Акад. наук СССР, Ин-т языка и мышления. - Кн. 6-7 / [ред. изд. И. И. Мещанинов]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936. - 345 с., [1] л. портр.: ил., табл.;

6. Юрий Николаевич Марр: [Его жизнь и деятельность] // Марр, Ю. Н. Статьи, сообщения и резюме докладов [Текст] / Ю. Н. Марр; Акад. наук СССР. Груз. филиал. Науч.-иссл. ин-т кавказоведения им. акад. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936-1939 (Л.: тип. Акад. наук СССР). - Т. 1 [Текст]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1936. - Стр.: V-XVI, XVII-XXI;
7. მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში // თბილისის უნივერსიტეტის შრომები. - თბ., 1937. - ტ. VI;
8. Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре // Памяти академика Н. Я. Марра (1864-1934) [Текст]: [Сборник статей] / [Отв. ред. акад. И. И. Мещанинов]; Акад. наук СССР, Ин-т яз. и мышления им. Н. Я. Марра. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1938 (Л.). - с. 152-181;
9. „ქე“-ზე დაბოლოებული გვარების ნათესაობითი ბრუნვის სახეცვლილება დასავლურ ქართულში // Язык и мышление / სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის კრებული. - ლენინგრადი, 1940. - წიგ. X;
10. Шота Руставели и грузинский фольклор // Советское Востоковедение. - Москва; Ленинград, 1940. - Кн. I. - с. 112.

აგრეთვე, გამოქვეყნებულია:

1. К биографии Н. Я. Марра // Проблемы ГАИМК. - Л., 1935. - № 2-3. - Стр. 131-134, ტაბულა № 2;
2. თქმულება რუსთაველზე: [ხალხურ სიტყვიერებაში] // კომუნისტი. - 1937. - 27 დეკემბერი. - №296. - გვ. 3;
3. აკადემიკოსი ნიკო მარის ცხოვრება-მოღვაწეობა და მისი წინაპრები: [გარდაცვალებიდან 6 წლისთავის გამო] // სტალინელი. - გორი, 1940. - 11 დეკემბერი. - №156;
4. აკაკი წერეთელი და ნიკო მარი: [ა. წერეთლის დაბადების 100 წლისთავისათვის] // საბჭოთა აფხაზეთი. - 1940. - 20 ივნისი. - №140;
5. ნ. მარის ლექსები აკაკი წერეთლის შესახებ // კომუნისტი. - 1940. - 24 ივნისი. - №144;
6. ნიკო მარი და აფხაზური ენა: წერილი პირველი // საბჭოთა აფხაზეთი. - 1941. - 1 იანვარი. - №1;
7. ნიკო მარი და აფხაზური ენა: წერილი მეორე // საბჭოთა აფხაზეთი. - 1941. - 8-9 თებერვალი. - №32-33;
8. ნ. მარი - პუშკინის მთარგმნელი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1949. - 5 ივნისი. - №22;
9. ნ. მარი „ქართული ენა“. [რეცენზია]: სტალინის პედ. ინ-ტის დოც. ფილოლოგ. მეც. კანდ. წერილი // საბჭოთა ოსეთი. - სტალინირი, 1950. - 12 აპრილი. - №73.

წყარო:

1. Бюллетень. - № 8. - Л., 1930. - Стр. 23;
2. Отчет о деятельности Академии наук СССР за 1930 г. - Л., 1931. - Стр. 253;
3. Мегрелидзе, И. В. О любимом учителе // Проблемы ГАИМК. - Л., 1935. - № 3-4. - Стр. 187-196;

4. 1937 წლის დეკემბრის 24-დან 1938 წლის 2 იანვრამდე გამოსული თბილისისა და მოსკოვის გაზეთები;
5. Март, Ю. Н. Статьи, сообщения и резюме докладов [Текст] / Ю. Н. Март; Акад. наук СССР. Груз. филиал. Науч.-иссл. ин-т кавказоведения им. акад. Н. Я. Марра. - Т. II [Текст]. - Москва; Ленинград: Изд-во Акад. наук СССР, 1939 (Л.: тип. Акад. наук СССР). - стр. 6;
6. სსრკ უმაღლეს სკოლათა სამმართველოს დადგენილება, ოქმი №30. - 1940. - 21 სექტემბერი. - §136; Вестник ВКВШ. - М., 1940. - № 9;
7. ახვლედიანი, გ. თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. - 1941. - ტ. 19. - გვ. 170.

მეგრელია, ლიუდმილა [ლიდია] ისმაილ მამულაიშვილის ასული [იხივე „მომძრალი“ (1885, 14/VIII –)

მწერალი, სცენისმოყვარე და საზოგადო მოღვაწე, – ფოთის დრამატული წრის დამაარსებელთაგანი, ქალთა წრეების შემქმნელი – გურიიდან (დაიბადა სოფ. გურიანთაში. მამა გლეხი, დედა – აზნაურ ჟორდანიას ასული კატო). წერა-კითხვა დედამ დააწყებინა. დაამთავრა ქ. ოზურგეთის ორკლასიანი საქალბო სასწავლებელი და 4-კლასიანი პროგიმნაზია. დედის გარდაცვალების გამო სოფ. აკეთს გადასახლდა დეიდასთან, რომლის ოჯახიც, როგორც ყველა ფეოდალისა, ღვთისმორწმუნე და მნივნილობის მოყვარული იყო. აქ ყოველდღე, რამდენიმე საათით ევალბოდა სახარებისა და საქართველოს ისტორიის კითხვა, აქვე დაეწაფა ქართულ სასულიერო თუ საერო ლიტერატურასა და ჟურნალ-გაზეთებს „ივერიას“, „ცნობის ფურცელს“, განსაკუთრებით – „კვალს“, ვინაიდან აქ თანამშრომლობდა ნოე ჟორდანიას, ხოლო ლ. მეგრელიძის აზრით, „ბიძია ნოე ჟორდანიას ყველაფერს სამართლიანს დასწერდა“. „კვალში“ გაიცნო მთელი რიგი სოციალისტების სახელები და ნაწერები. 15 წლისა, ნათესავთა წინააღმდეგ, თავისი სურვილით, სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისს გაემგზავრა, სადაც საკუთარი ძალ-ღონით ამხანაგებთან დაიწყო მეცადინეობა ცოდნის შესაძენად. 16 წლისა დაბრუნდა ოზურგეთს, გათხოვდა (ავექსენტი მეგრელიძეზე), დაბინავდა ქ. ფოთს და ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად, განათლების, დრამატული წრის და სხვ.) აქტიურად ჩაება. ამავე დროს, მასწავლებლთა და მოწაფეთა შორის არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდა, გამოდიოდა სცენაზე, სისტემატურად მეცადინეობდა საშუალო სასწავლებლის კურსის გასავლელად. 1907 წელს ქ. ფოთში დააარსა მშრომელ ქალთა ორი არალეგალური წრე: ერთი – ინტელიგენტ ქალთა, მეორე – მუშა ქალთა, რომელთა კრებები, უმეტესად, მის ბინაზე ანუ მკერავი ქალის მარინე ლუკაშვილის

სახლში იმართებოდა, რომელთაც თვით ხელმძღვანელობდა. ამავე დროს, თავის ბინაზე მოწაფეთა წრეს ამეცადინებდა მარქსისტული ლიტერატურის კითხვაში. თვითონაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა, მაგრამ იგრძნო-რა პარტიული კითხვებისთვის მოუმწიფებლობა, დროებით თავი მიანება პარტიას და მარქსიზმის საფუძვლიანად შესწავლას მიჰყო ხელი, განსაკუთრებით, დიდი ყურადღება მიაქცია ქალთა საკითხს.

1906 წლის რეაქციის დაწყებისას, შემწნეული რევოლუციონერები ფოთიდან გაიქცნენ და მიიმალნენ. ფოთის არალეგალური სტამბა, სხვებთან ერთად, თავისი ქმრის, ავქსენტი მეგრელიძის, ოჯახში – სოფ. ხრიალეთში გადაიტანა, სადაც ბეჭდავდნენ არალეგალურ ლიტერატურას და ფოთის ორგანიზაციაში გზავნიდნენ გასავრცელებლად.

1913 წელს სრულიად მომზადებული დაუბრუნდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ფოთის მუშათა ორგანიზაციაში, სადაც მალე დაიმსახურა მუშების პატივისცემა, ნდობა და სიყვარული. განაახლა არალეგალური ქალთა წრე (კრებები პელაგია მამალაძის ბინაზე – კუნძულზე იმართებოდა). 1914 წელს პარტიულმა ორგანიზაციამ აირჩია პასუხისმგებელ კორესპონდენტად (შავი ზღვისპირიდან წერდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში „დასელი ქალის“, „ნამცეცას“ და „ნარცისის“ ფსევდონიმებით). 1915 წელს ქუთაისის გაზ. „ახალ კვალში“ (№ 5, 8, 11-18) მოათავსა ოთხი დიდი წერილი სათაურით „მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში“, რომელმაც საზოგადოებაში გამოხმაურება გამოიწვია და პრესაშიც გამოქვეყნდა სხვადასხვა წერილი ქართველ ქალთა საკითხის შესახებ (ლ. მეგრელიძემ ამ წერილთაგან პირველში აღწერა მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში, მეორეში – მესაკუთრე გლეხის ოჯახში ქალის შრომის პირობები და მისი უფლებები, მესამეში – მუშის ოჯახში ქალის დამოკიდებულება მუშა მამაკაცთან, მათი ამხანაგური განწყობილება, ვიდრე ეს არსებობდა გლეხის ოჯახში, ხოლო მეოთხეში ყველა მშრომელ ქალს მოუწოდა – შეექმნათ ქალთა არალეგალური ორგანიზაციები მამაკაც მუშათა ორგანიზაციასთან დაკავშირებით და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დროშის ქვეშ დამდგარიყვნენ. მეოთხე წერილიდან ცენზურამ ბევრი ადგილი გამოაკლო). ამავე დროს, ლ. მეგრელიძე მუშისა და გლეხის ქალებში პროპაგანდას ეწეოდა თვითმპყრობელობისა და ომის წინააღმდეგ, მთელი ენერგიით ცდილობდა ქალების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, სოფ. ხრიალეთში (გურია) დააარსა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველო (რისთვისაც იძულებული შეიქნა, ნებართვის სათხოვნელ არზაზე ბავშვებისთვისაც მოეწერიებინა ხელი, რადგან უფროსნი შიშით ხელს ვერ აწერდნენ – დავიჭერენო), ქ. ფოთში – ფოთის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება (1916) 500 წევრით, განურჩევ-

ლად ეროვნებისა (რომელმაც თვით ლ. მეგრელიძე აირჩია თავმჯდომარედ). იმავე წელს, ამ საზოგადოების სახელით, ფოთში დააარსა ორი უფასო სასწავლებელი (1915-1917 წწ.): 1) საკვირაო სკოლა წერა-კითხვისა და ხელსაქმის და 2) სალამოს კურსები მცირეწლოვანი ნოქრებისათვის, რისთვისაც ვაჭრებთან ბრძოლა მოუხდა (რომ შეგირდები სალამოს 6 საათზე გაეთავისუფლებინათ. ყოველ სალამოს თვითონ ჩამოუვლიდა ხოლმე ვაჭრებს და შეგირდებს ძალით გლეჯდა ხელიდან სამეცადინოდ).

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ფოთის ქალაქის მოსახლეობამ ქალაქის ხმოსნად აირჩია. ამ დროიდან მუშაობდა რევოლუციურ საბჭოში – განათლებისა და ჯანმრთელობის კომისიებში. 1918 წელს მეორედ აირჩიეს ხმოსნად. იმავე წელს ბათუმი ქართველ ქალთა ერთმა წრემ ქალთა ორგანიზაციის მოსაწყობად მიიწვია, როგორც გამოცდილი ორგანიზატორი, სადაც ლ. მეგრელიძემ ქალთა გათვითცნობიერების საქმიანობა გააძლიერა. 1918 წლის ბოლოს თბილისს გადავიდა ოჯახით საცხოვრებლად და, ამ დროს უკვე 8 შვილის დედა, მაგრამ ისევე ჭაბუკური ენერგიით გატაცებული, ჩვეულებრივი ხალისით მუშაობდა მეოთხე რაიონის პარტიულ ორგანიზაციასა და ქალთა ბიუროში, იმავე დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიაც დადიოდა და ლექციებს ისმენდა (1918-1919 წწ.). უკანასკნელად გადავიდა „სხიველების“ ჯგუფში. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, ყველა პარტიასა და ორგანიზაციას თავი გაანება, ხოლო 1927 წელს საქ. კპ. ცკ-თან არსებულ ყოფ. მენშევიკთა ბიუროს წინადადებით, ამავე ბიუროს ქალთა სექციის მდივნად მუშაობდა.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1910 წელს ჟურ. „ნაკადულში“, სადაც დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ბავშვის სიმღერა“. თანამშრომლობდა „ჯეჯილში“, „თეატრი და ცხოვრებაში“, „განათლებაში“ და სხვ. ლექსებს გარდა, წერდა მოთხრობებს, წერილებს – ქალთა საკითხის გარდა, მუშათა მდგომარეობაზე, ქალაქის თვითმმართველობაზე, პალიასტომის მუშა-მეთევზეთა შესახებ (რის გამოც მოიჯარადრებმა სამართალში გაიწვიეს, მაგრამ გამტყუნდნენ) და სხვ. პიესად გადააკეთა ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილი“, რომელსაც 1901 წელს ოჯახებში დგამდა ნებადაურთველად, რის გამოც ბოქაულმა ნაკაშიძემ დატუქსა და წარმოდგენების მართვა აუკრძალა. წარმოდგენებს მართავდა სრულიად უფასოდ ოზურგეთში და სხვ. მისი ლექსები და მოთხრობები შეტანილია 1926-1927 წლების პირველი საფეხურის სახელმძღვანელოებში.

ცალკე გამოცემულია:

1. საბავშვო ლექსები. - ტფ., 1924 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - 32 გვ.; 23სმ.;
2. საბავშვო ლექსები: მეორე წიგნი. - ტფ.: ავტორის გამოცემა, 1927 (სმუს პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტ.). - [34] გვ.; 23სმ.;

3. საიდუმლო სტამბები: [მოგონებანი 1904-05 წ. პერიოდიდან]. - ტფ.: სახელგამის გა-მა, 1931 (კოლექტივის-ს სტ.). - 31, [1] გვ.; ავტ. პორტრ.; 17სმ.;
4. ბუბა და ლელა: [მოთხრობა უმცროს ასაკისათვის]. - თბ.: სახელგამი, ახალგაზრდ. და საბავშვო სექტორი, 1937 (სსრკ აკად. საქ. ფილიალის სტ.). - 48 გვ.; ილ.; 22სმ.;
5. მარგალიტის მძივები: [საბავშვო ლექსები]. - თბ.: საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტი, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობა, 1939 (ტექნიკა და შრომა-ს სტამბა). - 70 გვ.; ილ.; 17სმ. - სათაურის წინ: ლიდა მეგრელიძე (მიმქრალი);
6. დარბეული ოჯახი: [მოთხრობა საშუალო ასაკისათვის]. - თბ.: საბლიტგამი, 1940. - 44 გვ.; 19 სმ.;
7. მზია და ფისო: [ლექსი უმცროსი ასაკისათვის / მხატვ.: რ. ვაშაძე]. - თბ., 1941 (საბლიტგამი). - 16 გვ.; ილ.; 20სმ.;
8. შოთას ლურჯა: [ლექსები სკოლამდე ასაკის ბავშვებისათვის / ყდა მხატვ. ს. გაბაშვილისა]; საქართველოს სსრ განსახკომი. - თბ.: საბლიტგამი, 1943. - 40 გვ.; 13სმ.;
9. ბუბა და ლელა: [მოთხრობა]. - თბ.: საბლიტგამი, 1949 (საქ. სსრ პოლიგრაფ. და გამომც. საქმ. სამმართვე. 1-ლი სტ.). - 36 გვ.; 20სმ.;
10. ლექსები და მოთხრობები. - თბ.: საბლიტგამი, 1949 (პოლიგრაფ. და გამომც. საქმ. სამმართვე. 1-ლი სტ.). - 94 გვ.; ილ.; 22სმ.;
11. ნანა. - თბ.: საბლიტგამი, 1951 (საქპოლიგრაფგამომც. 1-ლი სტ.). - 50 გვ.; ილ.; 22სმ.

გამოქვეყნებულია:

1. ბავშვის სიმღერა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1910. - №11. - გვ. 3;
2. ზოგი ეტრფის პირბადრ...: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №11. - გვ. 3;
3. ლოცვა: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №23. - გვ. 2;
4. მდინარე: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №18. - გვ. 7;
5. მთაზე: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №21. - გვ. 2;
6. მწუხრი: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №24. - გვ. 11;
7. ოხ, რად შეახე ნორჩ ყვავილს ხელი...: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №26. - გვ. 15;
8. უდაბნოთ: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №25. - გვ. 1-2;
9. ღაღადი: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №19. - გვ. 3; №26. - გვ. 13;
10. ჩემო ჩიტუნავ: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №3. - გვ. 11;
11. ჰინეს სიმღერებიდან: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №26. - გვ. 1;
12. სიმბოლიური სურათი: (ვუძღვნი ჟურნალ „წყარო“-ს) [ლექსი] // წყარო. - ბაქო, 1913. - №6. - გვ. 7;
13. ქეთოს მერცხალი: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1913. - №21. - გვ. 3;

14. ლალის კაბა: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1914. - №7. - გვ. 4-6;
15. პასუხი: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №42. - გვ. 6;
16. დედის საფლავზე: (ძღვანად ჩემ შვილს მაროს) // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1915. - №1. - გვ. 30-32;
17. მგოსნის ცხედართან: (აკაკის ხსოვნას) [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №8. - გვ. 9;
18. შეხვედრა: გადმოხვენილ ქართველ მაჰმადიან ბავშვისა და ქართველი დედისა [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1915. - №11-12. - გვ. 20-21;
19. ბუნების ბაღში: [ესკიზი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1916. - №10. - გვ. 29-32;
20. პატარა მეგობრები // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1916. - №2. - გვ. 4-14;
21. როგორ გავატარე ზაფხული // ჯეჯილი. - 1916. - №9-10. - გვ. 497-557;
22. სიმღერა. "გამოზაფხულდა ბიჭიკო" ... სოფლური / მჭაურელი [მხატვარი] // ჯეჯილი. - 1916. - №3. - 131 გვ.;
23. ფოთის მუს. - დრამ. საზ-ის შესახებ ჟურ. „თ. და ც.“-ის №3-ში... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №7. - გვ. 15;
24. პეპელა: [ლექსი] // კუნწულა. - 1917. - №2. - გვ. 35-36;
25. ცისკრის ჟამს: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1917. - №3. - გვ. 3;
26. ბავშვები: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1918. - №6. - გვ. 3;
27. განთიადზე: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1918. - №4. - გვ. 12;
28. ლურჯი თვლები: [მოთხრობა] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1918. - №5-6. - გვ. 18-21;
29. მიმაფრენს... მივერი...: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1919. - №5-6. - გვ. 2. - ნინო ნაკაშიძეს;
30. პატარა მეყვავილე // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1919. - №5-8. - გვ. 37-38;
31. აღერსი: (ჩემს ლიალას) [ლექსი] // ჯეჯილი. - 1920. - №5-7. - გვ. 3;
32. ახალ ნელს დილით // ჯეჯილი. - 1920. - №7. - 3 გვ.;
33. ...და დავბრუნდები...: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1920. - №2. - გვ. 23-24;
34. დაუვინყარი გლოვა: (ამხ. ნოე ჩხიკავაძის ხსოვნას) [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №23. - გვ. 4;
35. საალერსო სიმღერა // ჯეჯილი. - 1920. - №7. - გვ. 23.;
36. სურათი სოფლად: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1920. - №3. - გვ. 2;
37. ქალთა წრის დაარსების გამო // ახალი კვალი. - 1920. - №3. - გვ. 10-11;
38. შემოღამება ბაღში: (დაუვინყარ ექიმ კ. მიქაბერ-იძეს) [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1920. - №4. - გვ. 27;
39. ცელქი პეპელა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1920. - №6. - გვ. 14-16;
40. მაისის წვიმა: [ლექსი] // ჯეჯილი. - 1921. - 1 აგვისტო. - გვ. 21;
41. მოხერხებული მელია: [მოთხრობა] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1921. - №5. - გვ. 23-25. - ტექსტს დართული აქვს ნახატი ხელმოწერით: O. I. ШЛИНГ.;
42. ნანა: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1921. - №5. - გვ. 22;
43. საახალწლო სიხარული: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1921. - №1. - გვ. 18-19;
44. სიმღერა: (სოფლური) [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1921. - №3. - გვ. 12;
45. სიმღერა. „ჰაი და ჰა, ჩემო ხარებო“. სოფლური // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1921. - №3. - გვ. 12;
46. მაშინ არავინ არ დამიშლის // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1922. - №1-2. - გვ. 4-8;
47. პატარა მხატვრის ფიქრი // ჯეჯილი. - 1922. - №1-2. - გვ. 33;
48. ყვითელი ფერი // ჯეჯილი. - 1922. - №1-3. - გვ. 29;
49. ბავშვი და ბილილა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1923. - №11-12. - გვ. 3;
50. ბავშვის სახლში // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1923. - №1. - გვ. 5-9;
51. დილა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1923. - №5. - გვ. 28;
52. ვაზი ტირის: [მინიატიურა] // ჯეჯილი. - 1923. - №1-2. - გვ. 24;
53. ილია ნაკაშიძის სურათზე: [ლექსი] // ჯეჯილი. - 1923. - №4-6. - გვ. 37;
54. ნაძვის ხე // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1923. - №1. - გვ. 21;
55. სუმბული // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1923. - №6-7. - გვ. 3;
56. ჩემი ქვეყანავ // ჯეჯილი. - 1923. - №3-5. - გვ. 36;
57. გაზაფხული // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1924. - №4-5. - გვ. 8;
58. გურია: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - №19. - გვ. 9;
59. ზარი // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1924. - №12. - გვ. 4;
60. პატარა მხატვარი: [მინიატიურა] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1924. - №10-11. - გვ. 5;
61. პატარა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1924. - №10-11. - გვ. 8;
62. პეპლები და დედოფლები: ზღაპარი / დ. გველესიანი [მხატვარი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1924. - №2-3. - გვ. 17-22;
63. პირველად ქარხანაში: [ლექსი] // ჩვენი გზა. - 1924. - №10. - გვ. 31;

64. სათუთი ფრთოსანი: [ლექსი] // ჩვენი გზა. - 1924. - №6. - გვ. 50;
65. სიმღერა (სოფლური): გარიჟრაჟზე: [ლექსები] // ჩვენი გზა. - 1924. - №7. - გვ. 40;
66. ცელქი გოგო: [მოთხრობა] // ჩვენი გზა. - 1924. - №8-9. - გვ. 53-54;
67. 1 მაისი // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1925. - №4. - გვ. 2;
68. გველის კუდზე: [ნოველა] // ხელოვნება. - 1925. - №10. - გვ. 13-15. - №12. - გვ. 12-13;
69. ია და ბავშვი: [სიმღერა] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1925. - №6. - გვ. 33;
70. ინკვიზიტორი - ჩემი სინაზე: პროზიდან სტრიქონები // სამხატვრო სალიტერატურო აღმანახი. - 1925. - №1. - გვ. 59-61;
71. წინამძღოლი // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1925. - №1. - გვ. 17;
72. ზიზის ნადი // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1926. - №9. - გვ. 18-22;
73. მერცხალი // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1926. - №6. - გვ. 5;
74. პატარა თემურო / დ. გველესიანი [მხატვარი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1926. - №5. - გვ. 7-12;
75. სიმღერა. „მოვიდა წვიმა შხაპუნა“ // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1926. - №7. - გვ. 7;
76. სიმღერა ყანებზე. ხალხური // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1926. - №11. - გვ. 11;
77. ღომის საკრეფად // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირენლოვანთათვის. - 1926. - №9. - გვ. 12;
78. ბაბე ბოჭორიძეს: ავლაბრის საიდუმლო სტამბის მუშაკ ქალს: [ლექსი] // მუშა. - 1938. - 21 იანვარი. - №17. - გვ. 3;
79. ბავშვთა საყვარელი კომპოზიტორი თამარ შავერზაშვილი // მუშა. - 1938. - 9 აპრილი. - №81. - გვ. 3;
80. ნანა, პატარავ, ნანა: [ლექსი] // ოქტომბრელი. - 1939. - თებერვალი. - №2. - გვ. 4;
81. პირველი ნაბიჯები: [გურიაში თეატრის განვითარების საქმეში. მოგონება] // საბჭოთა ხელოვნება. - 1939. - №4. - გვ. 71-74;
82. უმამოდ: [პოემა] // პიონერი. - 1939. - მარტი. - №3. - გვ. 4-5;
83. შემოდგომის სურათები სოფლად: [ლექსი] // პიონერი. - 1939. - ოქტომბერი. - №10. - გვ. 7;
84. ძია სტალინის დაბადების დღე: [ლექსი] // პიონერი. - 1939. - №12. - გვ. 12;
85. ძია სტალინს ამანათს უგზავნიან: [ლექსი] // ოქტომბრელი. - 1939. - №12. - გვ. 12-13;
86. ნუნუს სათამაშოები: [ლექსი უმცროსი ასაკისათვის] // ოქტომბრელი. - 1940. - №7. - გვ. 11;
87. ორი მეთევზე: (ხალხური ამბავი) // ოქტომბრელი. - 1940. - №2. - გარეკანის მე-3 გვ.;
88. ტუტის ლურჯა: [ლექსი] // ოქტომბრელი. - 1940. - №5. - გვ. 12;
89. ცოტა რამ ფოთის თეატრის ისტორიისათვის // საბჭოთა ხელოვნება. - 1940. - №2-3. - გვ. 108-111;
90. ძმა კაპიტანს: [ლექსი] // რემედასი. - 1940. - №7. - გვ. 4;
91. ძმას კაპიტანს: [ლექსი საშუალო ასაკისათვის] // პიონერი. - 1940. - №7. - გვ. 1;
92. თენგიზის ოცნება: [მოთხრობა ლიდა მეგრელიძისა. უმცროსი ასაკისათვის] // ოქტომბრელი. - 1941. - №5. - გვ. 5-6;
93. რა დილაა: [ლექსი] // პიონერი. - 1941. - №3. - კანის მე-2 გვ.;
94. ქართველ გმირ მფრინავებს: [ლექსი] // კომუნისტი. - 1941. - 28 სექტემბერი. - №230; სოციალისტური შეტევა: სააგიტაციო ფურცელი. - სამტრედია, 1941. - 1 ოქტომბერი. - №2;
95. გიხარია, მამა დაგიბრუნდება: [ლექსი] // პიონერი. - 1945. - №4. - გვ. 12;
96. თინას დედოფალა: [ლექსი] // ოქტომბრელი. - 1945. - №11. - 5 სურათი;
97. უქმად ხეტიალში: [ლექსი] // ოქტომბრელი. - 1945. - №5. - გვ. 6;
98. არ მინდა დავიგვიანო: [ლექსი] // პიონერი. - 1946. - №6. - გვ. 9;
99. მშობლიურ ცის ქვეშ: [მოთხრობა] // მნათობი. - 1946. - №2-3. - გვ. 175-190; №5-6. - გვ. 87-101; №7. - გვ. 44-64; №8. - გვ. 46-57;
100. რა ყვაილებია: [ლექსი] // პიონერი. - 1946. - №4. - გვ. 28;
101. შოთას ლურჯა: [ლექსი] // თაიგული: [საბავშვო მხატვრული კრებული / მხატ.: ნ. ფოფხაძე]. - თბ.: საბლიტგამი, 1946 (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი). - გვ. 59-60;
102. ჩემი ბურთი: [ლექსი] // თაიგული: [საბავშვო მხატვრული კრებული / მხატ.: ნ. ფოფხაძე]. - თბ.: საბლიტგამი, 1946 (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი). - გვ. 58-59;
103. ავთანდილის ახალი მეგობარი: [მოთხრობა] / ნახ. ვ. ბელეცკაიასი // პიონერი. - 1947. - №11. - გვ. 12-14;
104. ბრიყვი ყურნაკაპუნა: [ზღაპარი]; ნახ. ა. კანდელაკისა // ოქტომბრელი. - 1947. - №1. - გვ. 12;
105. მაისის დილა: [ლექსი] // პიონერი. - 1947. - №5. - გვ. 8;
106. მოხუცი ჯიშმერი: (პოემა); ნახ. ა. გიგოლაშვილისა // პიონერი. - 1947. - №2. - გვ. 7-8;
107. შორეულ სადგურზე: [მოთხრობა] / ნახ. ირ. რაზმაძისა // პიონერი. - 1947. - №6. - გვ. 14-17;
108. გურამიშვილის საფლავი: [ლექსი] // პიონერი. - 1948. - №6. - გვ. 27;
109. ჩვენი სკოლის ბავშვები: [ალისფერი ყელსახვევი, უდისციპლინო დათო. მოთხრობები]; ნახ. მ. დაუშვილისა // პიონერი. - 1948. - №1. - გვ. 4-5;
110. დილა მტკვრის სანაპიროზე: [ლექსი] // პიონერი. - 1949. - №3. - გვ. 6;
111. გურიის მუსიკალური ფოლკლორი: მცირე შენიშვნები // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1950. - 11 ივნისი. - №24;
112. ქვიშხეთი ბავშვების აგარაკი: [ლექსი] // პიონერი. - 1950. - №6. - გვ. 13;
113. ძვირფასი სახელი: [მოთხრობა] / [ნახ. კ. მახარაძის] // პიონერი. - 1951. - №5. - გვ. 3-4.

მის შესახებ:

1. ჩვენი პასუხი // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №7. - გვ. 16. - წერილი ამბები;
2. ძამაშვილი, ვ. ერთი საბავშვო წიგნის შესახებ: [ლ. მეგრელიძის ლექსთა კრებული - „მარგალიტის მიძევები“]: [რეცენზია] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1940. - 2 თებერვალი. - №26;
3. არაბული, ი. ლ. მეგრელიძე - „ბუბა და ლელა“, 1949 წელი: [საბლიტგამი] // მნათობი. - 1949. - №9. - გვ. 187-189. - რეცენზია;
4. Алексидзе, М. Книги для детей: [ლ. მეგრელიძე. ნანა. თბ., საბლიტგამი, 1951; ა. ხახუტაშვილი. გაზაფხულის მერცხლები. თბ., საბლიტგამი, 1952; გ. შატბერაშვილი. საბავშვო მოთხრობები. თბ., საბლიტგამი, 1950; რ. ელანიძე. თეთრი მთები. თბ., საბლიტგამი, 1951; თ. ჩხაიძე. თოჯინების აჯანყება. თბ., საბლიტგამი, 1951; პ. ლორია. საბავშვო მოთხრობები. ბათუმი, აჭარის ასსრ სახელგამი, 1952. Рецензия] // Заря Востока. - 1952. - 30 марта.

წყარო:

1. ერთობა. - 1917. - 10 აგვისტო. - № 119; 26 ოქტომბერი. - № 180; 29 ოქტომბერი. - № 207; 30 ნოემბერი. - № 208.

მეგრელიძე, მარინა იოსების ასული –

რევოლუციონერი ქალი იყო. მის ძმებს (სამი ჰყავდა) შინ ერთი საწნახელი ბარდანეები უნახეს, მარინემ იდო თავს, – ძმებმა არ იცნან, მე ყაჩაღებმა მომაბარესო; გადაასახლეს შემდეგ, დაბრუნდა. მარინეზე ლექსს მღეროდნენ:

„გურიანთელი ქალი ვარ,
სახელად მქვია მარინე,
მღვდელმა რაღაც შემიკვეთა,
უარი ვუთხარი, უარი მე“.

წყარო:

1. ი. მეგრელიძის ცნობებიდან.

მეგრელიძე, მოსა აღოს ქი (1874– 1902, 30/ XII) –

მეტეხის ციხეში 1902 წელს იანვარში გარდაიცვალა პოლიტიკური პატიმარი, გურიის სოფლის მასწავლებელი, მოსე მეგრელიძე. თბილისიდან ის გურიაში გაასვენეს. სადგურთან სიტყვები წარმოითქვა. ამ შემთხვევის გამო, სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ შემდეგი ფურცელი გამოუშვა [ვრცელი ფურცელი თავდება]:

„აბა, გააცილეთ პატივცემულად კუბო, თბილისელეზო, აბა, ღირსეულად დაუხვდით მას, გურულეზო...“

(გრ. გიორგაძე, „თვითმპყრობელობა და რევოლუცია“, თბ., 1930).

მისი გამბედაობისა და რევოლუციონურობის შესახებ საარაკო ამბებს ჰყვებიან გურიაში და მის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთ დამაარსებლად თვლიან. შესანიშნავი ორატორი

იყო თურმე და მარქსიზმი ზეპირად იცოდა, „დებატებში“ დიდ განვითარებას ამაღლავებდაო.

იყო სოფ. ხრიალეთიდან (სად. სუფსის მახლობლად). კურთხევაზე უარი უთქვამს, ხუცობა მიჰლსო.

სხვათა შორის, ფოთში იყო ერთი განვითარებული პროპაგანდისტი მუშა.

გამოქვეყნებულია:

1. ოზურგეთი: შემონირულება ბიბლიოთეკას // ცნობის ფურცელი. - 1898. - 24 თებერვალი. - №463. - გვ. 3;
2. ს. ჭიანეთი: (გურია). მადლობის გამოცხადება // ცნობის ფურცელი. - 1898. - 3 ოქტომბერი. - №644. - გვ. 4;
3. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1900. - 11 თებერვალი. - №32. - გვ. 4;
4. ქ-ნო რედაქტორო!.. // კვალი. - 1902. - №31. - გვ. 507.

მის შესახებ:

1. ორშაბათს, 30 დეკემბერს... // ცნობის ფურცელი. - 1903. - 1 იანვარი. - №2029. - გვ. 5.

წყარო:

1. ი. მეგრელიძის ცნობებიდან;
2. გიორგაძე, გრიგოლ. თვითმპყრობელობა და რევოლუცია / გრიგოლ გიორგაძე. - წ. 1: საბუთები რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1870-1902. ხალხსონების ხანა-დასელების-მარქსისტების მუშაობის დასაწყისი და განვითარება 1902 წლამდე. - ტფ.: სახელგამი, 1929 [კანზე: 1930] (პოლიგრაფსკ. სტ.). - გვ. 314-315.

მეგრელიძე, ოძროპირ (– დაახლ. 1880) –

მგალობელი და მწიგნობარი, – დ. ბაქრაძის მიერ „ბლალოჩინ ვოქროპირ მეგრელიძედ“ ნახსენები, – გალობდა ფოთის ტაძარში (სობოროში), შემდეგ შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტად იყო. დაკრძალულია იქვე. დარჩა ნაწერები.

წყარო:

1. ი. მეგრელიძის ხელნაწერი ცნობა;
2. Бақраძე, Д. 3. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре: (С атл.)/[Соч.] Дм. Бақраძე. - Санкт-Петербург: тип. Имп. Акад. наук, 1878. - Стр. 228.

მეგრელიძე, ქრისტაფორ მაქსიმელის ქი [იბივი როსტომ ფალაპანი] (19.. –) –

ცნობილი მოჭიდავე, XIX საუკუნის 80-იან წლებში ჭიდაობდა ფოთს, ქუთაისს, თბილისსა და სხვ. დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და თავისი საუცხოო ჭიდაობით ხალხის ფიზიკურ აღზრდას ხელს უწყობდა.

წყარო:

1. ი. ბ. მეგრელიძის ხელნაწერიდან.

მეიფარიანი, ალ. – დრამატურგი და მსახიობი, – გ. დ. ერისთავის დასის წევრი.

ცალკე გამოცემულია:

1. ქმრები გვაგაბით მახეში: ნამდვილი კომედია ორის მოქმედებით / თხზულება აზ. ალ. მეიფარიანისა. წარმოდგენილი იყო 2-ს და 16-ს დეკემბერს 1851 წელსა. - თფ., 1853 (კავკას. ნამესტნ. კანც. სტ.). - 58 გვ.; 22სმ.

წყარო:

1. უმიკაშვილი, პ. ანტონოვის და ერისთავის ურთიერთობის შესახებ // კვალი. - 1893. - № 9. - გვ. 2-6;
2. ლეონიძე, გ. კონსპექტი ქართულ თეატრის ისტორიისა 1790 წლიდან 1879 წლამდე // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - № 14. - გვ. 6;
3. ზანდუკელი, მიხეილ. ახალი ქართული ლიტერატურა: უმაღლ. პედაგოგ. სასწავლებლისათვის / სსსრ განათლ. სახალხო კომისარიატი. - ტ. 2. - მე-2 შესწ. გამოც.. - ბათომი: სახელგამი. სამეცნ.-პედ. სექტორი, 1938 (პოლიგრაფკომბინატი). - გვ.: 35;
4. ხაჭაპურიძე, გ. საქართველოს ისტორია მე-19 საუკუნის დამდეგიდან ვიდრე ჩვენს დრომდე // საქართველოს ისტორია: უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე / წინამდებარე წიგნი შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ. უძველესი ხანიდან ვიდრე მე-10 საუკუნის დამდეგამდე (გვ. 5-115) დასწერა პროფ. ს. ჯანაშიამ, მე-10 საუკუნის დამდეგიდან ვიდრე მე-16 საუკუნის დამდეგამდე (გვ. 116-284) - აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, მე-16 საუკუნის დამდეგიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე (285-414) - პროფ. ნ. ბერძენიშვილმა, მე-19 საუკუნის დამდეგიდან ვიდრე ჩვენს დრომდე (გვ. 415-486) - პროფ. გ. ხაჭაპურიძემ. - თბ.: სახელგამი. სასწ. პედ. სექტ., 1940. - გვ. 428.

მელანია [ნათიკა, ნიკოლოზ ბიორგის ძე] (1853, 15/VIII – 1921, 4/II) – მწერალი, – ბელეტრისტი, – კახეთიდან (დაიბადა სოფ. ჩალაუბანში. ყოფ. სიღნაღის მაზ., მღვდლის ოჯახში, 1853 წლის აგვისტოს 15-ს, გარდაიცვალა 1921 წლის თებერვლის 4, ქ. თბილისში. დაკრძალულია სოფ. მელაანში).

თუმცა მამამისი, სოფ. მელაანის მცხოვრები, სემინარიაში კურსდამთავრებული, განათლებული კაცი იყო, შვილების სწავლისათვის პირველ ხანად არა ზრუნავდა: „უფროსი“ ხალხი და მათდამი თხოვნა ეჯავრებოდა, რის გამოც, მელანია (ნიკოლოზ ნათიძის ფსევდონიმი) თითქმის 16 წლამდე სოფელში იზრდებოდა მეძროხედ, ვენახსა და გუთანზე, მხოლოდ დედის (სოფ. საგარეჯოს მცხოვრებ ქეთევან მეზვრიშვილის ასულის) მეცადინეობით (დეკანოზთან უჩივლა ქმარს: „შვილებს აუბედურებს, სასწავლებელში არ მიჰყავსო“) მელანია სახელმწიფო ხარჯზე მიაბარეს თუქურმიშას – დედოფლის წყაროზე თბილისის პოლკის ხარჯზე დაარსებულ სკოლაში, აქედან –

თელავს, ხოლო თელავიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში დაამთავრა სწავლა უკვე დავაუკაცებულმა პირველი ხარისხით. სწავლის დროს დიდი გაჭირვება გამოიარა სიღარიბით (ოჯახში დედაბუდიანად ღარიბულ მეურნეობით ირჩენდნენ თავს). გარდა ამისა, თუქურმიშას სკოლაში აკრძალული ჰქონდა ქართულად ლაპარაკი, – ქართულად ხმის ამომღებს გულზე ჩამოჰკიდებდნენ დასასჯელ წარწერას: „ვინც ქართულად ილაპარაკებს, უსადილოდ დარჩესო“. ქართული ანბანი შინ დედამ შეასწავლა – წერილი მომწერე ხოლმეო. სამშობლო ენის დამწერლობის შესწავლას მხოლოდ სემინარიის დასრულების შემდეგ შეუდგა გაზ. „დროებისა“ და „ივერიას“ კითხვით. სწავლის დამთავრებისთანავე (1879) მასწავლებლად გამწესდა სოფ. ვეჯინში, აქედან – სამხედრო უწყებაში მღვდლად. მსახურობდა ოლთისს, გორს, თბილისს.

მელანიას ყოველ მოთხრობაში დიდი მხატვრობით აქვს აღწერილი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ყოფა-ცხოვრება. ცნობილია, როგორც ხალხოსწერი მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენელი.

ცალკე გამოცემულია:

1. ბნელო / მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი). - თბ.: ქართველი ამხანაგობის გამოცემა, №9 და მისივე სტ., 1891. - 180 გვ.; 19სმ.; მე-2 გამოც.. - ტფ.: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა №195, 1920 (ვ. ა. რუხაძის სტ.). - 90 გვ.; 22სმ.; აგრეთვე: თბ.: საბჭ. მწერალის-გამ-ბა და სტ., 1951. - 211 გვ.; 15სმ;
2. გიორგი და გეურქა: (ამბავი) / მელანია [ნიკოლოზ ნათიძე]. - თბ.: გამოცემა ჟურნალ „კლდისა“, 1915 (სტ. „ცხოვრება“). - 16 გვ.; 19სმ.;
3. მამა ქრისტეფორე: [მეფის ცენზურის მიერ აკრძალული და ახლად აღმოჩენილი მოთხრობა] / რედაქტ. და წინასიტყვ. ავტ.: სოლ. ყუბანეიშვილი. - ტფ., 1934 (მ.მ.ს.კ. პ/ტრ 1-ლი სტ.). - 43 გვ.; 20სმ.

გამოქვეყნებულია:

1. ბნელო: [მოთხრობა] // ივერია. - 1888. - 7 ივლისი. - №141. - გვ. 1-2; 8 ივლისი. - №142. - გვ. 1-3; 9 ივლისი. - №143. - გვ. 1-2; 12 ივლისი. - №145. - გვ. 1-3; 13 ივლისი. - №146. - გვ. 1-3; 14 ივლისი. - №147. - გვ. 1-3; 15 ივლისი. - №148. - გვ. 1-3; 19 ივლისი. - №150. - გვ. 1-3; 20 ივლისი. - №151. - გვ. 1-3; 21 ივლისი. - №152. - გვ. 1-3; 22 ივლისი. - №153. - გვ. 1-3;
2. კრიალოსანი: ამბავი // მოამბე. - 1894. - №4, განყ. I. - გვ. 129-148. – [ითარგმნა რუსულად, გამოქვეყნდა: „Новое издание“];
3. ნავარდობა: [მოთხრობა] // მოამბე. - 1899. - №4, განყ. I. - გვ. 1-36; №5, განყ. I. - გვ. 1-36; №6, განყ. I. - გვ. 1-31; №7, განყ. I. - გვ. 1-42; №8, განყ. I. - გვ. 1-49; №11, განყ. I. - გვ. 1-39; 1900. - №5, განყ. I. - გვ. 9-35; №6, განყ. I. - გვ. 1-28;
4. ლადიკო: [მოთხრობა] // მოამბე. - 1902. - №2, განყ. I. - გვ. 65-87;

5. ქედნის ლულუნი: (ლეგენდა, გაგონილი კახეთში) // მოაზბე. - 1904. - №6, განყ. I. - გვ. 1-10;
6. პრიგავარის ღვდელი: ამბავი I, II, III // აკაკის დღე საქართველოში: სალიტერატურო მხატვრული აღმანახი. - 1908. - №1. - გვ. 11-14; №2. - გვ. 12-16;
7. პრიგავარის ღვდელი: ამბავი IX // ნიავე: სალიტერატურო მხატვრული აღმანახი. - 1909. - №8. - გვ. 6-9;
8. პრიგავარის ღვდელი: (ამბავი) // ძალა: სალიტერატურო მხატვრული აღმანახი. - 1909. - №5. - გვ. 13-15; №6. - გვ. 7;
9. გიორგი და გეურქა: (ამბავი დიალოგით). [მოთხრობა] // კლდე. - 1915. - №6. - გვ. 12-15; №7. - გვ. 7-11;
10. კამილაკვა: (პატარა ამბავი). [მოთხრობა] // კლდე. - 1915. - №15. - გვ. 6-11;
11. ძეგლებდ წასანერი „ლექსი“. (პატარა ამბავი). [მოთხრობა] // კლდე. - 1915. - № 12. - გვ. 13-16; №13. - გვ. 7-9;
12. „აქეთ-იქით გამარჯობა“. (ძველი ამბავი) [მოთხრობა] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №31. - გვ. 3-5; №32. - გვ. 2-4; №33. - გვ. 3-5; №34. - გვ. 3-4; №35. - გვ. 5-7;
13. მოგონებანი ვაჟა ფშაველაზე // ლიტერატურის მატინე. - 1949. - №5. - გვ. 32-36. - (ნაკვ. 1-2).

მის შესახებ:

1. ფანცხავა, რომანოზ (ხომლედი). - ა) ქართველი გლეხის შვილი: ნათიძე ნიკოლოზ / მელანია, ნ. „ბნელო“ მოთხრობა. ნ. მელანიასი. თბ. წიგნების მბეჭდველ ქართველთა ამხანაგობა. 1891. [რეცენზია] // კვალი. - 1894. - №10. - გვ. 14-15; №11. - გვ. 15-16; №12. - გვ. 10-11; №13. - გვ. 10-12; №14. - გვ. 14-16; №15. - გვ. 14-16; №16. - გვ. 15-18; №38. - გვ. 11-38; №39. - გვ. 11-15; ბ) ქართველი გლეხის შვილი // აკაკის კრებული. - 1900. - №34, განყ. I. - გვ. 9-37; გ) ქართველი გლეხის შვილი: „ბნელო“, მოთხრობა მელანიასი // შინაური საქმეები. - 1909. - №16. - გვ. 8-11; №17. - გვ. 7-9;
2. ახალი ქართული მოთხრობა // ცნობის ფურცელი. - 1897. - 11 ივლისი. - №251. - გვ. 3;
3. გომართელი, ივ. - ა) ჩვენი სიტყვა კაზმული ლიტერატურა 1899 წელს // კვალი. - 1900. - №5. - გვ. 77-79; №7. - გვ. 110-111; №9. - გვ. 146-148; ბ) 1900 წლის სიტყვა-კაზმული მწერლობა // კვალი. - 1901. - №1. - გვ. 12-15; №2. - გვ. 26-28; №6. - გვ. 96-98;
4. ზანგი (გრიგოლ რციხილაძე). სიტყვა-კაზმული მწერლობა 1902 წ. // ცნობის ფურცელი. - 1903. - 16 იანვარი. - №2041. - გვ. 2-4;
5. ნაკაშიძე, ილია. მელანიას ნაწერები // ერთობა. - 1909. - №2. - გვ. 13-16; ბურჯი. - 1909. - №3. - გვ. 5-7;
6. ხერხეულიძე, მიხეილ (მიშო). „გიორგი და გეურქა“, გამოცემა „კლდისა“ 7 კ.: [რეცენზია] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №11. - გვ. 14-15;
7. ბელეტრისტი მელანიას ჰქონია... // სიმართლის გზა. - 1917. - №1. - გვ. 4. - მწერლობის ახალი ამბები;
8. მღვიმელი, შიო. ნინოს დღეობა: (ნინო ნათიძეს, მელანიას შვილიშვილს) [ლექსი] // ჯეჯელი. - 1917. - №1. - გვ. 3-4;

9. ქართველ მწერალთა კონფერენცია-საპატო თავმჯდომარენი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №40. - გვ. 1;
10. ბელეტრისტი მელანია: (დეკ. ნიკოლოზ გიორგის ძე ნათიძე) [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №9. - გვ. 1;
11. ბელეტრისტი მელანია...: (სურათი იხილეთ პორველ გვერდზე) // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №9. - გვ. 16. - წერილი ამბები;
12. ქადაგიძე, ი. მოთხრობა ძველ სოფელზე: [რეცენზია] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - 25 ნოემბერი.

წყარო:

1. ბელეტრისტი მელანია...: (სურათი იხილეთ პორველ გვერდზე) // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №9. - გვ. 16. - წერილი ამბები;
2. რადიანი, შ. // ეკალაძე, ია (თომანთ კობა). რჩეული ნაწერები. - თბ.: სახელგამი, 1934 (პარტგამომც. სტ.). - 316 გვ.;
3. რაზიკაშვილი, ს. ვაჟა-ფშაველა: [მოგონებანი] // ლიტერატურის მატინე. - თბ., 1940. - №1-2. - გვ.: 231, 251, 253, 258.

მელაშვილი, დავით იოსების ძე (1884, 15/

VIII –) – მუშა-მწერალი, – პუბლიცისტი, ჟურნალისტი, სცენისმოყვარე და საზოგადო მოღვაწე, – გარეკახელი (სოფ. გარეჯელი, წერა-კითხვის უცოდინარ გლეხთა შვილი. მამა – მეკრამიტე მუშა, დედა – დიასახლისი). წერა-კითხვა ძმის, დიმიტრის, დახმარებით, მამის ნამალევედ ისწავლა (რადგან უშლიდა). სკოლის გარეშე თვითგანვითარებული, ხელობით – ასოთამწყობი. 1906 წლამდე ქართველთა ამხანაგობის სტამბაში მუშაობისას, განსაკუთრებით, რევოლუციურ ლიტერატურას დაეწაფა.

1900 წლიდან სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობდა, როგორც სცენისმოყვარე, სრულიად უხელფასოდ – ნ. გოცირიძის, ი. ივანიძის მიერ გამართულ წარმოდგენებში, 1902 წლიდან ავლაბრის სახალხო თეატრში – იოსებ იმედაშვილის ხელმძღვანელობით, შემდეგ – მუშათა თითქმის ყველა თეატრსა და კლუბში 20 წლის განმავლობაში, წარმოებისგან მოუწყვეტილ 40-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის როლი შეუსრულებია პირველხარისხოვან მსახიობებთან ერთად.

მწერლობა დაიწყო 16-17 წლიდან, ილია ჭავჭავაძის გაზ. „ივერიაში“ სათეატრო რეცენზიების და ქრონიკების მოთავსებით, მარქსისტულ გაზეთებში – მუშათა ცხოვრებიდან წერდა, 1909-1913 წლებში თანამშრომლობდა „სახალხო გაზეთში“, „ზვირთში“, „თემში“, 1914 წლიდან – „ჯარისკაცში“, „ალიონში“ და „სახალხო საქმეში“. უმეტესად, წერდა კრიტიკულ, პოლემიკურ, იუმორისტულ, საზოგადოებრივ, სოფლის ქირ-ვარამის და სხვა ხასიათის წერილებს. უმთავრესად, ეროვნუ-

ლი თავდაცვის გათვალისწინებით, – სხვადასხვა გაზეთში მოთავსებული აქვს დაახლოებით 400 წერილი. 1910-1912 წლებში გამოსცა ალმანახები: „სარკე“ და „მუშათა კრებული“. 1913 წელს სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა საგამომცემლო წრის ყოველკვირეულ იუმორისტულ ჟურ. „ლახტს“ რედაქტორობდა. სულ გამოუშვა 20 ნომერი, რაც მისი სამხედრო სამსახურში განვების გამო შეჩერდა. 1922 წელს გამოსცა იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა“ (რამდენიმე ნომერი). 1921 წლიდან წერდა „სოციალისტ-ფედერალისტში“, „ტრიბუნაში“, „კომუნისტს“, „მუშასა“ და „შრომაში“, აგრეთვე – სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

პოლიტიკურ-რევოლუციურ მოძრაობაში: 1900 წლიდან მონაწილეობდა ყველა დემონსტრაციას, მიტინგსა და საიდუმლო კრებაზე, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას და სხვ. ეროვნულ ნიადაგზე სოციალისტ-ფედერალისტებთან მუშაობდა, სოციალისტურ ნიადაგზე – სოციალ-დემოკრატებთან, რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მეფის მთავრობის სანააღმდეგო მუშაობისათვის რამდენჯერმე დაპატიმრებული იყო. 1909 წელს დივიზიის გენერალმა უძლიერესი პატიმრობა მიუსაჯა სამხედრო ლითოგრაფიაში მუშაობის დროს ყალბი „ბრძანების“ გამოცემისათვის, ვითომც ტახტის მემკვიდრე გარდაიცვალა და პოლკის ოფიცრებმა ერთი დღე მკლავზე სამგლოვიარო ნიშანი ატარეთო (8 დღეს ჩასვეს კარცერში, სადაც მხოლოდ ორ დღეში ერთხელ აძლევდნენ ცარიელ პურსა და წყალს და უნტერ-ოფიცრის ღირსებაც აჰყარეს).

მსოფლიო ომში ორჯერ დაიჭრა. 1917 წლის რევოლუციის დროს ჯარისკაცთა მოთხოვნით უფროსი უნტერ-ოფიცრის ხარისხი დაუბრუნეს, აირჩიეს ჯერ როტის ჯარისკაცთა კომიტეტსა და რევოლუციურ სასამართლოში, შემდეგ – 29-ე დივიზიის აღმასრულებელ კომიტეტში. ფრონტის დაშლის შემდეგ ტრაპიზონში, ქართულ სამხედრო საბჭოში მუშაობის დროს, ქართული ნაწილების ჩამოყალიბებისათვის პროპაგანდას ეწეოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მუშაობდა პროფკავშირულ (მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში), საქალაქო საბჭოს (დეპუტატად), შრომის ინსპექტორად და სხვ.

ყველგან, ყოველთვის – მწერლობითა თუ სიტყვიერი საჯარო გამოსვლებით – დ. მელაშვილი მტკიცედ იცავდა სამშობლო ქვეყნისა და მშრომელთა ინტერესებს.

გამოქვეყნებულია:

1. „დამნაშავეა“, დრამა 3 მოქმ. ა. ნიკიტინის თარგმანი: რეცენზია [მელაშვილი დავით] დაუთ-ბეგ: [ქართულ-სომხური სცენის მოყვარეთა დასის წარმოდგენა არაქსიანის თეატრში] // ივერია. - 1905. - 23 აპრილი. - №58. - გვ. 2;
2. თეატრი და ხელოვნება: [ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მიერ დ. გაბრუაშვილის პიესის „ბრძოლა არ-

- სებობისათვის“ დადგმა, რკინიგზის სახელოსნოების თეატრში] // ივერია. - 1905. - 17 მაისი. - №77. - გვ. 4;
3. „რკინის გზის სიფიზილის თეატრი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა სასარგებლოდ... წარმოადგენას დრამას „სიმდიდრის მსხვერპლი“, გადმოქ. ა. ბაჯიაშვილის მიერ და ვ. გუნიას ვოდევილს „თავის ბრალია“ // სხივი. - 1905. - 9 დეკემბერი. - №4. - გვ. 1. - ხელს აწერს: „გამგე დათიკო მელაშვილი“;
 4. დეპუტა: ხარფუხი // ლახტი. - 1914. - №5. - გვ. 8;
 5. დაჭრილი ჯარისკაცის დ. მელაშვილის წუხილი აკაკიზე // თემი. - 1915. - 16 თებერვალი. - № 207;
 6. მუშა ხელის დაქირავების საკითხი // მუშა. - 1925. - 15 აპრილი. - № 720. - გვ. 2; 16 აპრილი. - № 721. - გვ. 3;
 7. საკითხები საჭირობოროტო // მუშა. - 1925. - 23 მაისი. - № 751;
 8. მტკივნეული საკითხი შრომის დარგში // მუშა. - 1926. - 8 ივნისი. - № 1063;
 9. სახელმწიფო სამკერვალო მრეწველობის ქარხანა // მუშა. - 1926. - 14 აგვისტო. - № 1119. - გვ. 3;
 10. შრომის კანონის დარღვევას არავის ვაპატიებთ // მუშა. - 1926. - 31 აგვისტო. - № 1132. - გვ. 1;
 11. ზედმეტი მუშაობის გამომწვევი მიზეზები და მის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებები // შრომა. - 1928. - 15 იანვარი. - № 22. - გვ. 10-14;
 12. კიდევ კლუბის წევრობის უფლებების შესახებ // შრომა. - 1928. - 3 ივნისი. - № 42. - გვ. 20-21;
 13. როგორ ესმით პროფკავშირთა წევრობა // შრომა. - 1928. - 6 მაისი. - № 38. - გვ. 14-16;
 14. საანგარიშო წიგნაკები // შრომა. - 1928. - 25 თებერვალი. - № 28. - გვ. 19-20;
 15. სპეცტანისამოსის საკითხი // შრომა. - 1928. - 12 თებერვალი. - № 26. - გვ. 6-8;
 16. შეგირდების სწავლების საქმე ჩვენში // შრომა. - 1928. - 11 მარტი. - № 30. - გვ. 9-10; 18 მარტი. - № 31. - გვ. 11-12;
 17. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობის შესახებ // შრომა. - 1928. - 20 მაისი. - № 40. - გვ. 9-10;
 18. შინა-მოსამსახურენი და მათი კანონიერი უფლებები // შრომა. - 1928. - 10 ივნისი. - № 43. - გვ. 15-16;
 19. შრომის დაცვა. უბედური შემთხვევები // შრომა. - 1928. - 8 აპრილი. - № 34. - გვ. 6-8.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. ბაქრაძე, გ. ი. ქართული პერიოდიკა, 1819-1945 / ბიბლიოგრაფია შედგენილი გ. ი. ბაქრაძის მიერ; ვ. ი. ეგნატაშვილის რედ. - თბ., 1946 [1947]. - გვ.: 46, 259.

მელაქი, იწუძა – ტერორისტი. ტერორისტულ

აქტებს ასრულებდა კომიტეტის დადგენილებით, სხვათა შორის, ძიძიგურთან ერთად. მოჰკლა მთავრობის მომხრე ბათომის სტრაჟნიკების ურიადნიკი ლევან გურიელი, შეუბრალებელ ჯალათად ცნობილი, მუშების უმონყალოდ გამლახველი, მის გასვენ-

ებაზე არც ერთი ეტლი არ გამოვიდა, კუბო ძლივს უშოვეს, რადგან მეკუბოვენი გაიფიცნენ და პოლიციას არ მიჰყიდეს გურიში ცხედრის გადასატანად, არც ერთმა გლეხმა ურემი არ შეაბა, არც მეეტლემ.

წყარო:

1. ჟღენტი, თენგიზი. 1905 წელი გურიში. - მე-2 გამოც. (შესწ. და შევს.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ. 47.

მელია, ალიქსანდრე – გამომგონებელი,

სპეციალობით ინჟინერი. საინჟინრო ინსტიტუტში სწავლის დროსვე შეუდგა გამომგონებლობას. პირველი მანქანა გამოიგონა 1930 წლის ივნისის პირველ რიცხვებში და მოკლე ხანში 8 მანქანა-მონწყობილობა გამოიგონა. მესამე გამომგონება „საქართველოს ჩაიმ“ შეიძინა (26 კომისრის სახელობის ქარხანამ გამოუშვა 1937 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში). ყველაზე საყურადღებოა მისი „აგურის მშრალად სანნეხი მანქანა მბრუნავი დაზგებით“, რომლის საქმის დასაგვირგვინებლად, იძულებული იყო, ინსტიტუტისთვის დროებით თავი გაენებებინა. ამ გამომგონების პროექტი დაიცვა 1931 წლის ივნისის 14 სპეციალისტთა კომისიის წინაშე და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა (ამ საქმეში ხელი შეუწყო სარენაო კავშირმა და მისმა თავმჯდომარემ ალ. მაისურაძემ). ფრიად სანდო და სახელდებულმა მცოდნეებმა: პროფ. გედევანიშვილმა, პროფ. პიტკევიჩმა, ინჟ. არუთინოვმა, ცნობილმა ინჟინერ-ტექნოლოგებმა – ფიცხელაურმა, ვალკმა და მასლიკმა, ერთხმად მოიწონეს ეს გამომგონება და აღნიშნეს სააღმშენებლო საქმეში მისი დიადი მსოფლიო მნიშვნელობა, ასევე ინსტიტუტმა დაადასტურა ამ გამომგონების დიადი მნიშვნელობა სააღმშენებლო მასალათა დამზადების საქმეში (ეს გამომგონება-წნეხი გაცილებით სჯობს მსოფლიოში არსებულ ამგვარსავე წნეხებს: ამერიკული წნეხები „რიდელ“, „სპეციალი“ 8 საათში უშვებენ 15.000 ცალ აგურს, გერმანული „დორსტენი“, „ბერგერი“ – 15-18.000-ს, „დორნბეიმი“ – 25.000-ს, ხოლო ალ. მელიას სისტემის წნეხი კი 8 საათის განმავლობაში სისტემატურად – 60.000 ცალ აგურს. ამავე მანქანით შეიძლება დამზადდეს თერმობეტონი და თბო-ბეტონი. ვიდრე ალ. მელია ამ გამომგონების პროექტს სათანადო დანეხებულებაში დაიცავდა, ბევრი წვალეობა, სულიერი მღელვარება თუ ნივთიერი შევიწროება გამოიარა და მაინც თავი არ მიანება, გაჯიუტებით მუშაობდა, რადგან თავისი გამომგონების სისწორეში ღრმად იყო დარწმუნებული. გარდა ამისა, ალ. მელიამ გამოიგონა: ა) აგურნარევი რკინა-ბეტონის საშენი მასალის დამამზადებელი მონწყობილობა; ბ) ნიადაგში ხელოვნური სასუქის შემტანი კომბაინი; გ) ორმხრივი, უპაუზო და განუწყვეტილ მომუშავე პატეფონი და სხვ.

ალ. მელიას გამომგონებათა ტექნიკა-წარმოებაში შემოღებისათვის მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა ინჟ. ალ. მელიას გამომგონე-

ბათა საკონსტრუქტორო-საგამოკვლევო ბიურო, რომელსაც დაევალა პირველ რიგში ზემოხსენებულ გამომგონებათა დამუშავება-განხორციელება.

ალ. მელიას ღრმად სწამდა ტექნიკის მძლეთამძლეობა და ამიტომ ყველა გამომგონებელს მოუწოდებდა, „ნუ შეუშინდებით დაბრკოლებებს და მტკიცედ განაგრძეთ მუშაობა. ყველა სპეციალისტმა და მუშებმა უნდა შეიგნონ ტექნიკის დიადი მნიშვნელობა და იბრძოლონ მისი დაუფლებისათვის“.

გამოქვეყნებულია:

1. გადავლახით ბიუროკრატიული დაბრკოლებები // კომუნისტი. - 1931. - 2 ივლისი. - № 150. - გვ. 4.

წყარო:

1. გარდავექმნათ აგურის ქარხნების მუშაობა ახალ ტექნიკურ საფუძველზე: ამხანაგ ა. მელიას გამომგონება // კომუნისტი. - 1931. - 2 ივლისი. - № 150. - გვ. 4.

მელია, გეგლარი – 1893 წელს ბათუმის

ქარხნის ნოქართაგანი, განვითარებული და მარქსის მოძღვრების გატაცებით მიმდევარი, რევოლუციონურ მუშაობას აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიულ წრეში და მუშებში. ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა წრემ პირველი არალეგალური კრება მოაწყო ქალაქ გარედ სოუქსეს გორაზე, რასაც 20-დე ამხანაგი დაესწრო და სოციალ-დემოკრატიული რეზოლუცია გამოიტანა.

გამოქვეყნებულია:

1. მელია, გეგლარი. ბათომი // კვალი. - 1902. - №47. - გვ. 751. - კორესპონდენცია.

წყარო:

1. რევოლუციის მატთანე. - 1925. - № 2 (12). - გვ. 87-88.

მელიქიშვილი, გრიგოლ (1805 – 1890) –

საზოგადო მოღვაწე, – XIX ს. პირველი ქართული სტამბის ერთი მესაძირკვლეთაგანი, მრავალი კულტურული საქმის თაოსანი და ორგანიზატორი, რომლის წინაპრები წინათ აჭარაში ცხოვრობდნენ. XVI საუკუნეში, ოსმალთა მიერ ქრისტიან ქართველთა დევნისა და ძალით გამუსლიმანების დროს, მელიქიშვილებმა კათოლიკობა მიიღეს და ახალციხეში გადმოსახლდნენ (რადგან კათოლიკეთა პაპთან შეთანხმების ძალით, ხონთქარი კათოლიკეებს არ სდევნიდა). თვით გრ. მელიქიშვილი მეუღლითურთ (ანა) XIX საუკუნის ორმოციან წლებში თბილისს გადმოესახლა და ბებუთაანთ (ახლ. ენგელსის 44) ქუჩაზე საკუთარი სახლი აიშენა (სადაც შემდეგში მისმა შვილმა – ქიმიკოს-მეცნიერმა პეტრემ – ქიმიური ლაბორატორიები მოაწყო).

გრ. მელიქიშვილი დიდი მამულიშვილი იყო, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების მოყვარ-

ული (რომლის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმ დროის მონინავე მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ბესარიონ და ნიკო ლოლობერიძე, გ. წერეთელი და სხვ.), რომელმაც XIX საუკუნის პირველი ქართული სტამბის დაარსებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო: სტამბის მესვეურთა ამხანაგობაში (დომ. ბაქრაძე, ნიკო ლოლობერიძე, ვახტანგ თულაშვილი და სტეფანე მელიქიშვილი) შეიტანა არა მხოლოდ თავისი შვილის, სტეფანეს, გადასახდელი წილი – პაი, – არამედ სტამბის დაარსებისათვის თანხის დანაკლისიც შეავსო, შვილი სტეფანე გაგზავნა ვენას სასტამბო ასოს ჩამოსასხმელად და სტამბის მოწყობილობის ჩამოსატანად.

მისი შვილები არიან, სტეფანეს გარდა: პეტრე, სოსიკო (იოსებ) და კეკე (ეკატერინე მესხისა) მელიქიშვილები, რომელთაც სამწერლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ისახელეს თავი.

წყარო:

1. [შალამბერიძე, მიხეილ]. მელიქიშვილი პეტრე (1873-1923). - საიუბილეო გამოც. - ტფ., 1923. - 31 გვ.; იგივე იხ.: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. - 1923. - ტ. 3;
2. ქართველი მეცნიერები: [კრებული ვ. პარკაძის რედაქციით]. - თბ.: საბლიტგამი, 1951 (სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბის სტ.). - გვ.: 118, 119, 121.

მელიქიშვილი, იოსებ [სოსიკო] გრიგოლის ძე (18.. – 19..) – მესტამბე-გამომცემელი და სცენისმოყვარე, – შვილი გრიგოლ მელიქიშვილისა, ძმა სტეფანე, პეტრე და კეკე მელიქიშვილთა, – XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობდა, როგორც სცენისმოყვარე. პირველად ქართულად წარმოდგენილ „პეპოში“ (1875 წლის 27 ნოემბერი) შეასრულა სამსონა.

გამომცემელია წიგნებისა:

1. ერისთავი, რაფიელ, ჭავჭავაძე, ილია. გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები / შეკრებილი რ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძისაგან; გამომცემელი ი. მელიქიშვილის და ე. ხელაძისაგან. - წ. 1. - თფ., 1873 (მელიქიშვილის და ამხ. სტ.). - კანი, 32 გვ.; 15სმ;
2. რჩეულოვი, გრიგოლ. თამარ ბატონიშვილი: ისტორიული რომანი / თხზულება გრიგოლ რჩეულოვისა. - ტფ., 1875 (ი. მელიქიშვილის და გ. ჩარკვიანის გამოცემა და სტ.). - 195 გვ.; 17 სმ;
3. სახალხო ლექსი არსენა / მესტვირეთაგან თქმული. - Типпис: გამოც. ი. მელიქიშვილისა და ნ. მესხისაგან, 1875 (Тип. Меликова и Ко.). - 13 გვ.: ილ.; 17 სმ;
4. წესდება მიხაილის აზნაურობის საადგილმამულო ბანკისა ქუთაისს. - თფ.: გამოც. ი. მელიქიშვილისაგან, 1876 (მელიქიშვილის და ამხ. სტ.). - 70 გვ.; 14სმ;
5. არდაზიანი, ლ[ავრენტი]. სოლომონ ისაკი მფჯღან-უაშვილი / რომანი ლ. არდაზიანისა. - თბ.: ი. მელიქიშვილის და გ. ჩარკვიანის გამოც., 1878 (მელიქიშვილის სტ.). - 164 გვ.; 17სმ;

6. ჯორჯაძე, მიხეილ. მოდით და ენდეთ ქალსა... / ვოდვეილი მ. ზ. ჯორჯაძისა. - თფ., 1879 (ს. მელიქიშვილის სტ.). - 43 გვ.; 17სმ.

გამოქვეყნებულია:

1. უფალო რედაქტორო! // დროება. - 1875. - 14 მარტი. - №31. - გვ.4;
2. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1893. - 29 აგვისტო. - №185. - გვ. 4; 1 ოქტომბერი. - №210. - გვ. 3; 1894. - 10 თებერვალი. - №31. - გვ. 3.

მის შესახებ:

1. ბიბლიოგრაფიული განცხადება: დაიბეჭდა და იხყიდება: გლეხური სიმღერები შეკრებილი ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისაგან // გუთინის-დედა. - 1873. - №14. - გვ. 8. - გამოც. ი. მელიქიშვილისა და ეფ. ხელაძისაგან. ფ. 5 კ.;
2. გლეხური სიმღერები ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძისაგან, ფ.5კ.: განცხადება // გუთინის-დედა. - 1874. - №3. - გვ. 8;
3. უმიკაშვილი, პეტრე. უფ. ი. მელიქიშვილის // დროება. - 1875. - 4 მაისი. - №50. - გვ. 2;
4. ქყონია, ილია. მცირე შენიშვნა // მწყემსი. - 1893. - №19. - გვ. 7-8.

წყარო:

1. ჭიჭინაძე, ზაქარია. ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები / აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძის მიერ. - თფილისი, 1904 [კანზე: 1905] (არ. ქუთათელაძის სტ.). - გვ. 79-80;
2. [შალამბერიძე, მიხეილ]. მელიქიშვილი პეტრე (1873-1923). - საიუბილეო გამოც. - ტფ., 1923. - გვ. 3; იგივე იხ.: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. - 1923. - ტ. 3;
3. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვ.; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 1.: 1852-1877. - თბ., 1940. - გვ. 250;
4. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / შმე რედ. გ. ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 522.

მელიქიშვილი [ქელიქოვი], ლევან ივანეს ძე (1818 – 1892)

– სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი. დაამთავრა თბილისის გიმნაზია (1835), სამსახური დაიწყო მთავარმართებლის კანცელარიაში. 1848 წელს დაინიშნა პირველი ქვეითი გრუზინსკის პოლკის კომანდირად, 1849 წელს ებოძა პოლკოვნიკობა და დანიშნეს სალეკო კორდონის მარცხენა მხრის უფროსად, 1858 წელს დანიშნეს მთელი საკორდონო ლინის უფროსად, 1859 წელს – სრულიად კასპის ზღვის პირას მყოფ ჯარების უფროსად, 1861 წელს – დაღესტნის გამგე-

ბლად, 1877 წელს ჩააქრო დალესტნის აჯანყება, 1880 წელს დაინიშნა მთავარ-მმართველის თანაშემწედ, 1882 წელს – სახელმწიფო საბჭოს წევრად.

მის შესახებ:

1. ბრძანება კავკასიის სამხედრო ოკრუგში 6 სექტემბერს 1866 წელს, ქუთაისს... // დროება. - 1866. - 23 სექტემბერი. - №30. - გვ. 1. - ხელს აწერს: „კავკასიის არმიის მთავარ-მმართველი, ლენინალ-ფელდცეიხ-მეისტერი მიხეილ“;
2. მელვინეთუცეისმივილი, დ. ლირს სახსოვარი // დროება: ყოველკვირეული გაზეთი. - 1869. - 3 აპრილი. - №14. - გვ. 1-2;
3. ყიფიანი, ნიკოლოზ (დ-ძე, ნ.). თ. დევან მელიქოვის საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოში // დროება. - 1872. - 25 იანვარი. - №3. - გვ. 3-4;
4. ახალი ამბები // დროება. - 1880. - 27 იანვარი. - №21. - გვ. 1-2;
5. ერთი ბგეთაგანი. თ. ლ. ი. მელიქოვი ბათუმში: (წერილი ბათუმელის ბეგისა) // დროება. - 1880. - 14 ნოემბერი. - №240. - გვ. 1-3;
6. ჭყონია, ალ. (ა. ჭ.). წერილი ქობულეთიდან // დროება. - 1880. - 29 ოქტომბერი. - №228. - გვ. 1-2. - გაგრძ. იხ.: 11 ნომბერი. - №237. - გვ. 1-2;
7. ჭყონია, მამუდ-ალა. ბატონო რედაქტორო! // დროება. - 1881. - 23 აპრილი. - №83. - გვ. 3;
8. ერისთავი, რაფ. ნ. ბარათაშვილის ხუთი ნაპოვნი ლექსი // დროება. - 1882. - 13 ივნისი. - №121. - გვ. 1;
9. რუსეთი // შრომა. - 1882. - 3 თებერვალი. - №5. - გვ. 3;
10. ბაგრატიონი-მუხრანის ბატონი ი.კ. სიტყვა თქმული ტფილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლის მიერ თ.ლ.ი. მელიქოვის იუბილეს დღეს // ივერია. - 1887. - 15 დეკემბერი. - №263. - გვ. 2-3;
11. დონდუკოვ-კორსაკოვი ი.მ. სიტყვა თქმული მთავარმმართველის მიერ თ.ლ.ი. მელიქოვის იუბილეს დღეს // ივერია. - 1887. - 13 დეკემბერი. - №262. - გვ. 2;
12. იუბილეთი გენერალ-ადიუტანტის თავად ლევან ივანეს ძის მელიქოვისა // ივერია. - 1887. - 11 დეკემბერი. - №260. - გვ. 2; მწყემსი. - 1887. - №26. - გვ. 12-13;
13. კვირას, 6 დეკემბერს თავად ლევან მელიქოვის 50 წლის იუბილეთი იდღესასწაულეს... // ივერია. - 1887. - 10 დეკემბერი. - №259. - გვ. 1;
14. პალლადი, საქართველოს ეგზარხოსი // ივერია. - 1887. - 12 დეკემბერი. - №261. - გვ. 2;
15. სარაჯიშვილი, ა. სხდომა საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიელ განყოფილებისა // ივერია. - 1887. - 22 დეკემბერი. - №269. - გვ. 2;
16. Пятидесятилетний юбилей служения в офицерских чинах члена Государственного совета, генерал-адъютанта, генерал от кавалерии князя Левана Ивановича Меликова. - Тифлис: тип. Канцелярии главноначальствующего гражд. ч. на Кавказе, 1887. - 27 с.; 23 см.;
17. ახალი ამბავი // ივერია. - 1888. - 7 თებერვალი. - №28. - გვ. 2-3; 1891. - 12 ნომბერი. - №241. - გვ. 1; 1892. - 25 თებერვალი. - №42. - გვ. 2; 26 თებერვალი.

- №43. - გვ. 1; 28 თებერვალი. - №44. - გვ. 1;
18. თ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი: [ნეკროლოგი] // ივერია. - 1892. - 23 თებერვალი. - №41. - გვ. 2;
19. კნინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა... // ივერია. - 1892. - 25 თებერვალი. - №42. - გვ. 1;
20. უფროსი „მწყემსი“-ს მიერ... // მწყემსი. - 1892. - №3-4. - გვ. 19-20;
21. უმიკაშვილი, პეტრე. ბარათაშვილის გვამის გადმოტანა და თ. ლევან მელიქიშვილის წერილი პოეტზე: [წერილი მინერლი გრიგოლ ორბელიანთან] // კვალი. - 1893. - №3. - გვ. 7-10;
22. Фрейман, Е.Н. Доклад общему собранию наследников генерал-адъютанта князя Левана Ивановича Меликова, главного управляющего их имениями / 1, 2. Описание имения Левановского. План организации его / Е.Н. фон-Фрейман. - Тифлис: тип. Груз. изд. т-ва, 1901. - 51 с.; 24 см.;
23. ფერაძე, ი. ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816-1845): ცხოვრების აღწერითი ცნობები. ნ. ბარათაშვილის ლექსები // განათლება. - 1912. - №9. - გვ. 661-668;
24. ჭიჭინაძე, ზაქარია (ზ. ჭ.). „ვეფხის ტყაოსნის“ ძველი დედნის აღმდგენი კომისიის დაარსება და „ვეფხის ტყაოსნის“ საუკეთესო დედნის აღდგენა 1885 წლებს // რუსთაველი. - 1918. - №2. - გვ. 6-8.

წყარო:

1. [ყიფიძე, ალექსანდრე] (ფრონელი ალ.). მოკლე ბიოგრაფიები: (კავკასიაში მოღვაწეთა) // საქართველოს კალენდარი, 1890 წ.. - თბ., 1889 (ე. ხელაძის სტ.). - გვ. 456.

მელიქიშვილი, ნიკოლოზ მიხაილის ძე (1869, 27/IV – 1937, 18/II) – ექიმი.

თბილისი ამოს ქ. № 7 (ყოფ. ქსენიევის).

გადაწერა და წარუდგინა ამხ. იოსებ იმედაშვილს გიორგი ცისკარიშვილმა, თანახმად ამხ. იმედაშვილის დავალებისა.

ავტობიოგრაფია

დავიბადე ქ. თბილისში 1869 წლის 27 მაისს (ძვ. სტილით) ქართველ თავადაზნაურის ოჯახში. საშუალო სკოლა მივიღე ქართულ გიმნაზიაში და დავამთავრე თბილისის კაცთა I გიმნაზია 1891 წელს. მაღალი საექიმო სწავლა მივიღე ჯერ ვარშავის უნივერსიტეტში 1891-1894 წლებში, რომელიც პოლიტიკური მიზნით იძულებული ვიყავი შემეჩერებინა და შემდეგ 1897-1900 წლებში დავამთავრე დორპატის (იურევის) უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი (რომლის ცნობა მოიპოვება ამ წლის საექიმო ცნობით). ჯერ კიდევ ვარშავის მეორე კურსის სტუდენტმა 1892 წელს ხოლერის ეპიდემიის დროს მე მივიღე მონაწილეობა ამ სენთან ბრძოლაში გორის მაზრაში სხვა მეზობელ რაზმებთან ერთად.

ჯერ კიდევ კურსის დამთავრებამდე 1898-1900 წლებში მე ვმუშაობდი სუბ-ასისტენტად სამედიცინო-გინეკოლოგიურ პროფ. მურატოვის და თერაპევტიულ პროფ. ვასილიევის კლინიკებში. კურსის

დამთავრების შემდეგ 1901-1902 წლის თებერვლამდე მე დავინიშნე ორდინატორად ქ. ბაქოში შავი ქალაქის ამბულატორია-საავადმყოფოში.

1902 წელს ქ. შემახაში მინისძერის დროს მე გავემგზავრე ამ ქალაქში სხვა დამხმარე რაზმებთან ერთად, სადაც აგრეთვე მძვინვარებდა პარტახტიანი ტიფი. აქ დავინიშნე ლაზარეთის ექიმ-გამგეთ და ქალაქის ექიმად. ქ. შემახაში ვმუშაობდი 1907 წლამდე. აქ ჩემი ინიციატივით და მეოხებით აშენდა მუდმივი საავადმყოფო 26 სანოლით, პირველი ამიერკავკასიაში რუსეთის სამაზრო ერობათა მზგავსად და ინახებოდა ქალაქის ერობის ხარჯზე (იხილე სენატორ კუზმინსკის რევიზია). ამავე დროს მე ვიყავი შამახის ციხის საავადმყოფოს მკურნავად და საქალაქო სასწავლებლის ექიმად. შემახაში ყოფნის დროს ორჯელ ვიყავი მივლინებული სამეცნიერო სამეცადინოთ რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში და სამზღვარ-გარედ ოთხ-ოთხი თვით: პირველად 1904 წელს იანვრიდან-აპრილამდე – ვმუშაობდი ქ. ვარშავაში პროფ. იასტრეხოვის სამედიცინო-გინეკოლოგიურ კლინიკაში და პრაგის საავადმყოფოში ექ. რაუმთან და რეუტთან. ქ. ბრესლავეში პროფ. კიურტნერის სამედიცინო-გინეკოლოგიურ კლინიკაში თვით პროფესორთან და პრივატ-დოცენტ დინსტთან; პროფ. მიკულიჩის ქირურგიულ კლინიკაში, ბერლინში მოკლე ხნით დავიარებოდი პროფ. ოლხაზუზენის კლინიკაში. მეორედ 1907 წელს თებერვლიდან ივნისამდე ჯერ ვმუშაობდი მოსკოვში პროფ. დიაკონოვის ქირურგიულ კლინიკაში, პროფ. იჟარისთან კლინიკაში, პროფ. ლევინის ხორცმეტა კლინიკაში პროფ. ზიკოვთან, ეკატერინეს ძველ საავადმყოფოში ქირურგიაში ექ. ხარიშოვთან, მეკცენთან, მინცთან და სხვებთან, ექ. მოდლინსკის კლინიკის სამკურნალოში. მოსკოვში კლინიკების დახურვის შემდეგ წაველ საზღვარ-გარედ, ვმუშაობდი პარიზის საავადმყოფოებში. ლარი ბოახერის კლინიკაში პროფ. ბერნიესთან, სან-ლუის კლინიკაში პროფ. რენიოსთან; დრო გამოშვებით დავიარებოდი პროფ. ტიუფესთან, ტერიოსთან და დოაენთან. გამოვლით ბერლინში დავიარებოდი პროფ. ზუმის, ოლსაუზენის და ბირის კლინიკებში.

1907 წელს მე დავანებე ქ. შემახაში სამსახურს თავი და გავემგზავრე შემოდგომაზე ქ. პეტერბურგში სამეცადინოთ მთელი წლის განმავლობაში. ორი სემესტრის განმავლობაში ვმუშაობდი პროფ. ოტტის საბებიო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში მის ხელმძღვანელობით; ამავე ინსტიტუტში ვიღებდი კერძო კურსს ოპერატიულ გინეკოლოგიაში პრივატ-დოცენტ იაკობსონთან, სამშობიარო ტეხნიკის კურსს პროფ. სტროგანოვთან და პროფ. სიცინსკისთან. აგრედვე ვესწრებოდი ქირურგიულ ოპერაციებს კლენერ ინსტიტუტში პროფ. ტელინგთან და ოპერატიულ-ქირურგიულ ოპერაციებზე პროფ. ცვიდნიერთან, პროფ. გრეკოვთან, უროლოგ პროფ. ილტოვოსთან გინეკოლოგიურ ვახტებში: 1908 წელს მე დავინიშნე შტატ-გარეშე ორდინატორად

ობუხის საავადმყოფოში გინეკოლოგიურ განყოფილებაში. 1908 წელს შემოდგომაზე მე დავბრუნდი ქ. თბილისში და დავაარსე სხვა თბილისელ ექიმებთან ერთად „თბილისის კერძო სამკურნალო“ 50 სტაციონალური სანოლით, რომლის გამგეთ მე ვითვლებოდი 1921 წლის ივნისამდე, როდესაც მოხდა ამ „სამკურნალოს“ ნაციონალიზაცია. ამ შენობაში გაიხსნა დროებით ფიზიო-თერაპევტიული პროფ. ლამბარაშვილის დირექტორობით ხორცმეტა განყოფილება, რომლის გამგეთ მე დავინიშნე. შემოდგომაზე ეს განყოფილება შემოკლებულ იქნა და გადატანილ მთავარ შენობაში ლენინის ქუჩაზე. „სამკურნალოს“ შენობაში თავისი ინვენტარით გაიხსნა ქ. თბილისის მეორე სამშობიარო სახლი, რომლის გამგეთ ჯანსაღკომის განკარგულებით მე ვიქმენ დანიშნული 1922 წლის მარტამდე, როდესაც დაიხურნენ ორივე სამშობიარო სახლები და „სამკურნალოს“ შენობაში გადმოვიდა თვალების სნეულებათა ინსტიტუტი, სადაც იმყოფება დღევანდლამდე.

1914-1919 წლებში მე ვმუშაობდი ქ. თბილისში კახეთის რკინის გზის საავადმყოფოში ქირურგიულ და გინეკოლოგიური განყოფილებების გამგეთ. ომინობის დროს 1915-1918 წლამდე მე ვიყავ ქალაქთა კავშირის თბილისის მე-26 ლაზარეთის 200 სანოლიან გამგეთ.

1919-1920 წლებში მე ვიყავი პირველ ასისტენტათ მიწვეული ახლათ გახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო კლინიკის და პროფ. თიკანაძესთან ერთად მოვანყეთ ეს კლინიკა.

1922 წლის შემოდგომაზე მე დავინიშნე I გამასწორებელი სახლის ცენტრალური საავადმყოფოს ქალების განყოფილების ორდინატორათ. აქედამ გადაველ წლის ბოლოს ქ. თბილისის I საავადმყოფოს გინეკოლოგიურ განყოფილების ორდინატორად. იმავე წელს მე გადაველ წლის ბოლოს კუკის სამკურნალოში და 1925 წლის იანვარში, როცა პროფ. ულიანოვსკიმ თავი დაანება ცენტრალურ პოლიკლინიკას, მე დავინიშნე ამ პოლიკლინიკაში გინეკოლოგათ, სადაც ვმსახურობ დღევანდლამდე, ე. ი. 1934 წლამდე. დისპანსერიზაციის შემდეგ მე ვითვლები მე X გაერთიანების რაიონის გინეკოლოგათ. 1926-1930 წლებში სადამოს საათებში მე ვმუშაობდი მე VII ამბულატორიაში გინეკოლოგათ.

1921, 1922, 1923, 1924, 1925, 1926, 1927, 1928 წლებში ზაფხულის თვეებში მე ვინიშნებოდი კურორტებ ბაკურიანის, კოჯრის, პატარა ცემის, წაღვერის და აბასთუმნის სანატორიუმების და პანსიონატის გამგეთ. 1930 წელს ზაფხულის თვეებში ვიყავი მიწვეული ქ. სიღნაღის საავადმყოფოს გინეკოლოგად.

ნ. მელიქიშვილი იყო კავკასიის და შემდეგში საქართველოს ექიმთა საზოგადოების წევრი, სადაც შესწირა 2000 მან. და აირჩიეს საპატიო

წევრად. იყო, აგრეთვე, საქველმოქმედო და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებათა წევრიც: საქველმოქმედო დახმარებას უწევდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ლარიბ მონაფეთა დასახმარებლად და, აგრეთვე, იქვე არსებულ ლარიბ მონაფეთა სასაფლაოს. ეხმარებოდა ცალკეულ ლარიბ მოსახლეობას მუქთა საექიმო დახმარებით და ფულადი სახსრებით: როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პროფ. პეტრე მელიქიშვილთან და სხვებთან ერთად ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების და მისი დაზუსტების საქმეში.

1934 წელს ავად გახდა სიღამბლით, მეტი აღარ უმუშავნია და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თბილისში, 1937 წლის 18 თებერვალს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

ვარშავაში სტუდენტობისას იყო დაპატიმრებული და გადაყვანილი ოდესაში, ქუთაისში და გაანთავისუფლეს. რევოლუციის მუზეუმში არის ჯგუფური სურათი, მათ შორის ნ. მელიქიშვილი. მხოლოდ ნება არ ჰქონდა, 3 წლის განმავლობაში შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში. ამ ხნის განმავლობაში სცხოვრობდა სოფლად სადახლოში.

(ცნობა მიანოდა 1 ნოემბერს, 1941 წ.).

მის შესახებ:

1. ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი // დროება. - 1908. - 6-7, 9-14, 16-20 დეკემბერი. - №16-28. - გვ. 1. - განცხადებები; აგრეთვე, იხ. ამავე გაზეთის: 1909. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 1; №2 და მომდევნო ნომრებში;
2. გაიხსნა ახალი თფილისის კერძო სამკურნალო (ამბულატორია): [განცხადება] // ახალი დროება. - 1909. - 24 აპრილი. - №4. - გვ. 4;
3. გაიხსნა თბილისის კერძო სამკურნალო // ჩანგი. - 1909. - 27 ივნისი. - №6. - გვ. 1;
4. ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი // ივერია. - 1909. - 5 იანვარი. - №1. - გვ. 1; 2 თებერვალი. - №5. - გვ. 1;
5. 8 დეკემბერს გაიხსნა ახალი ტფ. კერძო სამკურნალო (ამბულატორია)...: [განცხადება] // დროება. - 1909. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 1. - იგივე განცხადება იხ. მე-2 და მომდევნო ნომრებში;
6. ვაგ ზლის კერძო სამკურნალო // ახალი სხივი. - 1910. - 4 თებერვალი. - №1. - გვ. 1. - იგივე იხ.: „ახალი სხივი“, №2, გვ. 4; №3, გვ. 1; №5, გვ. 1.;
ა. მერკვილაძეს ღრმად სწამდა, რომ ხალხის პოლიტიკურ-რევოლუციური ბრძოლის მესვეურებისთვის ცოდნა საჭირო და თვითონაც თვითგანვითარებისათვის მოძრავი ზიბლითეკა ჰქონდა (К. Маркс: 1. „Капитал“; 2. „Классовая борьба во Франции“; Г. Плеханов – „Наши разногласия“; В. Ленин – „Доклад Об'ед. съезда социал-демократов“; Ф. Энгельс – „Крестьянский вопрос во Франции и в Германии“; К. Каутский – „Социальный переворот“; Шлихтер – „Государственная Дума“ და სხვ.).

ცნობილი იყო, როგორც რაინდი, მამაცი, გულადი, შეუდრეკელი, მტკიცე მებრძოლი, მცოდნე და ნიჭიერი, უანგარო რევოლუციონერი, ხალხის კეთილდღეობისათვის შეწირული (არ სვამდა, არ ენეოდა, საპირალოს არას ეძებდა).

ა. მერკვილაძისა და მის რაზმელთა სამოსამართლო საქმე რამდენიმე ტომისგან შესდგა. ა. მერკვილაძეს და მის თანამებრძოლთ ბრალი დაედო იმაში, რომ ისინი მოითხოვდნენ მეფის ჩამოგდებას, თვითმპყრობელობის დამხობასა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას (სადაც ყველა თანასწორი უნდა ყოფილიყო), გადასახადებისა და სამხედრო ბეგარის (ჯარში სამსახურის) მოსპობას, მემამულეთა მიწების ჩამორთმევას (მხოლოდ იმდენის დატოვებას, რამდენის დამუშავებასაც საკუთარი ხელით შესძლებდნენ)... აგრეთვე

ისა, რომ ყველა პარტიისგან დამოუკიდებლად საკუთარი პარტიით მოქმედი, დევნილთა და ტანჯულთათვის დახმარებას მოითხოვდა, საქმით და არა მხოლოდ ენით: „საქმეა, საქმე საქმით, თორემ ძროხის ენა ექვსი შაური ღირს... ყველამ ყურიდან ბამბა გამოიღოს, მტერ-მოყვარე იცნოს, – მოყვარეს პატივი, მტერს კი დიდი კეტი, კეტი თავშიო“; სამღვდლოებასა და მეფის მთავრობის მომხრეებს ბოიკოტი გამოუცხადეს, მთავრობის დანესებულე-ბანი უარყვეს, შექმნეს საკუთარი მართვა-გამგეობა, „მებრძოლი გუნდები“ ანუ „წითელი რაზმები“ (რომელთა მიზანი იყო ჯარის, პოლიციის და მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგ ბრძოლა), შექმნეს „ცენტრალური ბიურო“, რომელთანაც მოეწყო თოფხანა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა ქარხნები და სხვ. საქმე განიხილა სამხედრო სასამართლომ ქუთაისში, 1911 წლის სექტემბრის დამლევადან ოქტომბრის 31-მდე, დახურულ კარებში. პასუხისგებაში მიცემულთაგან ჩამოახრჩვეს: პორ. პაიჭაძე, ტრ. არაბიძე, ნიკ. (კოლია) ლორთქიფანიძე, ალ. სვანიძე, ისმაილ და სერ. ჭუმბურიძენი.

ა. მერკვილადის რაზმელებმა მანაც შეასრულეს თავისი ბელადის ანდერძი: გამცემელი მღვდელი შეიპყრეს, იმ ადგილას მიიყვანეს, საცა ა. მერკვილადე მოკლეს და გული გაუგმირეს, ხოლო შემდეგ – რევოლუციონერთ მეფის მთავრობა დაამხეს.

გამოქვეყნებულია:

1. გამოცანები: (შეკრებილი არგვეთში აფრ. მერკვილადის მიერ) // აკაკის კრებული. - 1899. - №2. - განყ. II. - გვ. 45-48. - გაგრძ. იხ.: №10. - განყ. II. - გვ. 37-39;
2. სოფ. ქალა-ტყე: (ნარმოდგენილი ა. მერკვილადის მიერ) // აკაკის კრებული. - 1899. - №10, განყ. II. - გვ. 1-23;
3. ხალხური ლექსები: (შეკრებილი სოფ. არგვეთში აფრას. მერკვილადისაგან) // აკაკის კრებული. - 1899. - №10. - განყ. II. - გვ. 24-36;
4. აღდგომა სოფელში: [იმერეთში] // მოგზაური. - 1901. - №6-7. - გვ. 703-710; №8-9. - გვ. 838-844;
5. საშობაოდ // მოგზაური. - 1901. - №12. - გვ. 1178-1184;
6. ჯვარცმა: [სოფ. ქალატყეში] // მოგზაური. - 1901. - №11. - გვ. 1022-1028;
7. სატირალი ანუ გასვენება // მოგზაური. - 1902. - №1. - გვ. 38-44; №2. - გვ. 142-145;
8. შემოლოცვა // მოგზაური. - 1902. - №7-8. - გვ. 487-493;
9. პასუხად ვარდენ გვენცაძეს: [სამედიატორო სამართალში გამონვევის შესახებ] // გრიგალი. - 1906. - 13 სექტემბერი. - №4. - გვ. 4;
10. ღია წერილი ამხანაგების საყურადღებოდ!: [რაზმის დაშლა და ყვირილას რაიონიდან წასვლა] // გრიგალი. - 1906. - 21 სექტემბერი. - №10. - გვ. 4.

მის შესახებ:

1. აფრასიონ მერკვილადე: [ცნობა მისი მკვლელობის შესახებ] // შრომა. - 1906. - 11 აპრილი. - №6. - გვ. 2;
2. ახალი ამბავი: [...დეგუმა აფრასიონ მერკვილადის მკვლელობის შესახებ. ამ ცნობის უარყოფა

- №3036. - გვ. 2.] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 21 მარტი. - №3032. - გვ. 2;
3. ახალი ამბავი: [ვლ. სტაროსელსკის და ალ. ყიფშიძის საქმის გამოძიება. დეგუმა აფრასიონ მერკვილადის მკვლელობის შესახებ. გაზეთის გამყიდველ ნიკო ბუხურაშვილის დაპატიმრება] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 21 მარტი. - №3032. - გვ. 2. - ა. მერკვილადის მოკვლის უარყოფა იხ. ცნფ. - 1906. 25 მარტი. - №3036. - გვ. 2;
4. ახალი ამბავი: [ბოქაულ მახარადის თავდასხმა სოფ. სვირის მცხოვრებ მალაღურიძის ოჯახზე. აფრასიონ მერკვილადის და მისი რაზმის დასაჭერად] // ჩვენი ცხოვრება. - 1906. - 6 სექტემბერი. - №14. - გვ. 2;
5. გვენცაძე, ვარდენ. - ა) აფრასიონ მერკვილადის პასუხის გამო // გრიგალი. - 1906. - 20 სექტემბერი. - №9. - გვ. 4; ბ) ღია წერილი აფრასიონ მერკვილადეს: [კამათი მისი უტაქტო მოქმედების გამო; ინვეს სამედიატორო სამართალში] // ჩვენი ცხოვრება. - 1906. - 2 სექტემბერი. - №11. - გვ. 4;
6. „გრიგალის“ ფოსტა. ალ. მხეიძეს: [რედაქციის უარი მისი წერილის დაბეჭდვაზე, რადგანაც დაუსაბუთებლად ბრალს სდებს აფრასიონ მერკვილადეს] // გრიგალი. - 1906. - 13 სექტემბერი. - №4. - გვ. 4;
7. დასავლეთ საქართველოში: [დამსჯელი ჯარის მიერ მოსახლეობის დარბევა ზესტაფონში. ნიკ. ჩიკვაიძის დაპატიმრება ქუთაისში და მისი მამის, კალ. ჩიკვაიძის ბინის გაჩხრეკა. ჯარის გაგზავნა რაჭისა და ლეჩხუმისაკენ. სოფ. საქარაში აფრასიონ მერკვილადის სახლის გადაწვა. მისი მეთაურობით წითელი რაზმის მოქმედება. სოფ. საზანოში იაგორ მდივნის ოჯახზე თავდასხმა] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 5 თებერვალი. - №2966. - გვ. 1-2;
8. დასავლეთ საქართველოში - ზემო იმერეთი: [ჯარის მიერ მოსახლეობის აწიოკება ჭიათურაში, სოფ. კაცხსა და სხვა სოფლებში. აფრასიონ მერკვილადის დევნა ბოქაულ მახარადის მიერ. ქუთაისის საპყრობილეში პატიმარ რეზნიკოვის მიერ შიმშილობის გამოცხადება. აქვე პატიმრები - ექიმი დონდაროვი და მასწავლებელი ი. ნიკოლაიშვილი] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 19 მარტი. - №3031. - გვ. 1-2;
9. დასელი. ს. სვირი: [აფრასიონ მერკვილადის ძებნაში მის. მოლაღურიძის ოჯახის ამოუღებელი ბოქაულ მახარადის მიერ] // გრიგალი. - 1906. - 9 სექტემბერი. - №1. - გვ. 3-4;
10. ზესტაფონი: [აფრ. მერკვილადის შესაპყრობად ჩხარის, სკანდესა და სხვა სოფლების აოხრება მახარადის მეთაურობით გაგზავნილი ჯარის მიერ] // შრომა. - 1906. - 13 აგვისტო. - №106. - გვ. 3;
11. ზესტაფონი: [აფრ. მერკვილადის ძებნის გამო, სოფლად ჩაყენებული ჯარისაგან ხალხის შეწუხება] // შრომა. - 1906. - 10 აგვისტო. - №103. - გვ. 3;
12. ზესტაფონი: [ბოქაულ ლ. ბ. მახარადის მიერ სოფლების აოხრება აფრასიონ მერკვილადის შეპყრობის მიზნით] // შრომა. - 1906. - 4 აგვისტო. - №98. - გვ. 3-4;
13. ზესტაფონი: [სოფელ სკანდესა და მუჯირეთში ბოქაულ ლ. ბ. მახარადის მიერ ხალხის აწიოკება აფ.

- მერკვილაძის გამო] // შრომა. - 1906. - 9 აგვისტო. - №102. - გვ. 3;
14. კასიო. სოფელი ბალდადი: [კაზაკების მიერ ბალდადის, როხის, ფერსათის და დიმის მცხოვრებთა აკლუბა. სოფ. კიკნაველეთის ანიოკება აფრასიონ მერკვილაძის გამო] // განთიადი. - 1906. - 8 მარტი. - №3. - გვ. 3;
 15. მკვლელი და ცარცვა-გლეჯა // მინა. - 1906. - №4. - გვ. 10;
 16. მოგზაური. ქუთაისი: [მდგომარეობა ქალაქსა და სოფლად. შორაპნის მაზრაში, აფრასიონ მერკვილაძის რაზმის ძეგლის დროს სოფლების განადგურება. მძიმე მდგომარეობა ბალდადის მხარეს] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 17 მარტი. - №3029. - გვ. 2;
 17. სალი. სვირი: [აფრასიონ მერკვილაძის შეპყრობის ცდა. ხალხის ანიოკება] // შრომა. - 1906. - 9 აპრილი. - №5. - გვ. 2-3;
 18. სოფელი სვირი (იმერეთი): [ბოქაულ მახარაძის ჩამოსვლა დამსჯელი რაზმით აფ. მერკვილაძის ძეგლის მიზეზით; მოლაღურიძის ოჯახის წევრების და ეჭვმიტანილი ბერიძის მოკვლა, რის გამოც ბოქაული დააჯილდოეს] // მეგობარი. - 1906. - 24 სექტემბერი. - გვ. 1;
 19. ს. სვირი // მინა. - 1906. - №2. - გვ. 11-12;
 20. [ქავთარაძე, ქახოსრო] (ქაქუჩელა). იმერეთში // ივერია. - 1906. - №6. - გვ. 6-10;
 21. ქუთაისის ამბები: [პოლიციისა და ჯარის ამოძრავება ქუჩებში ჯაშუშ კვიძასის მკვლელობის გამო. ამავდროს, აფრასიონ მერკვილაძის ძეგნი] // შრომა. - 1906. - 11 ივნისი. - №55. - გვ. 3;
 22. ცნობილ მერკვილაძის შესახებ: [აფრასიონ მერკვილაძე თავისი რაზმით შორაპნის მახლობლად] // პატარა გაზეთი. - 1906. - №22. - გვ. 2;
 23. ქუთაისის ამბები: [ქალაქის გამგეობის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. ზესტაფონის სადგურზე კ. სულაქველიძის დაპატიმრება. რაჭაში ნოტარიუსის დანიშვნის საკითხი. ცეცხლის მქრობელი რაზმი ქალაქში. შეტაკება აფ. მერკვილაძესთან სოფ. სკანდელი] // შრომა. - 1906. - 6 აგვისტო. - №100. - გვ. 2;
 24. ქუთაისის ამბები: [შორაპნის მაზრის ადმინისტრაციის მიერ აფრასიონ მერკვილაძის დეგნის სახელით სოფლების დარბევა. მემამულეთა და გლეხთა უთანხმოების გამო კაზაკების გაგზავნა ბანძასა და რიონისაკენ. ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების სხდომა] // შრომა. - 1906. - 20 აპრილი. - №14. - გვ. 2;
 25. ყვირილა // ნობათი. - 1906. - №2. - გვ. 32;
 26. ყვირილის რაიონიდან: [ყაჩაღთა თავდასხმები პარტიისა და აფრასიონ მერკვილაძის სახელით] // გრიგალი. - 1906. - 17 სექტემბერი. - №7. - გვ. 2-3;
 27. [ყიფიანი, სვ.] (სვ. ყ-ნი). ცეცხლითა და მახვილითა // ივერია. - 1906. - №7. - გვ. 9-13; №8. - გვ. 6-8; №9. - გვ. 6-8; №10. - გვ. 7-9; №11. - გვ. 3-5; №12. - გვ. 3-4;
 28. აფრასიონ მერკვილაძის მოკვლა: (საკუთარ კორესპონდენტისაგან) // ისარი. - 1907. - 23 თებერვალი. - №41. - გვ. 3-4;
 29. ზესტაფონი // მინა. - 1907. - №7. - გვ. 14;

30. მგზავრი. ზესტაფონი // ისარი. - 1907. - 30 მაისი. - №116. - გვ. 4;
31. მეთვალყურე. დ. ყვირილა // ისარი. - 1907. - 17 იანვარი. - №10. - გვ. 2; 14 მარტი. - №56. - გვ. 4;
32. როგორც გავიგეთ... // წინ. - 1907. - 1 მარტი. - №14. - გვ. 3;
33. როგორც დღევანდელი დეპეშები... // წინ. - 1907. - 23 თებერვალი. - №9. - გვ. 2;
34. სოფ. ჩხარიდან // წინ. - 1907. - 4 მარტი. - №16. - გვ. 3;
35. ფ. ჭიათურა // ისარი. - 1907. - 4 მარტი. - №48. - გვ. 4;
36. ყვირილა // გრდემლი. - 1907. - №1. - გვ. 3;
37. ყვირილა // ისარი. - 1907. - 22 თებერვალი. - №40. - გვ. 3;
38. ნერეთელი, ვასილ (ურო). ჩემი კვირეული // გრდემლი. - 1907. - №1. - გვ. 1-2;
39. აფრასიონ მერკვილაძე: [ლექსი]: შოთას სახ. კულტ-ლაშქრობა // კოლექტივიზაცია. - 1934. - №218.
40. აფრასიონ მერკვილაძე: ხალხური ლექსი გაგონილი და ჩანერილი სოფ. საქარაში (ზესტაფონის რაიონი) დ. გენაძის მიერ // ლიტერატურული გაზეთი. - 1934. - №30.

წყარო:

1. 1917 წლამდე დაღუპულ რევოლუციონერთა ხსოვნას / სსსრ. საქ. კომპარტიის და რევოლუციის კომისია. - ტფ.: ჟურნ. რევოლუციის მატინანეს გამოც., 1923 (ზარია ვოსტოკას სტ.). - გვ. 83;
2. Четверть века борьбы за социализм: Хрестоматия по истории РКП / Закавказья. краев. ком. РКП(б). - Тифлис: Закавказьяком РКП(б), 1923. - Стр. 214;
3. ულენტი, თენგიზ. რევოლუციონური მოძრაობა შორაპნის მაზრაში (1905 წ.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ.: 3, 25-26, 35-40, 52-53;
4. რევოლუციის მატინანე. - 1928. - № 1. - გვ. 6; № 3. - გვ. 87;
5. ლესდანიელი. აფრასიონ მერკვილაძე: [მოგონება] // მუშა. - 1929. - 21 მაისი. - № 113;
6. ჭიოკიძე, პ. გმირთა სოფელი // კომუნისტი. - 1945. - 26 სექტემბერი. - № 191.

მერკვილაძე, ბარნაბ – რევოლუციონერი, აფრ. მერკვილაძის ერთი მონინავე რაზმელთაგანი 1905-1906 წლებში, სოციალ-დემოკრატი, ზემო იმერეთიდან, – შორაპნის მაზ. სოფ. საქარაიდან. ერთხანს ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში არალეგალურად მუშაობდა, რეაქციის დროს რამდენჯერმე გადასახლეს ციმბირს, გადასახლების შემდეგ მუდამ იპარებოდა და არალეგალურად მუშაობდა საქართველოსა და აკ ქალაქებში სარევოლუციო ასპარეზზე. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ შორაპნის მაზრის თემსაბჭოების ინსტრუქტორი.

წყარო:

1. ზოტიკე ჩიქვილაძის ნაამბობიდან.

მერკვილაძე, იოსებ [სოსიკო] ნიკოლოზის ძე (1852, 17/IV – 1934, 25/VI) – ზეპირსიტყვიანობის შემკრები და გამომცემელი, – იმერეთიდან (დაიბადა სოფ. ჭალატყეს, გლეხის ოჯახში), თვითგანვითარებული. 1878 წლიდან ს. მესხის „დროებაში“ ათავსებდა კორესპონდენციებს, შემდეგ – „ივერიასა“ და „კვალში“ (საკუთარი სახელის მიწერით, აგრეთვე, მეთვალყურეს, მოქალაქეს, გარსოსიკოსძეს ფსევდონიმები), ბოლო ხანებში – „აკაკის კრებულში“. აქ ათავსებდა, უმთავრესად, ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, ანდაზებსა და სხვ. მის მიერ შესრულებული და ცალკე გამოცემულია: 1) ხალხური ანდაზები და გამოცანები (ტფ., 1898), 2) ზღაპარი „ოქრუა“ (ქუთ., 1902), 3) ზღაპრები – „ორი ქოსატყუილა“, „ბიჭია მენახირე“ და „მეფე და სკვინჩა“ (ქუთ., 1902), 4) „აბრამის და იობის ლექსი“ (თბ., 1903), 5) „რაჭა (გზა და გზა“ (ტფ., 1904), 6) „ხალხური ვეფხვის-ტყაოსანი“ (თბ., 1905). 1929 წელს საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებას (ვ. ბერიძეს) წარუდგინა ორი ტომი: „ხალხური ანდაზები“ და „ხალხური გამოცანები“ (ანბანთა რიგზე დალაგებული).

ცხრაასიან წლებში თბილისში წიგნთსავაჭრო გახსნა „ცოდნას“ ფორმით, ლოზუნგით „ეროვნება და თანასწორობა“, გამოსცა დაახლოებით ასამდე სხვადასხვა შინაარსის წიგნი, პოლიტიკური თუ სხვა შინაარსის ნაწარმოებები და სახელმძღვანელონი, მისი პ/მ რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „ცოდნა“, „სავაჭრო გზა“ და „ЗНАНИЕ“. გაზ. „ЗНАНИЕ“-ს რედაქტორობისთვის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ციხეშიც იჯდა. ამ გაზეთებს ხელმძღვანელობდნენ: რუსულს – ალ. ჩერქეზიშვილი, პ. გოთუა; ქართულს – პ. გოთუა, თვითონ, სოფ. მაგალობლიშვილი და სხვ. ერთხანს, მის ოჯახში იმართებოდა ახალგაზრდობის კრებები თვითგანვითარებისა და ლიტერატურის შესწავლის მიზნით, სადაც ხშირად აკაკიც ესწრებოდა. 1905 წელს ახლო მონაწილეობას იღებდა რევოლუციონერ გამოსვლებში ნითელი დროებით.

ცალკე გამოცემულია:

1. ხალხური აბრამის და იობის ლექსი / შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან. - თბ., 1898 (მ. შარაძისა და ამხ. სტ.). - 16 გვ.; 12სმ. - (წიგნი მე-2); **მეორე** გამოცემა. - ტფ.: ს. მერკვილაძის გამოცემა № 11, 1903 (ა. ქუთათელაძის სტ.). - 16 გვ.; 15სმ.
2. ხალხური ანდაზები და გამოცანები / შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან. - ტფ., 1898 (მ. შარაძის და ამხ. სტ.). - თავფურც., 66 გვ.; 17სმ.
3. რაჭა (გზა და გზა) / სოსიკო მერკვილაძისა. - ტფ.: წიგნის მალაზია „ცოდნა“-ს გამოცემა № 18, 1904 (თავართელაძის სტ.). - 72 გვ.; 17სმ. - დანართი: წიგნის მალაზია „ცოდნა“-ში გასაყიდი წიგნების სია, გვ.: 71-72;
4. ხალხური ვეფხვის-ტყაოსანი / შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან. - თბ.: წიგნის მალაზია „ცოდნა“-ს გამოც. № 25, 1905 (მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა). - 32 გვ.; 17სმ.;

5. სახალხო კალენდარი „ცოდნა“ 1906წ. მართლმადიდებელთა, ქართველ კათოლიკეთა და ქართველ გრიგორიანთათვის / შედგენილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძის მიერ. - ტფ., 1906 (ა. ქუთათელაძის სტ.). - 64 გვ.; 15სმ. - (წიგნის მალაზია „ცოდნას“ საკუთრება).

წინასიტყვიანობის ავტორია:

1. **წერეთელი, ა.** აკაკის რჩეული ლექსები: მისი ცხოვრების მოკლე აღწერით / [წინასიტყვიანობა ავტ.: სოსიკო მერკვილაძე]. - ტფილისი: ტფ. წერ. ვაჭართა საზოგადოების გამოცემა ხალხში უფასოდ დასარიგებლად, 1908 (მსწრაფლ-მბეჭდავი „ძობისა“). - 32 გვ.; 14 სმ.

გამომცემელია წიგნებისა:

1. გობეჩია, მ. (საზღვარ-გარეთელი). კიტა აბაშიძე და მისი ფარ-ხმალი / საზღვარ-გარეთელია. - ტფ.: სოსიკო მერკვილაძის გამოც. № 4, 1899 (ე.ი. ხელაძის სტ.). - 32 გვ.; 18სმ.;
2. **წერეთელი, აკაკი.** – ა) სულიკო და სხვა რჩეული სასიმღერო ლექსები აკაკისა. - თბ.: გამოცემა სოსიკო მერკვილაძისა №3, 1899 (ე. ი. ხელაძის სტ.). - 64 გვ.; 14სმ.; ბ) თამარ მეფე / აკაკისა. - ტფ.: გამოცემული სოსიკო მერკვილაძის მიერ, 1903 (სტ. ა. ქუთათელაძის მიერ). - 16 გვ.; 15სმ.; გ) სიმღერა: [ლექსები] / აკაკისა. - თბ.: გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან № 7, 1903 (ა. ქუთათელაძის სტ.). - 94, [2] გვ.; 14სმ.;
3. პართენაშვილი, ი. ივანეს ოჯახის თავგადასავალი: მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან / პართენაშვილისა [ირემიშვილი იოსებ]. - ყვირილა: გამოცემული სოსიკო იმერლიშვილისაგან №1, 1901 (მ. გაჩეჩილაძის სტ.). - 32 გვ.; 15სმ. - თავფურცელზე: „უძღვნი...პატივცემულ რაფიელ ერისთავის ხსოვნას“;
4. პატარა ჩონგური: [ლექსების კრებული]. - ტფ.: გამოცემული სოსიკო მერკვილაძის მიერ, №10, 1903 (არ. ქუთათელაძის სტ.). - 16 გვ.; 14სმ. - შინაარსი თავფურცელზე.

გამოქვეყნებულია:

1. ადიდებულა ტანაო, თან მღვრიე მოიტანაო: ხალხური ლექსი / (შეკრება სოსიკომ) // ნობათი. - 1885. - №3-4-5. - გვ. 188;
2. ბიჭია მენახირე: (ხალხური ზღაპარი) ზემო იმერეთში გაგონილი სოსიკოსაგან [ი. მერკვილაძე] // ნობათი. - 1885. - №3-4-5. - გვ. 161-164;
3. ორი ქოსა-ტყუილა: (ხალხური ზღაპარი) [ჩანერილი ი. მერკვილაძის (სოსიკო) მიერ] // ნობათი. - 1885. - №2. - გვ. 87-90;
4. ხალხური ლექსები: (ქართლში შეკრებილი სოსიკოსაგან) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1885. - №19. - გვ. 184;
5. ხალხური ლექსები: შეკრებილი ქართლ-იმერეთში სოსიკოსაგან [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1885. - №3. - გვ. 31; №5. - გვ. 50;
6. სახალხო ლექსები: (ზემო იმერეთში შეკრებილი სოსიკოსაგან) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №15. - გვ. 158-159;

7. სახალხო ლექსები ზემო იმერეთში შეკრებილი სოსიკოსაგან: [ი. მერკვილაძისაგან] // თეატრი. - 1886. - №8. - გვ. 82-83;
8. სახალხო ლექსები: (იმერეთში შეკრებილი სოსიკოსაგან) [მერკვილაძე ი.] // თეატრი. - 1886. - №21. - გვ. 223;
9. სახალხო ლექსები: (შეკრებილი სოსიკოსაგან იმერეთში) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №23. - გვ. 239;
10. ხალხური გამოცანები: (შეკრებილი სოსიკოსაგან) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №27. - გვ. 291-292;
11. ხალხური პოეზია: [ლექსები] 1. (შეკრებილი რ. მირზაანელისაგან); 2. (შეკრებილი გიორგისაგან); 3. (შეკრებილი სოსიკოსაგან) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №34. - გვ. 404;
12. ხალხური პოეზია: [ლექსები] I. (შეკრებილი რ. მირზაანელისაგან); II. (შეკრებილი პლატონ ჩინჩალაძისაგან); III. (შეკრებილი სოსიკოსაგან) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №31. - გვ. 354;
13. ხალხური პოეზია: [ლექსები] (შეკრებილი სოსიკოსაგან) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №27. - გვ. 291;
14. ხალხური პოეზია: [ლექსები] (შეკრებილი სოსიკოსაგან იმერეთში) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №29. - გვ. 319;
15. ხალხური პოეზია: [ლექსები] შეკრებილი ქართლში სოსიკოსაგან [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №25. - გვ. 255-256;
16. ხალხური პოეზია: I. (შეკრებილი ლ. დოლოჯობისაგან); II. (შეკრებილი სოსიკოსაგან) [ი. მერკვილაძე] // თეატრი. - 1886. - №36. - გვ. 421;
17. მონყალო ხელმწიფეო ქ-ნო რედაქტორო! // კვალი. - 1895. - №22. - გვ. 15;
18. საქველმოქმედო საქმე // კვალი. - 1896. - №3. - გვ. 47;
19. ზღაპრად ხალხური „ვეფხვის-ტყაოსანი“: (თქმული გლეხის ჯოგოლა არაბელისაგან სოფ. ჩირდილში, თიანეთის მაზრაში და ჩანერილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1897. - №3. - განყ. III. - გვ. 35-55;
20. მუშური ლექსები: (შეკრებილი და სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1897. - №4. - განყ. III. - გვ. 33-48;
21. სატრფიალო ლექსები: (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1897. - №4. - განყ. III. - გვ. 1-16;
22. აბრამის ლექსი: (ჩანერილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №12. - განყ. III. - გვ. 29-34;
23. ათასი კაცით რეჯება...: [და სხვა ხალხური ლექსები]. (გრიგოლ მერკვილაძის ნამბობი ს. ჭალატყეს (შორაპნის მაზრა) და ჩანერილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №7. - განყ. III. - გვ. 23-34;
24. ანდაზები: (სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №9. - განყ. III. - გვ. 1-30; №12. - განყ. II. - გვ. 155-156; 1900. - №1. - განყ. II. - გვ. 144-145;
25. ას თორმეტი წლის მოხუცი: (ჩანერილი სოსიკო მერკვილაძისაგან). [ამბავი] // აკაკის კრებული. - 1898. - №12. - განყ. III. - გვ. 60-61;
26. გამოცანები: (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №10. - განყ. III. - გვ. 1-34; 1900. - №1. - განყ. II. - გვ. 146;
27. იობის ლექსი: (ჩანერილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №12. - განყ. III. - გვ. 34-37;
28. ოქრუა: (ზღაპარი, ჩანერილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №12. - განყ. III. - გვ. 17-26;
29. ცივების ლექსი: (ცივებისა და ქალის ბასი). [სოსიკო მერკვილაძისაგან ჩანერილი] // აკაკის კრებული. - 1898. - №12. - განყ. III. - გვ. 1-4;
30. ნერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1898. - 20 მაისი. - №104. - გვ. 4;
31. ხალხური ანდაზები და გამოცანები, შეკრებილი და გადმოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან, ტფ. 1898 წ. 66 გვ. ფ. 10 კ.: [რეცენზია] // მოამბე. - 1898. - №8. - განყ. II. - გვ. 75-76;
32. ხალხური ლექსები: (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან) // აკაკის კრებული. - 1898. - №5. - განყ. III. - გვ. 7-16; N№6. - განყ. III. - გვ. 38; №7. - განყ. III. - გვ. 13-20; №12. - განყ. III. - გვ. 27-28; 1899. - №8. - განყ. II. - გვ. 33-37; №12. - განყ. I. - გვ. 152-154; 1900. - №1. - განყ. II. - გვ. 143;
33. ზმა: (ჩანერილი სოსიკო მერკვილაძი მიერ) // აკაკის კრებული. - 1899. - №12. - განყ. II. - გვ. 156;
34. ნათლის-მცემელი და გლახაკი: (ლეგენდა. სოფ. არგვეთში ჩანერილი ს. მერკვილაძის მიერ). [ლექსი] // აკაკის კრებული. - 1899. - №2. - განყ. III. - გვ. 43-44;
35. შუამთა // ივერია. - 1900. - 29 ივნისი. - №139. - გვ. 1-2;
36. ას ოცდა-ხუთის წლის მოხუცი // ივერია. - 1901. - 22 მარტი. - №65. - გვ. 2-3;
37. ნერილი რაჭიდგან: (გზა და გზა) // ივერია. - 1902. - 24 სექტემბერი. - №203. - გვ. 2-3; 29 სექტემბერი. - №207. - გვ. 2-3; 5 ოქტომბერი. - №211. - გვ. 2-3; 11 ოქტომბერი. - №216. - გვ. 2-3; 16 ოქტომბერი. - №220. - გვ. 2-3; 25 ოქტომბერი. - №227. - გვ. 2-3;
38. ნერილი რაჭიდგან // ივერია. - 1902. - 5 ოქტომბერი. - №211. - გვ. 2-3; 25 ოქტომბერი. - №227. - გვ. 2-3;
39. ხევის მისიონერი მღვდელ-მონაზონი ბესარიონ ფავლენიშვილი. (1774-1824 წ.) // ივერია. - 1902. - 18 მაისი. - №103. - გვ. 4;
40. „ცოდნა“ ქართული წიგნის მალაზია: [განცხადება; მისამართი; ვაჭრობის პირობები] // ცნობის ფურცელი. - 1905. - № 2715. - გვ. 4. - იქვე: ცნობა კალენდარული, „ცოდნასა“ და შოთა რუსთაველის სურათის დაბეჭდვის შესახებ;
41. სოსიკო მერკვილაძის პასუხი გაზეთს // ჩვენი ცხოვრება. - 1906. - 27 აგვისტო. - №7. - გვ. 4;
42. ბატონ მიხეილ გოგლიძეს // ისარი. - 1907. - 16 ივნისი. - №129. - გვ. 4;
43. ბატონ სევასტი გაჩეილაძეს (პასუხად): // ისარი. - 1907. - 7 ივნისი. - №122. - გვ. 4;
44. მასწავლებელთა საყურადღებოდ! // ისარი. - 1907. - 17 აგვისტო. - №179. - გვ. 4;
45. პასუხად ბ. ბ. არჩილ და ნინო დარეჯანაშვილთ // ისარი. - 1907. - 6 თებერვალი. - №26. - გვ. 3;
46. ღია ნერილი ალექსანდრე მერაბოვს // ისარი. - 1907. - 14 ივლისი. - №152. - გვ. 4;

47. აკაკის იუბილე აკაკის დღე ქუთაისში // მომავალი. - 1908. - 21 დეკემბერი. - №28. - გვ. 1-2;
48. აკაკის! (მოგონება) // მომავალი. - 1908. - 21 დეკემბერი. - №28. - გვ. 3;
49. აკაკის სახლის გარშემო // მომავალი. - 1908. - 7 დეკემბერი. - №26. - გვ. 2-3;
50. გთხოვთ უმორჩილესად... // ამირანი. - 1908. - 3 ივლისი. - №98. - გვ. 4;
51. მწარე მოგონება // დროება. - 1908. - 10 დეკემბერი. - №19. - გვ. 3-4; მომავალი. - 1908. - 7 დეკემბერი. - №26. - გვ. 2;
52. გაზეთ „დროების“ მე-26 და მე-34 ნომრებში... // დროება. - 1909. - 21 თებერვალი. - №40. - გვ. 4;
53. ლია წერილი // მომავალი. - 1909. - 8 ოქტომბერი. - №34. - გვ. 4. - ტექსტის ბოლოს: „დავშთები უღრმესი პატივისცემით პაის პატრონი ამხანაგობისა იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე. ვსთხოვთ კავკასიის ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი თავიანთ პატივცემულ გაზეთების ფურცლებზე“;
54. პასუხათ ბ-ნ დიმიტრი ჯაშს // ახალი გზა. - 1910. - 8 აგვისტო. - №41. - გვ. 4.

მის შესახებ:

1. თეატრის მატინე // ცნობის ფურცელი. - 1897. - 23 სექტემბერი. - №320. - გვ. 3-4;
2. მოსამსახურეთა ამხანაგობა ტფილისში // ცნობის ფურცელი. - 1897. - 2 თებერვალი. - №103. - გვ. 3;
3. „ჩვენ მივიღეთ“... // ცნობის ფურცელი. - 1897. - 29 იანვარი. - №99. - გვ. 2-3;
4. მასწავლებელი. ახლად გამოსული „ხალხური ანდაზების“ გამო // ცნობის ფურცელი. - 1898. - 13 აგვისტო. - №606. - გვ. 2;
5. მაჭავარიანი, ივანე (X.). ორბელიანი, გრიგოლ. ლექსები თ. გრიგოლ ორბელიანისა. გამ-მა ს. მერკვილაძისა. ტფ. დაბეჭდა 500 ც. // მოამბე. - 1904. - №2, განყ. II. - გვ. 108;
6. ახალი ამბები: [გაზეთ „შრომის“ რედაქციის მუშებთან სოსიკო მერკვილაძის მისვლა და გაფიცვის წინააღმდეგ გამოსვლა] // ჩვენი ცხოვრება. - 1906. - 23 აგვისტო. - №3. - გვ. 2. - სოსიკო მერკვილაძის პასუხი გაზეთში: ჩვენი ცხოვრება. - 27 აგვისტო. - №7. - გვ. 4;
7. ახალი გაზეთი: [ნებართვა იოსებ მერკვილაძეს გამოსცეს გაზ. „ცოდნა“] // შრომა. - 1906. - 13 ივნისი. - №56. - გვ. 2;
8. გაზეთ „ახალი დროების“ გამოწერის პირობები პროვინციებში შემდეგ პირებთან: ი. კვიციანიძე, მ. კალანდაძე, პ. ჯალაღონია, ლ. ტულუში, ე. შარაძე, კ. მალრაძე, არჩვაძე, შ. ცინცაძე, ვ. მოსევილი, ს. მერკვილაძე, ვ. კერესელიძე, ვ. გადელია // ახალი დროება. - 1906. - №4. - გვ. 1;
9. ახალი წიგნი // ისარი. - 1907. - 4 მაისი. - №95. - გვ. 4;
10. დაბეჭდა და იყიდება „ართომეტიკული კრებული“... // ისარი. - 1907. - 5 ივლისი. - №144. - გვ. 4;
11. ვინ რას ფიქრობს როცა ძილი გაუკრთება? // მასხარა. - 1907. - №2. - გვ. 6;
12. იბეჭდება და მალე გამოვა ახალი... // ისარი. - 1907. - 1 თებერვალი. - №23. - გვ. 4;

13. იბეჭდება და მალე გამოვა ახალი „ქართული დედანი“... // ისარი. - 1907. - 27 იანვარი. - №19. - გვ. 4;
14. მასწავლებელთა საყურადღებოდ! // ისარი. - 1907. - 17 ივლისი. - №154. - გვ. 4;
15. ლია წერილი ვაჭართა მიმართ // ისარი. - 1907. - 14 ივნისი. - №127. - გვ. 4. - ტექსტის ბოლოს: ალექსანდრე მერაბოვი, მიხაკა პაპუაშვილი, ალექს. სტეფანოვი, აბელ სულხანოვი, დათიკო ბეგიჯანოვი, ივანე ხახუტოვი, მიხეილ ოდიბერიძე, შიო მიქაძე, ბაგრატ ნურალოვი, ს. მიკირტა, ნ. კობახიძე;
16. შეცდომების გასწორება // ისარი. - 1907. - 7 თებერვალი. - №27. - გვ. 2;
17. წერილ ვაჭართა ბიურო // ისარი. - 1907. - 26 ივნისი. - №137. - გვ. 4;
18. ადრესი მირთმეული ტფ. წვრ. ვაჭართა საზოგადოებისა და წაკითხული ამ საზოგადოების თავმჯდომარის ი.ნ. მერკვილაძის მიერ. დიდებულ მოგოსანო აკაკი // მომავალი. - 1908. - 14 დეკემბერი. - №27. - გვ. 1;
19. ახალი გაზეთი // ამირანი. - 1908. - 2 სექტემბერი. - №147. - გვ. 3; დროება. - 1908. - 21 ნოემბერი. - №4. - გვ. 2;
20. აკაკის იუბილე // სავაჭრო გზა. - 1908. - 12 ოქტომბერი. - №13. - გვ. 1. - დასაწყისი იხ. ამვე გაზ. №12, გვ. 1;
21. აკაკის 50 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე // ეკალი. - 1908. - 3 ოქტომბერი. - №27. - გვ. 2;
22. აკაკის საიუბილეო კომიტეტი // სავაჭრო გზა. - 1908. - 5 ოქტომბერი. - №11. - გვ. 1. - იგივე ტექსტი იხ. ამვე გაზ. №12, გვ. 1;
23. აკაკის საიუბილეო მთავარმა კომიტეტმა... // იმედი. - 1908. - 19 ოქტომბერი. - №7. - გვ. 3;
24. აკაკი წერეთლის იუბილე // სავაჭრო გზა. - 1908. - სექტემბერი. - №8. - გვ. 3;
25. გოგოლაძე, კ. (კენტი). ეშმაკის მათრახის რედაქციას // ეშმაკის მათრახი. - 1908. - №27. - გვ. 16;
26. გრიგოლ საფაროვის დაკრძალვა // სავაჭრო გზა. - 1908. - სექტემბერი. - №8. - გვ. 3-4.
27. გუშინ 24 სექტემბერს ფრანგების კათოლიკეთა სასაფლაოზე... // ეკალი. - 1908. - 25 სექტემბერი. - №21. - გვ. 2;
28. დადიანი, შალვა (დამსწრე). არჩილ ჯაფარიძის დასაფლავება: [შეორე სათათბიროს დეპუტატი] // ეშმაკი: იუმორისტული ალმანახი. - 1908. - №4. - გვ. 2-3;
29. თალაკვაძე, სევესტი. ლია წერილი გაზ. „სავაჭრო გზის“ რედაქტორს სოსიკო მერკვილაძეს // იმედი. - 1908. - 16 ოქტომბერი. - №4. - გვ. 4;
30. კავკ. ნამესტნიკის დაბრუნება ტფილისში // სავაჭრო გზა. - 1908. - 6 ნოემბერი. - №20. - გვ. 1-2;
31. მგელაძე, ა. (ბლიკვაძე). ეშმაკის მათრახის რედაქციას // ეშმაკის მათრახი. - 1908. - №27. - გვ. 16;
32. მიიღება ხელის მოწერა... // სავაჭრო გზა. - 1908. - 12 სექტემბერი. - №1. - გვ. 1. - იგივე ტექსტი იხ. გაზ. „სავაჭრო გზა“, №3, გვ. 1; №4, გვ. 1; №5, გვ. 1...;
33. მ. ქ.შ.წ.-ვ. გამავრცელებელი საზოგ.წევრთა საზოგადო კრება. 9 მარტი // დასაწყისი. - 1908. - 11 მარტი. - №7. - გვ. 2-3;

34. ნიკოიე. მუშათა შორის // ახალი ქვეყანა. - 1908. - №1. - გვ. 13-16;
35. ორი ეშმაკი: სხვა-და-სხვა გზები: [იუმორისტული ლექსი] // მათრახი. - 1908. - №2. - გვ. 7;
36. 20 სექტემბერს, საღამოს, შესდგა... // ეკალი. - 1908. - 23 სექტემბერი. - №19. - გვ. 2;
37. 31 აგვისტოს 1908 წ. გამოვა... // ამირანი. - 1908. - 26 აგვისტო. - №142. - გვ. 1;
38. 31 აგვისტოს 1908 წ. გამოვა ქ. თფილისში... // ეკალი. - 1908. - 26 აგვისტო. - №3. - გვ. 1;
39. „სავაჭრო გზის“ რედაქციისაგან // სავაჭრო გზა. - 1908. - 12 სექტემბერი. - №1. - გვ. 1; №2. - გვ. 1. - იგივე ტექსტი იხ. გაზ. „სავაჭრო გზა“, №3, 4, 5...;
40. სიტყვა სოსიკო მერკვილაძის მიერ წარმოთქმული არჩილ ჯაფარიძის დაკრძალვის დროს // სავაჭრო გზა. - 1908. - 28 დეკემბერი. - №29. - გვ. 3;
41. სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზია... // სავაჭრო გზა. - 1908. - სექტემბერი. - №2. - გვ. 4. - იგივე ტექსტი იხ. №3, 4, 5...;
42. ქართული წერის დედანი... // სავაჭრო გზა. - 1908. - სექტემბერი. - №2. - გვ. 1. - იგივე ტექსტი იხ. გაზ. „სავაჭრო გზა“, №3, გვ. 1; №4, გვ. 1; №5, გვ. 1...;
43. შურდულის შენიშვნას „ჩვენი კვალის“ შესახებ... // ეკალი. - 1908. - 11 სექტემბერი. - №9. - გვ. 2-3;
44. წვრილ-ბურჟუაზია „ჭირისუფალნი“: [იუმორისტული ლექსი] // მათრახი. - 1908. - №4. - გვ. 1-2. - ლექსს ახლავს ოსკარ შმერლინგის კარიკატურა: „სავაჭრო გზები“;
45. აკაკის საიუბილეო მთავარმა კომიტეტმა... // ჩვენი საქმე. - 1909. - 15 თებერვალი. - №10. - გვ. 4;
46. ანჯაფარიძე, ანდრო. პატივცემულო რედაქტორო! ნება მიბოძეთ... // ჩვენი საქმე. - 1909. - 17 აპრილი. - №36. - გვ. 4;
47. გაჩეჩილაძე, მ. მიმინოს ახალი უკუღმართობა // ივერია. - 1909. - 27 ივლისი. - №30. - გვ. 1;
48. ვორდაძე, მიხეილ (მუშა). ლალიძის და ამხ. ლი-მონადის ქარხანა // მომავალი. - 1909. - 29 სექტემბერი. - №27. - გვ. 4;
49. თბილისის სამრხი კასის წევრთა საზოგადოების კრება // მომავალი. - 1909. - 22 სექტემბერი. - №21. - გვ. 3;
50. პასუხის პასუხი თ-დ ამირაჯიბს: ფიცი გვწამს ბოლო გვაკვირვებს // ახალი გუშავი: იუმორისტულ-პოპულარული ალმანახი. - 1909. - №1. - გვ. 8;
51. საიუბილეო კომიტეტი // ჩვენი საქმე. - 1909. - 5 თებერვალი. - №1. - გვ. 2;
52. ტფილისი: საიუბილეო კომიტეტი // დროება. - 1909. - 4 თებერვალი. - №26. - გვ. 2;
53. ჯაში, დიმიტრი სოფრომის ძე. — ა) პასუხათ ბ-ნ სოსიკო მერკვილაძეს // ახალი გზა. - 1910. - 4 აგვისტო. - №38. - გვ. 4; ბ) ბ-ნ სოსიკო მერკვილაძეს: მოწყალეო ხელმწიფე! თქვენს უკანასკნელ პასუხში... // ახალი გზა. - 1910. - 20 აგვისტო. - №51. - გვ. 4; გ) ლია წერილი წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს პატრონს ბ-ნ იოსებ ნიკ. - ძეს მერკვილაძეს... // ახალი გზა. - 1910. - 31 ივლისი. - №35. - გვ. 4;
54. ვ. კ. (კოტეტიშვილი, ვახტანგ). ნათელა აკაკისა // ხალხი. - 1911. - 26 თებერვალი. - №16. - გვ. 3-4. - ბიბლიოგრაფიის მაგიერ;

55. რედაქციამ მიიღო ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების... // კლდე. - 1913. - №21. - გვ. 16. — ბიბლიოგრაფია;
56. ვინაა მართალი?! // ახალი მათრახი. - 1915. - №5. - გვ. 5. - ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: ე-კი;
57. „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოდ... // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №16. - გვ. 15;
58. სამართებელი. ჭრელი ამბები: [იუმორი] // ეშმაკის მათრახი. - 1917. - №25. - გვ. 4-5.

წყარო: არ არის მითითებული.

მერკვილაძე, ნოზრუჰან ნიკოლოზის ძე [იბივა ნოზრუჰანიძე] (1861, 10/V – 1921, 22/V) – სახალხო მოლექსე და მამულიშვილი, – პროპაგანდისტი, – იმერეთიდან (დაიბადა სოფ. ჭალატყეში, შორაპნის მაზ., 1861 წლის მაისის 10. გარდაიცვალა თბილისში, 1921 წლის მაისის 9(22). დაიკრძალა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ქართული წიგნებით განვითარებული, აკაკის პირადი გავლენით აღზრდილი, ხელობით თერძი, სახალხო კილოს ლექსებს წერდა, რომელშიც ხალხს უნერგავდა სამშობლო ქვეყნის სიყვარულს, ძმობას, ერთობას, კიდევ უფრო ბევრითად მუშაობდა თანახელოსნებში, საზოგადოდ, მდაბიო ხალხში, ცოცხალი სიტყვით აღვიძებდა მამულის სიყვარულს და შთააგონებდა მისდამი მოყვრობას, ათვითცნობიერებდა. ხელოსანთა მხრით – მუშა-ხელოსანთა სახელით გამოდიოდა ხოლმე ზეიმებზე, დაკრძალვებსა და სხვ. ქართველი მამულიშვილი-მუშის განსახიერება იყო. მთელი მშრომელი ხალხი მას სწამდა, როგორც საქართველოს განახლება-აღორძინების მთავარი ძალა, ხოლო სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა კი – როგორც მთელი ხალხის ეროვნული აღორძინების საძირკველი. ერთხანად, თერძების მამასახლისად (უსტაბაშად) იყო.

გამოქვეყნებულია:

1. ალექსანდრე ყაზბეგი: მოგონება // კვალი. - 1894. - №40. - გვ. 13-15;
2. ახალწლის მილოცვა ხელოსნისაგან „კვალს“: [ლექსი] // კვალი. - 1895. - №2. - გვ. 2;
3. მწერალო! საქმით რად არ ხარ...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 26 ივლისი. - №157. - გვ. 1;
4. „სოფელს რა მხარეც ვუნახე...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 16 ივლისი. - №150. - გვ. 1;
5. „სტუმარო! მითხარ პირდაპირ...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 21 ივლისი. - №154. - გვ. 1;
6. სიტყვა წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე // კვალი. - 1900. - №4. - გვ. 55-60;
7. ჩვენდა სამწუხაროთ // კვალი. - 1900. - №12. - გვ. 191-192;
8. მუხლს ვიყრი შენს წინ, მამულიშვილო...: [ლექსი ი. ჭავჭავაძის მკვლელობის გამო] // ნიშადური. - 1907. - №8. - გვ. 2;
9. აკაკის იუბილეზე // მომავალი. - 1908. - 7 დეკემბერი. - №26. - გვ. 1-2;

10. აკაკის იუბილური თვილისში: [ლექსი] // მომავალი. - 1908. - 28 დეკემბერი. - №29. - გვ. 2-3;
11. აკაკის: [ლექსი] // ნიშადური. - 1908. - №28. - გვ. 11;
12. დიდებულ იუბილარს: [ლექსი] // საქართველო. - 1908. - №8. - გვ. 1;
13. ნაწყვეტი: [ლექსი] // საქართველო. - 1908. - №10. - გვ. 14;
14. საახალწლო ფირმანები: ტფილ. ქართ. გიმნაზიას: [ლექსი] // ნიშადური. - 1908. - №21. - გვ. 3;
15. „საკვირველია, როგორ ეცვალა“...: [ლექსი] // სავაჭრო გზა. - 1908. - 5 ოქტომბერი. - №11. - გვ. 2;
16. სამღურავი: [ლექსი] // ნიშადური. - 1908. - №34. - გვ. 14;
17. ირემი და ბაყაყი: (იგავი) // ნაკადული: საყმაწვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1911. - №1. - გვ. 63-64;
18. ირემი და ბაყაყი: იგავი // ნაკადული: საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1911. - №1. - გვ. 63-64;
19. ხარი და ბუზი: (იგავი) // ნაკადული: საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1911. - №6. - გვ. 19-20. - შერლინგი, ო. (O. И. ШЛИНГ, მხატვ.);
20. ჭინჭრატა: (ლობე-მძვრალა) (ლეგენდა) // ნაკადული: საყმაწვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1913. - №6. - გვ. 36-40;
21. მინის მუშას: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №14. - გვ. 10;
22. ორ ზღვას შუა: [ლექსი] // ეშმაკის მათრახი. - 1915. - №1. - გვ. 4. - ტექსტს დართული აქვს ო. შერლინგის ნახატი;
23. სიტყვა ნომრევან მერკვილადისა შიო მღვიმელისადმი ნათქვამი 14 თებერვალი: (თბილისის სახელოსნო სამმართველოდან) // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №10. - გვ. 14-15.

მის შესახებ:

1. ერთი. ხელოსანთა კლუბში... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №23. - გვ. 14.

წყარო:

1. მაშვრალთა ხმა. - 1921. - 22 მაისი. - № 12.

მერკვილაძენი, ალექსანდრა და მიტრადორა ასლანის ასულნი – რევოლუციონერები, წითელრაზმელები, – მთავრობის მიერ მათი ძმის – აფრასიონ მერკვილაძის მოკვლის შემდეგ, პ. პაიჭაძისაგან შეკავშირებულ წითელრაზმში შევიდნენ, შეიარაღდნენ, მოკლული ძმის იარაღის საწყობს დაეპატრონნენ, საიდანაც წითელრაზმელებს ყუმბარებს, „ვინტოვკებს“ და ტყვიებს აწვდიდნენ, თვითონაც წითელრაზმელთა მოვალეობას ასრულებდნენ, როგორც მებრძოლნი.

წყარო:

1. ჟღენტი, თენგიზ. რევოლუციონური მოძრაობა შორაპნის მაზრაში (1905 წ.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ. 41.

მესტიაშვილი, გიორგი ვლადიმერის ძე (1898 –) – თერაპევტი, – პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, – ქიზიყიდან (დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფ. მალაროში). დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1917) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (1924); 2 წელი მუშაობდა შინაგან სნეულებათა ფაკულტეტურ კლინიკაში, შემდეგ – ტუბერკულოზის სხვადასხვა სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებაში. 1936 წლის ივნისის 27 დაიცვა დისერტაცია „ფილტვის ადრეული კავერნები“ მედიცინის კანდიდატის ხარისხზე, 1941 წელს – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მისაღებად. 1938 წლიდან განაგებდა საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ტუბერკულოზის კათედრას.

გ. მესტიაშვილის სამეცნიერო შრომები, უმთავრესად, ეხება ტუბერკულოზის კლინიკისა და პროფილაქტიკის სხვადასხვა საკითხს. 1942 წლამდე გამოაქვეყნა სულ 19 ნაშრომი რუსულ და ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში.

მის შრომათაგან უფრო საგულისხმოა:

1. ფილტვის ადრეული კავერნები: (კლინიკური და რენტგენოლოგიური გამოკვლევანი), ტფ., 1936, რენტგენოგრაფიის 5 ფურცლის დართვით [საკანდიდატო დისერტაცია, მონოგრაფია. ამ შრომაში გაშუქებულია ფილტვის ადრეული კავერნების დიაგნოსტიკის, კლინიკური მიმდინარეობის და მკურნალობის საკითხები, ხანგრძლივი კლინიკური დაკვირვების და სერიული რენტგენოლოგიური გამოკვლევების მიხედვით საკმარისად დიდ რიცხვ ავადმყოფებზე];

2. ტუბერკულოზის და მალარიის ურთიერთგავლენა: (სადოქტორო დისერტაცია). - [ამ შრომაში კლინიკური დაკვირვებების, მალარიული და არამალარიული უბნების მოსახლეობის მასიური გამოკვლევების, საქართველოს პათოლოგიური ანატომიის ინსტიტუტის 10 წლის სექციური მასალის სტატისტიკური დამუშავების, ტუბერკულოზით და მალარიით დაავადებულთა სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევებისა და ტუბერკულინური – ალერგიული რეაქციების შესწავლის შედეგად მიღებული მასალების მიხედვით, გაშუქებულია საკითხი ტუბერკულოზის და მალარიის ურთიერთგავლენის შესახებ. ამ მასალების მიხედვით გამოტანილი დასკვნები უარყოფს იმ ძველ შეხედულებას, რომელიც აღიარებდა, რომ მალარია არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ტუბერკულოზით დაავადებებისა და მისი უფრო მეტად გავრცელებისა. აღნიშნული მასალა, პირიქით, ამტკიცებს, რომ მალარია არავითარ პათოგენეზურ როლს არ თამაშობს ტუბერკულოზის გავრცელებაში, რომ მალარია არ არის ხოლმე მიზეზი ჩამქრალი, მორჩენილი ტუბერკულოზის კერის გაღვივებისა].

სამეცნიერო შრომების გარდა, გ. მესტიაშვილს შედგენილი და გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელო ექიმთა და სტუდენტთათვის: „ფილტვის

ტუბერკულოზის ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობა“ (ტფ., 1934).

ცალკე გამოცემულია:

1. *ერიტროციტების დალევის და Weisz-ის ურობ-რომოგენური რეაქციის კლინიკური მნიშვნელობა ფილტვის ტუბერკულოზის დროს.* - ტფ., 1926 (ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 10 გვ.; 26სმ. - ცალკე ამონაბეჭდი. „თანამედროვე მედიცინა“, № 1-1927. - ბიბლიოგრაფია, გვ. 10;
2. *ფილტვის ტუბერკულოზის ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობა: მოკლე სახელმძღვანელო ექიმთა და სტუდენტთათვის.* - ტფ.: სახელგამის სასნ. პედ. სექტორის გა-მა, 1934 (კომუნისტი-ს სტ.). - 71 გვ.; სურ.; 23სმ.;
3. *ფილტვის ადრეული კავერნები: (კლინიკური და რენტგენოლოგიური გამოკვლევანი) / რედ.-ი. აბაკელია.* - ტფ.: ტუბ-ინსტიტუტი, 1936 (სახუნტის სტ.). - 33 გვ.; ილ., [5] ჩართ. ფ. ილ.; 23 სმ.. - დამატებითი თავფ. რუს. ენაზე. - ბიბლიოგრაფია: „ლიტერატურა“ (31-32 გვ.) სხვა და სხვა ენაზე;
4. *ტუბერკულოზი: სახელმძღვანელო სტუდენტთა და ექიმთათვის.* - თბ.: საქმედგამი, 1948 (საქმედგამის სტ.). - 552 გვ.; ილ.; 22სმ.. - სათაურის წინ: პროფ. გ. მესტიაშვილი;
5. *ჭლექი.* - თბ.: საქმედგამი, 1949 (საქმედგამის სტ.). - 28 გვ.; 21სმ. - (სანიტარული განათლების ბიბლიოთეკა; № 18). - სათაურის წინ: პროფ. გ. მესტიაშვილი;
6. *ტუბერკულოზის მკურნალობა სტრუქტომიცინით.* - თბ.: საქმედგამი, 1950 (საქმედგამის სტ.). - 55 გვ.; ილ.; 20სმ.. - (სანიტარული განათლების ბიბლიოთეკა; № 55);

დისერტაცია:

1. *ტუბერკულოზის და მალარიის ურთიერთგავლენა: დის... [მედ. მეცნ. დ-რი]; ოფიც. ოპონენტები: ალადაშვილი ა., ასათიანი ვ., კანდელაკი ს.. - თბ., 1939. - 207 გვ.; სურ., ცხრ.. - ბიბლიოგრ.: გვ. 195-207.*

გამოქვეყნებულია:

1. *ჭლექი (ტუბერკულოზი) // საოჯახო სამკურნალო ცნობარი. - 1950. - გვ. 267-290.*

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. ზემოხსენებული შრომები;
3. დისერტაციის დაცვა: [ცნობა] // კომუნისტი. - 1936. - 26 ივნისი. - № 146. - გვ. 4.

მესტიაშვილი, სოლომონ სტეფანეს ძე (1883, 12/VIII –) – მასწავლებელი, პროლეტარული მწერალი და საზოგადო მოღვაწე, – ქიზიყიდან (დაიბადა სოფ. მალაროს, სიღნაღის მაზ., უღარიბესი გლეხის ოჯახში). სოფლის 2-კლასიანი სკოლისა და სიღნაღის 6-კლასიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მ. ნასიძის დახმარებით და მასწავლებ-

ელ-მონაფეთაგან შეკრებილი თანხით, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდა სახელმწიფო ხარჯზე, რომლის დამთავრებისთანავე ვერცხლის მედლით, 1886 წელს, სიღნაღის 4-კლასიან საქალაქო სკოლაში გამწესდა მასწავლებლად, 1891 წლიდან – ტფილისის მე-2 ვაჟთა გიმნაზიაში (მეორე შრომის სკოლა), 1929 წლიდან – კახეთის საოლქო განათლების განყოფილების სკოლათა ინსტრუქტორად. იშვიათ, სამაგალითო და მისაბაძ მასწავლებლად ითვლებოდა: მასწავლებლობის დაწყებიდან უკანასკნელ დრომდე, 44 წლის განმავლობაში, არცერთი დღე არ გაუცდენია და ხშირად თვით უჭმელ-უსმელი, ჩამორჩენილ მონაფეთებს ამეცადინებდა, რომ ამხანაგებს მისწოდნენ, არდადეგების დროს გლეხისა და მუშის შვილებს უფასოდ ასწავლიდა, 1921-1923 წლებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა მუშათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეში (რისთვისაც მადლობა დაიმსახურა), ხელმძღვანელობდა მონაფეთა უღმერთოთა წრეს და სხვ. შეადგინა და გამოსცა ცრუმორწმუნეობის საწინააღმდეგო წიგნი „ბუნების მოვლენანი“ (თბ., 1888), რომლის კითხვამაც მრავალს აუხილა თვალი (ამ წიგნის 100 ცალი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა).

ხშირად მოგზაურობდა საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეებში, სადაც მართავდა სახალხო უფასო წარმოდგენებს, გლეხებს უკითხავდა მოხსენება-რეფერატებს, ხსნიდა წიგნთსაცავ-სამკითხველოებს და სხვ.; ერთი დამფუძნებელთაგანია „ქართული წიგნის გამოცემის ამხანაგობისა“.

1917-1921 წლებში სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ პარტიას ეკუთვნოდა, 1921 წლიდან კომპარტიის მსოფლმხედველობა გაიზიარა, საბჭოთა პრესაში („სიმართლე“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“, „პიონერი“) დაიწყო წერა პედაგოგიური, პოლიტიკური, ანტირელიგიური და სხვ. საკითხების შესახებ და თავი ისახელა, როგორც მებრძოლმა მწერალმა. მისი რწმენით: „ყველა ეპოქას თავისებურად ესმის მიზანი და სისტემა აღზრდისა. რაც გაბატონებულია ცხოვრებასა და საზოგადოებაში, იგივე უნდა იყოს გაბატონებული აღზრდის საქმეში... სკოლა უნდა იყოს საკმაოდ დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან... ახალმა სკოლამ უნდა მისცეს საბჭოთა ხელისუფლებას ისეთი მოქალაქე, რომელიც მისთვის საჭიროა პოლიტიკური მუშაობის საწარმოებლად. სკოლამ უნდა მოამზადოს საბჭოთა რესპუბლიკის შეგნებული მოქალაქენი, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუშათა სახელმწიფოს შენებაში და საიმედო დამცველნი იქნებიან შრომის იდეალების... საბჭოთა სკოლის მასწავლებელი, თუ მას სურს ხალხის სამსახური, უნდა გაიმსჭვალოს მშრომელთა ბატონობის აზრით, მაშინ ის პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას: მასწავლებელი სოციალური მდგომარეობით ეკუთვნის მშრომელთა ინტელიგენციას და ის უნდა იდგეს თავის სფეროში მშრომელთა ძალა-უფლების გან-

მამტიციცებელთა რიგებში“... „ბავშვი რა ეროვნება-საც უნდა ეკუთვნოდეს, პირველდნაყებითი სწავლა დედის ენაზე უნდა მიიღოს, ე. ი. იმ ენაზე, რა ენაზედაც სკოლაში შესვლამდე ოჯახში ლაპარაკობდა და აზროვნებდა“.

„უსამართლობას ერთხელაც არის ბოლო უნდა მოღებოდა, მშრომელი თითონ უნდა დაპატრონებოდა თავის ოფლით მონაგარს და მუქთახორანი ერთხელ და სამუდამოდ ალაგმულიყვენ... ამისათვის კი საჭიროა სოციალისტური რევოლუცია: სოფლად მიწების გადაცემა თვით მშრომელ გლეხებზე, რომელნიც საკუთარს ხელით დაიმუშავებდნენ, ხოლო ქალაქად ფაბრიკა-ქარხნების და სახლების, რომელიც შეუქმნია მუშის მარჯვენას, გადაცემა მშრომელთა განკარგულებაში... ცხოვრება გამუდმებული წინმსვლელობა არის... სოციალიზმი ძალით არ შეიძლება ცხოვრება თავზე მოახვიო, ის ბუნების აუცილებელი კანონებიდან გამომდინარეობს, მისი შეჩერება არავითარს ძალას არ ძალუძს... მუშათა კლასს არა აქვს სამშობლო იქ, სადაც ის გადაქცეულა ბურჟუაზიის ბრმა იარაღად და მათ მიერ ზედმეტ ღირებულებით შექმნილ სიმდიდრეს ერთი მუჭა კაპიტალისტები ისაკუთრებენ. სამშობლო მუშებს ექნებათ მაშინ, როდესაც მას გაანთავისუფლებენ ბურჟუაზიის ბატონობისაგან... თანამედროვე საერთაშორისო სინამდვილე გვიმტკიცებს, რომ ეროვნული პოლიტიკის საკითხი ერის ტერიტორიალურ საზღვრებს სცილდება და ეს საკითხი რევოლუციონური პროლეტარიატის საკითხად უნდა გახდეს“...

ს. მესტიაშვილი იყო წვერი განათლების მუშაკთა კავშირის, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და სხვ.

1924 წლის 9 თებერვალს სახალხო სახლში გადახდილ იქნა მისი 40 წლის მოღვაწეობის იუბილე, დაენიშნა პერსონალური პენსია, პედსაბჭომ იშუამდგომლა, რათა წითელ დაფაზე აღნიშნულიყო და შრომის გმირის წოდება მიანიჭებოდა.

ცალკე გამოცემულია:

1. ბუნების მოვლენანი / შედგენილი და გამოცემული სოლომან მესტიაშვილისაგან. - თბ., 1888 („კავკასიის მიმოხილვის“ სტ.). - II, 44 გვ.; 17სმ.

გამოქვეყნებულია:

1. წერილი რედაქციის მიმართ: [განცხადება მენშევიკურ პარტიასთან კავშირის განწყვეტის და საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლის შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 5 სექტემბერი. - №203. - გვ. 4;
2. ახალი სკოლა // სიმართლე. - სიღნაღი, 1924. - [ივლისი]. - № 29;
3. საუბარი გლეხებთან // სიმართლე. - სიღნაღი, 1924. - 5 ოქტომბერი. - № 39;
4. ასეთია ისტორიის ნებისყოფა // ახალი გზა. - 1927. - 13 მარტი. - № 8. - გვ. 12;
5. ახალი თაობის აღზრდა // ახალი გზა. - 1927. - 17 აპრილი. - № 14. - გვ. 8;

6. მშრომელთა უდიდესი ზეიმის დღე // ახალი გზა. - 1927. - 1 მაისი. - № 42. - გვ. 9;
7. სოლიდარობის დღესასწაული // ახალი გზა. - 1927. - 6 ნოემბერი. - № 15. - გვ. 17;
8. ძველი და ახალი სკოლა // ახალი გზა. - 1927. - 27 ნოემბერი. - № 45. - გვ. 13-14;
9. ქრისტეს შობა ხუცების მიერ გამოგონილი ზღაპარია // პიონერი. - 1929. - № 24;
10. ბუნების მოვლენანი // პიონერი. - 1930. - № 2;
11. ვისი დღესასწაულია აღდგომა // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1930. - 12 აპრილი. - № 76; 13 აპრილი. - № 77.

მის შესახებ:

1. ახალი ამბავი // ივერია. - 1887. - 4 დეკემბერი. - №254. - გვ. 1-2; 1888. - 10 თებერვალი. - №30. - გვ. 1-2; 4 მარტი. - №48. - გვ. 2-3;
2. ნაკაშიძე, ერ. „წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის...“ // ივერია. - 1891. - 12 აპრილი. - №80. - გვ. 4.

წყარო:

1. დოლიძე, იბ. მისაბაძი მაგალითი // მუშა. - 1923. - 6 ოქტომბერი. - № 265;
2. მესტიაშვილი, ს. წერილი რედაქციის მიმართ: [განცხადება მენშევიკურ პარტიასთან კავშირის განწყვეტის და საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლის შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 5 სექტემბერი. - №203. - გვ. 4;
3. კეკელია, ი. ს. ს. მესტიაშვილი // მონიწივე ხმა. - 1924. - № 7;
4. ძიძიგური, ლ. იშვიათი მასწავლებელი // კომუნისტი. - 1925. - 8 თებერვალი. - № 32. - გვ. 4;
5. მონაფე კაციტაძე. სამაგალითო მასწავლებელი // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1926. - 5 თებერვალი. - № 28;
6. მეორე შრომის სკოლის საბჭოს ოქმი. - 1928. - 22 ნოემბერი;
7. ნასახურობის პირადი ფურცელი მე-2 შრომის სკოლის მიწერილობით. - 1929. - № 2154;
8. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ. ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 476.

მისი, ანა [ნანიკო] სიმონის ასული ვასილ პეტრიაშვილისა (1851 – 1925) – ჟურნალისტი, მთარგმნელი, სცენისმოყვარე და საზოგადო მოღვაწე, – ქუთაისის თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი 1875-1880-იან წლებში, ქვემოხსენებულ მესხთა და, სკოლის გარეშე, უფროსი დის, პელაგიას, მიერ ოჯახში აღზრდილი, ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნაში დიდად განაფული, დედის მსგავსად „ვეფხისტყაოსნის“ ანბანზე ზეპირად

მცოდნე: რომელი ასოც უნდა გეკითხათ, იმ ასოთი დაწყებულ ტაეპს ზეპირად წარმოსთქვამდა. გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ კომისიაში მონაწილეობდა, სადაც რამდენიმე მოსწრებული შენიშვნა შეიტანა ტექსტის დასადაგენად. 1883 წელს ქუთათურ ქალთა (დ. ლორთქიფანიძის მეუღლის ანა ლორთქიფანიძის, ჭყონიას ასულის რედაქტორობით გამოსულ) ჟურნალის „ქართული ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, სადაც მუშაობის დროს თარგმნა ეტტი პირსის რომანი „არა, არ არის დანაშაული“ („ქართული ბიბლიოთეკა“, 1883, № 4, 5, 7-8). თანამშრომლობდა „დროებაში“. მრავალი ნათარგმნი დარჩა გამოუცემელი. შეკრიბა ხალხური სიტყვიერება: ლექსები, იგავ-არაკები და სხვ.

ქართული დრამატული სამუდამო დასის ქუთაისში პირველად ჩასვლის დროს (1879), ქუთათელმა ქალებმა ანა მესხის თაოსნობით, ქართველ მსახიობთ – ქალთა და ვაჟთა – საგანგებო ტანისამოსი შეუქერეს (ლურჯი ხალათები, მატროსული, ფართო საყელოებით, ახალციხური – ექვს-ექვსი ვერცხლისბუშტიანი ღილებით), რომლითაც ქართული დასი ირჩეოდა. ამითი დასმა მთელი დასავლეთ საქართველო შემოიარა. ამ უცხო ჩაცმულობამ ქართველი მსახიობის თავისებურება კიდევ უფრო განასხვავა და უმეტესი ყურადღების ღირსი შექნა.

მისი შვილია დამსახურებული პედაგოგი ელენე ვასილის ასული პეტრიაშვილი.

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

1. პირსი, ეტტი. არა, არ არის დანაშაული: [რომანი] // ქართული ბიბლიოთეკა. - ქუთაისი, 1883. - №4. - გვ. 3-122; №5. - გვ. 146; №7-8. - გვ. 17-127.

მის შესახებ:

1. მეგახლავარ. ქართული თეატრი // ცნობის ფურცელი. - 1898. - 9 დეკემბერი. - №699. - გვ. 3.

წყარო:

1. ცაგარელი, ავქსენტი. კომედიები / ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით. - ტფ.: ფედერაცია, 1936. - გვ. 373-374, 465;
2. მესხი, დ. მოგონებანი. - თბ.: ფედერაცია, 1940. - გვ.: 13, 19, 39-41;
3. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვ.: ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 395.

მესხი, დავით [დათიკო] სიმონის ძე [იბივე „თობა პუსა“] (1860, 26/1 – 1943, XII) – მწერალი, – სატირიკოს-იუმორისტი, ჟურნალისტი, ფელეტონისტი, მთარგმნელი, მსახიობი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, – იმერული სცენების ავტორ-წარმომთქმელი, – იმერეთიდან (დაიბადა

ქ. ქუთაისში, ცნობილ მესხთა ოჯახში, 1860 წლის იანვრის 26). სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ ვერ დაამთავრა და თვითგანვითარებას შეუდგა. მნიგნობრობისა და თეატრის სიყვარული მშობლების ოჯახსა და გაზ. „დროებას“ რედაქციაში ჩაენერგა თავის ძმასთან.

სასცენო ასპარეზზე გამოვიდა 1875-1878 წლებში ქუთაისში, თავის და-ძმასთან ერთად, ქართულ სამუდამო დასის შექმნამდე. პირველ ხანად იმერულ როლებს ასრულებდა, შემდეგ – ყარაჩოხელთ (პეტუა – „ციმბირელი“, ფიჩხულა – „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, აკოფა – „ხანუმა“ და სხვ.). თბილისის სამუდამო დასის ქუთაისში ჩასვლას (1879) დიდი აღტაცებით შეეგება, ძლიერაც დაეხმარა, როგორც მსახიობი, დეკორატორი, მხატვარი, ყოველმხრივ ხელი შეუწყო და მას შემდეგ ქართული თეატრის წინსვლას ემსახურებოდა პიესების გადმოკეთებით, თარგმნით, წერით და სხვ.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1880-იან წლებში. მუშაობდა გაზ. „დროებაში“ – ჯერ სერგეი მესხთან, შემდეგ, – ივ. მაჩაბლის რედაქტორობის დროს, გაზეთის დახურვამდე, – როგორც აქტიური მუდმივი თანამშრომელი. ნივთიერად შევიწროებული მდგომარეობის მიუხედავად, სარედაქციო მუშაობას ბეჯითად უძღვებოდა და ცენზორსაც კი იარაღით თავზარსა სცემდა, რომ მასალები არ აეკრძალა. წერდა იუმორისტულ სცენებს, სატირიკულ ამბებს, საზოგადოებრივ საკითხთა შესახებ „იმერლის წერილების“ სათაურით წერილებს, დღიურ ჭირ-ვარამზე ლექსებს თომა პუსას ფსევდონიმით და სხვ. ცნობილი იყო, როგორც „მახვილი კალმის პატრონი“. 1908 წელს მისი რედაქტორ-გამომცემლობით ქუთაისში გამოდიოდა გაზეთი „შრომა“, რომელიც იმავე 1908 წლის მარტის 30 გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით დაიხურა.

დანერა:

1. მედიატორეთა სასამართლო: [სურათი 1 მოქ.];
2. მოფურჩხულია: [ვოდ. 1 მოქ.];
3. ნადირობა.

თარგმნა:

1. დალილა [დრამა];
2. „იმედის“ დალუპვა: [დრამა 4 მოქ.];
3. კოვერლეის მკვლელობა: [დრამა 5 მოქ.];
4. მარგარიტა გოტიე: [დრამა 5 მოქ.];
5. მედეა: [დრამა 4 მოქ.].

გადმოაკეთა:

1. ადამ და ევა;
2. ანუკა ბატონიშვილი: [ისტ. დრამა 3 მოქ.];
3. მექარხნე;
4. სურამის ციხე: [დრამა 5 მოქ.].

ზემოსხენებული პიესები ხშირად იდგმებოდა 1880-იანი წლებიდან.

1896 წელს სოფ. რიონში სერგეი მესხის სახელზე დააარსა წიგნთსაცავ-სამკითხველო.

ცალკე გამოცემულია:

1. გასართობი იმერული სცენები პროზათ და ლექსათ / დ.ს. მესხი. - ქუთაისი, 1900 (ი. კილაძის და ი. ხელაძის სტ.). - 44 გვ.; 14სმ.;
2. იმერული სცენები „გასართობი“: პროზა და ლექსი. - მეორე გამოცემა. - ქუთაისი: გ. ჭეუანიშვილის გამოცემა, 1902 („Комерческая тип. Чипадзе и Ко“). - 54 გვ.; 17სმ.;
3. სამდროვო სიმღერები: ლექსები აკაკის, გ. ლადოშვილის, დ. მერონგურესი, დარია ხუნდაძის, თომა პუსას [დავით მესხი], და ი. ევდოშვილის. - თბილისი, 1908 (ამხ. „სორაპანი“-ს სტ.). - 16 გვ.; 16სმ.;
4. მოგონებანი. - თბ.: ფედერაცია, 1940. - 118 გვ.; 15სმ. - [პირველად დაიბეჭდა „მნათობში“, 1935, № 1-23].

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

1. კოპპე, ფრანსუა. მჭედელი: [ლექსი] // საქართველოს კალენდარი. - 1891. - გვ. 234-240;
2. ქარაფშუტა და მერცხალი: [ლექსი. თარგმანი] // ჯეჯილი. - 1896. - №№ 12. - გვ. 3;
3. ეზოპი. ხარები და ურმის თვლები: (ეზოპიდან). [იგავი-არაკი. თარგმანი] დ. მ-სი // ჯეჯილი. - 1897. - №10. - გვ. 18;
4. ჩეხოვი, ა. უმათაურო: (მოთხრობა. თარგმანი) დ. მესხის // ცნობის ფურცელი (სურათებიანი დამატება). - 1903. - 16 ოქტომბერი. - №159. - გვ. 1-4;
5. სორსკი, პ. რა გზით მივალწვეთ საზოგადო მეურნეობას / თარგმანი დ. მესხისა. - ქუთაისი: ამხანაგობა „მინა და თავისუფლება“-ს გამოცემა №1, [1905]. - 32 გვ.; 17სმ.;
6. ვინ ჩაგრავს გლეხს: მართალი ზღაპარი / თ[ავისუფალი] თ[არგმანი] დ. მესხისა. - ქუთაისი: ბ. კურცხალიას გამოცემა №4, 1906 (ჭილაძის და ამხ. სტ.). - კანი, 32 გვ.; 17სმ.;
7. ტანი. ქრისტე ქვეყნად // ნიშადურის კრებული. - 1907. - №1. - გვ. 20-25.

გამოქვეყნებულია:

1. ქუთაისი, 20 მარტს // დროება. - 1877. - 25 მარტი. - №34. - გვ. 2-3;
2. აქა-იქ მონაგროვი // დროება. - 1878. - 5 მარტი. - №47. - გვ. 1-2;
3. ქუთაისი, 24 ივნისს // დროება. - 1878. - 1 ივლისი. - №129. - გვ. 3;
4. ბ. რედაქტორო!... // დროება. - 1883. - 10 თებერვალი. - №29. - გვ. 2-3;
5. სესია და ივანა: (ზღაპარი. ჩანერილი დ. რიონელისა) [მესხი დავით] // ნობათი. - 1884. - №2. - გვ. 129-132;
6. ნავთის სამეფოდამ // ივერია. - 1887. - 18 აგვისტო. - №170. - გვ. 2-3; 27 აგვისტო. - №177. - გვ. 2-3; 5 სექტემბერი. - №184. - გვ. 2;
7. ბატონო რედაქტორო!... // ივერია. - 1889. - 28 ნოემბერი. - №253. - გვ. 2;
8. მოწოდება // ცნობის ფურცელი. - 1896. - 20 ოქტომბერი. - № 1. - გვ. 3;
9. მადლობის გამოცხადება // ცნობის ფურცელი. - 1897. - 9 აპრილი. - №166. - გვ. 2;
10. პიესის მთარგმნელთა საყურადღებოდ // ცნობის ფურცელი. - 1897. - 2 სექტემბერი. - №301. - გვ. 2;
11. სერგეი მესხი: უმცროსი ძმის მოგონება // ცნობის ფურცელი. - 1903. - 1 ოქტომბერი. - №2280. - გვ. 2-3;
12. ქუთაისი, 10 თებერვალი: ქალაქის საბჭო // ივერია. - 1903. - 13 თებერვალი. - №36. - გვ. 2-3;
13. ქუთაისი // ივერია. - 1903. - 14 მარტი. - №59. - გვ. 2-3;
14. ქუთაისი, 24 თებერვალი // ივერია. - 1903. - 28 თებერვალი. - №47. - გვ. 2;
15. „მისთვის მინდა მე გონება“: [ლექსი] // პატარა გაზეთი. - 1906. - 8 მარტი. - №12. - გვ. 2;
16. ქუთათური აქეთ-იქეთური: [ახალგაზრდების დახასიათება. რა მოიტანა რეაქციამ. თავად გურიელების განცხადება. მუნჯური მეთოდით სწავლების განახლება] // პატარა გაზეთი. - 1906. - 24 მარტი. - №23. - გვ. 2;
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ხელნაწერთა ბიბლიოთეკას შესწირა 55 ხელნაწერი წიგნი, მათგან ბევრი საარქეოლოგიო და საისტორიო განძი.

გამოკვეყნებულია:

1. კავკაზში ქართული წიგნებით ვაჭრობას ვიწყებ...: [განცხადება] // ივერია. - 1898. - 4 დეკემბერი. - №259. - გვ. 4;
2. კავკაზში ქართული წიგნებით ვაჭრობას... ვხსნი...// ცნობის ფურცელი. - 1899. - 4 თებერვალი. - №741. - გვ. 4;
3. ვაჟას დაფასება // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №36. - გვ. 13-14. - მკითხველთა წერილები.

წყარო:

1. მესხიშვილი, ვანო. ვაჟას დაფასება // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №36. - გვ. 13-14. - მკითხველთა წერილები;
2. ჭავჭავაძე, ი. ნაწერების სრული კრებული: 9 ტომად / შედარებული პირველ წყაროებთან და შევს. ახალი ტექსტებით პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით. - ტ. 7: საქართველოს მატთან. - ტფ.: ქართული წიგნი, 1928 (საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველთა სტ.). - გვ. 18.

მესხიშვილი, სოფრონ გლვდელი (– 1860)

– მწერალი და მოლექსე, 1832 წლის შეთქმულთაგანი, მეტეხის მღვდელი. 1850-იან წლებში ქართული ენის ცენზორი იყო და გ. ერისთავს ძლიერ ეხმარებოდა საქმით და წერით.

წყარო:

1. გუნია, ვ. // საქართველოს კალენდარი. - თბ., 1893. - გვ. 429.

მეტიხელი, მიხეილ [მიხა] (18.. – 1915) –

ჟურნალისტი, – მუშათა პირველი ჟურ. „მუშას“ შემდგენ-გამომცემელი. 1887 წელს თბილისის მუშებმა საკუთარი ჟურნალი „მუშა“ რომ დააარსეს, მის რედაქტორად მიიწვიეს მ. მეტიხელი, როგორც სუფთა ხელით გადამწერი და მხატვარი (ჟურნალი თვეში ერთჯერ გამოდიოდა ხუთ ცალად, თითო ცალი 100 მუშას უნდა წაკითხა). პირველ წელიწადს გამოსცა სულ 6 ნომერი (ეს 6 ნომერი, ერთად შეკაზმული, ზ. ჭიჭინაძისაგან ძღვნად მიღებული, ვარლამ ჩერქეზიშვილმა ლონდონის მუზეუმს გადასცა, სადაც ქართულ განყოფილებაშია დაცული. 1905 წელს პროფ. ალ. ხახანაშვილმა აღწერა ჟურ. „მოამბეში“, №8). მისი თანამშრომელი იყვნენ: მიხა ჩოდრიშვილი, არაქელ ოქუაშვილი, ვანო ქურთიშვილი, აბრამ ცქიმიანაური, ივ. დოღმაზაშვილი („ქართველის“ ფსევდონიმით), პეტრე პეტრიაშვილი, გრ. ბასილაშვილი (ნორიელი სლესარი), ეფრემ მაისურაძე (ოყალი ჯადო), გ. დიაროვი (დორელი) და ზ. ჭიჭინაძე. ჟურნალში მხოლოდ მუშათა ყოფა-ცხოვრების შესახებ იწერებოდა.

წყარო:

1. ზაქარია ჭიჭინაძის ნაამბობი და ხელნაწერი;
2. ხახანაშვილი, ალ. ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები // მოამბე. - 1905. - №8, განყ. II. - გვ. 1-20;

3. ჭიჭინაძე, ზაქარია. ტფილისის მუშების პირველი ჟურნ. „მუშა“ // თეატრი და ცხოვრება. - 1923. - №3. - გვ. 13.

მეტიხა, ვასილ –

რევოლუციონერი – სამეგრელოს რევოლუციური მოძრაობის (1905) ერთი მონაწილეთაგანი, რომელიც „სამეგრელოს რესპუბლიკის“ საქმის გამო პასუხისგებაში იყო, მაგრამ საქმის გამოძიების დროს მიიმალა.

წყარო:

1. ჟღენტი, თენგიზ. რევოლუციონური მოძრაობა სამეგრელოში 1905 წ. - ტფ.: სახელგამი, 1929. - გვ. 73.

მეტრეველი, გლახუა ალექსის ძე (1868 –

1907, 26/1) – რევოლუციონერი, – იმერეთიდან (დაიბადა შორაპნის მაზ. სოფ. ჩხერში (ჯაფარეული), ქუთაისის გუბერნია). გლეხთაგანი.

რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება სამშობლო და მის მეზობელ სოფლებში 1903 წლიდან. 1905 წელს გლეხობამ ასისტავად აირჩია. იმავე წლის დეკემბერში თავისი რაზმით მონაწილეობდა წიფასთან [ლიხზე] კაზაკებთან შეტაკებაში. რეაქციის გამარჯვების შემდეგ, 1906 წელს დააპატიმრეს ქუთაისის ციხეში, 5 წლით გადაასახლეს ტობოლის გუბ., ქ. ტიუმენში, აქედან გადაიყვანეს პეტრეპავლოვსკში, სადაც ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 1907 წლის იანვრის 28.

მის შესახებ:

1. ვებქდავთ წერილს, რომელიც ქუთაისში მოვიდა ქალაქ ტიუმენიდან // ისარი. - 1907. - 15 თებერვალი. - №34. - გვ. 2. - ქუთაისის ქრონიკა.

წყარო:

1. 1917 წლამდე დაღუპულ რევოლუციონერთა ხსოვნას / სსსრ. საქ. კომპარტიის და რევოლუციის კომისია. - ტფ.: ჟურნ. რევოლუციის მატთანგე გამოც., 1923 (ზარია ვოსტოკას სტ.). - გვ. 90.

მეტრეველი, იასონ [საველი] ალექსის ძე

(1881, 1/IV –) – რევოლუციონერი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, – „რვა მუშელთა“ მესვეური, საიდუმლო სტამბის შემქმნელ-მწარმოებელი და თურქესტანის რევოლუციური მოძრაობის მეთაურთაგანი, – ზემო იმერეთიდან (დაიბადა სოფ. ჯაფარეულში, შორაპნის მაზ., გლეხის ოჯახში). მხოლოდ ერთი წელიწადი სწავლობდა სოფლის სკოლაში, – სკოლის გარეშე, თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მუშაობის დროს, 1899 წლიდან საღამოს კურსებზე სიარულით და პოლიტიკურ საქმეზე ციხეში პატიმრობის დროს წიგნების კითხვით თვითგანვითარებული, ხელობით ზეინკალი.

1904-1906 წლებში ჯარისკაცად მსახურობდა „პირველ იმერკასპის რკინიგზის ბატალიონში“ –

თურქმენეთში, ქ. ასხაბადში, სადაც ჩამოაყალიბა (1904) სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაცია, პროპაგანდას ეწეოდა ჯარსა და მუშებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ასხაბადის გარნიზონიდან მუდამ სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრად ირიცხებოდა, ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი იყო 1905-1906 წლებში, სხვადასხვა დროს, რუსის მეფის მთავრობის წინააღმდეგ ქ. ასხაბადის აჯანყებისა, რაც მთელი კასპის მხარეზე, ქალაქსა და რკინიგზებზე გავრცელდა. სამივე აჯანყების დროს ირიცხებოდა დროებითი მთავრობის და სამხედრო შტაბის წევრად. ქ. ასხაბადში საკუთარი თაოსნობით მოაწყო საიდუმლო სტამბა, თვითონ აწყო და ბეჭდავდა რუსულ არალეგალურ ჟურნალს „Сопдат“ და სხვა პროკლამაცია-ფურცლებს, რომლებიც მრავლად ვრცელდებოდა (ამ შრომის შესრულება ი. მეტრეველისთვის, მით უმეტეს, მძიმე იყო, რომ კონსპირატიული მოსაზრებით იგი ასხაბადის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრთა და სხვა ამხანაგებს უფარავდა სტამბის თავისთან არსებობას, – ამისთვის სპეციალური მუშები მოვიწვიე, იმათი ადგილ-სამუშაო არც მე ვიციო, – რის გამოც იგი თავისუფალი ეგონათ და ბევრ საძნელო საქმეს, განსაკუთრებით ჯარში რევოლუციურ მუშაობას, მას აკისრებდნენ და ი. მეტრეველიც ყოველივეს სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა, რათა ეჭვი არ აეღოთ და სტამბისთვის არ მიეგნოთ). თურქესტანში მისი ხელმძღვანელობით რევოლუციურ მუშაობა დაიწყო ჟურნალისტმა სარდიონ ახვლედიანმა, ფერშალმა არტემ ბერეკაშვილმა და რკინიგზის ტელეგრაფისტმა ავთანდილ თაყაიშვილმა. 1906 წლის აგვისტოს 17, ი. მეტრეველი ამ სტამბაში მუშაობის დროს შეიპყრეს და სამართალში მისცეს საიდუმლო სტამბაში მუშაობისა და 1906 წლის 15 ივნისს ჯარის აჯანყების გამო, მაგრამ გასამართლებამდე საპატიმროდან გაიქცა (1906, 20 სექტემბერს), უჩინრად ცხოვრობდა სხვადასხვა სახელ-გვარით (საველი ბოჭორიშვილი, ვასილ კახიანი, იოსებ ჩიჯავაძე, იოსებ ხუციშვილი) და განუწყვეტლივ პოლიტიკურ-რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. რეაქციის გაძლიერების (1907-1911) შემდეგ, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სულიერი გარდატეხა მოხდა, პარტიის წევრთა უმეტესობა მდგომარეობას შეურიგდა, ინტელიგენტები მუშათა ინტერესების სახელით იმავე მუშათა სულისკვეთებას გასაქანს არ აძლევდნენ და თვითმპყრობელობდნენ, – ი. მეტრეველი 1912-1914 წლებში ჭიათურაში მუშათა ერთი ჯგუფისაგან ოპოზიციონერი მიმდინარეობა შექმნა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაბატონებული არამუშური მიმართულების წინააღმდეგ. ამ ჯგუფმა თავისი შეხედულება გამოაქვეყნა 1914 წლის მარტის 18 (გაზ. „აზრი“, № 15), რომელსაც ხელს აწერდა ჭიათურის მონინავე რვა მუშა: Arbeiter-Li (თვით ი. მეტრეველი), ანდრიკო (ა. ა. მეტრეველი), ლი-ხუნ-ჩანგი (ფ. ნინუა), არკადი (მ. არველაძე), განკიცხული (აკ. მიქელაძე), ურეკე-

ლი (ი. თარგამაძე), პეტრენკო (პ. პეტრიაშვილი) და ხიზნიევი (შ. ჯაფარიძე, იგივე ხიზანიშვილი). აქედან წარმოიშვა მიმდინარეობის სახელწოდება „რვა მუშელები“, შემდეგში – „პროლეტარის ჯგუფი“, რომელთა შესახებ დიდი კამათი ატყდა პრესაში (გაზ.: „აზრი“, 1914, № 15-68; „ჩვენი აზრი“, 1914, № 8; „ფიქრი“, 1914, № 21-24; „ახალი ფიქრი“, 1914, № 2, 7; „ვარსკვლავი“, 1914, № 3; „ბათუმის გაზეთი“, 1914, № 41-43; „შრომა“, 1914, № 8, 11; „თანამედროვე აზრი“, 1916, № 134, 146; „ცხოვრება“, 1916, № 10, 12; „ჩვენი ერ.“, 1916, № 36 და სხვ.). ამ ოპოზიციის ხელმძღვანელობისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ 1915 წლის 3-5 ოქტომბერს ი. მეტრეველი პარტიიდან გარიცხა, დანარჩენთა კი გაფრთხილება გამოუცხადა. ოპოზიცია მაინც გაიზარდა, 1915 წლის 3-5 ოქტომბერს ჭიათურაში არალეგალური ყრილობა მოიწვია, დამოუკიდებელი მოქმედების გეგმა შეიმუშავა და საკუთარი ორგანოს გამოცემა გადანყვიტა (ამ ყრილობის დადგენილებანი, ი. მეტრეველის წინასიტყვაობით, იმავე წელს არალეგალურად ცალკე წიგნაკად გამოიცა „რვამუშელთა“ კონფერენციის რეზოლუციების“ სახელწოდებით). ყრილობას დაესწრნენ: თბილისიდან ვ. და ლ. სუხიშვილები, პ. ავლობაშვილი, ი. ჩხიკვაძე; გორიდან – ნ. კაციაშვილი, – ყოფ. სათათბიროს წევრი; ჭიათურიდან – ი. მეტრეველი და შ. ჯაფარიძე; ქუთაისიდან – რ. კალაძე; გურიიდან – აპ. ორაგველიძე და სხვ. ი. მეტრეველის რწმენით, საქართველოს მუშათა საქმეს, მწერლობისა და სახელმწიფოებრივ-ქონებრივ ყოფა-ცხოვრების მონსკრიგებას თვით მუშები უნდა ხელმძღვანელობდნენ და არა მათი სახელით მოფუსფუსე ინტელიგენტები. მუშათა ხმასა და გავლენას ნამდვილი ფასი უნდა ჰქონდეს, აბუჩად არ იღებდნენ, მუშათა ორგანო ყოველმხრივ მუშებისავე კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, წმინდა მარქსისტული მიმართულების, იდეეს კლასობრივ თვალსაზრისზე, იცავდეს მუშათა კლასის გონებრივ-ზნეობრივ და პოლიტიკო-ეკონომიურ ინტერესებს, უმთავრესად, მუშათა ბრძოლის იარაღი იყოს. „მუშათა მოძრაობის ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა მუშებისაგან, თვით მუშათა სიღრმიდან საკუთარი კლასობრივი იდეოლოგიებისა და ხელმძღვანელების წარმოშობა-გამომუშავებაო: მუშა-მწერლები, მუშა-პუბლიცისტები, მუშა-პროპაგანდისტები, – როდესაც ყოველივე ამათ თავის საკუთარი წრიდან წარმოშობს მუშათა კლასი, მხოლოდ მაშინ იქნება მუშათა მოძრაობა სწორ ნიადაგზე და უძლეველი“-ო.

მწერლობა დაიწყო ცხრაასიან წლებში ლექსებით. მისი ლექსთა კრებული, რევოლუციური შინაარსისა, 1903 წელს ცენზორმა აკრძალა. შემდეგ წერდა იუმორისტულ ჟურნალებში. 1907 წელს პარტიულ-პოლიტიკური შინაარსის წერილების წერას შეუდგა. პირველი წერილი „ფრაქციული უთანხმოების გამო“, მუშა საველის ფსევდონიმით მოათავსა 1907 წლის გაზ. „წყაროში“ (№ 24). თანამშრომლობდა პარტიულ ორგანოებში („ელვა“,

„ხომლი“, „ბათუმის გაზეთი“, „ცხოვრება“, „სიმართლის ხმა“, „სხივი“ და სხვ.).

1917 წლის იანვრის 15-დან გამოსცა კვირეული ჟურნალი „პირველი ნაბიჯი“, შემდეგ იგივე – „პროლეტარის“ სახელით წოდებული, მარქსისტული მიმართულებისა, რომლის ფაქტიური რედაქტორი და სულის ჩამდგმელი თვით ი. მეტრეველი იყო. ჟურნალში, უმეტესად, თვითვე წერდა.

ფსევდონიმები: მუშა საველი, Arbeiter-Li, Genug, G., L., ინხანი, მკითხველი, მანი, მანსელიძე, გული და სხვ.

ორივე გამოცემის („პირველი ნაბიჯი“ და „პროლეტარი“) მეთაურები, სახელმძღვანელო და ყველა ხელმოწერა ნერილები მის კალამს ეკუთვნის. უმთავრესად, წერდა ფრაქციული უთანხმოების შესახებ, რევოლუციისა და ჩვენი მთავრობის მიზნებზე, შეთანხმების აუცილებლობაზე და სხვ. რუსეთის რევოლუციის პროცესში ებრძოდა მარჯვნივ შავსა და მარცხნივ „ნითელ“ რეაქციას – ორივეს უფსკრულისაკენ მივყავართო.

ი. მეტრეველს მოღვაწეობის მთავარ მიზნად დასახული ჰქონდა ჩაგრულ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის უანგარო სამსახური, ყოველგვარი ბოროტება-უკუღმართობის აშკარა მხილება-გმობა. ამიტომაც ჟურნალის გამოცემაში მუშა ხალხი ეხმარებოდა ნივთიერად. ი. მეტრეველი თავისი ჯგუფით მონათესავე პარტიებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ერთნი თუ დღესვე აღიარებდნენ სოციალიზმის განხორციელებას, მეორენი – თანდათანობით, 6 წლის განმავლობაში. ი. მეტრეველი ერთსაც და მეორესაც უტოპიად აღიარებდა: სოციალიზმის დამყარება შორეული საკითხია, რომლის დასამყარებლად ჯერ კიდევ განვითარების დიდი გზა გასავლელია. სადღეისოდ შესაძლოდ აღიარებდა დემოკრატიული წყობილების თანდათან განვითარების გზით დამყარებას, საბოლოოდ კი სოციალიზმის შექმნას. მისი აზრით, დინამიტი მაშინაა კარგი, როცა კლდეებს აფეთქებ, ხოლო როცა სასახლეებსა და ხიდებს – დასაგმობია.

ი. მეტრეველის რევოლუციური მოღვაწეობისა და თურქესტანის აჯანყებათა შესახებ ვრცელი ისტორია დაწერა მისმა მონაწილემ არტ. ბერეკაშვილმა, იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით, რომელიც გამოსაცემად შეიძინა (1931) თურქესტანის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტმა.

მის წერილთაგან აღსანიშნავია:

1. ფრაქციულ უთანხმოების გამო // წყარო. - 1907. - 25 ნოემბერი. - №24. - გვ. 3;
2. სად. წალვერი: (გორის მაზრა) // ხომლი. - 1908. - 16 ივლისი. - №3. - გვ. 3;
3. „ამან გატკინა, ამან გარჩინოს“ ტაქტიკა: (მოსკოვის თათბირის გამო) // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №22. - გვ. 338;
4. მიზეზი, შედეგები და გამოსავალი გზა // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №33. - გვ. 513-514;
5. სამოქალაქო ომის წინაშე // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №13. - გვ. 194;

6. თბილისი, 23 ივნისი: სად არის ხსნა? // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №16. - გვ. 242;
7. ორი საფლავი: [ნეკროლოგი] // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №17. - გვ. 258-259;
8. რუსეთის რესპუბლიკიდან „შუშუნამდე“: (უნებლიეთი მიბაძვა) // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №16. - გვ. 243-244;
9. სამარცხვინო „ზავი“ // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №3. - გვ. 33-34;
10. ძველი და ახალი გერმანია // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №30. - გვ. 466;
11. ძველი და ახალი წელი // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №40. - გვ. 626-628;
12. ჭირვეული დედაკაცი // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №28. - გვ. 434.

აგრეთვე, გამოქვეყნებულია:

1. სოფელი ხეფინიხევი (შორაპნის მაზრა): [მაზრის უფროსის ბრძანებით, სოფლის მცხოვრებთა ანიოკება კაზაკების მიერ] // ზარი. - 1906. - 24 დეკემბერი. - №5. - გვ. 3;
2. დ. ხაშური // ლახვარი. - 1907. - 8 მაისი. - №23. - გვ. 2; წყარო. - 1907. - 27 ნოემბერი. - №25. - გვ. 4;
3. ბ. რედაქტორო!: გთხოვთ თქვენ გაზეთში... // ეკალი. - 1908. - 5 ოქტომბერი. - №29. - გვ. 4;
4. ქართლი. დ. ხაშური // ალი. - 1908. - 9 ნოემბერი. - №7. - გვ. 3;
5. შორაპნის დეპო // ჩვენი საქმე. - 1909. - 25 თებერვალი. - №18. - გვ. 4;
6. კონცენტრაცია და პროლეტარიზაცია: სოფლის მეურნეობა გერმანიაში // დროება. - 1910. - 3 იანვარი. - №2. - გვ. 2;
7. სად. ქუთაისი // ახალი აზრი. - 1910. - 8 ოქტომბერი. - №6. - გვ. 4;
8. ჭიათურა // ახალი გზა. - 1910. - 14 აგვისტო. - №46. - გვ. 4; 22 აგვისტო. - №53. - გვ. 4; საქმე. - 1910. - 11 სექტემბერი. - №9. - გვ. 4; ეშმაკის მახე. - 1911. - №8. - გვ. 4-5;
9. დეპუტები: (მანსელიძის დეპ. სააგენტოსაგან) // ეშმაკის მახე. - 1911. - №6. - გვ. 4;
10. კენს: (ვუძღვნი ლ. მ-ს) [ლექსი] // ეშმაკის მახე. - 1911. - №7. - გვ. 10;
11. საგანგებო მოხსენება // ეშმაკის მახე. - 1911. - №11. - გვ. 12;
12. კიდევ რევოლუციის კრიზისი და მომავლის იმედები // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №19. - გვ. 290-291;
13. პარტიული პროვოკატორი: (კოლია კვერნაძის ხსოვნას) // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №16. - გვ. 246-248. - პროლოგად აკაკი წერეთლის ლექსი;
14. პასუხი ღია წერილზე // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №31. - გვ. 491-492;
15. სასურსათო კრიზისი და რევოლუციის ნაძირალები // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №27. - გვ. 418;
16. შეერთების საკითხი // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №12. - გვ. 178-179;
17. ახალი ტალღა // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №34. - გვ. 530;
18. ახალი ფაქტი // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №29. - გვ. 449;

19. ვინ რას აკეთებდა?: (წლის თავის გამო) // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №1. - გვ. 4-5;
20. მოგონება // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №42. - გვ. 670-671;
21. კიდევ ჭირვეულ დედაკაცზე // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №31. - გვ. 482-483;
22. სახალხო გვარდია // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №33. - გვ. 514;
23. ხაშურის გმირები: (წლის თავის გამო) // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №2. - გვ. 13-14. - ტექსტს დართული აქვს პორტრეტები.

მის შესახებ:

1. გიორგობიანი, ზურაბ. ბ-ნო რედაქტორო... // ცის ნამი. - 1907. - 24 დეკემბერი. - №10. - გვ. 4. - წერილი რედაქციის მიმართ;
2. მცირე შენიშვნა // წყარო. - 1907. - 9 დეკემბერი. - №36. - გვ. 2;
3. პარნასი. ფრაქციულ უთანხმოებაზე // წყარო. - 1907. - 9 დეკემბერი. - №36. - გვ. 4;
4. მეორე დუმის ყოფილ დეპუტატების სასარგებლოდ... // ჩვენი აზრი. - 1909. - 17 ივნისი. - №40. - გვ. 3.

წყარო:

1. ჯაფარიძე, შ. „რვა მუშის“ ისტორიისათვის;
2. Закавказское обозрение. - 1906. - 19 сентября. - № 209. - გვ. 2;
3. აზრი. - 1914. - № 15-68;
4. „რვა მუშელთა“ კონფერენციის რეზოლუციები. - 1915. - [არალეგალური გამოცემა];
5. 1917-1919 წლების „პირველი ნაბიჯი“ და „პროლეტარი“;
6. Коммунист / თვიური ჟურნალი, თურქესტანის ცკ კპ-ს ორგანო. - 1922. - № 7-8. - გვ.: 113-115, 118-119, 121;
7. რევოლუციის მატრიანე. - 1923. - № 5. - გვ. 36-48; 1924. - № 1 (6). - გვ. 98-100;
8. სიმართლის ხმა. - 1923-1924. - № 28-37;
9. Мелькумов, Андроник Александрович. Материалы революционного движения в Туркмении 1904-1919 гг. / Андроник Мелькумов; С предисл. т. Варейкиса; [Под. ред. т. Е. Федорова]; Комис. по истории Октябрьск. революции и Рос. ком. партии (б). Истпарт. Центр ком. Ком. партии Туркестана. - [Ташкент]: [б. и.], [1924] (тип. ГПУТ). - с. 50-52.

მეტრეპედი, ლევან თეოდოს ძე (1886, 10/ XII – 1941, 27/VIII) – მწერალი, – ბელეტრისტი,

პროზაიკოსი, კრიტიკოსი და რევოლუციონერი, – ქართლიდან (დაიბადა გორის მაზ. სოფ. ვაყაში, გლეხის ოჯახში. დედა – შინაური განათლებით, მამა – გუთნის დედა, – მინის მუშა). წერა-კითხვა დაწყებინა ბიძაშვილმა ქალმა. სწავლობდა თბილისში – ქაშვეთის სამრევლო სკოლასა და ქართულ გიმნაზიაში, გაკვრით – პეტერბურგის უნივერსიტეტში. ქართულის გარდა, იცოდა ფრანგული და რუსული ენები. გამოსცადა ბევრნაირი საქმიანობა: იყო

მწყემსად, მეხრედ, მინის მთხრელად, ქარხნის მუშად, მენიგნედ, მეზღვაურად, თეატრის მუშაკად, მებაღედ – საფრანგეთში, დურგლად, მღებავად და შოფრად – პარიზში, მეურნედ სამშობლო სოფელში და სხვ. მოიარა რუსეთის უდიდესი ქალაქები და თითქმის მთელი ევროპა: გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ავსტრია, იტალია, ბალკანეთი, ინგლისი, შვეცია, ნორვეგია, ფინეთი, ოსმალეთი... 1913 წელს მარტოდმარტო ფეხით ავიდა ვეზუვის თავზე და ვულკანის ხახაში ჩაიხედა, საიდანაც მოესმა საზარელი ხმაური, – მთელ მსოფლიოში იმ დროს ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ქვესკნელის გუგუნი ესმოდა.

პოლიტიკურ-რევოლუციურ საქმიანობაში ჩაება 1900 წლიდან: არალეგალური სტამბა მოანყო ნაძალადევეში, შემდეგ ციციანთ (= კალიაევის) აღმართზე, კამოსთან ერთად, 1904 წელს; 1905 წლის ნოემბერში მონაწილეობდა შავი ზღვის ესკადრის აჯანყებაში კაპიტან პ. შმიდტთან († 1906) ერთად, რის შესახებაც 1905 წელს ნაძალადევეში, მუშათა მიტინგზე დიდი მოხსენება გააკეთა, ხოლო შემდეგ იგივე 5 ფელეტონად დაბეჭდა ფ. გოგინაიშვილის გაზ. „ივერიაში“ სათაურით „ნითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე“ (1905, დეკემბრის ნომრები); ამავე 1905 წელს, ბაქოში არეულობის დროს პირველმა ტყვიამ დასჭრა მუხლში, სადაც სიკვდილს რევოლუციონერმა ქალმა – მარიამ ბესტერჟნაიამ გადაარჩინა. 1921 წლის თებერვლის 24-25, საქართველოს გასაბჭოების ღამეს, თბილისის წესრიგის დამცველი კომიტეტის ხელმძღვანელი იყო, ვიდრე ქალაქში წითელი ლაშქარი შემოვიდოდა (ეს ამბავი აღწერილი აქვს ნიგნაკში „განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში“, ტფ., 1931). პოლიტიკურ-რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის გადიტანა დევნა: ციხეში პატიმრობა (1903 წელს – მეტეხში, 1904 წელს – ბათუმში), გადასახლება, მალვა, დიდი გაჭირვება. გარდაიცვალა ქლექით. დაკრძალულია თბილისში, ვაკეზე – პანთეონში.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1901 წელს („მოგზაური“, № 4). 1905 წლიდან განუწყვეტლივ თანამშრომლობდა თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში. სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა გარდა, წერდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კრიტიკულ და საზოგადოებრივ საკითხების შესახებ მხატვრულ-ქრონიკული ხასიათის წერილებს.

მისი ფსევდონიმებია: ლელი, დავიდარაბა, ლეონარდო, პროლეტარი. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული და სააღმშენებლო ყოფა-ცხოვრება საუცხოო, სურათოვანი ენით აღწერა (გაბნეულია ჟურნალ-გაზეთებში).

იყო მუდამ მოკრძალები, მორიდებული, არაყოყნოვანი, თუმცა მისი ყოველი სიტყვიერი გამოსვლა საჯაროდ თავისი ენამზებობით, დახვეწილი ქართულით, სიღარბისლით და აზროვნებით საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. ყველაზე მეტად ემძიმებოდა ტაშის დაკვრა და „ვაშას“ ძახილი. ქართულ ლექსიკონში ეჯავრებოდა სიტყვა „უბედური“ და ამას არც მწერლობაში ხმარობდა.

ცალკე გამოცემულია:

1. ცივ ლამეში ცივი ფიქრებით: (ლექსისებური) / ლევ. მეტრეველი. - თბ.: ახოსპირელი, 1910 (ტ.მ. რო-ტინიანცის სტ.). - 16 გვ.; 18 სმ.;
2. ქართული ანდაზები. წინათქმით. - ტფ., 1926 (ს.ს.მ.უ.ს. პოლ-ტრესტის 1-ლი სტ.). - XIV, 110, [1] გვ.; 18სმ.; მე-2 გამოც. - ტფ.: სახელგამის გა-მა და 1-ლი სტ., 1936. - 94 გვ.; 18სმ.; მე-2 გადამუშ. გამოცემა. - თბ.: საბლიტგამი, 1941. - 120 გვ.; 17სმ.;
3. განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში. - ტფ.: სახელგამის გა-მა, 1931 (სახელგამის 1-ლი სტ.). - 32 გვ.; 17სმ.;
4. ამბავთა ქარავანი: (ცხოველთა სამეფოში). საშუალო ასაკისათვის / მხატვ.: შ. ძნელაძე. - ტფ.: სახელგამი, საბ. და ახალგ. სექტ. გა-ბა, 1934 (კომუნისტის სტ.). - 64 გვ.; 22სმ.;
5. ორი გმირი: [საშუალო ასაკისათვის] / მხატვ.: დონი. - ტფ.: სახელგამის საბ. და ახალგაზრ. სექტ. გა-მა და 1-ლი სტ., 1935. - 61 გვ.; ილ.; 22სმ.;
6. ჯაგანი: [მოთხრობა] / მხატვ.: ლ. ზაალიშვილი. - თბ.: ფედერაცია და სტ., 1936. - 283 გვ.; 17სმ.;
7. ცხრათვალა მზე: მოთხრობების კრებული. - თბ.: ფედერაცია-ს გამომცემლობა და სტამბა, 1939. - 280 გვ.; 21სმ.;

შეადგინა და დასაბეჭდად გადასცა:

1. ანთებული ქართლი – „სახელგამს“;
2. მზე-ჭაბუკის თავგადასავალი;
3. სიუჟეტურად აკინძული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები „აკიდო“ – „მნათობის“ რედაქციას;
4. ქართულ თავანკარა სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი.

მის ნაწარმოებთაგან, აგრეთვე, აღსანიშნავია:

1. ვეფხვი საქართველოში;
2. ქართლის დედა;
3. შანტიკლერი: [კრიტიკული პოემისებური].

გამოქვეყნებულია:

1. ნარიყალა: (ფუძღვნი რაფიელ ერისთავის ხსოვნას) [ლექსი] // მოგ ზაური. - 1901. - №4. - გვ. 309-310;
2. წითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე: [დამსწრეს შთაბეჭდილებანი] // ივერია. - 1905. - 1 დეკემბერი. - №216. - გვ. 1-2; 2 დეკემბერი. - №217. - გვ. 1; 3 დეკემბერი. - №218. - გვ. 3-4; 6 დეკემბერი. - №220. - გვ. 3-4;
3. კიდევ ჩვენი სოციალ-დემოკრატები: [პასუხი „ესდეკ სიმონას“ ფედერალისტურ პროვოკაციაზე] // მეგობარი. - 1906. - 22 დეკემბერი. - №73. - გვ. 2-3; 23 დეკემბერი. - №74. - გვ. 2-3;
4. პასუხად „ამაზე რას იტყვი, მუშებო?“. [კამათი გაზ. „მუშაში“ მოთავსებულ წერილზე ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ] // ტალღა. - 1906. - 11 აგვისტო. - №11. - გვ. 3;
5. არჩილ ჯაფარიძის ხსოვნას // დროება. - 1908. - 20 დეკემბერი. - №28. - გვ. 4;

6. თქვენი გაზეთის მე-8 ნომერში... // ეკალი. - 1908. - 18 სექტემბერი. - №15. - გვ. 4. - წერილები რედაქციის მიმართ;
7. ილიას საღამო საზაზინო თეატრში // ჩვენი კვალი. - 1908. - №24. - გვ. 387-388;
8. კითხვები უპასუხოთ: [ესკიზი] // ჩვენი კვალი. - 1908. - №21. - გვ. 334-335;
9. მნათობთა ჩივილი: [ესკიზი] // ჩვენი კვალი. - 1908. - №23. - გვ. 368-370; №24. - გვ. 381-389;
10. მოვითხოვოთ პატიება! // დროება. - 1908. - 4 დეკემბერი. - №14. - გვ. 2-3;
11. მუდარა: [ნოველა] // ჩვენი კვალი. - 1908. - №18. - გვ. 284-285;
12. მცირე პასუხი „ეკალს“ // ჩვენი კვალი. - 1908. - №22. - გვ. 346-347;
13. როგორი ბრძოლა // ამირანი. - 1908. - 21 სექტემბერი. - №163. - გვ. 2;
14. საჭიროა თუ არა პარტიოზა „წერა-კითხვის“ საზოგადოებაში // დასაწყისი. - 1908. - 6 მარტი. - №3. - გვ. 3;
15. შემოქმედებითი მუშაობა და პარტიები ჩვენში // ცხოვრების სარკე. - 1908. - 26 აპრილი. - №4. - გვ. 3-4; 3 მაისი. - №10. - გვ. 4; 7 მაისი. - №13. - გვ. 4;
16. ცოტა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე // ჩვენი კვალი. - 1908. - №4. - გვ. 58-60; №7. - გვ. 107-109. - სტატიაზე გამოხმაურება იხ.: „ამირანი“ (მეთაური). - 1908. - №103. - გვ. 103. - ლ. მეტრეველის პასუხი: ცოტა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე (პასუხით „ამირანს“) იხ. „ჩვენი კვალი“. - 1908. - №10. - გვ. 151-153;
17. წერილი რედაქციის მიმართ // მზე. - 1908. - 20 ოქტომბერი. - №3. - გვ. 4;
18. იმედი: (საახალ-წლოდ) [ძველი და ახალი წლის გასაუბრება] // დროება. - 1909. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 3;
19. ობლის ღვთაება: [მოთხრობა] // დროება: სურათებიანი დამატება. - 1909. - 15 ნოემბერი. - №255. - დამატ. №45. - გვ. 1-4;
20. სად არის ჭეშმარიტება... // საქართველოს მოამბე. - 1909. - №3. - გვ. 8-9;
21. უცარი ტალღა: დრამა ოთხ მოქმედებად. [პიესა] // დროება: სურათებიანი დამატება. - 1909. - 9 აგვისტო. - №176. - დამატ. №31. - გვ. 1-4; 15 აგვისტო. - №181. - დამატ. №32. - გვ. 1-4; 23 აგვისტო. - №187. - დამატ. №33. - გვ. 2-4; 29 აგვისტო. - №192. - დამატ. №34. - გვ. 1-4; 6 აგვისტო. - №198. - დამატ. №35. - გვ. 1-4; 13 სექტემბერი. - №203. - დამატ. №36. - გვ. 1-4; 20 სექტემბერი. - №208. - დამატ. №37. - გვ. 1-4; 27 სექტემბერი. - №214. - დამატ. №38. - გვ. 2-3;
22. ახალ წელს: [ჩანახატი] // დროება. - 1910. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 4;
23. დაიხარა ამჟამ თავი!...: [მინიატურა] // ერი. - 1910. - №6. - გვ. 10-12;
24. ერთი გულიდან ამონათქვამი: „მოგონების“ სურათზე // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №8. - გვ. 6-7;
25. თუმცა ქვეყნათ ვცხოვრობ...: [ლექსი] // საქართველოს მოამბე. - 1910. - №12. - გვ. 6;
26. ლანდია: (დრამატული ნაწარმოები ოთხ ნაწილად) // სახალხო გაზეთი: სურათებიანი დამატება. - 1910.

- 12 სექტემბერი. - გაზ. № 106, დამატ. № 18. - გვ. 1-4; 19 სექტემბერი. - გაზ. № 11, დამატ. № 19. - გვ. 1-4; 26 სექტემბერი. - გაზ. № 117, დამატ. № 20. - გვ. 2-4; 3 ოქტომბერი. - გაზ. № 122, დამატ. № 21. - გვ. 2-4; 10 ოქტომბერი. - გაზ. № 128, დამატ. № 22. - გვ. 1-4; 17 ოქტომბერი. - გაზ. № 134, დამატ. № 23. - გვ. 1-4; 31 ოქტომბერი. - გაზ. № 146, დამატ. № 25. - გვ. 2-4; 7 ნოემბერი. - გაზ. № 152, დამატ. № 26. - გვ. 2-4; 14 ნოემბერი. - გაზ. № 158, დამატ. № 27. - გვ. 2-4;
27. მე უნდა გავხდე დიდი მწერალი: (ნერილი მეგობართან) // ხალხი. - 1910. - 15 მარტი. - №11. - გვ. 2-3. - პატარა ფელეტონი;
28. სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №1. - გვ. 7-8; №2. - გვ. 4-5; №3. - გვ. 5-6; №4. - გვ. 14-15; №6. - გვ. 4-6;
29. სული ყვავილად ქცეული: (ნოველა) // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №13. - გვ. 4-7;
30. შორეულს: (ლექსიკური) // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №2. - გვ. 12-13;
31. სულის აღსარება: ნარუანს ნაცვლათ სალამისა // ხელოვნება. - ქუთაისი, 1919. - №2. - გვ. 21-23;
32. გაოხრებული სასახლე: [ლექსი] // ლეილა: სამხატვრო-სალიტერატურო კრებული / რედაქტორი ი. გრიშაშვილი. - თბ., 1920. - გვ. 8;
33. ღვინის ტრესტის გარშემო. თავს იმართლებენ: [პასუხად ღვინის ტრესტის გამგეობას] // კომუნისტი. - 1922. - 2 დეკემბერი. - გვ. 2;
34. ღვინის ტრესტის მოღვაწეებს: [საპასუშო წერილი] // კომუნისტი. - 1922. - 15 დეკემბერი. - გვ. 3;
35. ღვინის ქარხნის მოღვაწენი: [გომის სახელმწიფო სპირტის სახდელი ქარხნის შესახებ] // კომუნისტი. - 1922. - 24 ნოემბერი. - გვ. 2;
36. ღალატი: [მინიატურა] // ჩირალდანი. - 1923. - №2. - გვ. 10;
37. ჩვენი თეატრის ბედ-იღბალზე // კომუნისტი. - 1923. - 16 ოქტომბერი. - №237. - გვ. 3; 19 ოქტომბერი. - №240. - გვ. 3-4;
38. ჩვენი თეატრის ბედ-იღბალზე: [მომავალი სეზონის რეპერტუარი] // კომუნისტი. - 1923. - 18 ოქტომბერი. - №239. - გვ. 3;
39. ჩვენი თეატრის ბედ-იღბალზე: [როგორი უნდა იყოს რეპერტუარი]: ჩვენი ხალხი და თეატრი // კომუნისტი. - 1923. - 17 ოქტომბერი. - №238. - გვ. 3-4;
40. ცხოვრების დღიურიდან: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1923. - 21 ოქტომბერი. - №242. - გვ. 4;
41. არწივთან ბრძოლა: [ლექსი] // ჩირალდანი. - 1924. - №3. - გვ. 4;
42. ბეგლარ ახოსპირელი: ნეკროლოგი სუფლიორზე // სახიობა. - 1924. - №1. - გვ. 77;
43. გედის სიკვდილი: [ლექსი] // ჩირალდანი. - 1924. - №7. - გვ. 6-7;
44. დარიალის ხეობაში: [მგ ზავრის შთაბეჭდილებანი] // კომუნისტი. - 1924. - 15 ოქტომბერი. - №236. - გვ. 4;
45. ველური და ლეკის ქალი: [მოთხრობა] // დროშა. - 1924. - №12. - გვ. 17-21;
46. ვეფხვი საქართველოში: [მოთხრობა] // დროშა. - 1924. - №14. - გვ. 13-15;
47. თბილისის ორი სული: [ჩანახატი ძველი და ახალი თბილისის] // კომუნისტი. - 1924. - 16 ნოემბერი. - №262. - გვ. 4;
48. თვალის გადავლება ჭიათურაზე // კომუნისტი. - 1924. - 21 დეკემბერი. - №292. - გვ. 4;
49. მიქელას ბედი: [მოთხრობა] // ჩირალდანი. - 1924. - №15-16. - გვ. 14-15;
50. საახალწლოდ მწერალთა კავშირს, „ქართულ სიტყვას და სხვა“: [საახალწლო ნაკვეთები] // ჩირალდანი. - 1924. - №3. - გვ. 8;
51. სამი შეხვედრა: [მხატვრული ნარკვევი] // დროშა. - 1924. - №15. - გვ. 15-19;
52. ძუ ლომის სიკვდილი: [მოთხრობა] // დროშა. - 1924. - №18. - გვ. 2-7;
53. ელექტრო ქალაქი ზემო ავჭალაში // კომუნისტი. - 1925. - 29 ნოემბერი. - №275. - გვ. 6;
54. ზამთრის სურათები // კომუნისტი. - 1925. - 4 იანვარი. - №3. - გვ. 4;
55. თბილისის სურათები: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1925. - 19 აპრილი. - №89. - გვ. 3-4;
56. კახეთში: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1925. - 31 მაისი. - №123. - გვ. 5-6;
57. პეტრე შმიდტი: [ნოველა] // ჩირალდანი. - 1925. - №6. - გვ. 2-3;
58. სამთავისის კომუნა // კომუნისტი. - 1925. - 22 ნოემბერი. - №169. - გვ. 5-6;
59. სვანეთის მთებში: [მოგ ზაურის ჩანაწერები] // კომუნისტი. - 1925. - 20 სექტემბერი. - №216. - გვ. 3; 22 სექტემბერი. - №217. - გვ. 3;
60. სვანეთის მთებში: [შთაბეჭდილებანი] // კომუნისტი. - 1925. - 11 ოქტომბერი. - №234. - გვ. 5; 15 ოქტომბერი. - №237. - გვ. 2; 18 ოქტომბერი. - №240. - გვ. 6;
61. სვანეთის მთებში. ჩოლურის თემი: სვანური სახლი: [მოგ ზაურობის ჩანაწერები] // კომუნისტი. - 1925. - 29 სექტემბერი. - №223. - გვ. 4-5;
62. სიმბილის ოინი: (ნამდვილი ამბავი) // ჩირალდანი. - 1925. - № 19-20. - გვ. 3-4;
63. ბორჯომის ხეობაში: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1926. - 19 სექტემბერი. - №214. - გვ. 5; 29 სექტემბერი. - №221. - გვ. 3;
64. მეცხვარეებში: [კახეთის საძოვრებზე] // კომუნისტი. - 1926. - 1 მაისი. - №98. - გვ. 5;
65. ორი იანვრის სადღესასწაულო წარმოდგენა: [შექსპირის „ჰამლეტი“ რუსთაველის თეატრის სცენაზე] // კომუნისტი. - 1926. - 5 იანვარი. - №3. - გვ. 5;
66. ორი ძალა. მთები: [მოთხრობა] // კომუნისტი. - 1926. - 25 ივლისი. - №168. - გვ. 5;
67. ორი ძალა: [მოთხრობა] // კომუნისტი. - 1926. - 25 ივლისი. - №168. - გვ. 5;
68. სახელმწიფო აკადემიური დრამა // კომუნისტი. - 1926. - 20 იანვარი. - №15. - გვ. 6;
69. ქართლის გულში დეგოთოს ნისქვილები: [უყურადღებოდ მიტოვების გამო] // კომუნისტი. - 1926. - 12 სექტემბერი. - №208. - გვ. 5;
70. ქართლის გულში: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1926. - 20 ივნისი. - №139. - გვ. 5;

71. ქართული დრამა // კომუნისტი. - 1926. - 10 აპრილი. - №80. - გვ. 3;
72. შილერის „ყაჩაღები“ // კომუნისტი. - 1926. - 10 თებერვალი. - №32. - გვ. 5;
73. დასასრული უდიდესი დასაწყისისა: [ზაპესი - 26 ივნისი] // კომუნისტი. - 1927. - 29 ივნისი. - №145. - გვ. 4;
74. ჯავახეთის ტრიალოზე: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1927. - 2 ოქტომბერი. - №223. - გვ. 5; 1927. - 9 ოქტომბერი. - №229. - გვ. 5;
75. ჯავახეთის ტრიალოზე: ცხრა-წყაროს ქედისაკენ: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1927. - 25 სექტემბერი. - №217. - გვ. 5;
76. გავდივარ „არიფონი“-ს ჯგუფიდან: წერილი რედაქციის მიმართ: [განცხადება ლიტერატურული ჯგუფის „არიფონი“-ს დატოვებასა და საბჭოთა მწერალთა ფედერაციაში გადასვლის გამო] // კომუნისტი. - 1928. - 15 ივნისი. - №137. - გვ. 4;
77. ნატახტარი: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1928. - 8 ივლისი. - №157. - გვ. 5;
78. სამხრეთ-ოსეთში: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1928. - 14 ოქტომბერი. - №239. - გვ. 5; 21 ოქტომბერი. - №245. - გვ. 5;
79. ულამაზეს ხეობაში: [ბორჯომის ხეობის შესახებ]: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1928. - 2 სექტემბერი. - №204. - გვ. 2;
80. ცხოველთა სამეფოში: [ზოოლოგიური მიმოხილვა] // კომუნისტი. - 1928. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 5; 5 თებერვალი. - №30. - გვ. 5;
81. წალვერის ნიაღში: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1928. - 19 აგვისტო. - №192. - გვ. 5;
82. იძვრებიან ცემენტის გორები: [კასპის ქარხანა] // კომუნისტი. - 1930. - 26 ოქტომბერი. - №251. - გვ. 3;
83. რიონპესი: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1930. - 18 ივლისი. - №167. - გვ. 3;
84. ფოლადის კამეჩებთან: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1930. - 22 ნოემბერი. - №274. - გვ. 2;
85. ქუთაისის არემარზე: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1930. - 7 აგვისტო. - №183. - გვ. 3;
86. ჩაის წალკოტში: აჭარისტანი: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1930. - 22 ივნისი. - №143. - გვ. 3;
87. ჩაი: [წერილები] // კომუნისტი. - 1930. - 24 იანვარი. - №144. - გვ. 5;
88. მივინყებულნი წარმოება: საბუეს ფიქალი // კომუნისტი. - 1931. - 21 აგვისტო. - №193. - გვ. 3;
89. ჩვენი დონბასი: [ტყიბულის მალარობის მუშაობის შესახებ] // კომუნისტი. - 1931. - 16 სექტემბერი. - №213. - გვ. 2; 17 სექტემბერი. - №214. - გვ. 3;
90. საქართველოს გზების რკალზე: შთაბეჭდილებანი // კომუნისტი. - 1932. - 6 ივნისი. - №131. - გვ. 3;
91. შირაქი: [ნარკვევი მის ახალ მომავალზე] // კომუნისტი. - 1932. - 10 აგვისტო. - №185. - გვ. 3;
92. მარქსის ძეგლი თბილისში // კომუნისტი. - 1933. - 11 ოქტომბერი. - №235. - გვ. 4;
93. ზარმაცი: ლექსი ჩონგურზე დასამღერებელი. ჩანერა მწერალმა ლევ. მეტრეველმა // კოლექტივიზაცია. - 1934. - №201;
94. მზად ვართ!: [ნარკვევი პიონერთა ბანაკებზე] // კომუნისტი. - 1934. - 26 ივლისი. - №171. - გვ. 3;
95. ოქროს ფასი ოქრომჭედელმა იცისო: [ანდაზების კრებულის გამოცემის აუცილებლობისათვის] // ლიტერატურული გაზეთი. - 1934. - №30;
96. როდის გამოცოცხლდება სოლანლულის ველები: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1934. - 10 სექტემბერი. - №210. - გვ. 3;
97. ცხვართან და მწყემსთან სამგორის ველზე // სალიტერატურო გაზეთი. - 1934. - №12;
98. ამბავი ერთი აღმოჩენისა: [ხილისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის პროფ. ლ. ლეონიძისეული მეთოდის შესახებ] // კომუნისტი. - 1935. - 15 იანვარი. - №138. - გვ. 2;
99. გამარჯობა დიდო თბილის-ქალაქო // კომუნისტი. - 1935. - 18 აპრილი. - №92. - გვ. 3;
100. ელდარის ფარასთან ქაჩაღორაზე: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1935. - 29 ოქტომბერი. - №252. - გვ. 3;
101. ზღვისა და ხმელეთის ნებიერი ქალაქი: [ნარკვევი სოხუმზე] // კომუნისტი. - 1935. - 28 ივნისი. - №149. - გვ. 3;
102. მაისის რთველი: ნარკვევი // კოლექტივიზაცია. - 1935. - №115. - გვ. 3;
103. პალმებით გახარებულ ქალაქში: [ნარკვევი ქალაქ ბათუმის შესახებ] // კომუნისტი. - 1935. - 18 მაისი. - №115. - გვ. 3;
104. პირველი გამოსვლა ტრიბუნაზე: [ნაწყვეტი ნოველიდან „გმირების ქვეყანაში“] // კოლექტივიზაცია. - 1935. - №43. - გვ. 3;
105. საყვირები აღვიძებენ ქუთაისს!: [ნარკვევი განახლებულ ქუთაისზე] // კომუნისტი. - 1935. - 1 მაისი. - №102. - გვ. 3;
106. სოფელი თბილისის თავზე: [ნარკვევი] // კოლექტივიზაცია. - 1935. - №172. - გვ. 3;
107. შრიალებს ველი შირაქისა: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1935. - 20 ივლისი. - №167. - გვ. 3;
108. კახეთის ქოჩორა ნორჩებთან: [ნარკვევი] // მუშა. - 1936. - ივნისი. - №132. - გვ. 2;
109. ლომის ნადავლი: [მოთხრობა] // მუშა. - 1936. - მაისი. - №103-106. - გვ. 3;
110. მწყემსის გული: [მოთხრობა] // მუშა. - 1936. - ივლისი. - №168-170. - გვ. 2;
111. საკუთარი სახე თელავისა: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1936. - აგვისტო. - №189. - გვ. 3;
112. ჩემი დედაქალაქი: [ნარკვევი] // ლიტერატურული საქართველო. - 1936. - თებერვალი. - №1. - გვ. 11; მუშა. - 1936. - თებერვალი. - №46. - გვ. 7;
113. გმირობა და გამარჯვება: [ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობა საბჭოთა ექსპედიციის მიერ] // კომუნისტი. - 1937. - 5 ივნისი. - №127. - გვ. 3;
114. ვეფხის-ტყაოსანი და ჩვენი ეპოქა: [პარალელი დღევანდელ საბჭოთა ახალგაზრდობასა და პოემის გმირებს შორის] // კომუნისტი. - 1937. - 26 დეკემბერი. - №296. - გვ. 3;
115. ქვიშხეთი: [ნარკვევი] // კომუნისტი. - 1937. - 6 სექტემბერი. - №204. - გვ. 4;
116. კაცობა და გვარიშვილობა: [ვეფხისტყაოსნის ერთი საკითხის - კაცობა და გვარიშვილობის მუხლის შესახებ] // ლიტერატურული საქართველო. - 1938. - 22 თებერვალი. - №5. - გვ. 6;

117. გორკი კაპრის კუნძულზე: მოგონება // ლიტერატურული საქართველო. - 1939. - 20 ივნისი. - №18. - გვ. 2;
118. ჩვენს მაღლიან საბჭოთა მინაზე: [მოთხრობა] // ლიტერატურული საქართველო. - 1939. - 31 აგვისტო. - №25. - გვ. 2;
119. აკაკის თელავური ავტოგრაფისთვის // ლიტერატურული საქართველო. - 1940. - 20 ივნისი. - №17;
120. ამირანი: [მოთხრობა] // მნათობი. - 1940. - №1. - გვ. 80-122; №2. - გვ. 49-65; №3. - გვ. 67-88;
121. გადმოდული მარგალიტი: [ნოველა ამოღებულია „ქართლის დედიდან“ // ოქტომბრელი. - 1940. - №8. - გვ. 2-3;
122. დედა-ენა: [ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის] // ლიტერატურული საქართველო. - 1940. - 10 ოქტომბერი. - №28;
123. ორი ნოველა [ბევრი რათ უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი, დაქანებული რაშის ლაგამიც დამინყდესაო]: წიგნიდან „ქართლის დედა“ // ლიტერატურული საქართველო. - 1940. - 20 ივლისი. - №20;
124. სახელოვანი ადამიანი: [მოთხრობა უმცროსი ასაკისათვის] // ოქტომბრელი. - 1940. - №10. - გვ. 6;
125. ურყევო, უნგრეველო საბუდარო არწივისა...: [სახლი ქალაქ გორში, სადაც დაიბადა და ყრმობა გაატარა დიდმა სტალინმა]: კამარა „ქართლის დედიდან“ // ლიტერატურული საქართველო. - 1940. - 1 იანვარი. - №1;
126. მოხუცის გაკვეთილი: [მოთხრობა უმცროსი ასაკისათვის] // ოქტომბრელი. - 1941. - №2. - გვ. 13.

მის შესახებ:

1. გამოვიდა „ჩვენი კვალის“ №18... // ეკალი. - 1908. - 21 სექტემბერი. - №18. - გვ. 3;
2. გამოვიდა „ჩვენი კვალი“-ს მე-10 №-რი... // ხომლი. - 1908. - 27 ივლისი. - №13. - გვ. 1;
3. დასაწყისის ფოსტა // დასაწყისი. - 1908. - 19 მარტი. - №14. - გვ. 4;
4. ლ. მეტრეველის წერილის გამო // დასაწყისი. - 1908. - 6 მარტი. - №3. - გვ. 2;
5. მუშა ახალო. ლევ მეტრეველის წერილის გამო // ცხოვრების სარკე. - 1908. - 30 აპრილი. - №7. - გვ. 2-3;
6. ჩვენი კვალი // ამირანი. - 1908. - 27 ივლისი. - №119. - გვ. 3;
7. ჩვენი კვალის 23 ნომერში დაიბეჭდება ბ. ლევ. მეტრეველის ახალი ნაწარმოები „მნათობა ჩივილი: ცნობა // ჩვენი კვალი. - 1908. - №22. - გვ. 341;
8. ახალი წიგნი // დროება. - 1910. - 14 იანვარი. - №10. - გვ. 3;
9. ლევ მეტრეველს დაუმთავრებია ახალი დრამატული პიესა „ლანდია“ // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №9. - გვ. 16;
10. ავატკოვი, ს. სად მარხია ძაღლის თავი: [წერილი რედაქციის მიმართ]: [გაზეთ „კომუნისტი“ №270-ში მოთავსებული ლ. მეტრეველის წერილის საპასუხოდ, რომელიც მიმართული იყო ლვინის ტრესტის მიმართ]: // კომუნისტი. - 1922. - 13 დეკემბერი. - №286. - გვ. 3-4;
11. ლვინის ტრესტი: წერილი რედაქციის მიმართ: [გაზეთ „კომუნისტი“ №270 მოთავსებული ლ. მე-

- ტრეველის წერილზე გომის სპირტის ქარხნის შესახებ] // კომუნისტი. - 1922. - 29 ნოემბერი. - №274. - გვ. 3-4;
12. ხალხის სული და სიბრძნე: [სადღეისო] // [რედაქციის ინფორმაცია] // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - №6. - გვ. 1-2;
13. დონაძე, კ. ლევან მეტრეველი. ქართული ანდაზები // საქართველოს განათლების მუშაკი. - 1926. - №13. - გვ. 32;
14. თურდოსპირელი, დ. გაბრიჩიძე, ე. ქართული ანდაზები: უპასუხისმგებლობის იშვიათი ნიმუში: ბიბლიოგრაფიკა. მეტრეველი // მუშა. - 1935. - №35. - გვ. 3;
15. ლევან მეტრეველი: [ნეკროლოგი]: 1887-1941 / საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი // ლიტერატურული საქართველო. - 1941. - 29 აგვისტო. - №35;
16. Памяти Л. Ф. Метрели: [Некролог] // Заря Востока. - 1941. - 29 августа. - №204.

წყარო:

1. ავტორჩანაწერი.

მეუნარგია, გრიგოლ [გრიზა] პავლეს ძე [იბივა „გაღი“] (1885, 10/1 –)

– ბოლშევიკი, პროფესიით ექიმი, – დაიბადა 1885 წლის 10 იანვარს სოფ. ხეთაში (ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბერნიაში) – გლეხი ოქროსმჭედლის ღარიბ ოჯახში.

ხეთის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის შევიდა ზუგდიდის ნ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1904 წელს. აქ ის იწყებს მუშაობას რსდმ პარტიის პოლიტნრეში (გრიგოლ ჩიჩუა, გრიგოლ როგავა და სხვებთან), რომელიც იყო ჩამოყალიბებული ქუთაისის რეალურ სასწავლებლის უკანასკნელ კურსის მოწაფე, ბოლშევიკ იასონ ჩიჩუას მიერ.

1905 წელს გრ. მეუნარგიამ მიიღო აქტიური მონაწილეობა პირველ გლეხურ დიდ აჯანყებაში, სამეგრელოს შემდეგ სოფლებში: ხიბულა, ხეთა, ცაიში, დიდი ნეძი, ყულისკარი, ხორგა და სხვ. მონაწილეობდა, როგორც აქტიური აგიტატორი-პროპაგანდისტი და ორგანიზატორი. იჯდა ამ საქმეზე ზუგდიდის სამაზრო ციხეში 4, 1/2 თვე 1905-1906 წლებში (იმალებოდა 3-4 თვე).

1910 წლიდან მუშაობს ქალაქ ფოთში, ქალაქის თვითმმართველობაში – ჯერ, როგორც ეპიდემიური ფერმალი, შემდეგ კი – როგორც ექიმის თანამემწე სანიტარულ დარგში. ამავე ქალაქში სამი ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო უშუალო მონაწილეობა (ხოლერა, პარტიხტიანი ტიფი და სკარლატინა).

1914 წლიდან ის იმპერიალისტურ ომში იქნა გაყვანილი და ფრონტიდან ბრუნდება 1917 წელს, ჩამოყალიბებული კომუნისტი და იწყებს ფოთის ორგანიზაციაში მუშაობას. აქ ისახება ინიციატორ წევრად საინიციატივო ჯგუფის, ჩამოაყალიბა ინტელიგენციის კომუჯრედი და რამოდენიმე სხვა უჯრედი მუშურ რაიონებში.

1919 წელს იყო არალეგალური პარტიული კომიტეტის წევრი და მდივანი, 1920 წელს – კომიტეტის წევრი და მისი ხაზინადარი. მენშევიკების რეპრესიების გამო იმალებოდა 3 თვე და ციხეში იჯდა ერთი თვე.

1918-1919 და 1920 წლებში – აღდგენილი და კავშირგაბმული აქვს სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეებთან: სენაკი, ზუგდიდი და სხვ. ის დაკავშირებულია მათთან სამხედრო და პარტიულ ორგანიზაციებთან აჯანყების მოსაწყობათ, ამარაგებს ამ ორგანიზაციებს თოფ-იარაღით, ვაზნებით და ლიტერატურით და აგრეთვე ფულითაც სამზადისისათვის, ის 1920 წელს არის საგუბერნიო კომიტეტის რწმუნებული სამეგრელოში აჯანყების საქმის მოსაწყობათ.

გასაბჭოების პირველი თვიდან 1921-1922 წლებში ფოთის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანია, 1925 წელს დროებით 4 თვე ისევ ისე კომპარტიის სამაზროკომის პასუხისმგებელ მდივანია. 1923 წლიდან ფოთის რევკომის და აღმასკომის პ/მდივანი და შინა მართველობის განყოფილების გამგეთ, შემდეგ 1926 წლიდან 1930 წლამდე, ფოთის საბჭოს მდივანი, ჯამრთელობის განყოფილების გამგე და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეთ. ცაკის ნევრ-კანდიდატი ორი მოწვევის პერიოდში, ამ რიგათ საზოგადო და პარტიულ მოღვაწეობაში გაატარა 25 წელი.

თანამშრომლობდა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში („ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“, „რევოლიუციის მატინაე“, „ფოთის მუშა“ და „ფოთის ხმა“).

ცნობა ესე წარმოდგენილი და შემონმებულია პეტრე პ. მეუნარგიას მიერ, 1935 წლის 20 ივნისი.

წყარო: არ არის მითითებული.

მეუნარგია, იონა მიხეილის ძე (1852 – 1919, 15/V) – ბიოგრაფი, პუბლიცისტი, ფელეტონისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, – ქართულ ძველ ხელნაწერთა ბიბლიოთეკის ფუძემდებელი და „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად პირველი მთარგმნელი, – სამეგრელოდან (დაიბადა ზუგდიდის მაზრის სოფ. ცაიშში 1852 წელს, დროის შესაფერად განათლებულ ოჯახში). პირველდანიეებითი სწავლა მიიღო მარტვილის სამრევლო სკოლაში, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის VI კლასი – ფილოსოფიური განყოფილება (1874), რომლის შემდეგ ორი წელიწადი ჟენევის აკადემიაში სწავლობდა, 1876 წლიდან – პარიზში, სადაც დაუახლოვდა გამოჩენილ ფრანგ მწერლებს, სხვათა შორის – ვიქტორ ჰიუგოს; აქვე, ნაციონალურ და სენტ-ჟენევიევის ბიბლიოთეკაში გადიკითხა საქართველოს შესახებ ფრანგულად არსებული ნაწერები, გაეცნო ქართულ ხელნაწერებს, მათ შორის დაცული ნაწილი ციციშვილის დანერილი „ვეფხისტყაოსნის“ დამატება (396 ხანა) გადმოწერა.

სამშობლოში, განსაკუთრებით, სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობდა. ქართველ მწერალთაგან პირველმა მიაქცია ყურადღება ცნობილ ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ყოფა-ცხოვრების აღწერას. გარდაიცვალა სამეგრელოს მოსამართლეთა ყრილობის მიერ საპატიო თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, თავისი მოვალეობის აღსრულების დროს, ქ. ახალსენაკში, 1919 წლის მაისის 15. დაიკრძალა სოფ. ცაიშის ძველი ეკლესიის გალავანში, საოჯახო ეკლესიის ტერაქვემ.

1878 წელს საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნებული, ა. სარაჯიშვილის შემდეგ, არჩეულ იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის“ ნევრ-მდივანად. აქ მუშაობის დროს, ზ. ჭიჭინაძისა და გრ. ჩარკვიანის დახმარებით, დააფუძნა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკის გამდიდრების მიზნით, როცა სამეგრელოს თავადმა მთავრის – დავით დადიანის მდიდარი ხელნაწერთა ბიბლიოთეკა შემოსწირა, წიგნების ჩამოსატანად საგანგებო კომისიასთან (ილია ჭავჭავაძე, ვასო მაჩაბელი, დავით ერისთავი, გიგა ყიფშიძე, სიმონ ლოლობერიძე და სამსონ ყიფიანი) ერთად, სოფ. გორდს (მთავრის სასახლეში) გაიგზავნა. „ვეფხისტყაოსნის“ სწორი ტექსტის დასადგენად, იონა მეუნარგიამ, როგორც „ქ.მ.წ-კ.გ. საზოგადოების“ მდივანმა, გრ. ორბელიანის გავლენიანი პირადი წერილების საშუალებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრიბა ოცამდე ხელნაწერი, მათ შორის უძველესი – XVI საუკუნისა, ერთიც (ნესტორ წერეთლისეული) – ნახატებიანი.

იონა მეუნარგიას მეცადინეობით, გრ. ორბელიანის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ, 1881 წლის 6 თებერვლიდან თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში რამდენიმე კვირის მუშაობით, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ერთმანეთთან შედარებით, დამახინჯებული ადგილები შეასწორა, დაადგინა ერთი ტექსტი, რომლის თანახმადაც დაიბეჭდა გ. ქართველიშვილის ძვირფასი გამოცემა. წიგნის გამოცემამდე დიდი ხნით ადრე ი. მეუნარგიამ პირველმა გამოთქვა აზრი „ვეფხისტყაოსნის“ სურათებით გამოცემის შესახებ და, ფრანგ ჟიულ-მურიესა და ბარონესა ბერტა სუტნერის შემწეობით, პირველმა გადათარგმნა ფრანგულ ენაზე, რომლის წყალობითაც ევროპას ემცნო შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ: ავსტრიელმა ლიტერატორმა ბარონ სუტნერმა ვენის სამინისტროს ორგანო „პრესესში“ მოათავსა წერილები „საქართველოს ცხოვრებიდან“, სადაც, სხვათა შორის, გამოთქვა აზრი, რომ „სამშობლო ლიტერატურისადმი სიყვარულით გატაცებამ მოაკიდებინა ხელი ბ-ნ მეუნარგიას პოემის თარგმნისათვის, რათა წარედგინოს იგი ევროპიელ მკითხველს, იმის კალმადამ პოემა რუსთაველისა პირველად გამოვა სრულიად სიტყვასიტყვით გადათარგმნილი“-ო.

ი. მეუნარგიას ამ თარგმანის წაკითხვით გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“ მხატვარმა ზიჩმა და შეანიშნავადაც დაასურათა სრულიად უფასოდ. ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ თარგმანის ხელნაწერი ი. მეუნარგიამ რუს პოეტს კ. ბალმონტს გადასცა, რომელმაც რუსულად თარგმნის დროს ისარგებლა მითი. 1888 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ის საქართველოში ჩამოსვლის დროს, გ. ქართველიშვილმა თავისი გამოცემა „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო ი. მეუნარგიამ მისი რუსულად პროზით ნათარგმნი „Барсова кожа“, в рассказе И. Меунаргия (1888), მარიამ დედოფალს მიართვეს, რისთვისაც ორივემ ჯილდოდ მიიღეს ძვირფასი თვლებით შემკული ბეჭდები.

ი. მეუნარგიამ მოიძია და გამოაქვეყნა ხელნაწერებად გაფანტული ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და სხვ. ლექსები, შეკრიბა ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობა, ქართველ მაჰმადიანთა გასაქრისტიანებლად თავისებური ზომები წამოაყენა. მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა ბათუმ-ართვინის სამფლობელოებში და სხვ.

1879 წლიდან თანამშრომლობდა ქართულ-რუსულ გაზეთებში, როგორც მოამბე, კორესპონდენტი, ფელეტონისტი, ისტორიულ ცნობილ პირთა ნაკვეთების ჩამწერ-მბეჭდავი, მწერალთა ყოფა-ცხოვრების აღმწერი, მწერლობის მიმომხილველი და სხვ. წერდა გაზეთში „Тифлисский Вестник“ გ. წერეთლის ფაქტიური რედაქტორობის დროს, „დროებაში“ სერგეი მესხისა და ივანე მაჩაბლის დროს, ხშირად რედაქტორის მოვალეობასაც ასრულებდა, გაზეთში „Кавказ“ დავით ერისთავის რედაქტორობის ხანაში (1882-1884), ხოლო „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობის დროს.

მისი ხელმოწერილი და ფსევდონიმებია: ლელო, ეგრი, ცაიშვილი, ი. მ., ი. ი-ია.

მას ეკუთვნის ორი არქეოლოგიური მოგზაურობის აღწერა: ა) *Поездка в Сванетию*: [გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მოგზაურობა]. - *ПОТИ*, 1887; ბ) აჭარა-ქობულეთში მოგზაურობა: [მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მინდობილობით] („საქართველოს საექსარხოლო სასულიერო მოამბე“).

მსახურობდა ქ. ფოთის გამგეობის წევრად, ქალაქის მოურავის მოადგილედ 1891-1895 და 1907-1913 წლებში მომრიგებელ-შუამავლად (სენაკის, ზუგდიდისა და ლეჩხუმის მაზრებში – 1898 წლიდან 1907 წლამდე), რომლის დროსაც ხშირად, კავკასიის მთავარ სამმართველოში, გლეხთა დროებით ვალდებულებათა გაუქმებისა და ერობის შემოღების საკითხთა განხილვის დროს, ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლად ესწრებოდა, სადაც მოითხოვდა ფართო ავტონომიას და დემოკრატიული ერობის შემოღებას. ბოლო ხანებში მსახურობდა შავი ზღვის განაპირა რკინიგზის სამმართველოში ქ. ზუგდიდს, უკანასკნელად აირჩიეს სამეგრელოს მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

თავის დროზე დაკვირვებულ მწიგნობრად, დარბაისელ და ერთგულ მამულიშვილ-მოღვაწედ იყო ცნობილი, მწერალთაგან პატივცემული. ვახტანგ ორბელიანმა, სხვათა შორის, უძღვნა ლექსი „ნანგრევთა შორის ლამპარი“, რომელშიაც წერს:

„და ან მაღლი შენ, გსურს გააცნო იგი ევროპას, განათლებისა, სწავლის დიდ ერს და „დიდს ქვეყანას“-ო

(ნაგულისხმებია ი. მეუნარგიას მიერ ფრანგულად გადათარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“).

ი. მეუნარგიას გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. ს. ცაიშვილმა და ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორმა ილია გოგიამ შეადგინეს „წერილები იონა მეუნარგიასადმი“, რომელშიაც შესულია XIX საუკუნის ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე-მწერლის, აგრეთვე, უცხოეთის ცნობილ მწერალთა წერილები ი. მეუნარგიას მიმართ. სოფ. ცაიშში დაფუძნდა მისი სახლ-მუზეუმი.

ცალკე გამოცემულია:

1. რუხაველი, შ. (შოთა). Барсова кожа: В рассказе И. Меунаргия / Рухавели. - Тифлис: Тип. Либермана, 1888. - 32 с.; 19 см.;
2. ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა / ი. მეუნარგია. - ტფ., 1905 (ნიგნის გამომცემელ ქართველთა ამხ. სტ.). - 198 გვ.; 21 სმ. - გადმობეჭდილი უფრანგ „მოამბიდან“;
3. ალექსანდრე ჭავჭავაძე: [ბიოგრაფ. ცნობები] / იონა მეუნარგია; სოლ. ცაიშვილის რედ. და შენიშვნებით. - თბ.: სამეგრელოს მუზეუმი, საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. გამომც., 1937 („ზ. ვ.“-ას სტ.). - 68 გვ.: 1 ჩართ. ფურც. პორტრ., 1 დაკვე. ნახ.; 15სმ. - [იგივე დაწერილი ჰქონია რუსულად. - ი. ი.];
4. ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან: სოლ. ცაიშვილის რედ. და შენიშვნებით. - თბ.: სამეგრელოს მუზეუმი, 1937 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 62 გვ.: 1 ჩართ. ფურც. პორტრ.; 17 სმ.;
5. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი: მასალები და დოკუმენტები / სოლ. ცაიშვილის რედაქციით; საქ. სამომხმ. საზ-ბა. - თბ.: ტექნიკა და შრომა-ს გამომცემლობა, 1939. - XVI, 192 გვ.: ილ. და პორტრ.; 17სმ. - თავფურც. და წინასიტყვაობა ქართულ და რუსულ ენებზე. - ყდაზე: სამეგრელო დავით დადიანის დროს. - [მისი რამდენიმე თავი საჯაროდ წაიკითხა ზუგდიდს, სამეგრელოს თავადის სასახლეში. - ი. ი.];
6. ქართველი მწერლები: [ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი] / რედ., შენიშვნ., და წინასიტყვ. ავტ.: სოლომონ ცაიშვილი. - თბ.: საბლიტგამი, 1941. - 212 გვ.: პორტრ.; 21სმ. - ბიბლიოგრ. შენიშვნებში;
7. ქართველი მწერლები. II / სოლომონ ცაიშვილის რედ., წინასიტყვ. და შენიშვნებით. - თბ.: საბლიტგამი, 1944 (საქ. ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სტ.). - 208 გვ.: პორტრ.; 21სმ. - დანართი: შენიშვნე-

- ბი, გვ. 201-208. - ბიბლიოგრაფია: ლიტ-რა შენიშვნებში;
8. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა / სოლომონ ცაიშვილის რედ., წინასიტყ. და შენიშვნებით. - თბ.: ტექნიკა და შრომა, 1945 (ლ.პ. ბერიას სახელ. პოლიგრაფკომბინატი კომუნისტის). - 78, [2] გვ.; 22სმ. - ბიბლიოგრაფია: „ლიტერატურა“, შენიშვნებში.

მისი წინასიტყვაობით გამოცემა:

- ერისთავი, გიორგი. თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება. (სურათით) / [წინასიტყ. ავტ.: აკაკი წერეთელი და ი. მეუნარგია]. - მე-2 გამოცემა. - თფ., 1884 (ი. გ. მელიქიშვილის სტ.). - [587] გვ.: ცალკ. პაგ. პორტრ.;
- გურიელი, მამია. თხზულებანი მამია გურიელისა (მ. ფაზელისა): ლექსები (ავტორის სურათით და ბიოგრაფიით) / [წინასიტყ. ავტ.: ი. მეუნარგია]. - ქუთაისი: ქუთაისის ამხანაგობისაგან გამოცემული, № 14, 1897 (ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტ.). - LVI, 399, VIII გვ.: [1] ჩართ. ფურც. პორტრ.; 20სმ.;
- დადიანი, ნიკოლოზ. დასტურ-ლაშა / თხზულება ნიკოლოზ დადიანისა; [წინასიტყ. ავტ.: ი. მეუნარგია]. - ტფ.: ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, №41, 1897 (წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხ. სტ.). - 40 გვ.; 23სმ.;
- ერისთავი, გიორგი. რჩეული თხზულებანი: რჩეული ლექსები და დრამატიული ნაწარმოებნი. მასალა ავტორის ნაწერების შესასწავლად. - თბ.: დ. კილოსანიძის გამოცემა, 1910 (ს. მ. ლოსაბერიძის სტ.). - II, 200 გვ.; 21სმ. - (ქართველი მწერლები: საკლასოდ სახელმძღვანელო მწერლობის შესასწავლად; წ. I). - „წინასიტყვაობა“: დ. კ. გვ. I-II; „ბიოგრაფია თ-დი გიორგი ერისთავისა“ - ა. ხახანაშვილი. - გვ. 147-149; „ფოლადი თუ ტალს არ მოხვდა, ისე ნაპერწკალს ვერ გაპყრის!“ - აკაკი, გვ. 150-152. „თამაშობა და თეატრი საქართველოში“. - ა. ხახანაშვილი. გვ. 153-161. „თ-დი გ. ერისთავის კომედიების განხილვა“. - ა. ხახანაშვილი - გვ. 162-174. „თ-დი გ. დ. ერისთავის თხზულების განხილვა“. ი. მეუნარგია. - გვ. 175-199;
- ერისთავი, დავით. თავ. დავით ერისთავის დრამატიული ნაწერები / [წინასიტყ. ავტ.: ი. მეუნარგია]. - თბ.: ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემა, 1910 [კანზე: 1907]. - LIII, 467 გვ.; 22სმ.;

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

- კესლერი, ვ. ხალხი წარმავალი: [თარგმანი იონა მეუნარგიასი] // დროება. - 1881. - 17 ოქტომბერი. - №217. - გვ. 1-3.

გამოქვეყნებულია:

- ქუთაისი, 22 აგვისტოს // დროება. - 1874. - 30 აგვისტო. - №438. - გვ. 2;
- სამზღვარ გარეთიდან: წერილი I-II // დროება. - 1875. - 14 თებერვალი. - №20. - გვ. 3; 16 თებერვალი. - №21. - გვ. 3;
- ოზურგეთი, 10 თებერვალი... // დროება. - 1878. - 18 თებერვალი. - №36. - გვ. 1-2;

- თავმჯდომარის მოვალეობა და მამა ლამბაშიძე // დროება. - 1879. - 20 ოქტომბერი. - №217. - გვ. 1-3; 21 ოქტომბერი. - №218. - გვ. 1-3;
- დეპუტატებს, ყრილობას თუ ცალკე კომისიას? // დროება. - 1880. - 25 სექტემბერი. - №203. - გვ. 1;
- ექიმების პოლიტიკა ქართულზე და სომხურზე // დროება. - 1880. - 19 ოქტომბერი. - №221. - გვ. 1-2;
- ეხლა თქვენი რიგია... / იონა მეუნარგია // დროება. - 1880. - 12 სექტემბერი. - №192. - გვ. 1-2;
- „ვეფხის ტყაოსნის“ რედაქცია // დროება. - 1880. - 16 ნოემბერი. - №242. - გვ. 1-2; 27 ნოემბერი. - №250. - გვ. 2-3;
- იმერეთის სამღვდელეობის შემწეობაზე // დროება. - 1880. - 9 ოქტომბერი. - №213. - გვ. 1-2;
- ნეკროლოგი // დროება. - 1880. - 2 სექტემბერი. - №184. - გვ. 1-2;
- ორ მინა შუა // დროება. - 1880. - 20 სექტემბერი. - №199. - გვ. 1-2;
- ქუთაისის მასწავლებელთა კრება // დროება. - 1880. - 14 სექტემბერი. - №194. - გვ. 1-2;
- ჩვენებური საქართველოს გერბი // დროება. - 1880. - 14 აგვისტო. - №171. - გვ. 1-3;
- ჩვენებური ქართული ფული: [მისი ისტორია] // დროება. - 1880. - 23 აგვისტო. - №178. - გვ. 1-3;
- ჩვენებური ქართული წელთ-აღრიცხვა: [ანუ ქორონიკონი] // დროება. - 1880. - 4 სექტემბერი. - №186. - გვ. 1-3;
- ჩვენი უდარდელობა და ქართული ენის ბედი // დროება. - 1880. - 17 სექტემბერი. - №196. - გვ. 1-2;
- ხატი, იჯარით გაცემული // დროება. - 1880. - 19 სექტემბერი. - №198. - გვ. 1-2;
- ხმა უდაბნოში // დროება. - 1880. - 10 სექტემბერი. - №190. - გვ. 1-2;
- 10 აგვისტოს // დროება. - 1881. - 2 აგვისტო. - №167. - გვ. 1-2;
- ახლა ტაძარში... // დროება. - 1881. - 6 თებერვალი. - №27. - გვ. 1-2;
- ბატონო რედაქტორო!... // დროება. - 1881. - 31 ოქტომბერი. - №228. - გვ. 2-3;
საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობდა გიმნაზიაში სწავლის დროიდანვე: 1893-1900 წლებში სოფ. ხაშში მისი მონაწილეობით დაიწყო საგლეხო წარმოდგენების მართვა, – პირველმა დახატა დეკორაციები და მისი მონაწილეობით და რეჟისორობით დაიდგა იმ დროს სოფლისთვის არაჩვეულებრივი პიესები: შილერის „ყაჩაღები“ (კარლ მოორი), „და-ძმა“ (გაიოზი) და სხვ., რომელთა შემოსავალი წიგნთსაცავ-სამკითხველოს ხმარდებოდა. ამ დროს მისი თანამოღვაწენი იყვნენ ნ. და დ. ნახუცრიშვილები, ი. იმედაშვილი და სხვ. 1907-1917 წლებში ხარკოვის სამედიცინო საზოგადოების წევრად მუშაობდა, 1917 წელს – გამგეობის წევრად. 1915 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის მასწავლებლთა კოლეგიამ პრეზიდენტის წევრად აირჩია, 1913-1917 წლებში ხარკოვის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჰიგიენის სამეცნიერო საზოგადოების მდივნად მუშაობდა. 1917 წელს არჩეული იყო სრულიად უკრაინის აკადემიურ მუშაკთა დელეგატად კიევში, 1925 წელს – წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის წევრად, 1926-1927 წლებში – საქართველოს ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარედ, 1926 წელს – საქართველოს ექიმთა მე-3 ყრილობის თავმჯდომარედ, 1928 წელს – ამავე საზოგადოების მე-4 ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრად, თბილისის საბჭოს მე-7 და მე-8 მოწვევის დეპუტატად, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-9 მოწვევის დეპუტატად, 1930 წელს – ანატომთა, ზოოლოგთა და ჰისტოლოგთა საკავშირო ყრილობის დელეგატად კიევში, 1932 წელს – ფშავეთის ბავშვთა ფიზიკური განვითარების შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელად, 1934 წელს გაიგზავნა მოსკოვსა და ლენინგრადში სამედიცინო საქმეთა გამო და სხვ.

ნაკისრ მოვალეობათა ბეჯითად შესრულებისა და სოცმეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სამგზის დაჯილდოებული იქნა (წიგნებით, ფულით, ფოტოაპარატით). ფიზკულტურის სწავლების საუცხოოდ დაყენების და წარმატებით ხელმძღვანელობისათვის მე-2 საფერშლო სკოლაში, 1937 წელს ფიზკულტურის ცენტრალურმა კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა, 1940 წლის 10 აგვისტოს

საბჭოთა კავშირის ჯანსაჯკომმა დააჯილდოვა ნიშნით „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანი“, ხოლო იმავე წლის 10 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა.

პროფ. ვლ. ჟღენტის სიტყვით, „პროფ. ა. ნათიშვილის მეცნიერული ნაშრომები ძირითადად ემსახურება და არკვევს თეორიულად და პრაქტიკულად ფრიად მნიშვნელოვან სამ პრობლემას: ადამიანის ნაწლავების მორფოლოგიის, საქართველოს მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარებისა და ტვინის მორფოლოგიის პრობლემას“.

„ადამიანის ორგანიზმში, ალბათ, არც ერთი ორგანო არ განირჩევა ისეთი ურიცხვი ვარიაციებით, როგორც მსხვილი ნაწლავი. აი, სწორედ ამ ნაწლავის მორფოლოგიის პრობლემის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები არის გადაჭრილი ა. ნათიშვილის მიერ. გამორკვეულია მსხვილი ნაწლავის ვარიანტები და ვარიანტების კავშირი ზრდის დინამიზმთან ახალშობილისა და ბავშვის ორგანიზმში, კოლინჯის ფიქსაციის მექანიზმი, კოლიტების განვითარების მორფოლოგიური საფუძვლები და სხვა“.

„მეორე პრობლემა, რომელზედაც პროფ. ნათიშვილი მუშაობს, ეს არის საქართველოს მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარება. ამ პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი მეცნიერული საკითხის შესწავლას და გადაჭრას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ პრობლემის ფართო მიდგომით შესწავლა საქართველოში ახალი საქმეა და პროფ. ნათიშვილი ამ საქმის ფუძემდებელი და პიონერია... აღნიშნული პრობლემის შესწავლის შედეგად მიღებულია უკვე მთელი რიგი არამც თუ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ფრიად მნიშვნელოვანი მონაცემები – სტანდარტები და ინდექსები, – რომლებითა უკვე სარგებლობენ შესაფერის დაწესებულებებში ყოველდღიური მუშაობის დროს ბავშვების ფიზიკური განვითარების პროფილის გამოსაყვანად“.

„მესამე პრობლემა, რომელზედაც პროფ. ნათიშვილი მუშაობს, ეს არის ტვინის მაკრომორფოლოგიის პრობლემა. აქაც მას სრულიად გარკვეული მიღწევები აქვს და იმ გაუმჯობესებული მეთოდების საშუალებით, რომლებსაც ა. ნათიშვილი ხმარობს, საკვებით მოსალოდნელია მთელი რიგი ახალი ფაქტების დადგენა“.

აღ. ნათიშვილმა, აგრეთვე, დიდი ამაგი დასდო ანატომიის კათედრის ორგანიზაციას. ამჟამად, ეს კათედრა თავისი ლაბორატორიებით, მუზეუმით, ბიბლიოთეკით და სხვ. ერთ-ერთი საუკეთესოდ მოწყობილი და ორგანიზებული კათედრაა კავშირში... დიდი მუშაობა ჩაატარა ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში. ეს ტერმინოლოგია ქართულ-რუსულ-ლათინური, ლათინურ-ქართულ-რუსული, რუსულ-ლათინურ-ქართული, უკვე დიდი ხანია გამოცემულია... შექმნა ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელო ანატომიაში, რომელიც თავის ღირსებით სანიშნუ-

შოა, რომელიც უკვე რამოდენიმეჯერ გამოიცა, რომელზედაც აღიზარდა და იზრდება ბევრი ახალგაზრდა ექიმი და, რომელზედაც, ალბათ, აღიზრდება კიდევ მომავალ ექიმთა ბევრი თაობა...

„...პროფ. ა. ნათიშვილი გამოჩენილი მოღვაწეა, რომელმაც წარმატებით შეათავსა თავის ცხოვრების გზაზე ფრიად ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა ნორმალური მორფოლოგიის დარგში საერთოდ სამედიცინო მეცნიერულ-საორგანიზაციო მეტად სასარგებლო მუშაობასთან, ფრიად ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა თავის სპეციალობის ფარგლებში საერთოდ აკადემიურ ადმინისტრაციულ სასარგებლო მუშაობასთან და მთლიანად მთელი თავისი მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობა საზოგადოებრივ მუშაობასთან“ („საბჭოთა მედიცინა“, 1937, № 1).

ცალკე გამოცემულია:

1. *Врожденная эктопия правой почки в малый таз.* - Харьков: Изд-во Харьковского ун-та, 1910. - 7 с.;
2. К вопросу об аномалиях толстых кишек. - Харьков: Изд-во Харьковского ун-та, 1910. - 8 с.;
3. *Ectopia congenitalis renis des. intrapelvina* / А. Н. Натиев. - [Харьков]: Типо-лит. М. Зильберберга, 1910. - 10 с.; 21 см. - Отд. отт. из „Зап. Имп. Харьк. ун-та“ за 1910 г.;
4. *Краткое руководство по нормальной анатомии человека: Ч. 1-2 / Д-р А. Н. Натиев.* - Харьков: тип. „Работник“, 1912. - 24 см. - Ч. 2: Тип. „Мирный Труд“;
5. К вопросу о развитии новых суставных поверхностей в связи с изменением условий работы / А. Н. Натиев. - Харьков: Тип. „Мирный Труд“, 1913. - 12 с., 2 вкл. л. ил.; 24 см. - (Кабинет нормал. анатомии Имп. Харьк. ун-та проф. А. Г. Зоммера). - Отт. из юбилейного сборника, посвящ. 50-летию проф. С. А. Попова;
6. Брюшина, как фиксатор органов брюшной области. - Харьков: Изд-во Харьковского ун-та, 1915. - 22 с.;
7. Курс анатомии человека для средних медицинских школ. - Харьков: Изд. Замериц, 1915. - 70 с.;
8. Руководство к секции мозга для студентов. - Харьков: Изд. Замериц, 1916. - 34 с.;
9. К морфологии Саесум и colon детей 1-го года жизни: Дис. А. Н. Гатиева. - Харьков: Тип. „Мирный Труд“, 1917. - 2, 184, [VIII] с., 125 ил.: табл.; 23 см. - Библиогр.: „Литература“ (с. I-VII). - Перед загл.: Из кабинета нормальной анатомии Харьк. ун-та;
10. *ადამიანის ნორმალური ანატომია: შემოკლებული კურსი 2 ნაწილად.* - ტფ., 1919 (სახალხო საქმე). - 146, 181 გვ.; 22სმ. - შინაარსი თავფურცელზე;
11. *ანატომიის განვითარების ეტაპები და მომავალი პერსპექტივები პროფ. ა. ნათიშვილისა.* - ტფ.: სორაპანი, 1919. - 26 გვ. - სამეცნიერო და საზოგადოებრივი სამკურნალო ჟურნალი „ექიმი“, № 1-2;
12. *ანატომიის ტერმინოლოგია.* - ნაწ. 1-2. - ტფ., 1919 - 28 გვ. - (სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის კათედრა);

13. *სახელმძღვანელო ადამიანის ტვინზე პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის: (ტვინის განკვეთი) / სახ. უნივერსიტეტი ნორმალური ანატომიის კათედრა.* - თბ.: ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1920 („ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის“ სტ.). - 52 გვ.; 22სმ.;
14. *Анатомическая терминология – Кость.* - Тифлис: Изд-во Тиф. ун-та, 1920. - 21 с.;
15. *ადამიანის ნორმალური ანატომია: სახელმძღვ. კურსი 2 ნაწილად სტუდენტებისათვის: ნაწ. I-II / ალ. ნათიშვილი.* - ტფ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1921 (სტ. „სახალხო საქმე“). - 470 გვ.; 23 სმ.;
16. *ადამიანის ნორმალური ანატომია: სახელმძღვ. კურსი ორ ნაწილად სტუდენტებისათვის. ნაწილი I. უჯრედი და ქსოვილები, ოსტეოლოგია, სინდესმოლოგია და არტერიოლოგია, მიოლოგია და ფასციები. ნაწილი II. შიგნეულობა, შიგნეულობის ტოპოგრაფია, სისხლის და ლიმფის ძარღვთა სისტემა, ნერვული სისტემა და გრძნობათა ორგანოები.* - მეორე გამოცემა. - ტფ.: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1921. - 385 გვ.;
17. *Анатомическая терминология человека-Внутренности, мозг, сосуды, нервы, органы чувств.* - Тифлис: Изд-во Тиф. ун-та, 1921. - 260 с.;
18. *ადამიანის ნორმალური ანატომია: სახელმძღვანელო კურსი ორ ნაწილად სტუდენტებისათვის. ნაწილი I. უჯრედი და ქსოვილები, ოსტეოლოგია, სინდესმოლოგია, მიოლოგია და ფასციები. ნაწილი II. შიგნეულობა, ანგიოლოგია, ნევროლოგია და ესთეზიოლოგია / [წინასიტყვ. ავტ.: ალ. ნათიშვილი].* - მესამე გამოცემა. - ტფ.: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1926 (ს.ს.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბა). - II, [1], 356 გვ.; 23სმ.;
19. *ფარმაკოლოგიის კონსპექტი / შედგენილი სპეციალურად მედიკური ტენიკუმის მსმენელთათვის ალ. ნათიშვილის მიერ.* - ტფ.: მედიკური ტენიკუმის გამოც., 1927 (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 66 გვ.; 22სმ. - ხელნაწერის უფლებით. - დანართი: სავარჯიშო რეცეპტები ლათინურად, 11 გვ.;
20. *ადამიანის ტვინი: ტვინის გაკვეთის სახელმძღვანელო სტუდენტთათვის / შედგენილია პროფ. ალ. ნათიშვილის მიერ; სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნორმალური ანატომიის ინსტიტუტი.* - მე-2 გამოცემა. - ტფ., 1928 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 52გვ.; 23სმ.; მე-3 გამოცემა. - ტფ.: სახელგამი, 1932 (პსკოლის სტ.). - 40გვ.; 22სმ.; მე-4 გამოცემა. - თბ.: საქმედგამი, 1940. - 44გვ.; 22სმ.; მე-5 გამოცემა. - თბ.: საქმედგამის გამ-ბა და სტ., 1944. - 32გვ.; 27სმ. - სათაურის წინ: აკადემიკოსი ალ. ნათიშვილი;
21. *ნორმალური ანატომიის საგამოცდო პროგრამა.* - ტფ., 1928 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 4 გვ.; 23სმ.;
22. *ფარმაკოლოგიის კონსპექტური კურსი მედიკური ტენიკუმებისათვის.* - თბ.: სახელგამი, 1928. - 72 გვ.; ტფ.: სახელგამი, 1931 (პტრ. 1-ლი სტ.). - 72 გვ.; 22 სმ.. - ხელნაწერის უფლებით;
23. *მეკელის დივერტიკულის დახშული ფორმა და მისი ვასკულარიზაცია.* - [ტფ., 1929 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.)]. - 156-162 გვ.: [1] ფურც. სურ.; 26სმ. -

- უთავფე. - რეზ. რუს. და ფრანგ. ენ. - ცალკე ამონაბეჭდი: „თანამედროვე მედიცინა“, 1929, წ. III;
24. ადამიანის ნორმალური ანატომია / საქ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტი, ადამიანის ანატომიის კათედრა. - ნაწ. 1: ოსტეოლოგია. ართროლოგია. სინდესმოლოგია. ბიოლოგია. ფასციები. 262 სურათით ტექსტში. - ტფ.: სახელგამის გა-მა, 1932 (1-ლი სტ.). - 277 გვ.; სურ.; 23სმ.; ნაწ. 2: სპლანქნოლოგია, ანგიოლოგია: 180 სურათით ტექსტში. - ტფ.: სახელგამის სასწ. პედაგოგ. სექტორის გა-მა, 1933 (1-ლი სტ.). - [IV], 253 გვ.; 23სმ.; ნაწ. 3: ესთეზიოლოგია, ცენტრალური. პერიფერიული და ვეგეტატიური ნერვული სისტემა. 74 სურათით ტექსტში. - ტფ.: სახელგამის სამედიც. ლიტ. სექტორი, 1935 (სახელგამის სამედიც. ლიტ. სექტორის 1-ლი სტ.). - [4], 131 გვ.; 23სმ.;
 25. Учебник анатомии домашних животных для студентов. - Т. 1: Механическая часть. - Тифлис: Изд-во Зоовет. ин-та, 1935. - 210 с.;
 26. შინაურ ფრინველთა ანატომია: შედგენილია ზოოტექნიკური და ვეტერინარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის / ტფ. სტუ. შინაურ ცხოველთა ანატომიის კათედრა. - ტფ.: სახელგამის სამედიც. სექტორის გა-მა და მე-3 სტ., 1936. - 54 გვ.; ილ.; 22სმ.. - ბიბლიოგრაფია: „ლიტერატურა“ წინასიტყვ. ბოლოში (3 სახელწ.);
 27. Девочка – Микроцефал „Пита“, ее морфологические и клинические особенности / А. Н. Натишвили, М. И. Абдушлишвили, Д. С. Цибадзе, В. К. Жгенти, С. Э. Сакварелидзе, Н. Г. Вешапели; Юб. сборник филиала АН ГССР. - Тб., 1936. - 24 с.;
 28. Цветная схема крово-и лимфообращения. - Изд. 1-е. - Тифлис: Биомедгиз, 1936. - печ. плакат; Изд. 2-е. - Тифлис: Биомедгиз, 1938. - печ. плакат;
 29. ადამიანის ანატომიის სახელმძღვანელო: 3 ნაწილად. - მე-5 გამოც. - თბ.: საქბიომედიკამოცემლობა და სტ., 1937. - VII, 658 გვ.; ილ.; 22სმ. - ბიბლიოგრაფია: ლიტერატურა წინასიტყვაობაში; გამოც. მე-6. - თბ.: საქმედიკამომცემლობა, 1942. - 256 გვ.; ილ.; 23სმ.;
 30. ადამიანის საღეჭი აპარატი: სპეციალური კურსი, შედგენილი სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. - თბ.: სახბიომედიკამოცემლობა, 1937 (საქ. კ.პ.(ბ)ც.კ. პარტგამომცემლობის სტ.). - 115 გვ.; ილ.; 22სმ.;
 31. ქართველ ბავშვთა ფიზიკური განვითარების სასტანდარტო მასალები = Материалы к изучению стандартов физического развития детей / პროფ. ა.ნ. ნათიშვილი, უფრ. მეცე. მუშ. მ.ი. აბდუშელიშვილი; სსსრ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. - თბ.: საქბიომედიკამი, 1937 (საქ. კ.პ.(ბ) ცკ პარტგამომცემლობის სტ.). - 144 გვ.; 23 სმ. - ტექსტი ქართულ-რუსულ ენებზე;
 32. К технике приготовления муляжных моделей мышц, внутренностей и мозга. - Тб.: Грузмедгиз, 1937. - 10 с.;
 33. Материалы к изучению стандартов физразвития грузинских детей гор. Тбилиси от 5 до 17 лет, по исследованиям 1933-1935 гг. / А. Н. Натишвили, М. И. Абдушлишвили - Тб.: Изд-во Ин-та ОЗДП, 1937. - 71 с.;
 34. ქართველ ბავშვთა ფიზიკური განვითარების სასტანდარტო მასალები / ა.ნ. ნათიშვილი, მ.ი. აბდუშელიშვილი; [რედ. ლ. ელიაშვილი]; საქ. სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ს/კ ინ-ტი. - თბ.: საქბიომედიკამის გამ-ბა და სტ., 1938. - 72 გვ.; ცხრ.; 22სმ.;
 35. Материалы к изучению стандартов физического развития грузинских детей / А. Н. Натишвили, М. И. Абдушлишвили; Ин-т охраны материнства и детства Наркомздрава Груз. ССР. - [Тбилиси, 1938]. - 71 с.; 23см.;
 36. შინაურ ცხოველთა ანატომია / საქ. სახ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი. - ტ. 1. - თბ.: საქმედიკამი, 1940. - 290 გვ.; 23სმ.; ტ. 2. - თბ.: საქმედიკამი, 1942. - 166 გვ.; 23სმ.;
 37. ანატომიის და ფიზიოლოგიის კონსპექტი: სანიტარული რაზმების მედპერსონალისათვის / შემდგენ.: ალ. ნათიშვილი. - თბ.: საქმედიკამი, 1941. - 52 გვ.; 23სმ.
 38. Руководство к практическим занятиям по секции головного мозга / А.Н. Натишвили; Тбил. гос. мед. ин-т. - Тбилиси: Грузмедгиз, 1941. - 39 с.; 22 см.;
 39. Анатомия домашних птиц. - Изд. 2-е. - Тбилиси: Грузмедгиз, 1942. - 62 с.;
 40. Анатомия и физиология для сестер военного времени. - Тбилиси: Медгиз, 1942. - 40 с.;
 41. Синоптическая схема крово и лимфообращения. - Изд. 2-е переделанное. - Тбилиси: Медгиз, 1942. - Печат. цвет. плакат;
 42. პლასტიკური ანატომია / აკად. ა.ნ. ნათიშვილი, პროფ. ა.გ. მაღავეი; თბილისის სამხატვრო აკადემია. - თბ.: სახელგამი, 1946 (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი). - 295 გვ.; სურ., [1] ჩართ. ფურც. სურ.; 23სმ. - წანართი: რედაქტორისაგან უ. ჯაფარიძე, ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე. სტალინური პრემიის ლაურეატი, გვ. 3-4. - ბიბლიოგრაფია: ლიტ-რა, რომლითაც ვისარგებლეთ წიგნის შედგენის დროს, გვ. 292;
 43. საქართველოს ბავშვთა ფიზიკური განვითარების კანონზომიერებანი 0-20 წლ. ასაკში / საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინ-ტი. - თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., 1950. - 64 გვ.; ნახაზ.; 25სმ.;
 44. Закономерности физического развития детей Грузии в возрасте 0-20 лет / А. Н. Натишвили, М. И. Абдушлишвили. - Тб.: Изд-во АН Грузии ССР, 1951. - 64 с. с диагр.;
 45. Руководство по секции мозга: Пособие для студентов / Дейст. чл. АН ГССР проф. А.Н. Натишвили; Отв. ред. В.К. Жгенти. - Тбилиси: Изд-во и тип. Грузмедгиза, 1952. - 49 с.; 23 см.
- ალ. ნათიშვილის წინასიტყვაობით, რედაქტორობითა და ხელმძღვანელობით გამოცემულია:**
1. საყვარელიძე, სვ. ჰისტოლოგიის ტექნიკა: სახელმძღვანელო ექიმთა და სტუდენტთათვის / შედგენილია ჰისტოლოგიის კათედრის უფროს ასისტენტის

- სვ. საყვარელიძის მიერ; ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; [წინასიტყვ. ავტ.: ალ. ნათიშვილი]. - [ტფ.: უნივერსიტეტი, 1924 (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრ. განყ. მე-3 სტამბა)]. - 96, III; სქემა; 20სმ.;
2. ცეცხლაძე, ვლადიმერ. ადამიანის ფიზიოლოგია: [სახელმძღვ. სამკ. სკ. და გამოსადეგი წიგნი სტუდ. პედოლოგიის ფიზიოლ. ნაწილის შესასწავლად / ვლადიმერ ცეცხლაძე; [წინასიტყვ. ავტ.: ალ. ნათიშვილი]. - მე-2 შესწ. და შევს. გამოც. - ტფ.: ტფ. უნ-ტის გამა, 1928 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - VIII, 132გვ.: სურ.; 23სმ.;
 3. საქართველოს ექიმთა მეხუთე სამეცნიერო კონგრესის (ქ. ბათომში 24-29 იანვარს 1929წ.) შრომები. - ნ. 1: კონგრესის გახსნის დღე / ალ. ნათიშვილის რედ. - ტფ., 1929 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 16 გვ. - შმუც-ტიტული რუსულსა და ფრანგულ ენებზეა; ნ. 2: კუჭის წყლულის კლინიკა და თერაპია / ვ. ჟღენტის რედ. - ტფ., 1929 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - [2], 80 გვ.: სურ. - ტექსტში ფროლოვის წერილი რუსულადაა. - შმუც-ტიტული რუსულ-ფრანგულადა; ნ. 3: კოლიტების ეთიოლოგია, კლინიკა და თერაპია = *Этиология, клиника и терапия колитов* = *Etiologie, clinique et therapeutique des colites* / ალ. ნათიშვილის და შ. მიქელაძის რედ. - ტფ., 1929 (პოლიგრაფტრ. მე-5 სტ.). - [2], 149 გვ. - თავფურცლის ზურგზე სათაური რუსულ-ფრანგულადა. - მოხსენებებს დართული აქვს ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე;
 4. ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია: ლათინურ-ქართულ-რუსული. ქართულ-რუსულ-ლათინური. რუსულ-ქართულ-ლათინური / [წინასიტყვ.: ალ. ნათიშვილი, ვუკ. ბერიძე]; ცენტრალური სამეცნ. სატერმინოლოგიო კომიტეტი № 3. - ტფ.: სახელგამი, 1930 (პოლიგრაფტრ. მე-6 სტ.). - [3], II, 257, III გვ.; 23სმ.;
 5. კლიმოვი, ა. შინაურ ცხოველთა ნორმალური ანატომია: ა.ფ. კლიმოვის სახელმძღვანელოდან / თარგმ. ზ. მაისურაძის, გ. თვალაძის, დ. ციბაძის და თ. ვაჩნაძის მიერ; ალ. ნათიშვილის რედ.; საქ. ზოოვეტ. ინ-ტი. - ნაწ. 1: ოსტეოლოგია, ართროლოგია, მიოლოგია. - ტფ.: საქ. ზოოვეტ. ინსტ., 1933 (პ/ტრ. მე-3 სტ.). - 260 გვ.; 21 სმ.;
 6. დემეტრაძე, ნ. ი. - ა) ქირურგიულ ანატომიის მოკლე სახელმძღვანელო: კისრის მიდამოს ტოპოგრაფია / პროფ. ა. ნათიშვილის რედაქციით. - ტფ.: ტექნიკა და შრომას-ს გამა და სტ., 1934. - 47გვ.; 25სმ.; ბ) ქირურგიული ანატომიის მოკლე სახელმძღვანელო: გულმკერდისა და ილიის ფოსოს ტოპოგრაფია / რედ.: ა. ნათიშვილი. - ტფ.: სახტეხნიკური გამა, 1935 (ტექნიკა და შრომას-ს სტ.). - 66 გვ.; 25სმ.; გ) ტოპოგრაფიული ანატომიის სახელმძღვანელო. - ნაწ. 1 / [წინასიტყვ. ავტ. აკად. ა. ნ. ნათიშვილი]. - თბ.: საქმედგამი, 1947 (საქმედგამის სტ.). - 282 გვ.: ილ.; 26 სმ.;
 7. თვალაძე, გ. ადამიანის ანატომია: სახელმძღვ. სტუდენტთათვის / ა. ნათიშვილის რედაქციით. - თბ.: საქმედგამი, 1950 (საქმედგამის 1-ლი სტ.). - 464 გვ.: ილ.; 20 სმ.;
 8. Малаев, А.Г. - а) Альбом иллюстраций моделей нервной системы / Проф. А.Г. Малаев; Руков.:

Действ. чл. АН Груз. ССР, проф. А.Н. Натишвили; Производство моделей освоено Мастерской мединструментов М-ва Здравоохр. Груз. ССР под рук-вом инж. Г.И. Татишвили; Каф. нормальной анатомии человека Тбил. гос. мед. ин-та. - Тбилиси: Грузмедгиз, 1952. - 32 с.: сх.; 23см.; б) Модель вегетативной нервной системы / Проф. А.Г. Малаев; Руков.: Действ. чл. АН Груз. ССР, проф. А.Н. Натишвили; Каф. нормальной анатомии человека Тбил. гос. мед. ин-та. - Модель 9: Производство моделей освоено Мастерской мединструментов Министерства здравоохранения Груз. ССР под рук-вом инж. Г.И. Татишвили. - Тбилиси: Грузмедгиз, 1952. - 40 с.; 21см.

გამოქვეყნებულია:

1. ანატომიის განვითარების ეტაპები და მომავალი პერსპექტივები: პროფ. ალ. ნათიშვილისა (შესავალი ლექცია ანატომიის კურსისა ნოემბერი 1918 წ.) // ექიმი. - 1919. - №1-2. - გვ. 2-9;
2. ადამიანის აორტის რკალის დატოტანების წესის ემბრიონალური დარღვევა: [სტატია] // ჩვენი მეცნიერება. - 1923. - №2-3. - გვ. 158-164. - სტატია ილუსტრირებულია;
3. ადამიანის კოლინჯის ფიქსაციის მექანიზმი // ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. - 1923. - ტ. 3. - გვ. 252-261;
4. ადამიანის ორგანიზმის გაახალგაზრდავების პრობლემა: [სტატია] // ჩვენი მეცნიერება. - 1923. - №1. - გვ. 139-155;
5. Первый Абастуманский санаторий НКЗ // Вестник Нарком-здрава ССР Грузии. - 1925. - № 1-3. - с. 178-184;
6. ადამიანის კოლიტების ეტიოლოგიის მორფოლოგიური საფუძვლებისათვის // საქართველოს ექიმთა მეხუთე სამეცნიერო კონგრესის (ქ. ბათომში 24-29 იანვარს 1929წ.) შრომები. - ნ. 3: კოლიტების ეთიოლოგია, კლინიკა და თერაპია = *Этиология, клиника и терапия колитов* = *Etiologie, clinique et therapeutique des colites* / ალ. ნათიშვილის და შ. მიქელაძის რედ. - ტფ., 1929 (პოლიგრაფტრ. მე-5 სტ.). - გვ. 43-58;
7. საქართველოს ექიმთა მე-5 სამეცნიერო კონგრესი: საუბარი კონგრესის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარესთან პროფესორ ალ. ნათიშვილთან // კომუნისტი. - 1929. - 18 იანვარი. - №14. - გვ. 3;
8. მსხვილი ნაწლავების ანომალური და ვარიანტული მდგომარეობის საზღვრების შესახებ // თანამედროვე მედიცინა. - 1930. - № 3-4. - გვ. 137-148;
9. პრივატ-დოცენტ ვ. ცეცხლაძის ხსოვნას: [ნეკროლოგი] // კომუნისტი. - 1930. - 9 მარტი. - № 56. - გვ. 3;
10. დასკვნა [მიკროცეფალ „პიტა“-ს გამოკვლევის შედეგად] // ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები. - 1936. - ტ. 1. - გვ. 188-189;
11. მასალები ეპილეპტიკების სომატური პროფილისათვის / ა. ნ. ნათიშვილი, მ. ა. აბდუშელიშვილი // ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები. - 1936. - ტ. 1. - გვ. 381-399;

12. შესავალი [მიკროცეფალი პიტა და მისი კლინიკური და მორფოლოგიური დაკვირვებანი // ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები. - 1936. - ტ. 1. - გვ. 148-149;
13. Анатомия 12 пар черепно-мозговых нервов. - Т. II // Учебник анатомии академика В. Н. Воробьева, 1936;
14. Девочка – Микроцефал „Пита“ и ее клинические и морфологические особенности // Проблемы нервной физиологии и поведения: Сборник, посвящ. двадцатипятилетию науч., пед. и обществ. деятельности закл. деяти. науки, проф. Ивана Соломоновича Бериташвили / АН СССР, Груз. фил., - Тифлис: АН СССР, Груз. фил., 1936 (Тип. «Техника да Шрома»). - с. 455-501;
15. პროფ. სიმონ ამირაჯიბის სხონა // საბჭოთა მედიცინა. - 1937. - № 2. - გვ. 15-16;
16. ფშაველ ბავშვების ფიზიკური განვითარების მასალებისთვის // დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ინსტიტუტის შრომები. - 1937. - გვ. 141-147. - რეზიუმე რუს. ენაზე;
17. Материалы к стандартам физразвития конечностей детей гор. Тбилиси от 4 до 14 лет // Сборник трудов Тбил. медицинского ин-та. - 1937. - с 10. - Соавтор: М. И. Абдушелишвили;
18. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორებისათვის [ივანე თიკანაძისა, ვლადიმერ ვორონინისა და ალექსანდრე ნათიშვილისათვის] მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნოდების მინიჭების შესახებ: ბრძანებულება / საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. პრეზიდიუმი // კომუნისტი. - 1940. - 13 სექტემბერი. - №213; Заря Востока. - 1940. - 13 сентября. - №213;
19. К технике приготовления костей домашних животных и человека // Труды музея Грузии. - 1940. - с. 21;
20. თბილისის ბავშვების ფიზიკური განვითარების და ნაკვებობის მასალები / ა. ნათიშვილი, მ. აბდუშელიშვილი // დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული. - 1941. - ტ. 3. - გვ. 217-231. - რეზიუმე რუსულ ენაზე;
21. К вопросу об использовании диатомита в муляжном производстве // Сборник трудов посвященный 50-летию научно-педагогической деятельности В.В. Воронина 1890-1940 / [Отв. ред. Г. Вацадзе; С предисл. Пицхелаური]; Наркомздрав Груз. ССР. - Тбилиси: Грузмедгиз, 1941 (Тип. изд-ва „Заря Востока“). - с. 183-187;
22. ბავშვთა კიდურების განვითარების სასტანდარტო მასალებისათვის 4-14 წლის ასაკში / ა. ნათიშვილი, მ. აბდუშელი // თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შრომები. - 1942. - ტ. 2. - გვ. 5-14. - რეზიუმე რუსულ ენაზე;
23. ცხენისა და სახედრის ქალას სინუსების შედარებით-ანატომიურ თავისებურებათა საკითხისათვის / ა. ნათიშვილი, ს. დ. გუმბერიძე // საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის შრომათა კრებული. - 1943. - ტ. 4. - გვ. 1-15.;
24. ცხოველების ძვლების მზადება ტექნიკისათვის / ა. ნათიშვილი, გ. გოგილაშვილი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. - 1943. - ტ. 12A. - გვ. 153-166;
25. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აკადემიისაგან: [საქ. მეც. აკადემიის ნამდვილი წევრობის წამოყენებულ კანდიდატების სია] // კომუნისტი. - 1944. - 26 იანვარი. - №18. - გვ. 2;
26. მასალები ნევროზულ ავადმყოფთა სომატური პროფილისათვის // ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები. - 1945. - ტ. 2. - გვ. 49-56. - რეზ. რუს. ენაზე;
27. მასალები ქალის ფიზგანვითარების და კლიმაქსის ურთიერთობის საკითხისათვის / ა. ნათიშვილი, მ. აბდუშელი // ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები. - 1945. - ტ. 2. - გვ. 57-60. - რეზ. რუს. ენაზე;
28. მასალები შიზოპათების სომატურ პროფილისათვის / ა. ნათიშვილი, მ. აბდუშელი // ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტისა და პოლიკლინიკის შრომები. - 1945. - ტ. 2. - გვ. 61-64;
29. მედიცინა [საბჭოთა საქართველოს 25 წლისთაზე] / ა. ნათიშვილი, გ. ლამბარაშვილი // მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე. - [ტ.] 4: ზოოლოგია-ფიზიოლოგია, მედიცინა. - თბ.: საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., 1946. - გვ. 51-108;
30. ქართველ ბავშვთა ფიზიკური განვითარების კანონზომიერებათა შესახებ [მოხსენების თეზისები] // თბილისის სახ. სამედიცინო ინ-ტის მეორე სამეცნიერო სესია. - 1947. - გვ. 4-5;
31. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის პრობლემეტიკა // ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები. - 1948. - ტ. 1. - გვ. 1-12;
32. ძალის წვრილი ნაწლავის ვასკულარიზაციის საკითხისათვის ნორმისა და ექსპერიმენტის პირობებში: [ანატომიის ექსპერტის გამოკვლევა] / ა. ნათიშვილი, მ. კომახიძე, ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე // ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები. - 1948. - ტ. 1. - გვ. 13-71. - რეზ. რუს. ენაზე;
33. გადანერგილი ნაწლავის ვასკულარიზაცია და პლასტიკობა / ა. ნათიშვილი, მ. კომახიძე, ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე // ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები. - 1949. - ტ. 2. - გვ. 1-50. - რეზ. რუს. ენაზე; აგრეთვე, იხ.: ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების VII სამეცნიერო სესია: ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი. თეზისები / საქ. სსრ მეცნ. აკადემია. - თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., 1950. - გვ. 3-4. - პარალ. ტექსტი რუს. ენაზე გვ. 19-20;
34. გრიგოლ მუხაძე და მისი მოღვაწეობა // ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის შრომები. - 1949. - ტ. 2. - გვ. 5-10;
35. ადამიანის სხეულის აღნაგობა (ანატომია) // საოჯახო სამკურნალო ცნობარი. - თბ.: საქმედგამი, 1950 (საქმედგამის 1-ლი სტ.). - გვ. 5-59;

36. ადამიანის ჯორჯლის ზემო არტერიის მონყობილობის საკითხისათვის / ა. ნათიშვილი, მ. კომახიძე, ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე // ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები. - 1950. - ტ. 3. - გვ. 23-76. - რეზ. რუს. ენაზე;
37. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მისი შედეგების დანერგვა პრაქტიკაში // ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების VIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი მეცნიერების წარმოებაში დანერგვისა და წარმოებასთან კავშირის საკითხებისადმი: მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები 1950 წლის 3 და 4 ნოემბერი / საქ. სსრ მეცნ. აკად. - თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., 1950. - გვ. 9-11;
38. Сравнительно-анатомические закономерности развития краниальной брыжжечной артерии у позвоночных // Труды Ин-та эксперимент. морфологии. - 1950. - Т. 3. - с. 1-21;
39. საქართველოს ფიზიოლოგთა მნიშვნელოვანი ამოცანები. საუბარი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ ა. ნ. ნათიშვილთან // კომუნისტი. - 1951. - 28 ივნისი. - გვ. 3; *Заря Востока*. - 1951. - 28 июня. - с. 2;
40. К истории морфологической науки Грузинской ССР // Труды пятого всесоюзного съезда анатомов, гистологов и эмбриологов в Ленинграде 5-11 июля 1949 г. - Л.: Медгиз, 1951. - с. 217-219;
41. Модель нервной системы: Статья проф. зав. кафедрой анатомии человека // *Заря Востока*. - 1951. - 7 февраля. - с. 3;
42. Строение и функция головного мозга: Ответы на вопросы читателей // *Заря Востока*. - 1951. - 25 мая. - с. 3;
43. ხერხემლოვანთა ნაწლავების ვასკულარიზაციის ფილოგენეზი // ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების X სამეცნიერო სესია: ექსპერიმენტული მორფოლოგიის და ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და პედაგოგიის ინსტიტუტების თეზისები / საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. - თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., 1952. - გვ. 3-4. - პარალ. ტექსტი რუს. ენაზე გვ. 21-22.

მის შესახებ:

1. ექიმების დანიშვნა // ჩვენი გაზეთი. - 1910. - 29 აპრილი. - №22. - გვ. 3. - ახალი ამბები;
2. მაისურაძე, ზ. პროფესორი ალექსანდრე ნათიშვილი: 30 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო // კომუნისტი. - 1937. - 26 მარტი. - №69. - გვ. 3;
3. ჟღერტი, ვლ. პროფ. ა. ნ. ნათიშვილის მოღვაწეობის 30 წლისთავისათვის // საბჭოთა მედიცინა. - 1937. - № 1. - გვ. 5-10;
4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორებისათვის [ივანე თიკანაძისა, ვლადიმერ ვორონინისა და ალექსანდრე ნათიშვილისათვის] მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ: ბრძანებულება / საქა-

- რთველოს სსრ უმაღლესი საბჭო. პრეზიდიუმი // კომუნისტი. - 1940. - 13 სექტემბერი. - №213. - გვ. 1; *Заря Востока*. - 1940. - 13 сентября. - с. 1;
5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. ახალ აკადემიკოსთა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა არჩევნები // კომუნისტი. - 1944. - 25 თებერვალი. - გვ. 4;
6. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (ა. ნათიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ) // კომუნისტი. - 1946. - 27 თებერვალი. - გვ. 2; *Заря Востока*. - 1946. - 26 февраля. - с. 2;
7. იმედაშვილი, იოსებ. აკადემიკოსი ალ. ნათიშვილი // სტალინური სიტყვა. - 1948. - 29 ოქტომბერი. - № 86-87;
8. ჯავახიშვილი-კომახიძე, ნ. ჯვარედინი ხვეულის ანგიოარქიტექტონური ცვლილებები საძილე არტერიის გადაკვანძვის შემდეგ: [ადამიანის ნორმალურ ანატომიის კათედრის გამგე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვ. წევრი ა. ნ. ნათიშვილი] // თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შრომები. - 1948. - ტ. 5. - გვ. 39-46. - რეზიუმე რუსულ ენაზე.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. გელიკრული. სოფ. ხაში (თბილისის მაზრა) // კვალი. - 1900. - №39. - გვ. 616. - „კვალის“ კორესპონდენციები;
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორებისათვის [ივანე თიკანაძისა, ვლადიმერ ვორონინისა და ალექსანდრე ნათიშვილისათვის] მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ: ბრძანებულება / საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. პრეზიდიუმი // კომუნისტი. - 1940. - 13 სექტემბერი. - №213;
4. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 478.

ნათიქა, გიორგი ნიკოლოზის ძე (1885, 22/

IV –) – მხატვარი, – ილუსტრატორი და გრაფიკოსი, – კახეთიდან (დაიბადა სოფ. ბაკურციხეში. დედა – შინაური განათლებით, მამა – მწერალი მეღანია). სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში, დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზია და მიუნხენის უნივერსიტეტი (1915) გერმანიაში.

მსახურობდა გერმანული ენის მასწავლებლად და საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეაში, თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში, როგორც დამსურათებელი და გრაფიკოსი, აგრეთვე, საბავშვო წიგნებს ამკობდა ნახატებით. მისია, სხვათა შორის, პეტრე მელიქიშვილის 50 წლის საიუბილეოდ გამოცემული ბიბლიოგრაფიული წიგ-

ნაკის „მელიქიშვილი პეტრე (1873-1923)“ ყდა (ტფ., 1923).

გ. ნათიძის ხელმონაწერია გ. 610-ძე.

გააფორმა ნიგნი:

1. [შალამბერიძე, მიხეილ]. მელიქიშვილი პეტრე (1873-1923). - საიუბილეო გამოც. - ტფილისი, 1923. - 31 გვ.; 25სმ.

წყარო:

1. ზემოხსენებული გამოცემანი;
2. მხატვართა სია.

ნაკაშიძე, ერეკლე [ერეკლე] კაციას ძე (1867, 8/VI – 1937, 7/IV)

– აგრონომი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, – პერსონალური პენსიონერი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. მაკვანეთში, ოზურგეთის მაზ., თავადის ოჯახში). მამით ადრე დაიბრუნებულმა დიდი გაჭირვება გამოიარა. სწავლა დაიწყო ლიხაურის სასოფლო სკოლაში, დაამთავრა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელი (1878), ქუთაისის გიმნაზია (ბიძების ნივთიერი დახმარებით, აგრეთვე, გიმნაზიის შემწეობით ბეჯითი მეცადინეობისათვის) და ნოვო-ალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტი (ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის სტიპენდიით). ამ უმაღლეს სასწავლებელში ე. ნაკაშიძე პირველი იყო არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ ამიერკავკასიიდანაც. აქ სასოფლო-სამეურნეო განათლებას გატაცებით დაეწაფა, მით უმეტეს, რომ იგი ბავშვობიდანვე უყვარდა: ჯერ კიდევ 8-10 წლისამ სახლში მოაწყო პირველი სანერგე-სკოლა, თავი ისახელა, როგორც სასოფლო მეურნეობის მეცნიერული წესით წარმოების, ახალ კულტურათა შემოღება-განვითარების ერთ-ერთმა პიონერმა, თეორეტიკოს-პრაქტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, რისთვისაც პერსონალური პენსიაც დაიმსახურა. გარდაიცვალა თბილისში, 1937 წლის მაისის 7.

სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე (1888), ე. ნაკაშიძე ილია წინამძღვრიშვილმა თავისი სასწავლებლის გამგედ მიიწვია სოფ. წინამძღვრიანთკარში, სადაც 3 წელი დაჰყო. შემდეგ ვლ. სტაროსტოვსკისთან მსახურობდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტში (8 წელი). ამ ხნის განმავლობაში შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა სოფელი, გაეცნო მათ სამეურნეო-ეკონომიურ მდგომარეობას. 1900 წელს დაინიშნა მინათმოქმედების დეპარტამენტის ინსტრუქტორად (აგრონომ ს. ტიმოფეევთან), – მიენდო ოზურგეთის თამბაქოს საცდელი პლანტაციის (ახლანდელი ჩაის პლანტაცია) მოწყობა: ე. ნაკაშიძემ გაკაფა ზვანის ტყის აგარაკი, სადაც პლანტაცია უნდა გაშენებულიყო, ააგო საჭირო შენობები და 1901 წელს მოწყობილი პლანტაცია გადასცა ახლად დანიშნულ გამგეს – მეთამბაქოეობის სპეციალისტს ე. ჩუბუკოვს, თვითონ კი, ს. ტიმოფეევთან ერთად, შეუდგა ჩაის კულტურის გავრცელებას გურია-სამეგრელოში, რამაც დი-

დი ნაყოფი გამოიღო. 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ე. ნაკაშიძე დაინიშნა ოზურგეთის პლანტაციის გამგედ; 1909 წელს მინათმოქმედების დეპარტამენტმა გაგზავნა ლაზისტანს – ტრაპიზონისა და კერასუნდის რაიონში თბილის კულტურის გასაცნობად და ნერგების ჩამოსატანად. 1911 წელს დაინიშნა მინათმოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტად ჩაისა და სხვა სუბტროპიკული მცენარეულობის გასავრცელებლად გურია-სამეგრელოში. ამ დროს ცხოვრობდა ოზურგეთში და აქედან მეთვალყურეობდა საკუთარ მამულსაც სოფ. მაკვანეთში, სადაც მეურნეობა მოაწყო რაციონალურად (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ეს მამული, როგორც კულტურული სამეურნეო დაწესებულება, სახალხო კუთვნილებად შეირაცხა და სამაზრო აღმასკომს გადაეცა). 1918 წელს თბილისს გადმოიყვანეს იმავე თანამდებობაზე – მინათმოქმედების კომისარიატის სამსახურში.

საზოგადოებრივ ასპარეზზე მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა. დააარსა: 1. სამშობლო სოფ. მაკვანეთში ერთკლასიანი სკოლა, რომელსაც საჭირო მიწა შესწირა; 2. გურიის მეხილეთა საკრედიტო ამხანაგობა (მოუწყო ხილის სახმობიც); 3. გურიის სამეურნეო საზოგადოება, – ყველა ამათ ხელმძღვანელობდა, როგორც საპატიო მზრუნველი ან თავმჯდომარე; 4. მონაწილეობდა წინამძღვრიანთკარის, ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის სამეურნეო სასწავლებელთა პროგრამების შედგენაში; 5. XIX საუკუნის 90-იან წლებში შეადგინა ინტელიგენტთა კოლონიების პროექტი; 6. საქართველოს სოცურმეურნეულყოფის პერსონალურ პენსიონერთა კომიტეტის მინდობილობით, იოსებ იმედავილთან ერთად, სრულიად უფასოდ ხელმძღვანელობდა საშეფო სოფელში (სასხორში) ხილის ბაღის გაშენებას (ჩაიყარა 500 ძირამდე ნამყენი) და სხვ.

წერდა ჟურნალ-გაზეთებში, უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე.

ცალკე გამოცემული:

1. აბუსალათინი (ზეთის მცენარე) და მისი მოშენება / შედგენილი აგრონომის თ-დის ერ. ნაკაშიძისაგან. - ქუთაისი: „მეურნის“ რედაქციის გამოც., 1895. - 24 გვ.; 15სმ.;
2. Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае. - Вып. 1: [Предисловие; Программа для собирания сведений по плодоводству; Садоводство в Кубинском уезде, Бакинской губернии / [Соч.] И.Г. Даниельбекова. Очерк плодоводства Горийского уезда, Тифлисской губернии / [Соч.] Н.Н. Спешнева. Очерк плодоводства в Имеретии / Кн. Е.К. Накашидзе]. - Тифлис, 1895. - [2], VI, 127 с.; 24см.;
3. Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии / Е.К. Накашидзе. - Тифлис: Тип. К.П. Козловского, 1896. - 102с.; 26см.. - Отд. отт. из IV

- вып. „Сборника сведен. по виноградарству и виноделию на Кавказе“;
4. თხილი, მისი გაშენება და მოვლა. - ტფ.: სახელგამი, 1927 (პოლიგრაფტრ. მე-2 სტ.). - 38, 1 გვ.: სურ.; 18სმ. - დანართი: თხილი და მისი მრეწველობა ლაზისტანში, გვ. 29-38;
 5. სიმინდის ჩრჩილი. - ტფ.: სახელგამი, 1927 [კანზე: 1928] (პოლიგრაფტრ. მე-2 სტ.). - 16 გვ.: ნახ.; 18სმ.;
 6. ჩაის ბუჩქი, მისი გაშენება და ჩაის დამუშავება. - ტფ.: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფტრ. მე-6 სტ.). - VI, 71, [1] გვ.: სურ.; 17სმ. - ბიბლიოგრაფია, გვ. 71;
 7. მევენახეობა-მელენეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში. - [ტფ.]: სახელგამი, 1929 (პოლიგრაფტრ. მე-5 სტ.). - 61, III გვ.; 18სმ. - (პოპულარული ლიტერატურა);
 8. აბუსალათინი და მისი მოყვანა. - მეორე შევს. და შესწ. გა-მა. - [ტფ.]: სახელგამი, 1930 (1-ლი სტ.). - 27 გვ.: სურ.; 18სმ.;
 9. ზეთისხილის ხე. მისი გაშენება და მოვლა. - ტფ.: სახელგამი, 1930 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 19 გვ.: სურ.; 18სმ.;
 10. მანდარინის გაშენება და მოვლა. - ტფ.: სახელგამი, 1930 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 42 გვ.: სურ.; 18სმ. - (პოპულარული ლიტერატურა);
 11. ლუფა ანუ მცენარის ღრუბელი. - [ტფ.]: სახელგამის გა-მა, 1931 (სახელგამის 1-ლი სტ.). - 29, [1] გვ.: სურ.; 18სმ. - (საგაზაფხულო თესვის კამპანია);
 12. ნაგავიც სიმდიდრეა. - ტფ.: სახელგამი, 1931 (პოლიგრაფტრ. სტ.). - 16 გვ.; 18სმ. - (1931 წ. საგაზაფხულო თესვის კამპანია);
 13. რამი ანუ ჩინური ჭინჭარი. - ტფ.: სახელგამი, 1931 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 38, [1] გვ.: სურ.; 18სმ. - (საგაზაფხულო თესვის კამპანია);
 14. საქონლის საკვების დამუშავება ანუ დასილოსება. - ტფ.: სახელგამის გა-მა, 1931 (პ/სკ. სტ.). - 44 გვ.; 17სმ. - (1931 წ. საგაზაფხულო თესვის კამპანია);
 15. ბელის მავნებლები და მათთან ბრძოლა. - ტფ.: სახელგამი, 1932 (სტ. პ/სკოლა). - 31 გვ.; 18სმ.;
 16. ნარინჯოვანი. - ტფ.: სახელგამის სას. საკოლმეურნ. სექტორის გა-მა, 1934 (1-ლი სტ.). - 93 გვ.: სურ.; 20 სმ.;
 17. ზეთოვანი მცენარეები / ერ. ნაკაშიძე; ი. ქურდიანი; პ/მგ. რედ.: შ. მეგრელიძე. - ტფ.: სახელგამის სას.-სამ. სექტორი, 1935 (სახელგამის სას.-სამ. სექტორის 1-ლი სტ.). - 140 გვ.: ილ.; 23სმ..

თარგმნა და გამოცემულია:

1. ტიმოფეევი, სტეფანე. მოკლე დარიგება ჩაის ბუჩქის გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში / შედგენილი ს. ნ. ტიმოფეევის მიერ; თარგმანი აგრონომი ერ. ნაკაშიძისა. - Тифлис, 1904 (Тип. К.П. Козловскаго). - კანი, 30 გვ.; 22სმ.

აგრეთვე, ეკუთვნის:

1. თხილი და მისი მრეწველობა ლაზისტანში: [რუსულ ენაზე];
2. მევენახეობა იმერეთში;
3. მეთამბაქოეობა გურიაში: [ქართულ ენაზე];
4. მერძეობის მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიისა;

5. სტატისტიკური ცნობები შორაპნის მაზრაზე;
6. ტექნიკური კულტურები. - ნან. I: [სოია, არაქისი და აბუსალათინი]; ნან. II: [რამი];
7. ლომი (*Setaria italica*) და მისი მოყვანა;
8. ჭვავი და მისი მოყვანა გურია-სამეგრელოში: [რუსულ ენაზე].

გამოქვეყნებულია:

1. გურია // მეურნე. - №2. - გვ. 8-9. - მეურნეს კორესპონდენცია;
2. ლომის ჩალა, როგორც საკვები მასალა პირუტყვთათვის // მეურნე. - 1888. - №6. - გვ. 2-3;
3. ცდა, თუ როგორი პატივი (სასუქი) გააუმჯობესებს ენრის მიწას // მეურნე. - 1888. - №3. - გვ. 2-4;
4. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1888. - 30 ნოემბერი. - №252. - გვ. 2;
5. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1889. - 24 იანვარი. - №17. - გვ. 3; 25 იანვარი. - №18. - გვ. 3;
6. „უმორჩილესად გთხოვთ...“ // ივერია. - 1890. - 12 მაისი. - №99. - გვ. 3;
7. „წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის...“ // ივერია. - 1891. - 12 აპრილი. - №80. - გვ. 4;
8. „წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის პედაგოგიური რჩევა გულითად მადლობას უძღვნის თავ. გრიგოლ გურიელს, რომელმაც შემოსწირა გურული სამეურნეო ხელის იარაღები ზემოხსენებულ სკოლას“ // ივერია. - 1891. - 6 მარტი. - №49. - გვ. 4;
9. ლომის და მისი ჩალის ანალიზი: [რუსულ ენაზე] // Баталин, А.Ф. Справочная книга русского сельского хозяйства / Сост. при участии Ф.К. Арнольда, А.Ф. Баталина, Ф.Ф. Баталина... и др. Ф.А. Баталин. - Санкт-Петербург: А.Т. Девриен, 1892. - с. 295;
10. ხელით სათესი ქამანიანი მანქანა გუზიერისა // მეურნე. - 1892. - №5-8. - გვ. 11-12;
11. სოფ. ტვიში (ლენჩხუმის მაზრა) // მეურნე. - 1895. - №9. - გვ. 8;
12. მოკლე დარიგება იონჯის დათესვისათვის // მეურნე. - 1896. - №8. - გვ. 1-2;
13. ფილოქსერასთან ბრძოლის მდგომარეობა ევროპის უმთავრეს ქვეყნებში სადაც მელენეობა სწარმოებს // მეურნე. - 1897. - №10-11. - გვ. 9-11;
14. გურიის მეზღვეთა საკრედიტო ამხანაგობა // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №48. - გვ. 1; №49. - გვ. 1-3. - ხელმოწერა: აგრონომი ერ. ნაკაშიძე;
15. მოკლე დარიგება ჩაის ბუჩქის გაშენების და ჩაის გაკეთების შესახებ // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №27. - გვ. 3-5;
16. ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №26. - გვ. 13-14. - წერილს ერთვის რედაქტორის შენიშვნა;
17. ჩაის ბუჩქის გაშენება გურია-სამეგრელოში: // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №12. - გვ. 5-7;
18. ჩაის ბუჩქის გაშენება და ჩაის გაკეთება: (მოკლე დარიგება) // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №28. - გვ. 3-6; №29. - გვ. 3-4; №30. - გვ. 3-4; №31. - გვ. 5-6; №32. - გვ. 8-9;
19. პასუხი // სასოფლო გაზეთი. - 1914. - №7. - გვ. 16. - ხელმოწერა: აგრ. ე. ნაკაშიძე;

20. სიმინდის მარცვლის ჩრჩილი და იმის მოსასპობი საშვალეა // სასოფლო გაზეთი. - 1914. - №6. - გვ. 2-4. - ხელმოწერა: აგრონომი ერ. ნაკაშიძე;
21. ჩაის ბუჩქის გაშენება გურია-სამეგრელოში // ცნობის ფურცელი. - 1905. - 9 აპრილი. - №2793. - გვ. 3-4;
22. ჭვავი და მისი მოყვანა გურია-სამეგრელოში // სოფლის მეურნე. - 1921. - №4. - გვ. 8-12;
23. მებაბეობა ძველად და ახლა // ახალგ ზელი: კომუნისტის დამატება. - 1925. - 12 დეკემბერი. - №286;
24. ჩაის კულტურა და მისი მომავალი ჩვენში // ახალგ ზელი №1: კომუნისტის დამატება. - 1925. - 28 ნოემბერი. - გვ. 2;
25. მევენახეობის ახლანდელი მდგომარეობა გურიასა და სამეგრელოში: [„ახალგ ზელი“ №6] // კომუნისტი. - 1926. - 17 იანვარი. - №13. - გვ. 5;
26. ბრინჯის კულტურა: [მისი გავრცელების შესახებ საქართველოში] // კომუნისტი. - 1929. - 21 მაისი. - №114. - გვ. 2;
27. ბრინჯის კულტურა // კომუნისტი. - 1930. - 16 მარტი. - №61. - გვ. 2;
28. კანაფი და მისი მოყვანა // კომუნისტი. - 1930. - 20 აპრილი. - №90. - გვ. 2;
29. რამი ანუ ჩინური ჭინჭარი და მისი მოყვანა // კომუნისტი. - 1930. - 27 მარტი. - №69. - გვ. 2;
30. საქონლის დამყავებელი საკვები ანუ სილოსი: [მეცნიერება და ტექნიკა] // კომუნისტი. - 1930. - 6 ივნისი. - №130. - გვ. 3;
31. ტუნგი ანუ ზეთის ხე და მისი გაშენება // კომუნისტი. - 1930. - 25 აპრილი. - №95. - გვ. 2;
32. ბუნებრივი სასუქი // საბჭოთა აჭარა. - ბათუმი, 1936. - ივნისი. - №149. - გვ. 3;
33. კომპოსტი: [ნიადაგის გამანოყიერებელი მასალა] // საბჭოთა აჭარა. - ბათუმი, 1936. - ივნისი. - №146. - გვ. 4.

მის შესახებ:

1. პროფ. კულიშერის ჩამოსვლა... // მეურნე. - 1888. - №31. - გვ. 5. - წერილი ამბები;
2. მაკვანეთი: (გურია) // ივერია. - 1891. - 5 თებერვალი. - №27. - გვ. 2;
3. გვარამაძე, კოტე. - ა) „მადლობა ერ. ნაკაშიძეს...“ // ივერია. - 1892. - 18 ივნისი. - №126. - გვ. 3; ბ) წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1892. - 30 იანვარი. - №22. - გვ. 4;
4. ახალი ამბავი // ივერია. - 1895. - 22 დეკემბერი. - №277. - გვ. 1;
5. იერემია. პროვინციის ცხოვრება: ხმა ივრის ხეობიდან // მოამბე. - 1895. - №9, განყ. II. - გვ. 99-130;
6. წერეთელი, ვასილ (ვ. წ.). სამინათ-მოქმედო კოლონია // ივერია. - 1895. - 5 ოქტომბერი. - №213. - გვ. 2-3;
7. კიკვაძე, თ. ბიბლიოგრაფია: [Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии кн. Е. Накашидзе. Тифлис. 1896 г.] // კვალი. - 1897. - № 6. - გვ. 140-142; № 9. - გვ. 193-196; № 12. - გვ. 254-256;
8. ოზურგეთელი. ოზურგეთი // ივერია. - 1903. - 8 მარტი. - № 54. - გვ. 3;
9. დონევილი, ი. ზედობანი: (გურია) // ცნობის ფურცელი. - 1904. - 6 ოქტომბერი. - №2631. - გვ. 3;

10. მაჭავარიანი, ივ. (X.). ტიმოფეევი ს. ნ. მოკლე დარიგება ჩაის ბუჩქის გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ. ნაწილში. შედგენილი ნ. ტიმოფეევის მიერ, თარგმანი აგრონომ ერ. ნაკაშიძის მიერ. ტფ. გვ. 30, ფასი არ არის აღნიშნული: რეცენზია // მოამბე. - 1904. - №4. - განყ. II. - გვ. 110-112;
11. ნულაძე, აპოლონ (ანწლაძე). გურიის ამბები: [ქურდების დასჯა; მოსახლეობის გაჭირვება; დამხმარე კომიტეტის წევრები: ნინო და ილია ნაკაშიძეები, ერმილე ნაკაშიძე, გიორგი ჭოლოშვილი და სხვ.] / ოზურგეთი: [დაზარალებულ გურულთა შემწე კომიტეტის წევრები: ნინო, ილია და ერმილე ნაკაშიძეები, გიორგი ჭოლოშვილი და სხვ.] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 12 ნოემბერი. - №2948. - გვ. 3;
12. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხ. „კოლხიდა“... // ამირანი. - 1908. - 10 აგვისტო. - №130. - გვ. 1;
13. ქუთაისში: ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“ აცხადებს... // ხომლი. - 1908. - 24 ივლისი. - №10. - გვ. 1;
14. ქუთაისში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“... // ეკალი. - 1908. - 23 აგვისტო. - №1. - გვ. 4. - განცხადებანი;
15. მინათმოქმედების დეპარტამენტმა ამას წინათ... // ჩვენი საქმე. - 1909. - 7 თებერვალი. - №3. - გვ. 4. - ახალი ამბები;
16. პაიჭაძე. ერასტო გორდელაძეს და ერმილე ნაკაშიძეს // ჩვენი გაზეთი. - 1910. - 6 აპრილი. - №5. - გვ. 4;
17. „ხოლოკი“. „გურიის ახალშენი“ და ჩოლოქის მიწები // ახალი სხივი. - 1910. - 13 თებერვალი. - №9. - გვ. 3;
18. მოაშენეთ ჩაი!: (გურიის მეურნეთა საყურადღებოთ) // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №43. - გვ. 11;
19. ქუთაისის საგუბერნიო სამეურნეო თათბირი 23 ოქტომბერს 1913 წელს // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №49. - გვ. 15;
20. წერილი გურიიდან // სასოფლო გაზეთი. - 1913. - №43. - გვ. 12-13;
21. ლესელი, პ. სამეურნეო აღწერის გამო! // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №21. - გვ. 331-332;
22. ვანი - მევენახეობა-მეღვინეობა // ახალი სოფელი. - 1929. - 28 ივლისი. - № 58.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. პროფ. კულიშერის ჩამოსვლა... // მეურნე. - 1888. - №31. - გვ. 5. - წერილი ამბები;
3. ნაკაშიძე, ერმილე. - ა) წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1889. - 24 იანვარი. - №17. - გვ. 3; ბ) „უმორჩილესად გთხოვთ...“ // ივერია. - 1890. - 12 მაისი. - №99. - გვ. 3;
4. იერემია. პროვინციის ცხოვრება: ხმა ივრის ხეობიდან // მოამბე. - 1895. - №9, განყ. II. - გვ. 128;
5. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვ.; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 397;
6. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ.

ნიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: ნიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ.: 477, 493.

ნაკაშიძე, ილია პეტრის ძე (1866 – 1923, 26/V) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და სახალხო ლექტორი, – ქართველი ტოლსტოველი, – გურიიდან, გურიის უმსხვილესი წარჩინებული თავადის შვილი, უმაღლესი განათლებით, სხვათა შორის, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ბერძნული ენების კარგი მცოდნე, მაგარი სასმელებისა და ხორცეულის ქამის უარმყოფელი.

თავისი განათლებით და წოდებით, თუმცა წარჩინებული თანამდებობის მიღება შეეძლო, თავის წოდებას ჩამოშორდა, ფუფუნება უარყო და მდაბიო ხალხის სამსახურს შეუდგა: 1895 წლიდან სახალხო თეატრში („ავჭალის აუდიტორიაში“) მონაწილეობდა თავის მეუღლე ნინოსთან ერთად, ახლო თანამშრომელი შეიქმნა პრესის – „კვალის“, „ცნობის ფურცელისა“ და სხვ. საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის შესრულების გამო მოსალოდნელ იუბილეს და ქართველი ერის გაჭირვებული ცხოვრების შესახებ ლევ ტოლსტოის წერილი მიწერა – თქვენი გავლენიანი ხმა ამოიღეთო, რომლისგან პასუხად მიიღო: „დიდად თანაგვიგრძნობთ, მაგრამ ამყამად თქვენს თხოვნას ვერ ავასრულებ, იქნება შემდეგში მოვახერხო ესაო“. გურიის აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის გამო, ახლო მონაწილეობა მიიღო ხალხის მოთხოვნილებათა განხილვითა და გაჭირვებული გლეხკაცობის დახმარებისა და მთავრობის წარმომადგენელთან მოლაპარაკების საქმეში და სხვ. გლეხთა მოძრაობის მიზეზთა გასაცნობად წარგზავნილ კრიმ-გირეის გააყოლეს კორესპონდენტად. მისი კორესპონდენციები იბეჭდებოდა გაზეთებში, ზოგი იკრძალებოდა (1903).

ლევ ტოლსტოის პირადი მეგობარი და მისი მოძღვრების მიმდევარი იყო, – ბოროტების წინააღმდეგ არა შეიარაღებული, ძალადობის, გულდაგული ბრძოლის, არამედ პროპაგანდა-აგიტაციის განწევით წინააღმდეგობის მომხრე. ყველა ეროვნებას ერთნაირად უყურებდა, ყველას მიმართ კაცთმოყვარეობითი გრძნობით იყო გამსჭვალული, სძაგდა ეროვნული მძულვარება და შუღლი. რამდენად მსოფლიო მოქალაქე იყო, იმდენად – მამულიშვილი, თავისი მშრომელი ხალხის მოყვარული, მუშებისა და გლეხების გათვითცნობიერების უანგარო მუშაკი, თემური წყობილების მომხრე, ყოველი დაჩაგრულის მოსარჩლე.

1904 წელს, როცა მეფის მთავრობამ ბაშქიჩეთისა და სხვა კუთხეებიდან დუხობორები აპყარა და ქართლის სოფლებში ჩაასახლა (სადაც ადგილობრივი ქართველი გლეხები ამ აწიოკებულთ დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ და ხელი მოუმა-

რთეს), ხოლო აქედან უცხოეთში გაასახლეს, ი. ნაკაშიძემ თავის დასთან – ელენესთან ერთად დუხობორთა კეთილმოწყობის საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რისთვისაც (როცა გლეხობასთან ერთად ნაკაშიძის და ელენეც საზღვარზე გავიდა), მთავრობამ ი. ნაკაშიძე კავკასიის საზღვრებიდან გადაასახლა: 1906 წელს მეუღლე ნინოსთან ერთად გურიიდან გაასახლეს. 1908 წელს, სოფ. რუისში (ქართლში) ცხოვრების დროს, ერთ საეკლესიო დღეობაში სტრაჟნიკ-კაზაკებისაგან ნაცემ გლეხს გამოესარჩლა, რის გამოც სტრაჟნიკებმა თვით ი. ნაკაშიძეს უფრო მეტად სცემეს და ერთი ღამით ცხენებთან ერთად თავლაში დაამწყვდიეს (ამის გამო, ჟურნალისტიმა ლევ. ყიფიანმა წერილი დაწერა ბოქაულ-სტრაჟნიკთა წინააღმდეგ, რისთვისაც იგი პასუხისგებაში მისცეს, როგორც დიფამატორი (ცილისმწამებელი). ამ საქმის გამო ი. ნაკაშიძე სასამართლოში არც კი გამოცხადდა, იმდენად უღირსად მიაჩნდა უხემ ძალთაგან თავდაცვა.

ახლო მონაწილეობას იღებდა ჟურნალ „ნაკადულის“ დაარსებასა და შემდეგ მის წარმოებაში.

1922 წელს, სოფ. კიკეთში ცხოვრების დროს, პირველმა დააარსა კოლექტივი სოფ. დიდებში და კოლექტივის გლეხ წევრებთან ერთად თვითონაც მუშაობდა. 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ კიკეთში მისცა 4-ოთახიანი საუცხოო სახლი და ორი დესეტინა მიწა, რომელსაც საკუთარი ხელით ამუშავებდა. სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ხალისით ეკიდებოდა, – ადამიანის მასაზრდოებელ ჯანსაღ საკვებად ბოსტნეული და ხილი მიაჩნდა.

წერდა კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, აგრეთვე, თარგმნიდა, ხშირად ლექციებს კითხულობდა ქართულსა და რუსულ ენებზე. მისი ნაწერები, უმეტესად, ეროვნული, ფილოსოფიური, აღმზრდელიობითი, პედაგოგიური, სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და სხვ. ხასიათისაა. ი. ნაკაშიძის შეხედულებით, „ცხოვრება სამჭედლოა ადამიანისათვის: თუ მჭედელი სამჭედლოში სწავლობს ხელობას, კაცი – ცხოვრებაში ინვრთნება“... „მხოლოდ მსოფლიო შეხედულების ადამიანს ესმის, რა არის ნამდვილი პატიოსნება და ადამიანის პიროვნების პატივისცემა ამ წუთისოფელში... ადამიანის ბუნების პატივისცემა – ადამიანის მიმართ სიყვარულის წყაროა“... „ზნეობრივად სუსტი ადამიანი გინა საზოგადოება სუსტია ცხოვრების ყოველ ასპარეზზე. ადამიანის სულის ზნეობის ძალა აშუქებს ადამიანთა ცხოვრებას. ზნეობის წმინდა წყაროა მტკიცედ და ღრმად შეთვისებული რწმენა... ქართველთა სისუსტე ზნეობის სისუსტის შედეგია. ქართველი მოღვაწის ხასიათის, ნებისყოფის სისუსტე მისი რწმენის სისუსტის შედეგია“... „ცხოვრებაში თანდათან იმარჯვებს ის ძალა, რომელიც კაცთა შორის ძმურ კავშირს ჰქმნის და თავისუფლებას ამყარებს“... „ქართველი ერი აღორძინების გზას მაშინ დაადგება, როცა თავისი ეროვნული ენის საშუალებით საკაცობრიო ძმობა-ერთობის

დედაზრს შეითვისებს და თავის ეროვნულ საზღვრებში გაავრცელებს... „თავისუფლება – სიყვარულის შედეგია... რაც უფრო სავსებით და, ღრმადაა შესწავლილი ხალხში თავისუფლების იდეა, მით უფრო ვრცელი და გამძლეა კავშირი... საერთო იდეა – ყველა ხალხისთვის ერთნაირი ძვირფასი ოქროა, რომელზედაც თითოეული ერი მხოლოდ თავის სახეს აღბეჭდავს, თავის ბეჭედს დაასვამს ხოლმე“... „ჩვენ, ადამიანები, დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები, ერთგვარი მეზღვაურები ვართ. ცხოვრების ზღვაზე ვცურავთ, ამ ნუთისოფლის ტალღებს ვებრძვით. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ გარშემო ბევრი საფრთხე, ავდარი, გრიგალი და ბევრი ყაჩაღობა-გაიძვერობა გვიდარაჯებს; ამიტომ ჩვენ შორისაც სრული თანასწორობა, ძმური კავშირი და წესიერება უნდა არსებობდეს, რათა ცხოვრების გზა კეთილად განვლოთ“...

მისი მიუღწევე და თანამებრძოლი იყო ნინო ნაკაშიძე.

ცალკე გამოცემულია:

1. სოციალ-დემოკრატები. - თბ., 1907 (სტ. ამხ. „სორაპანი“). - 64 გვ.; 18სმ.;
2. როგორ გავიცანო ლეონ ტოლსტოი. - ტფ.: სახელგამის გა-მა და სტ., 1928[!]. - 40 გვ.; 17სმ. - კანზე სურ.

თარგმანი და ცალკე გამოცემულია:

1. სპენსერი, ჰერბერტ. მიწით სარგებლობის უფლება / ჰერბერტ სპენსერი; თავისუფალი თარგმანი ინგლისურიდან ი. ნაკაშიძისა. - თბ.: გუთანი-ს გამოცემა №3, 1906 (მ.ე. ხელაძის სტ.). - 24 გვ.; 19სმ.;
2. ანდერსენი, ჰ. ქ. ზღაპრები / თარგმანი ილ. ნაკაშიძისა. - [თფ.]: „ნორჩი საქართველო“-ს გამოცემა №4, [1920]. - 28 გვ.; 22 სმ.

თარგმანი და გამოქვეყნებულია:

1. ჰაინე, ჰაინრიხ. - ა) ლმერთა ბინდი: (ჰეინედან) [ლექსი. თარგმანი ი. ნაკაშიძისა] // კვალი. - 1896. - №15. - გვ. 255-256; ბ) იდეები I: (თარგმანი გერმანულიდან) // ისარი. - 1907. - 22 თებერვალი. - №40. - გვ. 3; 1 მარტი. - №46. - გვ. 2-3; 13 მარტი. - №55. - გვ. 2-3; 21 მარტი. - №62. - გვ. 3; 25 მარტი. - №66. - გვ. 2-3; 1 აპრილი. - №72. - გვ. 2-3; 11 აპრილი. - №81. - გვ. 2-3; 29 მაისი. - №115. - გვ. 2-3; 1 ივნისი. - №117. - გვ. 2-3; 17 ივლისი. - №154. - გვ. 2-3; 19 ივლისი. - №156. - გვ. 2-3;
2. მოპასანი, გი დე. მარტობა: [მოთხრობა. თარგმანი] ი. ნაკაშიძისა // კვალი. - 1897. - №18. - გვ. 357-360;
3. ჯერომ-ჯერომი, კ. ბალღები: [მოთხრობა] (ჯერომ-კ-ჯერომისა ინგლისურიდან) [თარგმანი] ი. ნაკაშიძისა // კვალი. - 1897. - №52. - გვ. 920-923;
4. ანდერსენი, ჰანს ქრისტიან. - ა) ზარი: ზღაპარი. (თარგმანი გერმანულიდან) // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1906. - №5. - გვ. 35-42; ბ) ბედის კალოშები: ჰანს ქრისტიან ანდერსენისა [ზღაპარი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1916. - №2. - გვ.31-42; №3.

მათგანვე ყიდულობდა და სათანადო მომზადებით, უშუალოდ ევროპაში გზავნიდა გასაყიდად არა მოგების მიზნით, არამედ ჩარჩ-მყვლეფელთაგან ხალხის გადასარჩენად. ამ მძიმე მუშაობას სრულიად უშრომისფასოდ უძღვებოდა, სამაგიეროდ, მშრომელი ხალხის ნივთიერად მოღონიერებას ძლიერ ხელს უმართავდა. აბრეშუმის ჭიის საშინელმა სენმა – პებრინმა რომ მთელ სამეგრელოში მოსპო მეაბრეშუმეობა და მით ხალხს შემოსავლის ერთი თვალსაჩინო წყაროთაგანი დაუშრიტა, ი. ნიკოლაიშვილმა ძველ სენაკში მასწავლებლად ყოფნისას, დაიქირავა ერთი დიდი დარბაზი და, როგორც აბრეშუმის ჭიის მოვლის მცოდნემ, სკოლის მონაფეთა დახმარებით, აბრეშუმის ჭიის დროზე კვებით და სუფთად დაცვით, დიდ წარმატებას მიაღწია, საუკეთესო აბრეშუმის პარკი მიიღო და იმ დროს თბილისში გაღებულ გამოფენაზე გაგზავნა ძველი სენაკის სკოლის სახელით. პარკის საუცხოო ღირსებისათვის სკოლა მედლით დაასაჩუქრეს. ამის შემდეგ მთელ სამეგრელოში ისევე აღორძინდა ეს საქმე. თავის ბიძაშვილ დიმიტრი კალანდარიშვილთან ერთად, გურიაში შეადგინა სცენისმოყვარეთა დასი, სოფელ-სოფელ ურმით მოგზაურობით წარმოდგენებს მართავდა, წარმოდგენებიდან შემოსული ფულით ბიბლიოთეკებს ხსნიდა, ნიჭიერ მოსწავლე ახალგაზრდობას, მაგალითად, ფილიპე მახარაძესაც კი, შეენია ფულით ქ. ვარშავაში და სხვ. საერთოდ, გურიის კულტურულ დანიშნულებაში, თეატრების, ბიბლიოთეკების და სხვ. მოწყობის საქმეში ი. ნიკოლაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის. ქუთაისში მისი თაოსნობით ანუ აქტიური მონაწილეობით დაარსდა საკვირაო სკოლა, სახალხო უნივერსიტეტი, სახალხო თეატრი და სხვ. (სახალხო თეატრში, ი. ნიკოლაიშვილთან ერთად, თამაშობდა სცენაზე ალიოშა ჯაფარიძეც).

პოლიტიკურ-რევოლუციურ საქმიანობაშიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა. 1905 წელს დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა პოლიტიკური გაფიცვის ერთ-ერთი მომწყობი და ხელმძღვანელთაგანი იყო (1905 წლის მარტის 24 სკოლებში მეცადინეობა შეწყდა). ამავე 1905 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დაინიშნა რევტრიბუნალის თავმჯდომარედ, აირჩიეს დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა არალეგალური კავშირის თავმჯდომარედ. მცოდნე ამხანაგების დახმარებით სოფლის სკოლებისათვის შეიმუშავა ახალი პროგრამა, მოსპო სკოლაში საღმრთო რჯულის სწავლება და მის ნაცვლად შემოიღო ისტორია (რომლის პროგრამა შეადგინა სახუნტის ისტორიის ყოფ. პროფესორმა მიხ. სალარაძემ. ისტორიაში დიდი ადგილი ჰქონდა მიკუთვნილი საფრანგეთის რევოლუციას); ქ. ქუთაისის შუაგულს დაიქირავა სახლი, სადაც ღამეს ათევენდენ სოფლიდან ჩამოსული მასწავლებლები. მათთვის ლექციებს მართავდა, სკოლებიდან ითხოვდა უხეირო და კონტრრევოლუციურ მასწავლებლებს, ნიშნავდა ახლებს და სხვ. სახალხო სკოლების დირექტორნი და, საზოგადოდ, მთავრობის მოხელენი, ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ

ხელს არ უშლიდნენ და ყველა მის განკარგულებას ადასტურებდნენ. პოლიტიკური საქმის გამო ოთხჯერ იყო დაპატიმრებული, პირველად – 1906 წლის რეაქციის დასაწყისს, ქუთაისის ბარიკადებზე დამარცხების შემდეგ.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მოთხრობით „პეტრიას ოჯახი“ („ივერია“, 1889), შემდეგ თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. აგრეთვე, თანამშრომლობდა იუმორისტულ ჟურნალებში და მამხილებელ ფელეტონებსაც წერდა, რის გამოც გენერალ-გუბერნატორმა ერთი წლით გადაასახლა ადმინისტრაციული წესით.

როგორც მუსიკის მცოდნე, საბავშვო სიმღერებს წერდა ნოტებზე, რომლებიც საცმანვილო ჟურნალებში იბეჭდებოდა. ნოტებზე დაწერილ ალადგინა (პ. კვიციანიძესთან ნასწავლის მიხედვით), ძველად „ვეფხის ტყაოსანს“ სიმღერით როგორ კითხულობდნენ.

სახელგამის დავალებით, შეადგინა უფრო ვრცელი ქართული ენის გრამატიკა (ტფ.: სახელგამი, 1927), რომელიც იმავე მეცნიერთა კომისიამ განიხილა, მეცნიერულ შრომად იცნო და შედგენი – ი. ნიკოლაიშვილი – მეცნიერების მუშაკთა სექციის წევრად ჩარიცხა, ხოლო პროფ. ვ. თოფურიას სიტყვით („განათლების მუშაკი“, 1927), ი. ნიკოლაიშვილის გრამატიკა „არის პირველი ცდა მეცნიერული გრამატიკის შედგენისა“. უკანასკნელ დრომდე ჩვენსა და რუსეთშიაც მიღებული იყო ლოგიკური გრამატიკა, მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ შემოიღეს მეცნიერული გრამატიკა და მისი პირველი შემდგენი ი. ნიკოლაიშვილია.

მანვე შეადგინა, ი. ოცხელისა და ბ. მამფორიას დახმარებით, ქართული ქრესტომატია, საშუალო სასწავლებლის II კლასის კურსი (ქუთაისი, „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1918, 234, [2] გვ.). არის მე-3 და მე-4 კლასებისთვისაც.

ი. ნიკოლაიშვილის ფსევდონიმებია: ივანეს იასონ, მათუსალა, წელკავი, მზაკვარი, ნატუსალა, ბელზებელი, დონ-პედრო, გორისპირელი, კოლო, კოლო ბზუკუნა და სხვ.

ი. ნიკოლაიშვილი რეალისტური სკოლის მიმდევარი იყო. მისი მოთხრობები მხატვრული სინამდვილით გვისურათებს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, – გვიჩვენებს სოფლის თავადაზნაურობის გათახსირებას, ზნეობრივ-გონებრივ დაცემას, მაზრის მოხელეთა უდიერობას, თავადაზნაურთა და მოხელეთა ურთიერთ ზურგის გამაგრებით გლეხკაცობის აკლება-ანიოკებას, საზოგადოებრივ უსამართლობას და სხვ.

ცალკე გამოცემულია:

1. ქართული მოკლე გრამატიკა / შედგ. ი. ნიკოლაიშვილის მიერ. - ქუთაისი: კ. გაბუნიას გამოცემა, 1912 (ი. კილაძის სტ.). - 62 გვ.; 18სმ.; **მეორე** შესწორებული გამოცემა. - ქუთაისი: ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა, 1913 (ი. კილაძის სტ.). - 56 გვ.; 19სმ.; **მესამე** შესწორებული გამოცემა. - ქუთაისი: გამოცემა „განათლების“ საზოგადოებისა, 1917 (სტ. „ძმობა“). - 56 გვ.; 18სმ.; გა-

მოცემა **მე-4-ე** შესწორებული. - თბ.: ალ. არაბიძის და ამხანაგობის წიგნების გამ-ბა, 1919 (სახელმწიფო სტ.). - 48 გვ.; 21სმ. – [რომელიც, გრამატიკის სახელმძღვანელოთა შორის, სამეცნიერო კომისიის მიერ საუკეთესოდ იქნა ცნობილი და რესპუბლიკის სკოლებში შემოიღეს. – ი. ი.];

2. ქართული ქრესტომატია: საშუალო სასწავლებლის II კლასის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ. - ქუთაისი: განათლების ამხანაგობის გამოცემა, 1918 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 234, [2] გვ.; 20 სმ.;
3. ქართული ქრესტომატია: საშუალო სასწავლებლის III კლასის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ.-ბის გამოცემა, 1918 (ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. სტ.). - 155 გვ.; 28 სმ.;
4. ქართული ქრესტომატია: საშ. სასწავლებლის IV კლასის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ.-ბის გამოცემა, 1918 (ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. სტ.). - 155 გვ.; 23 სმ.;
5. *ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა / შედგ. ი. ნიკოლაიშვილის მიერ. - გამოცემა მე-5, შესწორებული. - ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1923. - 48 გვ.; 22სმ.;*
6. ქართული ენის გრამატიკა: [შრომის სკოლებში სახელმძღვ.] / შედგენილი ი. ნიკოლაიშვილის მიერ. - ტფ.: სახელგამი, 1927 (ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრ. მე-2 სტ.). - 146, [2] გვ.; 23სმ.;
7. *ქართული ენის გრამატიკა: სახელმძღვანელო შრომის სკოლებისათვის / შედგენილი ი. ნიკოლაიშვილის მიერ. - [ტფ.]: სახელგამი, 1928 [კანზე: 1929] (პოლიგრაფტრ. მე-2 სტ.). - 144, [2] გვ.; 23სმ.*

გამოქვეყნებულია:

1. პეტრიას ოჯახი: (გურულის გლეხის ცხოვრებიდან) // ივერია. - 1889. - 12 მარტი. - №54. - გვ. 1-2;
2. უკანასკნელი ხმები ჭიანურისა: [მოთხრობა] // ივერია. - 1889. - 17 ნოემბერი. - №245. - გვ. 1-2;
3. ობოლი: (ფუძღვნი ნ. თ. შარაშიძისას) [მოთხრობა] // ჯეჯილი. - 1890. - №4. - გვ. 13-18. - ახლავს სურათი;
4. *სამინელი საბუთი: [მოთხრობა] // ივერია. - 1891. - 23 ნოემბერი. - №249. - გვ. 1-3; 24 ნოემბერი. - №250. - გვ. 2-3;*
5. სურათი გურულის გლეხის ცხოვრებიდან: [მოთხრობა] // ივერია. - 1891. - 10 თებერვალი. - №32. - გვ. 1-3;
6. რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!...: ამბავი // მოამბე. - 1895. - №3, განყ. I. - გვ. 1-3;
7. ცოლ-ქმარი: [მოთხრობა] // მოამბე. - 1895. - №5, განყ. I. - გვ. 1-12; №6, განყ. I. - გვ. 1-22; აგრეთვე: „ალიონი“-ს კრებული: მოთხრობები, ესკიზები, ამბები / შეკრებ. ვ. გადილიას მიერ. - თფილისი: ამხანაგ. „ალიონი“-ს გამოცემა, № 5, 1911 (მსწრაფლმბეჭდავი თბილისის მეტეხის ციხისა). - 358 გვ.; 22სმ.;

8. ყვავილები: [მოთხრობა] (ვუძღვნი ჩვენს პატივცემულს მოღვაწეს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს) // ჯეჯილი. - 1896. - №2. - გვ. 26-34;
9. შერიგდენი!: (ფსიხოლოგიური წერილმანი) [მოთხრობა] // მოამბე. - 1896. - №4, განყ. I. - გვ. 1-12;
10. ჰაიდა აქედან: (საახალწლო ეტიუდი) // მოამბე. - 1897. - №9, განყ. I. - გვ. 75-81;
11. ქნო რედაქტორო!.. // კვალი. - 1900. - №39. - გვ. 628;
12. ბელზებელი კალიდოსკოპი: [ხაზინის მდგომარეობის შესახებ] // სოციალ-დემოკრატიული ფურცელი. - 1905. - 17 დეკემბერი. - №4. - გვ. 2-3;
13. კალიდოსკოპი: [ქუთაისის ქალაქის თავის გაკიცხვა. „პედაგოგთა კავშირის“ კრება]: ბელზებელი // სოციალ-დემოკრატიული ფურცელი. - 1905. - 22 დეკემბერი. - №8. - გვ. 1-3;
14. წერილი რედაქციის მიმართ: [პასუხად ლადო ბზვანელს; მასწავლებელთა კავშირის მუშაობის შესახებ] // სოციალ-დემოკრატიული ფურცელი. - 1905. - 28 დეკემბერი. - №11. - გვ. 4;
15. სწორეთ მეტად ახირებული ხალხია ქუთათურები!... // ეშმაკის მათრახი. - 1908. - №31. - გვ. 15. - დართული აქვს რედაქციის პასუხი-წერილები ეშმაკისადმი;
16. ქეთუნა და ქუცუცა: [მოთხრობა] // ნაკადული: საყმანწილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1908. - №15. - გვ. 4-10;
17. წერილები რედაქციის მიმართ // ეშმაკის მათრახი. - 1908. - №27. - გვ. 16;
18. სანგანათლების თეატრი: [31 მაისს გამართული მხატვრული საღამოს შესახებ] // კომუნისტი. - 1924. - 6 ივნისი. - №128. - გვ. 4.

აგრეთვე: „ჯერ ჩვენი აღდგომა არ გათენებულა“ („მერცხალი“, 1915 ან 1916 წწ.), „ტუფლები“, „იუდის ამბორი“ და სხვ.

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

1. გაბერტონი, ჯონ. ცელქის დღიურიდან // ნაკადული: საყმანწილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1908. - №5. - გვ. 36-40; №6. - გვ. 36-41; №7. - გვ. 25-29; №8. - გვ. 31-42; №9. - გვ. 19-28; №10. - გვ. 14-20; №12. - გვ. 39-48.

მის შესახებ:

1. გომელაური, ი. (გ-რი, ი.). კრიტიკული შენიშვნა: ნიკოლაიშვილი // კვალი. - 1896. - №37. - გვ. 658-660;
2. კიტა (კიტა აბაშიძე). სალიტერატურო მიმოხილვა 1895-ის წლისა // ივერია. - 1896. - 18 იანვარი. - №13. - გვ. 1-4;
3. მესხუზლა, იასე (რაჭველი, იასე). რეცენზია: ნიკოლაიშვილი, იას. „ცოლქმარი“, მოთხრობა, ი. ნიკოლაიშვილისა, „მოამბე“ № 5, 1895 წ. // კვალი. - 1896. - №14. - გვ. 236-237;
4. გადასახლება: [ცნობა ქუთაისიდან, რომ გადასახლებას უპირებენ იასონ ნიკოლაიშვილს და ექიმ დონდაროვს] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 1 მარტი. - №3015. - გვ. 2;
5. დასავლეთ საქართველოში - ზემო იმერეთი: [ჯარის მიერ მოსახლეობის ანიოკება ჭიათურაში, სოფ.

- კაცხსა და სხვა სოფლებში. აფრასიონ მერკვილაძის დევნა ბოქაულ მახარაძის მიერ. ქუთაისის საპყრობილეში პატიმარ რეზნიკოვის მიერ შიმშილობის გამოცხადება. აქვე პატიმრები - ექიმი დონდაროვი და მასწავლებელი ი. ნიკოლაიშვილი] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 19 მარტი. - №3031. - გვ. 1-2;
6. რა ამბავია: [მღვდელ ივანე ბოგოხიას სახლის გადაწვა კაზაკების მიერ ზუგდიდში. ზოგიერთი პერიოდული გამოცემის გაყიდვის აკრძალვა ფოთი-თბილისის რკინიგზაზე. იასონ ნიკოლაიშვილის და ექიმ დონდაროვის გადასახლების საკითხი] // პატარა გაზეთი. - 1906. - 1 მარტი. - №6. - გვ. 3;
7. ქუთაისის ამბები: [სამხედრო წესების გაუქმების საკითხის უარყოფა. მთავრობის შეკითხვა გრიგოლ გველესიანის შესახებ. ექიმ პ. დონდაროვის და მასწავლებელ იასონ ნიკოლაიშვილის გადასახლებიდან განთავისუფლება] // შრომა. - 1906. - 18 აპრილი. - №11. - გვ. 3;
8. ლლონტი, ხარლამში (ლ-ტი). ქუთაისი: [ხალხის შეშფოთება ჯარის მოქმედების გამო. ვლ. სტაროსელსკის და ა. ყიფშიძის განწვევა ყვირილაში. სილოვან ხუნდაძის, პ. გოთუას, იასონ ნიკოლაიშვილის, ალ. გარსევანიშვილის და სხვ. დაპატიმრება] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 17 იანვარი. - №2980. - გვ. 1;
9. აღდგომა, 13 აპრილს, თფილისში გამოვა... // მერცხალი. - 1908. - 9 აპრილი. - №5. - გვ. 1;
10. დადიანი, შალვა. „უსალსრობა“ და ქართველი მწერლები: წერილი რედაქციას // ამირანი. - 1908. - 18 ივლისი. - №111. - გვ. 3. - ტექსტის ბოლოს: დასარული იქნება;
11. მწერლები მწერლობის დაცემის შესახებ // მზე. - 1908. - 6 ოქტომბერი. - №1. - გვ. 3-4;
12. ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთა... // კვალი. - 1908. - 11 სექტემბერი. - №9. - გვ. 3. - ახალი ამბები;
13. საკოოპერაციო ლიგა // კოოპერაცია. - 1912. - №21-4. - გვ. 10. - მიმდინარე ცხოვრება;
14. კაკალი. დ. სურამში სამშაბათს... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №33. - გვ. 15-16. - სახიობა, მუსიკა, მხატვრობა;
15. სიტყვა სახ. მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელ იასონ ნიკოლაიშვილისა, 25 მარტს წარმოთქმული შიო მღვიმელის დღესასწაულზე ქუთაისში // სკოლა და ოჯახი. - 1916. - №2. - გვ. 15;
16. სურამში 3 მარიამობისთვის... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №33. - გვ. 16;
17. ქართველ მწერალთა პირველი კრება... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №52. - გვ. 14;
18. ქუთაისის თეატრში 25 მარტს შიო მღვიმელს სახალხო მასწავლებელთა... // სკოლა და ოჯახი. - 1916. - №1. - გვ. 16;
19. ქართველი ბიოგრაფი: მეუნარგია იონა მიხეილის ძე (1852-1919) // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - №10. - გვ. 9-10. - სქოლიოში: ამოღებულია იოსებ იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“-დან;
20. ამი. ქართული მოკლე გრამატიკა // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №9. - გვ. 15. - ბიბლიოგრაფია.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. საქართველოს განათლების მუშაკი. - 1925. - № 7. - გვ. 14;
3. მუშა. - 1937. - 17 ნომბერი. - № 289;
4. დადიანი, შ. გრიშაშვილი, ი. და სხვ. // ლიტერატურული საქართველო. - 1941. - 16 მაისი. - № 20;
5. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 477.

ნიკოლაიშვილი, სტეფანე (1890 –) – პედ-

აგოგი და საზოგადო მოღვაწე, დამსახურებული მასწავლებელი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ნიგოთში, გლეხის ოჯახში). დაამთავრა სოფლის პირველდარსებითი სკოლა და (ბიძის დახმარებით) ქუთაისის საშუალო სასწავლებელი. 1908 წლის 1 სექტემბრიდან ნიგოთის სკოლის მასწავლებლად გამწესდა, 1910 წელს – ორთაბათუმის ქართველ მუსლიმანთა სკოლაში, 1911 წელს – სოფ. გიორგიმინდის (გარეკახეთი) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლის მასწავლებლად. ამ სკოლას მეფის მთავრობის მოხელენი ძლიერ ავიწროვებდნენ, როგორც ქართულ ეროვნულ სკოლას, ბოლოს დახურვაც მოუწოდებდნენ, მაგრამ სტ. ნიკოლაიშვილმა გარეკახეთის სოფლების – ნინოწმინდის, მანავის, თოხლაურის და სხვ. – გლეხთაგან ზურგის გამაგრებით გარუსების გამავრცელებელ სახალხო სკოლების დირექციას მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია, სრულიად უფასოდ იკისრა მასწავლებლობა და მით ქართული ეროვნული სკოლა დახურვას გადაარჩინა. აქ სრულიად უჯამაგიროდ იმსახურა ნ თვე. 1916 წელს ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის მიერ ბათუმის ოლქში გახსნილ ერთ-ერთი სკოლის – ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბარის სკოლაში მიიწვია მასწავლებლად (მაჩაბელი მ. ვ.). ამ დროს მსოფლიო ომი იყო გაჩაღებული, ბათუმის ოლქი გამაგრებულ რაიონად და ფრონტად იყო გამოცხადებული, მოსახლეობას სკოლისადმი მიდრეკილება არა ჰქონდა, სწავლას აღმაცერად უყურებდნენ, ამავე დროს, მეფის მთავრობის მომხრენი და ქართველთა მოძულენი სტ. ნიკოლაიშვილს და, საერთოდ, ქართული სკოლის მუშაკებს სდევნიდნენ, ხოლო ბათუმის ციხის კომენდანტი, გენერალი ლიახოვი მეფისნაცვალს, ვორონცოვ-დაშკოვს, სწერდა: „თვითმპყრობელობის ღალატი ქართველებისაგან, ბათუმის ოლქის ქართული სკოლებიდან იწყება“ და ქართველ მასწავლებელთა გაძევებას მოითხოვდა. მიუხედავად ასეთი მძაფრი დევნისა, სტ. ნიკოლაიშვილმა სხვებთან ერთად, შეუჩერებელი, ბეჯითი, დაუცხრომელი მუშაკობით სკოლას და, საერთოდ, ქართული კულტურის მოსახლეობაში ავტორიტეტი მოიპო-

ვა, ქართულ სკოლას, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების დახმარებით, საკუთარი შენობა აუგო, მახლობელი სოფლებიდან (ლეღვა, წყავროკა, მუხაესტატი, ჩეხედანა) ალამბარის ქართულ სკოლაში 80 მონაწევს მოუყარა თავი. მოზრდილთათვის მონაწევ სალამოს „საკვირაო“ სკოლები და მუშაობა გააჩაღა, სადაც 1917 წლის რევოლუციამდე მუშაობდა. 1918 წელს გადავიდა თბილისის რკინიგზის სკოლის მასწავლებლად, იმავე დროიდან თვით განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა უმაღლესი პედაგოგიური კურსები (1922). 1922-1927 წლებში გურიის სკოლების ინსპექტორად მუშაობდა, 1927-1930 წლებში – აჭარის განსაკომის ინსპექტორად, 1930-1935 წლებში – დილომის სანიმუშო სკოლის დირექტორად (სადაც საკუთარი თაოსნობით ააგო 18-ოთახიანი, ორსართულიანი სასკოლო შენობა, სანიმუშო კაბინეტებით მთელი რაიონისათვის. მისივე თაოსნობით, ამ სკოლამ შეიძინა სასულე ორკესტრის საკრავი იარაღები და ჩამოყალიბდა გუნდი). 1935 წელს გადმოიყვანეს თბილისის 53-ე სკოლის რუსული სკოლის დირექტორად, რომლის ხელშიაც ეს სკოლა ძალზე გაიზარდა. აქ, წმინდა სასკოლო-პედაგოგიური მუშაობის გარდა, ფართოდ აწარმოებდა საზოგადოებრივ-კულტურულ-აღმზრდელობით საქმიანობას.

1911 წლიდან წერდა პედაგოგიური ხასიათის წერილებს გამოცემებში: „განათლება“, „მასწავლებლის თანამგზავრი“, „კომუნისტური აღზრდისათვის“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

პედაგოგიურ-საზოგადოებრივი ნაყოფიერი შრომისათვის მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის ნოდება, დაჯილდოებული იყო მრავალჯერ.

შეადგინა და ცალკე გამოცემულია:

1. ძერწვა შრომის სკოლებში: სურათებიანი სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის. - I გამოცემა. - ტფ.: სახელგამი, 1922 (სტამბა „ყოფ. ქართ. ბეჭდვითი ამხ.“). - 33 გვ.; 24 სმ..
2. წერიტი სავარჯიშოები შრომის სკოლებისთვის / შედგენილი ს. ნიკოლაიშვილის მიერ. - ოზურგეთი, 1923 (კომუნ. მეურნეობის სტ.). - 28 გვ.; 24სმ.;
3. წერიტი სავარჯიშოები და მათი გასწორება: [4 წლ. სკოლებისათვის] / შედგენილი სტ. ნიკოლაიშვილის მიერ. - ბათუმი, 1928 (აჭარსტანის შინა მრეწვ. სტ.). - 22 გვ.; 22სმ.

გამოქვეყნებულია:

1. წეს-რიგის მნიშვნელობა და დაცვა სკოლაში // განათლება. - 1913. - №10. - გვ. 747-750;
2. დახმარება სახალხო მასწავლებლებს // სკოლა და ოჯახი. - 1916. - №4. - გვ. 8-9;
3. ძერწვა დასაწყის სკოლებში // განათლება. - 1916. - №10. - გვ. 616-621;
4. ლუარსაბ ბოცვაძის ხსოვნას: [ნეკროლოგი] // განათლება. - 1919. - №2. - გვ. 14-16;
5. განახლებულ სკოლის გზა და მიზანი // განათლება. - 1920. - №1. - გვ. 21-25;

6. გურიის სკოლები // სკოლა და ცხოვრება. - 1920. - №1. - გვ. 7;
7. ხატვა აწინდელ განახლებულ სკოლებში // განათლება. - 1920. - №3. - გვ. 62-66.

მის შესახებ:

1. ბურჭულაძე, გ. მოხსენება ქ. შ. ნ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას // განათლება (დამატება). - 1913. - №4. - გვ. 56-58.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია.

ნიკოლა, პატრი (- 1813) – ექიმი-მოძღვარი და მქადაგებელი, – ქართველთა გათვითცნობიერებისა და გაერთიანების მოღვაწე, კათოლიკე მისიონერი რუთიანელი, – იტალიიდან, ევროპული საერო და სასულიერო განათლებით, განვითარებული, ქართულად საუკეთესო მქადაგებელი, რომიდან საქართველოში მოვიდა 1792 წელს სამოძღვრო-საექიმოდ, რომლის მოსვლისთანავე დაიწყო ქართველ კათოლიკეთა ცხოვრების ახალი ხანა. ნიკოლამ, პირველყოვლისა, აღადგინა კათოლიკეთა „ძმობა“ (რომელიც აღაშენდა 1795 წელს კათოლიკეთა ეკლესიასთან, წამალხანასთან და სხვ. ერთად, გადაწვა). ამ „ძმობაში“ ნიკოლამ ჩარიცხა ყველა დიდებული გვარის ქართველი და ნივთიერი სახსარი გაუჩინა, განაბრწყინა სკოლა, ქართველ კათოლიკეთა შვილებს უმფარველა, მისი მეთაურობით კათოლიკე პატრებმა უპატრონეს იმავე სპარსელთა შემოსევის მიზეზით თბილისში გაჩენილ (1797 წ.) ჭირისაგან შემუსვრილ ქართველობას. დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა თუ სახლებში და ავადმყოფთ ჰკურნავდნენ საკუთარი წამლებით, მარხავდნენ უპატრონო მიცვალებულთ და სხვ. ასეთი საქციელით ნიკოლამ სამეფო კარს თავი შეაყვარა, დაუახლოვდა. ერეკლე II-მ ნიკოლასა და მის თანამოღვაწეებს მიანდო შვილებისა და შვილიშვილების სწავლა-აღზრდა (ასწავლიდნენ: სხვადასხვა ენას, სამეცნიერო საგნებს, მწიგნობრობას), აგრეთვე, სახელმწიფო საქმეებში დაიახლოვა (ქართველ სამეფო კარს ეს პატრები ნიკოლას მეთაურობით უწერდნენ უცხო სახელმწიფოებთან გასაგზავნ ნერილებს ფრანგულ, ლათინურ, პოლონურ, იტალიურ, ოსმალურსა და სხვ. ენებზე). ამ დროს საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკება წარმოებდა.

ერეკლე II-ს გარდაცვალების (1798) შემდეგ სამეფო სახლი 8 დასად გაიყო (ღვთისმოსავი, უხასიათო, თვითუმოქმედო, სნეული გიორგი XIII ანგარიშს არავის უწევდა): თითოეული მათგანი სათავისოდ ცდილობდა მეფობის მოპოვებას, მთელი ქართველობა აირია, გარეშე მტრებისაგან ჭირგამოვლილი ქვეყანა შინაური ჯიბრით სუსტდებოდა. ნიკოლა გულისტკივილით ჩასჩინებდა ტახტის მაძიებელთ: ურთიერთში უთანხმოება მოსპვით, სამეფოს გააძლიერეთ, ევროპელთა მსგავსად მუდმივი ჯარი დაანესეთ (სულ 2000 კაცი) და თქვენს

ტურფა სამშობლოს უპატრონეთ, თორემ საქმე სანაწურად გაგიხდებათო. რჩევა-დარიგებით რომ ვერ დააზავა მეფობის მაძიებელი ბატონიშვილი, ნიკოლამ ერთ შეკრებაში დიდებულთ მიმართა: რაკი ბატონიშვილთ შორის განხეთქილება არ ისპობა, – მეფეს ნულარ ისურვებთ, რესპუბლიკა დაანესეთ და ბატონიშვილები იქით წავიდნენ, საითაც სურთო, ხოლო თუ ეს გეძნელებათ, იმერეთის მეფე მოვიწვიოთ, ამერ-იმერეთი შევავერთოთ, და მით საქართველოს ერთობა განვამტკიცოთო. ნიკოლას აზრი ხალხს მოეწონა, თვით გიორგი XIII-საც იამა და ნიკოლას თბილისში მამულები აჩუქა.

1799 წელს ნიკოლა იმერეთს გადავიდა, იმერლებსაც აუწყა ქართლ-კახეთში რესპუბლიკური წყობილების შემოღებისა და საქართველოს გაერთიანების საჭიროება. სოლომონ II-მ დიდი პატივისცემით მიიღო და მამულებით დაასაჩუქრა. იმერეთიდან დაბრუნებული ნიკოლა უფრო დაუცხრომლად მუშაობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. გიორგი XIII-მ რუსეთთან შეერთება რომ გადაწყვიტა, ნიკოლამ ამხილა: ნუ მიენდობი რუსს, თორემ უკანასკნელი ქართველი შეიქნება უსამართლოდ და უკანონოდ დევნილიო. რუსები მონობის მძიმე უღელს დაგადგამენ. სხვათაგან დამონებული სამეფო უბედურია, დამოუკიდებელი ქვეყანა – დამცირებულიო. როცა თბილისში რუსის ჯარი შემოვიდა ზარბაზან-თოფ-იარაღით შეჭურვილი, დალაბანის ბრახუნით, გიორგი მეფემ წამოიძახა: აი, ხომ ხედავ პატრო, რა ძალი გვეხმარება, – მტერი ვეღარას დაგვაკლებსო. ნიკოლამ მიუგო: ბარაბანი დაჰკრეს – საქართველო იმართება!-ო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსის მთავრობამ ნიკოლა ქართლ-კახეთიდან განდევნა, ვითარცა რუსთა სანინალმდეგო საქმეთა თაოსანი და რუსების მოქმედების შესახებ უცხოეთში წერილების გამგზავნელი, მერე დროებით შეირიგა, ხოლო 1803 წელს თბილისიდან საბოლოოდ გააძევა. ნიკოლა იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ს შეეხიზნა, მისი მრჩეველი შეიქნა და დასავლეთ საქართველოს – იმერეთ-ოდიშ-გურიის – გაერთიანება ურჩია. ოდიშის მთავრის ქვრივმა ნიკოლას რუსებთან ურჩივლა: ქმარი მომიწამლაო, რის გამოც რუსთა მიერ მოსყიდულმა კაცებმა ნიკოლა ღამით ვერაგულად შეიპყრეს და თბილისს ჩამოიყვანეს – „შენ ჩვენი ერთგული კაცი მოგიწამლიაო“ და დასჯას უპირებდნენ. ნიკოლა ტყვეობიდან გაიპარა ახალციხეს, სადაც იმერეთის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მუშაობდა. რუსების მიერ მოტყუებით ტყვექმნილი სოლომონ II თბილისიდან ახალციხეს რომ გაიქცა, ნიკოლას მონაწილეობით ორი დეპუტაცია გაგზავნა უცხოეთს: ერთი (თ. სიმონ აგიაშვილი და თ. ქაიხოსრო ნერეთელი) – ოსმალეთს, ხონთქართან, ხოლო მეორე (თვით ნიკოლა პატრი, როსტომ ნიჟარაძე და ერთი აზნაურიშვილი) – საფრანგეთს ნაპოლეონთან. ორივეს თხოვნა ნიკოლამ დაუწერა: „საქართველოს რუსეთი ევროპის სახელმწიფოთა უჩუქრად და უნებურად იპყრობს, გთხოვთ ამ

საქმეს ყურადღება მიაქციოთ და იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობა დაიფაროთო!“.

ვერობიდან დაბრუნებული ნიკოლა ახალციხეში დაესახლა, სადაც ამ დროს ქართველ კათოლიკეთა საქმე მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ნიკოლამ, სცნო რა ქართველთა დევნა-შევიწროება, სხვა პატრებიც მოიმხრო და ქართველთა გვარ-ტომის სასარგებლოდ ხმა აღიმალა: საქართველოში ქართველი გვარის კათოლიკენიც არიან, ეკლესიებში წირვა-ლოცვა-ქადაგება და აღსარების თქმა დედაენაზე (ქართულზე) უნდა ჰქონდეთო. ამავე აზრს ავრცელებდა მთელ ჯავახეთში სოფლით-სოფლად: თქვენ ქართველები ხართ და არა სომხებიო. თვით ქართულ ენაზე ქადაგებდა, წირვა-ლოცვას ქართულად ასრულებდა, საერთოდ: შიშით თუ ანგარებით გზადაბნეულ ქართველთა შორის თვითცნობიერება შეჰქონდა, ხოლო ქართველ კათოლიკობის მტრებს (განსაკუთრებით, სომხის უკუღმართ-ანგარ ხუცეებს) კრიჭაში ედგა. მისმა ქადაგებამ გაჭრა და გადაგვარებული ქართველები ეროვნულ გზას დაადგინა.

ნიკოლა რამდენიმე წელიწადი ახალციხის მონასტრის მმართველად იყო. სტამბოლში მოზოგებული ნებართვით ახალციხეში ააშენა მშვენიერი ტაძარი „ყველანმინდის – ღვთისმშობლის“ სახელზე კათოლიკე პატრების მთავარ ბინად მთელ საქართველოში, ქართველ კათოლიკეთა სამფარველოდ. ამ ტაძრის აშენება ძლიერ ეწყინათ სომხის ხუცეებს, რომელთა შთაგონებით ახალციხის მოლა ქალი-მაჯიმი დაეცა და დააქცია.

ნიკოლამ ქართველი ერის სასიკეთო მოღვაწეობით მკვიდრ ქართველთ უჩვენა, თუ როგორ უნდა იღვწოდეს თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მოყვარული კაცი. ამიტომაც ნიკოლა ქართველებისაგან შესანიშნავ პიროვნებად იყო მიჩნეული, როგორც ექიმი, მქადაგებელი, მოძღვარი, ქართველთა შესახებ მიმომწერი და სხვ. სხვათა შორის, ნიკოლამ ქართველთა შორის შეიტანა რევოლუციური სული, ვოლტერის აზრები, ბატონიშვილებში – ევროპული ცოდნა, მნიგნობრობისა და მეცნიერების სიყვარული, აღწერა მთელი საქართველოს კათოლიკობა, სოლომონ მსაჯულის დავალებით რომიდან გამოიწერა ექიმ-დასტაქარი პატრები მკურნალობისა და სკოლების დაარსებისათვის (ნიკოლას მიერ შედგენილი გეგმით), რომლებშიაც ქართველთა შვილებს უნდა ესწავლათ ფრანგული, ლათინური, რუსული და ყველა ადგილობრივი ენა და სხვ.

გარდაიცვალა 1813 წელს ჟამისაგან.

ნიკოლა პატრის ცხოვრება-მოღვაწეობა აღწერილია ფრანგულ სამქადაგებლო ჟურ. „მისიონ კათოლიკენ“-ში. ქართულად აღწერა ზაქარია ჭიჭინაძემ („პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში“, ტფ., 1896).

მის შესახებ:

1. ახალი წიგნი: რეცენზია // ცნობის ფურცელი. - 1896. - 8 დეკემბერი. - №50. - გვ. 3;
2. ჭიჭინაძე, ზაქარია. პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველ კათოლიკენი საქართვე-

ლოში. - ტფილისი, 1896 (ე.ი. ხელაძის სტ.). - 80 გვ.; 21სმ.. - ტექსტის ბოლოს ზ. ჭ.

წყარო:

1. ჭიჭინაძე, ზაქარია. - ა) აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი / [ზ. ჭ.]. - ტფ., 1895 (მ. შარაძისა და ამხანაგობის სტ.). - 84 გვ.; 16 სმ.. - (სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები; № 8). - ავტ. მითითებულია ტექსტის ბოლოს; ბ) სოლომონ ლეონიძე. მსაჯული, ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა / ზ. ჭიჭინაძისა. - თფ.: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1910 (სტ. „ნადეჟდა“). - 34 გვ.; 22სმ.; გ) საქართველოს განთავისუფლების მოღვაწენი // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - № 11. - გვ. 15;
2. თამარაშვილი, მიქელ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე / მღვდელი მიქელ თამარაშვილი. - ტფ.: ავტორის მიერ გამოცემული, 1902 (ქართველთა ამხანაგობის სტ.). - გვ.: 406-407, 489-492, 500;
3. პატრი ნიკოლა: თანამედროვე გიორგი მეფისა და მისივე... [ნახატი] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №43. - გვ. 9. - ნახატს დართული აქვს ცნობები პატრი ნიკოლას შესახებ ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან „ქართული სტამბის ისტორიიდან“;
4. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი), 1941. - გვ. 486.

ნიკოლაძე, გიორგი ნიკოლოზის ძე (1888, 12/VIII – 1931, 5/II) – ქიმიკოს-მათემატიკოსი

და ინჟინერ-მეტალურგი, – მათემატიკის დოქტორი, – აღმომჩენ-გამომგონებელი, ფერო-მანგანუმ – ფერო-მოლიბდენის პიონერი, მეტალურგიული განათლების პიონერი, ალპინიზმის ფუძემდებელი, პირველი საბჭოთა მაღალმთიანი ლაშქრობის მომწყობი, მყინვარწვერის პირველი დამკვრობი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დამაარსებელთაგანი და საზოგადო მოღვაწე, – პროფესორი, შვილი ნ. ი. ნიკოლაძისა, – დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფ. დიდ-ჯიხაში. საშუალო ცოდნა თბილისში დაამთავრა, უმაღლესი – წარჩინებით – ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1913). ხუთ წელიწადს დონბასის მეტალურგიულ ქარხნებში მუშაობით პრაქტიკულად სათანადოდ გავარჯიშდა, 1919-1921 წლებში თბილისის უნივერსიტეტში მეცადინეობით ჩააბარა სადოქტორო გამოცდები, 1921 წელს დოცენტის წოდება მიეკუთვნა და მათემატიკური საგნების კურსის კითხვა დაიწყო იქვე. იმავე დროს მუშაობდა ლენინის სახელობის ინსტიტუტში. 1926 წელს განათლების სახალხო კომისარმა სამეცნიერო მიზნით გაგზავნა პარიზს, სადაც გამოჩენილი

ფრანგი გეომეტრის, ელი კარტანის (Elie Cartan), ხელმძღვანელობით მეცადინეობდა. 1928 წელს პარიზში წარჩინებით დაიცვა დისერტაცია „Sur les systèmes continus de figures géométriques“ („გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემების შესახებ“) და მოიპოვა მათემატიკის დოქტორის ხარისხი. ცალკე გამოიცა პარიზში. დისერტაციაში აღძრული საკითხების შესახებ „პარიზის აკადემიის ანგარიშებში“ ოთხი შრომა გამოაქვეყნა. ამავე საკითხებზე 1928 წელს ბოლონიაში მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე წაიკითხა მოხსენება, კონგრესის ერთ სხდომასაც თავმჯდომარეობდა. პარიზშივე წარადგინა საკუთარი მათემატიკური აღმოჩენები, რომლებიც საფრანგეთის განთქმულმა მათემატიკოსმა ემილ პიკარმა (Emile Picard) სხვადასხვა ჟურნალში გამოაქვეყნა. გამოიგონა ელექტრონის არითმომეტრი, რომლითაც უცხოეთის მეცნიერთა ყურადღება დაიმსახურა (ეს გამოგონება საბჭოთა კავშირში ჩამოიტანა).

1928 წელს მიენიჭა პროფესორის ხარისხი.

მსახურობდა თბილისის ლენინის სახ. სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტში, სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში, აგრეთვე, საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოში (სმუს-ში) კონსულტანტად. თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სახელით მონაწილეობა მიიღო ინდუსტრიული ქიმიის საერთაშორისო კონგრესზე სტრასბურგში, ლონდონში, ინგლისის გეოგრაფიულ საზოგადოებაში მოხსენება გააკეთა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა და მისი ექსპედიციების შესახებ.

ყოველმხრივ ცოდნით აღჭურვილი, სამშობლო ქვეყნის ამაღლებაზე ფიქრობდა მარად: „ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები ჩვენივე ხელით ავამუშაოთ, ჩვენივე ხალხის საკეთილდღეოდ“.

უკანასკნელად მუშაობდა ფერო-მარგანეცის საცდელი ლუმელის შეკეთებაზე რამდენიმე ცდის ჩასატარებლად. როგორც მეცნიერ-ქიმიკოსს, განზრახული ჰქონდა ჭიათურის მადანი მიკროსასუქად – „სტიმულანტად“ გამოეცადა იმერეთის ნიადაგში სიმინდის, ჩაის, ლიმონისა და მანდარინის მოსავლიანობის გასაძლიერებლად. ამ საკითხის შესახებ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობაც აღძრა, მაგრამ უდროო სიკვდილმა მისი ასრულება აღარ აღირსა. უკანასკნელად წარმოთქვა თავისი სანატრელი შესაქმნელი საგნების სახელები: „ელექტროარითმომეტრი...“, „ქარწყალა ფოლადი...“, „წირთა უწყვეტი თანწყობები...“.

გარდაიცვალა ქარხნებში დაუცხრომელი მუშაობის დროს გაციების გამო ფილტვების ანთებისაგან 1931 წლის თებერვლის 5. დაიკრძალა მ-ში, დიდუბის პანთეონში. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის ელექტრომეტალურგიულ ლაბორატორიას მისი სახელი ეწოდა.

სამეცნიერო დარგში ცნობილი იყო, როგორც ინჟინერ-მეტალურგი, მათემატიკოსი, უმაღლესი გეომეტრიის იშვიათი სპეციალისტი, შესანიშნავი პედაგოგ-აღმზრდელი, გამგე ელექტრომეტალურგიული და პედაგოგიური ფაკულტეტის კათედრებისა და სხვ. მისმა პირველმა სამეცნიერო შრომამ „დეკარტის მიღმა ანალიტიკური გეომეტრიის დასაბუთება“ („Основание задекартовой аналитической геометрии“) სპეციალისტების დიდი ყურადღება მიიპყრო. დიდი ამაგი დასდო საქართველოში ახლად ჩასახულ ლითონთა ქიმიის დამუშავებას, 1930 წელს დაიწყო მეტალურგიული განყოფილება და სხვ.

საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაშიაც, სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებდა: იყო გამოჩენილი სპორტსმენი, მთამსვლელი (ალპინისტი), საქართველოში მთამსვლელობის საძირკვლის ჩამყრელი (1923 წლის 28 აგვისტოს პირველმა მონაწყო საქართველოში საბჭოთა მაღალმთიანი ლაშქრობა და მთამსვლელთა ჯგუფთან ერთად დაიპყრო მყინვარწვერი. ამის გამო თვით გ. ნიკოლაძემ ჩაწერა: „მრავალი წლის ოცნება ახდა: პირველმა ქართულმა ექსპედიციამ მყინვარწვერზე 20 გრადუსიან ყინვაში თავის მიზანს მიაღწია. ამ ასვლას ჰქონდა სპორტული – მთამსვლელური და მეცნიერული მნიშვნელობა. ეს იყო პირველი ჯგუფური ასვლა: მნიშვნელოვან (5043 მეტრ) მწვერვალზე ერთდროულად ავიდა 18, მათ შორის, 5 ქართველი ქალი: მარო ბეჟანიშვილი, ლიდუსი ჩხვიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე და ელიკო ლორთქიფანიძე). ეს თარიღი – 1923 წლის 28 აგვისტო – მიჩნეულ იქნა საბჭოთა ალპინიზმის დასაწყისად. ეს ქალები საერთოდ მთელ მსოფლიოში პირველი ქალები არიან, რომლებმაც ეს დიდი საქმე დაძლიეს („ჩვენი მეცნიერება“, 1951, 178 გვ.); იყო ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის ტექნოლოგიური საზოგადოების წევრი, ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სხვ.

მონაწილეობდა საერთაშორისო სპორტულ გამოსვლებში. 1912 წელს ქ. პრალაში, ტანვარჯიშის საერთაშორისო შეხვედრა-შეჯიბრებაში, დაბალი (მეორე) თანრიგის 2000 მოვარჯიშეთა შეჯიბრში, მე-15 ადგილზე გავიდა (მიიღო 1 ჯილდო დიდი დიპლომით), მძლეოსნობაში 6000 მონაწილეთა შორის მე-19 ადგილზე გავიდა და ექვსჯიბში დააჯილდოეს დაფნის გვირგვინით და დიდი დიპლომით. განსაკუთრებით ისახელა თავი ბადროსა და შუბის ტყორცნაში. ტანის სილამაზით იმდენად მოეწონათ, რომ მისი სურათი საფრანგეთში ბარონის სახით გავრცელდა. შექმნა ფიზკულტურული წრეები, წერდა ლექსებს და სხვ.

პროფ. არჩილ ხარაძის დახასიათებით: „ჩვენი ქვეყნის კულტურული აღორძინების საქმეში გიორგი ნიკოლაძეს საპატიო ადგილი უკავია. პიონერი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში, მხარეთმცოდნეობის დარგში ენერგიული მუშაკი, ჩვენი ქვეყნის – საბჭოთა კავშირის სხვა ერებთან და უცხოეთთან კულ-

ტურული დაახლოებისათვის მებრძოლი, რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებასთან თანამშრომლობა, ინგლისში მოგზაურობის დროს ლონდონის გეოგრაფიულ საზოგადოებასთან კავშირის აღდგენა, საფრანგეთში სამრეწველო ქიმიის საერთაშორისო კონგრესზე საქართველოს წარმომადგენელი, იტალიაში მათემატიკოსთა კონგრესზე ჩვენი წარმომადგენელი და მომხსენებელი, უკანასკნელ დროს ლენინგრადში ნიადამცოდნეთა საერთაშორისო ყრილობაზე ს.მ.უ.ს-ის წარმომადგენელი, როგორც ინჟინერ-ქიმიკოსი, – განა ეს ყველაფერი საკმარისი არ არის იმის ნათელსაყოფად, როგორი სიცარიელე რჩება მისი გარდაცვალების შემდეგ, დიდ ხანს აუნაზღაურებელი, შეუცვლებელი სიცარიელე!... საქმის სიყვარულით, დღედაღამ, ხშირად მშიერი, უძილო, ქარხნებში მუშაობდა... სწორედ მუშაობის დროს გაცივდა, ფილტვების ანთებამ შეიპყრო...“ („კომუნისტი“, 1931, № 33).

ცალკე გამოცემულია:

1. მხაზველობითი გეომეტრიის პროგრამა. - ნან. 1. - თბ.: ტფილ. უნ-ტის გამ. და სტ., 1924. - 10 გვ.; 32სმ.. - ხელნაწერის მაგიერ;
2. მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი. რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა თეორიული მექანიკით / მუსხელიშვილი, ნ., ნიკოლაძე, გ., ხარაძე, ა. - ტფ.: სახელმწიფო გამომცემლობა, 1925 (სამხედრო კომისარიატის სტ.). - V, 244 გვ.; 18სმ.;
3. მხაზველობითი გეომეტრიის კურსი. - ნან. 1: მართობული გეგმილები. ნახაზების რეგული [მხაზველობითი გეომეტრიის კურსის დამატება]. - თფ.: თფილ. სახელმწ. უნ-ტის პოლიტექნ. ფაკ-ტის სტუდ. სამეცნ. ტენხ. წრის გამოცემა, 1926. - 74 გვ.: ცხრ.: 20 სმ.;
4. მხაზველობითი გეომეტრიის კურსი. - ნან. 1: მართობული გეგმილები. - ტფ.: ტფილ. სახელმწ. უნ-ტის პოლიტექნ. ფაკულტეტის სტუდ. სამეცნ. ტენხ. წრის გამოცემა, 1926 (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ.). - XVI, [2], 280 გვ.; 28 სმ.;
5. *Результаты опытов по выплавке ферро-марганца на опытном ферро-марганцевом заводе в Тифлисе: Строительство ферро-марганц. завода в Зестафони: Краткий отчет на правах рукописи / С предисл. проф. Чичинадзе. - Выпуск 1 / Сост.: Проф. Георгий Николаевич Николадзе, инж. И.Р. Нижарадзе и тех. И.С. Лордкипанидзе. - Тифлис, 1931 (1-я тип. п/тр.). - XII, 44 с.: ил., портр.; 24 см.;*
6. *Результаты опытов по выплавке ферромарганца в электропечи на опытном заводе в Тифлисе: Материалы к первой Всесоюзной конференции по ферросплавам. Выпуск 5 / Проф. Г.Н. Николадзе, инж. И.Р. Нижарадзе, техн. И.С. Лордкипанидзе; НКТП, Всесоюзное объединение высококачественных сталей и ферросплавов. - [Б.м.]: ОНТИ НКТП СС-СР, 1932 (Москва: 1-я тип. Огиза РСФСР). - 30, 1 с.: илл.; 23 см.;*
7. დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტები / ავტორის ბიოგრაფიით და აკად. კარტანის წინას-

ტყვაობით. - ტფ.: სახალგაშის სასწ. პედაგ. სექტორი, 1934 (1-ლი სტ.). - [XXV], 300 გვ.: პორტ.; 24სმ.

მისი რედაქტორობით გამოვიდა:

1. რაზმაძე, ანდრია. ინტეგრალური აღრიცხვის კურსი. - ნან. 1: განუსაზღვრელი ინტეგრალები. - თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1922. - [7], 550, [2] გვ.. - პარალ. სათ. ფრანგ. ენაზე. - [ერთ-ერთი პირველი მათემატიკური სახელმძღვანელო, რომელშიც თვით ნიკოლაძის ლექციების ნაწილიც მოთავსდა. - ი. ი.]; გრენვილი, ვ. დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვათა საფუძვლები. - [ნან.] 2: ინტეგრალური აღრიცხვა / ვადმოთარგმნილი ი. მეცხვარიშვილისა და დ. ვაშაძის მიერ; გ. ნიკოლაძის რედაქციით. - ტფ.: სახელგამის გა-მა, 1932 (1-ლი სტ.). - 199 გვ.: ნახ.; 26სმ.;
3. ფრეშე, მ. ნომოგრაფია / თარგმ. ა. აღნიაშვილის; გ. ნიკოლაძის რედაქციით. - ტფ.: სახელგამის გა-მა, 1932 (1-ლი სტ.). - 130, 1 გვ.: ნახ.; 25სმ.. - გარდაც. მთარგმნელის ა. აღნიაშვილის ნეკროლოგი.

თარგმნა და გამოცემულია:

1. ტირში, მიროსლავ. სამეცნიერო ტანვარჯიშობის ზოგადი თანწყობა / (მიროსლავ ტირშისა); რუსულ-იდან გადმოკეთებული გიორგი ნიკოლაძის მიერ [მისივე წინასიტყვაობით]. - [თბ.]: საქართველოს შევარდენთა კავშირის გამოცემა № 1, 1921. - 63 გვ.; 22სმ. - [რეპერესირებული გამოცემა];

გამოქვეყნებულია:

1. Обоснование задекартовой аналитической геометрии. - 1918;
2. *ტანვარჯიში: (გიმნასტიკა) // ჯეჯელი. - 1919. - №2-4. - გვ. 57-59;*
3. *სამეცნიერო ტანვარჯიშის გზანახობი (მეთოდი) // შევარდენი. - 1920. - №1. - გვ. 9-14. - ავტორის გვარის შემდეგ: ტფილისის საზოგადოება: „შევარდენი“-ის თავმჯდომარის ამხანაგი. - სქოლიოში რედაქციის შენიშვნა;*
4. *ქართველ საზოგადოებას // შევარდენი. - 1920. - №1. - გვ. 21-23. - ავტორის გვარის შემდეგ: ტფილისის საზოგადოება „შევარდენი“-ს თავმჯდომარის ამხანაგი;*
5. *ჩვენი ზეპირი თვლა / რუსულად ნიკოლაძე-პოლიევტოვისა, გიორგი ნიკოლაძე // განათლება. - 1920. - №1. - გვ. 37-42;*
6. *Sur une méthode nouvelle de la géometrie analytique // ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. - 1920. - № 1. - გვ. 140-156;*
7. *Einige Eigenschaften der Risspynk kurve in der variations rechnung // ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. - 1923. - ტ. 3. - გვ. 224-288;*
8. *ექსპედიცია იალბუზზე და სვანეთში // კომუნისტი. - 1925. - 3 სექტემბერი. - №201. - გვ. 3;*
9. *საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიცია: [სვანეთში] // კომუნისტი. - 1925. - 27 აგვისტო. - №195. - გვ. 3;*
10. *გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემების შესახებ // მათემატიკის ინსტიტუტის შრომები. - 1947. - ტ. 15. - გვ. 27-93.*

მის შესახებ:

1. გიორგი ნიკოს ძე ნიკოლაძე: ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №12. - გვ. 9;
2. „შევარდენი“ // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - №12. - გვ. 9;
3. შეჯიბრება საზოგადოება „შევარდენში“ // შევარდენი. - 1920. - №2. - გვ. 14;
4. ბ. ჭ. ძმა გიორგი ნიკოლაძე: [ბიოგრაფია] // შევარდენი. - 1922. - №1. - გვ. 31-33;
5. საქართველოს შევარდენთა კავშირის თავმჯდომარე ძმა გიორგი ნიკოლაძე // შევარდენი. - 1922. - №1. - გვ. 31;
6. საქართველოს შევარდენის დამაარსებელი: გ. ბერელაშვილი, გ. ნიკოლაძე, ი. ლორთქიფანიძე, გ. ეგნატაშვილი, თ. ნიკოლაძის ასული // შევარდენი. - 1922. - №1. - გვ. 11;
7. ჭ. ასვლა იალბუზზე // კომუნისტი. - 1926. - 1 ივნისი. - № 122;
8. ახალი საანგარიშო მანქანა დოცენტ გიორგი ნიკოლაძის გამოგონება // კომუნისტი. - 1928. - 25 თებერვალი. - №47. - გვ. 6;
9. ს-ძე, ვ. იზრდება საბჭოთა მეცნიერთა კადრი: პროფესორ გიორგი ნიკოლაძის შესახებ // კომუნისტი. - 1928. - 30 დეკემბერი. - №303. - გვ. 5;
10. პროფესორ გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალება // კომუნისტი. - 1931. - 6 თებერვალი. - №31. - გვ. 3;
11. პროფესორ გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების გამო: დამკრძალავი კომისიის გამოყოფა // კომუნისტი. - 1931. - 7 თებერვალი. - №32. - გვ. 4;
12. პროფესორ გიორგი ნიკოლაძის დაკრძალვა // კომუნისტი. - 1931. - 10 თებერვალი. - №34. - გვ. 3;
13. ხარაძე, არჩილ. - ა) პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხსოვნას: [ნეკროლოგი] // კომუნისტი. - 1931. - 8 თებერვალი. - №33. - გვ. 3; ბ) გიორგი ნიკოლაძე: გარდაცვალების 15 წლის შესრულების გამო // კომუნისტი. - 1946. - 24 მაისი. - №24; გ) Ученый-гражданин: [По поводу 15-летия со дня смерти выдающегося математика Г.Н. Николадзе] // Заря Востока. - 1946. - 24 май. - №103;
14. გიორგი ნიკოლაძე // მათემატიკის ინსტიტუტის შრომები. - 1947. - ტ. 15. - გვ. 1-17;
15. კარტანი, ე. - ა) აკადემიკოს ე. კარტანის წინასიტყვაობა: [გ. ნიკოლაძის წიგნისთვის „დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტები“] // მათემატიკის ინსტიტუტის შრომები. - 1947. - ტ. 15. - გვ. 25-26. - ფრანგულიდან თარგმანი; ბ) წინასიტყვაობა გ. ნიკოლაძის წიგნისთვის „დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტები“ // მათემატიკის ინსტიტუტის შრომები. - 1947. - ტ. 15. - გვ. 25-26;
16. კრილოვი, ნ. გიორგი ნიკოლაძის ხსოვნას // მათემატიკის ინსტიტუტის შრომები. - 1947. - ტ. 15. - გვ. 19-20;
17. ჩახტაური, ა. გიორგი ნიკოლაძე: [გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო] // მეცნიერება და ტექნიკა. - 1951. - №3. - გვ. 24-27;
18. ჭოლოშვილი, გ. გ. ნიკოლაძე // ქართველი მეცნიერები: [კრებული ვ. პარკაძის რედაქციით]. - თბ.: საბლიტგამი, 1951 (სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბის სტ.). - გვ. 151-182.

წყარო:

1. გიორგი ნიკოს ძე ნიკოლაძე: ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №12. - გვ. 9;
2. ს-ძე, ვ. იზრდება საბჭოთა მეცნიერთა კადრი: პროფესორ გიორგი ნიკოლაძის შესახებ // კომუნისტი. - 1928. - 30 დეკემბერი. - №303. - გვ. 5;
3. პროფესორ გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალება // კომუნისტი. - 1931. - 6 თებერვალი. - №31. - გვ. 3;
4. სამგლოვიარო განცხადებანი // კომუნისტი. - 1931. - 8 თებერვალი. - № 33. - გვ. 3;
5. Заря Востока. - 1931. - 6 февраля. - № 36;
6. დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტები / ავტორის ბიოგრაფიით და აკად. კარტანის წინასიტყვაობით. - ტფ.: სახალგამის სასწ. პედაგ. სექტორი, 1934 (1-ლი სტ.). - [XXV], 300 გვ.: პორტ.; 24სმ.;
7. ნიკოლაძე, რუსუდან. - ა) პეტრე მელიქიშვილი და ქიმიკოსთა კადრები ჩვენში // ტექნიკა და შრომა. - 1936. - № 1-2; ბ) ახალგაზრდა კომუნისტი. - 1934. - 29 დეკემბერი. - № 298;
8. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ.: 477;
9. კომუნისტი. - 1946. - 24 მაისი. - № 103;
10. Заря Востока. - 1946. - 24 мая. - № 103;
11. ათასი კაცი მყინვარწვერზე // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1948. - 12 სექტემბერი. - № 110.

ნიკოლაძე, ელისაბედ ნიკოს ასული

(1881 – 1918) – რევოლუციონერი ქალი, – ანარქისტ-ნიჰილისტი, ნიკო ნიკოლაძის ნიჭიერი ქალი, მუშაობდა ჰიუსმანთან და სხვ. სხვათა შორის, 1894 წლის მაისის 23 ნოე ჟორდანიას ფრანგულად სწერდა: „თქვენ კიდევ ვერ გაანთავისუფლეთ კავკასია? სთქვით, რა საჭიროა სოციალიზმი. რა საჭიროა სოციალისტობა? მე ყოველთვის ანარქისტა ვიყავი, მასთან ნიჰილისტკა. როდესაც პოლონეთი და კავკასია განთავისუფლდებიან, რუსეთი უნდა დაიპყრან: რუსები გაოცდებიან, როდესაც იგრძნობენ შევიწროვებას იმათგან, ვისაც იგინი ავიწროვებდნენ... ვიდრე თქვენ სოციალისტი ხართ, კავკასიას ვერ გაანთავისუფლებთ... ჩქარა ნიჰილისტი შეიქმენით და წადით აავთუქეთ მეფე და მემკვიდრე მისი“.

წყარო:

1. Дело по архиву № 296. - Т. 2. - Стр. 601.

ნიკოლაძე, იაკობ ივანეს ძე (1876, 16/IV – 1951, 10/III) – მოქანდაკე პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, – ახალი ქართული ქანდაკების ფუძემდებელი, რესპუბლიკის სახალხო მოქანდაკე, – ორდენოსანი, – საქართველოს უმაღლესი

საბჭოს დეპუტატი, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი, – იმერეთიდან (დაიბადა ქუთაისში, ვაჭრის ოჯახში, მე-12 შვილი). 4 წლისას მამა გარდაეცვალა. ძმამ გიმნაზიაში მიაბარა. სწავლის უნარი ვერ გამოიჩინა, ბათუმის წიგნის მაღაზიაში გადაიყვანეს, ვერც იქ გამოდგა. 10 წლიდან მხოლოდ ხაზვა-ხატვით იყო გატაცებული. 16 წლისამ ბათუმის სახელოსნო სკოლა დაამთავრა და მოსკოვს წავიდა ფერწერის სკოლაში შესასვლელად. აქ გამოცდაში ჩაჭრეს, მაგრამ უკან არ დაიხია: ერთი გავლენიანი მანდილოსნის მიწერილობა მიუტანა დირექტორს. დირექტორმა მაინც არ მიიღო: „ხელოვნება კავკასიელი კაცის საქმე არ არის: ჯერ თქვენი ქვეყანა ველურია, განათლება გესაჭიროებათ! გირჩევ, სხვა საქმეს მოჰკიდო ხელი“. ი. ნიკოლაძე ვერც ამ უარმა შეაკრთო და სტროგონოვის სახელობის სასწავლებელში შევიდა პანსიონერად, სადაც ტექნიკურ მხატვრობას ასწავლიდნენ. ამ საგნის სწავლაში თუმცა განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა, მაინც ვერ დააკმაყოფილა. ამ დროს ტრეტიაკოვის გალერეაში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იოანე გროზნის ქანდაკებას, რომელმაც აღუძრა მარმარილოს გამოკვეთის ცნობისმოყვარეობა. 1896 წელს ოდესაში შევიდა ე. წ. „თავის კლასში“, სადაც ალებასტრიდან მხოლოდ თავებს აქანდაკებდნენ. აქ, ქანდაკების მოსწავლე სერაფიმე პოლოლიკაშვილის დაუნიებული მოთხოვნით, შეუდგა საქანდაკო მუშაობას. 1837 წელს სამშობლოში დაბრუნების დროს, ამავე წლის შემოდგომით სამხატვრო გამოფენაზე წარადგინა შოთა რუსთაველის ქანდაკება (სტატუეტი), 2 არშინის სიმაღლის, რომელიც საზოგადოებას მოეწონა და ჯილდოც მისცა (ამის ესკიზი შეიძინა ზუბალაშვილმა და ფლორენციას წაიღო). ცოდნისა და ხელოვნების სრულყოფისათვის 1899 წელს საფრანგეთის სამხატვრო აკადემიაში (École des Beaux-Arts) დაიწყო მუშაობა პროფ. ალექსანდრე ფალიერის ატელიეში, რომლის ხელმძღვანელობითაც შეისწავლა ძერწვა და მარმარილოდან გამოკვეთა. 1905 წელს პარიზის სალონებში („Salon du Champ de Mars“ და „Salon d'Automne“) იღებდა მონაწილეობას. Grand Palais-ში მისმა ქანდაკებამ „სალომე“ პარიზელთა დიდი ყურადღება მიიქცია, ხოლო სახელგანთქმულმა მოქანდაკემ, მოქანდაკეთა მეფედ წოდებულმა ოგიუსტ როდენმა ი. ნიკოლაძე ერთი წლით თანამშრომლად მიიწვია, როგორც უნიჭიერესი ხელოვანთაგანი. ი. ნიკოლაძემ დაახლოებით იმავე ხანებში დიდი ოსტატობით შეასრულა „ქალი ჩრდილოეთიდან“, „კოცნა“, „მწუხარე საქართველო“ და სხვ. 1910 წელს პარიზის გაზეთებმა ერთხმად აღნიშნეს ი. ნიკოლაძის მაღალღირსეული ოსტატობა. გაზ. „Deuseime“ წერდა: „ნიკოლაძეს გამოუფენია ალიბასტრის ძეგლი... იგია გამოხატულება მწუხარებისა, მარტივად და ლამაზად გამოთქმული“... „La Mode illustrée“: „მგოსნის ილ. ჭავჭავაძის საფლავზე დასადგმელი ალიბასტრის ქანდაკება – საქართველოს მწუხარება – შედგენილია ნიკოლაძის მიერ ხელოვნურად და მომხიბლავად: მწუხარებით

დაქანცულ-დაშვებულ ხელში უჭირავს დაფნის რტო. მართლაც რომ ეს მწუხარების ქანდაკებაა, იმ მწუხარებისა, რომელიც გულს უსალბუნებს უკვე გამქრალი მგოსნის სსოვნას“. „Le Monde artiste“: „იაკობ ნიკოლაძის „საქართველოს მწუხარება“ შესამჩნევად ცოცხალი, თანშეზომილი ნაკვებით, მკაფიოდ გამომეტყველი და კავკასიის მგოსნის ილ. ჭავჭავაძის ბიუსტ-პორტრეტი საუცხოოდ არის დამზადებული“-ო.

1910 წელს ი. ნიკოლაძე, უკვე სრულქმნილი, სახელმწიფო მოქანდაკე დაბრუნდა სამშობლოში და პირველ ხანად ხატვის მასწავლებლობას შეუდგა. ბეჯითად ამზადებდა ახალგაზრდა მხატვრებს, ფერწერისა და მოქანდაკეობისადმი სიყვარულს ნერგავდა ხალხში. საქართველოს სამხატვრო აკადემიის დაარსების (1922) დღიდან მიწვეულ იქნა პროფესორად, – ქანდაკების კათედრის გამგედ. პედაგოგიურ-აღმზრდელით მოღვაწეობასთან ერთად, ი. ნიკოლაძე დაუცხრომლად მუშაობდა შემოქმედებით – მოქანდაკეობის ასპარეზზე.

ზემოსხენებულთა გარდა, შექმნა:

1. „მწუხარე საქართველო“ (იგივე „საქართველოს მწუხარება“) – ილია ჭავჭავაძის სამარეზე, თბილისში, მთანმინდაზე;
2. აკაკი წერეთლის ბიუსტი (ოპერის ბაღში, თბილისში);
3. „ლენინი“ (ბიუსტი, მთელ საბჭოთა კავშირში სანიმუშოდ მიჩნეული);
4. „სტალინი 1905“ (ბარელიეფი და ბიუსტი).

აგრეთვე, ორი გორელიეფი: „მუშებით და გლეხებით გარშემორტყმული სტალინი 1905 წ.“ და „სტალინი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე“ (ორივე თბილისის მარქს-ენგელს-ლენინის (იმელის) ინსტიტუტის შუბლზე) და სხვ. მრავალი.

მანვე შეადგინა საქართველოს ეროვნული დროშის გეგმა, რომელიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა. 1937 წელს მისი ნამუშევრები გამოფინეს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე.

ი. ნიკოლაძემ თავის შემოქმედებაში მოგვცა დასრულებული სახეები, მარმარილო და ქვა გაასულდგმულა, ქართველთა დიდი ხნიდან შეწყვეტილი ხელოვნების აღორძინებას საფუძველი დაუდო.

„ნიკოლაძე მთელ საუკუნეთა ტვირთის მზიდველია, რადგან იგი გვაერთებს იმ შორეულ ქვის შემოქმედებასთან, რომლის ნაშთებითაც ქართული ტაძრები არიან მორთულნი. მან ერთმა შეინახა ქართულ ქანდაკების კერაში ცეცხლი, და ამით მან გმირული პერიოდი გამოიარა. იგი ქვით და მარმარილოთი ამტკიცებდა ქართულ ინდივიდუალობის ფესვებს, და დიდი მსხვერპლით ელოდა ქართულ კულტურის ამაღლებას. ალყაშემორტყმულ საქართველოში ყველაფერი გმირულ ამტანობას მოითხოვდა, და თუ ხელოვნების სხვა სფეროში

ეს სიძნელე თაობებმა გადაიტანეს, ქანდაკებაში ამ ერთადერთი კაცის ქედს აწვებოდა მძიმე შემოქმედების აუტანელი ტვირთი. და ნიკოლაძემ გაამთელა საქართველოს ხელოვნება და ეს მაშინ, როცა შემოქმედებისათვის თავშესაფარიც არ ჰქონდა“.

ხელოვანთა კომიტეტის თაოსნობით (კ. მაყაშვილის თავმჯდომარეობით), 1922 წლის დეკემბრის 11 თბილისში (შემდეგ ქუთაისში) გადახდილ იქნა მისი სახელოვნო მოღვაწეობის 25 წლისთავის შესრულების იუბილე, რომლის დროსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო მოქანდაკის წოდება. ამავე ხელისუფლებამ აუშენა ატელიე (როდენის ქ. № 6). სამადლობლო სიტყვაში ი. ნიკოლაძემ თქვა: „რად გიკვიროთ, რომ მე, როდენის მოწაფემ, ვარჩიე საქართველოში წამება სხვაგან ბედნიერებას. მე ევროპაში წასული ვიყავი სწავლის შესაძენად. რომელი თქვენგანი არ მოიტანს თავის ღარიბ ოჯახში მას, რასაც ის იშოვის ოჯახს გარედ! ასე მოვიქეცე მეც. მე მიხარია, რომ არ დავრჩი უმემკვიდრეოდ. უკვე ვხედავ ჩემს ირგვლივ ახალგაზრდობას ხელოვნების დარგში, რომლის პიონერიც მე გახლდით 25 წლის განმავლობაში“-ო. მისი მოწაფეები იყვნენ კ. მერაბიშვილი, ვ. ხოფერია, ირ. ოქროპირიძე.

მისი აზრით: „ქანდაკებამ თავისი მხრივ ფორმებით და პროფილებით ძლიერად უნდა გამოაქანდაკოს ეპოქალური დოკუმენტის გენიალური მოქანდაკე დიდი სტალინი“. თვით 1938 წელს შეუდგა იმ მომენტის გამოქანდაკებას, როცა „სტალინი საკონსტიტუციო კომისიის წევრებს უკითხავს კონსტიტუციის პროექტს“.

მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: არჩეული იყო თბილისის საბჭოს წევრად, საქართველოს საბჭოთა მხატვრების გამგეობის წევრად, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (თერჯოლის ოლქის, ჩხარის რაიონის მხრით) და სხვ.

1936 წელს დააჯილდოეს საპატიო ნიშნის ორდენით. მის შემოქმედებას წერილები უძღვნეს: ირ. ტოფაძემ, კ. გამსახურდიამ, სანდრო ყანჩელმა, გრ. საქარიძედელმა და სხვ. (გაზ. „ლომისი“, 1922, № 8, 13, 15, 16); ი. ურუშაძემ – „სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1938, № 4, გვ. 60-65); ბ. ჟღენტმა („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946, № 42).

ი. ნიკოლაძის ცხოვრება-მოღვაწეობა აღწერილია მონოგრაფიაში.

1945 წელს პოეტ ჩახრუხაძის ქანდაკების შექმნისათვის 1946 წელს მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება და პრემია 100.000 მან., ხოლო სკულპტურის „ვ. ი. ლენინი „ისკრის“ შექმნის ეპოქაში“ შექმნისათვის – 100.000 მან.

ცალკე გამოცემულია:

- ერთი წელიწადი როდენთან: [მოწაფის მოგონებანი]. - ტფ.: სახელგამი, 1930 (პოლიგრაფსკ. სტ.). - 154 გვ.; 15სმ.

გამოქვეყნებულია:

- ხევსური: ქანდაკება ი. ნიკოლაძისა // საქართველოს კალენდარი. - 1903. - გვ. 425;
- სალომე: [ქანდაკება] // ნიშადური. - 1907. - №7. - გვ. 9;
- აკაკი: [ილუსტრაცია] // აკაკის დღე საქართველოში: სალიტერატურო მხატვრული ალმანახი / რედ. ვ. გუნია. - 1908. - №1. - გვ. 8;
- აკაკის ბიუსტი: [ფოტო] // ნიშადური. - 1908. - №49. - გვ. 9;
- აკაკის დღესასწაული: აკაკი: [ქანდაკების ფოტო] // ფასკუნჯი. - 1908. - №5. - გვ. 1. - იგივე ფოტო იხ.: საქართველო. - 1908. - №1. - გვ. 8;
- ზნეობრივი ჭაობის მწერლობა: [კარიკატურა] // ნიშადური. - 1908. - №46. - გვ. 9;
- ი. ჭავჭავაძის ძეგლის პროექტი მამადავითზე: [ილუსტრაცია] // ნიშადური. - 1908. - №34. - გვ. 1;
- მეგობრული შარჟი: [კარიკატურა] // ნიშადური. - 1908. - №52. - გვ. 16;
- მე „დამაპაჩინკეს“, მაგრამ თეატრის „დამაჩინკებას“ რომ არა ეშველა-რა!...: [კარიკატურა] // საქართველო. - 1908. - №3. - გვ. 16;
- მწერლობის „კუთრუსები“: [კარიკატურა] // ნიშადური. - 1908. - №49. - გვ. 16;
- მწერლობის „სპარაფუჩილები“: [კარიკატურა] // ნიშადური. - 1908. - №49. - გვ. 16;
- ნ. ლოლობერიძის ბიუსტი: [ილუსტრაცია] // ნიშადური. - 1908. - №43. - გვ. 8;
- ჟურნალ „ქართული სამკურნალო ფურცლის“ თავ-ფურცელი: [ილუსტრაცია] // ქართული სამკურნალო ფურცელი. - 1908. - №1. - გვ. 1;
- სირცხვილი: [ქანდაკება. ილუსტრაცია] // ნიშადური. - 1908. - №31. - გვ. 4;
- წმ. ნინო: (ორიგინალი ნახატი დეკადენტურ ყაიდაზე) // ნიშადური. - 1908. - №46. - გვ. 8;
- ხევსური: [ქანდაკება. ილუსტრაცია] // ნიშადური. - 1908. - №60. - გვ. 1;
- მსახიობი ს. სვიმონიძე (მეგობრული შარჟი): [კარიკატურა] // ძალა: სალიტერატურო მხატვრული ალმანახი / რედაქტორ-გამომცემელი ი. გრიშაშვილი. - 1909. - №5. - გვ. 16;
- ილია ჭავჭავაძის ძეგლი: ქანდაკება [ფოტო] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1910. - №9. - გვ. 21. - ზედ აქვს წარწერა: Douleur de la Georgie;
- მწუხარება: ქანდაკება [ფოტო] // ფასკუნჯი. - 1910. - №1. - გვ. 32. - ჩართული;
- მწუხარე საქართველო: ილია ჭავჭავაძის ძეგლი [სურათი] // ჯეჯილი. - 1910. - №9. - გვ. 434;
- მწუხარე საქართველო - ილიას ძეგლი: ქანდაკება [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №39. - გვ. 3. - ზედ აქვს წარწერა: Douleur De La Georgie;
- სომეხთა დრამატურგი შირვანზადე: [ქანდაკება] // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №35. - გვ. 9;
- შუქი: ალმანახი №1. - თბ., 1911 (ეს. კერესელიძის სტ.). - გვ. 1;
- გრიგოლ ორბელიანის ძეგლის პროექტი: (ქანდაკება ი. ნიკოლაძისა) [ფოტო] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1914. - №11. - გვ. 47;

25. ნილაბი სოლომონისა: გადაღებული ი. ნიკოლაძის მიერ. [სურათი] // ემპაკის მათრახი. - 1915. - №24. - გვ. 13;
26. „სალომე“ (მარმარილო): სურათები გამოფენა 1919 წ. [ქანდაკება] // შვიდი მნათობი. - 1919. - ოქტომბერი. - №2. - გვ. 16;
27. საქართველოს ხელოვანთა განცხადება: [მენშევიკური ავანტიურის დაგმობისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობის შესახებ] // კომუნისტი. - 1924. - 23 სექტემბერი. - №217. - გვ. 2. - ხელმოწერა: იაკობ ნიკოლაძე და სხვები;
28. ალექსანდრე მრეკლიშვილი: [რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1933. - 28 დეკემბერი. - №298. - გვ. 4. - ტექსტს ხელს აწერენ: შ. გეგენავა, მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე და სხვ
29. აკაკის ძეგლი: [წერილი და სურათი] // საბჭოთა ხელოვნება. - 1935. - №3. - გვ. 2;
30. ოგიუსტ როდენი: [ფრანგი მოქანდაკე და მხატვარი]: დაბადებიდან 100 წლისთავის გამო // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1940. - 5 ნოემბერი. - № 258;
31. პოეტის სახე: [მოგონება ა. წერეთელზე]: [დაბადების 100 წლისთავისადმი] // საბჭოთა აჭარა. - 1940. - 21 ივნისი. - №141;
32. Жизнь на благо народа: [И. А. Джавахишвили] // Заря Востока. - 1940. - 21 ноября. - №270;
33. Образ поэта: [А. Церетели в скульптуре] // Молодой сталинец. - 1940. - 22 июня. - №86;
34. ახალგაზრდა მხატვრები // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1943. - 29 ოქტომბერი. - №2;
35. ვ. ვ. სიღამონ-ერისთავი: [მხატვარი-ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე]: [ნეკროლოგი] // კომუნისტი. - 1943. - 22 ივნისი. - №133. - ხელის მოწერა: ბ. გოგუა, გ. კილაძე, ი. ნიკოლაძე და სხვ.;
36. მისალმებანი „ახალგაზრდა კომუნისტს“: [ახალგაზრდობის მოამბე - ი. ნიკოლაძე და სხვ.] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1945. - 8 დეკემბერი. - №132-133;
37. აბრილი ჩვენს სოფელში: [ლექსი] // დამკვრელი კოლმეურნე. - ლანჩხუთი, 1946. - 25 აპრილი. - №18;
38. ბრწყინვალე თარიღი: [საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 24 თებერვალი. - №8-9.

მის შესახებ:

1. პარიზიდან გვატყობინებენ... // ცნობის ფურცელი. - 1900. - 25 ივლისი. - №1191. - გვ. 2;
2. გრიბოედოვის ქუჩაზე... // ცნობის ფურცელი. - 1901. - 13 აპრილი. - №1434. - გვ. 3;
3. კავკასიის გამოფენის ხელოვნების განყოფილებაში... // ცნობის ფურცელი. - 1901. - 28 აგვისტო. - №1566. - გვ. 3;
4. სამძიმრის დეპეშები თბილისის გაზეთებს რ. ერისთავის გარდაცვალების გამო... // კვალი. - 1901. - №11. - სხვადასხვა ამბები;
5. ტფილისი // ივერია. - 1902. - 26 სექტემბერი. - №205. - გვ. 2; 1903. - 16 მარტი. - №61. - გვ. 2;
6. კავკასიელ მხატვართა გამოფენა // ცნობის ფურცელი. - 1903. - 29 აპრილი. - №2136. - გვ. 3;
7. შმერლინგი, ო. ტფილისელი მხატვრები // ცნობის ფურცელი (სურათებიანი დამატება). - 1903. - 8 აპრილი. - №107. - გვ. 4;
8. მოქანდაკე: [ცნობა პარიზში მყოფ იაკობ ნიკოლაძის როდენის სახელოსნოში მიწვევის შესახებ] // მეგობარი. - 1906. - 17 ნოემბერი. - №45. - გვ. 2;
9. იაკობ ნიკოლაძე: [ცნობა მისი მოღვაწეობის შესახებ] // ნიშადური. - 1907. - №7. - გვ. 9;
10. ილია ჭავჭავაძის ძეგლი // ისარი. - 1907. - 16 ოქტომბერი. - №226. - გვ. 3; 1908. - 14 თებერვალი. - №36. - გვ. 1-2;
11. სკულპტორი ი. ი. ნიკოლაძე... // ისარი. - 1907. - 17 ივნისი. - №130. - გვ. 3;
12. გამოჩენილი სკულპტორი როდენი... // სავაჭრო გზა. - 1908. - სექტემბერი. - №5. - გვ. 3;
13. იაკობ ნიკოლაძე: (მოქანდაკე) [ფოტო] // სახალხო კალენდარი. - 1908. - გვ. 188;
14. იაკობ ნიკოლაძე // სახალხო კალენდარი. - 1908. - გვ. 268;
15. კაზმული მწერლობა-მხატვრობა-მუსიკა-თეატრი... // ეკალი. - 1908. - 28 სექტემბერი. - №24. - გვ. 1. - იგივე იხ.: №25, გვ. 1; №26, გვ. 1;
16. მოქანდაკე ნიკოლაძემ... // დასაწყისი. - 1908. - 12 მარტი. - №8. - გვ. 2;
17. მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ... // სავაჭრო გზა. - 1908. - 20 ნოემბერი. - №24. - გვ. 2;
18. მწერლობის და ხელოვნების გარშემო // ნიშადური. - 1908. - №27. - გვ. 7-9;
19. რადგანაც სკულპტორი ი. ნიკოლაძე... // სავაჭრო გზა. - 1908. - სექტემბერი. - №6. - გვ. 3;
20. სირაძე, ფილიმონ. მხრე: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1908. - №23. - გვ. 14-15;
21. სურამში სამ აგვისტოს... // ამირანი. - 1908. - 24 ივლისი. - №115. - გვ. 1. - იგივე იხ.: №118, გვ. 1; №119, გვ. 1...;
22. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების... // ეკალი. - 1908. - 4 ოქტომბერი. - №28. - გვ. 2;
23. ქართულ დრამატიულ საზოგადოების... // ამირანი. - 1908. - 6 ივლისი. - №101. - გვ. 2;
24. ქართული ეროვნული ხელოვნება: იაკობ ნიკოლაძე: თავის სახელოსნოში: [მოქანდაკე] // ნიშადური. - 1908. - №34. - გვ. 1;
25. ქუჩუკაშვილი, შიო (შ. მღვიმელი). მერცხალი: [ლექსი] // ფასკუნჯი. - 1908. - №7. - გვ. 1-2. - მინანერი: ვუძღვ. იაკ. ნიკოლაძეს;
26. ქ.მ.წ. - კ. გამავრც. საზოგადოების... // სავაჭრო გზა. - 1908. - 5 ოქტომბერი. - №11. - გვ. 3;
27. ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ... // მერცხალი. - 1908. - 8 აპრილი. - №4. - გვ. 3;
28. წერა-კითხვის საზოგადოების... // სავაჭრო გზა. - 1908. - 2 ნოემბერი. - №19. - გვ. 3;
29. ახალი ამბები: ი. ნიკოლაძის ქანდაკება // ფასკუნჯი. - 1909. - №3. - გვ. 15;
30. ეგ. ნინოშვილის ძეგლი // მომავალი. - 1909. - 29 სექტემბერი. - №27. - გვ. 3;
31. ეგ. ნინოშვილის ძეგლის გამო // ჩანგი. - 1909. - 18 აგვისტო. - №37. - გვ. 3;

32. თოფურიას ქანდაკი: [ცნობა] // მწყემსი. - 1909. - №9. - გვ. 13-14;
33. ილიას ძეგლი // მომავალი. - 1909. - 24 ოქტომბერი. - №48. - გვ. 3;
34. ილია ჭავჭავაძის ძეგლი // მომავალი. - 1909. - 6 სექტემბერი. - №10. - გვ. 3;
35. ახალი დეკორაციების დასახატავად ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობის მიერ მოწვეულია განსაკუთრებული დეკორატორი-მხატვარი... // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №39. - გვ. 15;
36. იაკობ ნიკოლაძემ გადაიღო ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ნიღაბი (მასკა) // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №36. - გვ. 16;
37. იაკობ ნიკოლაძე ჩვენნი ახალგაზრდა მოქანდაკე... // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №23. - გვ. 13;
38. ილიას საღამო // ახალი აზრი. - 1910. - 16 ოქტომბერი. - №12. - გვ. 3;
39. ილია ჭავჭავაძის ძეგლი // ახალი აზრი. - 1910. - 10 ოქტომბერი. - გვ. 1; აგრეთვე: ნაკადული: საყმაწვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1910. - №9. - გვ. 21-22;
40. ქვაშვეთის ეკლესიის შენობაზე... // მწყემსი. - 1910. - №9-10. - გვ. 12;
41. გრიგოლ ორბელიანის ძეგლი // კლდე. - 1914. - №5. - გვ. 3;
42. მოქანდაკე ი. ნიკოლაძე... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №39. - გარეკანის მე-3 გვ.;
43. პაპავა, აკაკი. რკალები: „მონყვეტილი ხმალი“ // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №26. - გვ. 4-5;
44. აკაკის დილა // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №15. - გვ. 15;
45. თბილისელმა მხატვრებმა... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №44. - გვ. 15-16;
46. ი-ლი. აკაკის სამოქალაქო პანაშვიდი // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №11. - გვ. 14;
47. მოქანდაკე... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №31. - გვ. 16;
48. მოქანდაკე ი. ნიკოლაძე... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №27. - გვ. 16;
49. ქრონიკა // ეშმაკის მათრახი. - 1915. - №24. - გვ. 5-7;
50. იმედაშვილი, იოსებ (ი-თელი). გასული წელი: (მოკლე მიმოხილვა) // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №1. - გვ. 12-14;
51. მოქანდაკე ი. ნიკოლაძე თავის ატელიეში: [სურათი] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №1. - გვ. 3;
52. ქართველ ხელოვანთა საზოგადო კრება... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №16. - გვ. 15;
53. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე: 20 წლის მოღვაწეობის გამო [2 ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №42. - გვ. 1;
54. ჯიღალი. დიდი ეროვნული საღამო // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №41. - გვ. 14;
55. იაკობ ნიკოლაძე: მოქანდაკე, რომელმაც შეადგინა... [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №13. - გვ. 1;
56. ხელოვნების სექცია // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №2. - გვ. 15;
57. გ., ვ. მხატვრული მატინე: ქუთაისში გამოვიდა მონაფეთა... // მეოცნებე ნიამორები. - 1919. - №1. - გვ. 22-24;
58. კაკაბაძე, დავით. ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა: (ქ. ტფილისში 1919 წ. მაისში) // შვიდი მნათობი. - 1919. - ოქტომბერი. - №2. - გვ. 123-127. - სქოლიოში ავტორის შენიშვნა;
59. ლუჩიაშვილი, გიორგი. მხატვრული ცხოვრება თფილისში // ხელოვნება. - ქუთაისი, 1919. - №2. - გვ. 13-18. - თან ახლავს ფოტოები;
60. მოქ. ი. ნიკოლაძემ... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №3. - გვ. 16;
61. ქართლ-იმერელი. 1919 წლის სახელოვნო ქრონიკა // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №1. - გვ. 12;
62. იაკობ ნიკოლაძის იუბილე // კომუნისტი. - 1922. - 24 ნოემბერი. - №270. - გვ. 3; 3 დეკემბერი. - №278. - გვ. 4;
63. იაკობ ნიკოლაძის იუბილე: [25 წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის აღსანიშნავად] // კომუნისტი. - 1922. - 13 დეკემბერი. - №286. - გვ. 3;
64. იაკობ ნიკოლაძის იუბილე / ჟურნალის ინფორმაცია // გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი: ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო კრებული. - 1922. - №1. - გვ. 16;
65. მატინე: [ქართული კულტურის ქრონიკა] // გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი: ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო კრებული. - 1922. - №3. - გვ. 13-14;
66. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის იუბილე: [შემოქმედების 25 წლის აღსანიშნავად] // კომუნისტი. - 1922. - 10 დეკემბერი. - №284. - გვ. 1;
67. ნარკანი [კურდღელაშვილი, ნ.]. ჩემს მანეტროს იაკობ ნიკოლაძეს: [ლექსი] // გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი: ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო კრებული. - 1922. - №3. - გვ. 4;
68. შენგელაია, დ. იაკობ ნიკოლაძე: [შემოქმედება] // გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი: ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო კრებული. - 1922. - №2. - გვ. 11-12;
69. ხელოვნება // კომუნისტი. - 1922. - 4 ნოემბერი. - №254. - გვ. 4; 15 ნოემბერი. - №262. - გვ. 3; 7 დეკემბერი. - №281. - გვ. 3; 1923. - 16 იანვარი. - №11. - გვ. 3;
70. კეჭალმაძე, ნ. ცისა და დედამიწის შუამავალი: იაკობ ნიკოლაძის ქანდაკება „აკაკი წერეთელი“ // გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი: ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო კრებული. - 1923. - №7. - გვ. 14;
71. ხელოვნება // კომუნისტი. - 1923. - 6 სექტემბერი. - №204. - გვ. 4;
72. არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის პროექტი შესრულებული ი. ნიკოლაძის მიერ: [ხელოვნება] // კომუნისტი. - 1924. - 14 თებერვალი. - №37. - გვ. 3;
73. ბუაჩიძე, შ. იქ, სადაც იბადებიან ქვის ადამიანები: [სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ატელიეში] / შალვა ბუაჩიძე // კომუნისტი. - 1925. - 22 ნოემბერი. - №269. - გვ. 4;
74. ტაბიძე, გ. იაკობ ნიკოლაძეს...: [მისალმება] // გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი: ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო კრებული. - 1925. - №2. - გვ. 1;

75. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე: ლენინის ძეგლზე მუშაობის დროს // კომუნისტი. - 1927. - 31 აგვისტო. - №196. - გვ. 3;
76. გ.ნო. ალ. ვაშაძის ძეგლის გახსნა ჭიათურაში // კომუნისტი. - 1934. - 16 ივლისი. - №163. - გვ. 3;
77. მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ნაწარმოებების კუთხე გამოფენაზე: [გამოფენის კუთხის ფოტო-სურათი] // კომუნისტი. - 1934. - 3 ივნისი. - №127. - გვ. 4;
78. სტალინი, ი. ლენინი - მთის არწივი: ადგილები დახასიათებიდან // ლიტერატურული გაზეთი. - 1935. - №4;
79. ტოროშელიძე, მ. საბჭოთა ყრილობა საბჭოთა ქვეყანაში // ლიტერატურული გაზეთი. - 1935. - №2;
80. В мастерской Народного скульптора Я. И. Николадзе // На рубеже Востока. - 1936. - Июнь. - №16. - С.7. - Подпись: Б. Ст.;
81. ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის: [საიუბილეო კომიტეტის ახალი შემადგენლობის დამტკიცებასა და დასახული ღონისძიებების შესახებ] // კომუნისტი. - 1937. - 9 მაისი. - №104. - გვ. 3;
82. შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტში: [საიუბილეო რეორგანიზებული კომიტეტის დამტკიცების შესახებ] // კომუნისტი. - 1937. - 12 აგვისტო. - №184. - გვ. 1;
83. ჯავახიშვილი, ი. რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა ვეფხის-ტყაოსანი: [წერილი] // კომუნისტი. - 1937. - 29 დეკემბერი. - №298. - გვ. 3;
84. ბუნნიკაშვილი, გ. იაკობ ნიკოლაძე: [ქართველი მოქანდაკე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შემოქმედება] // ლიტერატურული საქართველო. - 1938. - 10 ივნისი. - №14. - გვ. 3;
85. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე არჩევნების დეპუტატობის კანდიდატები: [კანდიდატთა სია და მათი ბიოგრაფიული ცნობები] // კომუნისტი. - 1938. - 14-18, 20, 22-24, 26-29 მაისი. - №108-113, №115-121. - გვ.: 2, 3; აგრეთვე: საბჭოთა მასწავლებელი. - 1938. - 2, 27, 30 მაისი. - №43, №46, №47. - გვ.: 1, 2; მუშა. - 1938. - 13, 15-17, 19-23, 25-29, 31 მაისი. - №107-118, 121-122. - გვ.: 2, 3;
86. ურუშაძე, ი. - ა) სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე // საბჭოთა ხელოვნება. - 1938. - № 4. - გვ. 60-65; ბ) Народный художник // Заря Востока. - 1946. - 7 июля. - № 135. - С.1; გ) სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე: [საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1947. - 18 იანვარი. - №3; დ) ქართული ქანდაკების კლასიკოსი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - 14 მარტი; ე) Классик Грузинской скульптуры: К 75 летию со дня рождения Я. И. Николадзе // Заря Востока. - 1951. - 30 мая;
87. ჯავახიშვილი, ვ. პირველი ქართველი მოქანდაკე: [იაკობ ივანეს-ძე ნიკოლაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი]: [ბიოგრაფიული ცნობა] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1938. - 17 მაისი. - №111. - გვ. 2;
88. Кандидаты в депутаты Верховного Совета Грузинской ССР: [Яков Иванович Николадзе, Шалва Ильич Азмайфарашвили, Иван Александрович Джавахишвили и др.]: [Краткие биографические справки] // Заря Востока. - 1938. - 12-29 мая. - №108-121. - С.: 2, 3;
89. ხელოვნების მუშაკებო, ჩაებით ბავშვთა შემოქმედებითი ოლიმპიადისათვის მზადებაში! [მონოდებას ხელს აწერენ ხელოვნების მუშაკები: ა. ვასაძე, ა. ხორავა, მ. ჭიაურელი, ი. ნიკოლაძე, ე. სოხაძე, ა. თაყაიშვილი, ნ. გვეტაძე] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1940. - 26 აპრილი. - №96;
90. Дадияни, П. В мастерской скульптора: [орденоносца Я. И. Николадзе] // Молодой сталинец. - 1941. - 16 мая. - №60;
91. Работы народного скульптора Я. И. Николадзе // Заря Востока. - 1943. - 31 октября. - №227;
92. კამათი საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო [დებუტატ ნ. ნ. კეცხოველის და ი. ი. ნიკოლაძის სიტყვები] // კომუნისტი. - 1944. - 26 მარტი. - №63;
93. კვასხაძე, შ. - ა) ახალი ქართული სკულპტურის ფუძემდებელი [ი. ნიკოლაძე] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1944. - 10 მარტი. - №9; ბ) იაკობ ნიკოლაძე // სახალხო განათლება. - 1951. - 14 მარტი;
94. ასათიანი, ლ. იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 23 დეკემბერი. - №43;
95. როკოტოვი, ტ. ქანდაკება ყვავის საქართველოში: [ი. ნიკოლაძის შემოქმედების შესახებ] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 3 ივნისი. - №19;
96. ულენტი, ბესო // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - № 42;
97. ქიქოძე, გ. ი. ნიკოლაძე // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 6 ივლისი. - № 28;
98. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები: [ამხ.: ი. ნიკოლაძე და სხვები]: [ბიოგრაფიები] // კომუნისტი. - 1947. - 14 იანვარი. - №11; 24 იანვარი. - №18;
99. Заря Востока. - 1947. - 4 февраля. - № 27;
100. გუდიაშვილი, ნინო. - ა) იაკობ ნიკოლაძე / ნინო გუდიაშვილი. - [თბ.]: გამ-ბა და სტ. საბჭ. მწერალი, 1948. - 50 გვ.: 16 ჩართ. ფურც. პორტრ. ილ.; 22 სმ.; ბ) ახალი ქართული სკულპტურის ფუძემდებელი: [ი. ნიკოლაძე]: საბჭოთა ხელოვნების ოსტატები // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - 11 თებერვალი; გ) ახალი ქართული სკულპტურის ფუძემდებელი: [ი. ნიკოლაძე] // საკოლმეურნეო სოფელი. - თერჯოლა, 1951. - 18 თებერვალი;
101. კაკაბაძე, ს. სახვითი ხელოვნების ქართველი ლაურეატები // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - 1 მაისი. - № 17;
102. ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - 25 აპრილი. - № 16;
103. სტალინური პრემიის ლაურეატები // კომუნისტი. - 1948. - 22 აპრილი. - № 81. - გვ. 2;
104. Правда. - 1948. - № 112;
105. აბაკელია, თ. საყვარელი მასწავლებელი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - 14 მარტი;

106. დუდუჩავა, მ. – ა) გამოჩენილი საბჭოთა ხელოვანი // კომუნისტი. - 1951. - 13 მარტი; ბ) Выдающийся советский скульптор: Некрологи и соболезнования по случаю смерти скульптора Я. И. Николадзе // Заря Востока. - 1951. - 13 марта;
107. იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი. - ტექსტის ბოლოს: საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირი. - თბილისის სამხატვრო აკადემია;
108. იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე: [ნეკროლოგი] // ნორჩი ლენინელი. - 1951. - 15 მარტი;
109. იაკობ ნიკოლაძის დაკრძალვა // კომუნისტი. - 1951. - 14 მარტი;
110. ლეონიძე, გიორგი. საქართველოს დიდოსტატი: [სიტყვა წარმოთქმული მთანმინდაზე იაკობ ნიკოლაძის დაკრძალვის დღეს] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - N14 მარტი. - № 10. - გვ. 2;
111. მიქაძე, პ. ნ. ი. ნიკოლაძე // ინდუსტრიული ქუთაისი. - ქუთაისი, 1951. - 1 ივლისი. - იგივე: გაზეთში სოციალისტური შეტევა. - 1951. - 1 ივლისი; მგზნებარე კოლხიდელი. - 1951. - 1 ივლისი;
112. ნეკროლოგი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისგან // კომუნისტი. - 1951. - 13 მარტი;
113. ნეკროლოგი საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსაგან // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი;
114. ნეკროლოგი საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობისაგან // კომუნისტი. - 1951. - 13 მარტი;
115. ნეკროლოგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსაგან // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი;
116. სამძიმარი თბილისის სამხატვრო აკადემიისგან // კომუნისტი. - 1951. - 13 მარტი;
117. სასიქადულო ხელოვანის ხსოვნას // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - 14 მარტი. - ტექსტის ბოლოს: საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი;
118. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისგან // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი;
119. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი;
120. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოსაგან // კომუნისტი. - 1951. - 13 მარტი;
121. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი;
122. საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისგან // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი;
123. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან // კომუნისტი. - 1951. - 11 მარტი;
124. სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ი. ი. ნიკოლაძის ხსოვნის უკვდავოფის შესახებ: საქ. სსრ მინისტრთა საბჭოში // კომუნისტი. - 1951. - 9 მაისი;
125. ქიაჩელი, ლ. უკვდავი ხელოვანი // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1951. - 14 მარტი;
126. Некрологи и соболезнования по случаю смерти скульптора Я. И. Николадзе // Заря Востока. - 1951. - 11 марта. - В конце текста подпись: Совет Министров Груз. ССР и ЦК КП (б) Грузии;
127. Некрологи и соболезнования по случаю смерти скульптора Я. И. Николадзе / Совет профсоюзов Грузии // Заря Востока. - 1951. - 11 марта;
128. Некрологи и соболезнования по случаю смерти скульптора Я. И. Николадзе / Союз Советских художников Грузии // Заря Востока. - 1951. - 11 марта;
129. Некрологи и соболезнования по случаю смерти скульптора Я. И. Николадзе / Тбилисский комитет КП (б) Грузии // Заря Востока. - 1951. - 13 марта;
130. Некрологи и соболезнования по случаю смерти скульптора Я. И. Николадзе / Тбилисский комитет ЛКСМ Грузии // Заря Востока. - 1951. - 13 марта;
131. Некрологи и соболезнования по случаю смерти скульптора Я. И. Николадзе / ЦК ЛКСМ Грузии // Заря Востока. - 1951. - 11 марта;
132. Об увековечении памяти действительного члена Академии художеств Союза ССР народного художника Грузинской ССР Я. И. Николадзе: В Совете Министров Груз. ССР // Заря Востока. - 1951. - 8 мая;
133. Похороны скульптора Я. И. Николадзе // Заря Востока. - 1951. - 14 марта;
134. Я. И. Николадзе: [Некролог] // Заря Востока. - 1951. - 11 марта. - teqstis bolos: Союз Советских художников Грузии.

წყარო:

1. იაკობ ნიკოლაძე: [ცნობა მისი მოღვაწეობის შესახებ] // ნიშაღური. - 1907. - №7. - გვ. 9;
2. იაკობ ნიკოლაძე ჩვენი ახალგაზრდა მოქანდაკე... // თეატრი და ცხოვრება. - 1910. - №23. - გვ. 13;
3. იაკობ ნიკოლაძე: მოქანდაკე, რომელმაც შეადგინა... [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №13. - გვ. 1;
4. საიუბილეო კომიტეტის მოწოდება. - 1922;
5. ახალგაზრდა კომუნისტი. - 1934. - 12 დეკემბერი. - № 285;
6. Канделаки, Римма. Путь мастера // Вечерний Тбилиси. - 1936. - 21 октября. - № 153;
7. ბუნნიკაშვილი, გ. იაკობ ნიკოლაძე: [ქართველი მოქანდაკე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შემოქმედება] // ლიტერატურული საქართველო. - 1938. - 10 ივნისი. - №14. - გვ. 3;
8. მუშა. - 1938. - 23 მაისი. - № 116;
9. სოკოტოვი, ტ. ქანდაკება ყვავის საქართველოში // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 31 ივნისი. - № 19. - გადმობეჭდილი მოსკოვის ინგლისური გაზეთიდან; ახალგაზრდა კომუნისტი. - 1946. - 4 ივლისი. - № 80;
10. გამოჩენილი მოქანდაკე // სახალხო განათლება. - 1947. - 30 იანვარი. - № 5;
11. გენ. იმალაკი კ. ნ. ლესელიძის ძეგლთან // ნორჩი ლენინელი. - 1948. - 5 თებერვალი. - № 6;
12. Дадияни, П. Образ В. И. Ленина в грузинском искусстве // Заря Востока. - 1949. - 21 январь. - № 14.

ნიკოლაძე, ნიკო [ნიკოლოზ] იაკობის ძე (1843, 14/IX – 1928, 1/IV) – მწერალი, – ეკონომისტი, – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, – პირველი ქართული სოციალისტური გაზეთის დამაარსებელი, ამიერკავკასიაში ევროპული ჟურნალისტიკის ფუძემდებელი, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი საქართველოს, რუსეთსა და ევროპაში, მრავალი საეკონომიო, კულტურული, სააღმშენებლო საქმიანობის შემქმნელი, იშვიათი ნაყოფიერებით საყოველთაოდ სახელგანთქმული, ქვეყნის სასიკეთო საქმიანობათა დაუცხრომელი მუშაკი – ენციკლოპედისტი, – უფლებათა დოქტორი (დაიბადა ქ. ქუთაისში 1843 წლის 14 სექტემბერს, შეძლებულ ოჯახში. მამა – იაკობ მათეს (მამუკას) ძე ნიკოლაძე, დედა – ფირან ლორთქიფანიძის ასული).

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრებისთანავე (1861), ნ. ნიკოლაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა, საიდანაც მალე გამოირიცხეს სტუდენტთა შფოთში მონაწილეობისათვის და, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, პეტრე-პავლეს, შემდეგ კრონშტადტის ციხეში დააპატიმრეს. 1864 წელს საზღვარგარეთ (ჯერ – პარიზის, მერე – ჟენევის, ბოლოს – ციურხის) – წიგნთსაცავებსა და უმაღლეს სასწავლებლებში თვითგანვითარებას დაენაფა.

1868 წლის დამლევს, ციურხის უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისას, ფრანგულ ენაზე დაწერა დისერტაცია: „Du desarmement et de ses consequences economiques et sociales“ (Geneve, 1868) („განთავისუფლება და მისი ეკონომიკური შედეგები“) – ევროპის სრული განთავისუფლებისა და სამხედრო ძალთა დაშლის განზრახვით, 1867 წელს, ჟენევაში გარბილადის თავმჯდომარეობით შემდგარ „ზავის კონგრესის“ შესახებ. ნ. ნიკოლაძეს ამ განზრახვის შესრულებისა არ სწამდა, მასთან მრეწველობისათვის მავნებლად მიაჩნდა. ეს იყო ქართველის მიერ ევროპაში წარდგენილი მეორე სადისერტაციო შრომა. პირველი 125 წლის წინ წარდგენილი ჰქონდა გორელ ტულევიანთ დავითას (1741 წელს დაბეჭდილი). ნ. ნიკოლაძეს ამ დისერტაციისათვის მიენიჭა უფლებათა (სამართლის მეცნიერებათა) დოქტორის ხარისხი, რომლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის კულტურულ, საზოგადოებრივ, სამრეწველო, სააღმშენებლო, საეკონომიო-საფინანსო, საქალაქო და სხვა საქმიანობაში. ყველა ამ ასპარეზზე სიკვდილამდე დაუცხრომელი მუშაობით დიდი სახელი მოიპოვა როგორც სამშობლოში, ისე – რუსეთსა და საზღვარგარეთ. გარდაიცვალა 1928 წლის აპრილის 1. დაიკრძალა მთაწმინდის პანთეონში, აკაკი წერეთლის სამარის გასწვრივ. მისი შვილები არიან (პირველი მეუღლის ნ. ზემლიანსკაიასაგან): ნინო და ელისაბედ (ლოლო), მეორე მეუღლის – ოლგა გურამიშვილისაგან: გიორგი, რუსუდან და თამარი; დები ანა და ეკატერინე – ნიკოლაძის ქალები ეფროსინე ჭიჭინაძისა, ნატალია ქორქაშვილისა და ოლიმპიადა წერეთლი-

სა; ძმები: ვლადიმერ (1849-1871) და კონსტანტინე (1860-1942); სიძენი: L გიორგი ექვ. წერეთელი, ალექსი ჭიჭინაძე, შვილების მხრივ აკად. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. მ. პოლივექტოვი. ნათესაობით დაკავშირებული იყო თავისი დროის კულტურულ ძალებთან (ილია ჭავჭავაძეს, კირ. ლორთქიფანიძეს, გ. წერეთელს, ალ. ჭიჭინაძესთან და სხვ.).

ფსევდონიმები: ქუთაისის მეჭორე, ნ. სკანდელი.

მემკვიდრეებმა მისი მდიდარი ბიბლიოთეკა-არქივი საქართველოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს (იმელ-ს) გადასცეს 1941 წელს.

ნ. ნიკოლაძემ პირველი წერილი „საყვარელნო მკითხველნო“ ფსევდონიმით ქუთაისის მეჭორე გამოაქვეყნა „ცისკარში“ (1860, № 9, გვ. 133-134), მეორე – იგივე ფსევდონიმით („ქუთაისის ჭორიკანაობა (აზრი ქუთაისის საზოგადოებისა ქართულს ენაზედ და „ცისკარზედ“), იქვე, № 10, გვ. 296-300, დაწერილი საუბრის სახით: ვეჭირია რამედ ახლა ქართული ენა თუ არა?

პეტერბურგში სწავლის დროს გაიცნო ნ. ჩერნიშევსკი (1828-1889) და „Современник“-სა და „Искра“-ში დაიწყო თანამშრომლობა. პარიზში ალ. ჰერცენის (ისკანდერის) (1812-1870) თხოვნით – „Колокол“-ში (1865, № 198, 199) მოათავსა წერილი „Освобождение крестьян в Грузии“, – გლახთა განთავისუფლება საქართველოში Рио Непли-ს ფსევდონიმით (გადმობეჭდილია „რჩეული ნაწერების“ I ტომში, ტფ., 1931, გვ. 61-84). ამ წერილში გამოთქვა, სხვათა შორის, ის აზრი, რომ საქართველოში ბატონყმობის შექმნის მიზეზი და გამართლება იყო თავადაზნაურობის მოვალეობა – ქვეყანა დაეცვა გარეშე მტრებისაგან; რაკი რუსების მოსვლამ თავადაზნაურობას ვალი ახადა, გლახკაცობას მისი აღარა მართებს-რა, არც არაფერი უნდა ჰხდებოდესო. ამ აზრმა დიდი ალიაქოთი ატეხა მაშინდელ მწერლობაში. ჰერცენის გამოცემაში ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა კარაკოპოვისაგან ალექსანდრე მეორის (1818-1881) მოკვლის განზრახვამდე (1866). ამ უიღბლო სროლის გამო ნ. ნიკოლაძე ჩამოშორდა ჰერცენს და უკიდურეს რევოლუციონერებს, რის შესახებაც თავისი შეხედულება გამოთქვა ნიგნაკში „Правительство и молодое поколение“, Женева, 1866. ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ემიგრანტების წრეს. პირველმა დაიწყო ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული გამოცემა ევროპაში, 1868 წელს, თანამშრომლობდა ფრანგულ რადიკალურ გაზეთში „La Nation Suisse“; ლევ მეჩნიკოვთან (1838-1888) ერთად სცემდა ორკვირეულ ჟურნალს „Современность“, რომელშიაც ახალგაზრდობას ურჩევდა ხალხის სასარგებლოდ მუშაობას: ერობაში, რკინიგზებზე, ბანკებსა და სხვა პრაქტიკულ ასპარეზზე.

1860 წელს სამშობლოში დაბრუნდა. მისი ჩამოსვლით სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობა გაცხოველდა, შეიქმნა სრულიად ახალი მიმართულება, დაარსდა სამკითხველო, მონაფეობა თვითგანვითარებას დაენაფა, ახალგაზრ-

დობაში გაიღვიძა საზღვარგარეთ (უმთავრესად, შვეიცარიაში) სასწავლებლად წასვლის სურვილმა, შეიქმნა „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი, შემდეგში „მეორე დასის“ სახელით ცნობილი, რომლის უმთავრესი ძალნი იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ხელშემწყობნი: აკაკი წერეთელი, პ. უმიკაშვილი და სხვ. 1870-1874 წლებში გაზ. „დროების“ რედაქციაში მუშაობდა, 1871-1873 წლებში საკუთარი რედაქტორობით სცემდა ჟურ. „კრებულს“. აქ, უმთავრესად, ათავსებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდობაზე. 1873 წელს პარიზში გამოსცა საკუთარი ხელით ნაწერი და ჰექტოგრაფით ნაბეჭდი არალეგალური პირველი ქართული სოციალური გაზეთი „დროშა“ (დ. მიქელაძე-მეველეს და შ. იზმაილოვის თანამშრომლობით), რომელიც ეხებოდა საგარეო პოლიტიკას, ეროვნულ საკითხს, მუშათა მოძრაობას, სოციალიზმის პროპაგანდას, სხვადასხვა სოციალურ და ისტორიულ საკითხებს (გამოვიდა 3 ნომერი, თითო 4 გვ. 1873 წ. 1 აპრილიდან ას-ასი ცალი. ეს სამი ნომერი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. ნ. ნიკოლაძე ამ გაზეთში მოითხოვდა: უნდა შეიქმნას „თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა, განწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიური თანასწორობისამებრ“-ო, იგივე ხსნიდა: საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლად ეკონომიური ხასიათი უდევსო... საზოგადოებრივი განწყობილება სოციალური იდეალისამებრ შეიცვლება ისე, რომ შრომას უპირატესობა მიეცეს და მშრომელი ხალხი წინა ადგილზე დადგესო. იმავე ხანებში პარიზში მუშაობდა ქართული შრიფტის გასამარტივებლად და ქართული სტამბის მოწყობისათვის. 1873-1877 წლებში თანამშრომლობდა გაზ. „Тифлисский Вестник“-ში. ზემოხსენებულ და ამ გაზეთშიაც ნ. ნიკოლაძემ აღძრა მრავალი საკითხი ჩვენს ეკონომიურ და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე.

ამავე დროს, ნ. ნიკოლაძე (ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი წერილში) „La Presse de la Décadence“, 1875, შეეხო საფრანგეთის მოწინავე მოღვაწეთა მეცადინეობას, რომელნიც ცდილობდნენ რუსეთის მთავრობასა და საფრანგეთს შორის კავშირი შეეკრათ გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა: ამგვარი კავშირი რუსეთსა და საფრანგეთს ზარალის მეტს არას მოუტანს: მათ საერთო ინტერესი არა ჰქონიათ, არცა აქვთ – გერმანიის წინააღმდეგ გალაშქრება რუსეთს ავნებსო. საფრანგეთის გამოჩენილმა პუბლიცისტმა ემილ დე ჟირარდინმა ნ. ნიკოლაძის ეს აზრი თავის გავრცელებულ გაზეთ „La France“-ში გადაბეჭდა. ასევე აზრი ნ. ნიკოლაძემ გამოთქვა „მოამბეში“ (1894, VIII), როცა ნიკოლოზ მეორეს (1868-1918) ტახტზე ასვლის დროს მწერლობაში ხმა გაისმა: რუსეთი ინგლისს უახლოვდებაო.

1877 წლის გაზაფხულზე რუსეთსა და ოსმალეთს შორის ატეხილი ომის დროს ნ. ნიკოლაძე „ჰავასის“ სააგენტოს წარმომადგენლად გაიგზავნა კავკასიის ბრძოლის ველზე კორესპონდენტად.

მისი კორესპონდენციები იბეჭდებოდა „Тифлисский Вестник“-სა და „Голос“-ში, და გადაიბეჭდებოდა, როგორც რუსეთის სხვა გაზეთებში, ისე – საფრანგეთის პრესაში, „ჰავასის“ სააგენტოს ხაზით.

1878-1880 წლებში თბილისში საკუთარი რედაქტორობით სცემდა ყოველდღიურ ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთს „Оნიონ“, რომელიც იცავდა კავკასიის ეროვნებათა, მათ შორის, ქართველთა ინტერესებს რუსის მთავრობისა და საზოგადოების წინაშე. ნ. ნიკოლაძე არ უდრეკებოდა არავითარ დაბრკოლებას: ბეჭდავდა მთავრობის მოხელეთა მამხილებელ წერილებს, მოუწოდებდა მეფის წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, აშუქებდა დასავლეთ ევროპის რევოლუციურ მოძრაობას (მაგ., № 350), ცენზორის მიერ აკრძალულ-ამოგდებულ ადგილებს საკუთარი პასუხისმგებლობით ბეჭდავდა და სხვ. ამ დროს მისი თანამშრომელი იყვნენ სახელგანთქმული მწერლები: ანტონოვიჩი, გლებ უსპენსკი (1840-1902), ნ. სიმბორსკი, ფრანგი კომუნარი ანრი როშფორი და სხვ. საცენზურო პირობათა დარღვევის გამო ხშირი შეტაკება ჰქონდა ცენზორთან.

როგორც ოპოზიციური პრესის მესვეური და კალმით მთავრობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, 1878 წელს სამართალში მისცეს. საოლქო სასამართლოში თვითვე დაიცვა თავი: საოცარი გამჭრიახობით, დაუნდობელი კრიტიკით ამხილა მეფის ცენზურის სიბეცე, უფიცობა, საცენზურო კანონების დრომოჭმულობა, შეუსაბამობა, ურთიერთის უარყოფლობა და სხვ. გამართლებასთან ერთად მოითხოვა 1865 წლის 5 აპრილის კანონის შემოღება, რომელიც სპობდა წინასწარ ცენზურას, რათა ბეჭდვითი სიტყვა შესაფერ პირობებში განვითარებულიყო: ასეთი გადაწყვეტილება დიდ სამსახურს გაუწევს არა ჩემს პიროვნებას, არამედ ჩვენი მხრის საზოგადოებრივ განვითარებასო. საოლქო სასამართლომ გაამართლა, მაგრამ პროკურორის პროტესტით 1875 წლის მაისის 22 მეორედ გაასამართლეს. ახლაც ბეჭდვითი სიტყვის უფლებას ძალადობისა და უსამართლობისაგან შეუდრეკლად იცავდა. აქაც გამართლებული იქნა, მაგრამ მესამედ, 1881 წლის 8 აპრილს, ნააგო პროცესი (იხ. „იმედი“, 1881, № 3-4, სტ. ჭრელაშვილის წერილი ნ. ნიკოლაძის გასამართლების შესახებ).

ყოველთვის ლეგალურ ნიადაგზე მდგომი – პირდაპირ, ამკარად იბრძოდა. მისი აზრით, ლეგალურ ბრძოლას რაც უფრო ფართო, მეტი ასპარეზი აქვს დათმობილი, მით უფრო ძლიერია და საფუძვლიანი საზოგადოების პროცესი... ყოველ საზოგადოებაში კმაყოფილ და ბედნიერ წევრებთან ერთად, არიან უკმაყოფილონი, გაუბედურებულნი, რომელნიც უკეთესი წესისაკენ მიესწრაფიან... ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის სასურველია და აუცილებელი, რათა ამ ელემენტებს შეეძლოთ თავისი მისწრაფების გამოთქმა, საკუთარი რწმენის დამტკიცებო... სასამართლოში გამართლებულს, 1879 წელს გუბერნატორმა რვა

თვით შეუჩერა გაზეთი „მავნე მიმართულების“ მიზეზით, ბოლოს ნ. ნიკოლაძე სტავროპოლს გადაასახლეს და გაზეთიც დახურეს (ეს გაზეთი 1878 წლამდე გამოდიოდა კვირაში სამჯერ, შემდეგ – ყოველდღიურად; 1873 წელს გამოვიდა 1-350 ნომერი, 1875 წელს – 351-378 (23 ნომერი), 1880 წელს – 379-659 (180 ნომერი), 1881 წელს – 660 (ერთი ცალი), 1882 წელს – 1-2 (ერთი), 1883 წელს – 502 (ერთი). ამ გასამართლების შესახებ ნიგნაკმა „Первый процесс инзора“ (Тфп., 1879) მთელი რუსეთის მწერლობა შეაჩოჩქოლა.

1881 წელს რუსეთში მ. ვ. სალტიკოვ-შჩედრინისა (1826-1889) და ნ. კ. მიხაილოვსკის (1842-1904) მიპატიჟებით თანამშრომლობდა ცნობილ ჟურნალში „Отечественные записки“, რომლის კრიტიკული ნაწილის ხელმძღვანელის – ნ. კ. მიხაილოვსკის ფინეთში სახლობის შემდეგ, ამ ჟურნალის კრიტიკული ნაწილი მას ებარა. ამ ჟურნალში, ნ. ნიკოლაძემ, სხვათა შორის, დაბეჭდა თავისი წერილი „Пуи Блан и Гамбетта“ (1883), რომელშიც იცავდა „სახელმწიფო დემოკრატიულ პრინციპს“, რის გამოც მთავრობამ ჟურნალი დახურა.

ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვის კავკასიის მთავარმართებლად ყოფნის დროს, 1882 წლიდან, ქართველთა დევნის გაძლიერების ხანაში, კავკასიის იურიდიული საზოგადოების თავმჯდომარემ ფრენკელმა მოითხოვა ერთისა და იმავე დანაშაულისათვის ორნაირი კანონი უნდა შემოვიღოთ: ერთი რუსებისათვის, მეორე – არარუსებისათვის, რომ დანაშაული აღიკვეთოსო. ამაზე ნ. ნიკოლაძემ უპასუხა: ვერავითარი დრაკონისებური კანონები ვერ აღკვეთავენ დანაშაულობათ, თუ ხალხის ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესდაო... ამ დანაშაულთა ფესვს ტყუილად ეძებთ ქართველ-სომეხთა ეროვნების შორის და ციმბირს გზავნით: ასეთი მართვა-გამგეობით მთელ რუსეთს თავსა ჰკიდია დამოკლეს მახვილიო...

1887 წლიდან თბილისში რედაქტორობდა და საკუთარი სახსრით სცემდა მოწინავე გაზეთს „Новое обозрение“ („ახალი მიმოხილვა“), რომელშიაც ხშირად აშუქებდა თვითმმართველობის საკითხებს, რათა ჩვენი ქალაქების გამგე-საბჭონი ევროპელ წეს-ჩვეულებას შეჩვეოდნენ, მთავრობას უმტიციცებდა ერობის შემოღების საჭიროებას და სხვ. ამ გაზეთში ნ. ნიკოლაძემ დაბეჭდა ბევრი შესანიშნავი წერილი, განსაკუთრებით – ეკონომიკაზე, რასაც ადგილობრივი მთავრობა და რუსეთის მწერლობა თვალსაჩინო ყურადღებას აქცევდნენ. 1891 წელს ეს გაზეთი გადასცა გ. მ. თუმანიშვილს, თუმცა 1897 წლამდე კვლავ წერდა მასში. 1894 წლიდან თანამშრომლობდა ჟურ. „მოამბეში“ (შინაურ, უცხოეთის და სამწერლო საკითხებს აშუქებდა), დროგამოშვებით გაზ. „Кавказ“-ში და სხვა გამოცემებშიაც ათავსებდა საპოლემიკო, საბჭირბოროტო საკითხების შესახებ წერილებსა და მოგონებებს.

ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ებრძოდა „წმინდა ხელოვნების“ თეორიას, სწამდა რეალისტური მიმართულების. ნ. ნიკოლაძის აზ-

რით, მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება ის არის, რომ აგვიწეროს ნამდვილი მდგომარეობა, ადამიანთა ხასიათები, ხალხის საზოგადოების ანუ ამა თუ იმ პიროვნების საქიროება, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ფოტოგრაფიულად კი არ უნდა გადმოიხატოს, არამედ სინამდვილით დახატვასთან ერთად დასახოს უკეთესი ცხოვრების იდეალიო. მწერლისაგან მოითხოვდა მრავალმხრივ მომზადებას, ვიდრე იგი კალამს მოკიდებდა ხელს... „ლიტერატურული ასპარეზი ვარდებით მოფენილი როდია, ზედ სიარული და მოქმედება მეტის მეტად ძნელია... მაგრამ“ ყოველი მწერლობის მიმდევარი იმით უნდა მხნევედობდეს, „რომ მის შრომას მიზნად საზოგადო სარგებლობა და სიკეთე აქვს“-ო („კრებული“, 1871, № 3).

საეკონომიო-საფინანსო და სამეურნეო-სააღმშენებლო საქმიანობაშიც მოქმედებით მონაწილეობას იღებდა: სხვათა შორის, ქართველთა ბედის ტრიალის მთავარ ღერძად მას მიწათმფლობელობა მიაჩნდა. „დროებაში“ დაიწყო თუ არა წერა, მოიგონა დიმიტრი ყიფიანის მიერ აღძრული, ხოლო შემდეგ დავიწყებული წინადადება გლეხების განთავისუფლებისათვის მთავრობისაგან ნაბოძები თანხით ბანკის დაარსების შესახებ. ვერც დ. ყიფიანმა, ვერც მისმა მემკვიდრე მწერლებმა ვერ გამოირკვიეს, თუ როგორი ბანკის დაარსება მოუხდებოდა ჩვენს ქვეყანას, ან იმ ბანკს საფუძვლად რა წესდება უნდა ჰქონოდა. ნ. ნიკოლაძემ პირველმა აუხსნა ქართველობას საადგილმამულო ბანკის არსი, დანიშნულება და სიკეთე, განმარტა მისი გავლენა მიწათმფლობელობის გავრცელებაზე, შეადგინა ახალი თაობის წრე, რომელმაც ნ. ნიკოლაძის გეგმა განახორციელა; მისივე რჩევით, დუშეთიდან ჩამოიყვანეს ილია ჭავჭავაძე, რომლის თავმჯდომარეობითაც დაფუძნდა თბილისის საადგილმამულო ბანკი, რამაც ქართველთა აღორძინება განვითარების ახალ ხანას საფუძველი ჩაუყარა.

რუსეთში გადასახლების შემდეგ, ნ. ნიკოლაძე თავის სარჩენად და რკინიგზის საქმის შესასწავლად ლიძავა-როშნის რკინიგზის მმართველობაში ჩადგა. ამ გზაზე ნ. ნიკოლაძის მეცადინეობით პირველად შემოიღეს მანამდე მთელ რუსეთსა და ევროპაში უცნობი ამერიკული წესი საქონლის (ხორბლის) პატრონისთვის წინასწარ ბეს ძლევისა, რამაც ამ დაზიანებული რკინიგზის მდგომარეობა მალე გამოაკეთა.

1883 წელს ნ. ნიკოლაძე ამიერკავკასიის რკინიგზის გამგეობამ მიიპატიჟა და მიანდო ნავთობის გადაზიდვის მოწესრიგება, აგრეთვე, ტყიბულის გზისა და სურამის გვირაბის აშენებისათვის მთავრობის წინაშე მეცადინეობა, რაც ნიკოლაძემ სასახელოდ შეასრულა (ამ ადგილზე ყოფნისას დიდძალი ქართველობა ჩააყენა რკინიგზის სამსახურში).

1884-1886 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის პატრონთა მინდობილობით მოლაპარაკებას აწარმოებდა (როგორც ყველა სხვა ნავთობის პატრონი) უცხო კაპიტალისტებთან ბაქოს ნავთობის

ჭებისა და ქარხნების გაყიდვაზე. მან პირველმა მოახერხა როტილდის მოწვევა ბაქოში, რითაც ბაქოს ნავთობის მრეწველობას მსოფლიო მნიშვნელობა მიანიჭა და მისი წარმოდგენელი აღორძინება დაიწყო. მას შემდეგ ნ. ნიკოლაძე დიდხანს როტილდის მრეწველად ითვლებოდა ნავთობის საქმეებში.

მარსელ დეპრეს (Marcel Deprez) მიერ ელექტრონის გადაცემის აღმოჩენის (1886) შესახებ ნ. ნიკოლაძემ პირველმა განმარტა მისი მნიშვნელობა და იზინასწარმეტყველა, თუ რა წარმოდგენელ რევოლუციას მოახდენდა ეს აღმოჩენა ქვეყნიერების ეკონომიურ წყობილებაში („В мире през“, „Новое обозрение“, 1887, № 1328).

დედულეთში – სოფ. დიდ ჯიხაში დასახლების შემდეგ შენიშნა, რომ ვაკე იმერეთში ზაფხულობით ძლიერი გვალვებისაგან ხვადაგი ხდებოდა, მოსავალი იღუპებოდა. ნ. ნიკოლაძემ ივ. სიმ. ბარამიძის, დავ. ლევ. ლოლობერიძის, სიმ. სარ. ლორთქიფანიძის დახმარებით, ამ არემარის გლახობის თანხმობით და შეერთებული 4 წლის დაულაღავი შრომით სოფ. მათხოჯიდან არხი გაჭრა ცხენისწყალსა და გუბისწყალს შორის მდებარე მიწების მოსარწყავად, რის მეოხებითაც 600 ვერსის სიგრძის არხებით მოიწინა ყოფილი უნაყოფო მიწები, რომლებზეც შემდეგ ჩინებული მოსავალი მოიყვანეს.

1908 წლის ოქტომბერში ამ არხებზე ინჟ. ფრიკმა ააშენა სამი რკინაბეტონის ხიდი ზედ გაკეთებული წარწერით: „აგებულია ნ. ი. ნიკოლაძის ხარჯით“. ამ ხიდების მშენებლობის დროს ნ. ნიკოლაძე ხშირად პირადად მუშაობდა – თხრიდა, ტიხრავდა და სხვ. ნ. ნიკოლაძის ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად დაწყებული იქნა მდ. არაქსიდან სარწყავი არხის გაყვანა მუჰანის ველის მოსარწყავად, სადაც იმოდენა ბამბა (10 მლნ ფ.) უნდა მოსულიყო, რომ სახელმწიფო უცხოეთიდან ბამბის შემოზიდვისგან გათავისუფლებულიყო და სხვ.

საქალაქო თვითმმართველობის ასპარეზზე დაც, წერის გარდა, ნ. ნიკოლაძე პრაქტიკულადაც მოღვაწეობდა. ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ქუთაისის მოქალაქეებმა (რომელთა რიცხვს თვითონაც ეკუთვნოდა) მოიპოვეს საბჭოსა და გამგეობის დაარსების უფლება; ასეთივე ამაგი დასდო ფოთს, სადაც იგი ხმოსნად ირჩეოდა თვითმმართველობის შემოღებიდან მის გაუქმებამდე. 1876 წელს ქ. თბილისის მოურავად სომხებს დიმიტრი ყიფიანი ამოარჩევინა დიდი გავლენიანი სომეხი გენერლის იერემია არწრუნის წინააღმდეგ (რომელიც ერთი კენჭით გააშავებინა), მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ყოვლისშემძლე თავადი ნაპოლეონ აშატუნი, დ. ყიფიანის წინააღმდეგ მებრძოლი, ი. არწრუნის კანდიდატურას იცავდა. თვით ნ. ნიკოლაძე მუდამ ირჩეოდა ხმოსნად ერთსა და იმავე დროს სამ ქალაქში: თბილისში, ქუთაისსა და ფოთში; მის აზრსა და რჩევას ყველგან ყურს უგდებდნენ და ანგარიშს უწევდნენ. ქ. ბაქომ ნ. ნიკოლაძის რჩევით ჩაშალა ერთი ბოროტგანმზ-

რახველი კომპანიის გეგმა ბაქოში სასმელად მტკვრიდან ტუმბობით წყლის გამოყვანის შესახებ და საფუძველი დაუდო უკვე განხორციელებული მოვლარის წყალსადენს. ქ. თბილისის კეთილმონეობის მიზნით ნ. ნიკოლაძემ მარტომ შეადგინა და 1875 წელს გაზეთში „Тифлисский вестник“ (№ 99, 102, 109, 112) გამოაქვეყნა სრული გეგმა (Задачи городского хозяйства), მთუ რა და როგორ უნდა ეკეთებინა იმ ახალ გამგეობას, რომელიც სამი წლის შემდეგ აირჩეოდა. ამ გეგმის განსაკუთრებული ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ მთელ რუსეთში თაყვანცემული კონცესიების სისტემის ნაცვლად ურჩევდა, ქალაქის საქმე და საჭიროება მარტო მუნიციპალური წესით განეხორციელებინათ (ე. ი. ქალაქისავე ხელით და ხარჯით, ქალაქის მიერ ობლიგაციების გამოშვებით – ვალის აღებით). ნ. ნიკოლაძისავე მეცადინეობით და მეთაურობით, ქალაქის უწინდელი გამგეობის გავლენიანი მეთაურები გააშავეს, სამაგიეროდ აირჩიეს ახალგაზრდა, ნასწავლი და უანგარო მოღვაწე – როგორც ქართველი, ასევე – სომხები და რუსები (1878 წლის ბოლო არჩევნებზე). მაშინ ქალაქის საბჭოში ხმოსნებად პირველად არჩეული იქნა ათიოდე ქართველი და რუსი. 14 წლის განმავლობაში (1879-1893) ნ. ნიკოლაძე ითვლებოდა თბილისის თვითმმართველობის ნამდვილ ლიდერად. ამ ხანაში მოეწყო (უკონცესიოდ) თითქმის ყველაფერი ის, რაც თბილისქალაქის სიმდიდრეს, სიამაყესა და საკუთრებას შეადგენდა (საბჭოთა მშენებლობის დაწყებამდე). ნ. ნიკოლაძის მიერ ნარჩევი და შემოღებული წესი (მუნიციპალური) იმ დროს სრულიად უცნობი და უმაგალითო იყო მთელ რუსეთში. ამ ხანაში მდიდარ მესაკუთრეთა წინააღმდეგობამ, მართალია, ნ. ნიკოლაძეს ბევრი გაბედული და შორსმჭვრეტი გეგმა ჩაუშალა (მაგალითად, თბილისის აბანოების ევროპულ კურორტად გადაქცევა, ქალაქის ბანკის დაარსება და სხვ.), მაგრამ მათი განხორციელების მტკიცე აზრი მაინც ჩაისახა.

1894 წელს ნ. ნიკოლაძე ქ. ფოთის მოქალაქეებმა თითქმის ერთხმად ქალაქის მოურავად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე 20 წელზე მეტი იმოღვანა ოთხჯერ ზედიზედ ერთხმად არჩევით (1898, 1902, 1906 და 1910 წლებში). მან რუსეთის მთავრობის ნებართვით მოახდინა ფოთის გემთსადგურის მუნიციპალიზაცია (ე. ი. სააღმშენებლოდ და სანარმოოდ ქალაქის განკარგულებაში გადაცემა), რის არცერთი მაგალითი არ ყოფილა მთელ რუსეთში. ნ. ნიკოლაძემ გადააკეთა ფოთის უვარგისი გემთსადგური: გაუხსნა ახალი შესასვლელი იმ მხარეს, საიდანაც ქარი არასოდეს ქრის და ამოაშენებინა ძველი კარი, რომელიც მძლავრი დასავლეთის ქარის პირდაპირ იყო დაფენილი. თუმცა წინათ, 20 წლის განმავლობაში (1857-1878) ეს ქალაქი ერთადერთი ჭიშკარი იყო მთელი ამიერკავკასიისათვის ევროპისა და მთელი რუსეთის მხრით, და, ამის გამო, მაშინ დიდი შემოსავალი ჰქონდა, არც ერთი სასწავლებელი, არც ერთი რიგიანი შენობა არ გააჩნდა, – ნიკოლაძემ

კი, თავისი მოურავობის დროს, გემთსადგურის გარდა გააშენა: ორი გიმნაზიის ქვეთვირის შენობა, საქალაქო სკოლებისათვის ქვეთვირისავე სამი სახლი, ჩინებული რკინაბეტონის ტაძარი (რომელიც გასაბჭოების შემდეგ თეატრად გადაკეთდა), ქარვასლა, სასაფლაო, წყალსადენი და სხვ. ფოთის ტაძრის სურათები, მისი ახალი მიღწევების გამო, გერმანელ აღმშენებელთა სახელმძღვანელოებშია მოყვანილი, როგორც რკინა-ბეტონის უაღრესი ოსტატობის მაგალითი. 1894 წელს ქალაქის მთელი შემოსავალი, მთავრობის დახმარებით, ძლივს 70.000 მანეთამდე აღიოდა, ხოლო 20 წლის შემდეგ, ნ. ნიკოლაძის ხელში, 1914 წელს, ამავე ქალაქს საკუთარი შემოსავალი ჰქონდა ყოველწლიურად 295.413 მან., გარდა ამისა, ხაზინიდან – 542.314 მან. მეტი, სულ 747.727 მან. დიდი ბრძოლის შემდეგ, ნ. ნიკოლაძემ რუსეთის მთავრობასა და სათათბიროს გამოაცემინა კანონი, რომელიც ქ. ფოთს ნებას აძლევდა, მის გემთსადგურში გავილილი ყოველი საქონლისათვის ბაჟად ფოთზე ნახევარი კაპეიკი გადაეხდებინა გემების უცბად და იაფად დამცლელ-დამტვრითავ ნაგებობათა ასაგებად (ცნობილ მეცნიერთა არაერთგზის გამოკვლევით, ამ საქმისათვის ფოთის გემთსადგური მთელ რუსეთში ერთ უმჯობესთაგანად ითვლებოდა). ნ. ნიკოლაძემ პირველმა აღძრა შავი ქვის გადასატვირთად ფოთში ელევატორის აგების საკითხი (კიდევაც ააგეს ერთი ელევატორი), რაზედაც კერძოდ დანიტერესებულმა პირებმა და მათმა ამყოლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და საქმე ჩაიფუშა საბჭოთა მშენებლობის დაწყებამდე.

ნ. ნიკოლაძის რჩევით 1918 წელს ჭიათურაში ყველა ქართველი მრეწველი შეერთდა საერთო სააქციო საზოგადოების მოსაწყობად. ამას მოჰყვა შავი ქვის მრეწველთაგან ერთი გამზიდავი ამხანაგობის შედგენა (ЧЭМО), რომელსაც მთავრობამ საქართველოდან შავი ქვის გაზიდვის მონოპოლია მიანიჭა.

ნ. ნიკოლაძის რჩევით და მეოხებით 1883 წელს ბაქოში შედგა ნავთობის მრეწველთა ყრილობა, რომლის ხელმძღვანელი და გეზის მიმცემი თვითონვე იყო. ამ კრებამ დიდი საქმეები გაარიგა და დიდი სარგებლობაც მოუტანა ქვეყანას. მისი ამაგი ჩანს მის მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან და მოხსენებებიდან (Труды Первого съезда нефтянщиков, Баку, 1884). ნ. ნიკოლაძე სრულიად უანგაროდ ემსახურებოდა ამ დაწესებულებას, ბევრი ხიფათისაგან გადაარჩინა. შემდეგ წლებში (1885-1888) მესვეურებოდა მწერლობას და კრებებზე იმ პირთ, რომლებიც ებრძოდნენ ამ მრეწველობის გადატანას ბაქოდან ვოლგაზე ან შავი ზღვის პირად. ამ დროს ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ დაირაზმა, რაც კი ძლიერი ძალა გააჩნდა რუსულ მეცნიერებს (პროფესორები: მენდელეევი, ტიშე, მარკოვნიკოვი, ლისენკო, არქიპოვი და მრ. სხვ.). მაგრამ ამ სახელოვანი ბრძოლიდან ნ. ნიკოლაძე გამარჯვებული გამოვიდა: ყველა მისი აზრი და დებულება სინამდვილემ გაამართლა.

მთელი 35 წლის განმავლობაში (1886-1920) გატაცებით მუშაობდა დედუღეთ-მამულში (სამტრედიის რ. სოფ. დიდ-ჯიხაიში), სადაც 50 ქცევა მიწაზე მოაწყო საცდელ-საჩვენებელი სადგური ვენახის, ტყის, ხეხილის, ბოსტნის, ყანის, მიწდვრის, საქონლის, ფრინველის, ფუტკრის, აბრეშუმის ჭიის, ნესვის, ხელოვნური მორწყვის და სხვ. სხვათა შორის, აქ შემოიღო 60-70 სხვადასხვა ჯიშის ყურძნის დამყნობა ამერიკულ ვაზზე, ფილოქსერასთან ბრძოლის სხვადასხვა ცდა (განსაკუთრებით წყლის ჩაყენებით) და სხვ. და ყოველივე ეს შექმნა თითქმის უქონელმა, პირადი მეცადინეობით, არა მამაპაპური წესით, არამედ მეცნიერების უკანასკნელი ჩვენებისამებრ, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერეულობის თუ ცხოველების ჯიშთა შერჩევით, ადგილობრივ პირობებთან შეგუებით, რაც მთელი ამ კუთხის სკოლად გადაიქცა (გასაბჭოების შემდეგ ეს მამული სახელმწიფოს გადაეცა).

სოციალ-პოლიტიკურ საკითხში ნ. ნიკოლაძე გასული საუკუნის 60-70-იანი წლების სოციალისტურ პრინციპებს იცავდა, 70-იანი წლებიდან ხელი შეუწყო ლიბერალური სოციალიზმიდან ნაროდნიკული სოციალიზმისკენ გადასვლას, მერე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გზაზე შედგა, ბოლოს ეროვნულ-დემოკრატიულზე და სხვ. მან პირველთაგანმა საქართველოს აზროვნება ევროპას აზიარა, ხოლო ამიერკავკასიაში პირველმა დაამკვიდრა ევროპული ჟურნალისტიკა. ილია ჭავჭავაძემ ადრევე, 70-იან წლებში შენიშნა ნ. ნიკოლაძის საიმედო საქმიანობა, ქვეყნისთვის ფალავნობის უნარი და ხელი შეუწყო მის სამწერლო-საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობას.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ (1917), როგორც მანამდე, ეროვნულ საკითხში ნიკოლაძე მუდამ ერთსა და იმავე პოლიტიკას მისდევდა: ქართველობის ერთობას. მთავრობა უნდა ჩაბარდეს იმ პარტიის მთავრად, რომელსაც უმეტესობა ჰყავს მომხრეო. ვინც გინდა იჯდეს მთავრობის სათავეში, სულ ერთია, ყოველი ქართველი მას ხელს უნდა უწყობდეს, ურთიერთ შორის ბრძოლა ქართველებს დაღუპავსო, პოლიტიკურ საკითხებში უთანხმოებას ჩვენში არსებითი მნიშვნელობა როდი აქვსო. ერთხანს (1917 წლის დასასრულიდან 1920 წლის გაზაფხულამდე) იგი ითვლებოდა ნაციონალ-დემოკრატთა პარტიაში და მის სიითაც აირჩა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად, რაზედაც ხელი აიღო 1920 წელს; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით ნიკოლაძე გაიგზავნა წევრად იმ დელეგაციისა, რომელიც მივიღებოდა იქნა ჯერ ბათუმს, ოსმალეთთან ზავის ჩამოსაგდებად, შემდეგ გერმანიის მთავრობასთან 1918 წლის მაისში. აქ ნ. ნიკოლაძემ მოახერხა სესხის მოწყობა ბანკებთან, ქართული ფულის გასამაგრებლად და ზოგი სხვა ეკონომიური მორიგების მომზადება, მაგრამ გერმანიის დამარცხების გამო მთავრობამ ესენი ვერ განახორციელა. შემდეგ ნ. ნიკოლაძე გაიგზავნა მთავრობის დელეგაციის მრჩევლად ბაქოს, სტამბოლსა და ევროპაში, მაგრამ ამ დელ-

ეგაციის წევრთა უმრავლესობისა და მის შეხედულებათა შორის მუდამ განსხვავება იყო და ამ მეცადინეობისგან ბევრი არა გამოსულა-რა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1924 წელს, დაბრუნდა სამშობლოში და ინტელიგენციას მოუწოდა, რათა საბჭოთა ხელისუფლებასთან შემჭიდროებით ემუშავათ.

ნ. ნიკოლაძე ყველა სხვა უწინდელ მოღვაწეთაგან იმით გამოირჩეოდა, რომ თავიდანვე ღრმად გამოკვლეული აზრი ჰქონდა ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის როგორც შინაურ, ისე გარეშე პოლიტიკის უმთავრეს გეგმებზე. მისი პოლიტიკის მიზნები და მიმართულება გადმოცემულია მის-სავე წიგნებში:

1. ჩემ პოლიტიკაზე: (გაზ. „იმერეთის“ საპასუხოდ) (ქუთაისი, 1913);
2. Армяно-грузинские отношения в 1893-1898 гг.: Старые статьи с новым вступлением (Тифлис, 1920).

არ არის ქვეყნის კუთხე, სადაც ნ. ნიკოლაძეს ფეხი არ დაედგას და მსოფლიოს მონინავე-მოაზროვნე თუ საქმიან ხალხთან კამათში მშობელი ქვეყნის სანინმსვლელი აზრი არ დაემუშავებინოს ან საქმე არ დაენციოს: თავის სოფელში მუშაობის თუ ინგლისის ბანკირებთან მუსაიფის დროს, რუსეთის რკინიგზებზე თუ თბილისის თვითმმართველობაში მოღვაწეობის ჟამს, პეტერბურგის საუკეთესო ყურნალ-გაზეთებში მწერლობისა თუ პარიზის საჯარო წიგნთსაცავ-სამკითხველოებში მეცადინეობის ხანს, ევროპა-რუსეთის საუკეთესო ინჟინრებთან თუ შვეიცარიის უდიდეს ემიგრანტ-რევლუციონერებთან, – ჰერცენთან, ლევ მენციკოვთან, ფრანგ კომუნარებთან კამათში და სხვ. საზოგადო-საქვეყნო გეგმებს ადგენდა, ამუშავებდა: ყველას ყურადღებას იპყრობდა, ყველა ანგარიშს უწევდა როგორც მის მსოფლმხედველობას, ისე მის საქმიანობას. თითქმის 70 წლის განმავლობაში, სამწერლო მოღვაწეობის გარდა, ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო და მსოფლიოსთვისაც საყურადღებო მრავალი საქმე დაიწყო, – აი, მოკლედ ზოგი მათგანი (ფრჩხილებს გარეთ – განხორციელებული, კუთხიან ფრჩხილებში – განუხორციელებელი ანუ განხორციელების რიგში):

1. ტყიბულის ქვანახშირი და ტყიბულის შტო (1871-1886 წწ.);
2. ჭიათურის შავი ქვა და რკინიგზა (1875-1924 წწ.);
3. სურამის გვირაბი (1884-1886 წწ.);
4. [ენგურის და რიონის ელექტროფიკაცია (1913-1914 წწ.);
5. გროზნო-ფოთის ნავთობსადენი (1897 წ.);
6. [რაჭა-რუსეთის რკინიგზა (1919-1927 წწ.);
7. როტშილდის მონვევა ბაქოსა და ბათომში (1884-1886 წწ.);
8. ნავთობ-მრეწველობის გარდაქმნა (1883-1891 წწ.);
9. სპარსეთის რკინიგზის პროექტი 70-ე წლებში;
10. [სპარსეთ-ინდოეთის ნავთსადენი (1883 წ.);

11. მულანის ველის მორწყვა (1876-1914 წწ.);
12. [გოგირდის აბანოების ზამთრის მსოფლიო კურორტად გადაქცევა, როგორც ქარი];
13. ავჭალის წყალსადენი, „კონკა“ და სხვ.;
14. ფოთი (1894-1917 წწ.). მისი გადაქცევა შავი ზღვის ერთ-ერთ საუკეთესო გემთსადგურად და სავაჭრო „ჭიშკრად“, ახალი პორტის აგება და მუნიციპალიზაცია, ელევატორის აგება, საფუთო გადასახადის ქალაქისათვის მინიჭება, ჭაობების დაშრობა, რკინა-ბეტონის მშენებლობა, ხიდები და ქალაქისკენ მიმავალი გზები (მოლთოვის ხიდი), სასწავლებლების დაარსება და მათთვის შენობების აგება;
15. [საკონსერვო ქარხანაზე მეცადინეობა ფოთის თევზეულობისათვის];
16. [ენგურის ელექტროფიკაცია და მისი გამოყენება: ელექტროქიმიური ქარხნების გეგმა ფოთი-სამტრედიის რაიონისთვის];
17. ბაქოს და გროზნოს ნავთობის ფოთში გამოყვანა და მათი შეზავება;
18. [სუფსა-სეფის რკინისა და ფოთის ტორფის გამოყენება];
19. [ქალაქი ადგილობრივი მცენარეებისაგან];
20. [ფოთი-ორსკის რკინიგზის პროექტი საქართველოს პურისათვის, ე. ი. ციმბირის, ურალის, ვოლგის და კასპიის საქონლისთვის ისეთი გზის გახსნა გაუყინავ გემსადგურამდე შავ ზღვაზე, რომელიც 500 ვერსით უფრო მოკლე იქნება არსებულ გზაზე ბალტიის ზღვისაკენ, რომელიც რამდენიმე თვით იყინება (1895-1917 წწ.);
21. [რიონსა და პეჩორაზე გემთმომოსვლის ცდა];
22. [ზიფის ტყის და ტყეარჩელის ნახშირის გამოყენება (1901-1914 წწ.);
23. ფოთი-ზუგდიდის რკინიგზის გზის ცდა (1896-1897 წწ.);
24. [ფოთი-ტყეარჩელის გზის გეგმა, 1902-1912 წწ.);
25. [რაჭის ქვა-დაფის (ასპიდის) გამოყენება ყავრის მაგიერ ჩვენს ნოტიო ჰავაში (1925 წ.);
26. [ჩვენი მეღვინეობის სრული გარდაქმნა ევროპის მეურნეობის მიხედვით: Pმევენახეთა კოოპერაცია საერთო მეღვინეობით (1919) და კლდეში მოწყობილი მუდმივტემპერატურიანი სარდაფებით (ქუთაისი), რისთვისაც ნ. ნიკოლაძემ 1914 წლის ომის დაწყების წინ ორი მილიონი მანეთი ოშოვა პეტერბურგის ბანკებში, მაგრამ გამოყენება ვერ მოასწრო ომის გამო];
27. [ჩვენი ხილეულ-ბოსტნეულობის და თევზეულობის გამოყენება საკონსერვო საქმისათვის];
28. [ჩვენი მეაბრეშუმეობის დაყენება სამხრეთ საფრანგეთის მეაბრეშუმეობა-მეხავერდობის დონეზე];
29. [საქონლის, წერილფეხის, თევზის, კიბოს ახალი ჯიშების მოშენება, ევროპა-ამერიკა-ავსტრალიის საუკეთესო ჯიშების შეჯვარებით ჩვენს ადგილობრივ უგამძღეს ჯიშებთან]

და სხვ. მრ.

ყველა ამის განხორციელებისათვის ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით და ყოველმხრივ შეისწავლიდა ადგილობრივ პირობებს: მეტეოროლო-

გიურად, გეოლოგიურად, ზოობოტანიკურად, ეკონომიურად, ეთნოგრაფიულად და იკვლევდა, რომელი მოწინავე ქვეყნის ბუნებასა და მეურნეობას უფრო უახლოვდება ჩვენი ქვეყნის ესა თუ ის კუთხე და სხვ.

ნ. ნიკოლაძე ცოცხალი სიტყვით, წერით და საქმით ქვეყანას უმტიცებდა, რომ მძიმე, შავი წარმოება უნდა შეიცვალოს სწრაფი, სუფთა, ნათელი ელექტროქარხნებით, ელექტროტექნიკით, ელექტროქიმიით, ელექტრიფიკაციით, ბუნებრივ ძალთა გამოყენებით და სხვ.

მსოფლმხედველობით არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეგუებოდა, მაგრამ იმავე დროს ყოველივე დაწყებულ საქმეში რევოლუციონერი იყო, დაუმორჩილებელი, გაბედული კალმოსანი, ხალხის სიკეთისთვის თავგამოდებული მებრძოლი. ქალაქთა თვითმმართველობა, სოფელთა დაკავშირება საერთო საქმისათვის, ერობის შემოღება, კოლექტიური შრომა, თვითარსებობის შენარჩუნებისათვის დაუცხრომელი გარჯა-შრომა, – აი, მისი მრწამსი. ნ. ნიკოლაძის რწმენით, მხოლოდ ის მონაპოვარია მტკიცე, მხოლოდ ის პოლიტიკური წყობილებაა მკვიდრფესიანი, რომელიც წინასწარ მომზადებულ საყოველთაო ჭეშმარიტად მასიურ თვითმომქმედებას ემყარება.

დაუნდობლად ამათრახებდა თანამემამულეთა ჩამორჩენილობას, ამჩნევდა რა, რომ „ახალგაზრდა, გაუნათლებელ და უნიჭო, უხასიათო პირებთაგან იყო შემდგარი“ და განმარტავდა: „ყოველ საზოგადოებაში თვითივე თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს, და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით, მე ეს ახალი სარგებლობა მოვუტანე ჩემს ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევსძინე და ახალი გზა გაუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენ. იმ თაობას, რომელსაც ამ სიტყვების თქმის უფლება არა აქვს, ისტორია იმგვარად თვლის, როგორც ცხოველების ჯოგს, რომელიც... მოძოვებულ მინდორზე ნაკელს ყრის“ („ჩვენი ახალგაზრდობა“, „კრებული“, 1871, № 2; რჩეული ნაწერები, ტ. 2., ტფ., 1932, გვ. 18). გვასწავლიდა, რომ „ცხოვრება ბრძოლაა, ახალგაზრდობა უნდა იბრძოდეს კარგი მერმისისათვის, ხოლო ამ ბრძოლის წარმატებისათვის საჭიროა მეცნიერული ცოდნა, ბუნებისა და საზოგადოების შესწავლა... ვეცადოთ, რომ ჩვენმა სიცოცხლემ ფუჭად არ ჩაიაროს და კაცობრიობის ისტორიაში, ჩვენ ცხოვრებაში ერთ საფეხურად გამოდგეს იმ კიბისა, რომლითაც თანდათან მალღდება კაცობრიობა“ („საახალწლო“, „კრებული“, 1871, № 1).

გასული საუკუნის 80-იან წლებში პოლემიკური ჟინით გატაცებულმა მოწინააღმდეგეებმა მას დასწამეს ქართული საქმის მოლაღატეობა. ნიკოლაძე არათუ ღალატობდა ქართულ საქმეს, არამედ წერით, მოქმედებით, სიტყვით და საქმით ცდილობდა ქართველთა ნივთიერ, გონებრივ, საზოგადოებრივ წინსვლას და მეფის წესწყობილების უკუღმართობას დაუცხრომლად ებრძოდა. ქართული ენის დევნისა და ქართველთა გადაგ-

13. Новый энциклопедический словарь / Под общ. ред. акад. К. К. Арсеньева - Т. 28: Нарушевич-Нью-

- тон СПб.-Пг.: Изд-во Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон[1], 1916. - 8 с, 960 стб., 2 с, 20 л. ил., портр., карт.;
14. ჩვენი დელეგაცია ბერლინში: ს. კეცია, გ. მაჩაბელი, მ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ა. ჩხენკელი, ზ. ავალიშვილი [ჯგუფური სურათი] // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №12. - გვ. 1;
 15. ნიკო ნიკოლაძე: სახელგანთქმული პუბლიცისტი... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №4. - გვ. 7;
 16. რევოლუციის მატრიანე. - 1924. - № 4-5. - გვ. 290-291;
 17. Павленков, Ф.Ф. Энциклопедический словарь: С дополнением важнейших событий за период 1914-1924 г. / Ф. Павленкова. - Берлин: Т-во Гликсман, 1924. - [12] с., 3104 стлб., 162 стлб., [5] с.; 19см.;
 18. კოტეტიშვილი, ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია მე XIX - დღევანდლამდე / ვახტანგ კოტეტიშვილი. - ნან. 2. - ქუთაისი [კანზე: ტფილისი]: მეცნიერება საქართველოში, 1925 (ადგილობრივი მეურნეობის სტ.). - გვ. 263-282;
 19. ხუნდაძე, სიმონ. - ა) სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. - ტ. 1: ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი საქართველოში. - ტფ.: სახელგამი, 1927. - VIII, 248, [2] გვ.; ტ. 2: ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში. - ტფ.: სახელგამი, 1927. - 320, [2] გვ.; ბ) ნიკო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები // ქართული მწერლობა. - 1928. - № 4. - გვ. 17-34;
 20. გიორგაძე, გრიგოლ. - ა) საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 / გრიგოლ გიორგაძე. - ტფ.: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - გვ. XI; ბ) თვითმპყრობელობა და რევოლუცია / გრიგოლ გიორგაძე. - ნ. 1: საბუთები რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1870-1902. ხალხოსნების ხანა-დასელების-მარქსისტების მუშაობის დასაწყისი და განვითარება 1902 წლამდე. - ტფ.: სახელგამი, 1929 [კანზე: 1930] (პოლიგრაფსკ. სტ.). - გვ.: 58, 66 [ჩამატ. ფურც.];
 21. ზანდუკელი, მიხეილ. - ა) თერგალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში: (ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდა). - ტფ.: ტფ. უნ-ტის გა-მა, 1928. - გვ.: 45-46, 63, 169-189; ბ) ახალი ქართული ლიტერატურა: უმაღლ. პედაგოგ. სასწავლებლისათვის / სსსრ განათლ. სახალხო კომისარიატი. - ტ. 2. - მე-2 შესწ. გამოც.. - ბათომი: სახელგამი. სამეცნ.-პედ. სექტორი, 1938 (პოლიგრაფკომბინატი). - გვ.: 58-69, 227;
 22. ტექნიკა და შრომა. - 1928. - № 3. - გვ. 31;
 23. Деятели революционного движения в России: библиографический словарь / под редакцией Ф. Я. Кона, Б. П. Козьмина, В. И. Невского, И. А. Теодоровича и др. - Т. 1, Вып. 2: Шестидесятые годы. - М.: издание Всесоюзного общества политкаторжан и ссыльнопоселенцев, 1928;
 24. გუგუშვილი, პაატა. - ა) ქართული წიგნი, 1629-1929 / პაატა გუგუშვილი; ფილიპე გოგიჩაიშვილის

- რედ. - [ტფ.]: სახელგამი, 1929 („ზარია ვოსტოკა“-ს სტ.). - გვ. 379; ბ) ქართული ჟურნალისტიკა: საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის. - ტ. 1. - თბ.: სახელგამი, 1941. - გვ. 476;
25. მანსვეტაშვილი, ი. ჩემი წარსულიდან: ნანახი და გაგონილი // ქართული მწერლობა. - 1929. - № 5. - გვ.: 87, 89;
 26. წერეთელი, გიორგი. თხზულებათა სრული კრებული / სიმონ ხუნდაძის რედ., წინასიტყვ. და შენიშვნებით. - ტ. 1: პუბლიცისტური წერილები, 1862-1868. - ტფ.: ქართული წიგნი, [1931] (ზარია ვოსტოკა-ს სტ.). - გვ. 18-19;
 27. ლასხიშვილი, გიორგი. მემუარები (1885-1915) / გიორგი ლასხიშვილი. - ტფ.: [პოლიტიკატორღელთა საზ-ბის გა-მა], 1934 (საქ. პარტგამ-ბის მე-2 სტ.). - გვ. 391;
 28. Литературная энциклопедия: В 11 т. - Т. 8 / Ком. Акад.; НИИ лит., искусства; Ред. коллегия: Лебедев-Полянский П. И., Маца И. Л., Нусинов И. М., Фриче В. М.; Гл. ред. Луначарский А. В.; ученый секретарь Михайлова Е. Н. - М.: ОГИЗ РСФСР, гос. словарно-энцикл. изд-во «Сов. Энцикл.», 1934. - Стр. 79-82;
 29. Пантелеев, Л.Ф. Из воспоминаний прошлого. (1840-1919) / Л.Ф. Пантелеев; Ред. и комментарии С.А. Рейснера. М.; Л.: Academia, 1934. - XIX, 795, [3] с.: 13 л. портр., факс.; 20x14 см. - 5300 экз. - (Русские мемуары, дневники, письма и материалы / Под общ. ред. В.И. Невского);
 30. Глеб Успенский в жизни: по воспоминаниям, переписке и документам / сост. и снабдил примеч. А. С. Глинка-Волжский; вступ. статья Н. Мещерякова. - Москва; Ленинград: Academia, 1935. - XX, 628 с., 11 л. портр., факс.: ил., портр.; 22 см. - (Русские мемуары, дневники, письма и материалы);
 31. მანსვეტაშვილი, ი. მოგონებანი. ნახული და გაგონილი / ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვ. და შენიშვნებით - ტფ.: ფედერაცია, 1936. - გვ.: 9-10, 240-242;
 32. მგალობლიშვილი, სოფრომ. მოგონებანი / ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. - ტფ.: ფედერაცია, 1938. - გვ.: 79, 244;
 33. Церетели, А. Р. Пережитое / Акакий Церетели; Пер. с груз. Елены Гогоберидзе; Предисл. Л. Асатиани. - Москва: Госиздат «Художественная литература», 1940. - Стр. 195, 171-172;
 34. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინასიტყვ.; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 1.: 1852-1877. - თბ., 1940. - გვ. 251; ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 297;
 35. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ.: 477, 486;
 36. Библиография русской периодики Грузии / Гос. кн. палата ГССР. - Ч. 1 : 1828-1920 / [Сост. Г.В. Зерцалов; Отв. ред. Тарханов]. - Тб.: Кн. палата, 1941. - Стр.: 22, 24, 25, 85;
 37. იოვიძე, ა. ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა // საისტორიო მოამბე / საქართველოს სსრ შსს მთავარი საარქივო სამმართველო. - 1945. - ტ. 1. - გვ. 33-128;
 38. იოსელიანი, ა. „საისტორიო მოამბე“ // მნათობი. - 1946. - № 1. - გვ. 139-141. - [რეცენზია];
 39. Элиадзе, А. Библиография. Исторический вестник // Заря Востока. - 1946. - № 105.
- ნიკოლაძის ძაღვნი: ანასტასია იაკობის ასული (1848, 24/XII – 1931, 24/VII) და ეკატერინე იაკობის ასული (1855, 24/XI – 1931, 22/IV) – მასწავლებელი, მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწენი, ნ. ი. ნიკოლაძის დედი, – დაამთავრეს ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. 1873 წელს ძმამ – ნიკომ ეკატერინე მესამე დასთან – ოლიმპიადასთან (გ. ი. წერეთლის მეუღლე, კაკი წერეთლის დედა) და ოლგა ალ. გურამიშვილის ასულთან (შემდეგში ნ. ნიკოლაძის მეუღლე) საზღვარგარეთ – ციურის ნაიყვანა სასწავლებლად, აქედან – ყენვეის უნივერსიტეტში. აქ 1873-1874 წლებში ემიგრანტ-რევოლუციონერთა წრეებში ტრიალებდნენ და სამეცნიერო საგნების გარდა, სოციალისტურ-რევოლუციურ იდეებსაც ეცნობოდნენ. დაესწრნენ, სხვათა შორის, 1874 წლის ზაფხულში ქართველ ემიგრანტთა კოლონიის თაოსნობით მოწვეულ კავკასიელთა, უმთავრესად, ქართველთა კონგრესს. 4 წლის შემდეგ ქუთაისში ეკატერინემ, ანასტასიასთან ერთად, დააარსა მხატვრული ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“ ეკატერინე ჭყონია-ლორთქიფანიძის რედაქტორობით (რადგან მთავრობა მათ – ნიკოლაძის ძაღვებს, როგორც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთ, არ ენდობოდა). ამ ჟურნალში, მათ გარდა, თანამშრომლობდნენ: ოლგა და მარიამ ბესარიონ ხელთუფლიშვილის ასულნი, ელენე დ. ყიფიანის ასული ლორთქიფანიძისა, ანა სიმონის ასული მესხი-პეტრიაშვილისა და სხვ. ჟურნალის მთავარი ხელმძღვანელი: რედაქტორ-კორექტორნი იყვნენ, უმთავრესად, ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძენი. ჟურნალი გამოდიოდა 1883-1884 წლებში აქ (1883, № 1, 2, 4, 5, 7-8) დაბეჭდეს საკუთარი თარგმანი ევგენია ტურის „აკლდამებისა“, ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ცხოვრების ამბავი (ცალკე გამოვიდა 1893, ქუთაისი, 444 გვ.). იმავე ხანებში ღარიბ ბავშვებს ასწავლიდნენ. ერთ ზაფხულს ოლგა გურამიშვილთან ერთად ავჭალაში მთელი გლეხობის ქალ-ვაჟთ წერა-კითხვა ასწავლეს. თავის და ეფროსინესა (ჭიჭინაძისა) და ევ. ხელთუფლიშვილის ასულთან ერთად (რომელთაც ბესტუყევის კურსები ჰქონდათ დასრულებული), 1884-1885 წლებში ქუთაისში კერძო სკოლა დააარსეს. 1890 [?] წელს ანასტასიამ და ეკატერინემ თავის სახლში – ქუთაისში გახსნეს**

კერძო პანსიონი, რომელშიაც საუკეთესოდ წარმოებულნი სწავლება საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. აქ ბევრს უფასოდ ასწავლიდნენ, ზოგს თავის ხარჯითაც (არსებობდა 1918 წლამდე). მათთან ერთად დანარჩენი დებიც – ოლიმპიკა და ეფროსინე – 1880-იან წლებში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის საზოგადოებრივ-სამნიგნობრო საქმიანობაში, ხოლო ეკატერინე 1917 წლის რევოლუციამდე მონაწილეობდა, როგორც მეთაური, ანუ ერთი აქტიური მუშაკთაგანი ყოველგვარ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში: სცენისმოყვარეთა წრეში 1877 წლიდან, როგორც მთარგმნელი და მსახიობი, ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებაში, სააზნაურო სკოლის კომიტეტში, საკვირაო სკოლაში, სახალხო უნივერსიტეტში, საღამოს კურსებში, ქუთათურ ქალთა ყოველგვარი საქმიანობის მესვეურად ანუ კრებათა თავმჯდომარედ; საძირკველი ჩაუყარა ქუთაისის სახალხო თეატრს და სცენისმოყვარეთა დახმარებით წარმოდგენებს მართავდა ქუთაისსა და ჭიათურაში და სხვ.

ცალკე გამოცემულია:

1. ვიზემანი, ნ. პ. აკლდამები: ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ცხოვრების ამბავი / ან. და ეკ. ნიკოლაძის ქალების ნათარგმნი [ევგენია (სალიასი) ტურის რუსული თარგმანიდან]. - ქუთაისი, 1893 (ნ. ი. გამრეკელის სტ.). - 444 გვ.; 17 სმ.

ან. ნიკოლაძემ, საკუთრივ, თარგმნა:

1. მათე, ანტუან. პოლ გეიზესი // მოთხრობანი ქართველის ქალებისაგან ნათარგმნი. - ნ. 1. - ტფ.: გრ. ჩარკვიანის გამოც, 1880. - გვ. 66-139;
2. ტურ, ევგენი. აკლდამები: მოთხრობა ევგენია ტურისა პირველ საუკუნეთა ქრისტიანების ცხოვრებიდან // ქართული ბიბლიოთეკა. - ქუთაისი, 1883. - №1. - გვ. 3-64; №2. - გვ. 65-128; №4. - გვ. 161-224; №5. - გვ. 225-272; №7-8. - გვ. 337-444;
3. ჯიანეტა. პატარა მოქანდაკის დღიური / თარგმანი ა. ი. ნიკოლაძის ასულისა. - ქუთაისი: ქუთათური ამხ. გამოცემა №20, 1903 (კომერციული საბეჭდავი ვ. ჭილაძისა). - 186 გვ.; 20სმ.

ეკ. ნიკოლაძემ დაწერა:

1. საათი და მისი ამბავი: [საათის გამოგონების ისტორია] // ჯეჯილი. - 1890. - №2. - გვ. 40-46.

ეკ. ნიკოლაძის შესახებ:

1. „სამზღვარ გარეთ ნასულ ჩვენებურ ქალების რიცხვს“... // დროება. - 1873. - 9 მარტი. - №10. - გვ. 1;
2. დამსწრეთაგანი. ქართული წარმოდგენა ქუთაისში // ცნობის ფურცელი. - 1896. - 28 ნოემბერი. - №40. - გვ. 4;
3. ისი. წერილი ქუთაისიდან // კვალი. - 1898. - №46. - გვ. 763-764;
4. ახალი ამბავი // ცნობის ფურცელი. - 1900. - 24 ოქტომბერი. - №1277. - გვ. 2;
5. დ. მ. (დავით მდივანი). ქუთაისი // ცნობის ფურცელი. - 1900. - 8 დეკემბერი. - №1321. - გვ. 3-4;

6. დ. ჭიათურა // ივერია. - 1901. - 10 აგვისტო. - №171. - გვ. 3;
7. როგორც გვატყობინებენ... // ცნობის ფურცელი. - 1901. - 9 აგვისტო. - №1548. - გვ. 4;
8. სახალხო უნივერსიტეტი // ფონი. - 1909. - 6 დეკემბერი. - №14. - გვ. 1;
9. ქუთაისი (საკუთარი კორესპონდენტისაგან) // მომავალი. - 1909. - 5 დეკემბერი. - №83. - გვ. 3.

წყარო:

1. მოგონებანი ვერა ფიგნერისა და ნიკ. მოროზოვისა;
2. პირადი მოგონებანი;
3. Джабадали, И. С. Процесс 50-ти // Былое. - 1907. - № 8. - Стр. 23-24; № 9. - Стр. 177;
4. ნიკოლაძე, ნიკო. რჩეული ნაწერები / სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. - ტ. 2: პუბლიცისტური წერილები, 1870-1877. - ტფ.: ფედერაცია, 1932 [1933] (ცეკავშირის სტ.). - გვ.: 69-70, 386, 388;
5. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვ.; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 397;
6. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ. ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი), 1941. - გვ. 493.

ნინიქე, ვიქტორ ათანასეს ძე (1888,

14/III –) – მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგ-მთარგმნელი, თბილისის სანკულტურის თეატრის ხელმძღვანელი, – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ასკანაში, მინის მუშა უღარიბესი გლეხის ოჯახში). დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი და საქალაქო სკოლის 4 კლასი. იზრდებოდა უღარიბეს პირობებში.

თეატრისადმი მიდრეკილება ბავშვობიდანვე გამოაჩნდა. ყმანვილობისას სოფელში მართავდა წარმოდგენებს. დიდ სცენაზე გამოვიდა ჭიათურაში 1906 წელს, ვალ. შალიკაშვილის რეჟისორობის დროს, პიესა „მეზობლებში“, სასიძოს როლში. მუშაობდა: 1906-1907 წლებში – ჭიათურაში, 1909-1923 წლებში – განუწყვეტლივ თბილისის სახალხო სახლში, 1921-1922 წლებში – გურიის კომიტეტთან დაარსებულ პროლეტარულ დრამწრის რეჟისორად, 1924-1925 წლებში – თბილისში – პლენანოვის კლუბში, ნაძალადევეში, 1926-1928 წლებში – პლენანოვისა და ორჯონიკიძის კლუბებში ქართული დრამწრის რეჟისორად. 1929 წელს სათავეში ჩაუდგა თბილისის საბჭოს ჯანგანყოფილების მიერ დაარსებულ სანიტარული კულტურის თეატრს (პლენანოვის გამზირისა და [...] ქ. კუთხე), სადაც სცენისმოყვარეთა და მსახ-

იობთაგან შექმნა საუცხოო დასი, ჯანმრთელობის ცოდნის გამავრცელებელი საუკეთესო რეპერტუარი („მოჩვენებანი“, „პლატონ კრეჩეტი“, „თეთრხალათიანები“, „აჯილა“ და სხვ.) მხატვრულ-ხელოვნური განსახიერებით, რომელთა მთავარი მიზანი იყო ვენერიულ სწეულებათა საკითხების გაშუქება და სხვ.

თეატრმა ათი წლის განმავლობაში (1929-1939) 1300 წარმოდგენა გამართა როგორც თბილისში, ისე – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თითქმის 7 წელი მოძრავ პირობებში თავისი მაღალკულტურული მუშაობით საკუთარი სახე შექმნა და საქართველოს მშრომელ მოსახლეობას დიდი აღმზრდელობითი სამსახური გაუწია.

როგორც მსახიობი, უმთავრესად, ასრულებდა სახასიათო – იმერულ როლებს: ატაკუტა („სტუმარ-მასპინძლობა“), ნესტორი („უნიადაგონი“), გიორგი („კაცის სამართალი“), კოტე („მორევი“), ვლადიმერი („გზა-ჯვარედინზე“), სუთიძე („მეზობლები“), დათია („ქრისტიანი“) და სხვ. მის სასცენო მოღვაწეობას მრავალი წერილი აქვს მიძღვნილი. ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი მსახიობი, რეჟისორი და გონიერი ხელმძღვანელი.

დაწერა პიესები: „ზღაპრები და სინამდვილე“, „9 იანვარი“, „თანამედროვე ქალი“, თარგმნა: „ზამთრის სასახლე“, „გაპონის მკვლელობა“ და სხვ.

მისი აზრით: „დღევანდელ პირობებში ჩვენი ერის მშრომელი მასის გათვითცნობიერებისა და კულტურულად წინსვლის საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს მუშათა თეატრებმა და კლუბებმა. აკადემიური თეატრი უნდა არსებობდეს, როგორც ეროვნული აკადემიური ხელოვნების საგანძური, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრების ასახვის და დამუშავების საკითხები უნდა ზიდოს მუშათა თეატრებმა და კლუბებმა. ხელოვნების საქმეში უნდა ჩავაბათ მშრომელი მასა უშუალოთ“-ო. ამ აზრის განხორციელებას ემსახურებოდა მუდამ.

გამოქვეყნებულია:

1. პ. ლორთქიფანიძის ხსოვნას: მსახიობი ქალი // მუშა. - 1935. - №206. - გვ. 4.

მის შესახებ:

1. იმედაშვილი, იოსებ (უსავეანო; წინამძღვარი; -ნო; ძია). – ა) სახალხო სახლში... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №33. - გვ. 15; №42. - გვ. 13-14; 1915. - №3. - გვ. 15-16; №4. - გვ. 16; №17. - გვ. 14; №24. - გვ. 14; №41. - გვ. 14-15; №47. - გვ. 15; 1916. - №50. - გვ. 14; ბ) სახალხო სახლის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის დასი... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №15. - გვ. 15-16; გ) სახალხო სახლში სახ. წარმოდ. მმართ. წრემ... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №18. - გვ. 15; დ) სახალხო სახლში წრემ... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №41. - გვ. 14; ე) ტარტიუფი ანუ მუზმუზელა... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №40. - გვ. 14; ვ) ქართული სახიობა: სახალხო სახლში... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №38. - გვ. 14;

2. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ თავისი ხარჯით გაუწერეს... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №15. - გვ. 16;
3. სახალხო თეატრის დასი: [დასის წევრთა პორტრეტები] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №16. - გვ. 9;
4. სო-ლი. სახალხო სახლში... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №40. - გვ. 14;
5. წ-ი. სახალხო სახლში... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №27. - გვ. 15;
6. ნაძალადევის თეატრი. წარმოდგენილი იქნება...: [განცხადება] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №6. - გარეკანის მესამე გვერდი;
7. სახალხო თეატრი 1916-1917: სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი დასი [მსახიობთა პორტრეტები] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №39. - გვ. 9;
8. სახალხო სახლში... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №45. - გვ. 15-16;
9. ამხანაგ ვ. ნინიძის იუბილე: ხელმოწერა: მ. ს. // მუშა. - 1935. - №115. - გვ. 4;
10. ჩაჩიბაია, ვ. ვიქტორ ნინიძე: [მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს გამო] // კომუნისტი. - 1935. - 17 მაისი. - №114. - გვ. 4;
11. ჯავახიშვილი, ვ. ვ. ნინიძის იუბილე: სასცენო მოღვაწეობის შესახებ // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1935. - №112. - გვ. 3;
12. ბუაჩიძე, შ. სანიტარული კულტურის თეატრი: [თეატრის წარმატებების შესახებ] // კომუნისტი. - 1937. - 5 აპრილი. - №78. - გვ. 4;
13. მოჩვენებანი: [პ. იბნენის პიესა სანიტარული კულტურის თეატრის სცენაზე]: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1937. - 23 დეკემბერი. - №293. - გვ. 4;
14. რიონელი, გ. სირმიანი ხალათი: [რეცენზია სპექტაკლზე] // კომუნისტი. - 1941. - 18 იანვარი. - №15.

წყარო:

1. იმედაშვილი, შ. ქართული სცენის ალბომის მასალა (ანკეტა);
2. სახალხო თეატრი, 1893-1923: საიუბილეო კრებული. - ტფ., 1923 (სსმუს პოლიგრ. განყ. 1-ლი სტამბა). - გვ. 79;
3. სახალხო თეატრის ცნობილ მსახიობ-მუშაკთა გალერეა: ვიქტორ ნინიძე // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - №8. - გვ. 8;
4. სახალხო თეატრის მოღვაწენი: ვიქტორ ნინიძე // თეატრი და ცხოვრება. - 1925. - №8. - გვ. 9;
5. Марнели, А. В театре санитарной культуры // Вечерний Тбилиси. - 1938. - №1;
6. ფაღავა, აკ. სანიტარული კულტურის თეატრი [თბილისში, მისი მიღწევები და ზრდა 10 წლის მანძილზე] // კომუნისტი. - 1939. - 21 თებერვალი. - №42. - გვ. 4.

ნინიძე, კირილე იესეს ძე (1878, 18/1 –) –

პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პარტიულ-პოლიტიკური მუშაკი და საზოგადო მოღვაწე, – „ახალსხიველთა“ ერთი მესვეურთაგანი, – პროფესიით

იურისტი, – დაიბადა 1878 წლის იანვრის 18, სოფ. ასკანაში (გურია), გლეხის ოჯახში. დაამთავრა სოფლის სკოლა, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, ქუთაისის სასულიერო სემინარია (1900) და დორპატის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1913).

პოლიტიკურ-რევოლუციურ მუშაობაში ჩაება 1901 წელს: მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობებში 1901, 1902 და 1903 წლებში. 1903 წელს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიემხრო. არალეგალური საზოგადოების წევრობისათვის უნივერსიტეტიდან გამორიცხეს და დააპატიმრეს, მაგრამ ავადმყოფობის მიზეზით სამშობლოში გადასახლეს (პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ); 1905-1908 წლებში თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობდა. რევოლუციის პირველ დღეებში არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და ხაშურის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ, გორის აღმასრულებელი კომიტეტის მხრით სამი თვე გორის მაზრის კომისრად, 1917 წელს ჯერ პარლამენტის, შემდეგ დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით. ქვეყნის მართვა-გამგებლობისა და პარტიულ საქმიანობის ზოგიერთ საკითხში ძირითადი უთანხმოების გამო, რამდენიმე ამხანაგთან ერთად შეადგინა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი და გამოსცა საკუთარი კვირეული გაზეთი „ახალი სხივი“, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მთავრობას კრიჭაში ჩაუდგა. ამ ჯგუფის დეკლარაცია გამოაცხადა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის თებერვლის 11-ს (გამოქვეყნებულია გაზ. „ახალ სხივში“, 1921 წ., 13 თებერვალი, № 7). დეკლარაციამ, სხვათა შორის, აღნიშნა: „წმინდა მუშური და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დასუსტება ან სრული დაშლა, გლეხკაცობის ღვთის ანაბარად მიტოვება, ადმინისტრაციის თვითნებობა... კულტურა-განათლების საქმის მოუწყობლობა, ანარქია როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში, უპასუხისმგებლობა და უკონტროლობა... მოითხოვა: „აგრარული რეფორმის საჩქაროდ დასრულება – სოფლის მუშას უნდა მიეცეს მიწა და ამავე დროს არ უნდა იქმნას დავინელებული საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესები. მუშათა კანონმდებლობის საქმეში – საჩქაროდ გატარებულ იქმნას მუშათა დაზღვევის კანონები და მოეწყოს დაშავებულ-დასახინჩრებულთა და შრომის უნარდაკარგულთა უზრუნველყოფის საქმე; ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ იქმნას თვითმმართველობის უფლებები; განაპირა კუთხეების მცხოვრებთა – მაჰმადიანი ქართველების, აფხაზებისა და სხვ. საარსებო მოთხოვნილებები უნდა იქმნას დაკმაყოფილებული, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები უზრუნველყოფილი... ამასთანავე, საჭიროდ აღიარეს ხალხის თვითმპყრობელობის დამკვიდრება, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის აღორძინება და გაჯანსაღება, ძლიერი თავდაცვის ფრონტის შექმნა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და

თავისუფლებისადმი მისწრაფების განმტკიცება“ და სხვ. („ახალი სხივი“, 1921, № 7).

პოლიტიკური საქმიანობის გამო დაპატიმრებული იყო 1901 წელს (ქუთაისის თეატრში „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის წინააღმდეგ სტუდენტების მიერ დემონსტრაციის გამართვის გამო), 1905 წელს – მეორედ, 1908 წელს მესამედ – ერთი წლით, 1909 წელს მეფის მთავრობამ გადაასახლა ვოლოგდის გუბერნიაში (ქ. ვოლოგდას, ქ. ველსკსა და პოსად ვერხოვაჟიეში), სადაც 2 წელი დაჰყო. 1912 წელს მოახერხა უნივერსიტეტში დაბრუნება და უმაღლესი სწავლის დამთავრება (1913), რის შემდეგ თბილისის ვექილთა შორის ჩაენერა. სხვათა შორის, თავი ისახელა ამბროსი კათალიკოს-პატრიარქის გასამართლების დროს მისი დაცვით (1923).

სამწერლო-საჟურნალგაზეთო ასპარეზზე გამოვიდა ცხრაასიანი წლებიდან. მოსე ნინიძესთან ერთად თარგმნა კარლ კაუცკის „ერფურტის პროგრამა“, ავტორის წინასიტყვაობით და მოკლე ბიოგრაფიით (ტფ., „ახალი თაობის“ გამოც., 1906) და სხვ.

1906 წელს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა პროფკავშირულ ჟურნალ „ახალ ქვეყანას“. 1907 წელს, სევე. ჯუღელთან და ალ. ლომთათიძესთან ერთად, რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს „ზარი“. 1913 წელს, ვლ. ახმეტელ-აშვილთან და პ. გელეიშვილთან ერთად – სოციალ-დემოკრატიულ გაზ. „ფიქს“. 1917 წლის ნოემბრიდან გაზ. „ერთობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად მუშაობდა, 1912 წლიდან სხვებთან ერთად გამოსცა ყოველკვირეული სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანო „ახალი სხივი“ და სხვ.

საზოგადოებრივ-პრაქტიკულ საქმიანობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. არჩეული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად, სურამში სხვებთან ერთად დააარსა კოოპერატივი, მონაწილეობდა სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში, 1917 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში – თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის პრეზიდენტში და სხვ. ერთხანს (1916-1917), ხაშურის საქალეო გიმნაზიაში ქართულ ენას ასწავლიდა.

ცალკე გამოცემულია:

1. *სამართლის მეცნიერება: საშ. სასწავლებლის კურსი / კირ. ნინიძე და ალ. ცისკარიძე. - თბ.: ნორჩი საქართველო № 5, 1920 (ქალაქთა კავშირის სტ.). - 136 გვ.; 22სმ..*

თარგმნა და გამოცემულია:

1. კაუცკი, კარლ. *ერფურტის პროგრამა: ავტორის წინასიტყვაობით და მოკლე ბიოგრაფიით; [თარგმანი და წინასიტყვ. კ. და მ. ნინიძეების]. - ტფ.: „ახალი თაობის“ გამოცემა, 1906 (სტ. „იდეალი“ [მ. დ. კიკნაძისა]). - კანი, [1], 328 გვ.; 20სმ.;*
2. *კაუტსკი, კარლ. კრიზისების თეორიები / კარლ კაუცკი; თარგმნილი [ნიკიფორე] იმნაიშვილის რედაქციით; [შ. დვოლაიციის რუსული თარგმანიდან.*

თარგმნილი კირ. ნინიძის მიერ]; წინასიტყვაობა: შ. დვინოლიცკი]. - ტფ.: უნ-ტის გა-მა, 1929 (პოლი-გრაფტრ. 1-ლი სტ.). - VII, 61 გვ.; 22 სმ.

გამოქვეყნებულია:

1. ჩვენი სტუდენტობა // ცნობის ფურცელი. - 1903. - 29 მარტი. - № 2110. - გვ. 3-4;
2. დასავლეთ საქართველოსკენ: (საკუთარი კორე-სპონდენტისაგან): [ჯარისკაცების მიერ სურამის აოხრება] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 11 იანვარი. - № 2976. - გვ. 1;
3. ბ-ნ ალ. ნიკ. დეკანოზოვს: მოწყალო ხელმწიფე! // ლახვარი. - 1907. - 12 მაისი. - № 26. - გვ. 4. - ლია წერილი;
4. საერობო დაზღვევა // ერობა და ქალაქი. - 1920. - № 4. - გვ. 7-9.

მის შესახებ:

1. ორი მაისისათვის... // ცნობის ფურცელი. - 1902. - 26 აპრილი. - № 1790. - გვ. 2;
2. სტუდენტთა... // ცნობის ფურცელი. - 1902. - 3 მაისი. - № 1797. - გვ. 2; 4 მაისი. - № 1798. - გვ. 4;
3. დეპუტატ კ. ჩხეიძეს... // ჩვენი საქმე. - 1909. - 10 აპრილი. - № 30. - გვ. 4;
4. სასჯელის შეცვლა // ჩვენი აზრი. - 1909. - 28 მაისი. - № 23. - გვ. 3;
5. ტანჯული მუშა. მუშათა საბჭოს სხდომა: ქ. გორი // პირველი ნაბიჯი. - 1917. - № 19. - გვ. 301;
6. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა // სახ-ალხო კალენდარი. - 1919. - გვ. 107-109;
7. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა: დამ-ფუძნებელი კრების წევრები // სახალხო კალენ-დარი. - 1920. - გვ. 107-112;
8. საქართველოს რესპუბლიკის მუნიციპალურ დაწე-სებულებათა მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონ-ალურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირ-ველი ყრილობის ოქმები: პირველი დღე. 16 მარტი 1920 წ. // მუშათა ცხოვრება. - 1920. - № 7. - გვ. 14-16; № 9. - გვ. 12-16 (17-18 მარტის სხდომები);
9. პარიტეტული კონტრრევოლუციის გასამართლე-ბა: ბრალდებულთა დაკითხვა: [დაკითხვის ტექსტი] // კომუნისტი. - 1925. - 25 ივლისი. - № 169. - გვ. 3;
10. პარიტეტული კონტრრევოლუციის გასამართლე-ბა: პარიტეტული კონტრრევოლუციის მუშაობა: მენშევიკების კავშირი უცხოელ და შინაურ კონ-ტრრევოლუციონერებთან // კომუნისტი. - 1925. - 9 ივლისი. - № 155. - გვ. 2.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. ახალი სხივი. - 1921. - 13 თებერვალი. - № 7.

ნინიძე, მოსე [რაჟდენ] გიგოს ძე (1881, 15/II – 1917, 19/IV) – რევოლუციონერი, – მას-წავლებელი, პროპაგანდისტ-ორგანიზატორი და მთარგმნელი, – ეკონომიკურ მეცნიერებათა კან-დიდატი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ასკანაში, გლეხის ოჯახში, 1881 წლის იანვრის 15). დაამ-

თავრა ბახვის ორკლასიანი სკოლა. ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი (ქებითი ფურცლით), გორის სამასწავლებლო სემინარია (1900) და იმავე წელს გამწესდა სოფლის მასწავლებლად ხიდის-თავში (გურიაში), სადაც ბავშვების სწავლებას-თან ერთად მართავდა საჯარო კითხვებს, დგამდა წარმოდგენებსა და სხვ., რის გამოც პოლიციისგან დევნილი სამტრედიის რკინიგზის სასწავლებელ-ში გადავიდა. აქ შეუდგა პოლიტიკურ მუშაობას: რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა შორის და მახ-ლობელ სოფლებში შექმნა წრეები, რომელთაც სისტემატური მუშაობით ათვითცნობიერებდა. 1902 წელს უბნის ბოქაულის, იაშენკოს, მიერ გაჩხრეკილი ქუთაისის გუბერნიიდან განიდევნა, რის შემდეგ თბილისის რკინიგზის სტატისტი-კურ განყოფილებაში მუშაობდა, აქედან განჯას გაიგზავნა მასწავლებლად, 1904 წლიდან გან-საკუთრებით პროპაგანდა-აგიტაციას ეწეოდა თბილისის, ხაშურის, სამტრედიის, გურიისა და სხვა მუშებსა და გლეხებში. 1905 წელს სამტრე-დიის რაიონის მუშათა მოძრაობას ხელმძღვანე-ლობდა, დროგამოშვებით გურიაშიც მუშაობდა. მონაწილეობა მიიღო ნასაკირალის კაზაკებზე თავდასხმაში და ხელმძღვანელობდა სამტრედიის წითელ ათასეულს ყვირილის ხაზინაზე თავდასხ-მის დროს.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებისას, ერთხანს გურიაში არალეგალურად ცხოვრე-ბის დროს, სულით დაცემულთ ამხნევებდა, ახ-ალ ბრძოლათა მომზადებისთვის მოუწოდებდა, შემდეგ თბილისში პარტიულ-პროფესიონალურ მუშაობას აწარმოებდა, თანამშრომლობდა პარტი-ულ-პროფესიონალურ ორგანოებში და სხვ. 1907 ქუთაისიდან გაიგზავნა დელეგატად ლონდონის სოციალ-დემოკრატიულ ყრილობაზე, აქედან დაბრუნებულმა მოსკოვის უმაღლეს კომერცი-ულ ინსტიტუტში 1913 წელს დაამთავრა სწავლა პირველი ხარისხით – ეკონომიკურ მეცნიერება-თა კანდიდატის ნოდებით. 1915 წელს მსახურობ-და რუსეთის ქალაქთა და ერობათა კავშირში ინ-სტრუქტორად, შრომის ბირჟის მოსაწყობად. აქ გამგეობას წარუდგინა პოლიტიკური და ეკონო-მიკური მოთხოვნილებანი ამხანაგებთან ერ-თად; რადგან დიდი ნაწილი მოთხოვნილებათა არ დაუკმაყოფილეს, თავი გაანება და დონის ოლქის სტანიცა კამენსკაიაში დაიწყო მასწავლებლობა: კითხულობდა საჯარო ლექციებს და ადგილობრივ პროგრესულ გაზეთებში თანამშრომლობდა. გარ-დაიცვალა პიატიგორსკის სანატორიუმში 1917 წლის აპრილის 19. მისი ფსევდონიმია მო-ნი.

თარგმნა და ცალკე გამოცემულია:

1. მანტეგაცცა. შრომა და ბედნიერება / მანტეგაცცა: თარგმანი მოსე ნინიძისა. - ბათუმი: კილაძის და ამხ. სტ. გამოც., 1901. - 141, XII, [1] გვ.; 17 სმ.;
2. ბრაკე, ვ. „ძირს სოციალ-დემოკრატები“ / ვ. ბრაკე; თარგმანი მო-ნისა. - ბათუმი: ს. ჭელიძის გამოცე-მა № 22, 1906 (ჩერნომორსკი ვესტნიკი-ს სტ.). - 48 გვ.; 17 სმ.;

3. ლაფარგი, პ. ისტორიული იდეალიზმი და მატერი-
ალიზმი / თარგმანი [მ. ნინიძის]. - თფილისი: გა-
მოცემა „მეშისა“, 1906 (სტ. „ლამპარი“). - კანი, 40
გვ.; 16სმ.

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

1. ზღვა: ლექსი პროზად (რუსულიდან) მ. ნინიძე
// ცნობის ფურცელი. - 1901. - 13 თებერვალი. -
№1380. - გვ. 1;
2. ბერლინი, პ. თანამედროვე შვეიცარია: [თარგმანი]
მ. ნინიძისა // მოამბე. - 1905. - №2, განყ. II. - გვ. 15-
26; №3, განყ. II. - გვ. 45-57.

გამოქვეყნებულია:

1. ს. ასკანა: შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგო-
ბის წლიური კრება 7 მარტს // ცნობის ფურცელი.
- 1899. - 13 მარტი. - №772. - გვ. 2-3; 14 მარტი. -
№773. - გვ. 2;
2. დ. ხიდისთავი // კვალი. - 1900. - №36. - გვ. 570;
3. დაბა სამტრედია // კვალი. - 1901. - №50. - გვ. 1013-
1014;
4. დაბა სუფუნა: (სამეგრელო) // კვალი. - 1901. - №48.
- გვ. 985;
5. დაბა ხონი // კვალი. - 1901. - №34. - გვ. 757;
6. პატივცემულო რედაქტორო!...: წერილი რედაქცი-
ის მიმართ // კვალი. - 1901. - №24. - გვ. 608;
7. ს. ასკანა (გურია): შემნახველ-გამსესხებელ ამხანა-
გობის წევრთა კრება // ცნობის ფურცელი. - 1901.
- 26 თებერვალი. - №1393. - გვ. 2;
8. სოფელი ასკანა // კვალი. - 1901. - №14. - გვ. 224;
9. გურიის „შუამავალის“ კრება // კვალი. - 1902. - №3.
- გვ. 53-54;
10. ორი წამი: [ლექსი] // კვალი. - 1902. - №42. - გვ. 670;
11. ხიდისთავი განზრახული საზოგადო სახლის აშენ-
ების საქმე... / ან. რამიშვილი, მ. ნინიძე // კვალი. -
1902. - №14. - გვ. 236.

წყარო:

1. ნინიძე, ყ. მოკლე ცნობა: [ხელნაწერი];
2. ოცხანელი, ბ. მოსე (რაფდენ) გიტოს ძე ნინიძე // გა-
ნათლება. - 1917. - №6-7. - გვ. 357-358;
3. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das
Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ.
წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი.
კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნ-
დაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის
პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი), 1941. - გვ.: 470, 475, 493.

ნინიძე, ყარამან გიტოს ძე (1872, 20/II –)

– რევოლუციონერი, – ორგანიზატორი და ჟურ-
ნალისტი, – გურიიდან (დაიბადა სოფ. ასკანაში,
გლეხის ოჯახში). ოზურგეთის სამოქალაქო სას-
წავლებლის მე-3 კლასიდან, თვითგანვითარებუ-
ლი. 1889 წლიდან მუშაობდა ბათუმში, როტმილდ-
ის ქარხანასა და სხვადასხვა წარმოებაში, 1904
წლიდან – ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთსადე-
ნის ნაწილში.

რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ოზურგეთ-
ში. გურიის გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობი-
სათვის 1903 წელს დაპატიმრებული იქნა ანტ.
რამიშვილთან და ელ. კალანდარაშვილთან ერ-
თად. 1904 წელს ბათუმის ნავთსადენის ნაწილის
მუშა-მოსამსახურეთა არალეგალური კავშირის
თავმჯდომარედ იყო, 1905 წელს მონაწილეობდა
ბათუმში კარლო ჩხეიძის მფარველობით შემდგარ
განსაკუთრებულ წრეში, რომელმაც განაიარაღა
ბათუმის 1, 3 და 4 უბნის საბოქაულოები, – ამ წრე-
ში 16 კაცი ირიცხებოდა: ილ. ჯინჭარაძე, ბიჭ. რა-
მიშვილი, გერ. კვირდელიძე, ყაისარ გვარჯალაძე,
ივ. ბერიძე, პორფ. ქუთათელაძე, ალ. ხუხუნაიშვი-
ლი, ყარ. ნინიძე და სხვ. წრემ ხელთ იგდო 17 თოფი
და, თუმცა გარს შემოერთყა 50 კაზაკი, ყველამ
თოფიანად თავს უშველა. მოკლეს მხოლოდ ერთი
რევოლუციონერთაგანი – ივანე ბერიძე. ამ წრემ,
სხვათა შორის, დიდი როლი ითამაშა ბათუმის 1905
წლის ნოემბრის საერთო აჯანყებაში. ბათუმში
ბარიკადების აღმართვის დროს ყ. ნინიძე აქტიურ
მონაწილეობას იღებდა. 1906 წლის დასასრულს,
როგორც რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა წარ-
მომადგენელი, მონაწილეობდა სოციალ-დემოკრა-
ტიულ კონფერენციაზე თბილისში (დაესწრო 80
კაცამდე. პირველი ყრილობა გაიმართა მადერის
ლუდის ქარხნის სარდაფში, მეორე – „კახეთის
საზოგადოების“ სარდაფში, მესამე – კრწანისში
მებაღის სახლში. დაესწრნენ ფ. მახარაძე, მ. რა-
ფდენიძე, ვლ. დარჩიაშვილი და სხვ.). ამ კონფერ-
ენციამ შექმნა ამიერკავკასიის კავშირების ცენ-
ტრი და გამოსცა ჟურნალი „ახალი ქვეყანა“ (კირ.
ნინიძის, ვარ. შავდიას, ვლ. ახმეტელაშვილის და
მოსე ნინიძის ფაქტიური რედაქტორობით), შემ-
დეგ – „ჩვენი ქვეყანა“ თვით ყარამან ნინიძის რე-
დაქტორობით, რომლისაც მხოლოდ ოთხი ნომერი
გამოვიდა (ამ ჟურნალის მეოთხე ნომერი ცენ-
ზორმა დაიჭირა ვ. ტუქსიშვილის ლექსის გამო,
რომელშიაც, სხვათა შორის, ეწერა: „გავაცამტ-
ვეროთ „არწივის“ ბუდე“-ო. რადგან ამ ნომრის 700
ცალი უკვე გავრცელებული იყო, ხოლო ცენზორმა
კი სრულად მოითხოვა, – ღამით ეს დაკლებული
ნომერი ხელახლა აიწყო და გამოიბეჭდა გ. თავ-
ართქილაძის სტამბაში 1907 წელს. ყ. ნინიძე 1908
წელს გორის სამაზრო სოციალ-დემოკრატიული
კომიტეტის მდივანი და მოლარე იყო. ამ კომიტეტ-
მა 1908 წლის ივნისში გორის გაღმა ბაღში მოიწვია
პირველი კონფერენცია, რომლის სხდომის დრო-
საც შეპყრობილ იქნენ: მიხ. კლიმიაშვილი, სიმ.
ბაბლიძე, კირ. გიორგაძე, კარპეზ თავთაქიშვილი
და სხვ., სულ 6 კაცი. ამ კონფერენციის გამო ყ.
ნინიძე დააპატიმრეს ბათუმში 1908 წლის ენკენ-
ისთვეში 3,5 თვით. 1917 წლის რევოლუციამდე
ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცი-
აში მუშაობდა, რევოლუციის შემდეგ არჩეულ
იქნა ბათუმის უბნის რკინიგზის კომიტეტის ჯერ
მდივანად, შემდეგ – თავმჯდომარედ. პოლიტიკური
ბრალდების გამო გადასახლებული იყო საქარ-
თველოდან, – იჯდა იაროსლავის ციხის ერთეულში
და სხვ.

წერდა, უმთავრესად, მუშათა ცხოვრების შესახებ ფსევდონიმებით: ყაყაჩო, გამვლელი, უხმო მოქალაქე. თანამშრომლობდა „ბათუმის გაზეთში“, „ახალ ქვეყანაში“, სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ გაზეთებში, წვერი იყო ჟურ. „ახალი ქვეყნის“ სარედაქციო კოლეგიის, რედაქტორი – „ჩვენი ქვეყნისა“.

მისი ძმა იყო ნინიძე მოსე.

გამოქვეყნებულია:

1. ამხ. კეროსინოპროვოდის მუშების საყურადღებოთ // ლახვარი. - 1907. - 4 ივნისი. - №44. - გვ. 3;
2. გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ წერილს // ჩვენი სიტყვა. - 1907. - 20 ივლისი. - №2. - გვ. 4;
3. ბატონო რედაქტორო!... // ეშმაკის მათრახი. - 1908. - №25. - გვ. 16;
4. სავაჭრო ამხანაგობის „გეორგია“-ს საქმეების გამო // ჩვენი საქმე. - 1909. - 8 აპრილი. - №28. - გვ. 4. - ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: ამხანაგობა „გეორგია“-ს წვერი ყ. ნინიძე.

მის შესახებ:

1. სამშაბათს, 5 დეკემბერს... // ცნობის ფურცელი. - 1900. - 30 ნოემბერი. - №1313. - გვ. 2. - იხ. „გაზეთის პროცესი“ - №1319. - გვ. 4;
2. ახალი გაზეთი // ისარი. - 1907. - 21 სექტემბერი. - №206. - გვ. 2.

წყარო:

1. ავტობიოგრაფია;
2. ყუფარაძე, ს. 1905 წელი. ბარიკადები ბათუმში: (მოგონებათა კრებული) / ნინასიტყვაობა: ს. ყუფარაძე. - ბათომი: გამოცემა ისტპარტის, 1925 (გამომცემლობა ფუხარა-ს სტ.). - გვ.: 6, 61.

ნინო ნინო ივანეს ასული მჭედლიშვილი (1900, VI –) – მსახიობი, – შვილი მსახიობის ივ. ესტ. მჭედლიშვილისა. სწავლობდა თბილისის IV ქალთა გიმნაზიაში.

სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1915 წელს, კ. შათირიშვილის ხელმძღვანელობით, სახალხო სახლში. მუშაობდა თბილისის (1915-1923, 1924-1925, 1930-1931, 1937-1939), ქუთაისის (1923-1924), ბათუმს (1925-1926), ჭიათურას (1926-1937, 1931-1932), ბაქოს (1927-1928), მაჩხაანს (1929-1930, 1932-1933), ზუგდიდს (1933-1934), თელავს (1934-1936), სიღნაღს (1936-1937), გორს (1939) და სხვ.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სამაგალითო საწარმოო მუშაობისათვის 1935 წელს დააჯილდოვა სიგელით № 86.

წყარო: არ არის მითითებული.

ნინოშვილი, ეგნატა [ეგნატა თომას ძე ინგოროყვა (1859, 18/XII – 1894, 29/IV) – ჰუმანისტი მწერალი, რევოლუციონერი, – ბელეტრისტი და პუბლიცისტი, პროლეტარული მწერალი და საქართველოს მარქსისტების მამამთავარი, კლასთა ბრძოლის პირველი მერცხალი, – მუშათა მოძრაობის წინამორბედი, სოფლის ბოხოლეებისა და უღარიბეს გლეხთა ურთიერთბრძოლის ამსახველი, პროლეტარული მწერლობის ფუძემდებელი, მხატვრულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ნიჭიერი წარმომადგენელი, – გურიიდან. დაიბადა ჩოჩხათის თემის სოფ. ჩიქვეთში (ახლ. სოფ. არჩეული), ჩიქვეთსა და ჩანჩეთს შუა მდებარე კუთხე „უკანა ღელეში“, ძველად აფხაზეთიდან გადმოხვენილ შთამომავალთა ღარიბ გლეხ-ძმათა – თომა და ალექსი ინგოროყვების ოჯახში. ბესო ჟღენტის ჩვენებით, – ერთგან („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1950, № 7, გვ. 3) ჩოჩხათში, მეორეგან – („ზარია ვოსტოკა“, 1950, № 11, გვ. 2) – ჩირგვეთში. უკანასკნელი გამოკვლევით დაიბადა 1858 წლის 5/17 დეკემბერს სოფ. ჩანჩეთში. მონათლა სოფ. [...] ეკლესიაში, ცხოვრობდა სოფ. ჩოჩხათში, აქვე გარდაიცვალა 1894 წლის 29 აპრილს (ახ. სტ. 11 მაისს). 6 თვისას დედა (ნინო ბარამიძე) გარდაეცვალა. აღზარდა გაუთხოვარმა მამიდა ნინომ და 7-8 წლისას წერა-კითხვა შეასწავლა (ამიტომ ეგნატემ მამიდის პატივსაცემად ფსევდონიმი ნინოშვილი დაირქვა). მამიდა მდინარეში (წყალნითელა) ფეხი ჩაადგმევინა – ასე წყალივით ისწავლეო – და ანბანი დააწყებინა „ფანქრით დაწერილ ნაგლეჯ ქაღალდზე“.

მამობრივი ზრუნვა გაუწია ბიძა ალექსი-მაც. 1869-1870 წლებში მღვდელთან სწავლობდა ხუცურს, 6 თვის შემდეგ ფოთს, ხე-ტყის ვაჭართან იყო ხელზე მოსამსახურედ, 1871-1875 წლებში ოჯახში ცხენებსა და ძროხებს მწყემსავდა, თავისუფალ დროს მეცადინეობდა, ხან სკოლაში დადიოდა, 1876 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შევიდა. აქ ისე კარგად სწავლობდა, რომ მესამე განყოფილებიდან მეორე კლასში გადაიყვანეს. ამ დროიდანვე გატაცებული იყო წიგნების კითხვით თვითგანვითარების მიზნით. საჭირო წიგნებს შოულობდა ივ. ლიბქესთან და მთელი ღამეები ჩაჰკირკიტებდა; ხშირად არალეგალურ წიგნებსა და წერილებსაც ეტანებოდა. სწავლის დროს დიდ გაჭირვებას განიცდიდა: ცხოვრობდა საკუთარი ხელით აშენებულ ჯარგვალეში, ეძინა ფიცარ-ჯირკზე, საბან-ლეიბად ძველ პალტოს ხმარობდა, ხშირად ფეხშიშველა და ტიტველი, ან სხვისგან ნაჩუქარი ნახმარი ტანისამოსით, მშიერი, უნავთობის გამო ფიჩხის სინათლეზე კითხულობდა. სწავლის დროს შეადგინა მონიწვე მონაფე ტოლ-სწორებისაგან „საიდუმლო წრე“. ამ წრეს წიგნებს აკითხებდა, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საკითხებს ურკვევდა და სხვ. ს. ჯიბლაძესთან ერთად, ხელმძღვანელობდა მონაფეთა ამბოხებას სასწავლებლის გამგე დეკანოზის წინააღმდეგ. შეთქმულ მონაფეთა პირველი საიდუმლო კრება ნინოშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა. მოთხოვნილების მთავარ მუხლებს შეადგენდა: სასწავლებლის სახაზინო შენობაში გადატანა და გარიცხული ინსპექტორის (ივ. ლია-

ძის) უკან დაბრუნება. ეს მოთხოვნებიანი გამგე-დეკანოზს ბ. ჯიჯიევილიდან ერთად ე. ნინოშვილმა წარუდგინა, რის გამოც სასწავლებლიდან დაითხოვეს „მგლის მოწმობით“ („ვოლჩი ატესტატი“, ყოფილი „2“-ით: ვერც სასწავლებელში მიიღებდნენ, ვერც სახელმწიფო სამსახურში).

1879 წელს მამასახლისისაგან მოიპოვა „შინაური სწავლის“ მოწმობა, „სახალხო მასწავლებლის“ წოდებაზე გამოცდა ჩააბარა და 1880-1881 წლებში თავის სოფელში მასწავლებლობდა. ამ ხანში განიცადა ხალხოსნური მსოფლმხედველობის გავლენა და მისი მაღარებელი შეიქმნა. 1883 წელს ტელეგრაფისტად ჩადგა სად. სუფსაში. უმაღლესი სწავლა-განათლების შექმნის წყურვილით გატაცებული, საქირო ფულის სასწრაფო მოგროვებისათვის ბათუმის რკინიგზის ერთ „საფოდრათო“ საქმეში ჩაება, მაგრამ აქედან ვალის მეტი არაფერი გამოჰყვა; 1884 წელს თბილისში არ. კალანდაძის სტამბაში შევიდა შეგიღდად ასოთაწყოების შესასწავლად; დაავადებულყოფილი, სოფელსავე დაუბრუნდა, სოფლის მწერლად დადგა, ფული მოაგროვა და 1886 წელს საფრანგეთს (ქ. მონპელიეს) გაემგზავრა განათლების შესაძენად, დემოკრატიული ქვეყნების წეს-წყობილებისა და ყოფა-ცხოვრების გასაცნობად, სადაც დიდი გაჭირვება გამოიარა და სამი თვის შემდეგ ისევ სამშობლო სოფელში დაბრუნდა. 1887 წელს გრ. გურიელის სასახლეში ჩადგა საოჯახო მწერლად (გურიამში). აქ გაეცნო გურიელების საგვარეულო ძველ ბიბლიოთეკას, დაენაფა ძველსა და ახალ ქართულ მწერლობას და 1888 წელს შეუდგა ისტორიული რომანის „სამწუხარო შედეგის“ (იგივე „ჯანყი გურიამში“) წერას. დაახლოებით ამავე ხანებში პოლიციამ დევნა დაუწყო, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოდ შენიშნულს, რის გამოც სამშობლო არე-მარეს გაშორდა, რომ მისი მიზეზით მეზობლები არ შეეწუხებინათ.

1889 წელს ბათუმში, ნავთსადგურზე დღიურად მუშაობდა ყუთებში თუნუქების ჩამწყობად და ყუთების მზიდავად, ხან – ნავთობის ქარხანაში, ცხოვრობდა აუტანელ პირობებში – ზამთარში თბილ ტანისამოსს მოკლებული. 1890 წელს დ. ზესტაფონში ლოღობერიძის კანტორაში იშოვა ადგილი. ამ დროიდან მისმა მხატვრულმა შემოქმედებამ ფრთა გაშალა (დანერა „სიმონა“, „ქრისტინე“ და სხვ.). 1891 წელს აგრონომ ტიმოფეევის საფილოქსერო პარტიაში მუშაობდა (ოქტომბრის დამლევამდე). აქ მუშაობის დროს გაეცნო დალესტანს, სომხეთის რამდენიმე ქალაქს და ლეჩხუმის მახრას. 1891 წელს ხელახლა დაამუშავა ყველა თავისი ნაწარმოები და „ივერიაში“ დაიწყო თანამშრომლობა. 1892 წელს ისევ ლოღობერიძის კანტორას დაუბრუნდა. მწერლობა განაგრძო, იმავე წელს თბილისს გადავიდა (ზ. ჭიჭინაძის ბინაზე, მთაწმინდაზე, პრიუტის – კოტე მესხის ქ. № 443-ში და რევოლუციურ-სოციალისტურ მოღვაწეობას უფრო თავგამოდებით შეუდგა: 1891-1893 წლებში მ. ცხაკაიასთან ერთად გარს შემოიკრიბა რევოლუციონერთა მცირე ჯგუფი. 1892 წლის ნოემბერში

დააარსა პირველი არალეგალური სოციალისტური „სამეცადინო წრე“. პირველ ხანებში ე. ნინოშვილი უფრო ხალხოსანი იყო, შეურიგებელი სახალხო სოციალისტი, ბოლო ხანებში (1891-1894) მარქსისტული მსოფლმხედველობა შეითვისა. მას მხარს უმშვენიერდნენ: მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე, ნ. ყორდანი, ვლ. დარჩიაშვილი, კარ. ჩხეიძე და ახალგაზრდა მუშები: ზ. ჩოდრიშვილი, არ. არავიშვილი, ვ. ცაბაძე, არ. ოქუაშვილი და სხვ. წრეს, უმთავრესად, ე. ნინოშვილი ამეცადინებდა. 1893 წელს მ. ცხაკაიასთან ერთად ცხოვრობდა ის. კვიციანიძის კონსპირაციულ ბინაზე (ყოფ. მიხეილის, ახლანდელი პლესანოვის გამზ. № 155, ქვედა – მიწურ სართულში). აქ, წრეში მეცადინეობის გარდა, თვითგანვითარებას მისდევდა (სხვათა შორის, გერმანულ ენას სწავლობდა: მარქსის „კაპიტალი“ გერმანულ ენაზე უნდა შევისწავლო). 1892 წლის დეკემბრის 25-ს ე. ნინოშვილის თაოსნობით დაბა ზესტაფონში, ი. კაკაბაძის ბინაზე, შედგა „მესამე დასის“ (ქართველი მარქსისტების – მომავალი სოციალ-დემოკრატების) დამფუძნებელი საიდუმლო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა ნ. ყორდანის „ნაციონალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტი“ და მიიღო ორი დებულება: 1. „ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვართ სოციალისტ-მარქსისტები“ და 2. „ჩვენ დავირაზმებით რუსეთის სხვა მუშებთან სრულ კონტაქტში“. 1893 წელს გ. წერეთელმა ე. ნინოშვილი მიიწვია „კვალში“ თანამშრომლად. აქ მოათავსა ორი პუბლიცისტური წერილი: 1. ძველი დავა ახალ ქერქში („კვალი“, 1893, № 32, 33) და 2. უებარი საშუალება ქართველთა გამდიდრებისათვის („კვალი“, 1893, № 39, 40). გარდა ამისა, თანამშრომლობდა „ივერიაში“, „თეატრში“, „მოამბეში“. დაწერა 15 მოთხრობა, ერთი რომანი, ორი პუბლიცისტური წერილი და კორესპონდენციები (დანვრილებითი ბიბლიოგრაფია იხ. ეგ. ნინოშვილის ნაწერებში). უკანასკნელად, ლოგინში მწოლი წერდა „პარტახს“. ნივთიერად გაჭირვებულს წერა-კითხვის საზოგადოებისგან თვიურად 15 მ. ეძლეოდა. გარდაიცვალა ქლექით 1894 წლის აპრილის 29 (ახ. სტ. მაისის 11) მეგობრის, ს. ჯიბლაძის, მკვლავზე. დაიკრძალა მაისის 7 (ახ. სტ. 20) სოფ. ჩანჩეთში, ნიგვზიანის თემში (ლანჩხუთის რ.), ეკლესიის ეზოში, ერთი მთლიანი ხისგან გამოკვეთილ კუბოთი. დაკრძალვას დაესწრნენ დაბა-ქალაქთა, რედაქციებისა და სხვათა წარმომადგენელნი, აგრეთვე, დიდძალი ხალხი. მხოლოდ მისი დაკრძალვის დღეს შეიგნო საზოგადოებამ, რა დიდი კაცი დაიღუპა უდროოდ. სხვათა შორის, ცნობილმა ვახ. გურიელმა სინანულით ჩაულაპარაკა ე. ნინოშვილის პირველ გამომცემელს კ. თავართქილაძეს: – „ბატონო, სად ვიყავით ჩვენ, რომ ასეთი დიდი ნიჭიერი კაცი, ასე უდროოდ გამოგვეცალა ხელიდან და ვერ შევიტყვევთ. სახარების სიტყვები: „ნათელი შევიდა ბნელსა შინა და ბნელმა იგი ვერ იცნა“ – ნამდვილად ჩვენზეა ზედგამოჭრილიო“, და თითქო მთელი საქართველოს დანაშაულობაც (რომ ე. ნინოშვილს თავის დროზე ვერ მოუარეს) მარტო თავის თავზე იგრძნო, ჩვეულებ-

ბრივ, საპატიო სადილს საზოგადოებასთან ერთად არ დაესწრო და გაშორდა.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, 1923 წელს, ქ. თბილისში, ყოფ. ალექსანდრეს (ახლ. კომუნართა) ბაღის ზედა ნაწილში, რუსთაველის გამზირის ნაპირზე, მუშათა სასახლის პირდაპირ, აღმართულ იქნა მისი ძეგლი (ბიუსტი).

ე. ნინოშვილის სამარესთან შემოიკრიბა გასული საუკუნის 90-იანი წლების ახალი თაობა, რომლის სული და გული იყო ე. ნინოშვილი. აქ ს. ჯიბლაძემ, ვლ. დარჩიაშვილმა და სხვ. წარმოთქვეს საპროგრამო სიტყვები, რომლითაც ნათელჰყვეს ე. ნინოშვილის დიდი ღვაწლი და ჩვენს ცხოვრებაში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ხანის დასაწყისი, რომლის საუკეთესო ამსახველი იყო იგი. ე. ნინოშვილის დაკრძალვის დღეს მის მიმდევარ-ამხანაგებთაგან ოფიციალურად ჩამოყალიბდა ქართველ მარქსისტთა ჯგუფი, რომელსაც გ. წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა. ეს „მესამე დასი“ მალე გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით, რომელთაც მარქსისტულ იდეებს დიდი ამაგი დასდეს და რომელიც 1903 წლიდან მენშევიკებისა და ბოლშევიკების სახელით ორ ფრთად გაიყო, ხოლო ბოლშევიკებისაგან ბოლოს შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტია.

ე. ნინოშვილმა თავისი ფიქრი და რწმენა გამოხატა თავის ნაწერებში, რომლებიც 4-5 წლის (1889-1894) განმავლობაში დაწერა. ამ ნაწერებში გადაშალა ჩვენი ხალხის ვალებით სავსე ცხოვრება, გვიჩვენა, თუ მშრომელი ხალხი რა უსამართლობას განიცდის და ამ უსამართლობას რა ძალები ჰქმნიან. ნინოშვილის ნაწერებში გაისმის ჩივილი უსამართლობასა და უკანონობაზე, გლახთა დაუსრულებელ უბედურებაზე. ე. ნინოშვილმა აღნიშნა ამის მთავარი მიზეზები: სოციალური პირობანი, ხალხის პოლიტიკური უუფლებობა, ეკონომიკური უსწორმასწორობა, სამართლის წარმოების ნაკლოვანება და სხვ. მთელი მისი სამწიგნობრო ნაღვანი სურათია ჩვენს ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყებისა, ახალი კლასების აღორძინებისა, ახალი ურთიერთობის დამყარებისა, ძველი შეხედულება-რწმენისა და ჩვეულებათა შერყევისა... ზოგიერთ იმ მწერალთა შეხედულების წინააღმდეგ, რომლებიც მთელ ქართველ ხალხს ერთ მთლიან სხეულად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინტერესებით შეკავშირებულს სახავდნენ, ე. ნინოშვილმა პირველმა აღნიშნა კლასობრივი წინააღმდეგობანი, მეტატონესა და გლახს, ლატაკსა და ბობოლას შორის მუდმივი განხეთქილების მიზეზები, ერის თანდათან დაყოფა ქონებრივ-უფლებრივ ნიადაგზე: სოფლის მამაპაპური ყოფის რღვევა, თავადაზნაურობის დაქვეითება, გლახთა ბრძოლა თავადაზნაურობის წინააღმდეგ, მათი გაბოგანობა, მშრომელი ინტელიგენციის წარმოშობა, მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა და სხვ. და ყოველივე ეს ასახა მარქსისტული თვალსაზრისით. თუმცა ყოველი მისი მოთხრობა უბედური ამბით ბოლოვდება, მაინც მუშა ხალხს – ყოვე-

ლი ჩაგრულის გულს გამარჯვების რწმენას უწერ-გავდა და უწერგავს. ნართაულად გაერთიანებისა და გაბატონებულთა წინააღმდეგ დარაზმვისაკენ მოუწოდებდა, თავისი გმირი გლეხების ბავით მშრომელ – ბედკრულ გლეხობას შთააგონებდა: „არ ყოფილა ჩვენდა სამართალიო“: „ყაზახს ყოლიკაცი მოატყუებს. ყაზახმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერქამეთის ფხარის მიცემა, მაშინ...“. „ნეტავ რას იზმენ დიდკაცები, ყაზახი რომ არ იყოს ქვეყანაზე?...“. „ვეთქვით არ შემეშინდა ციმბირის“... და სწამდა, რომ ახალი თაობა ძველ წესს დაამხობდა: „გუნატროთ, რომ მამის ბედი აშორებოდეს და უკეთესად წასულიყოს მისი ცხოვრებაო“. მისი აზრით, მწერალმა ცხოვრების სინამდვილე უნდა აღწეროს.

ე. ნინოშვილის მოთხრობათა დიდი უმეტესობა ერთი თვალის შეხედვით თითქო კერძო მოვლენების აღწერილობაა, მაგრამ ნამდვილად ე. ნინოშვილი რეალისტური მეთოდის მომარჯვებით ცხოვრების ტიპური მოვლენების განზოგადოებულ სურათებს აღწერდა ხოლმე. იგი ტიპიურობის მომხრე იყო. ე. ნინოშვილის რწმენით „მოთხრობების მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არასდროს არ უნდა აიღოს თავისი მოთხრობის დედააზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპები უნდა იხატებოდეს მოთხრობებში. თუ შემთხვევით რამეს შეეხება ავტორი, ეს შემთხვევითი ქე მაინც მეორე ხარისხის ადგილას უნდა ქონდეს... შემთხვევითი ფაქტების დედააზრად აღების მიზეზია, რომ ეხლანდელი ბელეტრისტული თხზულებანი ძლიერ ადრე ბერდებიან და პკარგავენ ფერს...“ (თ. სახოკიასადმი მიწერილი 1892, 17 ივნისი). სინამდვილის აღწერით ე. ნინოშვილმა სიცოცხლეშივე მოიპოვა სიყვარული. მ. გორკიმ უთხრა: „ბედნიერი ხარ ამხანაგო, რომ საკუთარი თვალით ხედავ, როგორ უყვარხარ და პატივს გცემენო“. ე. ნინოშვილმა მიუგო: „დასწერე ის, რასაც შენ ავრე კარგად გვიამბობ და ნახავ, როგორ შეგიყვარებენო“.

ე. ნინოშვილის ცხოვრებას, მოღვაწეობასა და შემოქმედებას მრავალი წერილი აქვს მიძღვნილი. ს. ჯიბლაძის დახასიათებით, „ნინოშვილი იყო დაუძინებელი მტერი რუტინისა და ავტორიტეტისა... ის თავისი საკუთარი ძალღონით ჰკავავდა ცხოვრების დაბურულ, გაუვალ ტყეს და ეწეოდა მძიმე უღელს თავის გაკვალულ ბილიკზე... რის ამოკითხვაც ვერ მოასწრო მან წიგნებიდან, ამოიკითხა ცხოვრების სიღრმიდან, მისი ცოცხალი ფაქტებიდან... არც ერთი პირი არც ერთ მის მოთხრობაში არ არის ნაყოფი უქმი ფანტაზიისა. მის მოთხრობებში დასურათხატებულნი ტიპნი – ყველა ცოცხალი პირია... ნინოშვილის დაუმრეტელმა შრომამ და მაგნიტურმა მიზიდულებამ მისდავე შეუმწნევლად შექმნა კიდევ ახალგაზრდობის საუკეთესო ელემენტებისაგან სიმპატიური მიმართულების წრე, რომლის ცენტრს ის შეადგენდა. ნინოშვილი მოკვდა, მაგრამ მისგან დაარსებული ნორჩი ორგანიზაცია არ შერყეულა“. ი. გოგებაშვილის სიტყვით, ე. ნინოშვილი „ბუნებით დაჯილ-

დოვებული იყო ნამდვილი ხელოვნური, მხატვრობითი ნიჭით... ყველა მისი მოთხრობა სავსეა ხალხის სიბრაღულით, თანაგრძობით, სიყვარულით, გაყენებით ნამდვილი დემოკრატიზმით... იგი აცხადებს პროტესტს ხალხის დაჩაგვრის წინააღმდეგ, ჰხატავს ამ პროტესტს ყველა თავის მოთხრობაში...“.

გ. წერეთლის დახასიათებით, „ნინოშვილმა ცხადად გვაჩვენა, რომ თუ გვინდა ჩვენი ერი შევკავოთ გადაგვარებისაგან, ავამაღლოთ ის ზნეობრივად და გონებრივად, უნდა ავაშოროთ მას მოსე მწერლებისთანა და ტარიელ მკლავაძისთან ავი თვისების ადამიანები. ამ სახით მან გაუკაფა ჭეშმარიტი გზა მესამე დასს ახალგაზრდობისას ხალხში მოქმედებისათვის“.

არ. ნითლიძის სიტყვით, ე. ნინოშვილის გული და გონება ეკუთვნოდა ბეჩავეს, ოხრებს და უსამართლოდ გაქედილებს... შევიწროვებულათვის მკურნალ მალამოს ეზიდებოდა... ებრძოდა სოფლის სიავეს, ერის მჩაგვრელ ძალას!.. მისი სულისკვეთების საგანი იყო ერი ოფლის მღვრელი და ტვირთმძიმე“ („ივერია“, 1894, № 101).

ივ. გომართელის შეფასებით, „ნინოშვილის თითქმის ყველა მოთხრობა პუბლიცისტური ხასიათისაა და მისი ნიჭის უმთავრესი ღირსება და მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს“.

რ. კალაძის განმარტებით, „ნინოშვილი იყო თავგანწირული რევოლუციონერი სოციალისტი, რომელიც მხოლოდ ერთი იდეით იყო შთანთქმული – მუშათა კლასის და შრომის განთავისუფლების იდეით“.

ვ. მაიაკოვსკის რწმენით, „ნინოშვილი იყო პირველი შეუდარებელი პროლეტარული მწერალი ჩვენში... იგი მოქმედებდა არა მარტო კალმით, არამედ სიტყვითაც და საქმით, რადგან იგი იყო იმავე დროს პროლეტარული რევოლუციონერიც... ნინოშვილში მკვიდრობდა ორი მთავარი მისწრაფება – მხატვრისა და რევოლუციონერისა... ნინოშვილის მხატვრულმა ნაწერებმა ნამდვილი გარდატეხა მოახდინეს ქართულ მწერლობაში... ნინოშვილის მიდგომა გლეხკაცობისადმი იყო კლასობრივი თვალთახედვის წერტილი... ნინოშვილის მოთხრობები მკითხველებზე ახდენდნენ რევოლუციონურ ზეგავლენას... იგი იყო გამოჩენილი მწერალი-მხატვარი, გამოჩენილი რევოლუციონერი-მარქსისტი და ინტერნაციონალისტი“.

ფარის აზრით, „ნინოშვილი პირველი მწერალია, რომელსაც თავისი დროის საქართველოს სინამდვილე ასახული აქვს კლასობრივი მიდგომით... ნინოშვილის ყოველი მოთხრობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გასროლილი ყუმბარა იყო... მასების გარევოლუციონერებაში ნინოშვილის ნაწარმოებებმა თავის დროზე მეტად დიდი როლი ითამაშეს... ნინოშვილი თავის დროის დიდ მონინავე და პროგრესულ აზრებს ჰქადაგებდა“;

მ. ნულუკიძის სიტყვით „ნინოშვილი ისეთ საკითხებს და მოტივებს შეეხო, რომ მთელი ეპოქა დაიპყრო... ნინოშვილის შემოქმედება არსებითად საძირკველად დაედო ჩვენში მუშურ ხელოვნებას, – სოციალური შინაარსის მხატვრულ შემოქმედებას... მწერალმა მოუწოდა ყველას, ვისთვისაც სინამდვილე მხოლოდ ტანჯვაში გამოიხატე-

ბა, – პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ტანჯვაში, – ბრძოლისაკენ: თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის, ადამიანობისათვის...“ („ბრძოლის ხმა“, 1933, № 30).

შ. რადიანის დახასიათებით, „ნინოშვილის მთელი შემოქმედება დაუსრულებელი ბრძოლა იყო ცხოვრებაში გამოყვებულ უსამართლობასა და უკუღმართობასთან. მან ნათლად შენიშნა ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრების გზაზე შედგომა, კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრა ჩვენში... ნინოშვილივით არც ერთ თავის დროინდელ ჩვენს მწერალს არ შეუგნია საზოგადოების მამოძრავებელი ძალა, ნინოშვილივით არც ერთს ჩვენს მწერალს არ გადაუშლია არსებული სოციალური ურთიერთობის შინაარსი...“ („კომუნისტი“, 1934, № 109).

გრ. ნუცუბიძის აზრით, „ნინოშვილის უდიდესი ღირსება იმაშია, რომ მისი გამრების დაღუპვა სასონარკვეთილებსა არ ინვეს... მკითხველში ეს სურათები ინვევენ აღმფოთებას, საშინელ სიძულვილს მაშინდელი წეს-წყობილებისადმი და სურვილს – იბრძოლო უსამართლობის დასამხობად“ („კომუნისტი“, 1939, № 107).

დ. კ-ს აზრით, „ნინოშვილი ღარიბთა და გაფცქვნილთა ტანჯვის მომღერლად დაიბადა. ის გულმოდგინედ ჰკინძავდა ხალხის ვაებას, ხალხის ცრემლებს, ხალხის ყრუ ქვითინს“.

მ. ცხაკიას დახასიათებით, ე. ნინოშვილი „მშრომელთა დღევანდელის თუ წარსულის მრავალტანჯული ცხოვრების მოთხრობით, ვით საუკეთესო დედა, რევოლუციის „რძეს“ აწოვებდა ჩვენი სოფლისა და ქალაქის პროლეტარებს და ნახევრად პროლეტარებს... ნინოშვილი დიდი ნიჭია, როგორც ბელეტრისტი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის, როგორც რევოლუციონერი, მარქსისტი, კომუნისტი... მის ყოველ ნაწერს პროლეტარ-რევოლუციონერის ბეჭედი აზის და მისი სულითაა გაყენებული და აღფრთოვანებული... იგია პირველი პიონერი მარქსისტული, ჭეშმარიტი პროლეტარული მწერლობისა“.

გრ. რობაქიძის აზრით, „ნინოშვილი გამძაფრებული მესაჭეა მშრომელი მასის... ყოველი მისი ნაწარმოები კლასთა ბრძოლის იდეით არის გამართული... ეს კლასთა ბრძოლა ეროვნულ მომენტთანაა შეჯახებული, და ავტორი კლასთა ბრძოლის მხარეზეა... ნინოშვილი გურიის მესიტყვეა, დაუზოგველი რეალისტი, მსახველი გამწარებული სინამდვილის, ტემპერამენტით ცხარი და ბასრი“.

სიმ. ხუნდაძის შეფასებით, „ნინოშვილი ხალხური მწერალია, მეცნიერული სოციალიზმის მამამთავარი... საქართველოში ახალი მეცნიერული მოძღვრების (მარქსიზმის) მეთაურობა და მისი გადმონერგვის პიონერობა სხვებთან ერთად წილად ხვდა ნინოშვილს... ნინოშვილის შემოქმედება ნათლად გვისურათებდა იმას, თუ როგორ ირღვეოდა ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი აპარატისა და კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ზეგავლენით ქართველი გლეხის მეურნეობა და რომელი წყაროებიდან უნდა მომხდარიყო ჩამოყალიბება ჩვენი პროლეტარული ფენებისა“.

ვ. კოტეტიშვილის განმარტებით, „ნინოშვილის ნაწარმოებში სისხლისაგან დაწურული და ნაწამე-

ბი გული მეტყველებს... ნინოშვილი შეგინებულთა ძლევისათვის სწერდა, სწერდა მუშა კაცის მიძიმე ისტორიას, სწერდა სისხლითა და ნაღველით; მხედრდებოდა არსებულის წინააღმდეგ და ხსნის გზას უჩვენებდა ამ დაჩაგრულთა და შეგინებულთა წყვილიადით მოცულ ქვეყანას“ („ქართული მწერლობა“, 1929, № 11-12).

ლუციური აგიტაცია-პროპაგანდით ამზადებდა. 1906 წლის სექტემბერში გენერალ ალიხანოვ-ავარიელის მოსაკლავად ჩამოსული [...] გრაფმა [...] გადაასახლა. 1906 წლის ოქტომბრის 1-დან ქ. განჯაში შეუდგა დამშეული სამეგრელოსათვის ფულის შეგროვებას: დიდების სახელზე შეგროვილი 925 მან. 1907 წლის მარტში გადაუგზავნა თბილისის კომიტეტს („ცნობის ფურცელი“, 1907, აპრილის ნომერი) და მცირენლოვანთა სახელით შეგროვილი 37 მან. 50 კაპ. („ნაკადული“, 1907 წ., № 7, ყდის უკანასკნელი გვერდი) ვრცელი განცხადება-მოწოდებით „განჯელი ქართველი ბავშვებისაგან საქართველოს ბავშვებს“ და სურათი დამშეული მეგრელების ცხოვრებიდან მცირენლოვანთათვის – მოთხრობა „ქველმოქმედი მისას“ სათაურით, კ. მარტვილელის ფსევდონიმით („ნაკადული“, 1907, № 11). 1907 წლის ოქტომბერში დააარსა „ილია ჭავჭავაძის ფონდი“ და „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ ადგილობრივმა ქართველობამ თვით კ. ოდიშარია აირჩია („ცნობის ფურცელი“, 1907, № 146), რომელიც ყოველთვიურად სავალდებულო გადასახადის გარეშე აგროვებდა 150-170 მან. და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უგზავნიდა (იხ. 1907, 1908 და 1909 წლების გაზ. „Возрождение“). იმავე დროს, თანამშრომლობდა ზემოხსენებულ ჟურნალ-გაზეთებში. 1908 წელს განჯაში მოაწყო აკაკი წერეთლის იუბილე. 1909 წლის ივნისში გუბერნატორმა გ. კოვალიოვმა განჯის გუბერნიიდან გადაასახლა. 1909 წლის ივნისიდან ბაქოში, სხვებთან ერთად, დაიწყო ქართული სკოლის დაარსება [...] ქართველებმა მიიღეს ასაშენებელი მიწა [...] ეკლესიის გვერდით და ორსართულიანი სახლი სკოლისათვის, ი. მანსვეტაშვილის სახსრებით ააშენეს საუცხოო სასკოლო შენობა: კ. ოდიშარიამ დაიწყო სკოლის საარსებო სახსრების შეგროვება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გადაგვარებული ინტელიგენტი ხელს უშლიდა (იხ. მისი მოთხრობა გაზ. „მარცვალის“ № 2-ში). კ. ოდიშარიასა და მისი თანამგძმობი მოწინავე ქართველების დახმარებით ბაქოს ქართველთა კულტურულ-ეროვნული მუშაობა გაჩაღდა: სკოლის აშენებასთან ერთად განამტკიცეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილების ნაყოფიერი მუშაობა, ამ მუშაობაში ჩააბა ქართველი მასა და სხვ. ყველა ამის გამო, ბაქოს გრადონაჩაღნიკმა მარტინოვმა კ. ოდიშარია, როგორც ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი, გადაასახლა ბაქოს ქალაქის ფარგლებიდან, ხოლო ბაქოს სააქციზო უწყებამ,

როგორც თავისი მოხელე-მოსამსახურე, ჩამოქვეითებულ თანამდებობაზე გადაიყვანა სოფ. ყამარლუში (ერევნის მაზ.) პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. აქედან აქციზად გადავიდა უცნობ გუბერნიაში – ყარსში, – არტაანში, ვითომდა თავისი სამსახურის ფარგლის გასაცნობად, შემოიარა: ყარსის, ალზევის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სადაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საფარველით, ვითომ რევიზიის მიზნით, გაეცნო საქართველოს ძველ ციხე-სიმაგრეებსა [...] ისტორიულ მასალას, [...] თავისი მოღვაწეობა [...] ახლად დაპყრობილ ოლქებში (ეს იყო პირველი მსოფლიო ომის 1914-1918 წლების ხანაში) – ისპირს, თორთუმსა და ერზურუმის მთელ ვილაეთში, დაწერა ოთხი დიდტომიანი ისტორიული მასალები შიდა ოსმალეთის საქართველოს ყოველი კუთხე-ადგილის დაწვრილებით გამორკვევით, სოფლების, ციხე-ქალაქებისა და ეკლესიების ძველი ქართული სახელების აღდგენით, ზნე-ჩვეულებების, წესისა და 7 000-მდე სოფელში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა ჩვენსკენ (დედა საქართველოსკენ) ეროვნული მისწრაფების აღწერით. ამ მასალების ნაწილი იბეჭდებოდა ოთხ-ოთხ სვეტად ყოველდღე გაზ. „საქართველოში“ 1917 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში „არტაანის მხარე“-ს სახელწოდებით; ამავე ხანში აქვეყნებდა შიდა ოსმალეთის საქართველოში თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს „არტაანიდან თორთუმამდე, დანახული და გაგონილი“-ს სათაურით („საქართველო“, 1917, № 147) და სხვ., რამაც დააინტერესა არამცთუ ქართული, არამედ სხვა ერთა პრესაც. ქ. არტაანში, გ. საღარიძის (ახალციხელის) თანამშრომლობით დააფუძნა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ განყოფილება, ქართველ მუსლიმანთა უღარიბესი და ომში დაზარალებულთა შვილებისათვის გახსნა ქართული სკოლა, რომელშიც 42 ბავშვი სწავლობდა; პირადად ქართველ ოფიცრებს, ინჟინრებსა და სხვა ეროვნების [...] ათასობით ადამიანს ფულად დახმარებას და სრულ პანსიონში ზრდიდა ზემოხსენებულ 42 ბავშვს, რის შესახებაც საყურადღებო მოხსენება გააკეთა თბილისის „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში“ („ცნობის ფურცელი“, 1916, 21 დეკემბერი; „საქართველო“, 1916, № 20-28 და 1917, № 18, 19, 21, 22 – „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“-ს სათაურით), რის გამოც კავკასიის I და II კორპუსის გენერლებმა კალატინმა და პრჟევალსკიმ კ. ოდიშარიას დევნა დაუწყეს. 1918 წლის მარტის 11 თორთუმის ოლქიდან დაბრუნებულ კ. ოდიშარიას ადგილობრივმა ქართველმა მაჰმადიანებმა წარმომადგენლების პირით აცნობეს: ზეგ შიდა ოსმალეთის საქართველოში, არტაანითურთ, სომეხთა მოსახლეობის აკლემას ვაპირებთ და ქართველი მოსახლეობა გააფრთხილეთ, რომ ან გავიდნენ, ანდა თავ-თავის ბინის კარებზე ჯვარი დახაზონ, ბინებში ჩაიკეტონ და გარეთ არ გამოვიდნენო, რაც კ. ოდიშარიამ სასწრაფოდ განუცხადა ქართველ მოსახლეობას, ხოლო თვით, მამის სიკვდილის გამო, სასწრაფოდ წამოვიდა. 1918

წლის მარტის 13 მართლაც დაიწყო სომხების ხოცვა-ჟლეტა, უვნებლად დარჩენილი ქართველები [...] ჯარმა ბათუმს გადმოასახლა. ამის გამო სომეხმა ინტელიგენციამ კ. ოდიშარია „პროვოკატორად“ მონათლა („საქართველო“, 1919, „მოგონება ქართველი მაჰმადიანების ყრილობის გამო“ კ. მარტვილელისა).

1918 წლის ხონში დააარსა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის კომიტეტის თავმჯდომარედ საზოგადოებამ კ. ოდიშარია აირჩია. იმავე წლის აგვისტოს 1 საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მიიწვია თბილისში აქციზის ინსპექტორის თანაშემწედ, რომელ თანამდებობაზე მუშაობითაც დიდი სარგებლობა მოუტანა სამშობლო ქვეყანას („თეატრი და ცხოვრება“, 1919, № 4; „საქართველო“, 1919, № 202, 208 და სხვ.). 1919 წელს აქციზის მოსამსახურეთა დანაშაულობების (ქურდობა, მექრთამეობა და სხვ.) გამო ფინანსთა მინისტრ კ. კანდელაკთან შეტაკება მოუვიდა, რისთვისაც დათხოვნილი, გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში მიიწვიეს თანამშრომლად, მაგრამ ხელისუფლება რომ ვერ შეურიგდა მის წერილებს, 1920 წლის აგვისტოს 1, მისი სურვილის წინააღმდეგ, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საზღვაო მინისტრების დადგენილებით, გაიგზავნა ქ. ფოთის სადგურის სამმართველოს საქმეთა უფროსად (გაზ. „საქართველო“, 1920, № 30, 32, 33, 147 და სხვ.). ქ. ფოთის ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია („საქართველო“, 1920, № 171). უსამართლობას არც აქ ინდობდა და გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მათი აგენტების უკანონო მოქმედებას. ამის გამო შეტაკება მოუხდა საქართველოს ზღვათა მთავარ ინჟინერთან (რომელიც შემდეგში ბოლშევიკებმა დახვრიტეს ფულის მითვისებისათვის) და მისი მსხვერპლი შეიქნა: შინაგან საქმეთა მინისტრმა კუთვნილი ხელფასი არ მისცა, არც სალიკვიდაციო, რაც კანონით ეკუთვნოდა. ამის შემდეგ კვლავ ბევრი დევნა განიცადა. 1924 წლიდან „დედათა და ბავშვთა“ სახლში საქმის მწარმოებელ-ბუღალტრად და ადგილკომის თავმჯდომარედ მუშაობის დროს გამოამუღავნა ქართველი ეროვნების დევნა და სხვა უმსგავსოებანი, რის გამოც სხვა ეროვნების 36 პარტიული სამსახურიდან გადააყენეს, ანუ სხვა ადგილზე გადაიყვანეს, ხოლო კ. ოდიშარია სრულიად სამსახურიდან დაითხოვეს. 1925-1930 წლებში, უმუშევრობის დროს, მთელ საქართველოში ქართულ ლიტერატურას ავრცელებდა.

1928 წლის დეკემბრის 20, თბილისის საბჭოს არჩევნების დროს მედსანშრომის კავშირის უმუშევარ წევრთა ინტერესების აშკარა და გაბედული დაცვის გამო, კ. ოდიშარია 5000-მა კაცმა საბჭოს წევრად აირჩია: აქ მამასისხლური აშკარა ბრძოლა გამოუცხადა იმ დიდ ბობოლებს, რომლებიც ნთქავდნენ საქართველოს სახელმწიფო ქონებას და რესპუბლიკის საზიანოდ მრავალ საზიზღრობას ჩადიოდნენ. მუშაობდა სხვადასხვა საქციაში საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული, თუმ-

ცა ნივთიერად პირადად მუდამ შევიწროვებული, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა.

ზემოხსენებულ ნაწარმოებთა გარდა, დაწერა ორტომიანი დიდი რომანი „უსამართლობის მორევი“.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები, ნაწილობრივ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული.

გამოქვეყნებულია:

1. ბათომი: კაცის ძარცვა // ცნობის ფურცელი. - 1897. - 3 ივლისი. - №243. - გვ. 3-4;
2. ქ. ბათომი: ქუჩაში რევოლუციის სროლა // ცნობის ფურცელი. - 1897. - 10 ივლისი. - №250. - გვ. 3;
3. მადლობის გამოცხადება // ცნობის ფურცელი. - 1898. - 13 მაისი. - №532. - გვ. 2; 23 აგვისტო. - №613. - გვ. 2;
4. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1898. - 22 სექტემბერი. - №203. - გვ. 4; 6 ოქტომბერი. - №213. - გვ. 4;
5. დედა-ენა: [მოთხრობა] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1906. - №17. - გვ. 5-10. - ტექსტის ბოლოს: 4 ივლისი, 1905წ., აგარაკი დარაჩიზაგი, ერევ. გუბერნია;
6. გიგ ზავნით ამასთან ერთად, ფოსტის ხარჯის... // ისარი. - 1907. - 6 ივლისი. - №145. - გვ. 3. - დაზარალებულთა სასარგებლოდ;
7. მოუსავლობით დაზარალებულ მეგრელთა სასარგებლოდ // ისარი. - 1907. - 8 მარტი. - №51. - გვ. 4;
8. ქ. განჯა // ისარი. - 1907. - 8 ნოემბერი. - №246. - გვ. 3. - ილია ავჭაყაძის ფონდი;
9. ქველმოქმედი მისა: [მოთხრობა] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1907. - №11. - გვ. 6-15. - ტექსტის ბოლოს: 14 აპრილი 1907 წელი. ქ. განჯა;
10. ყაზახის მოკვლა და სროლა ქუჩაში: (წერილი განჯიდან) // ისარი. - 1907. - 19 აგვისტო. - №181. - გვ. 2-3;
11. დუტუ მეგრელს უძღვნი: [დიმიტრი ხოშტარიას. ლექსი] // ნიშადური. - 1908. - №56. - გვ. 8;
12. სიტყვით არის და საქმით კი...: [იუმორისტული ლექსი] // ნიშადური. - 1908. - №32. - გვ. 4;
13. შარადა // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1913. - №7. - გვ. 64. - მე-6 №-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა;
14. ცხოვრების თანამედროვე შვილი: [ჩანახატი] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №46. - გვ. 13;
15. არტანდანი თორთუმამდე // საქართველო. - 1917. - 8 ივლისი. - № 147. - გვ. 3-4;
16. არტანის ქართველი მაჰმადიანები // საქართველო. - 1917. - 24 იანვარი. - № 18. - გვ. 4; 25 იანვარი. - № 19. - გვ. 4; 27 იანვარი. - № 21. - გვ. 4; 28 იანვარი. - № 22. - გვ. 4;
17. სააკციზო მოხელენი და სახელმწიფო საღარო // საქართველო. - 1919. - 19 სექტემბერი. - № 202. - გვ. 2;
18. ქართველ ერს: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - №1. - გვ. 14.

მის შესახებ:

1. ნოდია, კ-ნე. ბათომი: უშიშარი და უმართებულო რაინდი // ცნობის ფურცელი. - 1897. - 21 აგვისტო. - №289. - გვ. 2;
2. ქ. ფოთი (ს. ერ. დემ. ბიუროს ცნობა) // საქართველო. - 1920. - 17 დეკემბერი. - № 171. - გვ. 3-4.

წყარო:

1. ი-ი (იმედაშვილი, იოსებ). ერთგული მოხელე // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 4. - გვ. 15. - ახლავს ფოტო.

ოვნათამოვი, იაკოვ იონათამის ძე (18..

– 19..) – მხატვარი-პორტრეტისტი, – თბილისელი, ცნობილი მხატვრის იონათამის შვილი ან შვილისშვილი, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთელ თბილისს ემსახურებოდა თავისი ფუნჯით: ქალაქს ფოტოგრაფის მაგიერობას უწევდა, – ზოგიერთ დიდი ხნის გარდაცვლილ ცნობილ კაცის სურათს მოგონებით, მახსოვრობით ხატავდა ხოლმე. ამგვარად აღადგინა და შთამომავლობას გადმოსცა ყველა ყოფილ უფროსთა პორტრეტები. რუსთაგან ცნობილი იყო, როგორც ქართველთა რაფაელი.

წყარო:

1. ლეონიძე, გ. ძველ ქართველ მხატვრებზე // ლიტერატურული საქართველო. - 1939. - 20 აგვისტო. - № 24. - გვ. 3-4.

ოლა ბატონიშვილი [ოლა ილიას ასული ბრუზინსკაია] (18.. – 1913, 19VI) – მწერალი და ქველმოქმედი, გიორგი XIII-ის ძის – ილია

ბატონიშვილის – ბაგრატიონის ასული, რუსთა მეფისაგან გრუზინსკაიად წოდებული, – დაიბადა ქ. მოსკოვში და იქვე აღიზარდა მამისა და ღრმად განათლებული აბრამ ჩრდილელის ხელმძღვანელობით და დედოფლის ფრეილინად ირიცხებოდა. გარდაიცვალა 1913 წლის ივნისის 19, დაიკრძალა იქვე.

ოლა ბატონიშვილი სამშობლო ქვეყნის მოყვარული იყო. მოსკოვის ქართველი სტუდენტების მშობლიური მზრუნველი და ყოველმხრივ დამხმარე. შეაგროვა ძველი ქართული ხელნაწერები, ნაბეჭდი წიგნები, მრავალი ისტორიული ძეგლი, სურათი და სხვ.

დანერა:

1. მოკლე ისტორიული წერილი „Сулхан Саба“ („Завкавказская речь“, 1913);
2. Воспоминания из времен царей Ираклия II и Георгия XIII. – ეს მოგონებანი აღწერა თავისი მამის – ილიას და აღმზრდელის – აბრამ ჩრდილელის ნაამბობის თანახმად, რომელშიაც ბევრი საყურადღებო ცნობაა მოყვანილი საქართველოს უკანასკნელ მეფეთა, ბატონიშვილთა და ოჯახობათა რუსეთში გადასახლების შესახებ;
3. Ираклий II: [ისტორიული პიესა]. – ი. ზ. ლუკიანოვის თანამშრომლობით დანერგილი.

გამოქვეყნებულია:

1. თრითინო: ქართული ძველი თქმულება თარგმნ. ალ. მელიქოვისა // აკაკის კრებული. - 1899. - № 5, განყ. I. - გვ. 45-55;
2. წვიმა: ამბავი XI საუკუნისა: ქართული ძველი თქმულებანი გულბათისა [თარგმანი ა. მელიქოვისა] // აკაკის კრებული. - 1899. - № 3, განყ. I. - გვ. 105-115.

1913 წელს მისი მოგონებანი დაიბეჭდა გაზეთ „ქართლში“.

წყარო:

1. Закавказская речь. - 1913. - № 147.

ონიანი, არსენ ზურაბის ძე (1879 – 1948, 6/III) – ეთნოგრაფი და ლინგვისტი, – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, – დაიბადა ქვემო სვანეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1900-1911 წლებში, სვანეთში მასწავლებლობდა, 1910-1933 წლებში, ნ. მარის დავალებით, კრებდა სვანურ საენათმეცნიერო და ეთნოგრაფიულ მასალებს. 1923 წელს, ნ. მარის განვევით, ლენინგრადში მონაწილეობდა სვანურ-რუსული ლექსიკონის შედგენაში, აგრეთვე, ნ. მარის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო ჩრდილო კავკასიაში მონეობილ სამეცნიერო ექსპედიციაში. 1938 წლიდან თანამშრომლობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, 1941 წლიდან – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტში.

მის ნაშრომთაგან აკად. ნ. მარის რედაქციით ლენინგრადში გამოქვეყნდა:

1. სვანური ტექსტები ლაშხურ კილოზე;
2. სვანური სოფლებისა და მცენარეთა სახელები ლაშხურ ენაზე.

ზემოხსენებულთა გარდა, სვანური ენისა და სვანეთის ეთნოგრაფიის შესასწავლად დიდძალი მასალა შეაგროვა.

გარდაიცვალა 1948 წლის 6 მარტს, თბილისში.

წყარო:

1. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო // სახალხო განათლება. - 1948. - 8 აპრილი. - № 15.

ონიაშვილი, ღაპით ეფრემის ძე (1883, 22/ XII – 1937, 14/VII) – მწერალი-მთარგმნელი და პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწე, – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, – ქართლიდან.

1904-1924 წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად ირიცხებოდა, 1918-1921 წლებში ნ. ჟორდანიას მთავრობაში მინათმოქმედების მინისტრად იყო. საქართველოს გასაბჭოების დღიდან 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამდე არა-ლეგალურად ცხოვრობდა. 1924 წელს პარიტეტულ კომიტეტში შევიდა, როგორც მენშევიკთა წარმომადგენელი და, სხვებთან ერთად, საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა, რისთვისაც ციხეში იჯდა. ციხიდან გაქცეული შეიპყრეს, მაგრამ აპატიეს.

ცალკე გამოცემულია:

1. ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება / დ. ონიაშვილი. - [გორი], [1913] (სტ. დ. მაჭავარიანისა). - 48 გვ.; 18 სმ.

თარგმნა და გამოცემულია:

1. გოეტე, იოჰან ვოლფგანგ. ფაუსტი / თარგმანი გერმანულით [და წინასიტყვაობა] დ. ონიაშვილის. - ტფ.: სახელგამი, 1927 (სამუს პოლიგრ. 1-ლი სტ.). - XI, 272 გვ.; 18სმ. - შენიშვნები, გვ. 253-272;
2. მარქსი, კარლ. კაპიტალი: კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა / მალაქია ტოროშელიძის რედ.; თარგმნილი გერმ. ფ. გოგინაიშვილის მიერ. - ტ. 1 / თარგმნ. გერმ. [დავით ონიაშვილის მიერ]; მალაქია ტოროშელიძის რედ.; [წინასიტყვ. ავტ. ქართ. გამოცემისათვის - მალაქია ტოროშელიძე; გერმ. სახალხო გამოცემისათვის - კარლ კაუცკი; მე-3 და მე-4 გამოცემისთვის - ფრიდრიხ ენგელსი]. - სახელგამი, 1930 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - LXXII, 804, [2] გვ.. - სახელთა და საგანთა საძიებელი გვ. 715-804.

გამოქვეყნებულია:

1. იურევი: (დორპატი) // ცნობის ფურცელი. - 1904. - 14 ოქტომბერი. - №2639. - გვ. 3;
2. დუშეთი: [მოსახლეობის შეკრება თავის საჭირობოროტო საკითხებზე მოსალაპარაკებლად] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 30 მარტი. - №2784. - გვ. 2;
3. დუშეთი: [მოქალაქეებისა და ვაჭრების მოთხოვნები] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 27 მარტი. - №2782. - გვ. 3;
4. რუსეთის რევოლუცია და გერმანიის საზოგადოება: (წერილი ლეიპციგიდან) // სხივი. - 1905. - 6 დეკემბერი. - №1. - გვ. 4;
5. კაპიტალიზმი და მეურნეობა: (აგრარული საკითხის გამო): [ეპიგრაფად კ. მარქსის სიტყვები] // ჩვენი ცხოვრება. - 1906. - 24 აგვისტო. - №4. - გვ. 3-4; 25 აგვისტო. - №5. - გვ. 3-4; 27 აგვისტო. - №7. - გვ. 2-3; 29 აგვისტო. - №8. - გვ. 2-4. - იგივე სტატია იხ. გაზ.: გრიგალი - 1906. - 12 სექტემბერი. - №3. - გვ. 2-3; 14 სექტემბერი. - №5. - გვ. 2-3; 22 სექტემბერი. - №11. - გვ. 2-3; 23 სექტემბერი. - №12. - გვ. 2-3; 28 სექტემბერი. - №15. - გვ. 2-3;
6. კრიზისი თანამედროვე ლიტერატურაში: დეკადანსი // ჩვენი გაზეთი. - 1910. - 6 ივნისი. - №54. - გვ. 2-3; 9 ივნისი. - №55; გვ. 2.

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

1. გოეთე, ი. ფაუსტი. ფაუსტი და ვაგნერი: [სამი სცენა ტრაგედიიდან] / იოჰან გოეთე; თარგმანი გერმანულით.

ლით იბერიელის [დავით ონიაშვილი] // ახალი კავკასიონი. - 1925. - №1. - გვ. 160-190;

2. ტანსკი, ლ. ორი ქვეყანა: [ლექსი] / ლ. ტანსკი; დ-ლი [დავით ონიაშვილი. მთარგმნ. რუსულიდან] // ახალი კავკასიონი. - 1925. - №1. - გვ. 136-138.

მის შესახებ:

1. ახალი ამბავი // ცნობის ფურცელი. - 1904. - 1 ივნისი. - №2511. - გვ. 2;
2. ახალი ამბავი: [ცნობები თ. სახოკიას და დავით ონიაშვილის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 9 მარტი. - №3022. - გვ. 2;
3. საგრამორა. გორი: [სამხედრო წესების შემოღება, დაპატიმრებულთა შორის არიან სანდრო კეცხოველი, დავით ონიაშვილი, ტატიშვილი და სხვ.] // ცნობის ფურცელი. - 1906. - 13 იანვარი. - №2978. - გვ. 4;
4. დავით ონიაშვილის გაქცევა და ხელმოწერა დაპატიმრება // კომუნისტი. - 1925. - 24 იანვარი. - №142. - გვ. 3.

წყარო:

1. ზემოსხენებული ნაშრომები;
2. მუშა. - 1924. - 10 სექტემბერი. - № 54;
3. გ-ი. დამცველთა კოლეგიის წმენდა. „ყოფილების“ ახალი სერია // კომუნისტი. - 1930. - 22 თებერვალი. - № 44. - გვ. 3.

ონიაშვილი, ათამ [ალექსანდრე] (- 1879) – მწერალი და ეროვნული მოღვაწე, – სპარსელი ქართველი, XVII საუკუნის დასაწყისში სპარსეთში გადასახლებულთაგანი, სპარსეთში დაბადებულ-აღზრდილი, არაბული წერა-კითხვის, სპარსულ და აღმოსავლურ ენათა მცოდნე, ქართულ ენაზე საუცხოოდ მოსაუბრე, სამშობლო ქვეყნის (საქართველოს) წარსულის მცნობი, – შეძლებული ოჯახის შვილი იყო. საქართველოს ამბებს თავის ოჯახში გაეცნო: მშობლებისგან შეიტყო, რომ საქართველოდან ძალით იყვნენ გადასახლებული დიდძალ ქართველობასთან ერთად. ყველა მათგანი შვილებს აგონებდა: ეცადეთ, აქ არ დარჩეთ და საქართველოში დაბრუნდითო. 1871 წელს ა. ონიკაშვილი ჩამოვიდა თბილისს და ქართველობას პირველმა მოუთხრო სამასი წლის წინ შაჰ-აბასის მიერ სპარსეთში (ფერეიდანში) გადასახლებულ ქართველთა შესახებ. ეს გადასახლებულნი ქართველნი, თურმე, საქართველოს და თავის მწარე ხვედრის (იძულებით გადასახლების) შესახებ თაობიდან თაობას ზეპირად მოუთხრობდნენ. საქართველოში ჩამოსული ა. ონიკაშვილი ჩვენმა საზოგადო მოღვაწე-მწერლებმა გაიცნეს, დიდი პატივით შეხვდნენ, სპარსელ ქართველთა ამბები გამოკითხეს. ა. ონიკაშვილმა მოუთხრო სპარსელ ქართველთა ამბები. ამ ამბებმა მშობლიური გრძნობით გაჟღინთა ქართველთა გული. ა. ონიკაშვილი ყოველ ქართველს აგულიანებდა, რომ მიეხედათ სპარსეთში გადასახლებული, უყურადღებოდ მიტოვებული თანამომქმეთათვის და

შემოეკავშირებინათ. ნიკ. დიმ. ყიფიანმა გრ. ორბელიანს წარუდგინა ა. ონიკაშვილი, ხოლო გრ. ორბელიანმა – დიდ მთავარს, რომელმაც ყურადღებით მიიღო. ამ დროს მონათლეს ალექსანდრეს სახელით. ადგილობრივ ქართველთა დახმარებით ა. ონიკაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააყენეს მეკარედ, სადაც სემინარიის მონაფეხებმა იოსებ ცხვედაძის მეთაურობით იკისრეს მისი სწავლა-განათლება. ა. ონიკაშვილი იმდენად მოემზადა ქართულ მწერლობაში, რომ გაზ. „დროებაში“ წერილების წერაც დაიწყო.

ამ ხანაში ა. ონიკაშვილს შეუყვარდა დიმ. ყიფიანის ასული ელენე (ლიოლა), რომელსაც ლექსი უძღვნა („დადეგ, დამიდეგ გული, შენ გენაცვალე, ხარ დახატული!.. შენ აბანოში მიდიოდე, მე უკან მოგდედე“). მისი ლექსები დაბეჭდილია „დროებაში“ და მის რედაქტორ სერ. მესხთან დაახლოებული იყო.

ა. ონიკაშვილმა მოიარა საქართველო, ყველგან ისაუბრა ძველი დროიდან საქართველოდან სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა წარსულისა და აწმყო მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, მათ საქართველოსკენ მოსწრაფებაზე და ქართველ საზოგადოებაში შექმნა სპარსელ ქართველთა და საქართველოს ურთიერთდაახლოების მისწრაფება.

პირველად ა. ონიკაშვილმა ამცნო ქართველობას, რომ „ქართველნი სპარსეთში ვეღარ შეინახავენ თავსა, რადგან თმენას და ბრძოლას სპარსებთან მობეზრებულნი არიანო“. პირველად ა. ონიკაშვილმა ამცნო ქართველობას, რომ სპარსეთში – ქ. შირაზის მახლობლად, ხუთი დღის სავალზე, ყულევის ხეობაზე, ქართველთა სოფლები მდებარეობს, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, სამშობლო – ქართული ენა სუფთად დაუცავთო. ეს სოფლებია: მარტყოფი, აფუსი, თელავი (თოლერი), ტაშქეშანი, ახჩა, ბოინი, მელაანი, მუკუზანი, მაჩხაანი, ზემო-აკურა (ზემო მარტყოფი), ქვემო-აკურა (ქვემო მარტყოფი), აგრეთვე, გილიანის ზღვისკენ – პატარძეული, ლილო, ნორიო, – 4010 კომლი, დაახლოებით 30.000 სული. ზ. ჭიჭინაძემ მისი ნაამბობი ცნობების თანახმად დაწერა „სპარსელი ქართველები“. მისი ჩამოსვლისა და საუბრების ნაყოფი იყო, რომ ლადო აღნიაშვილმა მოიარა ფერეიდანი და აღწერა იქაური ქართველები.

დაახლოებით 1876 წელს ა. ონიკაშვილი დაინიშნა საგარეჯოს დეპოში დახლიდრად. დეპოდან ნისიად ნაღებული საქონლის ვალი მონისიავეებმა აღარ დააბრუნეს და დეპომ იზარალა, რაც ა. ონიკაშვილმა ვერ აიტანა და თავი მოიკლა 1879 წელს.

დაწერა: „სპარსეთელი ქართველის წერილი“ („დროება“, 1874, № 427), მისსავე კალამს ეკუთვნის, სხვათა შორის, საქართველოში კომბოსტოს გაჩენის თქმულება („დროება“). ამ თქმულებით, საქართველოში კომბოსტო არ იყო, თურმე; ქართველობამ რუსეთიდან მოიტანა კომბოსტოს თესლი: არ იცოდა, რა ადგილას დაეთესა. სადაც დათესეს, კომბოსტომ ფურცლები ამოხეთქა და განზე გაიდგა, ყვავილებს ფოთლები გადააფარა და აღარ გაახარა, მაგრამ ველარ მოსპესო.

გამოქვეყნებულია:

1. სპარსეთელი ქართველის წერილი // დროება. - 1874. - 14 ივლისი. - №427. - გვ. 2;
2. ზღაპარი: თქმული ფერეიდნელი ქართველის მიერ // დროება. - 1875. - 21 მარტი. - №34. - გვ. 3. - რედაქციის შენიშვნა. - ხელმოწერა: სპარსელი ალექსანდრე ონიკაშვილი.

მის შესახებ:

1. ყიფიანი, ნიკ. ქართველების კალონია სპარსეთში // დროება. - 1872. - 31 მარტი. - №13. - გვ. 1-2.

წყარო:

1. ჭიჭინაძე, ზაქარია. ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი. - თბილისი: მ.ე. ხელაძის გამოცემა, № 1, 1895 (ექვთიმე ხელაძის სტ.). - 48 გვ.; 18სმ. - ტექსტის ბოლოს: ზ. ჭ.;
2. აღნიაშვლილი, ლადო. სპარსეთი და იქაური ქართველები: (მგ ზავრის წერილები). - ტფ., 1896 (ქართველთა წიგნის გამოცემული ამხანაგობის სტ.). - გვ. 189-191;
3. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ. ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 486.

ონიკაშვილი, ყოლაგ-ჰუსეინ აბდულ-მაბადის ძე (18.. - 19..)

– მოგზაურობის აღმწერი, – ფიდაი-რეგოლუციონერი, – ქართველთა ერთობის მოციქული და საზოგადო მოღვაწე, – სპარსელი ქართველი, სპარსეთის სოფ. მარტყოფიდან, სპარსული განათლებით. მამისი აბდულ მამადი შეგნებული პირი იყო (-1901), დედა ფათუმ ნაჯაბ ონიკაშვილის ასული (-1906), რომელთაც შვილს გაუღვიძეს და ჩაუნერგეს სამშობლოს სიყვარული.

ყ. ონიკაშვილი საქართველოში ჩამოვიდა 1907 წლის დასაწყისს თავის ამხანაგ ყოლამრეზ ხუციშვილთან ერთად და ლ. ბოცვაძესთან დასახლდა; ლ. ბოცვაძესთან ოთხიოდე თვეში შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, გადიკითხა ქართველი რჩეული მწერლები და წერილების წერას მიჰყო ხელი სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა შესახებ. თავისი მამულიშვილური გამოსვლა-მოწოდებებით ქართველთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ლაპარაკობდა ძველი ქართული მიმოქცევიით, უფრო ქიზიყური კილოთი. დედა-საქართველოს შესახებ: მოგვხედეთ, სკოლა გაგვისხენით, ქართული წიგნი გვასწავლეთო; თითონ ამხანაგებთან ერთად სპარსეთის ქართველებში დაიწყო მუშაობა. თავის სოფელში (სპარსეთის მარტყოფში, ფერეიდანს) დაბრუნებულს თანამემამულეებმა – ქართველებმა მოკვლა დაუპირეს: „სომეხი შექმნილა და ჩვენც გასომხებას გვიპირებსო“ (ნექე-

ბად – შეჩვენებულად გამოაცხადეს). მიუხედავად ამისა, მათ შორის დაიწყო ქართველების შესახებ ქადაგება და საქართველოს იდეის გავრცელება: უკითხავდა ქართულ წიგნებს, ფონოგრაფით უკრავდა ქართულ სიმღერებს, რამაც ბევრს ჩაუნერგა მამულიშვილური გრძნობა და საქართველოსკენ მისწრაფება, ეროვნული შეგნება, საქართველოს სიყვარული და ერთობის საჭიროება. ამ იდეის გასავრცელებლად გაყიდა საუკეთესო სახლი, ბალი, ოჯახის ნივთეულობა, რომ ერთი სკოლა მაინც გაეღო, დაიწყო ქართველთა, მათი ყოფა-ცხოვრებისა და ძველებური ამბების აღწერა. მისმა მუშაობამ 50.000 ქართველი გაათავითვნობიერა. მისი წერილები „ჩონი თავგადასავალი სპარსეთიდან საქართველოსაკენ მოგზაურობის დროს“ („ისარი“, 1907, № 111) საყურადღებოა ენით და სპარსეთის ვითარების აღწერით. მის მიერ ნაამბობი არაკი „ლომი და კურდღელი“ დაბეჭდილია ჟურ. „ნაკადული“ (1907, №21).

საქართველოში, ამხანაგთან ერთად, მართავდა ლექციებს (პირველად 1907 წლის ივნისის 24-ს, თბილისის საკრებულოს დარბაზში) სპარსულ ქართველთა შესახებ. მოიარა საქართველოს ზოგიერთი ქალაქი და ასეთივე მოხსენებანი გამართა, რითაც დიდი აღტაცება გამოიწვია.

სპარსეთში მონაწილეობდა ფიდაების ჯგუფში შაჰის წინააღმდეგ. საქართველოდან მეორედ დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს, როგორც რუსის პოლიტიკის მონაწილედ; რაკი ფერეიდანის გამოსაფხიზლებლად მუშაობდა, რუსეთმა თავის საწინააღმდეგოდ მიიჩნია და სპარსეთში გადაგზავნა. ამით აღელვებულმა ყ. ონიკაშვილმა ჯგუფი შეადგინა და რუსის კონსულს დაეცა მოსაკლავად, მაგრამ შეიპყრეს და მოკლეს.

გამოქვეყნებულია:

1. ლომი და კურდღელი: (არაკი) // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1907. - №21. - გვ. 19-20. - ჩანერილია ყოლამუსეინ ონიკაშვილის და ყოლამრეზ ხუციშვილის სიტყვით, ჩამწერი ლ. ბოცვაძე;
2. შვიდი თვე შესრულდა... // ისარი. - 1907. - 15 აგვისტო. - №178. - გვ. 4;
3. ჩონი თავგადასავალი სპარსეთიდან საქართველოსაკენ მოგზაურობის დროს // ისარი. - 1907. - 24 მაისი. - №111. - გვ. 2-3. - ტექსტს ახლავს რედაქციის შენიშვნა: №25 მაისი. - № 112. - გვ. 3;
4. ნიგნისი, 1908 წ. ჩემო საყვარელო მასწავლებლო... // განათლება. - 1908. - №5-6. - გვ. 191-192. - წერილი სპარსეთიდან. - წერილს დართული აქვს ალიყოლი ონიკაშვილის, მესიდაშვილის, აბას ონიკაშვილის, სეაფოლი ასიაშვილის და ოსმალი გულიაშვილის მიწვევები;
5. სპარსეთის ქართველებისაგან // განათლება. - 1908. - №5-6. - გვ. 187-190. - წერილში ჩართულია მოჰამედ სადებ ხანი მესიდაშვილის მისალმება ქართველი ხალხისადმი. - სკოლოში რედაქტორის შენიშვნა.

მის შესახებ:

1. დ. ჭიათურა... // ისარი. - 1907. - 21 ივლისი. - №158. - გვ. 1; 22 ივლისი. - №159. - გვ. 1;
2. ერმაკოვი, დ. ნ. - ა) ონიკაშვილი ყულამ-ჰუსეინ: [პორტრეტი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1907. - №9. - გვ. 3; ბ) ყოლამ-რეზა ხუციშვილი და ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი: [პორტრეტი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1907. - №15. - გვ. 1;
3. [მირიანაშვილი, ალექსი] (ან-მან). ნოშრევან-ყეინი: (სპარსული ზღაპარი ნამბობი ყოლამ უსეინ ონიკაშვილის მიერ) // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1907. - №4. - გვ. 17-22;
4. [ოყრეშიძე, დომენტი] (დ. თომაშვილი). სპარსეთის ქართველობას: (ონიკაშვილის და ხუციშვილის მოგზაურობის გამო). [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1907. - №9. - გვ. 3-5;
5. სალიტერატურო დილა // ისარი. - 1907. - 21 ივნისი. - №133. - გვ. 2;
6. სალიტერატურო დილა სპარსელ ქართველების შესახებ // ისარი. - 1907. - 26 ივნისი. - №137. - გვ. 2;
7. სპარსეთის ქართველების შესახებ // ისარი. - 1907. - 29 ივნისი. - № 140. - გვ. 1-2;
8. სპარსელი ქართველები ტფილისში // ისარი. - 1907. - 11 იანვარი. - №5. - გვ. 2;
9. სპარსელი ქართველები // ჩვენი სიტყვა. - 1907. - 3 აგვისტო. - №14. - გვ. 2;
10. ქართული წარმოდგენა // ისარი. - 1907. - 17 აგვისტო. - №179. - გვ. 3;
11. ქუჩუკაშვილი შიო (შ. მღვიმელი). გამოთხოვება: [ლექსი] // ნიშადური. - 1907. - №1. - გვ. 2. - ლექსის ბოლოს რედაქციის შენიშვნა;
12. ძმ. ნიკიტინების თეატრში... // ისარი. - 1907. - 15 აგვისტო. - №178. - გვ. 1;
13. ჯავახი. სოფ. ბაკურიანი // ისარი. - 1907. - 22 ივლისი. - №159. - გვ. 2;
14. ჰერკულესი. ქ. ოზურგეთი: (გურია) // ჩვენი სიტყვა. - 1907. - 28 ივლისი. - №9. - გვ. 1;
15. იმედიც კაი საქონელია: ზღაპარი. ნამბობი სპარსეთის ქართველ ყოლა-მუსეინ ონიკაშვილის მიერ // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მოზრდილთათვის. - 1908. - №7. - გვ. 18-24;
16. სკოლა ფერეიდნელებისათვის // ამირანი. - 1908. - 29 აგვისტო. - №145. - გვ. 3;
17. ქ.შ.წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების // ამირანი. - 1908. - 13 ივლისი. - №107. - გვ. 3;
18. ქართველი სპარსელები: ონიკაშვილი და ხუციშვილი [ფოტო] // სახალხო კალენდარი. - 1908. - გვ. 207;
19. წერილი სპარსეთიდან // ისარი. - 1908. - 29 თებერვალი. - №48. - გვ. 2;
20. დაპატიმრება // ჩვენი გაზეთი. - 1910. - 8 მაისი. - №30. - გვ. 3;
21. [ორჯონიკიძე, სერგო] (სერგო კლდისძირელი). წერილი რეშტიდან: (საკუთარი კორესპონდენტისაგან) // ახალი სხივი. - 1910. - 7 თებერვალი. - №4. - გვ. 2;
22. ამჟამად თბილისში იმყოფება... // სიმართლის გზა. - 1917. - №2. - გვ. 3. - პატარა დღიური.

წყარო:

1. ს. სალარიძის ნამბობი;
2. ბოცვაძე, ლ. ყოლამრეზა ხუციშვილი: [ფერეიდნელი ქართველის ნეკროლოგი] // ნიშადური. - 1907. - №9. - გვ. 15;
3. ჭიჭინაძე, ზაქარია. ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველები / ზ. ჭიჭინაძისა. - მე-3 დამატ. გამოც. - თბ.: ავტორის გამოცემა, 1907 („ძმობის“ სტ.). - გვ.: 62, 63, 67, 80;
4. ონიკაშვილი, ყოლამ ჰუსეინ. სპარსეთის ქართველები-საგან // განათლება. - 1908. - №5-6. - გვ. 187-190;
5. ქართული ბიბლიოგრაფია: 1. ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. - პეტროგრადი, 1916. - გვ. 27.

ონოზრიო, პატრი (XVIII – XIX სს.) – ეკლესიათა მშენებელი.

– ჩამომავლობით ქართველი, წმ. დომინიკეს წესის ბერი, – პოლონეთის ერთ-ერთი მონასტრიდან. გორში დაიწყო კათოლიკეთა მონასტრისა და ეკლესიის შენება და თავის სიცოცხლეშივე დაასრულა.

წყარო:

1. თამარაშვილი, მიქელ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნეიდგან ვიდრე XX საუკუნემდე / მღვდელი მიქელ თამარაშვილი. - ტფ.: ავტორის მიერ გამოცემული, 1902 (ქართველთა ამხანაგობის სტ.). - გვ. 508.

ორაგველიძე, კარლო (1902 – 1937, 11/X)

– ეკონომისტი, – ქართული ორიგინალური მარქსისტული ეკონომიკური ლიტერატურის ერთი შემქმნელთაგანი. – იყო საქართველოს კპ (ბ) ცკ-ს ლენინიზმისა და მარქსიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და სხვ.

წერდა მიმდინარე ხანის ეკონომიკის, აბსოლუტური რენტის, აგრარული საკითხისა და სხვ. შესახებ. მისი რედაქტორობით გამოვიდა კ. მარქსის: 1. „საქიარაო შრომა და კაპიტალი“, ტფ., 1929; 2. „შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, ტფ., 1930.

მისი წინადადებით, შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესათვის გაზ. „კოლექტივიზაციამ“ დაიწყო შოთას სახელობის კულტურული ლაშქრობა, დიდძალი ხალხური შემოქმედების მასალა შეაგროვა და სამ ტომად გამოსცა „საუნჯის“ სახელწოდებით, კ. ორაგველიძის რედაქტორობით. მისივე რედაქტორობით შედგენილ იქნა ვრცელი (51.000 სიტყვა) რუსული-ქართული ლექსიკონი (თბ., 1937, 1192 გვ.).

ცალკე გამოცემულია:

1. „მარქსის“ შესახებ. - ტფილისი: საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო

განყოფილების გამ. № 80, 1924 (ს.მ.უ.ს. პოლიგრ. განყ. მე-3 სტ.). - 36 გვ.; 18სმ.. - [რეპრესირებული გამოცემა];

2. რელიგია და მასთან ბრძოლა: (ნერილები და მასალები ანტირელიგიურ პროპაგანდისათვის) / საქ. კპ (ზ). - ტფ.: ს.კ.პ. ცენტრ. კომ. გამ-ბა № 102, 1924 (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრ. განყ. 1-ლი სტ.). - 42, [1] გვ.; 18სმ.. - [რეპრესირებული გამოცემა];
3. რუსეთის კომუნისტური პარტიის მოკლე ისტორია / საქ. კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). - ტფ.: ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობა № 84, 1924 (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრ. განყ. 1-ლი სტ.). - 30, [2] გვ.; 22სმ.;
4. ნამდვილი და ყალბი მარქსიზმი: [ნოე ჟორდანის საპასუხოდ]. - [ტფ.]: სახელმწ. გამ-ბა, 1927 (ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მე-4 სტ.). - VI, 202, [1] გვ.; 23სმ. - [რეპრესირებული გამოცემა];
5. ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა“ / [ავტორის წინასიტყვაობით]. - ტფ.: სახელგამი, 1927 (ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტ.). - 94, [1] გვ.; 18სმ.. - [რეპრესირებული გამოცემა]; *მეორე შესწორებული გამოცემა*. - ტფ.: *პარტგამომცემლობა, 1935 (პარტგამომცემლობის 1-ლი სტ.). - 91 გვ.; 18სმ.*;
6. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. - [ტფ.]: სახელგამი, 1929 (პოლიგრაფტრ. მე-ნ სტ.). - 94 გვ.; 17სმ. - (პოპულარული ლიტერატურა);
7. აბსოლუტური რენტის თეორია / კ. ორაგველიძე. - ტფ.: ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტის“ გამოც., 1930 (საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტ.). - 45, [2] გვ.; 25სმ.. - *უთავფურცლოა, აწერილია კანის მიხედვით. - ბიბლიოგრ. ტექსტ. შენიშვნ.; აგრეთვე: ტფ.: სახუნტი, 1935 (სახუნტის სტ.). - 65 გვ.; 22სმ.*;
8. კაპიტალიზმის განვითარება ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში. - ტფ.: სახელგამი, 1930 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 131 გვ.; 18სმ.; *მე-2 შეეს. გამოცემა*. - ტფ.: საქ. სოც. მეურნეობა, 1936 (საქ. სახკომსაბჭოს სტ.). - 120 გვ.; 22სმ.. - *ბიბლიოგრაფია: „ლიტერატურა“ ქართ. რუს. ენაზე (79 სახელწ.);*
9. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პრობლემები. - ტფ.: საქ. საფინანსო-კოოპ. ინსტ. გამ-ბა № 5, 1930 (პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 111 გვ.; 26სმ.. - *დანართი: დამატებანი გვ. 83-100. - ბიბლიოგრაფია ტექსტის ბოლოს;*
10. ბურჟუაზიული ეკონომისტები საბჭოთა ეკონომიკის შესახებ / ამიერკავკასიის ეკონომიურ გამოკვლევათა ინ-ტი. - ტფ.: ჟურ. საქართველოს სოციალისტური მეურნეობას გამ-ბა, 1931 (საქ. სახკომსაბჭოს სტ.). - 209, [2] გვ.; 17სმ.;
11. აგრარიკ-მარქსისტების კონფერენციაზე ამხ. სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის სამი წლისთავი / საქ. ცკ არსებ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტი. - ტფ.: ჟურნ. საქ. სოც. მეურნეობას-ს გამ-ბა, 1933 (სახკომსაბჭოს სტ.). - 19 გვ.; 28სმ.;
12. კარლ მარქსი როგორც ეკონომისტი: ვარდაცვალების 50 წლის თავისათვის / საქ. ცაკთან არსებ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის ეკონომიური სექცია. - ტფ.: ჟურნ. საქ. სოციალისტური მეურნეობა, 1933 (საქ. სახკომსაბჭოს სტ.). - 112 გვ.; სურ.; 17სმ.;

13. პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის / საქართველოს ცაკთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ეკონომიური სექცია. - ტფ.: ჟურნ. საქ. სოც. მეურნეობას გამ-ბა, 1933 (საქ. სახკომსაბჭ. სტ.). - 69 გვ.; 17სმ.;
14. რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის / რედ.-კორექტორი პ. კუჭაიძე. - ტფ.: ჟურნ. საქ. სოც. მეურნეობა, 1935 (საქსახკომსაბჭოს სტ.). - 80 გვ.; 22სმ. - *ბიბლიოგრ.: „გამოყენებული ლიტერატურის სია“ (47 სახელწ. რუს. ენაზე);*
15. საქართველოს ისტორიის საკითხებისათვის. - ტფ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა და სტ., 1936. - 65 გვ.; 23სმ.. - *ბიბლიოგრაფია: „ლიტერატურა“ სქოლიოებში.*

მისი რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოცემულია:

1. მარქსი, კარლ. - ა) საქირაო შრომა და კაპიტალი. - ტფ.: შრომა, 1929 (კავ. წ. დრ. ჯარის სტ.). - 106 გვ.; 18სმ. - (მცენიერული სოციალიზმის ბიბლიოთეკა); ბ) შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის / თარგმნილი გერმანულით გ. ქიქოძისა; [წინასიტ. ავტ.: კ. ორაგველიძე]. - ტფ.: საქ. ეკონომისტი, 1930 (საქ. სახკომსაბჭოს სტ.). - 55 გვ.; 18სმ. - (თეორიული ეკონომიის ბიბლიოთეკა);
2. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი = Тифлисский Государственный университет / [პ/მ რედ. კ. ორაგველიძე; ფოტ. ი. პანფილოვი]. - ტფ., 1936 (სახ. უნ-ტის ტიპო-ლიტოგრაფ.). - 88 გვ.; ფოტ.; 35სმ.;
3. რიკარდო, დავიდ. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგერის საფუძვლები = *Начала политической экономии и податного обложения = The principles of the political economy and taxation* / დავიდ რიკარდო; კ. ორაგველიძის წინასიტყვაობით; თარგმნ. ინგლ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ; თსუ, ეკონ. მეცნ. კაბინეტი. - თბილისი: სახუნტის გამომცემლობა და სტ., 1937. - VIII, 384 გვ.; პორტრ.; 22 სმ. - პარალ. თავფურ. რუს.-ინგლ. ენ.. - ბიბლიოგრ.: გვ. 371-385;
4. რუსულ-ქართული ლექსიკონი: (51.000 სიტყვა). - თბ.: სახუნტის გამომცემლობა და სტ., 1937. - XXIV, 1192 გვ.; 25სმ. - წანართი: ქართულ შემოკლებათა სია (გვ. XV-XXIV). - დანართი: საბჭ. სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შედგენილობა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შედგენილობა, შესწორებანი და დამატებანი. (გვ. 1175-1192). - თავფურცელი: ქართულ-რუსულ ენებზე.

გამოქვეყნებულია:

1. ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია: (მოსხენებები ადგილებიდან). ლანჩხუთის ორგანიზაცია // ახალი კვალი. - 1918. - №7. - გვ. 15. - ტექსტის ბოლოს: მომხსენებელი კ. ორაგველიძე;
2. გურიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების მეორე კონფერენცია // ახალი კვალი. - 1918. - №7. - გვ. 14-15. - ტექსტს ბოლოს ხელმოწერა: კონფერენციის მდივანი: კ. ორაგველიძე;
3. მოვანყოთ შაბათობა: [საქართველოში] // კომუნისტი. - 1921. - 13 მაისი. - №58. - გვ. 4; ღია წერი-

- ლი ოზურგეთის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრს ალექსი გიორგაძეს: [წერილის ავტორის მიერ ოზურგეთში წაკითხულ ლექციაზე მომხდარ ინციდენტის გამო] // ახალი კომუნისტი: საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი №14. - 1920. - 26 ნოემბერი. - №104. - გვ. 4;
4. ამოძრავდნენ!: [მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილ ქართველი სტუდენტების პროვოკაციული გამოსვლების გამო] // კომუნისტი: საქართველოს წითელი ახალგაზრდობის ფურცელი №35. - 1921. - 24 დეკემბერი. - №245. - გვ. 4;
 5. აღსრულდა!: [ახალგაზრდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ] // კომუნისტი: საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი №5. - 1921. - 29 აპრილი. - №48. - გვ. 3;
 6. ეკონომიური კრიზისი და პროლეტარული ახალგაზრდობა // კომუნისტი: (წითელი ახალგაზრდობის ფურცელი №15). - 1921. - 10 ივლისი. - №105. - გვ. 4;
 7. თეზისები მოხსენებისათვის ახალგაზრდა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შესახებ // კომუნისტი. - 1921. - 1 ივლისი. - №97. - გვ. 4. - წითელი ახალგაზრდობის ფურცელი №14;
 8. კვლავ პერერევისტრაციის შესახებ // კომუნისტი: საქართველოს ახალგაზრდობის ფურცელი №10. - 1921. - 3 ივნისი. - №75. - გვ. 4;
 9. კიდევ სამაზრო კონფერენციებზე // კომუნისტი: (წითელი ახალგაზრდობის ფურცელი №13). - 1921. - 26 ივნისი. - №93. - გვ. 4;
 10. მეორე კონგრესი // კომუნისტი. - 1921. - 19 აპრილი. - №39. - გვ. 4. - საქართველოს კომკავშირელი ახალგაზრდობის ფურცელი №4;
 11. ჩვენი თათბირი // კომუნისტი. - 1921. - 14 აპრილი. - №35. - გვ. 4. - საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი №3;
 12. ცოცხლებს ვეძახით: [ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ] // კომუნისტი: საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი №9. - 1921. - 29 მაისი. - №71. - გვ. 4;
 13. ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომკავშირის მეორე ყრილობა // კომუნისტი. - 1922. - 19 აგვისტო. - №190. - გვ. 4. - საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი №45;
 14. გამარჯვებისაკენ: [წერილი მოსკოვიდან ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ] // კომუნისტი. - 1922. - 5 იანვარი. - №4. - გვ. 1;
 15. კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის დაახლოვების კვირა // კომუნისტი: საქართველოს წითელი ახალგაზრდობის ფურცელი №38. - 1922. - 14 იანვარი. - №11. - გვ. 4;
 16. ოქტომბერი ივლისის წინააღმდეგ: [ოქტომბრის რევოლუციისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ] // კომუნისტი. - 1922. - 7 ნოემბერი. - №257. - გვ. 1;
 17. „სამსჯავროს“ წინაშე: შთაბეჭდილებანი: [პარტიის წმენდის გამო მოსკოვის ერთ-ერთი სტამბის მაგალითზე. წერილი მოსკოვიდან] // კომუნისტი. - 1922. - 4 იანვარი. - №3. - გვ. 1;
 18. აგიტაცია-პროპაგანდის საკითხები // კომუნისტი. - 1923. - 27 ნოემბერი. - №273. - გვ. 1;
 19. აგიტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში: გამომცემლობის დარგში საჭიროა სისტემა // კომუნისტი. - 1923. - 4 სექტემბერი. - №202. - გვ. 1;
 20. აგიტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში: [წერილი] // კომუნისტი. - 1923. - 29 აგვისტო. - №197. - გვ. 1; 7 სექტემბერი. - №205. - გვ. 1. - შინაარსი: ანტირელიგიური პროპაგანდა თუ ანტირელიგიური კამპანია?. - უღმერთოთა კავშირის შესახებ;
 21. ამხანაგი ბორის ძნელადე: [ნეკროლოგი] // კომუნისტი. - 1923. - 10 ოქტომბერი. - №232. - გვ. 1;
 22. ახალი ამოცანების შესახებ: [საქართველოს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირის გამო] // კომუნისტი. - 1923. - 25 ნოემბერი. - №272. - გვ. 1;
 23. აჯანყების წინ: [გერმანიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 22 ოქტომბერი. - №243. - გვ. 1;
 24. გაუგებრობა თუ შეცდომა?: [ამხ. რ. კალაძის წერილის გამო]: ენის და ეროვნულ საკითხზე // კომუნისტი. - 1923. - 4 ოქტომბერი. - №227;
 25. გაუგებრობა თუ შეცდომა?: [გამოხმაურება გაზ. კომუნისტში №224 დაბეჭდილი რ. კალაძის წერილის „ჩვენი პრესა“ შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 4 ოქტომბერი. - №227. - გვ. 1;
 26. ვინ არიან ფაშისტები? // კომუნისტი. - 1923. - 27 ოქტომბერი. - №248. - გვ. 1; 30-31 ოქტომბერი. - №250-251. - გვ. 1;
 27. თათბირის შედეგები: [საქართველოს კომუნისტური პარტიის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირის შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 5 დეკემბერი. - №280. - გვ. 1;
 28. თანამედროვე სოფლის შესახებ // კომუნისტი. - 1923. - 11 ნოემბერი. - №263. - გვ. 1;
 29. კვლავ ჩვენი პრესის შესახებ // კომუნისტი. - 1923. - 7 ოქტომბერი. - №230. - გვ. 1-2;
 30. კომკავშირის დღესასწაული: [კომკავშირის დაარსებიდან 6 წლის შესრულების გამო] // კომუნისტი. - 1923. - 20 ნოემბერი. - №267. - გვ. 1;
 31. მაკრატლის მიზეზები: [ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 21-22 დეკემბერი. - №294-295. - გვ. 1;
 32. მაკრატლის საკითხის გამო: [ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში] // კომუნისტი. - 1923. - 20 დეკემბერი. - №293. - გვ. 1;
 33. პოლიტიკური ცოდნის გადასინჯვა // კომუნისტი. - 1923. - 11 სექტემბერი. - №208. - გვ. 1;
 34. პროვინციაში: [წერილები] // კომუნისტი. - 1923. - 27 ნოემბერი. - №273. - გვ. 4. - წერილებს შორის: დროა საქმე დავასრულოთ. სასკოლო მშენებლობა მუხუთში / კ. ორაგველიძე, ალ. ბუკალავა;
 35. პროლეტარული რევოლუცია და წერილი ბურჟუაზია // კომუნისტი. - 1923. - 30 სექტემბერი. - №224. - გვ. 2-3;
 36. რაზე უნდა ვწეროთ: ჩვენი პასუხი ამხ. მუშკორ ალ. ბ-შვილს: [დისკუსია პრესის შესახებ] // კომუნისტი. - 1923. - 2 ოქტომბერი. - №225. - გვ. 1;

37. რელიგია და მარქსიზმი // კომუნისტი. - 1923. - 21 ოქტომბერი. - №242. - გვ. 4-5;
38. საბჭოთა პარტიული სკოლები და მათი ამოცანები: [ავიტაციისა და პროპაგანდის საკითხები] // კომუნისტი. - 1923. - 1 სექტემბერი. - №200. - გვ. 1;
39. საბჭოთა ხელისუფლება და „მაკრატლის“ პრობლემა // კომუნისტი. - 1923. - 23-25 დეკემბერი. - №296-297. - გვ. 1;
40. ჩემი უკანასკნელი პასუხი: [ამხანაგ რ. კალაძეს]: ენის და ეროვნულ საკითხზე // კომუნისტი. - 1923. - 12 ოქტომბერი. - №234. - გვ. 1;
41. ჩვენი პრესა: [დისკუსიისათვის] // კომუნისტი. - 1923. - 18 სექტემბერი. - №214. - გვ. 1;
42. წერილები // კომუნისტი. - 1923. - 29 აგვისტო. - №197. - გვ. 1; 30 აგვისტო. - №198. - გვ. 1; 1 სექტემბერი. - №200. - გვ. 1; 4 სექტემბერი. - №202. - გვ. 1; 6 სექტემბერი. - №204. - გვ. 1; 7 სექტემბერი. - №205. - გვ. 1; 8 სექტემბერი. - №206. - გვ. 1. - შინაარსი: ავიტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში; ანტირელიგიური პროპაგანდა თუ ანტირელიგიური კამპანია?; სამაზრო გაზეთი და მისი დანიშნულება; საბჭოთა პარტიული სკოლები და მათი ამოცანები; გამომცემლობების დარგში საჭიროა სისტემა; ახალი თუ ძველი სტუდენტობა უღმერთო კავშირის შესახებ; დასკვნა; სად უნდა იქნას ყურადღების ცენტრი;
43. ავიტაციისა და პროპაგანდის შესახებ: [საქართველოს კომპარტიის ყრილობისათვის] // კომუნისტი. - 1924. - 8 მაისი. - №103. - გვ. 2;
44. ათი წლის იუბილე: მსოფლიო ომის ათი წლისთაზე: [წერილები] // კომუნისტი. - 1924. - 29 ივლისი. - №170. - გვ. 3;
45. ახალი გზა სწავლა-განათლების საქმეში // კომუნისტი. - 1924. - 31 ივლისი. - №172;
46. ახალი გურია: [შთაბეჭდილებანი] // კომუნისტი. - 1924. - 15 მაისი. - №109. - გვ. 3;
47. ახალი ნაკადი: [კომუნისტური პარტიის რიგებში] // კომუნისტი. - 1924. - 20 აპრილი. - №90. - გვ. 1;
48. გადასახადების შესახებ: [ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის გამო] // კომუნისტი. - 1924. - 27 თებერვალი. - №47. - გვ. 1;
49. ინგლისის კომუნისტური პარტია და პარლამენტის არჩევნები // კომუნისტი. - 1924. - 18 ოქტომბერი. - №239. - გვ. 1;
50. კარლ მარქსი და ლენინი // კომუნისტი. - 1924. - 26 იანვარი. - №21;
51. კოლპერატორთა მომზადებისათვის // კომუნისტი. - 1924. - 31 ივლისი. - №172. - გვ. 1;
52. ლენინის ნაწერების გამოცემა ქართულ ენაზე // კომუნისტი. - 1924. - 18 მარტი. - №63;
53. ლიტერატურის გაიფების შესახებ // კომუნისტი. - 1924. - 9 იანვარი. - №8;
54. მსოფლიო ომი და მეორე ინტერნაციონალი // ახალი კომუნისტი. - 1924. - 5 მარტი. - №53. - გვ. 1;
55. მუშათა პრესის წარსულიდან საქართველოში: მოკლე მიმოხილვა // კომუნისტი. - 1924. - 5 მაისი. - №100. - გვ. 1-3;
56. ნაციონალური საკითხი და კომუნიზმი // მომავალი. - 1924. - №9-10. - გვ. 5-12;
57. პარტიული სკოლების გამოშვება // კომუნისტი. - 1924. - 12 ივნისი. - №133. - გვ. 2;
58. პარტიული სკოლების წარმომადგენელთა თათბირის შედეგები // კომუნისტი. - 1924. - 28 თებერვალი. - №48. - გვ. 2;
59. პარტიული ცხოვრების საკითხები // კომუნისტი. - 1924. - 18 აპრილი. - №88. - გვ. 3;
60. ყურნალის გამოცემის შესახებ: [სამეცნიერო-პოლიტიკური და ლიტერატურული ყურნალის თაობაზე] // კომუნისტი. - 1924. - 11 იანვარი. - №9. - გვ. 1;
61. რელიგიის საკითხი ჩვენში და დასავლეთ ევროპაში // კომუნისტი. - 1924. - 27 აპრილი. - №96. - გვ. 1;
62. როგორ უნდა იქნეს შესწავლილი ლენინიზმი? // კომუნისტი. - 1924. - 9 მარტი. - №57. - გვ. 3;
63. სასოფლო სამეურნეო ლიტერატურის გამომცემლობის შესახებ // კომუნისტი. - 1924. - 19 თებერვალი. - №41. - გვ. 1;
64. საქართველოს საბჭოთა პარტიული სკოლების თათბირისათვის // კომუნისტი. - 1924. - 9 თებერვალი. - №33. - გვ. 2;
65. ფულის საკითხის გამო: [წერილები] // კომუნისტი. - 1924. - 30 აპრილი. - №98. - გვ. 1; 9 მაისი. - №104. - გვ. 1;
66. ყოფა-ცხოვრების საკითხები ჩვენში // კომუნისტი. - 1924. - 25 ივლისი. - №167. - გვ. 1;
67. ცოტა რამ ლენინიზმის შესახებ // კომუნისტი. - 1924. - 20 თებერვალი. - №42. - გვ. 2-3;
68. წერა-კითხვის უცოდინარობა და მასთან ბრძოლა // კომუნისტი. - 1924. - 12 იანვარი. - №10. - გვ. 1;
69. აბრამოვიჩი და ქართველი მენშევიკების ტაქტიკა // კომუნისტი. - 1925. - 18 იანვარი. - №15. - გვ. 1;
70. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გახრწნა // კომუნისტი. - 1925. - 18 თებერვალი. - №40. - გვ. 1;
71. ვინ არიან ფაშისტები? // კომუნისტი. - 1925. - 27 ოქტომბერი. - №248. - გვ. 1;
72. ინგლისში ეკონომიური ცხოვრების მდგომარეობა // კომუნისტი. - 1925. - 28 ივნისი. - №146. - გვ. 1;
73. კონტრრევოლუციონური ემიგრაციის ზღაპრები: [საბჭოთა კავშირის შესახებ] // კომუნისტი. - 1925. - 15 იანვარი. - №12. - გვ. 1;
74. მარქსიზმი და პროლეტარიატის და გლეხ-კაცობის კავშირის საკითხზე // კომუნისტი. - 1925. - 10-11 იანვარი. - №8-9. - გვ. 2;
75. ორი სტაბილიზაცია: კაპიტალიზმის სტაბილიზაცია: საბჭოთა სტაბილიზაცია // კომუნისტი. - 1925. - 28 ივნისი. - №146. - გვ. 2; 1925. - 5 ივლისი. - №152. - გვ. 3;
76. რატომ აჯანყდა ჩინეთის ხალხი // კომუნისტი. - 1925. - 14 ივლისი. - №159. - გვ. 1;
77. საბჭოთა ნეობილევა და ნოე ყორდანია: [წერილები] // კომუნისტი. - 1925. - 13-15 სექტემბერი. - №210-211. - გვ. 2-3-4; 26-27 სექტემბერი. - №221-222. - გვ. 2-3; 30 სექტემბერი. - №224. - გვ. 2; 4-6 ოქტომბერი. - №228-229. - გვ. 2. - შინაარსი: საბჭოთა ნეობილევა და ნოე ყორდანია „მარქსიზმი“; მრეწველობის საკითხი; აგრარული საკითხი; გლეხკაცობის საკითხი, მარქსიზმი და ნოე ყორდანია; პროლეტარული რევოლუცია; პროლეტარიატის დიქტატურა და ნ. ყორდანია „დემოკრატია“; აღმოსავლეთი და დასავლეთი;

78. სოფლის მუშაკების მომზადებისათვის // კომუნისტი. - 1925. - 10 თებერვალი. - №33. - გვ. 1;
79. ფრიდრიხ ადლერი, მარქსიზმი და ლენინიზმი // კომუნისტი. - 1925. - 12 თებერვალი. - №35. - გვ. 1;
80. ბურჟუაზიის უდიდესი ლაქია // კომუნისტი. - 1926. - 1 ივნისი. - №122. - გვ. 2;
81. ინგლისის კაპიტალიზმის დაცემა // კომუნისტი. - 1926. - 20 ივნისი. - №139. - გვ. 1;
82. საით მივყვართ ოპოზიციის ეკონომიურ წინადადებებს // კომუნისტი. - 1926. - 14, 16 ნოემბერი. - №261, 262. - გვ. 2;
83. ქართული მენშევიზმის სოციალური ბუნება // კომუნისტი. - 1926. - 10 ივლისი. - № 156. - გვ. 2-3; 14 ივლისი. - № 159. - გვ. 2; 16 ივლისი. - № 161. - გვ. 2;
84. ჩვენი მეურნეობის საკითხები // კომუნისტი. - 1926. - 6 ივნისი. - №127. - გვ. 1; 8 ივნისი. - №128. - გვ. 1; 13 ივნისი. - №133. - გვ. 1;
85. განსაზოგადოების პროცესების შესახებ სოფლის მეურნეობაში // კომუნისტი. - 1927. - 14 აგვისტო. - №184. - გვ. 2-3;
86. განსაზოგადოების სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული ფორმა // კომუნისტი. - 1927. - 21 აგვისტო. - №180. - გვ. 2;
87. მარქსიზმი და მინათმოქმედების არაკაპიტალისტური ევოლუციის საკითხი // კომუნისტი. - 1927. - 13 ივლისი. - №157. - გვ. 2;
88. რას ნიშნავს წარმოების განსაზოგადოება? // კომუნისტი. - 1927. - 27 სექტემბერი. - №218. - გვ. 2, 3;
89. სოციალიზმი და გლეხური მეურნეობა // კომუნისტი. - 1927. - 30 ივნისი. - №146;
90. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის და გზები მისი აღმოფხვრისათვის // კომუნისტი. - 1927. - 8 ივლისი. - №159. - გვ. 2;
91. მემარჯვენე გადახრა კომუნისტურ ინტერნაციონალში // კომუნისტი. - 1928. - 18 ნოემბერი. - №267. - გვ. 1;
92. მემარჯვენე გადახრა, როგორც მთავარი საფრთხე ჩვენს პარტიაში // კომუნისტი. - 1928. - 24 ნოემბერი. - №272. - გვ. 2;
93. მრეწველობის განვითარების საკითხები და მემარჯვენე გადახრა // კომუნისტი. - 1928. - 11 დეკემბერი. - №286. - გვ. 2;
94. სასოფლო მეურნეობის საკითხები და მემარჯვენე გადახრა // კომუნისტი. - 1928. - 4 დეკემბერი. - №280. - გვ. 2;
95. ქართული ნეო-მენშევიზმის ეკონომიური პოლიტიკა: (გრ. ლორთქიფანიძის წერილის გამო) // კომუნისტი. - 1928. - 16 ოქტომბერი. - № 340. - გვ. 2-3;
96. იდეოლოგიური გარდატეხა: [პროფესორ ჩაიანოვის წერილი: „От классової крестьянской кооперации к социалистической реконструкции сельского хозяйства“: გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნი“ №38 1929 წლის 15 თებერვალი: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1929. - 18 აგვისტო. - №189. - გვ. 2;
97. ინდუსტრიალიზაციის ტემპი და მემარჯვენე გადახრა // კომუნისტი. - 1929. - 20 სექტემბერი. - №217. - გვ. 2;
98. კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობანი ხუთი წლის შემდეგ // კომუნისტი. - 1929. - 18 აგვისტო. - №189. - გვ. 2;
99. კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების ახალი პერიოდი[ტრაქტორები] // კომუნისტი. - 1929. - 9 მარტი. - №55. - გვ. 2;
100. მანქანა-ტრაქტორების სადგურები და მათი მნიშვნელობა: [საქართველოს კომპარტიის (ბ) მეექვსე ყრილობისათვის] // კომუნისტი. - 1929. - 3 ივლისი. - №150. - გვ. 2-3;
101. მეტი ყურადღება თეორეტიულ ფრონტს // კომუნისტი. - 1929. - 26 სექტემბერი. - №222. - გვ. 2, 3;
102. სახელმწიფო სტატისტიკა რეკონსტრუქციის პერიოდში // კომუნისტი. - 1929. - 12 დეკემბერი. - №286;
103. სოფლად მუშაობა რეკონსტრუქციულ პერიოდში // კომუნისტი. - 1929. - 30 ივნისი. - №148. - გვ. 3;
104. სუბტროპიკული აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი: [დასავლეთ საქართველოში] // კომუნისტი. - 1930. - 10 იანვარი. - №8. - გვ. 2;
105. ბურჟუაზიული პრესა საბჭოთა ეკონომიკის შესახებ // კომუნისტი. - 1931. - 11 ნოემბერი. - №259. - გვ. 2, 3; 18 ნოემბერი. - №264. - გვ. 2, 3; 20 ნოემბერი. - №266. - გვ. 2;
106. პროფესორი ფრანც ოპენჰაიმერი საბჭოთა ეკონომიკის შესახებ // კომუნისტი. - 1931. - 30 სექტემბერი. - №225. - გვ. 2; 1 ოქტომბერი. - № 226. - გვ. 2;
107. სანარმოო ძალების განვითარების ტემპების შესახებ კაპიტალიზმის დროს // კომუნისტი. - 1932. - 24 აპრილი. - №96. - გვ. 2; 14 მაისი. - №111. - გვ. 2; 26 მაისი. - №121. - გვ. 3;
108. წერილი რედაქციის მიმართ // კომუნისტი. - 1932. - 5 იანვარი. - №5. - გვ. 4. - ავტორისეული შენიშვნები წერილების ციკლში - „გარდამავალი ეკონომიკის შესახებ“ - დაშვებული შეცდომების გამო. (ყურნალები: „საქ. ეკონომისტი,“ 1928-1929, „СоцДел-Вик“-ი 1928 წ. №17, 18;
109. აგროტექნიკური პრობლემა უმაღლეს საფეხურზე // კომუნისტი. - 1933. - 24 მარტი. - №69. - გვ. 2;
110. ვემზადვით მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის // კომუნისტი. - 1933. - 24 თებერვალი. - №46. - გვ. 3;
111. მარქსი, როგორც ეკონომისტი // კომუნისტი. - 1933. - 14 მარტი. - №60. - გვ. 4-5;
112. მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის ბრძოლის ორი წელი საქართველოში // კომუნისტი. - 1933. - 30 ოქტომბერი. - №251. - გვ. 2;
113. მეორე ხუთწლედის პირველი წელი და პრესის ამოცანები: [გაზეთების რედაქტორების რესპუბლიკანური თათბირი] // კომუნისტი. - 1933. - 12 თებერვალი. - №36. - გვ. 2;
114. მეტეხის ციხის ნაცვლად საქართველოს ხელოვნების მუზეუმი // კომუნისტი. - 1933. - 6 ნოემბერი. - №257. - გვ. 2;
115. პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის // კომუნისტი. - 1933. - 9 აგვისტო. - №182. - გვ. 2-3; 10 აგვისტო. - №183. - გვ. 2-3;
116. რესპუბლიკანური კულტათბირი: უფრო გავშალოთ ბრძოლა პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის // კომუნისტი. - 1933. - 18 ივნისი. - №139. - გვ. 2. - შინაარსი: ამხ. კ. ორაგველიძის მოხსენებიდან; ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა;

117. რესპუბლიკანური კულტპროპოზაობიერი: პარტიის არც ერთი წევრი და კანდიდატი ტექნიკური და აგროტექნიკური სწავლების გარეშე / ბარამიძე; ორაგველიძე, კ.; გიორგობიანი, გ. // კომუნისტი. - 1933. - 22 ივნისი. - №142. - გვ. 3. - შინაარსი: ამხ. ბარამიძის მოხსენებიდან; კამათი ამხ. კ. ორაგველიძის და გ. გიორგობიანის მოხსენებათა გარშემო;
118. შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის // კომუნისტი. - 1933. - 16 სექტემბერი. - №214. - გვ. 2;
119. გზა საბჭოთა ლიტერატურისაკენ: [კ. გამსახურდიას შემოქმედების კრიტიკული მიმოხილვა] // კომუნისტი. - 1934. - 18 მაისი. - №114. - გვ. 2;
120. კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია: [გ. შატბერაშვილის ლექსების გამო] // კომუნისტი. - 1935. - 6 თებერვალი. - №32. - გვ. 2;
121. კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია // ლიტერატურული გაზეთი. - 1935. - №6;
122. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია // კომუნისტი. - 1936. - ივნისი. - №135. - გვ. 3;
123. უნივერსიტეტის პირველი გამოშვება // კომუნისტი. - 1936. - თებერვალი. - №30. - გვ. 3;
მფარველი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მომწყობ-ხელმძღვანელი, – ერეკლე II-ის (1720–1798) შვილიშვილი, უფროსი ძე თეკლე ბატონიშვილისა, ძმა პოეტ ვახტანგ ორბელიანისა. იზრდებოდა დედის გავლენით, სწავლობდა თბილისის სკოლაში. 1827 წელს არჩეულ იქნა თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის კანდიდატად, წლინახევრის შემდეგ (წინამძღოლის თ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო), შეუდგა წინამძღოლის თანამდებობის შესრულებას. 1829 წელს აირჩა აღმასრულებელი ექსპედიციის მრჩეულად. აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1832 წლის შეთქმულებაში, რისი ერთ-ერთი მომწყობი და ხელმძღვანელი თითონ იყო. ამ საქმის გამო, კავშირი ჰქონდა ოქროპირ, ალექსანდრე, დიმიტრი და სხვ. ბატონიშვილებთან, აგრეთვე, კავკასიის ერებთან, ზოგთან საიდუმლო ანბანით მიწერ-მონერა ჰქონდა. შეთქმულების გაცემის (1832, 9 დეკემბერი) შემდეგ ალ. ორბელიანიც შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს. საგამომძიებლო კომისიას ალ. ორბელიანმა 1833 წელს განუცხადა: „საფრანგეთსა და ინგლისში კაცები უნდა გაგვეგზავნა, რომელთაც უნდა ეჩივლათ, რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო ბაგრატიონთაგან... ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთი მამული ისევ დაბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო, და გაენთავისუფლებინათ რუსებიდან“... „ჩვენ გვსურდა ესრეთ, როდესაც აქ არეულობა მომხდარიყო, მაშინ... უნდა ზარების რეკას მოჰყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე სამი კაცი უნდა ასულიყვნენ, და იქიდან ეყვირნათ თავისუფლება, და სიხარული, ყოელსა ერსა ზედა, ამ დროს, უნდა კაცნი გაგვეგზავნა და მთელი საქართველოს ხალხი აქ უნდა ჩამოსულიყვნენ, თავადნი და აზნაურნი, და ქუდზე ყოველი კაცი“... (გოზალიშვილი, გიორგი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 1., თბ., 1935, გვ. 365). გრ. ორბელიანის მოწმობით, შეთქმულთა გეგმა იყო: საქართველოში რუსთა ბატონობის დამხობისთანავე საკუთარი მმართველობის შემოღება (თამარ ბატონიშვილის მესვეურობით), მწყობრი ჯარის დაარსება, ჯარში არჩევნებითი წესის შემოღება (ჯართუფროსები თითონ ჯარს უნდა აერჩია), დარიალის ხეობის ჩაკეტვა და სხვ. შეთქმულთა შორის სახელმწიფო მმართველობის შესახებ ორი მიმართულება იყო: ერთი მოითხოვდა კონსტიტუციურ-მონარქიულ წყობილებას, მეორე – რესპუბლიკურს. ამ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ალ. ორბელიანი პოდპორუჩიკობიდან ჩამოაქვეითეს და გადაასახლეს ქ. ორენბურგს, სადაც 12 წლის განმავლობაში შვებულებით ვერ ისარგებლებდა, ამის შემდეგ მხოლოდ საქართველოს უზენაესი მმართველობის წინასწარი ნებართვით შეეძლო საქართველოში დაბრუნება. სამშობლოში დაბრუნებულმა ალ. ორბელიანმა მთავრობის ნდობა დაიმსახურა, მიიღო „მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის“ ფლიგელ-ადიუტანტის ხარისხი, შეიქნა თბილისის

გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი და 1860 წელს პეტერბურგში პირადად წარუდგა იმპერატორ ალექსანდრე II-ს (1818-1881), რომელმაც მას უთხრა: „В лице твоём я благодарю Грузинское дворянство за его славную, храбрую, верную службу; передай об этом всем вместе и каждому отдельно“.

ალ. ორბელიანი, მიუხედავად განვლილი სასჯელისა და მეფის მიერ შეწყალებისა, მთელი თავისი არსებით იმის ნატვრაში იყო, კავკასიის სხვა ერთა დახმარებით, დამპყრობელ რუსებისგან საქართველო განთავისუფლებულიყო, რაც წართულად გამოთქმული აქვს პიესა „დავით აღმაშენებელში“. მისი აზრით, რუსები თეატრსა და ჟურნალს უმთავრესად. იმ მიზნით გვიარსებდნენ, რომ „ქართველები კომედიების თამაშით გართულები ყოფილიყვნენ და მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება აღარ მოეხდინათ“. კავკასიის მეფისნაცვლებს – ბარიატინსკისა და ვორონცოვს – ალ. ორბელიანმა „ცბიერი დიპლომატები“ უწოდა: „ბარიატინსკი მედიდურად იქცეოდა, ვარანცოვი ქრისტეს სიმდაბლითა, მაგრამ ორივე გვატყუებდნენ – ბარიატინსკი მედიდურობითა და ვარანცოვი – ქრისტეს სიმდაბლითა“-ო.

ალ. ორბელიანი ქართული მწიგნობრობის დიდი მცოდნე-მოყვარული იყო, დედასთან ერთად ცდილობდა მშობლიური მწერლობის მუშაკთა გამრავლებას და მწიგნობრობის განვითარებას. 1829 წელს მონაწილეობდა ს. დოდაშვილის „ტიფლისის უწყებანში“, 1853 წელს ჟურ. „ცისკარში“ (№1) დაიწყო თანამშრომლობა, 1856 წელს დაბეჭდა ნიგნაკი „ქართული ენისათვის“, რომელშიაც თანამემამულეთ მოუწოდებდა მწერლობის აყვავებას დახმარებოდნენ. 1857 წელს ჟურ. „ცისკრის“ რედაქცია თავის სახლში მოათავსა და ჟურნალის რედაქტორს, ივ. კერესელიძეს, ჟურნალის წარმოებაში ნივთიერად და სხვა ყოველმხრივ ეხმარებოდა, – როგორც მისი მზრუნველი. წერდა ისტორიულ, კრიტიკულ, პუბლიცისტურ ნერილებს, ლექსებს, პიესებსა და სხვ. ქართული ენის შესახებ თავისებური შეხედულება ჰქონდა. მისი აზრით, ქართული ენა არის „ომში ძლიერი, შეყრილობაში უცხო შემატყვევარი, საქმეში კარგი გამგებელი და ლოგინში მეტი დამატკბობელი“ („თ. ალექსანდრე ჯამ.-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა“. თბ., 1879, გვ. 240). თავისი დროის ქართული ენა სამ რიგად დაყო: 1. სამღვთო წერილის ანუ ეკლესიის ენა; 2. მდაბიური ანუ დარბაისელთ ენა და 3. გლეხკაცების ენა, – მოითხოვა, იმ ენით წერონ, „როგორც ლაპარაკობენ და ეს ენა არის საშუალო ენა – დარბაისლური... ეს ენა ისე უნაკლოა, რომ რაც უნდა მაღალი საგანი იყოს იმაზედაც კარგად გამოვა ყოველი ქართული სიტყვიერება“, ხოლო „გლეხების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რომ ვერ გამოვა რიგიანად“-ო. აგრეთვე, მოითხოვა ქართულის მცოდნეთაგან ქართული გრამატიკის შედგენა, ქართული ენის შემსწავ-

ლელი და დამდგენელი საზოგადოების დაარსება („ცისკარი“, 1860, № 6, 90-104 გვ.), განმარტა „სიტყვიერების ტომარს (ჟურნალს) უთუოთ მხილველი [კრიტიკოსი] უნდა ჰყვანდეს და ყოველი იმისი წერილები განიხილოს, თორემ უამისოთ სიტყვიერება არ ევარგება“ („ცისკარი“, 1857, № 9) და კრიტიკას ესარჩლებოდა: „რადა ვჯავრობთ, როდისაც ჩვენს ნაკლულებას გვეტყვიან რასმე? – იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე დაბრძანებულია ყოველთვის და თავის ნაკლულებას ვერას ხედავდეს?“ („ცისკარი“, 1859, № 1), სწამდა, რომ კრიტიკიდან „სარგებლობა მოიძებნება თავის დროზე“ და საჭიროა მწერლის თავისუფლება: „მაშ მწერალმა რა ჰქმნას, თუ არა სთქვას თავისი აზრი?“-ო. საქართველოს წარსულით იმდენად იყო შეყვარებული, რომ ბატონ-ყმობასაც კი „პატრონ-ყმობად“ იხსენიებს და იდეალურად სახავს.

ქართველი ხალხის წარმატებისთვის საჭიროდ თვლიდა ახალ სააღებ-მიცემო, საგანმანათლებლო და სამეურნეო აღორძინებასთან შეგუებას, რადგან „სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა აუცილებელი გამამდიდრებელია კაცისა“-ო. ამასთანავე, სათანადო ყურადღებით ეპყრობოდა ხელოვნებას, – წერდა სათეატრო რეცენზიებს, მუსიკის შესახებ და სხვ. სხვათა შორის, მან აღწერა ძველ საქართველოში როდის რა სიმღერა იმღერებოდა (რომელთაგან ბევრი დღესაც იმღერება), რა ცეკვები იყო, როგორ სრულდებოდა და სხვ.

ალ. ორბელიანს თავის დროს დიდი გავლენა ჰქონდა და ამ გავლენით მარშლობიდან გადადგომის შემდეგაც დიდხანს სარგებლობდა. აკაკის დახასიათებით, ალ. ორბელიანი „სულით და გულით მოყვარული იყო ჩვენის ხალხისა და ჩვენის ქვეყნისა და თითქმის თავდასადებლადაც მზად იყო“.

მისი ხელმოწერა: ო., ჯ. ორბელიანი.

ცალკე გამოცემულია:

1. ქართული ენისათვის. - თბ., 1856. - 7 გვ.; 22სმ. - ტექსტის ბოლოს: ო.;
2. ბატონის-შვილის ირაკლის პირველი დრო: ტრაგედია ოთხ მოქმედებად / თხზ. ალექსანდრე ვახტ. ბ. ჯ. ორბელიანისა. - ტფ., 1864 (კერესელიძის ტიპოგრაფია). - 111 გვ.; 23სმ.;
3. ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა: ტრაგედია ოთხ მოქმედებად / თხზულება თ. ალექსანდრე ე-ძე ჯ. ორბელიანისა; გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. - ტფ., 1877 [კანზე: 1878] (ლ. კრამარენკოს და ამხ. სტ.). - XII, 122, IV გვ.; 17სმ.;
4. თ. ალექსანდრე ჯამ-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა. - თბილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1879 (ე. ხელაძის სტ.). - 274 გვ.; 19სმ.;
5. დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ყამი საქართველოსი: ისტორიული დრამა ოთხ მოქმედებად: დანერვილია 1846 წ. / თ. ალექსანდრე ჯამბაკური-

- ან-ორბელიანისა. - თფილისი: გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, 1891 (ე. ი. ხელაძის სტ.). - 116 გვ.; 21სმ.;
6. ალა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში / თ. ა. ვახტ-ძე ჯ. ორბელიანისა; გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბიდან“. - ტფ.: ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, № 35, 1895 (წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის სტ.). - 53 გვ.: [1] ჩართ. ფურც. პორტრ.; 22სმ.;
 7. დალისტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, ალ. ვახტ-ძე ჯამბ. ორბელიანისა / გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ წერა-კითხვის საზოგადოებაში დაცულ ავტოგრაფის მიხედვით. - ტფ., 1914 (ბ. კილაძის სტ.). - 23 გვ.; 24 სმ.;
 8. მოგონება ალექსანდრე ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ. - [თბ., 1914] (სტ. „სორაპანი“). - 32 გვ.; 20სმ.

გამოქვეყნებულია:

1. რუსთაველი: [ლექსი] // ცისკარი. - 1853. - № 1. - გვ. 3-5;
2. მოწყალეო ხელმწიფე, უფალო რედაქტორო, ივანე კერესელიძე: [„ცისკრის“ კრიტიკა] // ცისკარი. - 1857. - № 6. - გვ. 62-64;
3. რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კომედიისზე // ცისკარი. - 1857. - № 9. - გვ. 45-48;
4. უმანკო სისხლი: [ისტორიული ამბავი] // ცისკარი. - 1857. - № 8. - გვ. 19-39;
5. ატლანტის ოკეანის ზღვაში ტელეგრაფი // ცისკარი. - 1858. - № 12. - გვ. 257-258;
6. ეპიტაფიას საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი: [ლექსი] // ცისკარი. - 1858. - № 5. - გვ. 9-11;
7. მე და ის: [საუბარი „ცისკრის“ და ქართული ენის შესახებ] // ცისკარი. - 1858. - № 7. - გვ. 124-133;
8. „ქვრივის ლიმონების“ განხილვა ანუ კრიტიკა // ცისკარი. - 1858. - № 4. - გვ. 280-288;
9. სალაყბოს ფურცელზე // ცისკარი. - 1859. - № 1. - გვ. 67-71;
10. უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში // ცისკარი. - 1859. - № 11. - გვ. 215-244;
11. შეთქმა მეფის ირაკლის მეორეზე საქართველოში // ცისკარი. - 1859. - № 4. - გვ. 252-265;
12. ჩვენი საქართველოს საზოგადოება // ცისკარი. - 1859. - № 10. - გვ. 173-180;
13. არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე: [მოხუცი კაცისაგან ნაამბობი 1859-სა წელსა, ერთს ღამეს ვახშმის შემდეგ] // ცისკარი. - 1860. - № 12. - გვ. 487-515;
14. პასუხი დიმიტრი ბაქრაძესთან შესახებ იმისგანთ მოწერილის წიგნისა: [„ქართულს უბნობაზე ანუ წერაზე“] // ცისკარი. - 1860. - № 9. - გვ. 124;
15. უფალო რედაქტორო ი. კერესელიძე!: უკმაყოფილება მოლაყბის სიჩუმის გამო // ცისკარი. - 1860. - № 5. - გვ. 48-49;
16. ქართული უბნობა ანუ წერა: [ქართული ენის თვისების გარჩევის საჭიროება. თხოვნა ბაქარ ქართულელისადმი, რათა მან შეადგინოს ქართული ენის გრამატიკა] // ცისკარი. - 1860. - № 6. - გვ. 90-104;
17. ივერიანელების გალობა. სიმღერა და ლილინი // ცისკარი. - 1861. - № 1. - გვ. 141-160;

18. კავკაზის მთები მაშუკის მთიდგან: (ქანტაზია, როცა ახლად გათენდება): [ლექსი] // ცისკარი. - 1861. - №12. - გვ. 320-324;
19. რედაქტორო, უფალო ი. კერესელიძე!...: [ჟურ. „ცისკარის“ შესახებ] // ცისკარი. - 1861. - № 10. - გვ. 174-177;
20. ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად: [მეფე ერეკლე II. რუსეთის თვითმპყრობელობის გაბატონება საქართველოში. ზრუნვა სწავლისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში] // ცისკარი. - 1861. - № 11. - გვ. 211-231;
21. მეფის ირაკლის II-ს ისტორიაზედ // ცისკარი. - 1862. - № 11. - გვ. 225-232;
22. ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო. ტრაგედია ოთხს მოქმედებად // ცისკარი. - 1864. - № 3. - გვ. 1-53; № 4. - გვ. 55-111;
23. მოთმინებისგან გამოსვლა: [ქართული ჟურნალი და ქართველი საზოგადოების გულგრილობა] // ცისკარი. - 1864. - № 1. - გვ. 50-55;
24. საქართველოს გაზაფხული: [ლექსი] // ცისკარი. - 1864. - № 4. - გვ. 179-180;
25. ზოგიერთი შემცნევა: [საზოგადოებრივი ცხოვრება საქართველოში XIX საუკუნეში და წინეთ. ქართული ენა და ძველი ქართული ასოების ხმარება] // ცისკარი. - 1865. - № 8. - გვ. 1-31;
26. ტოლუბაშობა: [ლხინი საქართველოში ძველად. ტოლუბაშობის შემოღება XIX საუკუნის დასაწყისში] // ცისკარი. - 1868. - № 2. - გვ. 1-20;
27. ასპინძის ომი, 1770-სა: [მასალა საქართველოს ისტორიისათვის] // მნათობი. - 1869. - (მარტი). - გვ. 1-11. - სამეცნიერო განყოფილება;
28. ჩვენი ძველი სახლეთობანი; [აღზრდა ძველ დროში, ყოფა-ცხოვრება და ქალები] // მნათობი. - 1869. - (მაისი, ივნისი). - გვ. 1-11.

მის შესახებ:

1. ავყია [ერთი მეტუკეთაგანი]. მონყალო ჩემო თავადო ალექსანდრე ვახტანგის ძეგ // ცისკარი. - 1860. - № 6. - გვ. 150;
2. ბაქრაძე, დიმიტრი. წიგნი, მიწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უზნობისა ანუ წერისა“ // ცისკარი. - 1860. - № 8. - გვ. 318-333;
3. ქუთაისის მეჭორე [ერთი მეტუკეთაგანი, - ნ. ნიკოლაძე]. საყვარელნო მკითხველნო! // ცისკარი. - 1860. - № 9. - გვ. 133-134;
4. ჭავჭავაძე ილია. პასუხი. ვუძღვნი თ. ალ. ვახტანგის ძეს ჯ. ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტასიას // ცისკარი. - 1861. - № 6. - გვ. 181-251;
5. კერესელიძე, ივანე. რედ. თ. ალ. ორბელიანის ტრალედიამი: [გაპარული კორექტორული შეცდომები] // ცისკარი. - 1864. - № 4. - გვ. 216;
6. ნეკროლოგი // დროება. - 1869. - 25 დეკემბერი. - №52. - გვ. 3;
7. უმიკაშვილი, პ. ნეკროლოგი // დროება. - 1873. - 14 დეკემბერი. - №402. - გვ. 2-3;
8. დღიური // დროება. - 1878. - 16 ივნისი. - №117. - გვ. 1-2; 1879. - 2 თებერვალი. - №26. - გვ. 1-2;

9. რეცენზია // დროება. - 1878. - 22 მარტი. - №60. - გვ. 2;
10. ჩვენ შევიტყვეთ... // დროება. - 1878. - 16 ივნისი. - №117. - გვ. 1-2;
11. ალ. ორბელიანის პიესები... // თეატრი. - 1886. - №20. - გვ. 207-208;
12. ახალი ამბავი // ივერია. - 1888. - 18 აგვისტო. - №173. - გვ. 1-2;
13. თ. ვახტანგ ორბელიანმა შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს ხელნაწერი „როსტომიანი“... // ივერია. - 1888. - 18 ივნისი. - №126. - გვ. 3. - [ალ. ჯ. ორბელიანის წარწერით];
14. ახალი ამბავი // ივერია. - 1891. - 12 თებერვალი. - №33. - გვ. 1;
15. ჭიჭინაძე, ზ. - ა) წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1891. - 7 მარტი. - №50. - გვ. 4; ბ) დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან 50 წელი // ახალი აზრი. - 1910. - 6 ოქტომბერი. - №4. - გვ. 2-3;
16. ლექსიკური პოლემიკა (გამოცანებით): მცირე წინასიტყვაობა // ნიშადურის კრებული. - 1907. - №1. - გვ. 3-7;
17. ქიქოძე, გ. ალექსანდრე ორბელიანი [ქართველი პოეტი] // ლიტერატურული საქართველო. - 1939. - 31 აგვისტო. - №25. - გვ. 3;
18. ჭილაია, ს. ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედების შესახებ // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 23 ივნისი. - №21. - გვ. 3-4;
19. პაპავა, თამარ. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში: დარეჯან დედოფალი // მამული = Mamuli-La Patria: კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა. - ბუენოს-აირესი, 1951. - მარტი. - №1, მამული-ს ეს პირველი რვეული მიეძღვნა საქართველოს სამეფოს მოსპობის 150 წლისთავს. - გვ. 21-29; მაისი. - №2. - გვ. 43-52. - (წერილი პირველი და მეორე).

წყარო:

1. 1869 წ. 16 დეკემბერს... გარდაიცვალა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი: [ნეკროლოგი] // მნათობი. - 1869. - (ნოემბერ-დეკემბერი). - გვ. 9-11;
2. გუნია, ვ. // საქართველოს კალენდარი. - 1892. - გვ. 340;
3. ჭიჭინაძე, ზაქარია. - ა) სოლომონ დოდაშვილი: [ცხოვრება და მოღვაწეობა]. - თფ., 1893 (სტ. ექვ. ხელაძისა). - გვ.: 8, 16; ბ) ივ. კერესელიძე, 1829-1893: [ცხოვრება და მოღვაწეობა]. - თბ., 1902 (სტ. „გუტენბერგი“ (თ. გრ. ნ. დიასამიძისა)). - გვ.: 13, 18, 22, 26, 46; გ) ვინ რა აზრისა იყო საქართველოს განთავისუფლების შესახებ // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - № 7. - გვ. 13;
4. გრიშაშვილი, იოსებ. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. - [ტფ.]: სახელგამი, 1927 (ა.კ. წ.-დრ. ჯ. სტ. განყ-ბა). - გვ. 84;
5. ხუნდაძე, სიმონ. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. - ტ. 2: ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში. - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ. 232;
6. ზანდუკელი, მიხეილ. - ა) თერგდალეულნი და

- ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში: (ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდა). - ტფ.: ტფ. უნ-ტის გამა, 1928. - გვ. 49-57; ბ) ახალი ქართული ლიტერატურა: უმაღლ. პედაგოგ. სასწავლებლისათვის / სსრ განათლ. სახალხო კომისარიატი. - ტ. 2. - მე-2 შესწ. გამოც. - ბათომი: სახელგამი. სამეცნ.-პედ. სექტორი, 1938 (პოლიგრაფკომბინატი). - გვ.: 23, 47, 100, 106;
7. ყიფიანი, დიმიტრი. მემუარები / სიმონ ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. - ტფ., 1930 (პოლიგრაფტრ. მე-2 სტ.). - გვ.: 128, 129, 136-147, 170-171;
 8. გოზალიშვილი, გიორგი. - ა) 1832 წლის შეთქმულება. - ტ. 1 / [რედ. ლ. ციხისთავი]. - თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1935 („ზარია ვოსტოკას“ და ა. ფ. მისანიკოვის სახ. წ. დ. სტ.). - გვ.: 27, 37, 39, 42, 43, 45, 47-76-88, 196-217, 230-232, 235-236, 239-240, 306-308, 362-363, 365-367, 385-387, 389-393, 398, 402, 412-414, 421-425, 429, 431-433, 442-443, 450; ბ) მისივე ხელნაწერი;
 9. ლიტერატურის მატინე. - № 1-2. - თბ., 1940. - გვ. 573 (საკუთარ სახელთა საძიებელი);
 10. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვ.; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 1.: 1852-1877. - თბ., 1940. - გვ. 255;
 11. Аракишвили, Д. И. Краткий исторический обзор грузинской музыки / Д. И. Аракишвили. - Тбилиси: Госиздат Грузии Муз.-лит. сект., 1940. - Стр. 37-38;
 12. Церетели, А. Р. Пережитое / Акакий Церетели; Пер. с груз. Елены Гогоберидзе; Предисл. Л. Асатиани. - Москва: Госиздат „Художественная литература“, 1940. - Стр.: 163-165, 159, 195;
 13. გუგუშვილი, პაატა. ქართული ჟურნალისტიკა: საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის. - ტ. 1. - თბ.: სახელგამი, 1941. - გვ. 477;
 14. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ.: 477;
 15. უცნობი მოგონება გ. ერისთავზე // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1948. - № 48.

ორბელიანი [ჯამბაპურ-ორბელიანი], გრიგოლ დიმიტრის [ზურაბის] ძე (1800 – 1883, 21/III) – მგოსანი, რომანტიკოსი, – ქართულ პოეზიაში ეროვნული მიმართულების მამამთავარი, ახალი ლიტერატურის დამწყებთაგანი, სამშობლოს დამხობის მგოდებელი, „დროთა, სიზმარებრ გამქრალთა“ ჭირისუფალი, „საქართველოს დიდების კვლავ დაბრუნებისთვის ზეშთაგონებულნი“, – სამხედრო, სახელმწიფო, სამოქალაქო და საზოგადო მოღვაწე, კავკასიის ომების მონაწილე, ავარიის ხანი (მეფისნაცვალის), სახელმწიფო

საბჭოს წევრი, ინფანტერიის გენერალი, – ანდრია პირველწოდებულის ორდენოსანი, – მამით ორბელ ბარათაშვილის, ცნობილი ფეოდალის ყაფლან ორბელიშვილის, დედით – ერეკლე II-ის შთამომავალი, – დაიბადა 1800 წელს (ზოგი ცნობით, 1804) წარჩინებულ ოჯახში. მამამისი თ-დი დიმიტრი (ზურაბი) იყო ერეკლე II-ის სიძე, გონიერი, ძველებურად საღმრთო წერილზე აღზრდილი, მეფის კარზე ნამსახური, რუსთა შემოსვლის შემდეგ თბილისის საბაჟოს უფროსად და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამსაჯულად დანიშნული; დედა – ხორეშანი, ერეკლე II-ის ასულის, ელენეს, ქალი, ჭკვიანი, ღვთისწიერი, სათნო, ქართული სასულიერო და საერო მწერლობის მცოდნე.

გრ. ორბელიანი იმ დროს ჭაბუკედებოდა, როდესაც საქართველოს წესწყობილება ირღვეოდა, რუსეთისა მყარდებოდა, ბატონ-ყმობა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს შეადგენდა, ეკლესია – განათლების წყაროს, მამაპაპური გადმოცემები – წარსულთან შემაკავშირებელ ჯაჭვს. მოზარდ გრ. ორბელიანს დედა სარწმუნოებრივ გრძნობას უნერგავდა, შინაურნი – ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების ამბავს, ერეკლე მეფის სახელოვნებასა და საქართველოს სამეფოს დამხობის მწარე დღეებზე მოუთხრობდნენ. ისტორიულ ამბავთა მოსმენა გრ. ორბელიანს ბავშვობიდანვე გულში მამულის სიყვარულს, ეროვნული გმირებისადმი პატივისცემასა და საქართველოს ჩასვენებული წარსულისადმი სიყვარულს უმკვიდრებდა.

გრ. ორბელიანმა წერა-კითხვა ისწავლა ან-ჩისხატის დეკანოზ ალექსი-მესხიშვილთან, სწავლა დაიწყო თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში“, განაგრძო თბილისში ახლად გახსნილ არტილერიის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის „ობრასცოვის პოლკში“ (Образцовый полк) გადაიყვანეს. ქართული წიგნებიდან განსაკუთრებით უყვარდა: „დავითნი“, „სახარება“, „ვეფხის ტყაოსანი“.

სამხედრო სამსახური დაიწყო 1816 წელს. 1821 წელს პირველი ჩინი მიიღო. 22 წლისას პრაპორშჩიკობა მისცეს, ამავე წელს მონაწილეობდა ლეკების (ჭარ-ბელაქნელების) დამარცხებაში ალაზნთან, შემდეგ (1826-1828) – სპარსებისა და ოსმალთა წინააღმდეგ ომ-ბრძოლებში. 1829 წელს ვლადიმირის ჯვრით დააჯილდოვეს და კახეთს გაგზავნეს კახეთის საზღვრების მცველთა უფროს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან (1786-1846) საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. 1830 წელს ი. პასკევიჩის (1782-1856) ექსპედიციაში მონაწილეობდა, 1831 წლიდან რუსეთში მსახურობდა. აქ ზედმიწევნით შეისწავლა რუსული ენა და მწერლობა, თარგმნა რამდენიმე ლექსი, იგავ-არაკი და ბატონიშვილებს დაუახლოვდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის რუსეთის წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულთა შეპყრობის დროს (1833) ნოვგოროდში გრ. ორბელიანიც გაჩხრიკეს, უპოვეს საკუთარი ლექსი „იარალი“ – მამულიშვილური გრძნობით გაჟღერ-

თილი და რუსი პოეტის – დეკაბრისტ კ. თ. რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ (Исповедь Напи-вайки) თარგმანი, – სამშობლოსათვის თავგანწირვისაკენ მოწოდების ლექსი, რის გამოც შეიპყრეს, თბილისს გაგზავნეს და ავლაბრის ყაზარმებში ჩამწყვდიეს, როგორც საქართველოს განთავისუფლებისათვის შეთქმულთა მონაწილე. 3 თვის პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებული კავკასიის საზღვარზე მსახურობდა ნავაგინის პოლკში, მერე – პოლონეთში. 1837 წელს სამშობლოში დაბრუნებული, გრენადერის პოლკში ჩარიცხული, შამილის (1797-1871) წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა, 1843 წელს ავარიის მმართველად დაინიშნა, 1847 წელს – აფშერონის პოლკის კომანდირად, 1848 წელს შამილის მიერ გამაგრებულ აულ გერგებლის მიდამოებისა და ბაღების აღებისთვის ებოძა გენერალ-მაიორობა, 1850 წელს – ბრიგადის კომანდირობა, იმავე წელს ჭარ-ბელაქანის სამხედრო მაზრისა და ლეკების საზღვრის უფროსად დაინიშნა, შემდეგ – თემირხან-შურის მმართველად, 1853 წელს – მთიელთა მოზღვავებულ ძალთა მოგერიებისათვის ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა, 1854 წელს დაინიშნა კასპიის მხარეთა დროებით გამგებლად და დაღესტნის ჯართა სარდლის მოვალეობათა აღმასრულებლად, 1855 წელს ამავე თანამდებობაში დამტკიცდა, 1857 წელს აიღო შამილის დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრენი: ძველი და ახალი ბურთუნაი (დაღესტანში), ე. წ. სალათავია, რომლის დაპყრობა შამილის განადგურების ნაბიჯად აღინიშნა, ამავე წელს ებოძა გენერალ-ადიუტანტის ხარისხი, 1858 წელს კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარედ იყო და, ამავე წლის დასაწყისს, დ. ყიფიანთან ერთად, კავკასიის მეფისნაცვალს პროექტი წარუდგინა გლეხთა რეფორმის (ბატონ-ყმობის გადავადნის) შესახებ, 1859 წელს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა, 1860 წელს თბილისის გენერალ-გუბერნატორად იყო, 1861 წელს ინფანტერიის გენერლის ხარისხი ებოძა, კავკასიის მეფისნაცვლის ა. ი. ბარიატინსკის (1815-1879) წასვლის შემდეგ, ორ წელიწადს (1860-1862) მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა, 1864 წელს გლეხთა განთავისუფლების კომიტეტში მონაწილეობდა, 1866 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩა; ყოველი მინდობილობის გამჭრიახად შესრულებისათვის უმაღლესად დაჯილდოებულ იქნა, სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზე უმაღლეს ნერტილს მიაღწია. 1871 წელს იდღესასწაულეს მისი სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის შესრულების იუბილე, რომლის დროსაც იმპ. ალექსანდრე II-მ (1818-1881), მადლობასთან ერთად, უბოძა იმპერიაში უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი.

გრ. ორბელიანი რუსეთის ხელმწიფის სამსახურში ყოფნასთან სამშობლო ქვეყნის სასარგებლო მოღვაწეობას ათავსებდა: მშობელი ერის ცხოვრების ყოველ მხარეს თვალყურს ადევნებდა, როგორც მამულის მტკიცე მოყვარული; სხვათა

შორის, დ. ყიფიანთან ერთად, დააარსა თბილისის კერძო ბიბლიოთეკა, ერთი დამფუძნებელთაგანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და სხვ.

მწერლობა დაიწყო 1827 წელს (ლექსით „ანტონს“) სპარსულ კილოზე, მაგრამ სწორედ ამ ხანებში ქართულ ლიტერატურას ევროპის გავლენა დაეცო და გრ. ორბელიანმაც მიმართულება შეიცვალა, რასაც საფუძვლად მამულიშვილობა დაუდო. ქართულ პოეზიაში მამულისადმი ტრფილის მგოსნობა შემოიღო: დაწერა ცოტა, მაგრამ მძლავრი, თანამშრომლობდა ჟურ. „ციცკარში“ (1852, № 2-დან), „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ (1866, IV, V, VI-დან), „კრებულში“ (1871, № 1-დან), „ივერიაში“ (1877, № 6-დან) და სხვ. წერდა ლექსებს, რეცენზიებს, დღიურებს (რომელიც სამჯერ დაეღუპა) და სხვებსაც ურჩევდა „დღიურების“ წერას, „რადგან ამით გონება უმეტეს და უმეტეს გაიხსნება და შეეჩვევა გამსჯელობასა და... რამდენიმე წელს უკან შენი წარსული დღეები ცხადად წინ წარმოგიდგება და მით ჰსცნობ, თუ რაოდენი დღენი უბრალოდ და ფუჭად გაგიტარებია“. აქვს ერთი პოემაც „სადღევრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე...“ („კრებულში“, 1871, № 1, გვ. 1-38; აგრეთვე – ლექსთა კრებულში). მისი ფსევდონიმია „ძველი სემინარისტი“. მის ლექსთაგან, განსაკუთრებით, აღსანიშნავია: „ლხინი“ (1828), „იარალი“ (1834), „ჩემს დას ვეფიას“ (1835), „სალამო განშორებისა“, „მუშა ბოქულადი“ და სხვ.

ცხოვრების დევიზად პატიოსნება ჰქონდა მიჩნეული, დაურღვეველ მცნებად – მოყვასთა სიყვარული. ილია ჭავჭავაძის სიტყვით, გრ. ორბელიანი იყო „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ლონისა და სიმდიდრისა... სასიქადულო მამულიშვილი, სახელოვანი ქართველი, დიდებული მწერალი“... (თხზულებანი: სრული კრებული 5 ტომად, ტ. II, თბ., 1941, გვ. 137-138), პოეტ ვახტ. ორბელიანის (1812-1890) სიტყვით, გრ. ორბელიანი იყო „მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფე“, დავით კეზელის (1854-1906) სიტყვით, ის იყო „ზეშთაგონებით განსწავლული მეფე ქართული სიტყვიერებისა და პოეზიისა“ („დროება“, 1883, № 65); დიდი გერმანელი პოეტის ფრ. ბოდენშტედტის (Friedrich von Bodenstadt, 1819-1892) აზრით, გრ. ორბელიანი ეკუთვნის XIX საუკუნის უდიდესი ლირიკოსი პოეტების რიცხვს. გრ. ორბელიანის „ცხოვრებისა და ღვაწლის“ აღმწერი იონა მეუნარგია (1852-1919) წერს: „ბევრი შესანიშნავი ქართველი კაცი გამიცნია, ბევრის კი არა, თითქმის ყველა ჩვენი საჩინო მწერლების თუ არ მეგობარი, ახლო ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელ-დადებით შემოძლია ვთქვა: გრიგოლ ორბელიანისებურ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ... იმისი ჭკუა-გონება მტკიცედ დამყარებული იყო ცხოვრებაზე... ვეებერთელა თავი გაშლილი მაღალი შუბლით თითქო უხილავი ქარხანა იყო, საიდანაც გამოსჭვიოდა ცოცხალი და ნათელი აზრი. იმას არ ჰქონდა ჩვეულება ლაპარაკისა საქმის უცოდინარ-

ობით და თუ იტყოდა რასმე, იტყოდა ჭეშმარიტებას, რომლის მიუღებლობა ხშირად სასინანულოდ ურჩებოდა საზოგადოებას და მთავრობას... ის, როგორც თანამდებობის მოვალეობით, ისე გულის მიდრეკილებით ზრუნავდა არა სამწერლო დიდებაზე, არამედ ქვეყნის ბედზე და სიკეთეზე... ის წერდა მხოლოდ Inter arma მაშინ, როცა გული ერჩოდა, ზეცით მონაბერი სული მოევიწიებოდა, ენსპირაცია შეიცავდა, დანარჩენ დროს ის ხმლითა და ცირკულიარებით მოქმედებდა... იმ პოეტთა შორის, რომელნიც „ნაცვლად მოჩვენებათა... რაცხვიდენ კაცის სულიერ მოძრაობას და მის გრძობას“ და რომელნიც ასეთი „სამწერლო რევოლუციის მოთავენი“ შეიქმნენ, – „თავი და პირველი ადგილი უჭირავს გრიგოლ ორბელიანს“... გრ. ორბელიანის პოეზიის უმთავრესი მოტივია „ლხინი, შექცევა, სიყვარული, ე. ი. ღვინო და ქალი“... „მამულის სიყვარული და საქართველოს ისტორიის თაყვანისცემა... ყველაზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას იმის ლექსთა კრებიდან სტოვეებს ის ლექსები, რომლებიც უგალობენ საქართველოს წარსულ დიდებას და იმის ბუნების მშვენიერებას... იმისი ქნარი 50 წელი უგალობდა მარტო მშვენიერებას, მშვენიერებისა და სიკეთის საუკუნო იდეალებს“, იგი „განხორციელება ჩვენი ნაციონალური გენიისა“... „მისი ენა უფრო მდაბია, ვიდრე საეკლესიო... რაზედაც უნდა წერდეს ორბელიანი, მეტადრე ლექსით, იმის ენას განუყრელად დაჰბერავს დიადი, ზვაობითი (ТОРЖЕСТВЕННЫЙ) სადღესასწაულო ხმა“ (ი. მეუნარგია. „ცხოვრება და ღვანლი გრ. ორბელიანისა“, „ლიტერატურის მატიანე“, 1940, № 1-2, გვ. 295-341). „ქართველი, დიდებული მწერალი“... (ტ. II, 1941, გვ. 137-138) სიბერის ყამს განმარტოებით ცხოვრობდა მოხუცი მსახურის ინაბარა, ცოლი არა ჰყავდა. გარდაიცვალა თბილისში 1883 წლის მარტის 21, დაკრძალა 25 (ახ. სტილით 7 აპრილს) განსაკუთრებული დიდებით ქაშვეთის ეკლესიის გალავანში. დაკრძალვის დროს, სამარესთან, ილია ჭავჭავაძემ უთხრა: „ჩვენი მშვენიერის ქვეყნით თავმოწონებულმა წარმოსთქვი: „სხვა საქართველო სად არის“-ო და, ეჰა, ეხლა თითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს, და სასონარკვეთილებით, გლოვით იძახის: „სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არის“-ო.

მისი დისწული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი.

გრ. ორბელიანი ერთი მეთაურთაგანი იყო 1832 წლის რუსის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებისა, იცნობდა თავისი დროის ზოგიერთი ქვეყნის (საფრანგეთის, რუსეთის, პოლონეთის) რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქართველ შეთქმულთ მამულიშვილურ-რევოლუციური ლექსებით აგზნებდა (ასეთი და სხვა შინაარსის მისი 30-მდე ლექსი მოქცეულია „ქართველთა შეთქმულების საქმეში“, დაცულია საქ. ცენტროარქივში, დაბეჭდილია ჟურ. „ქართულ მწერლობაში“ (1928, № 6-7, გვ. 258-267); აქვეა მისი „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ და „ნაწყვეტი დღიურიდან“). ამ დროის მისი

ნაწერებიდან ირკვევა, რომ ორბელიანი იყო რესპუბლიკანელი.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის პორუჩიკობიდან რიგით ჯარისკაცობამდე ჩამოქვეითებულმა გრ. ორბელიანმა, თანდათან ბეჯითი და ერთგული სამსახურით სახელმწიფო-სამხედრო ასპარეზზე უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, „მრავალმხროვან და მრავალწლოვან ნამსახურობით“, როგორც ნიჭიერმა მმართველმა, ხალხის ზნე-ჩვეულების შესაბამისად მოქმედმა, საყოველთაო სახელ-დიდება მოიხვეჭა. მისი რწმენით, სადაც მმართველი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ზრუნავენ, მთავრობის წინააღმდეგობას ადგილი არ ექნება. ხალხის მმართველი უნდა იყოს პატიოსანი, სიმართლის მიმდევარი, უანგარო, ადამიანთ მოყვარული, მცხოვრებთა თავისებურების – ენის, ზნე-ჩვეულების, შეგნება-შემეცნების, მრწამსის მცოდნე და პატივისმცემელი: „იმგვარ სასამართლოს, საცა დამნაშავეს არ ესმის მსაჯულის ენა და მსაჯულმა არ იცის ენა დამნაშავისა, სიმართლე არა აქვს“-ო. ამასთან საჭიროდ თვლიდა სწრაფ განსჯა-გასამართლებას, ხალხის ადათებთან შეგუებულს, სწავლა-განათლების საქმეში გიმნაზიას, უნივერსიტეტს და აკადემიას პოლიტექნიკურ სასწავლებელს ამჯობინებდა, რადგან პირველნი მხოლოდ საკანცელარიო მუშავენ – მოხლეებს ამზადებენ, ხოლო უკანასკნელი ქვეყნის აღორძინება-წარმატების მუშავენ: ჩვენ გვინდა ისეთი მეცნიერებით განსწავლული მუშაგები, რომლებიც მინას დაამუშავენ, მინის ნიაღში დამარხულ საუნჯეს (მადნეულს და სხვ.) ამოიღებენ, მინის ნაყოფიერებას და მესაქონლეობას განავითარებენ და მით მთელ ქვეყანას გაამდიდრებენო, აგრეთვე შავ და კასპიის ზღვებს რკინიგზით გადააბამენ, ვაჭრობას განავითარებენო. მოითხოვდა სწავლა-განათლების გავრცელებას, რომლის საშუალებით ახალი თაობა შეიქმნობს, რომ ქართველმა „მარტოდ-მარტომ დამდგარმან ხმალ-ამოღებულად, მოპირდაპირედ მთელის აზიისა არ გადუშვა კავკასიის იქით მაჰმადიანობა და დაიცვა რუსეთი და თვით ევროპაცა გაოხრებისაგან“, – მას ღრმად სწამდა, რომ ამ მხრივ „საქართველოს ღვანლი ჯერ ისტორიას ვერ აუწონია“. ბუნებითი ნიჭისა ღირსების დიდად დამფასებელი მოითხოვდა: „მიეცი თ ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“. განსაკუთრებით იცავდა მშობლიურ ენასა და მის სიფაქიზეს. მისი აზრით: „ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავის მშობელიცა, თავის წინაპარიცა, თავის მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია!“ სასტიკად გამოხატა უსწორმასწორო ენით მწერლობას, – ცუდი ენით მწერლობა „თვით უკანონობას კანონად გახდის შემდეგთათვისა“-ო (ი. მეუნარგია. „ცხოვრება და ღვანლი გრ. ორბელიანისა“, „ლიტერატურის მატიანე“, 1940, № 1-2, გვ. 318), და გვიანდერძა: „რა ენა ნახდეს, – ერიც დაეცეს“-ო... ამ ნიადაგზე 1860-70-იან წლებში რადი-

კალ-ბურჟუაზიულ ახალგაზრდა მწერლებს (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.) სასტიკი ლექსით გაეკამათა („პასუხი უღირსთა შვილებთა“ – „ცისკარი“, 1874, № 7-8, გვ. 1-8, „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით).

ბატონყმობის მოსპობის საქმეში გრ. ორბელიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, როგორც საქართველოს თავადიშვილმა და როგორც მმართველობის წარმომადგენელმა. ამ საკითხის შესახებ მოწვეულ ერთ ყრილობაზე, მან, სხვათა შორის, წარმოთქვა: „მოვიდა დრო, როდესაც საქართველოს ძველი ჩვეულება, ძველი წესი, დამკვიდრებული, დამყარებული საუკუნოებიდან უნდა დაირღვეს, დაიქცეს და მათ ნანგრევებზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მე-ბატონეთა და გლეხთა შორის... მე-ბატონეთ უნდა შესწირონ მსხვერპლი შეძლებისამებრ, მაგრამ ამ დანაკლისში ვითარცა ქრისტიანები, უნდა ვნუგეშობდეთ იმ ჰაზრით, რომ ასი ათასი სული თავისუფლდება. ასი ათასი სული გამოდის საშინელის მდგომარეობისაგან. ნუ გვწყინს ეს სიტყვა. კაცი, ჩვენებრ დაბადებული, რომელსაც საქვეყნოს საქმეში არა აქვს ახლა ხმა, არცა რაიმე უფლება, რომლისთვისაც თითქმის სამართალშიაც არა სწერია სანუგეშოდ და ახლა არა აქვსთ საკუთრება რა არის მართლად თუ არა ტყვე?.. ამ საკითხის შესახებ გვმართებს, რომ გულ-დამშვიდებულად სისხლაუღელვებლად, ყოვლის ყურადღებით და მოთმინებით მოვისმინოთ პროექტი“ (მეუნარგია, იონა. „ცხოვრება და ღვანლი გრ. ორბელიანისა“, „ლიტერატურის მატრიანე“, 1940, № 1-2, გვ. 337).

1872 წელს „სასტიკად გაილაშქრა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლების აღკრძალვის წინააღმდეგ და ეს „გულის სალახვარი ამბავი“ ჩააშლევინა“... „პროტესტს უცხადებდა ცარიზმს თურქეთისაგან გაჩანაგებული აჭარისა და აფხაზეთის მკვიდრთა გასახლების გამო, იმავე დროს ქვეყნის ცოდნისა და ხალხის ზნეობის შესწავლას ითხოვდა მმართველობისაგან“ და სხვ. (ცაიშვილი, ს. „გრიგოლ ორბელიანი“, „სახალხო განათლება“, 1948, № 15).

გრ. ორბელიანი მოთქვამს „სამშობლო სულით დაცემას“ და ნატრობს „ჩვენი ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვათ ერთა შორის წმიდით საყდრით, ენით მდიდარით, სწავლისა შუქით განათლებული! ზნე-ამაღლებით, ძლევის დიდებით, სამშობლოს მიწის სიყვარულით! რომ ჩვენ განვახლდეთ, სულით, ავმაღლდეთ და განქრეს ბნელი უმეცრებისა!“, ხოლო სამშობლოს შესძახის: „ჰე, ივერიაჰ! ვიდრე ვიყოთ ქედმოდრეკილი!“ მისი ღრმა რწმენით, ყოველი კაცი მამულის კეთილდღეობისათვის უნდა იღვწოდეს:

„სოფელი იმად არა ღირს
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერარას არგებს მამულსა!“.

სამშობლო უსაყვარლესია ყველაფერზე: „ვინ არ შესტრფის მის ადგილს, სად აღგვეხილნეს პირველ თვალნი, სად ჰქროდა მხიარული სიყმანველი

ნათლად ჩვენი“-ო და ყველას გამამხნეველი მოწოდებით შთაგვაგონებს:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი
კუთხე ქვეყნისა,
ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა,

შავ დროთა ვერა შესცვალეს მის
გული ანდამატისა,
იგივე მხნე, იგივე მღერალი,
მებრძოლი შავის ბედისა“.

გულაღმფოთებით ჰგოდებს:

„ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა
რამ მსაჯულოვნობდეს,
სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი
კანონთა აღასრულებდეს!“

„ერი ღალატებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად“ და შთააგონებს: „ნუ, ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდე ვაებას“-ო. უკანასკნელ ხანებში შეეხო შრომის შვილთ და ძლიერი ფერადებით დაასურათა მუშა „სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი, ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია, შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა! ვის წილად აქვს სიმწარითა ცხოვრება, ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა... ვინც მუშაობს, სხვანი კი იმღერიან“... ვინც არის „მოკლებული ყოველგვარსა შვებასა, კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!“ მოგვაგონებს „იცოდეთ, რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრება“. სვედიანი აღტაცებით გვისურათებს სახელოვან გმირთ, წარსულის მოგონებით წინაპართა ღვანლს.

მუხამბაზებში დამღერის სიყვარულს, ღვინოს, მოზრდილ ლექსებში – მოქალაქეობრივ სვებედს, ბუნებას. არკვევს სიყვარულის თვისებათ და ასკვნის, რომ სატრფო ერთსა და იმავე დროს ტანჯვისა და სასოების აღმძვრელი უნდა იყოს, ორივე ადამიანის კაცური ბუნების ამამაღლებელი, ვინაიდან სიყვარულის „შუქი აღგვამაღლებს“, სულით გაგვანათებსო.

საქართველოს ბუნება პირველად გრ. ორბელიანმა აღწერა ხელოვნური ფერადებით და ქართველი ერი შეამკო. რუსულიდან თარგმნა კრილოვის იგავ-არაკნი, ა. ს. პუშკინის, მ. ლერმონტოვისა და ჟუკოვსკის ლექსები.

გრ. ორბელიანის ლექსები გადათარგმნილია რუსულ, გერმანულ და სხვ. ენებზე.

გრ. ორბელიანის ძეგლის მოდელი თაბაშირისგან შეადგინეს: 1. 1885 წელს – ბ. გედევანოვმა; 2. 1913-1914 წლებში – იაკობ ნიკოლაძემ („თეატრი და ცხოვრება“, 1914, № 16, გვ. 3), მაგრამ ომიანობის გამო ვეღარ დაიდგა.

ცალკე გამოცემულია:

1. სადღეგრძელო / თხზულება თავ. გრიგოლ ორბელიანისა; გამოცემული ი. კერესელიძისგან. - ტფ., 1871 (უ. მარტიროსიანის სტ.). - 17 გვ.; 30სმ.;
2. თავადის გრიგოლ ორბელიანის ლექსები / წინასიტყვაობის ავტ.: უმიკაშვილი პეტრე. - ტფ.: გამოც. პეტრე უმიკაშვილისა, 1873 (მელიქიშვილის და ამხ-

- ანაგთა სტ.). - [3], 80 გვ.; 22სმ.; **მე-2** გამოც.. - თბ.: ქართ. წიგნთა გამომცემი ამხანაგობა, 1879 [კანზე: 1880]. - 90, IV გვ.; 19სმ.. - „გამომცემისაგან“: ამხანაგობის ერთი პირი ზაქ. ჭიჭინაძე. გვ. III-IV; **მე-3** გამოც.. - თბ.: გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, 1884 (არ. კალანდაძისა და ამხ. სტ.). - 93, II გვ.; 19სმ. - [ბოლოთქმა ზ. ჭ.];
3. მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ. [გიორგი წერეთელი] / განხილვა ძუელი სემინარისტისა. - ტფ., 1874 (ეხელაძის სტ.). - 37 გვ.; 22სმ.. - ბროშურა „ცისკრის“ მე-10-თე ნომრიდან;
 4. გრ. ორბელიანის რჩეული ლექსები სკოლებში და ოჯახში სახმარებელი. - თბ.: გამოც. წიგნის მალაზია „ცოდნა“-სი №15, 1904 (კ. თავართქილაძის სტ.). - 47 გვ.; 17სმ.;
 5. ლექსებისა და წერილების სრული კრებული / ვახტანგ კოტეტიშვილის რედაქციით, შენიშვნებით და კრიტიკული წერილით. ლექსები. - ტფ.: ქართული წიგნი, 1928 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 195 გვ.: განცხ.; 17სმ.;
 6. ლექსები / მის. ზანდუკელის რედაქციით, შენიშვნებით და კრიტიკული წერილით. - მე-5 გამოც.. - ტფ.: სახელგამი, 1935 (1-ლი სტ.). - XXVIII, 164 გვ.: პორტრ.; 22სმ.;
 7. წერილები / გრიგოლ ორბელიანი; აკაკი განერელიას რედ. და შენიშვნებით; კოტე გორდელაძის წინასიტყვე.; [მხატვ.: ლ. ქუთათელაძე და ლ. გრიგოლია]. - ტ. 1: 1832-1850. - ტფ.: სახელგამის გამოც. და მე-2 სტ., 1936. - XXV, 320გვ.: ილ.. 23სმ. - შენიშვნ.: გვ. 215-315. - სურათების სია: გვ. 316; ტ. 2. - ტფ.: სახელგამი, 1937 (ცეკაშვილის სტ.). - 400 გვ.: სურ. და პორტრ., 4 ჩართ. ფურც. ფაქსიმელთ და გენეალოგიით; 23 სმ. - დანართი: დამატებითი შენიშვნები (გვ. 388-389-სურათების სია (გვ. 390-391). - [ეს „წერილები“ შეიცავს მრავალ საყურადღებო ცნობას გრ. ორბელიანის ცხოვრების, მოღვაწეობისა და ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით, მთიულთა წინააღმდეგ, წარმოებული ომების მასალაზე. - ი. ი.];
 8. ლექსები. - თბ.: საბლიტგამი, 1939 [კანზე: 1940]. - 52 გვ.; 23სმ.. - გვ. 3-7 დანართი. - შენიშვნები, გვ. 49-51;
 9. Стихотворения [Текст] / Пер. с груз. [Р. Ивнева]. - Тбилиси: Заря Востока, 1939. - 144 с.; 15 см.;
 10. Стихотворения [Текст] / А. Чавчавадзе, Г. Орбелиани, Н. Бараташвили; В пер. рус. поэтов под ред. Н. Тихонова и Ю. Тынянова; Вступ. статья [“А. Чавчавадзе, Г. Орбелиани, Н. Бараташвили”, с. 5-28] А. Островского и А. Федорова. - Ленинград: Сов. писатель, 1941. - 276 с.; 13 см. - (Библиотека поэта. Малая серия);
 11. Стихотворения [Текст] / Григорий Орбелиани; Пер. с груз. Н. Заболоцкий; [Вступ. статья: Л. Асатиани. „Григол (Григорий) Орбелиани“, с. III-XXIII]. - Тбилиси: изд-во и тип. изд-ва „Заря Востока“, 1947. - XXXIII, 127 с.; 17 см.;
 12. ლირიკა. ეპოსი. თარგმანები. 1826-1883. - თბ.: საბჭოთა მწერლის გამ-ბა და სტ., 1948. - 144 გვ.; 16სმ.;
 13. Стихотворения [Текст] / Григорий Орбелиани; С груз. пер. Н. Заболоцкий; [Ред., примеч. и вступ. статья „Григорий Орбелиани“, с. 3-12 В. В. Голь-

цева]. - Москва; Ленинград: Гослитиздат, 1949 (Ленинград: Тип. „Печ. двор“). - 120 с.; 17 см.;

14. პოეტური ნაწერების სრული კრებული: პოეზია: ლირიკა, ეპოსი, თარგმანები, 1827-1883 / გრიგოლ ორბელიანი; აკაკი განერელიას შესავალი წერილით, რედაქციით და შენიშვნებით; [მხატვ. შ. ბერიტაშვილი]. - თბ.: საბჭ. მწერალი-ს გამ-ბა და სტ., 1951. - XX, 236 გვ.: 4 ფურც. პორტრ. და ილ.; 21სმ.. - (ქართული კლასიკური მწერლობა). - დანართი: შენიშვნები ტექსტისათვის, გვ. 153-219. - ბიბლიოგრ.: გვ. 220-234.

გამოქვეყნებულია:

1. გამოსაღმება: [ლექსი] // ცისკარი. - 1852. - № 2. - გვ. 8; 1861. - №5. - გვ. 31-32;
2. ლამე: [ლექსი] // ცისკარი. - 1852. - №2. - გვ. 6;
3. ეკატერინა ჭავ.: წინანდლის ვარდო... [ლექსი] // ცისკარი. - 1852. - №2. - გვ. 2. - მეორედ დაბეჭდილია სათაურით: კ. ჭ. იხ. ცის. 1860, № 11, გვ. 430-431;
4. იარაღისადმი: [ლექსი] // ცისკარი. - 1858. - №10. - გვ. 63-66; 1870. - №1. - გვ. 33-37;
5. ჩემს დას ეფუ...: [ლექსი] // ცისკარი. - 1858. - №11. - გვ. 121-126;
6. მოგონება: [ლექსი] // ცისკარი. - 1859. - № 11. - გვ. 184-185;
7. ო... დარდები: მიბაძვა. [ლექსი] // ცისკარი. - 1860. - №10. - გვ. 254-256;
8. საღამო გამოსაღმების: [ლექსი] // ცისკარი. - 1860. - №9. - გვ. 125-128;
9. ალბომში - ლ. ო პ.: [ლექსი] // ცისკარი. - 1861. - №1. - გვ. 119-122;
10. ანტ...ადმი: [ლექსი] // ცისკარი. - 1861. - №11. - გვ. 331-332;
11. მუხამბაზი: ნუ მასმეგ ღვინოს... [ლექსი] // ცისკარი. - 1861. - №7. - გვ. 243-244;
12. ნი... ადმი: თუ ტურფანია...: [ლექსი] // ცისკარი. - 1861. - №8. - გვ. 327;
13. ეპიტაფია-მირზაჯანასი: [ლექსი] // ცისკარი. - 1862. - №12. - გვ. 287;
14. თაყვანის მცემელთ „როს გუნდი“: [ლექსი] // ცისკარი. - 1862. - №3. - გვ. 232;
15. ნ.. დმი: მნათობო თვით შენ აღმიხსენ... [ლექსი] // ცისკარი. - 1862. - №1. - გვ. 29-30; 1864. - №2. - გვ. 91-92;
16. ნ... ჰე საყვარელო ვის მიერ... [ლექსი] // ცისკარი. - 1862. - №10. - გვ. 143-144;
17. ჩემი ეპიტაფია: „როს ვიყავ ცოცხალ“... [ლექსი] // ცისკარი. - 1862. - №12. - გვ. 287-288; 1863. - №1. - გვ. 56;
18. ლოთური მუხამბაზი: [ლექსი] // საქართველოს მოამბე. - 1863. - №2. - გვ. 187-188; ჩონგური. - 1864. - გვ. 101-103;
19. მუხამბაზი: სულით ერთნო... [ლექსი] // ცისკარი. - 1863. - №1. - გვ. 54-56;
20. პუშკინის მიბაძვა: „სიცოცხლე ფუჭო“... [ლექსი] // ცისკარი. - 1863. - №2. - გვ. 233-234;
21. სავათნავას მიბაძვა: [ლექსი] // ცისკარი. - 1863. - №9. - გვ. 71-72;
22. ხალ... ბეჟანას მაგიერ: [ლექსი] // ცისკარი. - 1863. - №10. - გვ. 147-148;

23. ახ ვითა გშვენიხ...: [ლექსი] // ცისკარი. - 1864. - №2. - გვ. 93-94;
24. იარალისადმი: [ლექსი] // ჩონგური. - 1864. - გვ. 124-127;
25. სიტყვა ნეტარ-ხსენებულის უგანათლებულესის კნ. მიხაილ სიმეონის ძის ვორონცოვის ხსენებასა ზედა, თქმული რუსულად სადილზედ 26 მარტს 1867 წ. ლენერალ-ადუტანტის თავადის გრიგორი დიმ. ძის ორბელიანისა-მიერ // საქართველოს სასულიერო მახარებელი. - 1866-67. - აპრ.-მაისი-ივნ.. - გვ. 258-260. - თარგმანი რუსულიდან;
26. ეპიტაფია: [ლექსი] // საქართველოს სასულიერო მახარებელი. - 1868. - №2. - გვ. 64;
27. ლოპიანას დარდები: [ლექსი] // ცისკარი. - 1871. - №1. - გვ. 44-45;
28. სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე, ლხინი ერევის სიახლოვეს თ. გრ. ორბელიანისა: თ. ალ. ორბელიანს [პოემა] // კრებული. - 1871. - №1. - გვ. 1-38;
29. განხილვა [რეცენზია გიორგი წერეთლის ნაშრომზე „მგზავრობა სვანეთისაკენ“. ნაწილი მოთხრობისა. „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. გ. წ. (კრებ., №9)] // ცისკარი. - 1874. - №9-10. - გვ. 188-189;
30. ძველი სემინარისტი: პასუხი უღირსთა შვილებთა: [ლექსი] // ცისკარი. - 1874. - №7-8. - გვ. 1-8;
31. თამარ მეფის სახე ბეთანის ეკლესიაში: [ლექსი] // ივერია. - 1877. - №6. - გვ. 5-6;
32. მუშა ბოქულაძე: [ლექსი] // ივერია. - 1877. - №7. - გვ. 8-9;
33. ხმა ლოპიანას საფლავიდან: [ლექსი] // ივერია. - 1877. - №18. - გვ. 6;
34. ფსალმუნი: ვინა აღვიდეს მაღალსა... // ივერია. - 1879. - №5-6. - გვ. 151;
35. „ქართული გაზეთით მოხსენებული გექნებათ...“ // დროება. - 1880. - 17 ივლისი. - №266. - გვ. 2. - ხელმოწერა: თქვენი გულითადი პატივის-მცემელი თავადი გრიგოლ ორბელიანი;
36. მასალა ჩვენის ლიტერატურისათვის: (ორი წერილი თ. გრ. ორბელიანისა) // დროება. - 1883. - 7 სექტემბერი. - №176. - გვ. 1-3;
37. აზარფეშაზე: ოთხი ჯერ დაუბეჭდავი ლექსი გრიგოლ ორბელიანისა // ივერია. - 1885. - №4-5. - გვ. 134;
38. დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ: ოთხი ჯერ დაუბეჭდავი ლექსი გრიგოლ ორბელიანისა // ივერია. - 1885. - №4-5. - გვ. 135;
39. იმედო, ნუ თუ ღმერთი ხარ: ოთხი ჯერ დაუმთავრებელი ლექსი გრიგოლ ორბელიანისა // ივერია. - 1885. - №4-5. - გვ. 134;
40. კინტოს სიმღერა: ოთხი ჯერ დაუმთავრებელი ლექსი გრიგოლ ორბელიანისა // ივერია. - 1885. - №4-5. - გვ. 135;
41. ორი წერილი თ-დის გრ. ორბელიანისა // დროება. - 1885. - 5 სექტემბერი. - №190. - გვ. 1-3;
42. თამარის დროშა (გრ. ორბელიანისა), მუსიკა მელიტონ ბალანჩივაძის // საქართველოს კალენდარი. - 1896. - Nკუანასკნელი განყოფილება. - გვ. ჩ. ფ.;
43. ლხინი: [ლექსი] // ივერია. - 1899. - 26 მაისი. - №109. - გვ. 3;
44. სიცოცხლევ ფუჭო, უბრალო ნიჭო...: [ლექსი] // ივერია. - 1899. - 26 მაისი. - №108. - გვ. 3;
45. კავკასიონის მთები: (ლექსი) // პატარა ჩანგი. შემოღობის წერილები გოგოლისა. სცენები, ლექსები და კუპლეტები. - თბ.: „გუთანი“-ს გამოცემა №1, 1902 (სტამბა არ. ქუთათელაძისა). - 63 გვ.; 12სმ.; მეორე გამოცემა. - თფ.: ალ. შახ-ბარათოვის გამოცემა №10, 1903 (ძმ. თავართქილაძეების სტ.). - 63 გვ.; 14სმ.; [მე-3 გამოცემა]. - თბ.: მ.ა. ზარიძის გამოცემა №62, 1907 (სტ. „გუტენბერგი“). - 63 გვ.; 14სმ.; მე-3 [მე-4] გამოცემა. - თბ.: ალ. შახ-ბარათოვის გამოცემა №47, 1908 (თ. როტინიანცის სტ.). - 64 გვ.; 15სმ.;
46. ქართველი პოეტების რჩეული ლექსები: სურათებით და მოკლე ბიოგრაფიებით. - წ. 2. - ტფ.: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, 1904 („შრომა“-ს სტ.). - 156 გვ.; 18სმ.;
47. პასუხი // ივერია. - 1909. - 27 ივლისი. - №30. - გვ. 2;
48. ჩემო ბატონო კნიაზო კონსტანტინე!... // კლდე. - 1913. - №20. - გვ. 16;
49. თამარ მეფის სახე ბეთანის ეკლესიაში: (ნაწყვეტი). [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №18. - გარეკანის მეორე გვერდი;
50. ზოგიერთი ტექსტი გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერებიდან (რედაქცია პავლე ინგოროყვას მიერ) // ქართული მწერლობა. - 1928. - № 6-7. - გვ. 228-267;
51. მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის: (ტექსტი გამოაქვეყნა პავლე ინგოროყვამ) // მნათობი. - 1940. - №2. - გვ. 69-84;
52. ზეცა წყალობად, ნუგეშად: [პოემიდან „სადღეგრძელო“, დავით აღმაშენებლის შესახებ] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1941. - 27 აპრილი. - №99;
53. ზეცა, წყალობად ნუგეშად: ნაწყვეტი „სადღეგრძელოდან“ // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1945. - 5 აპრილი. - №28;
54. მტირალ ნ...ს...: [ლექსი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 12 იანვარი. - №2;
55. საამო არს სახილველად: [ლექსი] // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1945. - 12 იანვარი. - №2;
56. სადღეგრძელო: ნაწყვეტი: [ლექსი თამარ მეფეზე] // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1945. - 29 სექტემბერი. - №104;
57. წერილები: [ს. ცაიშვილის პუბლიკაცია] // ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. - თბილისი, 1947. - №1. - გვ. 297-344;
58. ორბელიანი, გრ. Стихотворения / Ред. С. Чиковани и др.; Предисл. Л. Асатиани; Перевод Н. Заболоцкого // Заря Востока. - 1947. - 126 стр.;
59. ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს...: [ლექსი] / ნახ. მ. ცხადაძისა // დილა. - 1950. - №3. - გვ. 8.

თარგმნა და გამოქვეყნებულია:

- კრილოვი, ი. ა. სოფელღნი და მდინარე: (კრილოვით) [იგავ-არაკი] // ცისკარი. - 1860. - №3. - გვ. 197-198. - დაიბეჭდა მეორეთ. პირველად შეცდომით მიეწერა თარგმანი ალ. ჭავჭავაძეს. იხ. ამავე წლის „ცისკარი“ № 1, გვ. 61-62;
- პუშკინი, ა.ს. მე იგი მიყვარს ლხინი, სად თავისუფლება სუფევდეს...: (პუშკინიდან) [ლექსი] // ცისკარი. - 1860. - №12. - გვ. 528;

3. ჟუკოვსკი, ვ. ა. მას უხაროდეს, ვისაცა ლხინი...: [ლექსი] // ცისკარი. - 1861. - №3. - გვ. 414-415;
4. გოთე. მთანი მაღალნი: Горныя вершины [ლექსი] // ცისკარი. - 1865. - №1. - გვ. 26-27. - თარგმანი ლერმონტოვიდან;
5. ჟუკოვსკი, ვ. ს. ჰეი, სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?: [ლექსი] // ივერია. - 1882. - №4-5. - გვ. 62. - გამოქვეყნებული იონა მეუნარგიას მიერ.

მის შესახებ:

1. კერესელიძე, ივანე. - ა) რედაქციისაგან // ცისკარი. - 1860. - №3. - გვ. 195; ბ) რედაქტორისაგან // ცისკარი. - 1860. - №9. - გვ. 125;
2. ["ცისკარი" ჟურ.] 120 გვერდზედ... // ცისკარი. - 1861. - №2. - გვ. 360;
3. ერისთავი, რევაზ შალვას ძე. მის ბრწყინვალეებას გრიგოლ დიმიტრის ძეს თავად ორბელიანს: [ლექსი] // ცისკარი. - 1864. - №2. - გვ. 93-94;
4. რესკრიპტი მისის იმპერატორებიოთის უმაღლესობისა, ხელმწიფისა და დიდისა მთავრისა, კავკასიის ნამესტნიკისა, გენერალ ადიუტანტის კნიაზ ორბელიანის სახელზედ 15 ივლისს 1865 წ.. - ტფ., 1865. - 1 გვ.; 60სმ. - ტექსტი რუსულ და ქართულ ენებზე; თვითლის გუბერნიის თავადაზნაურობის შეყრილობაზედ... // დროება. - 1867. - 19 მაისი. - №20. - გვ. 1-2;
6. 25 და 26 მარტი ტფილისში // დროება. - 1867. - 7 აპრილი. - №14. - გვ. 1-3;
7. ბერძენოვი, ნ. ძველი წიგნების გამოცემაზე // დროება. - 1869. - 25 დეკემბერი. - №52. - გვ. 1-2; მნათობი. - 1869. - ნოემბერი-დეკემბერი. - გვ. 212-215;
8. ბიძია დონიკე. „საადღერძელო“ თქმული ლექსად თავადის გრიგოლ ორბელიანისაგან, დაბეჭდილი მარტირუზიანის სტამბაში, გამოცემული ივანე კერესელიძისაგან 1871 წელსა, ქ. ტფილისს // ცისკარი. - 1871. - №2. - გვ. 113-132;
9. დიმიტრიძე, ნიკ. (ყიფიანი, ნიკოლოზ). რეცენზია // დროება. - 1871. - 27 თებერვალი. - №8. - გვ. 1; 9 აპრილი. - №14. - გვ. 1-2;
10. ბარათაშვილი, ნ. ნ. ბარათაშვილის წიგნები: (წერილები) // კრებული. - 1873. - №1. - გვ. 99-113; №3. - გვ. 45-60;
11. ნიკოლაძე, ნიკო (ნ. სკანდელი). ჩვენი მწერლობა // კრებული. - 1873. - №3. - გვ. 145-202; აგრეთვე წიგნში: თავადის გრიგოლ ორბელიანის ლექსები / [წინასიტყვაობის ავტ.: უმიკაშვილი პეტრე]. - ტფ.: გამოც. პეტრე უმიკაშვილისა, 1873 (მელიქიშვილის და ამხანაგთა სტ.). - [3], 80 გვ.; 22სმ.;
12. სამუქაფოდ // დროება. - 1874. - 12 ივლისი. - №431. - გვ. 1-2; 19 ივლისი. - №432. - გვ. 1;
13. დღიური // დროება. - 1875. - 7 თებერვალი. - №17. - გვ. 1-2; 1882. - 10 სექტემბერი. - №189. - გვ. 1-2; 14 სექტემბერი. - №192. - გვ. 2-3; 18 სექტემბერი. - №195. - გვ. 2; 19 სექტემბერი. - №196. - გვ. 2-3; 1883. - 22 თებერვალი. - №39. - გვ. 2; 19 მარტი. - №59. - გვ. 2; 22 მარტი. - №61. - გვ. 2-3; 23 მარტი. - №62. - გვ. 2; 24 მარტი. - №63. - გვ. 1-2; 25 მარტი. - №64. - გვ. 1; 29 მარტი. - №66. - გვ. 1-3; 1 აპრილი. - №68. - გვ. 1-2; 5 აპრილი. - №69. - გვ. 1-2; 26 აპრილი. - №82. - გვ. 2; 28 აპრილი. - №84. - გვ. 1-2;

14. ტფილისი, 4-ს ოქტომბერს // ივერია. - 1877. - №32. - გვ. 3;
15. ამას წინეთ ჩვენ ვაცნობეთ... // დროება. - 1878. - 12 ივლისი. - №138. - გვ. 1;
16. გამოვიდა და ისყიდება... // ივერია. - 1878. - №35. - გვ. 16;
17. დოლი: გრ. ორბელიანის ცხენის... // დროება. - 1878. - 24 ოქტომბერი. - №215. - გვ. 1;
18. დოლი: საერთო შედეგები... // დროება. - 1878. - 25 ოქტომბერი. - №216. - გვ. 1;
19. თუმანიშვილი, გ. მ. შარშანდელ მწერლობის გადათვალელება // ალმანახი. - 1878. - №1. - გვ. 228-154;
20. მამათელი. მოგეხსენებათ „დროების“ მკითხველებს... // დროება. - 1878. - 6 სექტემბერი. - №180. - გვ. 3;
21. მილიციონერების სადილი // დროება. - 1878. - 24 სექტემბერი. - №193. - გვ. 1;
22. წარსულს პარასკევს, ესე იგი 22-ს სექტემბერს... [გრ. ორბელიანის სიტყვა ქართველთა ორი ქვეითი დრუჟინის საპატივსაცემოდ გამართულ ნადიმზე ალექსანდრეს ბალში] // ივერია. - 1878. - № 38. - გვ. 5;
23. ფურცელაძე, ანტონ. აკაკი წერეთელს // დროება. - 1879. - 29 ნოემბერი. - №248. - გვ. 3-4; 1 დეკემბერი. - №249. - გვ. 2-3;
24. ახალი ამბები // დროება. - 1880. - 24 თებერვალი. - №43. - გვ. 1-2; 3 ოქტომბერი. - №208. - გვ. 3-4;
25. გლეხი (ი. დავითაშვილი). საქართველოზედ მდიდარი...: [ლექსი] // დროება. - 1880. - 6 ივლისი. - №143. - გვ. 1-3;
26. [გოგებაშვილი, ი.] (სვიმონიძე იაკობ). რანი ვიყავით გუშინ?: [ისტორიული წერილი] // ივერია. - 1881. - №8. - გვ. 57-88. - პირველად შემოკლებით დაბეჭდა გაზ. „დროება“-ში 1880 წ.. - ეპიგრაფად გრ. ორბელიანის სიტყვები;
27. მეუნარგია, ი. - ა) ვეფხისტყაოსანი: (პირველი სხდომა რედაქციისა, 6 თებერვალს) // დროება. - 1881. - 11 თებერვალი. - №31. - გვ. 3-4; ბ) გრიგოლ ორბელიანის სიკვდილი // დროება. - 1883. - 22 მარტი. - №61. - გვ. 1-2; გ) თ. გრიგოლ ორბელიანის დასაფლავება. დასაფლავების წინა დღე. დასაფლავების დღე // დროება. - 1883. - 27 მარტი. - №65. - გვ. 2-3. - იგივე: გაზ. შრომა, 1883, 30 მარტი, №13, გვ. 1-2; დ) ბატონო რედაქტორო!... // ივერია. - 1888. - 25 მარტი. - №64. - გვ. 2; ე) ცხოვრება და ღვანლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა // მოამბე. - 1904. - №2, განყ. II. - გვ. 55-82; № 3, განყ. II. - გვ. 39-64; №4, განყ. II. - გვ. 1-37; №5, განყ. II. - გვ. 1-19; №6, განყ. II. - გვ. 25-38; ვ) ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა / ი. მეუნარგია. - ტფ., 1905 (წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხ. სტ.). - 198 გვ.; 21 სმ.. - გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბიდან“, 1905, № 2-3; ზ) ცხოვრება და ღვანლი გრ. ორბელიანისა / სოლ. ცაიშვილის წინასიტყვაობით // ლიტერატურის მატრიანე. - 1940. - № 1-2. - გვ.: 295-341;
28. მისი იმპერატორებიოთი უმაღლესობის დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის გამოთხოვება // დროება. - 1881. - 28 მაისი. - №109. - გვ. 2;

29. რიონიხონი. რუსთაველის პირით თანამედროეთ // დროება. - 1881. - 20 აგვისტო. - №173. - გვ. 1-2;
30. ქალაქის ბანკეტი არხ. კრების წევრთა პატივ-საცემად // დროება. - 1881. - 20 სექტემბერი. - №196. - გვ. 1-2;
31. წერეთელი, აკაკი. - ა) მუხამბაზი: ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე... [ლექსი] // ჯიბის კალენდარი 1882 წ.. - 1881. - გვ. 59-60. - ეპიგრაფად გრ. ორბელიანის სიტყვები; ბ) აკაკის სიტყვა // დროება. - 1883. - 29 მარტი. - №66. - გვ. 2-3. - იგივე გაზეთში „შრომა“, 1883, 5 აპრილი, №14, გვ. 2-3; გ) რჩევა: (ზოგიერთების საპასუხოდ) [ლექსი] // ცისარტყელა. - 1920. - №6. - გვ. 5;
32. ადგილობრივი ამბები // შრომა. - ქუთაისი, 1882. - 15 აგვისტო. - №36. - გვ. 3; 1883. - 27 აპრილი. - №16. - გვ. 1-2;
33. გელოვანი, ქაიხოსრო. - ა) გრიგოლ ორბელიანის იუბილეს გამო // დროება. - 1882. - 31 ოქტომბერი. - №227. - გვ. 1-2; ბ) წერილი გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების გამო // დროება. - 1883. - 12 აპრილი. - №75. - გვ. 1;
34. ვითომ ოხუნჯი. ერთი ჩემი მეგობრისაგან მომივიდა წერილი... // დროება. - 1882. - 20 ნოემბერი. - №242. - გვ. 2; 5 დეკემბერი. - №255. - გვ. 3;
35. ხუნდაძე, სილოვან. - ა) ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში: პოეტის 50 წლის იუბილეს გამო // ივერია. - 1882. - №12. - გვ. 98-114; ბ) გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე: [ლექსი] // დროება. - 1883. - 8 აპრილი. - №72. - გვ. 1; გ) კრიტიკული შეცთომები // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №45. - გვ. 4-6; №46. - გვ. 3-5; №48. - გვ. 6-7; №49. - გვ. 7-9; №51. - გვ. 12-13; №52. - გვ. 11-13; დ) ხუნდაძე, სილოვან. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. - ნაწ. 2: გრ. ორბელიანი. - ქუთაისი: განათლების ამხანაგობის გამოცემა, 1917 (ქ.შ.ნ.კ.გ.ს. ქუთაისის განვ.ბის სტ.). - 60 გვ.; 19სმ.;
2. ბანკეტი პროფესორ ჩუბინოვის პატივ-საცემად // დროება. - 1881. - 19 სექტემბერი. - №195. - გვ. 1-2;
3. მეუნარგია, იონა (ი.მ.) თბილისის ქრონიკა // შრომა. - 1881. - 7 ოქტომბერი. - №6. - გვ. 3-4;
4. ააა...ან... წერილი მოსკოვიდან // ივერია. - 1886. - 14 დეკემბერი. - №271. - გვ. 3;
5. ახალი ამბავი // ივერია. - 1886. - 18 ივლისი. - №155. - გვ. 1;
6. დოდაშვილი, კოტე. საგრამატიკო ესკიზი: ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო // ივერია. - 1887. - 15 ოქტომბერი. - №214. - გვ. 3-4. - ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ პროფესორს ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს. - გაგრძ. იხ.: 16 ოქტომბერი. - №215. - გვ. 3-4; 17 ოქტომბერი. - №216. - გვ. 3-4; 18 ოქტომბერი. - №217. - გვ. 4; 21 ოქტომბერი. - №219. - გვ. 3-4; 22 ოქტომბერი. - №220. - გვ. 3-4; 25 ოქტომბერი. - №222. - გვ. 3-4;
7. დროებით პეტერბურგელი. პეტერბურგი, 28 დეკემბერს 1886 წ. // ივერია. - 1887. - 8 იანვარი. - №4. - გვ. 3;
8. ჯანაშვილი, მ. რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი: (ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“) // ივერია. - 1887. - 10 ივნისი. - №115. - გვ. 1-2; 11 ივნისი. - №116. - გვ. 1-2; 12 ივნისი. - №117. - გვ. 1-2; 13 ივნისი. - №118. - გვ. 1-3; 17 ივნისი. - №121. - გვ. 1-2; 18 ივნისი. - №122. - გვ. 1-2; 19 ივნისი. - №123. - გვ. 1-2; 23 ივნისი. - №126. - გვ. 1-2; 24 ივნისი. - №127. - გვ. 1-2; 25 ივნისი. - №128. - გვ. 1-2;
9. შილვა. ქილილა და დამანა // ივერია. - 1888. - 3 მაისი. - №91. - გვ. 1-2;
10. ხახანაშვილი, ა. ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის: (ვუძღვნი პატივცემულს პროფესორს ი.ლ. ოქრომჭედლიშვილს) // ივერია.

- 1889. - 14 ივლისი. - №147. - გვ. 1-3; 18 ივლისი. - №150. - გვ. 1-2; 20 ივლისი. - №152. - გვ. 1-2; 21 ივლისი. - №153. - გვ. 1-3; 25 ივლისი. - №155. - გვ. 1-2; 28 ივლისი. - №158. - გვ. 1-2; 1 აგვისტო. - №161. - გვ. 1-2; 2 აგვისტო. - №162. - გვ. 1-2; 3 აგვისტო. - №163. - გვ. 1-2; 4 აგვისტო. - №164. - გვ. 1-2;
- 11. ქუთაისი // ივერია. - 1890. - 3 აგვისტო. - №166. - გვ. 1;
- 12. ს. საჭილაო // ივერია. - 1894. - 24 აგვისტო. - №181. - გვ. 2;
- 13. გორგასლანი, ვ. ილია ოქრომჭედლიშვილი: ნეკროლოგი // ცნობის ფურცელი. - 1898. - იანვარი. - №418. - გვ. 2;
- 14. გუშინ, 3 იანვარს, გარდაიცვალა სტატსკი სოვეტინიკი ილია ლაზარეს ძე სერებრიაკოვ-ოქრომჭედლიშვილი // ივერია. - 1898. - 4 იანვარი. - №2. - გვ. 1;
- 15. გუშინ, 5 იანვარს... // ივერია. - 1898. - 6 იანვარი. - №3. - გვ. 1-2;
- 16. ილია ლაზარეს-ძე ოქრომჭედლიშვილი (პროფესორი სერებრიაკოვი): [ნეკროლოგი] // მოამბე. - 1898. - №1. - გვ. 102;
- 17. ილია ლაზარეს ძე სერებრიაკოვი // ცნობის ფურცელი. - 1898. - 4 იანვარი. - №417. - გვ. 2; 5 იანვარი. - №418. - გვ. 1;
- 18. ილია სერებრიაკოვის (ოქრომჭედლიშვილი) გარდაცვალება... // კვალი. - 1898. - №2. - გვ. 24;
- 19. მიქელაძე, ვლადიმერ (დავინწყებული მწერალი). ძველი და ახალი ამბები // ივერია. - 1898. - 6 იანვარი. - №3. - გვ. 1;
- 20. უმიკაშვილი, პეტრე (პ. უ.). ილია სერებრიაკოვი [ოქრომჭედლიშვილი]. ნეკროლოგი // კვალი. - 1898. - №3. - გვ. 46-47;
- 21. ჭავჭავაძე, ილია. ილია ოქრომჭედლიშვილი // ივერია. - 1898. - 4 იანვარი. - №2. - გვ. 1-2;
- 22. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება // ისარი. - 1907. - 20 თებერვალი. - №38. - გვ. 2.

წყარო:

1. Туманов, Г. М. Словарь кавказских деятелей. - Тифлис: тип. М. Вартанянца, 1890. - Стр. 65;
2. ხახანაშვილი, ა. ახალი ქართული ლიტერატურის მოძრაობა 1821 წ. // კვალი. - 1894. - №2. - გვ. 6-7;
3. გუშინ, 3 იანვარს, გარდაიცვალა სტატსკი სოვეტინიკი ილია ლაზარეს ძე სერებრიაკოვ-ოქრომჭედლიშვილი // ივერია. - 1898. - 4 იანვარი. - №2. - გვ. 1;
4. უმიკაშვილი, პეტრე (პ. უ.). ილია სერებრიაკოვი [ოქრომჭედლიშვილი]. ნეკროლოგი // კვალი. - 1898. - №3. - გვ. 46-47;
5. ქართული ბიბლიოგრაფია: 1. ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. - პეტროგრადი, 1916. - გვ. 115;
6. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და ნინოსტყვე; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 1.: 1852-1877. - თბ., 1940. - გვ. 251; ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 398.
7. გუგუშვილი, პაატა. ქართული ჟურნალისტიკა: საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის. - ტ. 1. - თბ.: სახელგამი, 1941. - გვ. 477.

ოქროპირ ბატონიშვილი (XVIII – XIX სს.)

– მოლექსე-დრამატურგი და პოლიტიკური მოღვაწე. 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, საქართველოს განთავისუფლებისათვის მეცადინე, ერეკლე II-ის (1720-1798) შვილიშვილი, გიორგი XIII-ის ძე, რუსეთში შესაფერი განათლებით აღჭურვილი. 1831 წელს მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა რუსთაგან საქართველოს განთავისუფლების მიზნით შეთქმულების მოსაწყობად. სხვათა შორის, თავის მამიდაშვილს, ალექსანდრე ორბელიანს, დაავალა სანდო ახალგაზრდებისაგან საიდუმლო საზოგადოების შედგენა. მასთან გააფრთხილა: „ნურასდროს ორ კაცს ერთად ნუ ელაპარაკები, თუნდაც შენნი ძმანი იყვნენ. ვისაც ელაპარაკო ეს აზრი, ყველას ცალ-ცალკეო (ასეთი მუშაობის მიზანი ის იყო, რომ შეთქმულების წევრთა ერთიმეორე არ უნდა სცოდნოდათ). ასევე ელაპარაკა სოლომონ დოდაშვილს და ელიზბარ ერისთავს, ამასთან, სოლომონ დოდაშვილს დაავალა – მონაფეებს ჩაუნერგე, რომ ბაგრატიონთა მხარე ეჭიროთ და საქართველოს განთავისუფლებაზე იზრუნონო, მამულის ერთგულება ჩაუნერგეო. ფილადელფოს კიკნაძეს შთააგონა, საქართველოს განთავისუფლებისა და ბაგრატიონთა სამეფო ტახტზე დაბრუნებისათვის ილოცეო და სხვ. ბატონიშვილთა მხრით ყველა შეთქმულს ყოველგვარი დახმარება აღუთქვა – საქმის (ამბოხების) დაწყების დროს ბატონიშვილები აქ დაესწრებიან, მთელ თავის ქონებასა და ძალას საქართველოს განთავისუფლებას მოახმარებნო. მოსკოვიდანაც კავშირი ჰქონდა შეთქმულების მთავარ ხელმძღვანელებთან. ზოგიერთის ცნობით, ოქროპირ ბატონიშვილს მიწერ-მოწერა ჰქონდა „ფრანციაში და ანგლიაში, საიდანაც ელოდენ შემწეობას“. საქართველოში ამბოხების დაწყებისთანავე, ოქროპირი საფრანგეთს უნდა წასულიყო და იქიდან საქართველოს განთავისუფლებისთვის ეზრუნა. ყველა ამით შეთქმულნი გამხნევდნენ, მაგრამ შეთქმულების გაცემის (1832 წლის დეკემბრის 9) შემდეგ, როცა ყველა (145) გაცემული შეიპყრეს, ოქროპირ ბატონიშვილი, დიმიტრი ბატონიშვილთან ერთად, მიაკუთვნეს დამნაშავეთა პირველ ჯგუფს, „რომლებმაც თავისი შთაგონებით ბოროტ-განზრახულობას დასაბამი მისცეს“. ამ საქმის გამო მეფის მთავრობამ ოქრო ბატონიშვილი ციხეში ჩასვა, ხოლო საქმის დაბოლოების შემდეგ ქ. კოსტრომს გადაასახლა.

ოქროპირ ბატონიშვილმა, პოლიტიკურ სარბიელს ჩამოშორებულმა, „ვეფხის ტყაოსანი“ ტრადიციულად გადააკეთა და გამოსცა მოსკოვში სათაურით: „ვეფხვის ტყავოსანი. ტრადიციული მეფის ძის ოქროპირისაგან“ (მოსკოვი, 1853); შოთა რუსთველ-ოქროპირ ბატონიშვილისებურად პეტრე მირიანაშვილმა ახლად დანერა და 1915 წელს გამოსცა (ვეფხის-ტყაოსანი: ხუთ სურათად / შოთა რუსთაველ-ოქროპირ ბატონიშვილისებურად; გამოკრეფილ-დანყობილი პეტრე მირიანაშვილის მიერ. - ტფ., 1915 (ს. ლოსაბერიძის სტ.). - 62 გვ.; 17სმ.).

ცალკე გამოცემულია:

1. ვეფხვის ტყავოსანი: ტრალედია / თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან. - მოსკოვი, 1853 (ივ. სერიკოვის სტ.). - [3], 68 გვ.; 22სმ.

მის შესახებ:

1. ბაიდოშვილი, სტ. სოლოლაკის ამალეების ეკლესია ტფილისში // ივერია. - 1902. - 14 ივნისი. - №123. - გვ. 3;
2. ბიბლიოგრაფია // განთიადი. - ქუთაისი, 1915. - №13. - გვ. 18.

წყარო:

1. ჭიჭინაძე, ზაქარია. სოლომონ დოდაშვილი: [ცხოვრება და მოღვაწეობა]. - თფ., 1893 (სტ. ექვ. ხელაძისა). - გვ. 28;
2. ჯორჯაძე, არ. დიმიტრი ყიფიანი // სახალხო გაზეთი. - 1913. - 9 იანვარი. - № 793;
3. ყიფიანი, დიმიტრი. მემუარები / სიმონ ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. - ტფ., 1930 (პოლიგრაფტრ. მე-2 სტ.). - გვ. 133;
4. გოზალიშვილი, გიორგი. 1832 წლის შეთქმულება. - ტ. 1 / [რედ. ლ. ციხისთავი]. - თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1935 („ზარია ვოსტოკას“ და აფ. მისანიკოვის სახ. წ.დ. სტ.). - გვ.: 7, 22-23, 48, 51, 52-53, 180, 196-199, 220, 266-267, 274, 335, 336, 338, 341, 347, 366, 377, 378, 430, 432;
5. რუხაძე, ტრ. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში / პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით. - თბ., 1939. - გვ. 251;
6. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ. ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ.: 477, 486.

ოქუაშვილი [აკოვეი], არაქელ ბრიგო-ლის ძე [წოსმანი] (1865 –) – მუშა-რევოლუციონერი, ხელობით ზეინკალი, მცხეთელი, თვითგანვითარებული, პოლიტიკატორელი. დაახლოებით 1884-1885 წლებში ხალხოსნურ ლიტერატურას გაეცნო. 1889 წელს მუშათა პირველ ხელნაწერ ჟურნალ „მუშაში“ მონაწილეობდა ა. დლიურაშვილის ფსევდონიმით. 1896 წელს, ვასო ცაბაძის დახმარებით, შევიდა პირველ მარქსისტულ მუშათა წრეში – თბილისის რკინიგზის დეპოში. 1898-1900 წლებში მონაწილეობდა რკინიგზის გაფიცვებში, იმავე ხანებში რსდმპ თბილისის პირველი კომიტეტის (1898-1900) წევრი იყო. 1899 წელს თანამშრომლობდა ხელნაწერ ჟურ. „სინათლეში“. 1908 წელს მთავრობის მიერ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მოქმედ წევრთა შეპყრობის შემდეგ, მონაწილეობა მიიღო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და ხელახლა მუშაობის გაჩაღებაში. 1901-1902 წლებში წევრად იყო რსდმპ თბილისის მეორე კომიტეტისა, რომლის კრებები

მის სახლში იმართებოდა. 1901 წლის აპრილის 22-ს პირველ აშკარა პირველმაისობას მეთაურობდა (ყოფ. ალექსანდრეს ბალთან), რომლის ირგვლივაც შეიკრიბნენ მუშა-მანიფესტანტები, წითელი დროშა ააფრიალეს და, იმავე დროს, იგრილეს: „გაუმარჯოს პირველ მაისს! ძირს თვითმპყრობელობა!“, რის საპასუხოდაც პოლიციელებმა და უანდარმებმა ხმლები იძიშველეს, ხოლო ა. ოქუაშვილმა ხანჯალი იძრო და, სართანისთან ერთად, პოლიციელებს იგერიებდა. ამ დროს შეიპყრეს და სხვა მუშებთან (41) ერთად ციხეში ჩასვეს. ამ დღე-სასწაულის გამართვის ბრალდება, სხვა მუშებთან (ნ. ვიბორგინი, ი. გიორგობიანი, ლადო ჯოხაძე, ნ. ზედგინიძე, ნ. ტომარაძე) ერთად, ა. ოქუაშვილმა იღო თავს, რის გამოც დასაჯეს. მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დროს რამდენიმე არალეგალური სტამბის მოწყობაში. ერთ ასეთ სტამბაში (ნადიროვკაში) ზ. ჩოდრიშვილთან ერთად შეიპყრეს. სასამართლომ 1909 წელს 102, II მუხლის ძალით 8 წლის კატორღა მიუსაჯა. განთავისუფლდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ და კვლავ გატაცებით განაგრძო პარტიულ-რევოლუციური მუშაობა. მენშევიკური მმართველობის დროს რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, უკანასკნელად – ბათუმის ციხეში, საიდანაც საქართველოს გასაბჭოების (1921 წლის თებერვლის 25) შემდეგ გათავისუფლდა. მისი პარტიული სახელი იყო „ომანი“. პოლიტიკურ-რევოლუციური საქმის გამო სასჯელს იხდიდა სარატოვისა და მოსკოვის ციხეებში, ციმბირში დასასახლებლად გაგზავნილი იყო ირკუტსკის გუბერნიის სოფ. კახში. რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს ეძლეოდა პენსია.

გამოქვეყნებულია:

1. ჩვენი საშა: მუშათა წერილები ალექსანდრე წულუკიძის შესახებ // საქართველოს კომუნისტი. - 1920. - 20 ივნისი. - №3. - გვ. 3-4;
2. 23 წლის წინათ: [1900 წლის გაფიცვა რკინიგზების სახელოსნოში] / ა. ოქუაშვილი, ი. კორეტკოვი, ვ. სტურუა // კომუნისტი. - 1923. - 14 აგვისტო. - №185. - გვ. 2;
3. თავისუფალი ამირანის ფიცი: [ლენინის გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1924. - 27 იანვარი. - №22. - გვ. 3.

მის შესახებ:

1. 31 მაისს... // ისარი. - 1907. - 2 ივნისი. - №118. - გვ. 2;
2. ენუქიძე, ბ. ა. ოქუაშვილის სახელობის მუშათა კლუბის გახსნა: [ერთობის უბანში] // კომუნისტი. - 1924. - 6 ივლისი. - №152. - გვ. 3.

წყარო:

1. Дело по архиву № 420. - Т. 2. - 1902. - № 515;
2. ჭიჭინაძე, ზ. ტფილისის მუშების პირველი ჟურ. „მუშა“ // თეატრი და ცხოვრება. - 1923. - № 3. - გვ. 13;
3. თალაკვაძე, ს. // რევოლუციის მატთანე. - 1925. - № 2. - გვ. 61;

4. საქართველოს კომპარტიის ძველი გვარდია [გარდაცვლილ და ცოცხალ რევოლუციონერ ბოლშევიკების (1890-1905 წ.წ.) სურათ-ბიოგრაფიები: ალბომად შეკრული] / წინასიტყვაობის ავტ.: სევ. თალაქვაძე. - ტფ.: საქართველოს კომპარტიის ცეკას პარტიის გამოცემა, 1925 (საქ. კპ ც.კ. სტ.). - გვ. 35;
5. ხუნდაძე, სიმონ. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. - ტ. 2: ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში. - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ.: 113, 203;
6. გიორგაძე, გრიგოლ. - ა) საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 / გრიგოლ გიორგაძე. - ტფ.: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - გვ. XI; ბ) თვითმპყრობელობა და რევოლუცია / გრიგოლ გიორგაძე. - წ. 1: საბუთები რევოლუციონერ მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1870-1902. ხალხოსნების ხანა-დასვლების-მარქსისტების მუშაობის დასაწყისი და განვითარება 1902 წლამდე. - ტფ.: სახელგამი, 1929 [კანზე: 1930] (პოლიგრაფსკ. სტ.). - გვ. 330;
7. Политическая каторга и ссылка: биограф. справ. членов О-ва политкаторжан и ссыльно-поселенцев / Всесоюз. О-во полит. каторжан и ссыльно-поселенцев. - Москва: Изд-во Всесоюз. О-ва политкаторжан и ссыльно-поселенцев, 1929. - Стр. 398.

ოლანეზაშვილი, ალექსანდრე [საშა] არკადის ძე (1888, 1/IV – 1932, 31/IV) – მუსიკოსი-ორიენტალისტი, სახელგანთქმული მეჭიანურე-ვირტუოზი, აღმოსავლური მუსიკის ცნობილი მასწავლებელი, დამსახურებული პროფესორი, მწერალი-მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, – თბილისელი, ამილახვრიანთ ნაყმევის შვილი (მამა – სოლანლუხელი გლეხი – მომღერალი მენალარე („დიპლოპიტოზე“ დამკვრელი), დაიბადა 1888 წლის მაისში (ზოგი ცნობით – 1889). ბავშვობიდანვე მუსიკამ გაიტაცა, სკოლაში არსად ყოფილა, თვითგანვითარებით გაიკავა გზა, მამის ნაბძვით დაიწყო სიმღერა-დაკვრა. 7 წლისამ მამისგან შეისწავლა ნალარაზე დაკვრა, შემდეგ – დაირაზე დამღერებით, ბოლოს – თარზე. ამ ხანში გარდაეცვალა დედა – ქუთაისელი სოფიო კუზნიანიძე. დედინაცვალმა პატარა საშა მოხელე, თარის დამკვრელ ხეჩუას აჩუქა, რომელთანაც დიდი ტანჯვა გამოიარა. ხეჩუამ დასტიტ მოგზაურობის დროს ბაქოს გადაიყვანა, სადაც მეჭიანურე ოპანეზამ, პროფესორმა, საშას ნიჭი შეამჩნია და აღზარდა. მამამ ბაქოს გაგზავნა აღმოსავლურ მუსიკოსთა დასტებში მონაწილეობისათვის. 13 წლისამ დაიწყო ჭიანურზე დაკვრა ისე ხელოვნურად, რომ მთელ კავკასიასა და სპარსეთში ერთერთ საუკეთესო დამკვრელად ითვლებოდა. 1903 წლიდან კონცერტებში მონაწილეობდა, 1905 წლიდან დიდ კონცერტებში სოლისტად გამოდიოდა და ისე გაითქვა სახელი, რომ 1908 წელს ცნობილ-

მა საგრამოფონო ფირმებმა („პრემიერ რეკორდმა“, „პატე-რეკორდმა“ და სხვ.) გრამოფონის ფირფიტებზე მისი ჭიანურის დაკვრის გადასაღებად მიიწვიეს. 1910-1911 წლებში თურქულ ენაზე დაწერა ოპერა „ფარჰად და შირინ“, 6 სურათად (სიტყვიერი ტექსტი მირზა ჯალალ იუსუფ ზადესი), რომელიც ბაქოში დაიდგა 1911 წლის მარტის 6, ორკესტრს თვით ალ. ოლანეზაშვილივე ხელმძღვანელობდა. ეს იყო პირველი მოვლენა. შემდეგ სხვაგან დაიდგა მრავალჯერ. 1914 წელს ბაქოში დააარსა „აღმოსავლეთის მუსიკის კურსები“ (მუჰამმეტები), სადაც თვითონვე ასწავლიდა. ამ ხანებში საგასტროლოდ გაიწვიეს ევროპასა და სპარსეთში. მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, სამხედრო სამსახურში მოხვდა ქ. პეტროვკას, სადაც სამხედრო ლოტბარად გადარიცხეს. 1918 წელს მიიწვიეს ბაქოს თავისუფალ ხელოვანთა სტუდიაში აღმოსავლეთის მუსიკის მასწავლებლად. 1919 წელს ბაქოშივე დააარსა „აღმოსავლური მუსიკის სახალხო კონსერვატორია“, რომლის გამგედ თვითონვე იყო. აქ უმთავრესი ყურადღება აღმოსავლეთის მუსიკას ჰქონდა მიქცეული (ამ წელს ბაქოში იდღესასწაულეს მისი მოღვაწეობის 25 წლის შესრულება და მიანიჭეს აღმოსავლური მუსიკის დამსახურებული პროფესორის წოდება). ამავე ხანში რაბისის (ხელოვნების მუშაკთა კავშირის) თავმჯდომარედ აირჩიეს. 1921 წელს გადავიდა თბილისს, ყაზანელ თათართა შრომის სკოლაში სიმღერა-გალობის მასწავლებლად. 1924 წელს სომეხ ხელოვანთა სახლში („ჰაიარტუნში“) სამუსიკო სტუდიასთან მოაწყო აღმოსავლეთის მუსიკის კლასი, თავისი მასწავლებლობით. ასწავლიდა, აგრეთვე, თურქულ პედაგოგიურ ტექნიკუმსა და სხვა შრომის სკოლებში. 1926 წელს გაიწვიეს ერევანს – სომხეთის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის მასწავლებლად და ქორეოგრაფიული სტუდიის გამგედ. აქ 150-ზე მეტი ვანური კილო ჩაწერა. 1927 წელს ამიერკავკასიის წარმომადგენლად გაიგზავნა ფრანკ-ფურტ-მაინის მსოფლიო გამოფენაზე, სადაც პროფესორ ბრაუნდოსთან ერთად მუშაობდა ბერათა არქივში, იმავე დროს ჩინეთის ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა აღმოსავლური მუსიკის შესახებ. იმოგზაურა გერმანიის სხვადასხვა დიდ ქალაქში, სადაც ლექცია-კონცერტებს მართავდა, რითაც გერმანიის საზოგადოებას აცნობდა აღმოსავლური მუსიკის თეორიასა და ისტორიას. საზღვარგარეთიდან დაბრუნებული მიიწვიეს მოსკოვსა და ლენინგრადს კონცერტებში მონაწილეობისათვის. რადიოსტუდიის დაარსებისთანავე მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოსკოვს, ლენინგრადს, თბილისს, ერევანსა და სხვა ქალაქებში.

1911 წლიდან თანამშრომლობდა ამიერკავკასიის ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ჟურნალ-გაზეთებში. პირველი წერილი მუსიკის შესახებ თურქულ ენაზე გამოაქვეყნა გაზ. „ინიჰაჰიკატ“-ის 1911 წლის ნომერში; 1915 წლიდან წერილებს ათავსებდა „თეატრი და ცხოვრებას“,

„ქართულ სიტყვას“, „ტრიბუნას“ და სხვ. აღმოსავლური მუსიკის, ისტორიის, თეორიისა და სხვ. შესახებ.

აღ. ოღანეზაშვილის აზრით, აღმოსავლური მუსიკა ევროპული მუსიკის საფუძველია. ევროპელებმა ეს მუსიკა ყურადღებით უნდა შეისწავლონ თავისი მუსიკის გასაახლებლად და ასაღორძინებლად. მუსიკას აქვს თავისი საკუთარი ენა, ის არც ერთ ენაზე არ გადაითარგმნება, – ვისაც ამა თუ იმ ერის მუსიკის შეგნება სურს, – უნდა შეისწავლოს ამ მუსიკის ენა: როცა სპარსულ მუსიკას უკრავენ ფორტეპიანოზე, – ეს ცრუ თარგმანია, გადატლანქვააო. იგი მოითხოვდა: „მართალია, ჩვენ უარს არა ვყოფთ ევროპიელთა მუსიკას, მის კულტურას, მაგრამ არც მშობლიური უნდა დავივიწყოთ, მით უმეტეს, რომ თვით იგივე ევროპიელნი არიან დაინტერესებულნი აღმოსავლეთის მუსიკით, საკრავებით და სწამობენ კიდევაც. საჭიროა, რომ საქართველოს კონსერვატორიაში ადგილი ჰქონდეს აღმოსავლურ მუსიკას“ („საქართველოს განათლების მუშაკი“, 1926, № 14).

წერდა ლიტერატურული საკითხების შესახებაც. მაგალითად, „ვეფხის ტყაოსანზე“ („ვეფხის ტყაოსანში“ ქართული სავარსკვლავეთმრიცხველო თეორია, გეოგრაფია, თამარ იგივე „მარ-თააო“ და სხვ.), ეროვნულ – სამნიგნობრო საკითხებზე ეკამათებოდა სომეხ მწერლებსა და სხვ.

შეადგინა და გამოსცა „აღმოსავლეთის საკრავთა თვითმასწავლებელი“, დაწერა „სპარსული მუსიკის თეორია“. პირველმა შემოიღო თარის, ჩონგურის და სხვ. ნოტებით დაკვრა და მისი სახელმძღვანელო (მანამდე არ ყოფილა); პირველმა გააძინა და თურქულ ენაზე გამოაქვეყნა საიათნოვას თურქული სიმღერები, ლექსები – ქართული ასოებით ნაწერი. ნოტებზე გადილო რამდენიმე ქართული სიმღერა (მაგალითად, ჰაზირას „მუშავ, აღსდექ!“ („თეატრი და ცხოვრება“, 1924, № 12, გვ. 16). წერდა ლექსებსა და მუხამბაზებსაც (მისია, სხვათა შორის, „ჯიქი, ჯიქი, ვახე, ვახე“, „ავადა ვარ, შენი ნახვა მომინდა“ და სხვ., ერთ დროს ხალხში ნამღერი).

უკრავდა აღმოსავლურ თითქმის ყველანაირ საკრავზე, ისეთებზედაც, რომლებიც კავკასიაში არც კია. განსაკუთრებით, ცნობილი იყო უნაზესი და ყოველთა მომხიბლავი თავისი ჭიანჭურზე დაკვრით, – ამას თვითონაც გრძნობდა, რაც სიკვდილის წინა წუთებში თავის დასთან, აწინოსთან, მიწაზე ლექსში გამოსთქვა:

„ვტოვე ქვეყანა და ნაველ,
დამრჩა ჩემ ოქროს სიმებზე თვალი“-ო.

ცნობილი იყო, როგორც აღმოსავლური მუსიკის საუკეთესო მცოდნე-თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, მუყაითი მშრომელი, მუსიკის უსაზღვროდ მოყვარული, სამშობლო ქვეყნის ერთგული შეილი (სხვათა შორის, შოვინისტი სომხები უკიჟინებდნენ – შენ ოღანეზოვი ან ოღანეზიანცი ხარ, სომეხი, ოღანეზაშვილს რად აწერო?! აღ. ოღანეზაშვილი ყველას ერთსა და იმავეს უპასუხებდა: საქართველოში დავიბადე, დედა ქართველი მყავ-

და, ქართველად მოვნათლულვარ, საქართველოს მადლიანი ძუძუ მიწოვნი და თუ არა ქართველი, სხვა როგორ ვიქნებიო, თუმცა საქმით კავკასიელ და უცხო ეროვნებათა მუსიკას ერთნაირი სიყვარულით ეპყრობოდა.

ოჯახურმა ცუდმა პირობებმა და ნივთიერმა ხელმოკლეობამ ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე: გარდაიცვალა ქალაქის პირველ საავადმყოფოში 1932 წლის მაისის 21, დაიკრძალა ხოჯივანქის სასაფლაოზე, სომეხ მოღვაწეთა შორის. რამდენიმე ხნის შემდეგ დამ – ნინომ, როგორც ქართველი მოღვაწე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მოინდომა გადასვენება, მაგრამ თავი დაანება. დაკრძალულია ისევე ხოჯივანქის სასაფლაოზე, სომეხ მოღვაწეთა შორის, რაფის გვერდზე.

დარჩა დაუბეჭდავი გამოკვლევები და ნაწერები, მდიდარი ბიბლიოთეკა მუსიკასა და ხელოვნებაზე, აგრეთვე, იშვიათი საკრავების კოლექცია (რომლებიც ერევანსა და თბილისს შორის გაიფანტა) და მრავალი მონაფე.

გამოქვეყნებულია:

1. საზანდარი: (საზანდა) // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №33. - გვ. 7-9. - დართული აქვს ორი ნახატი მირზა აბულასანხან სუნულ მულქისა;
2. პირველი ნაბიჯი // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №15. - გვ. 13;
3. ჭიანჭური // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №2. - გვ. 14.
4. აღმოსავლეთის სამუსიკო საკრავები // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - № 13. - გვ. 13-14; № 14. - გვ. 6;
5. მუშავ აღსდექ! [ნოტები] (სიტყვები ჰაზირასი, აღ. ოღანეზაშვილის აღმოსავლური ესკიზებიდან) // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - № 12. - გვ. 16;
6. სპარსული მუსიკა (სოლომიზაცია) // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - № 17. - გვ. 13-15;
7. აღმოსავლური ჰანგები // საქართველოს განათლების მუშაკი. - 1926. - № 14. - გვ. 28.

მის შესახებ:

1. ქართული თეატრის ფონდის სასარგებლოდ... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №41. - გვ. 16;
2. ი-ლი. აღმოსავლეთის მუსიკა: აღ. ოღანეზაშვილი // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №27. - გვ. 7. - დართული აქვს სურათი;
3. მეჭიანჭურე აღ. ოღანეზაშვილი... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №34. - გვ. 16;
4. მეჭიანჭურე აღ. ოღანეზაშვილი... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №40. - გვ. 15-16;
5. ცნობილი მეჭიანჭურე ალექსანდრე ოღანეზაშვილი, სამხედრო სამსახურში განვეული [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №39. - გვ. 5;
6. მ-ე. სტავროპოლში საერთო ყურადღება მიიქცია... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №16. - გვ. 13-14;
7. ხ-ლი. სტავროპოლის საკომერციო კლუბში... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №28. - გვ. 15;
8. შემოწირულობა „თეატრი და ცხოვრების“... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №2. - გვ. 16. - წვრილი ამბები. - ტექსტის ბოლოს: რედაქცია;

- ბუთელაშვილი, ვ. ამხ. ოლანეზაშვილის ხსოვნას: [აღმოსავლური მუსიკის ცნობილი მასწავლებლის ალ. ოლანეზაშვილის გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1932. - 5 ივნისი. - №130. - გვ. 4.

წყარო:

1. Город Баку. Театр-цирк. Бр. Никитиных мусульманская опера. Программа. - 1911. - 6 марта;
2. ი-ლი [იმედაშვილი, იოსებ]. აღმოსავლეთის მუსიკა: ალ. ოლანეზაშვილი // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №27. - გვ. 7. - დართული აქვს სურათი;
3. მეჭიანურე ალ. ოლანეზაშვილი... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №40. - გვ. 15-16;
4. მუსიკოს-ორიენტალისტი ალ. ოლანეზაშვილი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1924. - № 14. - გვ. 5;
5. ბუთელაშვილი, ვ. ალ. ოლანეზაშვილი // საქართველოს განათლების მუშაკი. - 1926. - № 14. - გვ. 29;
6. ბუთელაშვილი, ვ. ამხ. ოლანეზაშვილის ხსოვნას: [აღმოსავლური მუსიკის ცნობილი მასწავლებლის ალ. ოლანეზაშვილის გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. - 1932. - 5 ივნისი. - №130. - გვ. 4;
7. Иоанисиани, Левон Арутюнович [Каманча]. Памяти незабвенного профессора, виртуоза Александра Аркадиевича Оганезашвили (1889-1832).

ოცხელი, იოსებ ივანეს ძე (1865, 16/IX – 1919, 27/III) – პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, – იმერეთიდან, ქართველი კათოლიკე, – დაიბადა ქუთაისში 1865 წლის სექტემბრის 16. დაამთავრა ქუთაისის კათოლიკეთა სამრევლო სასწავლებელი, ქუთაისის გიმნაზია (1885) და ოდესის უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტი (1889) პირველი ხარისხის დიპლომით.

1892 წელს ქუთაისში დააარსა საბავშვო ბაღი, რომელიც 1903 წლამდე არსებობდა. 1901 წელს მიიწვიეს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის გამგედ. 1904 წელს, მისი თაოსნობით, ეს სკოლა უფლებიან გიმნაზიად გადაკეთდა, რასაც სიკვდილამდე განაგებდა.

საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდა: თავმჯდომარეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილებას, დააარსა წიგნის გამომცემლობა „განათლება“ და „შკოლა“, აგრეთვე, ყოველ კულტურულ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. შეადგინა სახელმძღვანელოები. გარდაიცვალა 1919 წლის მარტის 27. დაკრძალულია ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის გალავანში. ცნობილი იყო, როგორც პროგრესული მიმართულების პედაგოგი, კარგი ქართველი, ნამდვილი ადამიანი და დინჯი გამგე-მმართველი, თუმცა აზნაურთა ერთმა ჯგუფმა მის წინააღმდეგ გაილაშქრა და ორიოდემ დაასმინა კიდეც.

ცალკე გამოცემულია:

1. ქრესტომატია: საშუალო სასწავლებლის I კლასის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის მიერ. - ქუთაისი: „განათლება“-ს გამომცემა, 1918 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტ.). - 284, IV გვ.; 22სმ.;

რის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - თავფურც., 186 გვ.; 21 სმ.; გამოცემა მეორე. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამომცემა, 1919 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 148 გვ.; 21სმ.;

შეადგინა (თ. მთავრიშვილთან და ს. ყიფიანთან ერთად) და გამოცემულია:

ა)

1. გუთანი: ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი / შედგენილი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის-მიერ. - ქუთაისი: თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამომცემა, 1908 (ჭილაძის და ამხ. სტ.). - VIII, 482 გვ.; 20სმ. - დანართი: „ზოგიერთი სიტყვების განმარტებანი, გვ. 473-476. - ბიბლიოგრ.: თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში იყიდება: ა) საყმაწვილო წიგნების გამომცემელი წრის მიერ დაბეჭდილი წიგნები, ბ ქუთათური ამხანაგობის გამომცემანი, გვ. 477-482;
2. გუთანი: ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი / შედგენილი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების: ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ; ჯეროვანის მთავრობის მიერ ეს წიგნი ცნობილია სახელმძღვანელოდ ყველა შკოლათათვისაც, სადაც ქართულს ენას ასწავლიან და ქუთაისის ეპარქიის სასულიერო შკოლათათვისაც. - მეორე შესწორებული გამოცემა. - ქუთაისი: თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამომცემა, 1911 (იოსებ კილაძის სტ.). - VII, 428 გვ.; 22სმ.;
3. გუთანი: ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი. ჯეროვანის მთავრობის მიერ ეს წიგნი ცნობილია სახელმძღვანელოდ ყველა შკოლათათვის, სადაც ქართულს ენას ასწავლიან და ქუთაისის ეპარქიის სასულიერო შკოლათათვისაც / შედგენილი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ. - მესამე დასურათებული გამოცემა. - ქუთაისი, 1914 (ქ.შ.ნ.-კ.გ. საზ-ბის განყ. სტ.). - XVI, 399 გვ.: ილ.; 20სმ.;
4. „გუთანი“ ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი / შედგენილი: ი. ოცხელი, თ. მთავრიშვილი, ს. ყიფიანი. - მე-4 დასურათებული გამოცემა. - ქუთაისი, 1917 (ქ.შ.ნ.-კ. გამავრც. საზ-ბის სტ.). - 398 გვ.: ილ.; 21სმ.;
5. გუთანი: ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი. მე-სამე და მეოთხე წლის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ. - მეხუთე დასურათებული გამოცემა. - ქუთაისი, 1917 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 317, [3] გვ.; 20სმ.;
6. გუთანი. ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი: მე-სამე და მეოთხე წლის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ. - მეექვსე დასურათებული გამოცემა. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამომცემა, 1920 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტ.). - 284, IV გვ.; 22სმ.;

ბ)

- ქართული ანბანი / შედგენილი ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. - ქუთაისი, 1915 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტ.). - 48 გვ.: ილ.; 21სმ.; გამოცემა მე-2. - ქუთაისი, 1917 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - თავფურც., [1], 48 გვ.: ილ.; 20სმ.; გამოცემა მე-3. - ქუთაისი: „განათლების ამხანაგობა“-ს გამოცემა, 1917 (ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 48გვ.: ილ.; 20სმ.; მეოთხე გამოცემა. - ქუთაისი: განათლების ამხანაგობის გამოცემა, 1920 (ქ.მ.წ.-კ.გ. საზ. სტ.). - 48 გვ.: სურ.; 21სმ.;

ი. ნიკოლაიშვილთან და ბ. მამფორიასთან ერთად:

- ქართული ქრესტომატია: საშუალო სასწავლებლის II კლასის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ. - ქუთაისი: განათლების ამხანაგობის გამოცემა, 1918 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 234, [2] გვ.; 20 სმ.; მე-2 გამოცემა. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ-ბის გამოც., 1919 (ქ.მ.წ.-კ. გამავრც. საზ-ბის სტ.). - 120, [1] გვ.; 27 სმ.;
- ქართული ქრესტომატია საშუალო სასწავლებლის III კლასის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ-ბის გამოცემა, 1918 (ქ.მ.წ.-კ.გ. საზ. სტ.). - 155 გვ.; 28 სმ.;
- ქართული ქრესტომატია: საშ. სასწავლებლის IV კლასის კურსი / შედგენილი ი. ოცხელის, ი. ნიკოლაიშვილისა და ბ. მამფორიას მიერ. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ-ბის გამოცემა, 1918 (ქ.მ.წ.-კ.გ. საზ. სტ.). - 155 გვ.; 23 სმ.

ს. ყიფიანთან და დ. ოყრეშიძესთან ერთად:

- მნათობი: ანბანს შემდეგ საკითხავი წიგნი, შკოლაში სახმარებელი / შედგენილი ი. ოცხელის, სამ. ყიფიანისა და დ. ოყრეშიძის მიერ. - ქუთაისი: წიგნის გამ-ბა „შკოლა“, 1919 [კანზე: 1918] (სტ. „ძმობა“). - IV, 136 გვ.: ილ.; 20 სმ.

გამოქვეყნებულია:

- დონ დიმიტრი თუმანიშვილი: ნეკროლოგი // ივერია. - 1895. - 22 იანვარი. - №16. - გვ. 1-2.

მის შესახებ:

- ოდესა // ივერია. - 1889. - 22 ოქტომბერი. - №224. - გვ. 3;
- ქუთაისში... ამ ოქტომბრის 20 რიცხვიდან დაარსდება მოსამზადებელი სასწავლებელი და საყმანვილო ბაღი ს.ი. ოცხელისა: [განცხადება] // ივერია. - 1892. - 14 ოქტომბერი. - №217. - გვ. 1;
- ქუთაისის ი.ი. ოცხელის სასწავლებელში და საყმანვილო ბაღში სწავლა დაიწყება 1-ლი ენკენისთვიდან // ივერია. - 1895. - 1 სექტემბერი. - №187. - გვ. 1;

- სასწავლებელი და საყმანვილო ბაღი ი. ოცხელისა (ქუთაისში)... // კვალი. - 1896. - №37. - გვ. 649; N38. - გვ. 684;
- მსახიობ ბარ. ავალიშვილის გარდაცვალება... // კვალი. - 1900. - №49. - გვ. 774-775;
- ქ.შ. წერა-კითხვის გ.საზ. გამგეობამ... // ცნობის ფურცელი. - 1900. - 30 ნოემბერი. - №1313. - გვ. 2;
- „ჯეჯილის“ კომისიის... // ცნობის ფურცელი. - 1900. - 23 აპრილი. - №1104. - გვ. 1;
- დ. მ. (დავით მდივანი). ქუთაისი // ცნობის ფურცელი. - 1901. - 23 აპრილი. - №1444. - გვ. 1;
- ქუთაისის ახალი ამბები // ცნობის ფურცელი. - 1902. - 16 მაისი. - №1810. - გვ. 3; 19 ნოემბერი. - №1989. - გვ. 2;
- ზ. ჭ. (ჭიჭინაძე ზაქარია). კათოლიკეთა ეკლესიის კურთხევა ბათუმში // ივერია. - 1903. - 13 მაისი. - №102. - გვ. 3;
- ავალიანი, დავით (ისარა; დონ-ვალიანი). - ა) ქუთაისის ქალაქის საქმეები: 28 მარტი: [კამათი პოლიციელთა შტატისა და მათი ჯამაგირების გადიდების შესახებ; ქალაქის სასკოლო კომისიის თავმჯდომარედ იოსებ ოცხელის არჩევა] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 2 აპრილი. - №2787. - გვ. 4; ბ) ქუთაისის ცხოვრება: [მასწავლებელთა კრება ი.ი. ოცხელის თავმჯდომარეობით. ფედერალისტთა მიტინგი სოფ. ბაღდადში, შემონიშნულობათა შეგროვება დაღუპულ გურულთა ოჯახების სასარგებლოდ. საცეკვაო საღამო მასწავლებელთა სასარგებლოდ და „კაი გრაჯის“ დადგმა გურულების სასარგებლოდ] // ივერია. - 1905. - 10 ნოემბერი. - №202. - გვ. 4; გ) ქუთაისის ცხოვრება: [ღვინის გამყიდველებისა და რესტორნის პატრონთა კრება. სახელოსნოების ქარგლებისა და შეგირდების მოთხოვნები. იოსებ ოცხელისა და მისი მონაფეების დაბრუნება მოგზაურობიდან] // ივერია. - 1905. - 2 აგვისტო. - №133. - გვ. 3-4;
- კვიცარიძე, ისიდორე (ის-არიძე). სასწავლებელთა მდგომარეობა: [მასწავლებელთა კრებაზე ვლ. კანდელაკის, ს. ქვარიანისა და ი. ოცხელის გამოსვლა არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ; სკოლების დახურვა] // ივერია. - 1905. - 22 თებერვალი. - №6. - გვ. 2-3;
- ქუთაისის ამბები: [საომარი დროის წესების მოხსნა, მისი ცუდი შედეგები. ქუთაისის პედაგოგთა კრება იოსებ ოცხელის თავმჯდომარეობით. რეალური სასწავლებლის შენობის გვერდით ყაზარმის გახსნის წინააღმდეგ. ქართველთა დევნა სახელმწიფო დაწესებულებებში] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 9 ნოემბერი. - №2945. - გვ. 3;
- ვაზ. „ნოვოსტი ზაკავკაზი“-ს... // სავაჭრო გზა. - 1908. - 20 ნოემბერი. - №24. - გვ. 2. - ქრონიკა;
- დაიბეჭდა და გაიყიდება... // ამირანი. - 1908. - 12 აგვისტო. - №131. - გვ. 1;
- თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მალაზიაში // დროება. - 1908. - 18 ნოემბერი. - №1. - გვ. 1;
- მაჭავარიანი, ი. გუთანი // დროება. - 1908. - 21 ნოემბერი. - №4. - გვ. 4. - ბიბლიოგრაფია;
- მირიანაშვილი, ალ. ბიბლიოგრაფია // ამირანი. - 1908. - 17 სექტემბერი. - №159. - გვ. 2-3; 18 სექტემბერი. - №160. - გვ. 2;

19. რევიზორი-ემმაკი. მოხსენება კედოპოლის რევიზიისა // ემმაკის მათარახი. - 1908. - №19. - გვ. 2-3;
20. ქ. ქუთაისში... // ალი. - 1908. - 6 ნომბერი. - №4. - გვ. 1;
21. ქ. ქუთაისში თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მალაზიაში // დროება. - 1908. - 19 ნომბერი. - №2. - გვ. 4; 20 ნომბერი. - №3. - გვ. 1; 21 ნომბერი. - №4. - გვ. 4; 29 ნომბერი. - №10. - გვ. 1; 2 დეკემბერი. - № 12. - გვ. 1; 6 დეკემბერი. - №16. - გვ. 1. - განცხადებები;
22. აბაშიძე, კიტა. ქუთაისში // დროება. - 1909. - 3 მარტი. - №48. - გვ. 4. - თეატრი და ხელოვნება;
23. ალბაზიშვილი, ილ. გუთანი: ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ (მეორე შესწორებული გამოცემა). [რეცენზია] // განათლება. - 1913. - №7. - გვ. 556-559. - კრიტიკა და ბიბლიოგრაფია;
24. ბოცვაძე, ლ. პასუხად „გუთნის“ შემდგენლებს // განათლება. - 1916. - №10. - გვ. 600-611;
25. ი. ი. ოცხელი // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - №3. - გვ. 16;
26. ახვლედიანი, გ. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე: [იოსებ ივანეს ძე ოცხელი] // საბჭოთა მასწავლებელი. - 1945. - 27 სექტემბერი. - №10;
27. დონდუა, ვ. შთაგონების ძალა: [იოსებ ივანეს ძე ოცხელის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო] // კომუნისტი. - 1945. - 27 სექტემბერი. - №10;
28. უზნაძე, დ. იოსებ ოცხელი: [დაბადებიდან 80 წლისთავის გამო] // კომუნისტი. - 1945. - 27 სექტემბერი. - №10;
29. ქაჯაია, ვ. შემომქმედი პედაგოგი: [იოსებ ივანეს ძე ოცხელის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო] // საბჭოთა მასწავლებელი. - 1945. - 27 სექტემბერი. - №10;
30. ყურაშვილი, ტ. იოსებ ოცხელი: დაბადების 80 წლისთავის გამო // ინდუსტრიული ქუთაისი. - ქუთაისი, 1945. - 4 ნომბერი. - №219;
31. ხუნდაძე, ტ. ძვირფასი მასწავლებელი: [იოსებ ივანეს ძე ოცხელი] // საბჭოთა მასწავლებელი. - 1945. - 27 სექტემბერი. - №10;
32. ჯანელიძე, ალ. ქართველი ახალგაზრდობის მოამბე: [იოსებ ივანეს ძე ოცხელი] // საბჭოთა მასწავლებელი. - 1945. - 27 სექტემბერი. - №10.

წყარო:

1. იოსებ ოცხელი (1865-1919). - ცალკე გამოცემული სურათი ბიოგრაფიული ცნობებით;
2. სახელმწიფო არქივი. სამოსწავლო უწყების საქმე. - № 402. - სერია „Д“;
3. გიორგაძე, გრიგოლ. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 / გრიგოლ გიორგაძე. - ტფ.: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - გვ. 311-312;
4. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნ-

დაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი), 1941. - გვ. 477.

ოცხელი, სიმონ ივანეს ძე (1868 – 1937) –

პედაგოგი მათემატიკოსი, – ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი, – ქართველი კათოლიკე.

შეადგინა და ცალკე გამოცემულია:

1. Новое слово: Руководство рус. яз. для груз. школ / Сост. С.И. Оцхели. - Ч. 1. - Кутаис: К. Оцхели, 1915. - XII, 80 с.: ил.; 23см.; 2-е изд. - Ч. 1. - Кутаис: Тип. Кут. О-ва распр. гр. среди грузин, 1915. - 104 с.: ил.; 22см.;
2. ელემენტარული ალგებრა: საშ. სასწავლებელთათვის / შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლის ს. ოცხელის მიერ. - [მე-2 გამოცემა]. - წ. 1. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1917 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 96, [2] გვ.; 20სმ.; წ. 2. - ქუთაისი: გამოცემა განათლების ამხანაგობისა, 1918 (ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. ქუთაისის განყ. სტ.). - 72 გვ.; 20სმ.; მე-3 შევს. გამოცემა. - წ. 1. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1919 (ქმნგ საზ-ბის განყოფილების სტ.). - 53 გვ.; 25სმ.; წ. 2. - მე-2 გამოცემა. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1920 (ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სტ.). - 72 გვ.; 25სმ.; მე-4 გამოცემა. - წ. 1. - ქუთაისი: განათლების ამხანაგობის გამოცემა, 1920 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტ.). - 64 გვ.; 20სმ.;
3. ელემენტარული გეომეტრია: საშუალო სასწავლებელთათვის / შედგენილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის ს. ოცხელის მიერ. - მე-2 გამოცემა. - [ნან. 1]. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ. გამოცემა, 1917 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყ. სტ.). - თავფურც., 95 გვ.; 20სმ.; წ. 2. - ქუთაისი: გამოცემა „განათლების“ ამხ-ბისა, 1918 (ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ-ბის ქუთ. განყ. სტ.). - 71 გვ.; 20სმ.; მე-3 გამოცემა. - [ნან. 1]. - ქუთაისი: გამოცემა „განათლების“ ამხ-ბისა, 1918 (ქ.შ.წ.-კ. გამ. საზ. ქუთ. განყ. სტ.). - 63 გვ.; 22 სმ.; ნან. 2. - ქუთაისი, 1920 (ქ.შ.წ.-კ.გ. საზ-ბის სტ.). - 75 გვ.; ნახაზ.; 22 სმ.; მე-4 გამოცემა. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1919 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 55 გვ.; 24სმ.; მე-5 გამოცემა. - ნან. 1. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1919 [კანზე: 1920] (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტ.). - 68 გვ.; 23 სმ.; ნან. 2. - ქუთაისი: გამოცემა „განათლების“ ამხ-ბისა, 1919 (ქ.შ.წ.-კ. გამავრც. საზ-ბის სტ.). - 69 გვ.; 20სმ.;
4. არითმეტიკული ამოცანებისა და მაგალითების კრებული პირველ დაწყებითი სკოლებისათვის: წელიწადი პირველი. პირველი ათეული, პირველი

- ორი ათეული, სრული ათეულები ასამდი. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1919 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სტ.). - 80 გვ.; 23სმ.; **მე-2** გამოცემა. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1920 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტ.). - 80 გვ.; 23სმ.;
5. დაწყებითი ფიზიკა: უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. ნელინადი პირველი / შედგენ. ს. ოცხელისა და ა. ნიჟარაძის მიერ. - **[მე-2 გამოცემა]**. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ.პის გამოც., 1919 (ქ. შ. ნ.-კ. გამ. საზ.პის სტ.). - 89 გვ.; ილ.; 20 სმ.;
 6. დაწყებითი ფიზიკა უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის / შედგენილი ს. ოცხელისა და ა. ნიჟარაძის მიერ. - **მე-2** გამოცემა. - ნან. 2: მეოთხე კლასის კურსი. - ქუთაისი: „განათლების“ ამხ. გამოც., 1920 (ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სტ.). - 91 გვ.; სურ.; 22სმ.;
 7. დაწყებითი ფიზიკა უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის: მესამე კლასის კურსი / შედგენილი ს. ოცხელისა და ა. ნიჟარაძის მიერ. - გამოცემა **მე-3**. - ქუთაისი: „განათლების“ ამხანაგობის გამოცემა, 1920 (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტ.). - 79 გვ.; ილ.; 22სმ.;
 8. დაწყებითი ფიზიკა: [სკოლებში სახმარი სახელმძღვ.; სსრ. - ნაწილი პირველი. - ქუთაისი: სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისის განყოფილება, 1923 (ქ.ს.ა.კ.მ.გ. სტამბა წითელი ვარსკვლავი). - 90 გვ.; ილ.; 24სმ.;
 9. ელემენტარული ალგებრა: საშ. სასწავლებელთათვის / შედგენილი ს. ოცხელის მიერ. - ნ. 1. - ქუთაისი: სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისის განყოფილება, 1923 (ქ.ს.ა.კ.მ.გ. სტამბა წითელი ვარსკვლავი). - 75 გვ.; 24სმ.;
 10. ელემენტარული გეომეტრია: საშუალო სასწავლებელთათვის. - ნან. 1. - ქუთაისი: სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისის განყოფილება, 1923 (ქ.ს.ა.კ.მ.გ. სტამბა წითელი ვარსკვლავი). - 70 გვ.; 24სმ.; ნან. 2. - ქუთაისი: სახელგამი, ქუთ. განყ., 1924 (სტ. წითელი ვარსკვლავი). - 80 გვ.; ნახაზ.; 24სმ.;
 11. არითმეტიკულ ამოცანათა კრებული. ბუნებასა და შრომის ცხოვრებაზე დამყარებული: ნელინადი **პირველი** / შედგენილი ს. ოცხელისა და პლ. ნულუკიძის მიერ; პირველი საფეხურის შრომის სკოლის მასწავლებელთათვის ნებადართულია სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის სამეცნიერო-პედაგოგიური სექციის მიერ. - ქუთაისი, 1925 (ადგილობრივი მეურნეობის სტამბა). - 78, [1] გვ.; სურ.; 27სმ.; ნელინადი **მეორე**: პირველი ასეული / შედგენილი ს. ოცხელისა და პლ. ნულუკიძის მიერ. - ქუთაისი, 1925 (ადგ. მეურნეობის სტამბა). - 63, [1] გვ.; 27სმ. - [რეპრესირებული გამოცემა];
 12. არითმეტიკულ ამოცანათა კრებული: [სახელმძღვანელო შრომის სკოლის] მე-3 ჯგუფისათვის. - ტფილისი: ზაკენიკა, 1926 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 85 გვ.; ნახ.; 24სმ. - დანართი: ბუხჰალტერია. საერთო რეული: **მეორე** შეესებული და შესწორე-

- ბული გამოცემა. - ტფილისი: ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1926 (პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა). - 87, [1] გვ.; 24სმ.;
13. გეომეტრიულ ამოცანათა კრებული: შრომის სკოლის უფროს ჯგუფებისათვის / სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ დროებით ნებადართულია შრომის სკოლის უფროსი ჯგუფებისათვის (ოქმი №39, 10/VII). - ნან. 1: პლანიმეტრია. - [ტფ.]; [ქუთაისი]: [სახელგამი], 1926 (ადგილობრივი მეურნეობის სტამბა). - 44 გვ.; 24სმ.;
 14. არითმეტიკულ ამოცანათა კრებული: [სახელმძღვ. შრომის სკოლის მეოთხე ჯგუფისათვის]. - ტფილისი: სახელმწიფო გამ-ბა, 1927 (პოლიგრაფსკოლა). - 121 გვ.; 25სმ.;
 15. მათემატიკურ ამოცანათა კრებული: [სახელმძღვ. მე-3 ჯგუფისთვის]. - **მე-3** შეეს. და შესწ. გამოცემა. - [ტფ.]: სახელგამი, 1927 (სმუს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 95 გვ.; 23სმ.; **მეოთხე** შეესებ. და შესწორ. გამოცემა. - [ტფ.]: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფტრ. მე-6 სტ.). - 99 გვ.; 23სმ.;
 16. მათემატიკურ ამოცანათა კრებული: [სახელმძღვ. შრომის სკოლის მეოთხე ჯგუფისათვის]. - **მე-2** შესწ. და შეეს. გამოცემა. - ტფ.: სახელგამი, 1927 (სმუს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ.). - 120 გვ.; 23სმ.

წყარო:

1. ჭიჭინაძე, ზაქარია. ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები / აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძის მიერ. - თფილისი, 1904 [კანზე: 1905] (არ. ქუთათელაძის სტ.). - გვ. 53;
2. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი), 1941. - გვ. 477.

ოქელაშვილი, არსენა [იოსებ] ოქელას კი (დაახლ. 1797 – 1842) – სახალხო გმირი, – ბატონყმობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, ღარიბთა და დევნილთა შემწე-მფარველი, სოფ. მარაბდის გლეხი, ძლიერი მეზატონეთ-თავადის ზაალ ბარათაშვილის ყმათაგანი, სახელად იოსები, მეტსახელად არსენა, ვ. ბარნოვის (1857-1934) პაპის მამის აბრამ ბარნაველის ნათლული (ზოგი ცნობით – საგინაშვილისა), ძალ-ღონითა და მიხვედრილობით ცნობილი, ბუნებით ნიჭიერი, რაინდი, შინაურულად, ქართული წიგნებით თვითგანვითარებული. ვ. ბარნოვის აღწერილობით, „წერწეტი, მხარ-ბეჭიანი, შოლტვიით მოქნილი ვაჟკაცი. ბღღვრიალა დიდრონი თვალები, გადმოკარკლული. ნაბდის ქუდიდან გადმოფენილი ქოჩორი. მოკლე ჩოხა, თეთრი. თოფ-იარაღი შეჭურვილ-დამშვენებული, ქარივით სწრაფ ლურჯაზედ თითქო დაკრული, არწივისებური გადახედვა. ელვასავით სწრაფი მოაზრება თუ მოქმედება“.

არსენა ოძელაშვილს შეუყვარდა ბატონის მოახლე სალომე, შუაკაცებით – საცოლედ სთხოვა, მაგრამ რადგანაც მებატონემ არ დაუთმო, „მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადაუყენა“. ესეც არ აკმარა (რადგან ბატონმა დევნა დაუწყო), არსენამ „მეორედ ცოლი მოსტაცა, კახეთისკენ გაუყენა“. ბარათაშვილის ეს „ცოლი“, სახელად ბარბარე დავითის ასული, „ძრიელ კარგი ქალი“, არსენამ ცოლად შეირთო, რომლისგანაც 1843 წლის ოქტომბრის 13 შეეძინა ქალი, ელისაბედი.

მებატონეთ მოსთხოვა ყმების (მარაბდელების) განთავისუფლება; გლეხკაცობის შემანუხებლეთ, რუსის კაზაკ-ჩინოვნიკებსა და ჩარჩ-ვაჭრებს სდევნიდა, გლეხობას ბატონთა წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა, ყოველგვარ უსამართლობას აქტიურად ებრძოდა, თუმცა სისხლი არ დაუღვრია. მისი მეთაურობით 1829 წელს ქართველი გლეხები აჯანყდნენ მემამულეთა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მემამოხეებმა მიზეზად გამოიყენეს ის გარემოება, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1828-1829), თავადაზნაურთა გადანყვებილებით და საქართველოს მთავარმართებლის, რუსის გენერლის ი. თ. პასკევიჩის (1782-1856) ბრძანებით, საქართველოდან „ხუთზე ერთი კაცი“ უნდა გასულიყო თურქეთის წინააღმდეგ ომში. არსენა ოძელაშვილის წინამძღოლობით ქართლიდან დიდძალი შეიარაღებული გლეხობა წამოვიდა ქ. თბილისისკენ. პასკევიჩის მოთხოვნით, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა კ. მუხრან-ბატონმა, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა ალ. ორბელიანმა და სხვა გავლენიანმა მებატონე-თავადიშვილებმა მემამოხე გლეხები დიღმის მინდვრის მიდამოებში შეაჩერეს. ალ. ორბელიანის სიტყვით, „ბოლოს დროს, ზოგიერთი ხალხი კიდევ დაბრუნდნენ, მაგრამ ერთი თეთრ-ჩოხიანი ყმაწვილი კაცი იდგა იმათში გაჩუმებული, თოფი მაღლა აიღო და მაღლის ხმით დაიძახა: სად მიხვალთ? ამ ჩემს თოფსა ვკრავ, ვინც რომ უკან დაბრუნდება. თავადებსა რათ უგონებთ, სულ ეგენი ღუპენ გლეხა კაცსა. – ხალხი მაშინვე დატრიალდა და ქ. თბილისისაკენ გამოსწია.

ჩვენ ოთხმოცამდის თავადაზნაურობამ, ამოსასვლელი გზა შეუკარით და წინ გადაუდევით ხალხსა... ჩვენც ერთიან დავიძახეთ ხმა მაღლივა: ხალხო, დადექით. ხალხი შედგა, 2 თავადი გიორგი ერისთავი და ღუბერსკის წინამძღომელი წინ წაუდგნენ ქვეითი ხალხს... დაუწყეს ლაპარაკი და ხალხი დააჯერეს, რომ იმათ სალდათს არა სთხოვენ, მხოლოდ ჩვენი ჯარი უნდა წაიყვანონ ოსმალთზედ... გლეხი კაცებიდანაც რამდენიმე ამოარჩიეს და თან გამოჰყვანენ პასკევიჩისაკენ... იმასაც ისე დაერწმუნებინა... ეს არეულობაც ასე დავამშვიდეთ და წავიდნენ ყველანი თავთავისად.

არამც თუ მარტო ქ. თბილისში, ყოველს უეზდის ქალაქშიაც ამისთანა არეულობა მომხდარიყო, მაგრამ იქაც თავადაზნაურობას დაეწყნარებინა ხალხი“-ო.

გლეხთა ამ ამბოხების მეთაური „თეთრ-ჩოხიანი ყმაწვილი კაცი“ – არსენა ოძელაშვილი იყო. რადგან გლეხობა იმ დროს ბოლომდე არ გაჰყვა ოძელაშვილს, ოძელაშვილი ტყეში შეიხიზნა და ყოველგვარ უსამართლობა-უკანონობას მარტო ებრძოდა. მისი მოღვაწეობა დაიწყო XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მინურულს და 1843 წელს მუხანათურად მოკლეს მცხეთის გაღმა (გ. კუჭატელი (სეფისკვერიძე-ივანოვი – ივანიშვილი) შეეტაკა, არსენა ოძელაშვილმა მოსაკლავად არ გაიმეტა და ხმალი ყუთით დაჰკრა, რის გამო ხმალი ვადაში გადაუტყდა. ამ დროს კუჭატელის თანამხლებელმა ლეკმა არსენას უკანიდან რევოლვერი დაახალა). მცხეთელებმა გამოასვენეს და მცხეთაში დაკრძალეს. XIX საუკუნის 90-იან წლებში დავით კეზელმა მის სამარეზე თლილი ქვა დაადებინა წარწერით: „აქ ასაფლავია საქართველოში განთქმული ყაჩაღი – არსენა ოძელაშვილი“. მისი დამბარა და ხმალი დაცულია „საქართველოს რევოლუციის მუზეუმში“.

არსენა ოძელაშვილი სიცოცხლეშივე ხალხის საყვარელ გმირად გადაიქცა, რადგან „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“-ო. მისი გმირობა, მოღვაწეობა და საქმენი, „არსენას ლექსის“ სახით, მესტირეთაგან თქმული, სახალხო პოემად პირველად გამოსცა ნიკოლოზ ყიფიანმა 1872 წელს (შემდეგ რამდენიმე ათი-ათას ცალობით იბეჭდებოდა და ხალხს ბატონყმური ნყობილების, უსამართლობის, ჩარჩ-მდიდრებისა და რუსის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებდა). მისი პირველი რეცენზია ეკუთვნის მ. პეტრიძეს (პ. უმიკაშვილს) („კრებული“, 1872, № 7). პიესად დაწერა ალ. მოჩხუბარიძემ (ალ. ყაზბეგმა) – „არსენა“ (იგივე „არსენა ყაჩაღი“, თხზულებანი, ნან. პირველი, თბ., 1885); მოთხრობად – ვ. ბარნოვმა – „არსენა“ (ტფ., 1921); რომანად – მიხ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელის“ სახელით, რომელშიაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის ხანა ყოველმხრივ დასურათებულია. ქართლელმა მესტირე ბლიაძემ გალექსა და მას შემდეგ სხვანიც დაამღერებდნენ ხოლმე. ერთხანს პ. უმიკაშვილი ფიქრობდა, ვითომ არსენას ლექსი გამოეთქვას რაჭის სოფ. სევის მცხოვრებს ანდრია ნადირაძეს, ზოგის აზრით – ქართლის სოფ. ვარიანის განთქმულ მცხოვრებს გ. ქებაძეს; ზ. ჭიჭინაძის აზრით – რაჭველ მესტირე სიმონ სხირტლაძეს, ი. ლუკაშვილის აზრით – ქიზიყელს, ხოლო ი. ბალახაშვილმა აღმოაჩინა ყველაზე უძველესი ცნობა, რომ არსენას ამბის გამლექსავი ბლიაძეა.

არსენას ამბავი გადაღებულია კინოფირზე (რეჟისორ მ. ჭიაურელის მიერ), სცენარი ს. შანშიაშვილის და მ. ჭიაურელისა), ხოლო კ. მარჯანიშვილმა ახალი ხერხებით განასახიერა ყოფ. სახალხო თეატრში; იაკობ ბალახაშვილმა დაწერა „არსენას ცხოვრება“ – დოკუმენტური მონოგრაფია (1941) და სხვ.

ოძელაშვილის სახელი „არსენა“ გმირობის, ვაჟკაცობის, რაინდობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლის სიმბოლოდ გადაიქცა და

ხალხი მოწინებით იხსენიებს: „ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, ოძელაშვილო არსენა!“-ო.

„არსენას ლექსი“ ცალკე გამოცემულია:

1. არსენას ლექსი: მესტირეთაგან თქმული სახალხო პოემა, და მენახირის ნაამბობი, პოემიდან „კაკო“ / ნიკ. ყიფიანის გამოცემა. - თბ., 1872 (მელიქიშვილის და კამპ. სტ.). - 16 გვ.; 16სმ. - (სახალხო წერილი წიგნები; № 1);
2. არსენას ლექსი: მესტირეთაგან თქმული სახალხო პოემა / ნიკ. ყიფიანის გამოცემა. - თბ., 1872 (მელიქიშვილის და კამპ. სტ.). - 16 გვ.; 16სმ. - (სახალხო წერილი წიგნები; № 2);
3. არსენას ლექსი: მესტირეთაგან თქმული / შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან; გამოცემული იავორ ნერსესოვისა და არსენ კალანდაძისაგან. - ტფ., 1874 (მელიქიშვილის და ამხ. სტ.). - 16 გვ.; 19სმ.;
4. სახალხო ლექსი არსენა / მესტირეთაგან თქმული. - Типпис: გამოც. ი. მელიქიშვილისა და ნ. მესხისაგან, 1875 (Тип. Меликова и Ко.). - 13 გვ.; ილ.; 17 სმ.;
5. არსენას ლექსი მესტირეთაგან თქმული / შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან. - მე-2 გამოც. / იავორ ნერსესოვისაგან. - თბ., 1879 (ა. მიხელსონის სტ.). - 16 გვ.; 18სმ.;
6. არსენას ლექსი და ხორველის ლექსი. - [ტფ., 1880] (ლ. კრამარენკოს და ამხ. სტ.). - 16 გვ.; 19სმ.;
7. არსენას ლექსი / მესტირულ ლექსებისაგან შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან. - თბ.: გამოც. ივანე ხელაძისაგან, 1880 (ეკ. ხელაძის სტ.). - 16 გვ.; 18სმ.;
8. არსენას ლექსი თქმული მესტირეთაგან. - თბ., 1881 (არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის გამოც. და სტ.). - კანი, 16 გვ.; 18სმ. - უთავფურცლო;
9. არსენას ლექსი / თქმული მესტირეთაგან. - თფ., 1882 (არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის გამოც. და სტ.). - 15 გვ.; 18სმ.;
10. არსენას ლექსი / მესტირეთაგან ნათქვამი; მეორე გამოცემა მ. ახპატელოვისაგან. - თბ., 1884 (მ. როტინოვის და კამპ. სტ.). - 16 გვ.; 17სმ.;
11. არსენას ლექსი / მესტირეთაგან ნათქვამი; გამოცემა მე-3 მ. ახპატელოვისაგან. - თფ., 1884 (მ.დ. როტინიანცის სტ.). - 16 გვ.; 16სმ.;
12. არსენას ლექსი / თქმული მესტირეთაგან. - თბ.: ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა, 1885 (გრ. ჩარკვიანის სტ.). - 16 გვ.; 16სმ.;
13. არსენას ლექსი. - ტფ., 1885 (როტინიანცის სტ.). - 16 გვ.; 21სმ.;
14. ხორველის ლექსი და სხვადასხვა მესტირული ლექსები. არსენას ლექსი / შეკრებილი მ. ახპატელოვისაგან. - მეექვსე [?] გამოცემა. - თფ.: გამოც. ლ. ახპატელოვის მიერ, 1885 (ა. პეტროვის სტ. „კავკაზი“). - კანი, 26 გვ.; სურ.; 21სმ.;
15. არსენას ლექსი. - თბ., 1886 (სტ. ლ.გ. კრამარენკოსი). - 16 გვ.; ილ.; 19სმ.;
16. არსენას ლექსი / თქმული მესტირეთაგან. - თბ.: ქართული წიგნის მაღაზიის გამოც., [1886] (გრ. ჩარკვიანის სტ.). - 16 გვ.; 19სმ.;
17. არსენას ლექსი / მეორედ გამოცემული მ. ახპატელოვისაგან. - თბ., 1887 (მ. როტინიანცის სტ.). - 16 გვ.; ილ.; 24სმ. - უთავფურცლო;
18. არსენას ლექსი / მესტირეთა და სახალხო ლექსებისაგან შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან. - მე-3 გამოც. - ტფ.: გამოც. ა. კალანდაძისა და ა. ქავაროვისა, 1887 („კავკასიის მიმოხილველის“ (ნ. ი. ფრენკელის) სტ.). - 14 გვ.; 18სმ.;
19. არსენას ლექსი / მესტირეთა და სახალხო ლექსებისაგან შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან; პირველი გამოცემა მ.ს. [სერგეი მდივანოვი]. - ტფ., 1888 (Тип. Е.И. Хеладзе). - 14 გვ.; 19სმ.;
20. ხორველის ლექსი და სხვა და სხვა მესტირული ლექსები. არსენას ლექსი. - მესამე გამოცემა. - თბ.: მ. ახპატელოვის გამოც., 1888 (ლ.გ. კრამარენკოს სტ.). - 24 გვ.; 20სმ.;
21. ხორველის ლექსი და სხვა და სხვა მესტირული ლექსები. არსენას ლექსი. - [თბ., 1890 (ვაზ. „კავკაზის“ სტ.). - უთავფურცლო, 24 გვ.; 21სმ.;
22. ხორველის ლექსი და სხვა და სხვა მესტირული ლექსები. არსენას ლექსი / შეკრებილი მ. ახპატელოვისაგან. - მეორე გამოცემა. - თბ.: გამოცემული მისი მეუღლის ლ. მარჯანოვის მიერ, 1890 (კანტორა გაზეთ „კავკაზისა“ სტ.). - 24 გვ.; 21სმ.;
23. ხორველის ლექსი და სხვა და სხვა მესტირული ლექსები. არსენას ლექსი / შეკრებილი მ. ახპატელოვისაგან. - მესამე გამოცემა. - ტფ.: გამოცემული მისი მეუღლის ლ. მარჯანოვის მიერ, 1890 („კავკაზის“ სტ.). - 24 გვ.; 20სმ.;
24. არსენას ლექსი / მეთექვსმეტე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან. - თფ., 1891 (ი. მანსვეტოვის სტ.). - 16 გვ.; ილ.; 21სმ.;
25. არსენას ლექსი მესტირეთა და სახალხო ლექსებისაგან / შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან; მეორე გამოცემა ს. მ...საგან. - ტფ., 1891 (ე. ი. ხელაძის სტ.). - 15 გვ.; სურ.; 20სმ.;
26. ხორველის ლექსი და სხვა მესტირული ლექსები - არსენას ლექსი / შეკრებილი ახპატელოვისაგან. - მეოთხე [?] გამოცემა. - თფ.: გამოც. ლიზა მარჯანოვის მიერ, 1891 (ვაზ. „კავკაზის“ კონტორის სტ.). - 24 გვ.; 22სმ.;
27. არსენას ლექსი. - ტფ., 1892 (ე. ი. ხელაძის სტ.). - 15 გვ.; 19სმ. - (№ 7);
28. არსენას ლექსი / შედგენილი პეტრე უმიკაშვილისა. - ახალ-სენაკი: თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა № 17, 1892 (კ. თავართქილაძის სტ.). - 16 გვ.; სურ.; 19სმ.;
29. არსენას ლექსი / მესტირეთა და სახალხო ლექსებისაგან შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან; გამოცემა ს...მ.-საგან. - მესამე გამოცემა. - Типпис, 1893 (Тип. Н. Мартиросианца). - 15 გვ.; სურ.; 21 სმ.;
30. არსენას ლექსი / შედგენილი პეტრე უმიკაშვილისაგან. - [ად. ა.]: კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა № 28, და მისივე სტ., 1893. - 15 გვ.; სურათ.; 21სმ.;
31. ხორველის ლექსი და სხვადასხვა მესტირული ლექსები. არსენას ლექსი / შეკრებილი მ. ახპატელოვისაგან. - მე-5 [?] გამოცემა. - ტფ.: გამოცემა ლიზა ახპატელოვის მიერ, 1893 („კავკაზის“ (ა. პეტროვის) სტ.). - 24 გვ.; სურ.; 20 სმ.;
32. ხორველის ლექსი და სხვა-და-სხვა მესტირული ლექსები. არსენას ლექსი / შეკრებილი მ. ახპატელო-

- ვისაგან. - მე-6 [მე-8] გამოცემა. - თფ.: გამოც. ლ. ახ-პატელოვისაგან, 1895 (სტ. „კავკაზი“). - 26 გვ.: ილ.; 22სმ.;
33. არსენას ზღაპარი: (ხალხური თქმულება) / შეკრებილი პ. უმიკაშვილისა. - თბ.: ძმ. თავართქილაძეების გამოცემა № 108 და მისივე სტ., 1903. - 16 გვ.; 18სმ.;
 34. არსენას თავგადასავალი: მესტირეთაგან ნაამბობი. - ტფ.: [სერგეი მდივანოვის გამოცემა], 1903 (არ. ქუთათელაძის სტ.). - 15 გვ.; 20სმ.;
30/IV – 1903) – საზოგადო მოღვაწე და მშენებელი, – შვილი თავის დროზე დასავლეთ საქართველოში პურ-მარილით ცნობილი ივანე (ნონია) პურადაშვილსა (რომელიც ბაზრობის დღეს, ნაშუადღევს, სახლის წინ ჩამოჯდებოდა, გამოიტანდა ხელადით ღვინოს პურიტურთ და ბაზრობიდან სოფლისკენ მიმავალ ყოველ გლეხს ჭიქა ღვინოს დააღვინებდა, პურს მოუტეხდა, თან გზას დაულოცავდა – მშვიდობით მიგიყვანოს ოჯახშიო. გადმოცემით, ვითომ ამის გამო ეწოდა გვარად „პურადაშვილი“. მოესწრო იმ დროს, როდესაც რუსთ ხელმწიფის მთავრობამ მე-19 საუკუნის დასაწყისში ქუთათელი მიტროპოლიტი ბინიდან ძალით გამოათრია, რაკი იგი არ ნებდებოდა, ტომარაში ჩააგდო და შორეულ ქვეყანას გაუყენა. ამით გაცეცხლებულმა ივანემ, თუმცა თვალთ აკლდა, წამოიძახა: მომეციტ ჩემი თოფი, ახლავ შევუნგრეო გულის ფიცარი, ვინც ასე შეგვიგინა ღმერთთან შენაფიცარიო. გარდაიცვალა 1837 წელს, დაბადებიდან 97 წლისა).

ისააკ პურადაშვილმა დაამთავრა ქუთაისის 3-კლასიანი სასწავლებელი. ქართულთან ერთად იცოდა რუსული, თურქული, ბერძნული, სომხურიც. თვითგანვითარებით ფრიად მომზადებულ კაცად ითვლებოდა.

1852 წელს თარჯიმან-მწერლად მსახურობდა ბერძენ მშენებელ-იჯარაदार მიხეილ ელიევთან, რომელიც, სხვათა შორის, ქუთაისის საკათედრო ტაძრის მშენებლობას აწარმოებდა. ამ ტაძრის მშენებლობაში ი. პურადაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო.

1855-1856 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, სამხედრო გზის მოიჯარადრის მოანგარიშედ მსახურობდა ხონში და ჯარს ხორცს აწოდებდა. 1857 წელს, ბეჟათუბნის წყლიდან სურამის უღელტეხილამდე გზის გამყვანი 150 ბერძენი მუშის ზედამხედველ-ხელმძღვანელად იყო; ამ საქმეში ი. პურადაშვილმა დიდი აღმშენე-

ბლობითი უნარი გამოიჩინა და გზა გაიყვანა ქვის კედელ-ხედების აგებით, მიხ. ელიევის იჯარადრობით.

1862 წელს ი. პურადაშვილი აირჩიეს ქუთაისის ქალაქის დეპუტატად, რომელიც, სხვა დეპუტატებთან ერთად, ქალაქის მეურნეობაზე ზრუნავდა. 1864 წელს ქუთაისიდან ორპირამდის გზა გაიყვანა იმავე მიხ. ელიევის იჯარადრობით. 1872 წელს ქუთაისში, როგორც ქალაქის დეპუტატი, იმპერატორ ალექსანდრე II-ს (1818-1881) პურ-მარილით წარუდგა შესაფერი სიტყვით, რისთვისაც ოქროს მედალი ებოძა. სხვებთან ერთად, პირველმა ჩაატარა ქუთაისის მოქალაქეთა კამერალური აღწერა და სოფლებიდან ახლად ჩამოსახლებული ქალაქ ქუთაისის მკვიდრ მოქალაქეებად ჩაწერა. როდესაც ქუთაისში დაარსდა (1877) საქალაქო თვითმმართველობა, ი. პურადაშვილი ხმოსნად აირჩიეს; მოქალაქეთა ინტერ-

ესების დაცვისა და მუყაითი მუშაობისათვის, იგი რამდენიმე ოთხეული წელიწადი ზედიზედ ირჩეოდა ხმოსნად. 1881 წელს მართლმადიდებელ მოქალაქეთაგან არჩეულ იქნა მთავარანგელოზის ტაძრის მნათედ (2 წელი ასრულებდა). მნათედ ყოფნისას, ი. პურადაშვილმა განაახლა ეკლესიის კანკელი, მოსკოვში შეუკვეთა ხატები, რომლებიც ადგილობრივ ჩუქურთმებით შეამკობინა (რისთვისაც საქართველოდან საუკეთესო მეჩუქურთმენი მოიწვია, მათ შორის, სახალხო მგოსანი იოსებ დავითაშვილი).

ყველა ამასთან ერთად, იგი სასამართლოებში კერძო ვექილობას აწარმოებდა. იმავე დროს, რამდენჯერმე ხელოსანთა ამქრის უსტაბაშად იყო არჩეული. მისი შვილია ივანე პურადაშვილი.

წყარო:

1. ივ. ის. პურადაშვილის ხელნაწერ-მოგონებებიდან.

ჟვანია, ვლადიმერ გლახუნის ძე (18.. –)

– რევოლუციონერი, – წითელი ასეულის მეთაური წითელრაზმელი. რაზმელებს სამხედრო საქმეს ასწავლიდა ვარჯიშობით და ხელმძღვანელობდა.

1905 წლის დეკემბრის 5-7 წითელი რაზმით, სხვებთან ერთად, განაიარაღა ზუგდიდის პოლიცია ბოქაულითურთ და იარაღი გაიტაცა სარევოლუციო მიზნით. „ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმის გამო ქუთაისის ციხეში იჯდა, 1907 წელს პასუხისგებაში მიცემული, 1908 წლის სექტემბრის 12-16 სამოსამართლო პალატამ გაასამართლა და ციხიბრს გადასახლება მიუსაჯა.

მის შესახებ:

1. დროებით ზუგდიდელი. დ. ზუგდიდი // ლახვარი. - 1907. - 27 აპრილი. - №15. - გვ. 2. - პროვინცია.

წყარო:

1. ჟღენტი, თენგიზ. რევოლუციონური მოძრაობა სამეგრელოში 1905 წ. - ტფ.: სახელგამი, 1929. - გვ.: 39, 54, 58-84.

ჟორდანია, თეოდო [თეოდორე ანუ თეოდორე] დავითის ძე (1854, 20/IV – 1916, 22/X)

– არქეოლოგ-ისტორიკოსი, პედაგოგი, გრამატიკოსი, ქართული საისტორიო საბუთების შემკრები, საზოგადო მოღვაწე, – დ. გურამიშვილის პირველი კრიტიკოსი და ნიჭიერი პოლემისტი, – დაიბადა 1854 წლის აპრილის 20. სიყმანვილესივე გარდაცვალება დედა, მამა კი ბერად შედგა და აფხაზეთს გამწესდა მისიონერად, რის გამოც თ. ჟორდანია იზრდებოდა ჯერ თავისი ბიძის, მერე – მამიდის ოჯახში. ბავშვობიდანვე შეუყვარდა ქართული ხალხურ-ეროვნული კულტურა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი (1868), თბილისის სასულიერო სემინარია (1879) და მოსკოვის სასულიერო აკადემია (როგორც სემინარიის საუკეთესო მოსწავლემ – სახელმწიფო ხარჯით) ჩინებულად და იმავე წლის (1879) სექტემბერში მასწავლებლად გამწესდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. სამღვდლოების კრებამ მალე ამ სასწავლებლის ზედამხედველად აირჩია, აქედან 1884 წელს გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული სიტყვიერების მასწავლებლად, სადაც დაჰყო 1896 წლამდე. თბილისის სასულიერო სემინარიაში მისი მეცადინეობით დაარსდა საშტატო კათედრა ქართული ენისა და ისტორიის, რომელიც თვითონვე ეჭირა. სემინარიაში მასწავლებლობის დროსვე შეადგინა ქართული ენის გრამატიკა, საყურადღე-

ბო სახელმძღვანელო (1889). 1896 წელს ჯერ გურია-სამეგრელოს, შემდეგ (1904) იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ გამწესდა, სადაც ქართული ენის სწავლება გააჩაღა, თუმცა სდევნიდნენ კიდეც და სამსახურიც იძულებით დატოვა 1911 წელს (სხვათა შორის, უსაყვედურეს: „რუსული ენა ცუდად ისწავლება“-ო).

გურია-სამეგრელოს სკოლების მეთვალყურედ ყოფნის დროს, როცა შავრაზმელები ცდილობდნენ სამეგრელოს საქართველოსაგან გათიშვას და ამიტომ საღმრთო წერილის გადათარგმნაც კი დაიწყეს მეგრულად, თ. ჟორდანიამ „ვრცელი მოხსენებით დაუმტკიცა იანოვსკის ლოცვების მეგრულად თარგმნის შეუსაბამობა და უხამსობა, რასაც მოყვა ამ საკითხის საბოლოო ლიკვიდაცია“ (1898).

ბოლოს პითირიმ ექსარხოხმა ეპისკოპოსობა შესთავაზა, მაგრამ არ იკისრა და დიდი ხნიდან დაწყებული საისტორიო-არქეოლოგიური შრომა განაგრძო. გარდაიცვალა 1916 წლის ოქტომბრის 22 (ახ. სტ., 4 ნოემბერს). დაიკრძალა დიდუბის პანთეონში. მისი შვილი იყო ჟორდანია გიორგი, ხოლო შვილიშვილი – ისტორიკოსი გივი ჟორდანია.

თ. ჟორდანია, ცნობილი და ყოველად სანდო პირი, ასე დაახასიათეს: პითირიმ მიტროპოლიტმა – „ჩაესვენა სამარეს შვენება და სიამაყე საქართველოსი“; ლეონიდ ეპისკოპოსმა (კათალიკოსმა) – „იგი იყო უნარჩინებულესი ქართველი არქეოლოგოს-ისტორიკოსი“; ნ. მახათაძემ (ცნობილი პედაგოგი) – „იგი იყო თვალსაჩინო სამეცნიერო-საპედაგოგიო ძალა, დიდად განსწავლული და მომზადებული, თვისი ხალხის ენისა და ისტორიის მცოდნე, მოზარდი თაობის სულის მესაიდუმლე, თვის მონაფეთა გულმტკიცენული მზრუნველი“; დავით ეპისკოპოსმა თ. ჟორდანია საქვეყნოდ გაამართლა: „ერთგული მამულიშვილიაო!“.

თ. ჟორდანია ჭაბუკური გატაცებით ემსახურებოდა სამშობლო ისტორიის კვლევა-ძიებასა და ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანი იყო ქართული საერო და საეკლესიო ისტორიისა, ერთი იმ ქართველთაგანი, ენათმეცნიერი, გრამატიკოსი, ნიჭიერი პოლემისტი, კრიტიკოსი და სამშობლო ქვეყნის მოყვარული, რომელნიც ჩვენის ქვეყნის გამრუდებულ ხვედრის წყალობით ორ ცეცხლშუა, ზღვასა და ფრიალო კლდის შორის მოქცეულან: გარედან თუ უცხო ქურქს ატარებენ, შიგნიდან, გულით სამშობლო ქვეყნის სიყვარულს ღრმად განიცდიან, მამულის უკეთეს მერმისს შესტრფიან და თავისებური შეგნებით ემსახურებიან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხრიდან იდევნებიან:

თანამემამულეთაგან, როგორც მთავრობის სამსახურში მყოფი, ხოლო მთავრობისაგან – როგორც სამშობლო ქვეყნის ერთგული შვილი.

თ. ჟორდანიას არ იყო მყვირალა, ე. წ. წუთის გმირი, გარეგნულად მამულიშვილი, გულში კი სამშობლოს მავნე, – მასწავლებლობის და მეთვალყურეობის დროს ოფიციალურ „კანონიერ“ გარემოში მყოფი, თავისი მოქმედებით ყოველთვის სამშობლო ქვეყნის ინტერესებს იცავდა. სხვათა შორის, მისი მეცადინეობით სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა განამტკიცეს, თუმცა სწორედ მას უეჭვინებდნენ – ქართული ენა მოსპობო. როგორც მასწავლებელი, მარტო ქართული ენის ვინრო პროგრამით არა კმაყოფილდებოდა: მონაფეთა გულში ღრმად ნერგავდა სამშობლო ქვეყნის ისტორიის, მწერლობისა და მისი სამსახურის სიყვარულს (სხვათა შორის, მისი მონაფენი იყვნენ შემდეგში სახელგანთქმული მოღვაწენი, მწერლები და მეცნიერები: ლეონიდე კათალიკოსი, დავით და ანტონ ეპისკოპოსნი, ნოე ჟორდანიას, თედო სახოკია, ს. დევედარიანი, ივ. ვართაგავა, ს. გორგაძე, კორნელი კეკელიძე, გ. იმნაიშვილი და სხვ.). განსაკუთრებით იღვწოდა საქართველოს წარსულის შესწავლის დარგში. მას ღრმად სწამდა, რომ ვიდრე საქართველოს ისტორიის მასალები, ძველი სიგელ-გუჯრები, წერილობითი, მხატვრობითი, ნივთიერი თუ სხვა ძეგლები არ შეიკრიბება, ისე სრული ისტორია არ დაინერგება, ამიტომაც დიდი ხალისით უყრიდა თავს ასეთ ნაშთებსა და მრავალი ძეგლი მოაგროვებდა და მით დაღუპვას გადაარჩინა, და რამდენადაც საქართველოს წარსულის გამაშუქებელ მასალებს უყრიდა თავს და აქვეყნებდა, იმდენად თანადროულობის კულტურულ-მეცნიერულად დანიშნულების საქმეს უწყობდა ხელს, რადგან მის ჩამორჩენილობას, მავნე ხასიათს იცნობდა (სხვათა შორის, ერთხელ წარმოთქვა: „საქართველოში ორი სამარადისო ტიპია: გიორგი სააკაძისა და ნაცარქექიასი. და უბედურება იმაშია, რომ სააკაძეები ცოტანი არიან, ნაცარქექიები ბევრნი და ნაცარქექიები სჭამენ სააკაძეებს“-ო. როცა თ. ჟორდანიას ბრძოლა დაუწყეს – ქართული ენის მოლაღატეაო, და ამის გამო გული სტკიოდა, აკაკიმ უთხრა: ისტორიკოსი ერის მესაიდუმლე უნდა იყოს და შენ როგორი ისტორიკოსი ხარ, რომ ჩვენი ერის მავნე თვისება არა გცოდნია, – ჩვენში საქონელს ვუვლით, გამწვანე ხარს კი პატრონის ცოლსა და დედას ვუგინებთო. თ. ჟორდანიამ მიუგო: ეჰ, აკაკუნა! ეს ენა რომ არა გქონდეს, რა იქნებოდი! რათ მინდა ისტორია, თუ ანმყო არ მექნება, – წერა-კითხვა უნდა გავრცელდეს!-ო და სკოლები გახსნა).

დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს სიძველეთა შეკრება-დაცვას, – სხვათა შორის, მან მოიგონა ძველი მონასტრების ნახატ-ფრესკების გადმოხატვა (რასაც შემდეგში ბეჯითად შეუდგა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება), რითაც ბევრი ძეგლის არსებობის საბუთი სამუდამო გაქრობას გადაარჩინა. აგროვებდა ქართული კულტურის ნაშთებს, შეადგინა ფირფიტების კოლექცია,

ერთ-ერთი დამაარსებელია ქართული გიმნაზიის სასკოლო საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და სხვ.

შეადგინა საეკლესიო და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კატალოგები. ბოლო ხანებში დაწერა: „მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე: არაბების შემოსევა საქართველოში VIII საუკუნეში“.

ცალკე გამოცემულია:

1. Святейший синод при Петре Великом в его отношении к Правительствующему сенату: Ист. исслед. / Соч. Ф. Жордания. - Тифлис: тип. А. Древича и А. Каландадзе, 1882. - 191 с.; 23см.;
2. ქართული გრამმატიკა: (ეტიმოლოგია და სინტაქსი) / თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან. - ტფ., 1889 (ე. ხელაძის სტ.). - II, 174 გვ.; 20სმ.;
3. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა / შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. - ტფ., 1892 [კანზე 1893] (მ. შარაძის სტ.). - LX, 346, II გვ.; 28სმ.;
4. Абхазские католиконы: (Краткий очерк из истории Абхазкой церкви): Печатано по благословлению Преосвященнейшего Агафеодора, Епископа Ставропольского и Екатеринодарского / Ф. Жордания. - Ставрополь: Тип. М.Т. Тимофеева, 1893. - 24 с.; 23см.. - Перепеч. из Ставропольских Епарх. Вед. за 1893 год. - Автор указан в конце текста;
5. Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г.: (К материалам по истории Грузии) / Ф. Жордания; Печ... иждивением преосвящ. Александра, еп. Горийского... - Тифлис: тип. М.Р. Шарадзе, 1895. - [2], 34 с.; 24 см.;
6. К материалам по истории Грузии XI-XII вв. / Собщ. Ф. Жордания. - Москва: Унив. тип., 1895. - 18, 23 с.;
7. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და «ძეგლი» ვაჰხანის ქვაბთა / თ. ჟორდანიას. - თბილისი: გამოცემული გორის ეპისკოპოსის და საქართველოს ვიკარის ალექსანდრეს-მიერ, 1896 (ე.ი. ხელაძის სტ.). - VIII, 90 გვ.; 28 სმ.;
8. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა / შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ. - ნ. 2: (1213 წლიდან 1700 წლამდე). - ტფილისი: კ.ი. მუხრან-ბატონის გამოც., 1897 (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.). - [561] გვ.: ცალკ. პაგ.; 29 სმ.;
9. Описание рукописей Тифлисского церковного музея карталино-кахетинского духовенства, составленное Ф. Д. Жордания: Кн. 1-3. - Кн. 1. - Тифлис: Церк. музей, 1903. - 400 с.; 21 см.; Кн. 2. - Тифлис: Церк. музей, 1902. - [2], 228 с.; 21 см.; Кн. 3. - Тифлис: Церк. музей, 1908. - [2], VI, 3-333 с.; 21 см.;
10. Хроника абхазских царей [Текст]. - Тифлис: [б. и.], [1902]. - 25 с.; 25 см.;
11. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები / შეკრებილი თ. ჟორდანიას

- მიერ [მისივე წინასიტყვაობით]. - ფოთი: ეპისკოპოსი ალექსანდრეს გამოცემა, 1903 (ლ. ტულუშის სტ.). - თავფურცელი, XXIX, 272 გვ.; 19 სმ.;
12. Греческая летопись VIII в., сохранившаяся в грузинских рукописях XI, XV и XVI веков / Ф. Жордания. - [Тифлис]: Тип. Е. И. Хеладзе, [1903]. - 18 с.; 17см.. - Перепеч. из «Духов. вестн. Груз. экзархата» за 1903 г., № 19. - Авт. указан в конце текста;
 13. I. ქართული ენისთვის ბრძოლა 1882-1910 წლებში.-II. ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო შკოლებში?: (ანტიკრიტიკა პასუხად ბ.ი. ფანცხავას და მის კამპანიას). - ქუთაისი, 1913 (სტ. «ძმობა»). - 62 გვ.; 21სმ.;
 14. Пять грузинских, исторических хроник / Ф. Жордания. - [Тифлис], [Б. г.]. - 33 с.; 26см.. - Без тит. л. и обл.. - Авт. указан в конце текста.

მისი წინასიტყვაობით გამოცემულია:

1. ჭყონდიდელი, ანტონ. ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი / [წინასიტყვე. ავტ.: თ. ჟორდანია]. - ქუთაისი: იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონის გამოცემა, 1898 (მეურნის [ილია მ. ჭყონიას] სტ.). - XII, 376 გვ.; 23სმ.

გამოქვეყნებულია:

1. დავით გურამიშვილი და მისი დრო // ივერია. - 1880. - №1. - გვ. 235-262; №2. - გვ. 113-147; 1882. - №1. - გვ. 35-55; №2. - გვ. 3-38;
2. მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში // ივერია. - 1884. - №2. - გვ. 31-56; №3. - გვ. 61-93;
3. მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში // ივერია. - 1885. - №10. - გვ. 101-116;
4. ახლად ნაპოვნი პოემა // ივერია. - 1886. - 21 სექტემბერი. - №204. - გვ. 1-2;
5. ბიბლიოგრაფია // ივერია. - 1886. - 14 სექტემბერი. - №198. - გვ. 3-4;
6. მეფის შვილის ლუარსაბის მკვლელობა და ერთი მაგალითი ძველად სისხლით გასამართლების ხმალით გასვლით: (Суденный поединок) // ივერია. - 1886. - 26 თებერვალი. - №44. - გვ. 1-2;
7. სამაგალითო ომი მეფე ერეკლესი სპარსეთის შაჰ აზატ-ხანთან ერეგნის ახლო (გარნიჩაიზე) 1752 წ. ივნისს // ივერია. - 1886. - 21 მაისი. - №108. - გვ. 1-2;
8. სახსოვრად წმიდისა საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლისა // ივერია. - 1886. - 28 იანვარი. - №21. - გვ. 1;
9. ახლად აღმოჩენილი გელათის მატთანე // ივერია. - 1887. - 18 სექტემბერი. - №193. - გვ. 2-3;
10. მღვდელი თეოდორე კველეთელი: ერთი მაგალითი მეფისა და ქვეყნისათვის თავდადებისა // ივერია. - 1887. - 5 აპრილი. - №70. - გვ. 3-4;
11. საბიბლიოგრაფიო წერილი // ივერია. - 1887. - 31 ოქტომბერი. - №227. - გვ. 2-3;
12. ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა // ივერია. - 1889. - 6 იანვარი. - №4. - გვ. 1-3;

13. სასულიერო მუზეუმი და მეექვსე საუკუნის ქართული ხელნაწერი // ივერია. - 1889. - 9 მაისი. - №96. - გვ. 2-3;
14. გთხოვთ თქვენის გაზეთის... // ივერია. - 1890. - 15 ივნისი. - №125. - გვ. 2;
15. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1890. - 24 აპრილი. - №85. - გვ. 2;
16. ხალხის გმირი დათუკი ქვეპირიშვილი: (ერთი უბედური შემთხვევა მეფე ერეკლეს დროინდელი) // ივერია. - 1890. - 30 ნოემბერი. - №255. - გვ. 1-3;
17. დადიანი ცოტნე და მისი ვინაობა (მე XIII-ე საუკუნე) // ივერია. - 1891. - 21 ნოემბერი. - №248. - გვ. 1-3;
18. რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველს მწერლობას და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა: (პასუხად ბ-ნს ექვ. თაყაიშვილს) // ივერია. - 1891. - 29 ოქტომბერი. - №229. - გვ. 1-3; 30 ოქტომბერი. - №230. - გვ. 1-3; 31 ოქტომბერი. - №231. - გვ. 1-3; 1 ნოემბერი. - №232. - გვ. 2-3; 2 ნოემბერი. - №233. - გვ. 1-3;
19. როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი? // ივერია. - 1891. - 9 ივნისი. - №120. - გვ. 1-3;
20. წერილი რედაქციის მიმართ: (პასუხად ჭორიკებს) // ივერია. - 1891. - 22 მარტი. - №63. - გვ. 4;
21. ანტონ I კათალიკოზი საქართველოსა (1744-1788) // ივერია. - 1892. - 29 თებერვალი. - №45. - გვ. 1-2;
22. გატანილია თუ არა ჩვენის ქვეყნიდამ უმთავრესი სინამდვილე საქართველოსი კვართი უფლისა (წმინდა ნინოების გამო) // ივერია. - 1892. - 14 იანვარი. - №9. - გვ. 2-3;
23. რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ უწერია? // ივერია. - 1892. - 27 მარტი. - №66. - გვ. 2-3;
24. ჩვენის ისტორიის მოყვარულთა საყურადღებოდ // ივერია. - 1892. - 3 ოქტომბერი. - №208. - გვ. 1-3; 4 ოქტომბერი. - №209. - გვ. 1-3;
25. მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს // ივერია. - 1893. - 14 იანვარი. - №9. - გვ. 1-3; №12. - გვ. 1-2; №13. - გვ. 1-2; №14. - გვ. 1-2;
26. პასუხად ბ-ნს სვიმონ ნიკოლოზისძეს წერეთელს // კვალი. - 1893. - №2. - გვ. 16;
27. პასუხად ჩვენის გრამმატიკის კრიტიკოსს // ივერია. - 1893. - 14 აპრილი. - №75. - გვ. 3; №76. - გვ. 2-3; №80. - გვ. 2-3; №81. - გვ. 3;
28. წერილი რედაქტორთან // მწყემსი. - 1893. - №5-6. - გვ. 13-14;
29. „ახალ-სინტეზ სისტემოვანი“ ისტორიული და ხუროთმოძღვრებითი მეცნიერება ბ-ნ გ. წერეთლისა: (ვუძღვნი ჩემს რიონელ-გოგითელას) // ივერია. - 1894. - 21 აგვისტო. - №179. - გვ. 1-3; №180. - გვ. 1-3; №181. - გვ. 1-4; №183. - გვ. 1-3; №184. - გვ. 1-3. - შეცდომების გასწორება იხ.: „ივერია“, №186, გვ. 3;
30. ბატონო რედაქტორო! // ივერია. - 1894. - 11 მარტი. - №53. - გვ. 4;
31. თამარ მეფის გულ-საკიდ ჯვარისა გამო // ივერია. - 1894. - 4 აგვისტო. - №166. - გვ. 3-4;
32. ისტორიული ოფოფები: (პასუხად ჩემს კრიტიკან-

- ებს და განსაკუთრებით ბ-ნს გ. წერეთელს: უკურ-
ღვევა მისის წერილისა: „როგორ აშენდა გელათი“,
„კვალი“ №12 და 13) // ივერია. - 1894. - 26 მაისი.
- №111. - გვ. 1-3; №112. - გვ. 1-3;
33. „პატივი მაქვს ვაცნობო ჩემის „ქრონიკების“ დამ-
ბარებელთა...“ // ივერია. - 1894. - 8 თებერვალი. -
№29. - გვ. 4;
 34. პატივცემულო მამო კალისტრატე! // ივერია. -
1894. - 17 ივლისი. - №152. - გვ. 4;
 35. Абхазские каталикосы // Ставропольские епархи-
альные ведомости. - 1898. - № 20;
 36. სასწაულებრივი ხსნა ქართველთა ლაშქრობის
სრულიადის ამოწყვეტისაგან 1246 წელს // ივერია.
- 1899. - 13 იანვარი. - № 8. - გვ. 1-2;
 37. სოლომონ II, მეფე იმერთა: (საისტორიო მასალა) //
მოამბე. - 1899. - №1, განყ. II. - გვ. 1-10;
 38. თავ-გადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის
შვილის-შვილის ბატონიშვილის გიორგისა // მოამ-
ბე. - 1900. - №5, განყ. II. - გვ. 41-54. - თ. ჟორდანი-
ას წინასიტყვაობით, ბოლოსიტყვაობით და შენიშ-
ვნებით;
 39. მადლობის გამოცხადება... // ივერია. - 1900. - 24
ნოემბერი. - №255. - გვ. 4;
 40. ციხე ქუჯისა, ანუ ციხე-გოჯი. ერთი უძველესი
ნაშთთაგანი საქართველოს სიძველეთა // ივერია.
- 1900. - 3 სექტემბერი. - №192. - გვ. 2-3; 5 სექტემ-
ბერი. - №193. - გვ. 2-3;
 41. ანტონი I კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი:
[რუსულიდან თარგმანი] / მთარგმნ. ანთაძე, კ. //
მოგზაური. - 1901. - №6-7. - გვ. 655-668; №8-9. -
გვ. 816-830; №11. - გვ. 1064-1076; №12. - გვ. 1158-
1172; 1902. - №2. - გვ. 125-141; №5. - გვ. 312-329;
№7-8. - გვ. 449-462; №11-12, განყ. II. - გვ. 287-307;
 42. მოქვის ეკლესიის (აფხაზეთში) ომოფორი ისტო-
რიული წარწერებით // ივერია. - 1902. - 2 მაისი. -
№92. - გვ. 3-4;
 43. Хроника Абхазских царей // Духовный Вестник
Грузинского Экзархата. - 1902. - № 12. - с. 11-29;
 44. ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში:
პასუხად ბ. ბ. გოგიჩაიშვილსა და „ნარს“ // ივერია. -
1905. - 29 მარტი. - №39. - გვ. 2-3;
 45. „ჩუროულს“ ყური არ ათხოვოთ, საქმის გარემოებას
დაუჯერეთ!: (წერილი რედაქციისადმი პასუხად ბ.
ბ. ნიკოლაძე-მიქაბერიძე-ფანცხავას) // მეგობარი.
- 1905. - 9 მარტი. - №2765. - გვ. 3-4;
 46. წერილი რედაქციას: [საეპარქიო რჩევაში წარდ-
გენილი ანგარიშის დამახინჯებულად დაბეჭდვა;
პასუხად „სიტყვას“ - ს. ფორცხალავას] // ცნობის
ფურცელი. - 1905. - 22 თებერვალი. - №2751. - გვ.
3; 22 მარტი. - №2778. - გვ. 4;
 47. წერილი რედაქციისადმი: [სამეგრელოს სკოლებში
ქართული ენის დევენის გამო, პასუხი არქიმანდრიტ
ნიკანდროს] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 5 აგვის-
ტო. - №2880. - გვ. 4;
 48. ბ-ნო რედაქტორო!: ვინმე „იმედი“ თქვენს
გაზეთში... // ჩვენი გზა. - 1907. - 5 ოქტომბერი. -
№25. - გვ. 4. - წერილი რედაქციის მიმართ;
 49. ბ. რედაქტორო! // სავაჭრო გზა. - 1908. - 5
ოქტომბერი. - №11. - გვ. 4;

50. რომელ ანბანს ხმარობდენ ქართველნი ხუცურ ან-
ბანის შემოღებამდე? // სავაჭრო გზა. - 1908. - 16
ოქტომბერი. - №14. - გვ. 3;
51. საარაკო უკუღმართი მსჯელობა: (პასუხად ბ.
ნაქულბაქეველ მოძღვარს) // შინაური საქმეები. -
1912. - №12-13. - გვ. 18-21;
52. ბიჭვინთის სიგელ-გუჯრები // განთიადი. - ქუთაი-
სი, 1913. - №1-2. - გვ. 245-274;
53. ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოების საყურ-
ადლებოდ // კლდე. - 1914. - №4. - გვ. 11-12;
54. ილია და აკაკი // კლდე. - 1915. - №8. - გვ. 11-13;
55. ძველებური ჩაცმულობა // თეატრი და ცხოვრება. -
1916. - №15. - გვ. 13-14.

მის შესახებ:

1. ქართველი სტუდენტი (ქრისტეფორე უღრელიძე).
წერილი რედაქტორთან // დროება. - 1879. - 9 თე-
ბერვალი. - №31. - გვ. 4. - ტექსტის ბოლოს: მოსკო-
ვის სასულიერო აკადემიის ქართველი სტუდენტი;
2. ახალი ამბები // დროება. - 1880. - 16 მაისი. - №103.
- გვ. 1;
3. თფ. ოლქის სამღვდელთა // დროება. - 1880. - 18
მაისი. - №105. - გვ. 2;
4. ახალი ამბავი // ივერია. - 1889. - 27 აგვისტო.
- №182. - გვ. 2-3; 1890. - 28 აგვისტო. - №184.
- გვ. 1-2; 29 აგვისტო. - №185. - გვ. 1-2; 1891. - 1
ოქტომბერი. - №208. - გვ. 1-2; 1892. - 7 თებერვა-
ლი. - №29. - გვ. 1-2; 18 ნოემბერი. - №244. - გვ. 2;
1894. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 2-3;
5. ისტორიულ-ფილოლოგიური წარმომავლობა სი-
ტყვისა „ღმერთი“ // მწყემსი. - 1890. - №3-4. - გვ.
7-10; №6-7. - გვ. 10-14; №9. - გვ. 10-13; №10. - გვ.
13-14;
6. დადიანი, ნ. არჩილური შვიდ-თავი: (სამადროვო
ამიცანები) // ივერია. - 1891. - 10 ივლისი. - №144. -
გვ. 2;
7. თაყაიშვილი, ექ. წერილი რედაქციის მიმართ // ივე-
რია. - 1891. - 5 ნოემბერი. - №235. - გვ. 3-4;
8. კარბელაშვილი, პ. - ა) არხელოგებს-ის-
ტორიკოსებს // ივერია. - 1891. - 18 აგვისტო. -
№175. - გვ. 2-3; ბ) წერილი რედაქციის მიმართ //
ივერია. - 1892. - 6 ოქტომბერი. - №210. - გვ. 3;
9. [ცინცაძე, კალისტრატე]. „გთხოვთ ნება
მოგვეცეთ...“ // ივერია. - 1891. - 8 იანვარი. - №5. -
გვ. 3;
10. ზედგინიძე, იაკობ. წერილი რედაქციის მიმართ //
ივერია. - 1892. - 21 ოქტომბერი. - №222. - გვ. 4;
11. იგრეკი. ბ-ნ თ. ჟორდანიას წერილის გამო: (წერ-
ილი რედაქციის მიმართ) // ივერია. - 1892. - 15
ოქტომბერი. - №218. - გვ. 3;
12. მედიატორთა განჩინება ე.ს. თაყაიშვილისა და თ.
დ. ჟორდანიას სადაო საქმის თაობაზე // ივერია. -
1892. - 5 თებერვალი. - №27. - გვ. 3. - ხელმოწერა:
„მედიატორეთა თავმჯდომარე ალ. ჭყონია; მედია-
ტორები: ივ. პოლტარაცკი, გ. იოსელიანი, ნ. ხიზა-
ნიშვილი, გ. წერეთელი“;
13. ლამბაშიძე, დავით (სოფლის მღვდელი). მწარე
ფიქრები // მწყემსი. - 1892. - №20. - გვ. 6-8;
14. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1892. - 30
ოქტომბერი. - №229. - გვ. 3;

15. ჭყონია, ალექსანდრე. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1892. - 19 აპრილი. - №81. - გვ. 4;
16. ისტორიული საკითხავები // კვალი. - 1893. - №4. - გვ. 11;
17. კარიჭაშვილი, დავით. - ა) „მონყალეო ხელმწიფე“ // კვალი. - 1893. - №16. - გვ. 7. - ხელწერა: გამგეობის მდივანი დ. კარიჭაშვილი; ბ) ბიბლიოგრაფია: რეცენზია ნიგნზე: ჟორდანიას, თ. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ. გამოცემა ეპისკოპოსის ალექსანდრესი. ფოთი. 1903 წ. XXIX+272 გვ. // მოამბე. - 1904. - №3, განყ. II. - გვ. 115-123;
18. [ნასიძე, მიხეილ] (პაატა). - ა) ბიბლიოგრაფია: L-ჟორდანიას თ. ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი). თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან. ტფ. 1889 წ. // ივერია. - 1893. - 13 მარტი. - №53. - გვ. 3-4; NN 54. - გვ. 3-4; ბ) წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1893. - 23 მაისი. - №105. - გვ. 4; გ) ახალი წიგნი: [რეცენზია] // ცნობის ფურცელი. - 1897. - 5 აგვისტო. - №275. - გვ. 2;
19. პასუხი ბ. თ. ჟორდანიას // მწყემსი. - 1893. - №5-6. - გვ. 14-15;
20. ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური და ისტორიული ნაშთები აღმოაჩინეს // მწყემსი. - 1893. - №2. - გვ. 4;
21. წერეთელი, ს. ნ. საგულისხმო // კვალი. - 1893. - №13. - გვ. 10-11;
22. ხუმარა. ხუმრობა: საოცარი მზგავსება // კვალი. - 1893. - №7. - გვ. 15-16;
23. „გთხოვთ მიიღოთ ეს ცხრა მანეთი ბ-ნ თ. ჟორდანიას მისის „ქრონიკების“ მეორე ნაწილის დასაბეჭდად...“ / ევსევი არქიმანდრიტი; ა. მოლოდინაშვილი; ვასილ კარბელაშვილი // ივერია. - 1894. - 26 იანვარი. - №19. - გვ. 2;
24. დავა პლატონის ხელ-წაწერის გამო // ივერია. - 1894. - 7 აპრილი. - №75. - გვ. 3;
25. ისტორიის მეთვალყურე. შემცდარი შენიშვნა: რეცენზია ჟურნალ „მოამბე“ [1894], № 2. // კვალი. - 1894. - №11. - გვ. 9-10;
26. ნარკვევი: (ფურნალ-გაზეთებთიგან) // ივერია. - 1894. - 1 აპრილი. - №70. - გვ. 3;
27. ჩიჩუა (კალისტრატე). - ა) ბურდუხან დედოფლის ხატის გამო: (1156-1172 წ.) // ივერია. - 1894. - 9 ივლისი. - №145. - გვ. 2-3; ბ) ისევ ბურდუხან დედოფლის ხატის გამო: (თ. ჟორდანიას პასუხად) // ივერია. - 1894. - 30 ივლისი. - №162. - გვ. 3-4; გ) ისევ თამარ-მეფის გულსაკიდის ჯვარის გამო: (ბ-ნ თედო ჟორდანიას პასუხად) // ივერია. - 1894. - 13 აგვისტო. - №173. - გვ. 3;
28. წერეთელი, გ. - ა) კრიტიკა: პასუხი ქრონიკების ავტორს თ. ჟორდანიას // კვალი. - 1894. - №24. - გვ. 10-12; №25. - გვ. 10-13; №26. - გვ. 10-12; №28. - გვ. 5-7; ბ) როგორ აშენდა გელათი? ქრონიკები თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული: რეცენზია ნიგნზე: ჟორდანიას, თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და განმარტებული თ. ჟორდანიას მიერ, ტფ. 1892 // კვალი. - 1894. - №12. - გვ. 11-14; №13. - გვ. 13-15; გ) საისტორიო ბაასი // კვალი. - 1894. - №40. - გვ. 7-13; №41. - გვ. 9-13;
29. ხახანაშვილი, ალექსანდრე (ხ.). ბ-ნი ჟორდანიას და მისი ქრონიკები // კვალი. - 1894. - №36. - გვ. 11-14;
30. მრეკლიშვილი, გ. „მცხეთის საჯარო...“ // ივერია. - 1896. - 3 აპრილი. - №71. - გვ. 4. - წერილი რედაქციის მიმართ;
31. უწმინდესის სინოდის განკარგულებანი // მწყემსი. - ყვირილა, 1896. - №8. - გვ. 7-8;
32. ახალი ღვანლი თ. ჟორდანიასი // ცნობის ფურცელი. - 1897. - 1 აგვისტო. - №271. - გვ. 2;
33. ახალი წიგნი // ივერია. - 1897. - 31 ივლისი. - №155. - გვ. 3-4;
34. თ. საეკლესიო საარხეოლოგიო კომიტეტი // ცნობის ფურცელი. - 1897. - 9 აპრილი. - №166. - გვ. 2;
35. რეცენზია ნიგნზე: ჟორდანიას, თ. ქრონიკები. ტ. II // კვალი. - 1897. - №32. - გვ. 591-592;
36. სახოკია, თ. ახალი გამოცემა: [რეცენზია] // ცნობის ფურცელი. - 1897. - 24 ივნისი. - N235. - გვ. 2; 25 ივნისი. - №236. - გვ. 2;
37. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას...“ // ცნობის ფურცელი. - 1897. - 29 ნოემბერი. - №385. - გვ. 2;
38. ქუთაისი. არქეოლოგიურის აზრით მოგზაურობა // ცნობის ფურცელი. - 1897. - 22 აპრილი. - №175. - გვ. 4;
39. ვარ... (ვართაგავა იპოლიტი). ბაზრობა „კვალისტების“ რიხიანობა-ამპარტავნება-ფანატიკოსობისა // ივერია. - 1899. - 24 იანვარი. - №17. - გვ. 1-3;
40. ისტორიული საბუთების დაკარგვა // ცნობის ფურცელი. - 1899. - 8 სექტემბერი. - №911. - გვ. 1;
41. შიოსძე, ისიდორე. ქართული ენა სამეგრელოში: (ეუძღვნი თედო ჟორდანიას) // ივერია. - 1902. - 30 მაისი. - №111. - გვ. 3;
42. [ჯანაშვილი, მოსე] (მ. ჯ.). ბიბლიოგრაფია: [Жорданиа Т. „Хроника Абхазских царей“ („სასულიერო მოამბე“). 1902. № 12, 13, 14] // ივერია. - 1902. - 6 დეკემბერი. - №262. - გვ. 4;
43. ალექსანდრე ეპისკოპოსი. წერილები რედაქციის მიმართ // ივერია. - 1903. - 10 დეკემბერი. - №263. - გვ. 3;
44. ახალი ამბავი // ცნობის ფურცელი. - 1903. - 2 აგვისტო. - №2225. - გვ. 2;
45. ფირცხალავა, სამსონ (სიტყვა; კალამი). - ა) პატარა ფელეტონი // ცნობის ფურცელი. - 1903. - 11 დეკემბერი. - №2349. - გვ. 2-3; ბ) პატარა ამბები: „შესრულდა!“, ისტორიამ მართო განმეორება იცის?; გორის შავი რაზმი; „კახეთის“ მოსამსახურეთა გაფიცვა; კიდეც ბ. თ. ჟორდანიას // ცნობის ფურცელი. - 1905. - 14 აგვისტო. - №2887. - გვ. 2-3; გ) დასაწყისი წერილისა „ბ. თ. ჟორდანიას საკუთარ თავის წინაშე“: [მისი ურთიერთობა ალექსანდრე ეპისკოპოსთან, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის გამო] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 15 თებერვალი. - №2744. - გვ. 2. - შეცდომის გასწორება იხ. შემდეგ ნომერში; დ) მართალია ბ-ნი თ. ჟორდანიას?; [კამათი გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების ანგარიშის გამო. ქართული ენის დევნის საკითხი] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 30 მარტი. - №2784. - გვ. 3; 1 აპრილი. - №2786. - გვ. 4;

46. გოგიჩაიშვილი, ფ. ციხე შიგნიდან გატყდება! [თ. ჟორდანიას და სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის საკითხი] // ივერია. - 1905. - 20 თებერვალი. - №4. - გვ. 1-2;
47. კალანდაძე, ნესტორ (ემშაკი). - ა) კვირიდან-კვირამდე // მოგზაური. - 1905. - №6. - გვ. 73-74; ბ) ეშმაკის ინტერვიუ გიორგი გვაზავასთან // მათრახი და სალამური. - 1909. - №19. - გვ. 2-4;
48. კეკელიძე, სევერიან. ქართული ენის გამოდევნა სვანეთის სამრევლო სკოლებიდან: (წერილი სვანეთიდან) // ივერია. - 1905. - 29 მარტი. - №39. - გვ. 1. - თ. ჟორდანიას პასუხი იხ.: №45. - გვ. 4;
49. მოდასტურე. ბ-ნ თ. ჟორდანიას ინციდენტი სტამბაში: [თ. ჟორდანიას მიერ გასამართლებული პასუხის დაბეჭდვის განზრახვა. რედაქციის შენიშვნა ამის გამო] // ივერია. - 1905. - 26 თებერვალი. - №10. - გვ. 3;
50. მცირე შენიშვნა: [თ. ჟორდანიას დეპუტის გამო] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 17 თებერვალი. - №2746. - გვ. 4;
51. ნუგეში: [თ. ჟორდანიას მიერ თავის მართლება სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნისათვის. „მამაო ვოსტორგოვის“ ქება] // ივერია. - 1905. - 29 მარტი. - №39. - გვ. 1;
52. ჟურნალ-გაზეთებიდან: [თედორე ჟორდანიას წინააღმდეგე] // მოგზაური. - 1905. - №12. - გვ. 191;
53. ფანცხავა, იაკობ. - ა) ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში და ბ-ნი თ. ჟორდანიას / ი. ფანცხავასი. - ტფილისი: „ცნობის ფურცელი“-ს გამოცემა, 1905 (ქართველთა ამხ. სტ.). - 30 გვ.; 18სმ.. - (ცნობის ფურცელი-ს დამატება); ბ) წერილი რედაქციის მიმართ: [თ. ჟორდანიასა და ს. ფირცხალავას კამათი გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების ანგარიშის გამო] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 26 თებერვალი. - №2755. - გვ. 3-4. - სქოლიოში რედაქციის შენიშვნა;
54. წერილი რედაქციის მიმართ: [„კალამის“-ს. ფირცხალავასა და თ. ჟორდანიას კამათი გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხების გამო] / ნ. ნიკოლაძე, კ. მიქაბერიძე, ი. ფანცხავა // ცნობის ფურცელი. - 1905. - 25 თებერვალი. - №2754. - გვ. 3;
55. ნატალიაშვილი, ი. იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლები და ბ-ნი თ. ჟორდანიას // ტალღა. - 1906. - 25 ნოემბერი. - №32. - გვ. 3;
56. იმედი. ნიქორწმინდა: (რაჭა) // ჩვენი გზა. - 1907. - 11 სექტემბერი. - №6. - გვ. 3. - პროვინცია;
57. სოხაძე, დ. გაზეთ „ჩვენ გზა“-ში... // წყარო. - 1907. - 7 ნოემბერი. - №9. - გვ. 4. - წერილები რედაქციის მიმართ;
58. მოსკოვის ქართველთა საზოგადოების წიგნთსაცავის შედგენის გამო // ამირანი. - 1908. - 2 ივლისი. - №97. - გვ. 3;
59. ამბობენ იმერეთის ეპარქიის... // შინაური საქმეები. - 1909. - №22. - გვ. 12;
60. საეპისკოპოსო კანდიდატი // შინაური საქმეები. - 1909. - №8. - გვ. 15;
61. უწმინდესმა სინოდმა უარი სთქვა... // მომავალი. - 1909. - 31 ოქტომბერი. - №54. - გვ. 2. - ახალი ამბები;
62. ქუთაისი // ივერია. - 1909. - 1 ივნისი. - №22. - გვ. 2;
63. „შეკებნილი“. საჯევახოს მხარე // ჩვენი აზრი. - 1909. - 23 მაისი. - №19. - გვ. 4;
64. ხელი. აირია მონასტერი! // შინაური საქმეები. - 1909. - №30. - გვ. 6-8;
65. გორგაძე, ს. საქართველოს ისტორია: უძველესი ისტორია. პერიოდის განსაზღვრა და ქართველების მიწა-წყალი. ქართველები ქალღუსა და შუამდინარეში // ჯეჯილი. - 1910. - №2. - გვ. 9-16. - თან ახლავს ძველი საქართველოს რუკა;
66. საისტორიო-საეტიმოგრაფიო საზოგადოება // ახალი აზრი. - 1910. - 6 ოქტომბერი. - №4. - გვ. 3;
67. სახალხო უნივერსიტეტი // ფონი. - 1910. - 21 თებერვალი. - №8. - გვ. 4;
68. ქართული საეკლესიო წიგნების... // შინაური საქმეები. - 1910. - №8. - გვ. 12-13;
69. იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე... // შინაური საქმეები. - 1911. - №23. - გვ. 4;
70. როგორც გავიგეთ... // შინაური საქმეები. - 1911. - №2. - გვ. 10;
71. ნაქულბაქეველი მოძღვარი. რა შევინანო? (პასუხად თ. ჟორდანიას) // შინაური საქმეები. - 1912. - №15. - გვ. 11-12;
72. სორტელი სტუმარი. ახლო-მახლო // შინაური საქმეები. - 1912. - №23. - გვ. 12-14;
73. სტეფანე ძიმისტარიშვილი: (ნეკროლოგი) // ქართლი. - 1912. - 16 ნოემბერი. - №57. - გვ. 4;
74. ჯოხთაბერიძე, გრიგოლ // ქართლი. - 1912. - 10 ოქტომბერი. - №41;
75. კელენჯერიძე, მ. მაქსიმე აბაშიძე უკანასკნელი კათალიკოსი იმერეთისა (1776-1895 წწ.): (ბ. თევდორე ჟორდანიას წერილისა გამო: „მოჭვივების სიგელ-გუჯრები“) // შინაური საქმეები. - 1913. - №8. - გვ. 1-4.. - ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: მღ. მ. კელენჯერიძე. - სქოლიოში: თ. ჟორდანიას წერილი იხ. ჟ. „განთიადი“ 1913. - №1. - გვ. 267-268;
76. რედაქციამ მიიღო... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №27. - გვ. 16;
77. „ახალი მოამბე“-ს რედაქციამ... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №24. - გვ. 16;
78. თევდორე დავითის ძე ჟორდანიას: [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №43. - გვ. 1;
79. იმედაშვილი, იოსებ (არიმათიელი, იოსებ). - ა) საზოგადო მოღვაწენი: თევდორე დავითის ძე ჟორდანიას // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №43. - გვ. 5-6; ბ) დევნილი მოღვაწე: არქეოლოგ-ისტორიკოსი თედო დავ. ჟორდანიას // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №44. - გვ. 3-5; გ) ნაშთი ძველი დიდებისა: ძველი ქართული საეკლესიო ფრესკების გამოფენა // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №3. - გვ. 12-13;
80. ქართულ ზნე-ჩვეულებათა და... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №51. - გვ. 16;
81. ჩვენი წარსულის მცოდნეს... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №49. - გვ. 15;
82. ცნობილ ისტორიკოს თ. ჟორდანიას... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №45. - გვ. 16;
83. არქეოლოგ-ისტორიკოსი თევდორე დავითის ძე ჟორდანიას (1854-1916) [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №44. - გვ. 1;

84. თ. ჟორდანიას დღეს... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №44. - გვ. 15;
85. თედო ჟორდანიას გარდაცვალების გამო... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №44. - გვ. 15;
86. კასპში თ. ჟორდანიას გარდაცვალების გამო... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №44. - გვ. 15;
87. ისტ. თ. ჟორდანიას... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №42. - გვ. 16;
88. ისტორიკოს თ. ჟორდანიას... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №15. - გვ. 16;
89. ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ის გამგეობამ... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №52. - გვ. 14;
90. ხომელი. თ. დ. ჟორდანიას // ცხოვრება. - 1916. - №16;
91. ისტორიკოს-არქეოლოგი თედო ჟორდანიას: გარდაცვალებიდან ერთი... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №41. - გვ. 8;
92. ისტ. თ. ჟორდანიას... // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №17. - გვ. 16;
93. სიტყვა თქმული მათის უწმიდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ განსვენებულ თ. ჟორდანიას საფლავზე, დიდუბეში 22 ღვინობისთვის, გარდაცვალების წლის თავზე // სვეტიცხოველი. - 1917. - №4. - გვ. 16;
94. მაკალათია, ს. ატენის სიონი // მომავალი. - 1920. - №1. - გვ. 22-26.
95. კიკვაძე, ალ. თედო ჟორდანიას // ლიტერატურა და ხელოვნება. - 1946. - 1 დეკემბერი. - № 46;
96. ცაიშვილი, სიმონ. თედო ჟორდანიას // სახალხო განათლება. - 1946. - 12 დეკემბერი. - № 53;
97. ხანთაძე, შ. თედო ჟორდანიას როგორც ისტორიკოსი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული. - 1950. - №1. - გვ. 102-120.

წყარო:

1. უწმიდესის სინოდის განკარგულებანი // მწყემსი. - ყვირილა, 1896. - №8. - გვ. 7-8;
2. იმედაშვილი, იოსებ (არიმათიელი). - ა) საზოგადო მოღვაწენი: თევდორე დავითის ძე ჟორდანიას // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №43. - გვ. 5-6; ბ) დევნილი მოღვაწე: არქეოლოგ-ისტორიკოსი თედო დავ. ჟორდანიას // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №44. - გვ. 3-5;
3. საქართველო. - 1916. - 30 ნომბერი. - № 242, დამატება № 43;
4. ქართული ბიბლიოგრაფია: 1. ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. - პეტროგრადი, 1916. - გვ. 115;
5. რუხაძე, ტრ. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში / პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით. - თბ., 1939. - გვ.: 21, 22, 30, 33, 64;
6. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია / გ. აბზიანიძის რედ. და წინსიტყვა; ბიბლიოგრ. რედაქცია და საძიებლები თ. მაჭავარიანის. - ნაკვ. 2: 1877-1892. - თბ., 1941. - გვ. 398; ნაკვ. 3: (1893-1905). - თბ., 1944. - გვ. 816;

7. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ. ი. კიკვაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ.: 478, 486.

გიორგი ჟორდანიას წერილი იოსებ იმედაშვილის მიმართ:

„ძმაო იოსებ!
თანახმად შენის თხოვნისა, გიგზავნი მამას მაგივრად ცნობებს.

თევდორე დავითის ძე ჟორდანიას დაიბადა 1854 წლის 20 აპრილს. მისი მამა დავითი სიყმანვილეში დაქვრივდა და ბერათ შედგა – გაამწესეს აფხაზეთში, მისიონერად. თ. ჟ. იზრდებოდა ხალხში, ჯერ თავის ბიძის, შემდეგ მამიდის სახლში. აქედან დაჰყვა სიყვარული და ცოდნა ქართული ხალხური ეროვნული კულტურისა.

სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში, რის შემდეგ, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე, მთავრობის ხარჯით გაიგზავნა აკადემიაში, რომელიც ჩინებულად დაამთავრა და 1879 წლის სექტემბერში გაამწესეს მასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებელში. მალე სამღვდლოების კრებამ აირჩია ამ სასწავლებლის ზედამხედველად (მაშინ ირჩევდნენ). შემდეგ გადავიდა სემინარიაში, საცა დაჰყო 1896 წლამდე. სემინარიაში მისის მეცადინეობით დაარსდა შტადის კათედრა ქართულ ენისა და ისტორიისა, რომელიც თვითონვე ეჭირა. მისი მოწაფეები: ლეონიდე, დავით, ანტონ ეპისკოპოსები, ნოე ცხადაია, თ. სახოკია, იპ. ვართაგავა, ს. გორგაძე, კორნ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. იმნაიშვილი, მ. კელენჯერიძე და სხვ. 1896 წელს ჯერ გურია-სამეგრელოს, შემდეგ (1904) იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურე, გააჩაღა ქართული ენა (სდევნიდნენ კი) – მთავრობის სამსახურიც იძულებით დასტოვა 1911 წელს ერთ-ერთი მუხლით: „რუსული ენა ცუდად ისწავლება“-ო.

ახლა პიტრიმმა ეპისკოპოსობა შეაძლია, მაგრამ აღარ იკისრა.

ახლა გორში სცხოვრობს.

გარდა მრავალი საგაზეთო წერილისა, ბევრი შრომაა რუსულად და ქართულად: Святейший Синод при Петре Великом, Философия Платона, ქრონიკა – 2 ტომად, მესამეც გამომცემელს ელის; გრამატიკა; კატალოგი საეკლესიო – წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს (უკანასკნელი დაუბეჭდავია); ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები და სხვ. მრავალი.

ამ ბოლო დროს: „მოკლე სიტყვაა დიდ საქმეზე“.

პრაქტიკული მოღვაწე ქართული კულტურის ნაშთების გროვებაში (დადიოდა, მოწაფეებს აგროვებინებდა). ფირფიტების კოლექცია.

ერთ-ერთი დამაარსებელი სასკოლო საზოგადოებისა (თავადაზნაურთა გიმნაზია) და საეკლესიო მუზეუმისა.

ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეთ ქართული საერო და საეკლესიო ისტორიისა“.

ჟორდანი, ნოე ნიკოლოზის ძე [პარტიული წოდებით – ანდრია] (1869, 2/II –) – პუბლიცისტი, ჟურნალისტი, რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე, „მესამე დასის“ ერთ-ერთი ბელადი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი, ქართველ მენშევიკთა მესვეური, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემქმნელი და მისი პირველი პრეზიდენტი, – გურიიდან. დაიბადა დაბა ლანჩხუთში, 1869 (ზოგი ცნობით, 1970) წლის 2 თებერვალს, აზნაურის ოჯახში. დედა – ქრისტიანე მანუჩარ ჩიქოვანის ასული.

სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში 1876-1878 წლებში. 1884 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ფ. მახარაძესთან, ეგ. ნინოშვილთან და სილ. ჯიბლაძესთან ერთად გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „ლამპარი“ და თვითგანვითარების წრეებს ხელმძღვანელობდა, ერთი მეთაურთაგანი იყო სემინარიელთა გაფიცვისა (1890), რის გამოც, 1891 წელს ყოფა-ქცევაში „4“-ის დასმით („მგლის ბილეთით“) გამორიცხეს; შემდეგ შევიდა ვარშავის სავეტერინარო ინსტიტუტში, სადაც მოწინავე სტუდენტებთან ერთად შეადგინა ქართველთა სოციალ-დემოკრატთა წრე და თვითგანვითარებას დაენაფა. ამ წრეში ნაიკითხა მოხსენება „რა არის პროგრესი?“, აქ გაეცნო მარქსისტულ მსოფლმხედველობას და შეისწავლა ისტორიული მატერიალიზმი. რუსული სოციალიზმით გააუღენთილი, რითაც საერთო ყურადღება მიიპრო, 1892 წელს, ფ. მახარაძესთან ერთად, მიიწვიეს რუსი სტუდენტების წრეში, სადაც პირველად გაიცნო მარქსისტული მსოფლმხედველობა. შეისწავლა ისტორიული მატერიალიზმი და ხალხოსნური მიმართულება, რომელსაც მანამდე მისდევდა, სრულიად უარყო. გაეცნო გ. პლехანოვის ნაწერებს და საქართველოში დაიწყო რუსული სოციალისტური ლიტერატურის გზავნა (ეგ. ნინოშვილთან, სილ. ჯიბლაძესთან, დიმ. კალანდარაშვილთან, რომლებიც, თავის მხრივ, ახალ მიმართულებას თავის მეგობრებს აცნობდნენ).

1892 წელს, საქართველოში ყოფნისას, დანერა „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, ანუ „რა ვაკეთოთ?“, რომელსაც ეგ. ნინოშვილის მესვეურობით შემდგარი წრე ხელნაწერში ეცნობოდა. ამავე 1892 წელს, გურიაში, ეგ. ნინოშვილთან და სილ. ჯიბლაძესთან მოლაპარაკების შემდეგ, ეგ. ნინოშვილმა, ნ. ჟორდანიას თანხმობით, მოიწვია პირველი არალეგალური მარქსისტული

კრება. ამ კრებაზე (1892 წლის დეკემბრის 25) მთავარი მომხსენებელი იყო ნ. ჟორდანი, როგორც ყველაზე უფრო მომზადებული და მარქსიზმისკენ გადახრილი და კრებას წარუდგინა განსახილველად თავისი პროგრამა, რომელსაც შემდეგში უწოდეს „საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული პროგრამა“. ამ მოხსენებით ნ. ჟორდანიამ მოითხოვა: „მარქსიზმის დანერგვა ჩვენს ნიადაგზე, მისთვის ნაციონალური და დემოკრატიული შინაარსის დამატებით“ (კრებამ მიიღო ეგ. ვანაძის პროგრამა, რომლის საწინააღმდეგო პროგრამის შედგენა, ს. ჯიბლაძესთან მოლაპარაკებისა და ეგ. ნინოშვილის თანხმობით, თავს იდგა ნ. ჟორდანიამ, რომელიც იმავე ჯგუფის მეორე კრებაზე ნაიკითხა სათაურით „რა ვაკეთოთ?“, რის შემდეგ ეგ. ვანაძის პროგრამა სრულიად დავიწყებას მიეცა: შესწორება-შეცვლების შემდეგ ნ. ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი პროექტი ერთხმად იქნა მიღებული, რაც ორი წლის შემდეგ – 1894 წელს „მოამბეში“ (№ 5-6) გამოქვეყნდა სათაურით: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“). ეს იყო პირველად ქართულ ენაზე ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით დანერგილი შრომა, რომელშიაც გვიმოძღვრა „ერის, პიროვნების და შრომის თავისუფლებაზე“, სოციალიზმისათვის მუშაობაზე, სადაც აღიარა: „სადაც ეროვნული შეგნება არ არის, იქ არც ეროვნება არსებობს“. ეგ. ნინოშვილის აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბებულმა პირველმა მარქსისტულმა ჯგუფმა 1893 წელს ნ. ჟორდანი, როგორც ამ ჯგუფის უნიჭიერესი წევრი, საზღვარგარეთ გაგზავნა. ნ. ჟორდანიამ შვეიცარიაში, ოთხი წლის განმავლობაში შეისწავლა ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებანი, განსაკუთრებით – პოლიტიკური ეკონომია, – კ. მარქსის მოძღვრება და ევროპის მუშათა მდგომარეობა. ნ. ჟორდანიამ საზღვარგარეთიდანვე აღუთქვა თავის მეგობარს, დასელთა ჯგუფის დამაარსებელს, 1894 წელს გარდაცვლილ ეგ. ნინოშვილს, რომ თავგამოდებით ემსახურებოდა ხალხის გამოფხიზლებისა და ფეხზე დაყენების საქმეს. ამავე წელს გამოაქვეყნა ქართულ ენაზე პირველად მარქსისტულ-ისტორიული თვალსაზრისით დანერგილი წერილი „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ („მოამბე“, 1894, № 5-6), რომელშიაც ჩამოაყალიბა ამ ახალი ჯგუფის მომავალი მოქმედების გეგმა. საზღვარგარეთიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად წერდა სხვადასხვა ფსევდონიმით (ან, ანი, გ. მარმალაძე, ნარი, ნარიძე, ნ. ჟ., ნ. ჟ-ია, პ. პეტრიძე, ე-ა, საზღვარგარეთელი. ამ ფსევდონიმებით წერდა 1893-1897 წლებში. ზოგი ამ ფსევდონიმთაგანი შემდეგ სხვებმა მიიკუთვნეს). ეხებოდა, უმთავრესად, მუშათა საკითხსა და ცხოვრების წესს ცხოვრების განახლების საჭიროებას.

ეს იყო საქართველოში პირველი მარქსისტი და ერთ-ერთი ფუძემდებელი მარქსისტული ჯგუფისა, რომლის მომავალი მოქმედების გეგმა 1892 წლის მიწურულს, ეგ. ნინოშვილის თავმჯდომარე-

ობით შემდგარ კონფერენციაზე გამოცხადა, ხოლო 1894 წელს „მოამბეში“ (№ 5-6) დაბეჭდა.

საზღვარგარეთიდან 1895-1896 წლებში. იდეურად ხელმძღვანელობდა საქართველოში მარქსისტული ორგანიზაციის ჩანასახებს. უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე, 1897 წლის დეკემბრის 6 თბილისში, სოციალ-დემოკრატთა პირველ კონფერენციაზე (ძმ. დარჩიაშვილების ბინაზე) მოხსენება გააკეთა და მოითხოვა: „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა უნდა განვითარდეს ნაციონალურ ნიადაგზე და ჩვენ, ესდევები, თუ არ დავეხმარებით, მაინც ხელი არ უნდა შევეშალოთ ნაციონალური კაპიტალის და ჩვენი ბურჟუაზიის გაზრდა-განვითარებას“-ო. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა მ. ცხაკაიამ. ამ კონფერენციამ ნ. ჟორდანიას ჟურ. „კვალის“ რედაქტორად აირჩია, რომელსაც ფ. მახარაძესთან ერთად ხელმძღვანელობდა 1897-1903 წლებში. ჟურნალს წმინდა მარქსისტული მიმართულება მისცა, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლეგალურ მარქსისტულ ორგანოდ გარდაქმნა და „მესამე დასის“ მიზანთა გავრცელებას, ჩამოყალიბებას და გამარჯვებას შეუდგა. ჟურნალი დახურა მთავრობამ 1904 წელს, მეხუთე ნომერზე. 1913 წელს ბაქოში, ერთხანს, მისი რედაქტორობით გამოდიოდა კვირეული ჟურნალი „წყარო“, იგივე „ჩვენი წყარო“.

1900-იან წლებში ნ. ჟორდანიას საზღვარგარეთიდან რუსეთსა და საქართველოში არალეგალურ ლიტერატურას გზავნიდა.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე თავის საპროგრამო წერილში მოითხოვა; „ჩვენ მუდამ ერთი ადგილი გვეჭირვება. ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია. ქართული ენის, ლიტერატურის და, საზოგადოდ, კულტურის საშუალებით, ქართველი მშრომელი ხალხის თანდათან გაცნობიერება, გამძღვარება და თანამედროვე ცხოვრების შეგნებულ რაზმათ გადაქცევა... მისი თვითმოქმედების და დამოუკიდებელი მოძრაობისათვის ხელის შეწყობა“ (ნ. ჟორდანიას, „რჩეული ნაწერები“, თფ., 1911, გვ.: 40, 61).

მწერლობის გარდა, ნ. ჟორდანიას მონაწილეობდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ და პარტიულ საქმეებში: II, IV და V რსდმპ ყრილობებში კოსტროვის (Костров) ფსევდონიმით. პარტიის II ყრილობაზე (1903) მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ პროგრამაში შეეტანათ საკითხი განაპირა ქვეყნებისათვის საოლქო თვითმმართველობის გაფართოების შესახებ და მოითხოვა: „ყველა სკოლაში, კრებებსა და დანესებულებაში ეროვნულ ენას გაბატონებულ სახელმწიფო ენასთან თანასწორი უფლება მიენიჭოსო. როგორც რუსს, ისევე ჩვენ – ქართველს, სომეხს და სხვა ეროვნებათა სოციალ-დემოკრატიული თავთავისი ცენტრალური პარტიული ორგანოები უნდა გვექონდესო... ჩვენ გვიკავია სრულიად განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც დიდათ განსხვავდება რუსეთისაგან თავისი განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრებით და მოითხოვს განსაკუთრებულ მოქმედებას“-ო, „სო-

ციალიზმის განხორციელების ერთ-ერთი პირობაა ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“-ო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ უმცირესობათა დებულებანი დაიცვა და ყველა ორგანიზაცია თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. მისი დევიზი იყო – ერის უმრავლესობის მომხრობა და საერთაშორისო ოჯახში შეყვანა. 1893 წლიდან „ჟორდანიას პოლიტიკურ, სამწერლო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგი, ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი კი არ იყო, არამედ, ამავე დროს, საქართველოს მეზაირახტრე. მთელი ქართველი ხალხის და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მუდმივი მალეციდებელი და მამოძრავებელი“.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებისთანავე, ნ. ჟორდანიამ სამშობლო ქვეყანა (ქართლ-კახეთი, გურია და სხვ.) მოიარა, ხალხის ყოფა-მდგომარეობას პირისპირ გაეცნო და მერე შეუდგა საქართველოს საზოგადოებრივ, სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობისა და ცხოვრების შესარბილებლად თავისი დასის პროგრამის განხორციელებას, ქართველ ხალხში მარქსიზმის გავრცელებას. ამ დროს ნ. ჟორდანიას ირგვლივ შემოკრებილნი იყვნენ: ფ. მახარაძე, პ. სურგულაძე, ვარ. ჭიჭინაძე, გ. წულუკიძე (ნატო), ლადო კეცხოველი, სევ. ჯუღელი, ნ. ელიავა, ირ. ევდოშვილი, იასონ მეგრელიძე, პავ. კალანდაძე, ალ. შატილოვი და სხვ.).

ნ. ჟორდანიას დიდი ბრძოლა მოუხდა ძველი და საშუალო თაობის წარმომადგენლებთან. ერთის მხრით „კვალი“ – „მესამე დასი“ ნ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით, ხოლო მეორეს მხრით „ივერია“-„მოამბე“-„ცნობის ფურცელი“ – ძველი და საშუალო თაობა ურთიერთს შეეტაკნენ. ნ. ჟორდანიამ მედგრად მიიტანა იეროში ძველი აზროვნების დამცველ-მომხრეებზე, ახალ მოძღვრებას ხალხის გულამდე გზა გაუკაფა, ძველი ჩარჩოებისგან აზროვნება გაათავისუფლა, შექმნა ხალხური მოძრაობა და მით საფუძველი დაუდო ქართული დემოკრატიის აღორძინებას. მუშებს, გლეხებსა და წვრილ ინტელიგენციას არევოლუციონერება, თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რაზმავდა, ქართველ მშრომელ ხალხს გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. მკითხველს ურკვევდა: „საიდან მოვივართ და საით მივივართ? რა ვიყავით და რა ვართ? რა პირობებში ვართ და რანაირი ვიქნებით? რა გვამოძრავებს და რას ვამოძრავებთ? რა გვიდევს წინ და რა გვაჩერებს უკან?“.

მტკიცედ იცავდა თავისუფლებასა და კლასობრივ თვალსაზრისს (მაგალითად, საქალაქო არჩევნების დროს წერდა: „ტფილისის საარჩევნო კვანძი სამუდამოთ გაიხსნება ორგზითი საარჩევნო უფლების გაფართოვებით ყოველივე ცენზის სრული გაუქმებით და ჩვენი ერის მოქალაქეობრივი განვითარებით, ყოველივე დროგადასული ზღუდეების დამსხვრევით... ერთი სიტყვით, მეტი უფლება და ნაკლები დაბორკვა საარჩევნო ასპარეზზე“ („თფილისის თვითმმართველობა“,

„კვალი“, 1899, №7, 8). ცხოვრების მამოძრავებელ ღერძად ეკონომიური ფაქტორი აღიარა: „დედა ძარღვი დღევანდელ ვითარებისა მდგომარეობს აღებმიცემობაში, რომელიც სრულიად დამყარებულია წარმოების აღორძინებაზე“-ო. იმავე დროს წამოაყენა კ. მარქსის მთავარი დებულება, რომ „საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობა არის ნამდვილი და უტყუარი საფუძველი, რომელზედაც ემყარება იურიდიული და პოლიტიკური წყობილება“. „გარკვევით წამოაყენა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროგრამა და პროლეტარიატთან თანამშრომლობის აუცილებლობა“.

მისი აზრით: „სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა, – აი რა აწერია ახალ დროშაზე. ამის გამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა – ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა“ („გაზ. „ივერია“ და ეროვნება“, „კვალი“, 1895, №11, 12).

ნ. ჟორდანიას შთაგვაგონებს, რომ „ჩვენი თვე უნდა ვიცხოვროთ. ქართველობამ თვითონვე უნდა განავითაროს ძალა, აღიძრას ენერჯია, გაანაყოფიეროს შრომა, თვითმოქმედება, თვითმობრობა, თვითაზროვნება, – აი, რა უნდა ეწეროს მის დროშაზე. ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძობას გვიწევს, ასპარეზს გვივიწროვებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს, – აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს მთხრელია. მას სურს ამ ორმოში ჩაგვყაროს, რომ შემდეგ თავისუფლად იპარპაშოს. აი, აქ სიფრთხილე, prendre garde!.. („მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ (ტ. რ. ერისთავის იუბილეს გამო)“, „კვალი“, 1896, №9-10, 12-18).

მუშა ხალხმა უნდა მოუღოს ბოლო ბრძოლას, რომელიც ატეხილია კაპიტალსა და შრომას შუა, მდიდარსა და ღარიბს შორის და უდაბნოში მოტანტალე ხალხი აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანოს... მის დროშას აწერია ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხითვე... დეე, მუშა ხალხმა შეიგნოს რაც არის და რაც უნდა იყოს, დეე, გამედიდურდეს, გაამპარტავნდეს, რომ მხოლოდ მას ასეთი უდიდესი მოვალეობა ისტორიამ არგუნა“-ო („მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ (ტ. რ. ერისთავის იუბილეს გამო)“, „კვალი“, 1896, №9-10, 12-18).

წერდა იშვიათი დახვეწილი, ხალხური, არა მომაბეზრებელი, პოპულარული ენით, მაღალი მეცნიერების, პოლიტიკურ-ეკონომიურ და სხვ. საკითხთა მდაბიური, ნათელი გადაცემით, რითაც მუშა ხალხს კლასობრივი ვითარება შეაგნებინა, ევროპულ დემოკრატიულ იდეებს აზიარა, გათვითცნობიერების გზაზე შეაყენა, აზროვნული ცხოვრება დაანყებინა, მისი ეროვნული და კლასობრივი მიმართულება-მისწრაფების იდეოლოგი შეიქნა და მესამე დასის საფუძველზე ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული პარტია, მით გამოიწვია მონინალმდეგე პარტიათა გამოჩენაც: სოციალ-ფედერალისტების, სოციალ-რევოლუციონერების, ეროვნულ-დემოკრატების, ანარქ-

ისტების და სხვ., რამაც აამოძრავა მიძინებული და წოდებრივ კარჩაკეტილობაში ჩაფლული ქართველი ერი და, საერთოდ, მთელი საქართველო წოდებრიობის, ეროვნების და სქესობრიობის მიუხედავად.

ბოლშევიკ-მენშევიკთა განხეთქილების დროს, როდესაც რუსეთში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, საქართველოში უმთავრესად ჟორდანიას მეთაურობით და პირადი გავლენით, მენშევიკებმა გაიმარჯვეს და მთელი ქვეყნის იდეურ ბატონ-პატრონად შეიქმნენ.

მწერლობის გარდა, ნ. ჟორდანიას პრაქტიკულად მონაწილეობდა მუშათა წრეების ჩამოყალიბებასა და პროპაგანდაში, 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც მისი სულისჩამდგმელი, იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელი, სახელმწიფო ამიერკავკასიის ეროვნებათა ძმობა-ერთობის მედროშე და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამებრძოლი, ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ბარიკადების აგებას მოითხოვდა.

სახელმწიფო სათათბიროს პირველი არჩევნების დროს, 1906 წლის 26 მაისს, არჩეულ იქნა პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად. სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ხელმძღვანელობდა. სათათბიროს გარეკვის შემდეგ, როცა დეპუტატები ვიბორგში შეიკრიბნენ და ხალხის მიმართ მოწოდება გამოსცეს, რომ მეფის მთავრობისთვის არ მიეცათ არც ერთი კაპიკი, არც ერთი ჯარისკაცი, ჟორდანიამაც ხელი მოაწერა, რის გამოც 3 თვეს ციხეში ჩასვეს.

პოლიტიკური საქმის გამო რამდენჯერმე იყო დასჯილი: 1903 წლის 9 ივლისს უმაღლესი ბრძანებით გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში „ანარქიზმის“ დაწერისათვის, მის გამომცემელ ის. კვიცარიძესთან ერთად, ციხეში ჩასვეს, ხოლო ქუთაისის ჟანდარმერიამ მისი ამ ნიგნის 2954 ცალი დაწვა. „კვალის“ რედაქტორობისა და სხვა დროსაც პოლიციის ფარული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა და სხვ. სდევნიდნენ მის ნაწერებსაც: 1911 წელს გამოცემულ ნ. ჟორდანიას ნაწარმოებში მეფის ჟანდარმერიამ დაინახა არსებული წესწყობილების დამამხობელი აზრების ქადაგება, რისთვისაც 1913 წლის თებერვლის 11 ავტორი პასუხისგებაში მისცა (მიესაჯა 3 წლის ციხე, ეპატია რომანოვთა 300 წლის მეფობის იუბილეს მანიფესტით, გასამართლებამდე რამდენიმე თვე იჯდა მეტეხში).

რუსეთის დიდი რევოლუციის მოხდენისთანავე (1917), რევოლუციის დროებითი მთავრობის მონერილობის თანახმად, კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ (1856-1929) ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმე ნ. ჟორდანიას გადასცა.

27. გრამატიკული მასალის განმეორება // სახალხო განათლება. - 1946. - 31 იანვარი. - №5;
28. ახსნიითი კითხვა დაწყებით სკოლაში // სახალხო განათლება. - 1950. - 16 აგვისტო. - №33;
29. ფონეტიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის სწავლება დაწყებით სკოლაში // ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. - 1950. - კრ. 4. - გვ. 3-26;
30. შემოქმედებითი და თავისუფალი კარნახი დაწყებით სკოლაში: პასუხი მასწავლებელ ნ. მეფარიშვილის შეკითხვაზე: სოფ. არტანი, ტიანეთის რაიონი, მეთოდური კონსულტაცია // სახალხო განათლება. - 1950. - 7 ივნისი. - №23;
31. გოგებაშვილი და ახალი ლიტერატურული ენის საკითხები: პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის [წერილი] // სახალხო განათლება. - 1951. - 25 აპრილი;
32. წერითი მეტყველების კულტურისათვის უმაღლეს სკოლაში // სახალხო განათლება. - 1952. - 30 აპრილი.

მის შესახებ:

1. სარიშვილი, ტ. ვ. რამიშვილი - „სკოლის მუშაობის გამოცდილებიდან“: [რეცენზია] // საბჭოთა მასწავლებელი. - 1939. - 5-6 მაისი. - №39. - გვ. 4;
2. ზუმბაძე, გ. ორი სახელმძღვანელო: „ქართული ენა“, III კლასისა - ავტორები: შ. თაბუკაშვილი, ვ. რამიშვილი, თ. ჩერქეზიშვილი, რედაქტორები: ვ. ეგნატიშვილი, ვ. თოფურია, სახელგამი, 1944. „ქართული ენა“ IV კლასისა - ავტორები: შ. თაბუკაშვილი, ვ. რამიშვილი, თ. ჩერქეზიშვილი, რედაქტორი გ. ქიქოძე. სახელგამი, 1944: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1945. - 18 მაისი. - №97;
3. კეკელიძე, მ. კარგი სახელმძღვანელო წიგნი: ვ. რამიშვილი, „ქართული ენა- გრამატიკა და მართლწერა“, III და IV კლასის სახელმძღვანელო: მეორე გამოცემა. 1945 წელი // საბჭოთა მასწავლებელი. - 1945. - 1 ნოემბერი. - №16.

წყარო:

1. ავტობიოგრაფიული ცნობები.

რამიშვილი, ისიდორე ივანეს ძე [იზიკე „მონუცი“] (1859, 7/II – 1937, 3/II) – სახალხო მასწავლებელი და რევოლუციონერი, – პროპაგანდისტ-აგიტატორი და პოლიტიკური მოღვაწე, – გურიის გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელთაგანი, რუსეთის სათათბიროს და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, – გურიიდან (დაიბადა 1859 წლის ივლისის 7, სოფ. ქვემო-სურებს, ყმა-გლეხის ოჯახში, იმ დროს, როდესაც ადამიანებით ვაჭრობა ჯერ კიდევ წესად იყო დადებული: ბატონს ეკუთვნოდა ყმისა არათუ ნაშრომი, არამედ სიცოცხლეც). 10 წლამდე ოჯახში ეწეოდა გლეხურ მუშაობას, 10 წლისა სოფლის დიაკვანს მიაბარეს წერა-კითხვისა და საეკლესიო გალობის სასწავლებლად, წლის თავზე – სოფლის მწერალს, – რომელსაც ვითომდა სკოლა კანცელარიაში მოეწყო (აქ იმდენად არ ასწავლიდ-

ნენ, რამდენადაც სცემდნენ). ამ დროს გურიაში სახალხო სკოლები სულ არ იყო, მხოლოდ ოზურგეთში არსებობდა ორი სასწავლებელი – საქალაქო და ორკლასიანი სასულიერო, რომელშიაც გლეხის შვილებს არ იღებდნენ. სწავლას მონყურებული ის. რამიშვილი მისმა ნათესავმა მღვდელმა კეკელიძემ თავის ორ შვილთან ერთად, ვითომდა როგორც თავისი შვილი, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მიიბარა, საიდანაც მესამე კლასში გადასვლისას გამორიცხეს (რადგან მისმა ვითომ „ძმებმა“ – ნათესავებმა დააბეზღეს: ჩვენი ძმა არ არისო). სოფელში გასტუმრებულმა დიდ ხანს ვერ გაძლო უსწავლელად: ჩავიდა ოზურგეთს, სასწავლებლის გამგეს დეკანოზს ფეხქვეშ ჩაუვარდა, შეემუდარა, სასწავლებელში მიმიღეო. გამგემ სხვისი გვარით (ქურდულად) სწავლის გამო 15 მანეთით დააჯარიმა და მიიღო. უკანასკნელ კლასში ყოფნისას ის. რამიშვილმა თავისი ამხანაგებით (ეგ. ნინოშვილი, ს. ჯიბლაძე) სასწავლებლის გამგის – დეკანოზის წინააღმდეგ ამბოხება მოახდინა და გამგე გააძევებინა. ოზურგეთის სასწავლებელი პირველ მონაფედ დაასრულა (1878) და თბილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა. აქ სწავლის დროს, 1882 წელს, გოლა ჩიტაძესა და ბ. მოსეშვილთან ერთად, თბილისის მუშა-ხელოსანთა შორის პროპაგანდას ეწეოდა, ნაროდნიკული სულით გაჟღენთილი მსმენელთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებდა, მაგრამ ტერორისტული აქტების წინააღმდეგი იყო. 1885 წელს თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა და სამშობლო სოფელს მიაშურა სწავლა-განათლების მოსაფენად. ამ დროს იგი ხალხოსნურ მსოფლმხედველობას იზიარებდა: ხალხის დაწინაურების საშუალებად გლეხებში მუშაობას აღიარებდა. მთელ გურიაში მისი სოფელი (აჭარა-გურიის მთის კალთებში მიკარგულ-მიუვალი) ყველაზე უფრო ჩამორჩენილი იყო, ყოველგვარ საკულტურო დაწესებულებასა და მუშაობას მოკლებული. ის. რამიშვილი, ვითარცა ხალხის გატაცებული მოტრფიალე, გაათკეცებული ძალ-ღონით შეებრძოლა უმეცრებას, გონებით სიბნელეს: თავის საკუთარ სახლში მოაწყო სკოლა და ნათესავებს დაუწყო სწავლება (რადგან პირველ ხანად სხვა გლეხები შვილებს არ აბარებდნენ). სწავლებისთვის არავითარ სასყიდელს არ აძლევდნენ, უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას იტანდა, უზომო ზნეობრივ დამცირებას ითმენდა, რადგან ქალამნებით დადიოდა, დასცინოდნენ: „გიჟია! სემინარია გაათავა და ქალამნებით დადისო!“. ის. რამიშვილი ასეთი დაცინვით მაინც გულს არ იტეხდა და ბეჯითად მუშაობდა სკოლასა და გლეხობაში. რამდენიმე ხნის ასეთი მეცადინეობის შემდეგ სოფელი დაიყოლია და 1886 წელს სკოლა გაახსენევინა. ეს იყო მთელ გურიაში პირველი სახალხო სკოლა. აქ ის. რამიშვილმა იკისრა მასწავლებლობა, ჯამაგირის მაგიერ ბავშვების მშობლებისაგან იღებდა სიმინდს, ლობიოს და სხვ. მოაწყო საღამოს კურსები, სადაც მოზრდილებს და ხანში შესულებს ასწავლიდა. მონაფეებს, წერა-კითხვის გარდა, სასწავლო პროგრამის გარეშე თანადროულ საკითხ-

ებსაც ურკვევდა, ამზადებდა ხალხს, რომ თვითონ იგი ხალხი შექმნილიყო თავისი ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გამგე-პატრონი. ის. რამიშვილმა მრავალი ახალგაზრდა გამოზარდა, რომელთაგან ბევრმა მოღვაწეობა დაიწყო სამასწავლებლო, სამწერლო, საპოლიტიკო და სხვ. ასპარეზზე (1919 წლის ივნისის 19 გადახდილ იქნა ამ სკოლის არსებობის 25 წლის შესრულების დღესასწაული).

ის. რამიშვილი, სამშობლო სოფლის გარდა, მასწავლებლობდა წინამძღვრიანთკარის, ახალსენაკის, ბათუმისა და პეტროვსკის სკოლებში.

სოფელში ხანგრძლივმა (20 წელი) მუშაობამ ის. რამიშვილი დაარწმუნა, რომ ხალხის გათავისუფლებისა და მისი სულთამხუთავის დამხობისათვის გლეხობაში სწავლა-განათლების გავრცელების გარდა, საჭიროა, უმთავრესად, ქალაქის მუშა-ხალხის გათვითცნობიერება და დარაზმვა, დაარწმუნდა, რომ ისტორიის ჩარხი სხვაგან (ქალაქად) დევს და არა სოფლად. ამის შემდეგ მიეკედლა „კვალის“ ჯგუფს (ნოე ჟორდანიას, სილ. ჯიბლაძე, – სხვათა შორის, 1892 წლის დეკემბრის 25 დაესწრო ზესტაფონში ეგ. ნინოშვილის თაოსნობით მოწვეულ მარქსისტების კონფერენციას). ამ დროიდან მარქსიზმის თანახმად დაიწყო აგიტაცია-პროპაგანდა გლეხებსა და, უმთავრესად, ქალაქის მუშებში. 1897 წლიდან, კარლო ჩხეიძესთან ერთად, ბათუმის მუშებში მოღვაწეობდა, როგორც სოციალ-დემოკრატი. 1903 წლის ივნისის 15 რევოლუციური მიზნით მოწვეულ სოფლად მომუშავეთა პირველ ყრილობას დაესწრო ბათუმიდან. ამავე (1903) წელს პირველად დაატუსაღეს და ჩრდილო-კავკასიას, ქ. პეტროვსკაში გადაასახლეს, სადაც დეპოს და მანუფაქტურის მუშები შეაკავშირა და მათ შორის სარევოლუციო მუშაობა გააჩაღა (ლექებში, მთარგმნელის საშუალებით, ეწეოდა აგიტაცია-პროპაგანდას).

მთავრობისგან დევნილი, საქართველოში ჩამოვიდა და არალეგალურად მუშაობდა, – ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა, ხალხში პოლიტიკურ-საზოგადოებრივი განვითარება-შეგნების სხივი შეჰქონდა. 1905 წელს მონაწილეობდა ბაქოდან მოკლული რევოლუციონერის, პ. მონტინის, ჩამოსვენებაში, როგორც თბილისის რევოლუციური ორგანიზაციების დელეგატი. იმავე 1905 წლის 28 იანვარს მეტეხის ციხეში ჩასვეს და 5 წლით ტულის გუბერნიაში გადაასახლეს, საიდანაც დაბრუნდა იმავე წელს მეფისნაცვლის ი. ი. გორონცოვ-დაშკოვის ჩამოსვლის გამო გამოცემული ამნისტიის ძალით და უფრო გახურებული მუშაობა დაიწყო, უმთავრესად, ჯარში, რისთვისაც იმავე წლის აგვისტოს 14 მესამედ ჩასვეს ციხეში. ციხიდან გაათავისუფლა 17 ოქტომბრის მანიფესტმა. ეს იყო თავისუფალი მიტინგების ხანა. ის. რამიშვილი თბილისში მრავალათასეულ მუშათა მიტინგებზე გამოდიოდა მუდმივ ორატორად, პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს არკვევდა მარქსისტული თვალსაზრისით, ხალხის დაუკითხავად შემდგარ სახელმწიფოებრივ ნყობილებას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა.

1905 წელს სომეხ-თათართა შეტაკების დროს დიდი მონაწილეობა მიიღო ორივე მეზობელი ხალხის დაზავებაში და უნაყოფო, მავნებელ სისხლის ღვრაზე ხელი ააღებინა. ამავე დღეებში მთავრობისგან გამოიტანა 1000 თოფი ანარქიის ჩასაქრობად მუშათა რაზმის შესაიარაღებლად, რომელთა თითქმის ნახევარი რევოლუციონერებმა შემდეგში მთავრობას აღარ დაუბრუნეს და სარევოლუციო მიზნით მოიხმარეს.

1906 წელს სამშობლო სოფ. სურების გლეხებმა ის. რამიშვილი რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს სოფლის რწმუნებულად აირჩიეს, ხოლო ქუთაისის საგუბერნიო ამომრჩეველებმა – სათათბიროს დეპუტატად – ხალხის წარმომადგენლად გაიყვანეს. სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, ის. რამიშვილმა პირველი გამოსვლისთანავე სასტიკი იერიში მიიტანა მთავრობაზე: მოითხოვა არსებული უპასუხისმგებლო მთავრობის გადადგომა, პასუხისმგებელი სამინისტროს არჩევა, დამფუძნებელი კრების მოწვევა ძირითად კანონთა შესამუშაველად და სხვ.; ამავე დროს, პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა შორის ავრცელებდა განმათავისუფლებელ იდეებს. ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მოწერისათვის (რომ ხალხს მთავრობისათვის არ მიეცა არც ერთი გროში, არც ერთი ჯარისკაცი, ვიდრე ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი მთავრობა არ შედგებოდა) გაასამართლეს. სასამართლოში ის. რამიშვილმა საბრალმდებლო სიტყვა წარმოთქვა და ბრალი დასდო იმათ (მთავრობას), რომელთაც ხალხის რისხვისა და სევდის გამომთქმელი სათათბირო საბრალმდებლო სკამზე დასვეს. მიუხედავად ამისა, ის. რამიშვილს სასჯელი გადაუწყვიტეს: მეტეხის ციხეში იჯდა 2 წელი, შემდეგ კრასნოიარს (ასტრახანის გუბერნიაში) გადაასახლეს. ციხეში დაპატიმრებამდე, 1907 წლის ზაფხულში გურიის მასწავლებელთა კრებამ სოფ. ასკანაში დელეგატად აირჩია თბილისის მასწავლებელთა კავშირის გამაერთიანებელ კრებაზე დასასწრებლად. 1917 წლის რევოლუციამ ის. რამიშვილს სამარაში მოუსწრო, სადაც მუშათა დეპუტატების საბჭო შეადგინა და ახალგაზრდა რევოლუციონერ მუშაკებს სათავეში მოექცა. მალე პეტროგრადს გაიწვიეს (აქ მიენდო რუსეთის დიდი რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვის მოწესრიგება), აქედან ბაქოს გაიგზავნა შრომის კომისრად, შემდეგ არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად, მისი დათხოვნის გამო, ამიერკავკასიის სეიმის წევრად, სეიმის გაუქმების შემდეგ პარლამენტში, ბოლოს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, იმავე დროს აფხაზეთის საქმეთა გამგებლად და სხვ.

ის. რამიშვილი ცნობილია, როგორც ჭეშმარიტი, სახალხო მასწავლებელი (მოითხოვდა საერთო სწავლა-განათლების შემოღებას), საუკეთესო, მომაჯადოებელი, ხალხური მჭევრმეტყველი მოსაუბრე-მქადაგებელი, რევოლუციის სული და სინდისი, ამხანაგი, აღმზრდელი და მეგობარი, რომლის

მრწამსი იყო საყოველთაო ბედნიერება: ყოველ ბედკრულს ცხოვრების ნადიმზე ადამიანური ადგილი უნდა ჰქონდესო. განსაკუთრებით, გურიამია თითქმის ლეგენდარულ, გაუტყებელ, პირდაპირ მებრძოლ გმირად მიჩნეული. ის. რამიშვილი მუდამ იქ იყო, სადაც და როცა უფრო მეტად უჭირდა ხალხს: ციხეში, ციხიბრში, ყოველგვარი წყობილების დროს უსამართლობის დაუნდობელი მამხილებელი, ყველას შორის სათნობის, სიყვარულის და გადადიანების მოძღვარი.

1905 წლის რევოლუციის დღეებში, დეკემბერში, რეაქციის მოლოდინში სოფელს მიაშურა, გარე კახეთსა და შიგნით კახეთში, იოსებ იმედაშვილთან და სხვ. ერთად, ჩამოიარა სოფლები და გლეხობას გარკვეული მოქმედების გეზი უჩვენა. ბოლშევიკური გადატრიალების დროს, როცა რუსეთის ნითელი ლაშქარი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარს ბათუმამდე მიჰყვა (1921 წლის 17 მარტი), მენშევიკთა პასუხისმგებელ მუშაკთაგან ბევრმა გემზე იშოვა ადგილი საზღვარგარეთ გასაქცევად, ის. რამიშვილს თუმცა ადგილიც შესთავაზეს: ბოლშევიკებს გამოშორდი, თორემ მოგკლავენო, ის. რამიშვილმა მიუგო: სადაც ჩემი მშობელი ერი ენაშება, მეც იქ უნდა ვიყო. ჩვენ ხალხთან მაშინ უნდა მივიდეთ, როცა მას უფრო მეტად ვჭირდებითო და, იოსებ იმედაშვილთან ერთად, სოფლი-სოფლად ჩამოიარა, თავზარდაცემული ხალხი დააშოშმინა და გაურკვია, როგორ მოქცეულიყვნენ: თუ რომელიმე თქვენგანს გარემოებაში გადაბრუნება აიძულა, ისე გადაბრუნდეს, რომ გადმობრუნების დროს გვერდი არ იტკინოსო.

მონაწილეობდა მწერლობაშიც. მაგალითად, „ივერიაში“ (1889, 7 თებერვალი, № 28) ის. რ-შვილის ხელმოწერით მოთავსებული აქვს „წერილი გურიიდან“ (ზღაპარი სოლომონ ბრძენზე“, მასთან დაკავშირებით გურულთა ყოფა-ცხოვრების აღწერა), რომლითაც ხალხს შთააგონებდა, რომ „ერთი მეორეს ზურგს უმაგრებდეს და შეერთებული ძალით ებრძოდნენ ქვეყნის საერთო სენს“.

გამოცემულია მის მიერ რუსულიდან ნათარგმნი „დედა-კაცის ხვედრი: ნაამბობი გლეხი კაცის ქალისა“ (ტფ., 1888).

დანერა თავისი სასოფლო-საზოგადოებრივ და სახელმწიფო-რევოლუციურ სარბიელზე მუშაკობის თავგადასავალი, რომელიც ჩამოართვეს.

ის. რამიშვილის საშუალებით და მიბაძვით, მისი ძმები – ონისიმე და იულო, აგრეთვე, თანამოგვარენი პოლიტიკურ, პარტიულ-რევოლუციურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგნენ.

გამოქვეყნებულია:

- წერილი გურიიდან (გურულების ყოფა-ცხოვრება) // ივერია. - 1889. - 7 თებერვალი. - № 28. - გვ. 2-3. - დართული აქვს ზღაპარი სოლომონ ბრძენზე;
- წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1890. - 2 აგვისტო. - №165. - გვ. 3; 19 დეკემბერი. - № 270. - გვ. 3;
- წერილები რედაქციის მიმართ // ივერია. - 1890. - 7 სექტემბერი. - № 191. - გვ. 2;

- ორი დღე სოფელს ასკანაში // ივერია. - 1897. - 3 სექტემბერი. - №181. - გვ. 2;
- სად არის ჩვენი ხსნა? // ივერია. - 1897. - 31 მაისი. - №105. - გვ. 3;
- სიტყვა ამხ. ის. რამიშვილისა: [წარმოთქმული სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე] // ლამპარი. - 1906. - 1 ივლისი. - №54. - გვ. 1-2;
- ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო... // ახალი გზა. - 1910. - 5 აგვისტო. - №39. - გვ. 2;
- კრასნოიარი // ახალი გზა. - 1910. - 28 აგვისტო. - №58. - გვ. 2;
- მინათმოქმედების მინისტრმა... // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - №6. - გვ. 16;
- 1 მაისი // მუშათა ცხოვრება. - 1920. - №8. - გვ. 6.

თარგმნა და ცალკე გამოცემულია:

- დედა-კაცის ხვედრი: ნაამბობი გლეხი კაცის ქალისა / ნათარგმნი რუსულიდან ი. რამიშვილის მიერ. - ტფ., 1888 (ე.გ. მესხის სტ.). - 61 გვ.; 18სმ.

მის შესახებ:

- წ. ბათომი: ქართული სასწავლებლის აქტი // ცნობის ფურცელი. - 1898. - 17 ივნისი. - №560. - გვ. 3;
- ტფილისის ქალაქის საქმეები: [საერთო მდგომარეობა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ. 22 ოქტომბერს მომხდარი ამბის გამოძახილი. ვ. მიქელაძის, ა. არღუთინსკი-დოლოგორუკოვის, ნიკ. ხუდადოვის, კ. აბაშიძის, ი. ბარათაშვილის, ისიდ. რამიშვილის და სხვ. სიტყვები] // ცნობის ფურცელი. - 1905. - 2 ნოემბერი. - №2939. - გვ. 2-3;
- ამხ. დეპუტატების გამგზავრება: [წ. ყორდანისა, ი. რამიშვილის, ს. ჯაფარიძის და ს. წერეთლის გამგზავრება თბილისიდან პეტერბურგში. წ. ყორდანისა სიტყვა] // ლამპარი. - 1906. - 4 ივნისი. - №37. - გვ. 1;
- ამხ. ის. რამიშვილის სიტყვა წარმოთქმული სახელმწიფო დუმაში // ლამპარი. - 1906. - 17 ივნისი. - №44. - გვ. 2;
- ამხანაგი. ჩოხატაური (გურია): [გუბერნატორ იაზიკოვის ჩამოსვლა კაზაკების თავდასხმა ისიდორე რამიშვილზე სოფ. სურებში. გურიამი დაარსებული ძირითადი ორგანიზაციების შესახებ] // გრიგალი. - 1906. - 12 სექტემბერი. - №3. - გვ. 3;
- ახალი ამბავი: [გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ცნობით პეტერბურგში ი. ჭავჭავაძისა და ი. რამიშვილის დაპატიმრება] // მუშა. - 1906. - 15 ივლისი. - №31. - გვ. 2-3;
- ახალი ამბავი: [დეპუტატ ის. რამიშვილის შუამდგომლობით მეტეხის ციხიდან ნოე რამიშვილის განთავისუფლება] // მუშა. - 1906. - 7 ივნისი. - №2. - გვ. 3;
- „ბაქოდან გვატყობინებენ“...: [ტაგიევის ქარხნის მუშების დეპეშა სათათბიროში ის. რამიშვილის] // ახალი ცხოვრება. - 1906. - 25 ივნისი. - №5. - გვ. 3;
- ბოლქვაძე, მალაქია. - ა) ხმა პეტერბურგიდან: (საკუთარი კორესპონდენტისაგან); პარლამენტის კულუარებში, 14 ივნისი: [სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და მისი ტაქტიკა; გასაუბრება წ. ყორდანისთან, ის. რამიშვილთან და ალაღინთან] // შრომა. - 1906. - 22 ივნისი. - №64. - გვ. 1; ბ) ილია ჭავჭავაძე

- რუსეთში (1906-1907 წ.) // განათლება. - 1908. - №3-4. - გვ. 107-136. - ახლო წარსულიდან. - ტექსტს ახლავს იაკობ ნიკოლაძის ილია ჭავჭავაძის ძეგლის ფოტოსურათი;
10. „გაზ. ჩერ. ვესტ.“...: [ცნობა პეტერბურგში ილია ჭავჭავაძისა და ი. რამიშვილის დაპატიმრების შესახებ] // შიკრიკი. - 1906. - 14 ივლისი. - №5. - გვ. 2;
 11. დამსწრე. სურები (გურია): [დამსჯელი რაზმის ჩასვლა. ისიდორე რამიშვილის ძმისა და სხვათა ოჯახების აწიოკება] // გრიგალი. - 1906. - 21 სექტემბერი. - №10. - გვ. 2;
 12. დეპუტატად ნამყოფი ის. რამიშვილი: [პეტერბურგიდან ბაქოს გაემგზავრა] // შრომა. - 1906. - 10 აგვისტო. - №103. - გვ. 2;
 13. დეპუტატები უორდანია და რამიშვილი: [პირველის დაპატიმრების შესახებ - ცნობის უარყოფა; მეორის - სამართალში მიცემა] // შრომა. - 1906. - 25 ივლისი. - №89. - გვ. 2;
 14. დეპუტატების არჩევა ქუთაისში: [აირჩიეს: ივ.გომართელი, ისიდორე რამიშვილი, სერგეი ჯაფარიძე] // შრომა. - 1906. - 26 მაისი. - №41. - გვ. 1-2;
 15. დეპუტატების გამგზავრება: [პეტერბურგში: ქუთაისიდან - ნ. უორდანია, ს. წერეთელი, ს. ჯაფარიძე და ის. რამიშვილი. თბილისიდან - ი. ბარათაშვილი] // შრომა. - 1906. - 4 ივნისი. - №49. - გვ. 2;
 16. „16 აპრილს, ოზურგეთში“...: [საგუბერნიო ამომრჩევლებად სოციალ-დემოკრატების - ის. რამიშვილის და ქურდიის არჩევა] // ლამპარი. - 1906. - 21 აპრილი. - №3. - გვ. 2;
 17. კავკასიელ დეპუტატს ის.რამიშვილს: [სოფელ ენერის (სენაკის მაზრა) მცხოვრებთა თხოვნა: დაიცვას მშრომელი ხალხის ინტერესები] // ლამპარი. - 1906. - 27 ივნისი. - №51. - გვ. 1-2;
 18. კვირიდან კვირამდე: ცნობა... // ნაპერწკალი. - ქუთაისი, 1906. - №4. - გვ. 5-6;
 19. კიდევ ი. რამიშვილის შესახებ: [ბაქოში მოხსენების ჩატარება; პოლიციის ჩარევის გამო, მისი გაპარვა ქალაქიდან] // შრომა. - 1906. - 11 აგვისტო. - № 104. - გვ. 2;
 20. მახარაძე, ფილიპე (მ-ნიძე). თბილისის სასულიერო სემინარია და ჩვენებური სოციალდემოკრატია: (თბილის-ქუთაისის არჩევნების გამო) // სიტყვა. - 1906. - №1. - გვ. 7-9;
 21. მთავრობის შურისძიება [თბილისში]; ორნაირ კილოზე ლაპარაკი არ შეგვეფერის: [ის. რამიშვილის გამოსვლა მოსკოვში ნოქრების ყრილობაზე]; სადღეისო კითხვები // ახალი ცხოვრება. - 1906. - 7 ივლისი. - №14. - გვ. 2-3;
 22. მიხაკო. ქუთაისი: [მისალოცი დეპუტა ის.რამიშვილს დეპუტატად არჩევის გამო] // ლამპარი. - 1906. - 31 მაისი. - №33. - გვ. 2;
 23. მოსკოვი: დეპუტა: [დეპუტატ ისიდორე რამიშვილის მიერ კრებებზე წარმოთქმული სიტყვებით მთავრობის შეშფოთება] // ახალი ცხოვრება. - 1906. - 6 ივლისი. - №13. - გვ. 4;
 24. პეტერბურგი: თავრიდის სასახლე - მუშათა ჯგუფის წევრს ისიდორე რამიშვილს: [მხარდაჭერა სათათბიროს მუშათა ჯგუფს, რომლის სამართალში მიცემასაც აპირებს მთავრობა] // ლამპარი. - 1906. - 14 ივნისი. - №41. - გვ. 2. - ხელწერა: „ქუთაისის ნოქართა საერთო კრება“;
 25. პეტერბურგი: სახელმწიფო სათათბირო: [დეპუტატ ის. რამიშვილის გამოსვლა] // ახალი ცხოვრება. - 1906. - 27 ივნისი. - №6. - გვ. 4;
 26. პრესა: [გაზეთ „ლაპარის“ მიერ დახასიათებული დეპუტატები - ის. რამიშვილი და იოსებ ბარათაშვილი] // შრომა. - 1906. - 24 ივნისი. - №66. - გვ. 3;
 27. რამიშვილი, რაფიელ. ბათუმი: [მილოცვა ისიდორე რამიშვილს სახელმწიფო სათათბიროს წევრად არჩევის გამო] // ლამპარი. - 1906. - 2 ივნისი. - №35. - გვ. 2. - ხელწერა: „ბათუმის პირველდარსებით სკოლების“ მასწავლებელთა მონდობილობით რაფიელ რამიშვილი;
 28. „როგორც ნოვოროსიისკიდან გვწერენ“...: [სატუსალოში 250 პოლიტდამნაშავეთა საქართველოდან. მათ შორის: ის. რამიშვილი, კ. მენაბდე, ირ. კვაჭანტირაძე, მ., ნ., გ., კ. კალანდაძეები] // ლამპარი. - 1906. - 20 აპრილი. - №2. - გვ. 2;
 29. როგორც პეტერბურგიდან... // მწყემსი. - 1906. - №18. - გვ. 10. - ახალი ამბები და შენიშვნები;
 30. სათათბიროს დეპუტატები: [ნ. უორდანია და ის. რამიშვილის დაპატიმრების, განთავისუფლებისა და პეტერბურგიდან მათი წასვლის შესახებ] // შრომა. - 1906. - 29 ივლისი. - №93. - გვ. 2;
 31. სათათბიროს დეპუტატების არჩევნები ქ.თფილისში: [არჩეულ დეპუტატებთან - ნ. უორდანიასთან და ი. რამიშვილთან ხალხის შეხვედრა რევოლუციური სიმღერებით] // ლამპარი. - 1906. - 27 მაისი. - №30. - გვ. 1;
 32. საქართველოს დეპუტატები სათათბიროში: იოსებ ბარათაშვილი, გომართელი, ნ. უორდანია, ბოლქვაძე (ჩვენი კორესპონდენტი და პრეზიდენტი კორესპონდენტთა ბიუროსი), ჯაფარიძე, წერეთელი, რამიშვილი: [სურათი] // შრომა: სურათებიანი დამატება. - 1906. - 13 ივლისი. - №27. - გვ. 4;
 33. სახელმწიფო სათათბირო და საბჭო: 20 ივნისი: [სხდომაზე ის. რამიშვილის და ნ. უორდანია გამოსვლა] // შრომა. - 1906. - 22 ივნისი. - №64. - გვ. 1-2;
 34. სახელმწიფო სათათბირო და საბჭო, 8 ივნისი: [ქართველი დეპუტატების - ი. ბარათაშვილის და ი. რამიშვილის გამოსვლა სიტყვით] // შრომა. - 1906. - 11 ივნისი. - №55. - გვ. 2. - იხ. აგრეთვე გვ. 3. - დეპუტა საკუთარი კორესპონდენტისაგან;
 35. სახელმწიფო სათათბიროს წევრნი: ნ. უორდანია, ი. რამიშვილი, ტერ-პეტროსიანცი (ერევ. გუბ.), გ. თუმანიანცი (ერევ. გუბ.): [ოთხი პორტრეტი] // შრომა: სურათებიანი დამატება. - 1906. - 2 ივლისი. - №25. - გვ. 1;
 36. სიტყვა ამხ. ისიდორე რამიშვილისა კრების თავისუფლების შესახებ: [წარმოთქმული სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე] // ლამპარი. - 1906. - 24 ივნისი. - №49. - გვ. 2;
 37. „სოფელ ვანიდან (გურია) ინერებიან“...: მიტინგზე ისიდორე რამიშვილის გამოსვლა // გრიგალი. - 1906. - 22 სექტემბერი. - №11. - გვ. 3;
 38. ქ. ოზურგეთი: (გურია): [ისიდორე რამიშვილის და ნოქართის არჩევა სამაზრო ამომრჩეველთაგან] // შრომა. - 1906. - 22 აპრილი. - №16. - გვ. 2. - ასეთივე ცნობა შემდეგ ნომერშიც;

39. ქუთაისის ამბები: [სოციალ-დემოკრატთა განზრახვა, თანაგრძობის დეპუტატთა გაუფრთხილებლობის დეპუტატის ის. რამიშვილის, მაგრამ ფოსტის უფროსისაგან უარის მიღება] // მუშა. - 1906. - 17 ივნისი. - №11. - გვ. 2-3;
40. ქუთაისი: [სახელმწიფო სათათბიროს წევრებად ისიდორე რამიშვილის, ივანე გომართელის და სერგო ჯაფარიძის არჩევა] // ლამპარი. - 1906. - 25 მაისი. - №28. - გვ. 1. - მათ სახელზე კერძო დეპუტატ ლანჩხუთიდან იხ.: № 29. - გვ. 1;
41. „ჩვენი დეპუტატები“...: [ნ. ყორღანიას, ის. რამიშვილის, ს. ჯაფარიძის და ს. ნერეთლის გამგზავრება პეტერბურგს] // ლამპარი. - 1906. - 2 ივნისი. - №35. - გვ. 2;
42. ჩოხატაური: (გურია) // მინა. - 1906. - №3. - გვ. 12. - ჩვენებური ამბები;
43. [ჯავახიშვილი, მიხეილ] (კ. ს.; ა-ლი). - ა) კრებების თავისუფლების საკითხი სათათბიროში // ივერია. - 1906. - №18. - გვ. 4-7; ბ) პატარა ფიქრები // ივერია. - 1906. - №17. - გვ. 4-5;
44. ბათომიდან გვატყობინებენ... // დილა. - 1907. - 12 ივლისი. - №20. - გვ. 2;
45. ვაზ. „ისარს“ სოც. - დემ-ის განადგურებაში... // დილა. - 1907. - 6 ივლისი. - №15. - გვ. 2;
46. ისიდორე რამიშვილის საქმე // ჩვენი სიტყვა. - 1907. - 31 ივლისი. - №11. - გვ. 3;
47. კავკასიელი ს. - დ. დეპუტატები // საყვირი. - 1907. - 14 იანვარი. - №1. - გვ. 1. - სქოლიოში: ასოთ-ამწყობის [დავით (დათიკო) დოლობერიძის] კომენტარი;
48. პეტერბურგი: უმართებულესმა სენატმა... // ჩვენი გზა. - 1907. - 30 სექტემბერი. - №22. - გვ. 4. - დეპუტატები (პეტერბურგის დეპ. საგ.) 28 სექტემბერი;
49. პირველი დუმის დეპუტატი... // ცისარტყელა. - 1907. - 29 დეკემბერი. - №9. - გვ. 3;
50. რა ვუნდოთ? // ზარი. - 1907. - 5 იანვარი. - №7. - გვ. 1;
51. როგორც გავიგეთ პოლიცია გულმოდგინეთ განაგრძობს... // ზარი. - 1907. - 3 იანვარი. - №6. - გვ. 4;
52. სათათბიროს კავკასიელი დეპუტატები // მნათობი. - 1907. - 3 იანვარი. - №2. - გვ. 1;
53. საქმე პირველ სახ. დუმის დეპუტატ ისიდორე რამიშვილისა // დილა. - 1907. - 3 ივლისი. - №12. - გვ. 4;
54. ყოფილ დეპუტატებს ეძებენ // ისარი. - 1907. - 6 ივნისი. - №121. - გვ. 2;
55. ამ ერთი თვის წინათ... // დასაწყისი. - 1908. - 5 მარტი. - №2. - გვ. 1;
56. გოგებაშვილი, იაკობ. მოკლე პასუხი ბ-ნ გოგოლაძეს (წერილი რედაქციას) // ალი. - 1908. - 5 ნოემბერი. - №3. - გვ. 4;
57. გოგოლაძე, კ.ი. გოგებაშვილის წერილის გამო // ალი. - 1908. - 4 ნოემბერი. - №2. - გვ. 3-4;
58. იმედაშვილი, იოსებ (ნაცნობი). კულტურის ისტორია: [იუმორისტული ლექსი] // ნიშადური. - 1908. - №32. - გვ. 6;
59. ის. რამიშვილის დაპატიმრება // ისარი. - 1908. - 29 იანვარი. - №23. - გვ. 3;
60. პირველი სათათბიროს დეპუტატების გასამართლება // მინა. - 1908. - N1. - გვ. 15-16;
61. ამ დღეებში... // ჩვენი ხმა. - 1909. - 27 იანვარი. - №21. - გვ. 4;
62. დეპ. ის. რამიშვილის შუამდგომლობა // მომავალი. - 1909. - 18 ოქტომბერი. - №43. - გვ. 3; აგრეთვე: ფონი. - 1909. - 25 ოქტომბერი. - №8. - გვ. 1. - სხვადასხვა ამბები. - ტექსტის ბოლოს: („ბ“);
63. თფილისი: ისიდორე რამიშვილის ბავშვებმა... // ახალი დროება. - 1909. - 28 აპრილი. - №7. - გვ. 3;
64. ისიდორე რამიშვილი, როგორც ბაქოდან გვწერენ... // ჩვენი საქმე. - 1909. - 12 თებერვალი. - №7. - გვ. 3;
65. ისიდორე რამიშვილი // ჩვენი ხმა. - 1909. - 28 იანვარი. - №22. - გვ. 1;
66. ისიდორე რამიშვილისათვის // ჩვენი აზრი. - 1909. - №8. - გვ. 3;
67. ისიდორე რამიშვილის გაგზავნა // ჩვენი აზრი. - 1909. - 7 ივნისი. - №32. - გვ. 3;
68. ისიდორე რამიშვილის დაბრუნება // ჩვენი საქმე. - 1909. - 13 თებერვალი. - №8. - გვ. 3; 18 თებერვალი. - №12. - გვ. 3;
69. ისიდორე რამიშვილის დეპუტატი // ჩვენი საქმე. - 1909. - 10 თებერვალი. - №5. - გვ. 2;
70. ისიდორე რამიშვილის შესახებ // ჩვენი აზრი. - 1909. - №4. - გვ. 3;
71. ტფილისი: თავმდებით განთავისუფლება // დროება. - 1909. - 24 თებერვალი. - №42. - გვ. 2;
72. ტფილისი: ის. რამიშვილი // დროება. - 1909. - 17 თებერვალი. - №36. - გვ. 3;
73. ტფილისი: ის. რამიშვილის გაგზავნა // დროება. - 1909. - 1 თებერვალი. - №25. - გვ. 3;
74. ტფილისი: ის. რამიშვილის დაბრუნება // დროება. - 1909. - 12 თებერვალი. - №32. - გვ. 3;
75. ტფილისი: ნადეჟუტატარი რამიშვილი // დროება. - 1909. - 27 იანვარი. - №20. - გვ. 3;
76. ტფილისი: რამიშვილი // დროება. - 1909. - 18 თებერვალი. - №37. - გვ. 3;
77. „ყოფილ დეპუტატს ი. რამიშვილს“... // ჩვენი აზრი. - 1909. - №4. - გვ. 2;
78. 5 ამ თვეს რუსეთში ეტაპით გაგზავნეს... // ჩვენი საქმე. - 1909. - 10 თებერვალი. - №5. - გვ. 3. - ახალი ამბები. ბაქო;
79. გურია // ახალი გზა. - 1910. - 19 აგვისტო. - №50. - გვ. 3;
80. სხვა და სხვა ამბები: ასტრახანში დაიჭირეს გაჩხრეკის... // წყარო. - ბაქო, 1913. - №10. - გვ. 15;
81. ის. რამიშვილი: დატუსაღების გამო [პორტრეტი] // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №11. - გვ. 5;
82. ისიდორე რამიშვილი: [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №16. - გვ. თავფურცელი;
83. ისიდორე რამიშვილს ნება მიეცა თბილისის გუბერნიამ იცხოვროს: [ცნობა] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №16. - გვ. 16;
84. სათათბიროს ათი წლისთავი: პირველ სათათბიროში: 1. ი. ა. (ოსიკო) ბარათაშვილი, 2. ნოე ყორღანია, 3. ს. ჯაფარიძე, 4. ისიდორე რამიშვილი, 5. ივ. გომართელი, 6. ს. ნერეთელი. [სურათი] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №21. - გარეკანის პირველი გვერდი;
85. დამფუძნებელი კრებისთვის სოციალ... // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №40. - გვ. 15;
86. დემოსიძე, გ. მუშათა პრესის დასაწყისი რუსეთსა და ჩვენში // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №5. - გვ. 68-70;

87. ის. რამიშვილი: 1 სათათბიროს დეპუტატი... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №13. - გვ. 1;
88. კრიზისი // ეშმაკის მათრახი. - 1917. - №46. - გვ. 1-16. - დართული აქვს შ. ქიქოძის კარიკატურები არტურ რილეკზე და ვიქტორ თევზაიაზე;
89. 23 მარტი ქ. პეტროგრადში: დაკრძალვა რევოლუციის მსხვერპლთა... [სურათი] // ეშმაკის მათრახი. - 1917. - №15. - გვ. 5;
90. ს. დ. მოლვანენი საქართველოში... // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №16. - გვ. 254;
91. ქართველები სახელმწიფო სათათბიროში: პირველი სათათბირო. ი. ა. ბარათაშვილი, ნოე ჟორდანიას, მ. ს. ჯაფარიძე, ი. რამიშვილი, ივ. გომართელი, ს. წერეთელი [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №11. - გვ. 8;
92. წამებული ნადეპუტატარნი... // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №13. - გვ. 15;
93. მთავრობის მოქმედება: ჩვენში // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №25. - გვ. 400. - კვირიდგან კვირამდე;
94. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა // სახალხო კალენდარი. - 1919. - გვ. 107-109;
95. საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების მეორე ყრილობა // მუშათა ცხოვრება. - 1919. - №12. - გვ. 10-11;
96. ბათუმის გადმოცემა: (ფინანსთა მინისტრის რწმუნებულის ალ. იოს. კანდელაკის ერთ-ერთ მოხსენებიდან) // მხედარი. - 1920. - №11. - გვ. 8-10; №12. - გვ. 5-7;
97. ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში: ბათუმში // მხედარი. - 1920. - №16. - გვ. 3-4;
98. ისიდორე რამიშვილი: ძველი სახალხო მასწავლებელი... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №3. - გვ. 8;
99. ლ. რ. ბათომიდან თფილისამდე // მხედარი. - 1920. - №16. - გვ. 4-6;
100. მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა ერთი ჯგუფი: [ჯგუფური ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №10. - გვ. 8;
101. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა: დამფუძნებელი კრების წევრები // სახალხო კალენდარი. - 1920. - გვ. 107-112;
102. ს., პ. სავანგებო ბატალიონში // სახალხო გვარდიელი. - 1920. - №3. - გვ. 16;
103. დებრიუკერი, ლ. მებრძოლი საქართველო // თავისუფალი საქართველო. - 1921. - №11. - გვ. 10-11;
104. საქართველო და ევროპა // თავისუფალი საქართველო. - 1921. - №9-10. - გვ. 6-8;
105. ჟორდანიას, ნოე. როგორ იყო // ბრძოლის ხმა. - პარიზი, 1933. - თებერვალი. - № 30. - გვ. 1.
3. ის. რამიშვილი: 1 სათათბიროს დეპუტატი... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №13. - გვ. 1;
4. წამებული ნადეპუტატარნი... // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №13. - გვ. 15;
5. Наше слово. - 1919. - 20 июля. - № 156;
6. ისიდორე რამიშვილი: ძველი სახალხო მასწავლებელი... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №3. - გვ. 8;
7. საქართველოს განათლების მუშაკი. - 1925. - № 7. - გვ. 16;
8. Енукидзе, А.С. Наши подпольные типографии на Кавказе / А. Енукидзе. - [Москва]: Новая Москва, 1925. - Стр. 105;
9. ჟღენტი, თენგიზ. 1905 წელი გურიაში. - მე-2 გამოც. (შესწ. და შევს.). - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ.: 8, 17, 20, 108;
10. ხუნდაძე, სიმონ. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. - ტ. 2: ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში. - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ.: 88-89, 213;
11. გიორგაძე, გრიგოლ. - ა) საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 / გრიგოლ გიორგაძე. - ტფ.: სახელგამი, 1928 (პოლიგრაფსკოლის სტ.). - გვ. XII. - განყოფილებაში „ვინ რომელ გვერდზეა მოხსენებული“; ბ) თვითმპყრობელობა და რევოლუცია / გრიგოლ გიორგაძე. - წ. 1: საბუთები რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1870-1902. ხალხოსნების ხანა. - დასვლების-მარქსისტების მუშაობის დასაწყისი და განვითარება 1902 წლამდე. - ტფ.: სახელგამი, 1929 [კანზე: 1930] (პოლიგრაფსკ. სტ.). - გვ. 119;
12. ლასხიშვილი, გიორგი. მემუარები (1885-1915) / გიორგი ლასხიშვილი. - ტფ.: [პოლიტკატორღელთა საზ-ბის გა-მა], 1934 (საქ. პარტგამ-ბის მე-2 სტ.). - გვ.: 209, 302;
13. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 493.

რამიშვილი, იულონ ივანეს ძე (1862 –

) – გლეხი-რევოლუციონერი, – პროპაგანდისტი და ორგანიზატორი, – ძმა ისიდორე რამიშვილისა, სკოლის გარეშე, თავისი ძმის – ისიდორეს – ღამის კურსებზე ნასწავლი და ქართული წიგნებით თვითგანვითარებული. რევოლუციურ-პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება „მესამე დასის“ ჩასახვის (1894) დროიდან; მუშაობდა, განსაკუთრებით, გლეხებში – ჯერ თავის სოფელში, შემდეგ – მთელ გურიაში, როგორც გლეხთა წარმომადგენელი. 1905 წელს გურიაში მეფისნაცვლის, კრიმ-გირეის, ჩამოსვლის დროს (რომელსაც მინდობილი ჰქონდა გურიის მოძრაობის მიზეზების გამოკვლევა) ი. რამიშვილი წარუდგა მას გლეხების მხრით საპრო-

წყარო:

1. რამიშვილი, ის. - ა) წერილი რედაქციის მიმართ // ივერია. - 1890. - 2 აგვისტო. - №165. - გვ. 3; 19 დეკემბერი. - № 270. - გვ. 3; ბ) წერილები რედაქციის მიმართ // ივერია. - 1890. - 7 სექტემბერი. - № 191. - გვ. 2;
2. Департ. поп. - 1913. - 13 აგვისტო. - № 2771; ოზურგეთის მაზრის უფროსის მოხსენება. - 1913. - 10 აგვისტო. - № 2604;

გრამო სიტყვით, აუხსნა გლეხთა უმინაწყოობით შეწუხება, უუფლებობა, მართებლობის მხრით მათი შევიწროება და სხვ. გლეხების მხრით არჩეული იყო არალეგალურად, როგორც მთელი გურიის ცენტრში, ისე ადგილობრივ კოლექტივსა და სამხედრო ორგანიზაციაში. 1905 წლის მიწურულს, განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო გამოსვლების დროს, გურიის შტაბის წევრად იყო ჩოხატაურის რაიონიდან და გურია-სამეგრელოს შეიარაღებულ რაზმთან ერთად სამტრედიას ჩავიდა ქუთაისზე გასალაშქრებლად, მაგრამ რეაქციის დაწყების, მოსკოვის დამარცხებისა და თბილისიდან მოსული საგანგებო განკარგულების გამო, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიუღია (აქ შტაბის თავმჯდომარეობის დროს აცნობეს: რევოლუცია დამარცხდა, ისიდორე ხევსურეთს გაიქცა, დაიშალენით და დრომდე მიიმალენით).

რეაქციის გაძლიერების (1906 წელს ჯერ კრილოვის, შემდეგ – ტოლმაჩოვის დამსჯელი რაზმის შემოსევის) დროს, ი. რამიშვილი, თავის ძმებთან და სხვა პოლიტიკურებთან ერთად დევნილი, არალეგალურად ცხოვრობდა: წელიწადნახევარი ოჯახის გარეთ იმალებოდა, რომლის დროსაც მთელი მათი ოჯახი მთავრობის მიერ ხშირად იჩხრიკებოდა (მისი ძმები – ისიდორე და ონისიმე გადასახლებულნი იყვნენ). ამ დევნის დროს სრულიად შემთხვევით და გაბედული მოხერხებით, თანამოგვარე მამასხლისის ხელდაფარებით, გადარჩა გახურებულ სროლას. ამ დევნის დროს ტოლმაჩოვა ოჯახში 120 კაზაკი ზეკუციად ჩაუყენა, ოჯახი ააკლბინა, ხოლო შემდეგ სახლი დაუნგრეს. მიუხედავად ასეთი დევნისა, ი. რამიშვილი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გლეხებში არალეგალურად რევოლუციურ მუშაობას თავგამოდებით აწარმოებდა 1917 წლის რევოლუციამდე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რამდენიმე პოლიტიკურ მოღვაწესთან ერთად, ოზურგეთის ციხეში ჩასვეს, საიდანაც 25 დღის შემდეგ გაათავისუფლეს, იმავე წელს მეორედ დააპატიმრეს 10-12 დღით, 1922 წელს – თვენახევრით ოზურგეთის ციხეში, აქედან – თბილისს – მეტეხის ციხეში ორთვენახევრით; 1921 წელს ოზურგეთის ჩეკაში – 41 დღით, 1927 წელს, სხვებთან ერთად, ორი თვით და ათი დღით მეტეხში. შემდეგ 3 წლით გადასახლება გადაუნყვიტეს, გაგზავნეს კიდეც, მაგრამ სადგურ ნავთლულიდან უკან დააბრუნეს, გადასახლება ციხით შეუცვალეს, რაც 1,5 წელში მოხდა.

ამ დევნა-ტყვეობის ჟამს ერთი შვილი – ამბროსი პოლიტიკურ ნიადაგზე მოუკლეს, მეორე – ნიკოლოზი ციხეში დაჭლექდა.

წყარო: არ არის მითითებული.

რამიშვილი, ნოე ბესარიონის ძე [პარტიული სახელი „პეტრა“, იბივი „С. Семенов“] (1881, 5/IV – 1930, 7/XII) – პუბლიცისტი, ეკონომისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, –

განათლებით სამხედრო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრი – შინაგან და გარეშე საქმეთა, დამფუძნებელი კრების წევრი და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკთა) პარტიის ერთი მესვეურ-ხელმძღვანელთაგანი, – გურიიდან (დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფ. სურებში 1881 წლის აპრილის 5. მამამისი ხელზე მოსამსახურე გლეხი იყო, თავად ერისთავთა ფარეში, ბატონ-ყმობის მძიმე უღლის კარგად გამთვალისწინებელი, რომელიც ცდილობდა სწავლა-განათლებით შვილებისათვის აეცილებინა მძიმე ხვედრი, რისთვისაც შვილი ისიდორე ივ. რამიშვილის სკოლაში მიაბარა). ნ. რამიშვილმა დაამთავრა სოფ. სურების სკოლა, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი პირველ მოწაფედ (1894) და ქუთაისის ახლად გახსნილ სასულიერო სემინარიაში შევიდა (ეს სასულიერო სემინარია 1894 წელს ქუთაისში დაფუძნდა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიისათვის, დამოუკიდებლად, თბილისის სასულიერო სემინარიაში 1894 წელს მომხდარი არეულობის გამო). ამ დროს ქუთაისის სემინარიაში მოწინავე მოწაფენი თვითგანვითარებას მისდევდნენ საუკეთესო წიგნების კითხვით (ს. კილაძის, იას. ნიკოლაიშვილისა და სხვ. ინტელიგენტთა ხელმძღვანელობით). ამ წრეში ნ. ჩერნიშევსკის რომანმა „რა ვაკეთოთ“ („Что делать?“) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნ. რამიშვილზე და სემინარიის დასრულებისთანავე (1900) დორპატის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც იმ ხანად სტუდენტთა მოძრაობა იყო გახურებული. 1900 წლის მარტის 3 სტუდენტების ყრილობის მიზეზით გამოცხადებული გაფიცვისა და სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, რის შემდეგ ნ. რამიშვილი პეტროგრადს გაემგზავრა. ამ დროს აქ მოქმედებდა „Панславская группа“, რომელსაც ნ. რამიშვილი მიემხრო (ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნისას „კვალის“ მიმართულებას იზიარებდა), უფრო ახლო გაეცნო სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას და, საბოლოოდ, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მიეკედლა. 1902 წლის თებერვალში ნ. რამიშვილი კვლავ მიიღეს დორპატის უნივერსიტეტში, მაგრამ ერთი თვის მერე, სტუდენტების ყრილობაზე არსებული პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვისათვის, უნივერსიტეტიდან სამუდამოდ დაითხოვეს, და, ერთი თვით ციხეში პატიმრობის შემდეგ, სამშობლოში გამოისტუმრეს.

ნ. რამიშვილმა უნივერსიტეტზე ხელი აიღო და სრულიად სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაება: პირველად ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, 1903 წლის ივნისში ბათუმში მოწვეულ სოფლად მომუშავეთა ყრილობაზე ტერორის წინააღმდეგ გაილაშქრა, ამავე წელს ბათუმის წარმომადგენლად დაესწრო კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების დამფუძნებელ ყრილობას (მონაწილეობდნენ ს. ჯიბლაძე, ნ. ჟორდანიას და სხვა მეთაურები ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიისა). ამის შემდეგ კავკასიის

სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყველა ყრილობას ესწრებოდა ხოლმე. 1903 წელს ბენია ჩხიკვიშვილთან ერთად დააარსა გურიის კომიტეტი. 1904 წელს, იაპონია-რუსეთის ომის დაწყებისას, ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ მომხდარი დემონსტრაციის გამო, სხვა მეთაურებთან ერთად დევნილი, იძულებით თბილისს გადასახლდა, სადაც განაგრძო არალეგალური მუშაობა, როგორც სოციალ-დემოკრატმა მეთაურმა. 1904 წლის ოქტომბრის 2 შეიპყრეს და ერთი კვირის ტყვეობის შემდეგ ბათუმს გაგზავნეს გასასამართლებლად. იმავე წლის ოქტომბრის 17, საღამო ხანს, ბათუმის საქონლის სადგურიდან ჟანდარმებს გაექცა ნოვოროსიისკს (სადაც ამ დროს პარტიულ მუშაობას მეთაურობდა ჭოლა ლომთათიძე). აქედან როსტოვს წავიდა. ორივე ადგილას არაჩვეულებრივი ენერგიული მუშაობით მუშათა სიყვარული დაიმსახურა, რის გამოც დონის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრად აირჩიეს. ამ დროს წარმოებდა უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელთა შორის ბრძოლა. ნ. რამიშვილი მიემხრო უმცირესობას. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ თბილისს დაბრუნდა, იმავე წლის გაზაფხულზე ა/კ უმცირესობის ორგანიზაციების ყრილობამ ამიერკავკასიის ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ბიუროს წევრად აირჩია. აქ მუშაობდა ნოე ჟორდანიას გვერდით ზეპირი აგიტაციით და გაზ. „სოციალ-დემოკრატში“ წერილების მოთავსებით. ამ დროიდან ამიერკავკასიის ხელმძღვანელ ორგანოს – საოლქო კომიტეტის მუდმივ წევრად ითვლებოდა. 1907 წელს ლონდონის პარტიულ არალეგალურ ყრილობას დაესწრო; ყრილობის შემდეგ 1910 წლამდე პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად იყო. 1908 წლის დეკემბერში საზღვარგარეთ სოციალ-დემოკრატთა კონფერენციას დაესწრო (ფ. დანთან და პ. აქსელროდთან ერთად), როგორც კავკასიის დელეგატი. 1908-1910 წლებში უცხოეთში იმყოფებოდა, უმთავრესად – ლაიპციგში. აქ, თვითგანვითარების გარდა (შეისწავლა გერმანული ენა, დაენაწა საზოგადოებათმცნიერებას და ბუნებისმეტყველებას), პრაქტიკულად გაეცნო გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, იმავე დროს თანამშრომლობდა გაზეთში „Голос социалдемократии“ („სოციალ-დემოკრატიის ხმა“) (მაგალითად, 1909, № 15). 1910 წლის ივლისში საქართველოში დაბრუნდა. იმავე წლის ნოემბრის 2 დაატუსაღეს და, რამდენიმე თვის ტყვეობის შემდეგ, კავკასიის საზღვრებიდან გაასახლეს. 2,5 წელი როსტოვში ცხოვრობდა (სადაც გრ. ლორთქიფანიძესა და სეით დევდარიანთან ერთად მენშევიკურ ორგანიზაციაში შედიოდა, რომელმაც მე-4 სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად ტულიაკოვი გაიყვანა). 1913 წლიდან ქუთაისში არალეგალურად, გარედან ხელმძღვანელობდა პარტიულ გაზ. „მერცხალს“, რომლის ფიქტიური რედაქტორი იყო ვასო აბდალაძე, ხელობით მექუდე (ამ რედაქციაში მუშაობდნენ: თენგიზ ჟღენტი – ქრონიკაზე, რაჟდენ კალაძე,

ვარ. ხუროძე, ილია რუხაძე, მესტამბე ივ. კილაძე, კაპიტ. კალანდაძე და სხვ. ჩხრეკის დროს მთელი რედაქცია შეიპყრეს, ასოთამწყობი კაპ. კალანდაძეც, – სულ 17 კაცი. გადარჩა ნ. რამიშვილი, რადგან რედაქციას გარედან ხელმძღვანელობდა. თუმცა რედაქცია დაიბეჭდა, ნ. რამიშვილმა მეორე დღესვე გამოსცა ახალი გაზეთი ახალი სათაურით და მთელი თხუთმეტი დღის განმავლობაში, ვიდრე სათანადო თანამშრომელთ მოიკრებდა, მარტო სცემდა გაზეთს). ომის დაწყებიდან (1914) თბილისში პარტიულ გაზეთებს რედაქტორობდა (ნოე ხომერიკთან, შემდეგ ვლ. ახმეტელაშვილთან ერთად), იმავე დროს პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი მეთაური იყო. იმპერიალისტური ომის დროს (1914-1918) კავკასიის სოციალ-დემოკრატთა რომ ციმერვალდის პოზიციას მიემხრო, პარტიულ პრესაში მისი დასაბუთება იკისრეს ნ. რამიშვილმა (წერილი „ომი და ინტერნაციონალი“) და ნოე ხომერიკმა („ჩვენ და ნაციონალისტები“). 1915 წელს ნ. რამიშვილი დაატუსაღეს და აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს, მაგრამ ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შუამდგომლობით, მეფისნაცვალმა ეს დადგენილება გააუქმა. 1916 წლის მინურულს, როცა შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა უილსონმა (1858-1929) დეკლარაცია გამოსცა, რომლის ერთი მუხლი ჩაგრულ ერთა გათავისუფლებას მოითხოვდა, – ნ. რამიშვილმა რედაქციაში მუშაობის დროს განაცხადა: „საჭიროა გაზეთში დამოუკიდებლობის სასარგებლოდ წერა დაიწყეთო: ამ საკითხის გასარჩევად მონეველ საიდუმლო პარტიულ კრებაზედაც მოითხოვა: „დროა, დამოუკიდებლობის საკითხი წამოვაცენოთ“-ო. რადგან იმ ხანებში ამ საკითხის წამოყენება სოციალ-დემოკრატებს სახიფათოდ მიაჩნდათ, მისი დაწვრილებითი დამუშავება ხელმძღვანელ ცენტრს მიანდეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დროიდანვე ლეგალურმა პარტიულმა ყრილობამ ნ. რამიშვილი აირჩია საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად, 1917 წლის ზაფხულში – თბილისის საგუბერნიო კომისრად, სექტემბერში, ნოე ჟორდანიასთან ერთად, გაიგზავნა პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე (სადაც მოითხოვა ერთფეროვანი დემოკრატიული კაბინეტის – მთავრობის – შედგენა). ამ თათბირმა აირჩია წინაპარლამენტის წევრად, ხოლო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყრილობამ – რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად, სადაც მონაწილეობა ველარ მიილო კრების მოუწვევლობის გამო. ამიერკავკასიის სეიმში დეპუტატად ითვლებოდა, ევგ. გეგეჭკორის კაბინეტში – შინაგან საქმეთა მინისტრად, აკაკი ჩხენკელის კაბინეტში – პრემიერის მოადგილედ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918, მაისის 26) შემდეგ – პრემიერად, ნ. ჟორდანიას კაბინეტში – შინაგან საქმეთა მინისტრად და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ (ფაქტიურად ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო პოლიტიკას, მეთაურობდა ბათუმის დელეგა-

ციას, რომელმაც ხელი მოაწერა ოსმალეთთან ხელშეკრულებას (1918 წლის ივნისის 4).

პოლიტიკურ-რევოლუციური მოღვაწეობის გამო საერთოდ ციხეში დაჰყო: 1 წელი და მთვე, გადასახლებაში – 2,5 წელი, არალეგალურ ცხოვრებაში – 10 წელი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის მარტის 17, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, საზღვარგარეთ გავიდა, სადაც ბრძოლა განაგრძო საქართველოდან რუსის ჯარების გასაყვანად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად და სხვ. 1921 წლის ზაფხულში, კარლო ჩხეიძესთან ერთად, მოიარა შუა ევროპის სახელმწიფოები (გერმანია, პოლონეთი, სკანდინავიის ქვეყნები) და გასაბჭოებული საქართველოს მდგომარეობა, – ბოლშევიკების მოქმედება, – გააცნო.

მწერლობაში მონაწილეობდა ცხრაასიანი წლებიდან. გაზეთებში ხშირად ხელმოუწერავად ათავსებდა წერილებს, უმთავრესად, პარტიულ-პოლიტიკური საკითხების შესახებ. ზოგჯერ აწერდა ინიციალებს ნ.-რ.-ი. 1903 წელს დაწერა წიგნაკი „საღდათობა“ და იმავე წელს არალეგალურად გამოსცა, რომლის უმეტესი ნაწილი მთავრობას ჩაუვარდა ხელში.

მას ეკუთვნის ნაშრომი „ისტორიული მატერიალიზმი“ (თფ.: წიგნის გამ-ბა „კულტურა“, 1912), რომელიც მთავრობამ აკრძალა (იგივე: მე-2 გამოც., თფ.: კანტორა „განათლებლის“ გამოც., 1917). ნ. რამიშვილი ამ შრომაში გვიჩვენებს „რა ამოძრავებს კაცობრიობას, რატომ საზოგადოების ერთი ნაწილი ჰბატონობს, მეორე კი მას ემორჩილება? ერთი ერი წინ მიიწევს და კაცობრიობას სათავეში უდგია, მეორე – უკან დაქანებული და ძლიერის უღელქვეშ სულს ღაფავს“. გვიხსნის საწარმოო ძალთა განვითარებას, წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესს, საზოგადოებრივ ურთიერთობას, უფლებას, პოლიტიკურ წყობილებას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ეთიკას, ფილოსოფიას, სარწმუნოებას, წესწყობილების შეცვლას, პიროვნებათა როლს ისტორიაში და სხვ. რამიშვილის აზრით: „საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი წარმოებაა, საწარმოო ძალთა განვითარება და მასზე აღმოცენებული გაცვლა-გამოცვლის წესი და კაცობრიობის განვითარების გასაღებიც მასში უნდა ვეძიოთ... წესწყობილების წარმოშობა და მოსპობა, სახელმწიფოს გაძლიერება და დაუძღურება, ხალხის გამარჯვება და დამარცხება, მოკლეთ – ყველაფერი ისტორიაში აუცილებლობის კანონს ემორჩილება, ადამიანს იმონებს არსებული ეკონომიური და მასზე აგებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება... კერძო პიროვნება, თუნდა გენიოსიც იყოს, სავსებით საზოგადოებრივ წრის შვილია“-ო.

ნოე ჟორდანიას სიტყვით: „რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი“ საუკეთესო სახელმძღვანელოა, სწორედ ზედ მისწრება იმათთვის, ვისაც მარქსის მოძღვრების შესწავლა სწყურია. ამგვარი წიგნი ჩვენ არ მოგვეპოვება. ვერც ერთ რუსულ-ქართულ წიგნიდან ისე კარგად ვერ გავიცნობთ

მარქსიზმს, როგორც რამიშვილის წიგნიდან. აქ მეცნიერება გამოთქმულია მეცნიერული და, იმავე დროს, მარტივი ენით“.

უცხოეთში 1925 წლამდე ცალკე გამოსცა წიგნი „საქართველო და რუსეთი“ (პარიზი, 1924). აქვე თანამშრომლობდა ჟურ. „ბრძოლაში“; რითაც პარტიას ახალი მიზნები დაუსახა, რომლის თანახმადაც: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მიზნად ისახავს ყოველგვარი ჩაგვრა-მონობის მოსპობას და სოციალიზმის დამყარებას საერთო ბედნიერების უზრუნველსაყოფათ... არავის აძალდებს ბურჟუაზიული წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურს გადაახტეს, დეკრეტით ეკონომიური ცხოვრება დაიმორჩილოს და ის თავის გემოზე მოაწყოს... ხალხის უმრავლესობის სოციალურ გაძარცვას სრული დემოკრატია მოსპობს და სოციალურ სამართლიანობის დამყარებას მოითხოვდეს. – პოლიტიკური დემოკრატია გზას უხსნის სოციალურ დემოკრატიის სამეფოს დამკვიდრებას... დემოკრატია მოასწავებს ხალხის მიერ თავის საქმეთა თვითვე გადაჭრას. ამიტომაც არის დამორჩილებული ერი სრულ დემოკრატიას ვერ დაამყარებს, სანამ დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებს და თვისი ბედის გამგე თვითვე არ შეიქმნება... მშვიდობიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ არა დამორჩილებულ ხალხთა საბოლოო გათავისუფლებით... ერთი ერი – ერთი სახელმწიფო. დემოკრატიის ბატონობა და ერის თავისუფლება სოციალიზმის განხორციელების წინასწარ პირობას შეადგენს და მას ხელს უწყობს... კაპიტალიზმის უაღრესი განვითარება მის დაცემას იწვევს“-ო. მოითხოვა სიკვდილით დასჯის გაუქმება და სხვ. თვით მას კი ვერაგულად გასროლილმა ტყვიამ მოუსპო სიცოცხლე 1930 წლის 7 დეკემბერს.

ცალკე გამოცემულია:

1. საღდათობა / რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. - ჟენევა, 1903 (სტამბა „ბრძოლისა“). - 30 გვ.; 19სმ.;
2. ისტორიული მატერიალიზმი / ნ. რ-ისა [ნოე რამიშვილი]. - თფ.: წიგნის გამ-ბა „კულტურა“, №10, 1911 [კანზე: 1912] (სტ. „ნადეჟდა“). - 235, [2] გვ.; 22სმ.; გამოცემა მე-2, შევსებული და შესწორებული. - თფ.: კანტორა „განათლებლის“-ს გამოცემა, 1917 (ა. კალანდაძის სტ.). - 241, IV გვ.; 21სმ.;
3. საქართველო და რუსეთი. - პარიზი, 1924. - 63 გვ.; 16სმ.;
4. დემოკრატიული სოციალიზმი = *Le socialisme democratique / ნოე რამიშვილი*. - პარიზი, 1931. - 128 გვ.; 21სმ.. - ბიბლიოგრ. ტექსტ. შენიშვნ..

გამოქვეყნებულია:

1. კარლ მარქსი და ჰერბერტ სპენსერი: (მაქსიმ კოვალევსკის ლექცია) // *იალქანი*. - 1909. - №1. - გვ. 15-16;
2. რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია ოსმალეთში // *ახალი დროება*. - 1909. - 28 აპრილი. - №7. - გვ. 3;

3. რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია ოსმალეთში // ჩვენი აზრი. - 1909. - №1. - გვ. 3; №2. - გვ. 2; №3. - გვ. 2; №4. - გვ. 2;
4. რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია სპარსეთში // ჩანგი. - 1909. - 18 ივლისი. - №13. - გვ. 1; 21 ივლისი. - №15. - გვ. 1-2; 22 ივლისი. - №16. - გვ. 1-2; 23 ივლისი. - №17. - გვ. 1-2; 24 ივლისი. - №18. - გვ. 1-2; 26 ივლისი. - №20. - გვ. 1-2;
5. იდეოლოგია // ახალი გზა. - 1910. - 18 აგვისტო. - №49. - გვ. 2-3; №50. - გვ. 2-3; №52. - გვ. 2-3; №53. - გვ. 2-3; №54. - გვ. 2-3; №55. - გვ. 2-3; №57. - გვ. 2-3; №58. - გვ. 2-3; №59. - გვ. 2-3;
6. ჩვენ და რუსეთი // თავისუფალი საქართველო. - 1921. - №9-10. - გვ. 19-24;
7. ეროვნული და სოციალური ბრძოლა // ბრძოლა. - 1925. - № 1. - გვ. 20-21;
8. თანამედროვე იმპერიალიზმი და ერთა განთავისუფლება // ბრძოლა. - 1925. - № 6. - გვ. 8-11;
9. ინტერნაციონალი და ეროვნული საკითხი // ბრძოლა. - 1925. - № 4. - გვ. 14-16;
10. რუსული კომუნიზმი და აღმოსავლეთი // ბრძოლა. - 1925. - № 2. - გვ. 9-12;
11. ეროვნული კითხვა საბჭოთა საქართველოში // ბრძოლა. - 1926. - № 8. - გვ. 2-5;
12. თავდადებულთა ხსოვნას // ბრძოლა. - 1926. - № 14. - გვ. 16-17;
13. კარლო ჩხეიძე სამშობლოდან გახიზვნის შემდეგ // ბრძოლა. - 1926. - № 12-13. - გვ. 36-37;
14. ლიკვიდაციისკენ // ბრძოლა. - 1926. - № 7. - გვ. 9-11;
15. სამაისოთ // ბრძოლა. - 1926. - № 10-11. - გვ. 1-2;
16. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი // ბრძოლა. - 1926. - № 10-11. - გვ. 33-40;
17. სიტყვა და საქმე // ბრძოლა. - 1926. - № 18. - გვ. 2-6;
18. სოციალ-პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა საქართველოში // ბრძოლა. - 1926. - № 10-11. - გვ. 8-10.
7. არჩევნების შესახებ სახელმწ. სათათბიროში // ჩვენი გზა. - 1907. - 27 სექტემბერი. - №19. - გვ. 2;
8. ცნობილი მწიგნობარი... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №34. - გვ. 15;
9. ქართ. კულტ. საზოგად. კავშირის... // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №16. - გვ. 15;
10. დამფუძნებელი კრებისთვის სოციალ... // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №40. - გვ. 15;
11. დამფუძნებელი კრების სადეპ. კანდიდატები ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქიდან: რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (მენშევიკების) სია // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №32. - გვ. 498;
12. ვინმე. თათბირი დამფუძნებელ კრების შესახებ // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №16. - გვ. 242-243;
13. კრიზისი // ეშმაკის მათრახი. - 1917. - №46. - გვ. 1-16.. - დართული აქვს შ. ქიქოძის კარიკატურები არტურ რილკეზე და ვიქტორ თეფზიაზე;
14. მეგრელიშვილი, ნიკიფორე. მოწოდება: ამხანაგებო და მოქალაქენო! შუა ფარცმის მცხოვრებლებმა... // სოფლის მუშა. - 1917. - №14. - გვ. 15.. - ტექსტის ბოლოს: გამგეობის წევრები: ნიკიფორე მეგრელიშვილი, მღ. თბ. მეგრელიშვილი, მიხეილ ოსიძე, ი. სიხარულიძე, ო. ბერძენიშვილი, გ. მეგრელიშვილი, პ. მეგრელიშვილი და გ. ნინიძე;
15. ნოე რამიშვილი: ეროვნული საბჭოს წევრი, სამხედრო საქმეთა გამგე ... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №45. - გვ. 1;
16. ს. დ. მოღვაწენი საქართველოში... // პირველი ნაბიჯი. - 1917. - №16. - გვ. 254;
17. ქიქოძე, შ. პირველი თავისუფალი ს. დემ. კონფერენცია: [ნახატი] // ეშმაკის მათრახი. - 1917. - №25. - გვ. 8;
18. ახალი მთავრობის... // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №7. - გვ. 16;
19. ემუხვარი, ვლ. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის დეკლარაციის გამო // კოოპერაცია. - 1918. - №2-3. - გვ. 19-24;
20. ოსმალეთის ულტიმატუმის გამო... // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №8. - გვ. 15;
21. საქართველოს მთავრობა: [პორტრეტები] // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - №8. - გვ. 1;
22. უკანასკნელი ცნობით... // პირველი ნაბიჯი. - 1918. - №13. - გვ. 207-208;
23. ქრონიკა: ტფილელმა მიტრ. ლეონიდმა აღძრა... // ახალი სიტყვა. - 1918. - №12. - გვ. 8;
24. Стенографический отчет: Сессия 1, Заседание второе. Тифлис, 13-го февраля 1918 года / Закавказский сейм. - Тифлис, 1918. - 14 с.; 24 см.. - Без тит. л., опис. по загол. 1-й с.;
25. Стенографический отчет: Сессия 1. Заседание пятое. Тифлис, 17-го февраля 1918 года / Закавказский сейм. - Тифлис, 1918. - 8 с.; 24 см.. - Без тит. л., опис. по загол. 1-й с.;
26. Стенографический отчет: Сессия 1. Заседание четвертое. Тифлис, 16-го февраля 1918 года / Закавказский сейм. - Тифлис, 1918. - 42 с.; 24 см.. - Без тит. л., опис. по загол. 1-й с.;
27. გომართელი, ივ. თავისუფალი საქართველო // ჯეჯილი. - 1919. - №10-12. - გვ. 60-64. - თან ახლავს ფოტო „ომის მსხვერპლი“;

მის შესახებ:

1. ბათუმი // ცნობის ფურცელი. - 1904. - 20 ოქტომბერი. - №2645. - გვ. 2;
2. გაზ. „ვეს. პატ.“ გაუგია“...: [ტობოლის გუბერნიაში ნოე რამიშვილის გადასახლების შესახებ] // ლამპარი. - 1906. - 20 აპრილი. - №2. - გვ. 2;
3. დაპატიმრებულნი და გადასახლებულნი: [გაზეთ „ელვას“ რედაქციაში ყრილობისა და ავლაბარში საიდუმლო სტამბის გამართვისათვის დაპატიმრებულ პირთა სამართალში მიცემა; დავით როსტომაშვილის, 17 წლის დანიელ გოგელიას, ჯაფარიძის, ნ. რამიშვილისა და სხვათა გადასახლება] // შრომა. - 1906. - 20 აპრილი. - №14. - გვ. 1;
4. დ. წერილი თბილისიდან // ნაპერწკალი. - ქუთაისი, 1906. - №1. - გვ. 5;
5. სახელმწიფო სათათბიროს წევრნი: ნ. ყორდანი, ი. რამიშვილი, ტერ-პეტროსიანცი (ერევ. გუბ.), გ. თუმანიანი (ერევ. გუბ.): [ოთხი პორტრეტი] // შრომა: სურათებიანი დამატება. - 1906. - 2 ივლისი. - №25. - გვ. 1;
6. არჩევნების შედეგი // ჩვენი გზა. - 1907. - 30 სექტემბერი. - №22. - გვ. 1-2;

28. ერობათა თვითმართველობებში // კავკასიის ქალაქი. - 1919. - №16-17. - გვ. 25-27;
29. ნ. ბ. რამიშვილი: სამხედრო მინისტრი [ფოტო] // რესპუბლიკის ჯარი. - 1919. - №16. - გვ. 7;
30. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა // სახალხო კალენდარი. - 1919. - გვ. 107-109;
31. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა: [1919 წ.] // სახალხო კალენდარი. - 1919. - გვ. 106-107;
4. იმედაშვილი, იოსებ (უსავანო). სახალხო სახლის მრევლს... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №9. - გვ. 14-15.

წყარო:

1. იმედაშვილი, შ. ქართული სცენის ალბომის მასალა: [ავტობიოგრაფია ი. გ. რომანიშვილისა];
2. სან-განი. სოსო რომანიშვილი: (მისი 10 წ. სასცენო მოღვაწეობის გამო) // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №7. - გვ. 7;
3. სოსო რომანიშვილის... // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №9. - გვ. 16;
4. იმედაშვილი, იოსებ (უსავანო). სახალხო სახლმა აღზარდა... // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №10. - გვ. 16;
5. სახალხო თეატრი, 1893-1923: საიუბილეო კრებული. - ტფ., 1923 (სსმუს პოლიგრ. განყ. 1-ლი სტამბა). - გვ. 76.

რომანიშვილი, მარიამ (- 1917, 23/II) –

სცენისმოყვარე, – სახალხო თეატრის მუშაკი, – თითქმის ათი წელიწადი სრულიად უხელფასოდ ემსახურებოდა მუშათა თეატრს. გარდაიცვალა სიღარიბეში, კავთისხევში და იქვე დაიკრძალა 1917 წლის თებერვლის 26.

მის შესახებ:

1. იმედაშვილი, იოსებ (წინამძღვარი). სახალხო სახლში... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №24. - გვ. 14. - ქართული სახიობა;
2. სახალხო თეატრის დასი: [დასის წევრთა პორტრეტები] // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №16. - გვ. 9;
3. ქართული სახალხო წარმოდ. მართ წრე... // თეატრი და ცხოვრება. - 1915. - №4. - გარეკანის მეორე გვერდი.

წყარო:

1. მარიამ რომანიშვილისა: სახალხო სცენის მოყვარე... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1916. - №19. - კანზე, გვ. 3;
2. მ. რომანიშვილისა: სცენის მოყვარე... [ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1917. - №9. - გვ. 1.

რონდელი [ვაგარიშვილი], დავით

ივანის ძე (1904, 11/IV –) – კინოდრამატურგი, – ქართული ხმოვანი კინოფილმის პიონერი, – იმერეთიდან (დაიბადა ქუთაისში, ჯიხაიშელი გლეხის ოჯახში). სწავლობდა ქუთაისსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1923 წელს კომპოზირებული შეიქმნა.

მონაწილეობა მიიღო პროლეტარული ლიტერატურული ორგანიზაციების დაარსებასა და განმტკიცებაში, რედაქტორობდა ჟურ. „პროლეტარულ მწერლობას“.

1928 წელს შევიდა საქართველოს კინომრეწველობის სასცენო განყოფილებაში. ორი წლის შემდეგ დადგა თავისი პირველი მხატვრული ფილმი „უგუბზიარა“, რომელშიაც შეუფერებლად ასახა ახალი აჭარა. შემდეგ დადგა „მეორე მისამატი“, – ელექტროფიკაციის ამსახველი კულტფილმი. პირველმა დაამზადა ქართული ხმოვანი ფილმი „კლდე არშაულა“, შიგადაშიგ რუსული საუბრით (ფართო მასებისთვის გაგების მიზნით), ფორმით ნაციონალური, შინაარსით ინტერნაციონალური პირველი ქართული ფილმი, რომელიც გვიჩვენებს საქართველოს ერთი კუთხეთაგანი (ხევი) ინდუსტრიალიზაციის (ანდეზიტი) საფუძველზე სოციალისტურ ყაიდაზე როგორ გარდაიქმნა. კ. ლორთქიფანიძესთან ერთად (მისივე რომანის შინაარსზე) დაწერა სცენარი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“.

წერდა წერილებს კინოს საკითხების შესახებაც, მაგალითად:

1. „დაკარგული სამოთხე“ // საბჭოთა ხელოვნება. - 1935. - №5. - გვ. 83;
2. ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებითი გზები // საბჭოთა ხელოვნება. - 1935. - №1. - გვ. 9-14.

აგრეთვე, გამოქვეყნებულია:

1. მწვერვალები და უფსკრულები ხელოვნებაში: [წერილი] // დინამიტი. - ქუთაისი, 1924. - №1. - გვ. 18-21;
2. პირვანდელი; მოტრიალება მთელზე მეტი: [ლექსები] // დინამიტი. - ქუთაისი, 1924. - №1. - გვ.: 7, 13;

3. ახალი ლიტერატურის გზები // დარიალი: სამხატვრო-სალიტერატურო აღმანახი. - თბილისი, 1925. - №3. - გვ. 150-179;
4. სოფელს: [ლექსი] // მნათობი. - 1925. - №7. - გვ. 12;
5. ქალაქის და სოფლის შესახებ; მეფარნე; გლეხები და პროფესორი: [ლექსები] // პროლემაფი / საქართველოს პროლეტარ მწერალთა ასოციაცია. - თბილისი, 1925. - №1. - გვ. 43-45;
6. ჭიათურა: [ლექსი] // პროლემაფი / საქართველოს პროლეტარ მწერალთა ასოციაცია. - თბილისი, 1925. - №1. - გვ. 41-42;
7. რევოლუციური ახალი მწერლობა [რამ]: დეკლარაცია // კომუნისტი. - 1926. - 26 მარტი. - № 67. - გვ. 3. - ტექსტის ბოლოს: ბენიტო ბუაჩიძე, დავით გაჩეჩილაძე, ლეო ესაკია, კარლო კალაძე, თინა ლოლაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, ვარლამ ჟურული, დავით რონდელი;
8. კინემატოგრაფიის მუშაობა და პერსპექტივები // კომუნისტი. - 1934. - 30 აპრილი. - №101. - გვ. 3;
9. ახალი გამარჯვებები: [საბჭოთა კინემატოგრაფიის 20 წლისთავისათვის] // კომუნისტი. - 1940. - 5 თებერვალი. - №29.

მის შესახებ:

1. პროლეტარულ მწერალთა კავშირის გარშემო: [წერილები პროლემაფის შექმნის გამო] // კომუნისტი. - 1925. - 11 იანვარი. - №9. - გვ.4. - შინაარსი: შემცდარი ნაბიჯი: პასუხად 14 ახალგაზრდას / ს. თ-ია; წერილი რედაქციის მიმართ: პასუხად თ. ჩქარულს, კ. ენრელს, დ. რონდელს და სხვა / დ. კობიძე, ვ. ახელი;
2. კინოს საკითხები: [კინორეჟისორ დ. რონდელის მოხსენების შესახებ] // კომუნისტი. - 1929. - 22 ნოემბერი. - №269. - გვ. 3;
3. მ-ლი, თ. უგუზბიარა: [დ. რონდელის კინოდადგმის შესახებ] // კომუნისტი. - 1930. - 28 ნოემბერი. - №279. - გვ. 4;
4. კოკილაშვილი, ა. სიმღერა ვაჟკაცობასა და მეგობრობაზე: [„ჯურღაის ფარი“, მხატვრული მუსიკალური ფილმი. თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ნაწარმოები. სცენარის ავტორები: გ. ლეონიძე, ს. დოლიძე, დ. რონდელი. დადგმა რეჟისორების - ს. დოლიძისა და დ. რონდელისა. ოპერატორები - კ. კუზნეცოვი და ა. როლიკევიჩი]: კინო: [რეცენზია] // კომუნისტი. - 1950. - 9 ივნისი. - №121;
5. მისაბიშვილი, ვ. „ჯურღაის ფარი“: [სცენარის ავტორები გ. ლეონიძე, ს. დოლიძე, და დ. რონდელი. რეჟისორები: ს. დოლიძე და დ. რონდელი. ოპერატორები კ. კუზნეცოვი, ა. პოლიკევიჩი, მხატვარი ე. მაჭავარიანი ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ნაწარმოები. რეცენზია] // საბჭოთა აფხაზეთი. - სოხუმი, 1950. - 11 ივნისი. - №115.

წყარო:

1. დუდუჩავა, შ. საქართველოს მხატვრული კულტურა ათი წლის მანძილზე // მნათობი. - 1931. - № 1-2. - გვ. 242;
2. რადიანი, შ. ქართული მწერლობის ათი წელი // მნათობი. - 1931. - № 3. - გვ. 191-192;

3. მგალობლიშვილი, მ. // საბჭოთა ხელოვნება. - 1933. - № 5;
4. პირველი ქართული ხმოვანი ფილმი მზადაა! // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1935. - 1 იანვარი. - № 1.

როსეპი, გიორგი (18.. -) – ტიკინოდრამატურგი, – ქართული სატიკინო პიესების შემქმნელი.

დაწერა სკოლის ასაკამდე აღსაზრდელი თაობისათვის პიესები: „ლორმუცელა“, „ცაცო“, „მაჯლაჯუნა“, „ტყეში“ და სხვ., რომელთაც საქართველოს სკოლის ასაკამდე აღზრდის კოოპერაციასთან არსებული ქართული ტიკინების თეატრი, გრ. მიქელაძის დადგმით და მიხ. სარაულის მიერ მომზადებული ტიკინებით, 1934 წლიდან წარმატებით არდგენდა სკოლებში, რაც ბავშვებზე დიდ აღმზრდელობით შთაბეჭდილებას ტოვებდა და მოზარდებს სამხატვრო მომსახურებას უწევდა.

როსეპის ზოგ პიესაში, მაგალითად „ცაცოში“, გამოყენებული იყო თხა, ვირი, ძალლი და სხვ..

წყარო:

1. კ. გ-ლი. ხელოვნება. „ცაცო“ ტფილისის ტიკინების თეატრში // მუშა. - 1934. - 24 დეკემბერი. - № 295;
2. რადიკ. ხელოვნება. ტფილისის ტიკინების თეატრი // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1935. - 22 იანვარი. - № 19.

როსტომაშვილი, დავით [დათიკო] ივანეს ძე (1886 -)

– ანარქისტ-კომუნისტი. ახალგაზრდა მიემხრო მუშათა მოძრაობას თბილისში. 1902 წელს სასწავლებლად გაემგზავრა საფრანგეთ-შვეიცარიაში, სადაც მიემხრო ანარქისტ-კომუნისტთა მოძღვრებას. დაუახლოვდა იქ მყოფ ქართველ ანარქისტებს (ვ. ჩერქეზიშვილს, მ. წერეთელს, კ. გოგელიას და ს. რამანოვს). სწავლობდა ქ. ნანსის ქიმიის ინსტიტუტში. რუსეთში 1905 წლის იანვრის სისხლისღვრამ ხელი ააღებინა სწავლაზე და საქართველოსკენ გამოემურა რევოლუციის ქარ-ცეცხლში ჩასაბმელად.

ჩამოსვლისთანავე მოიხზო მუშები და მოსწავლე ახალგაზრდობა, დააარსა ანარქისტ-კომუნისტთა პირველი ჯგუფი საქართველოში, ანარქისტების პირველი ფარული სტამბა ტფილისში. პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში ანარქისტულ მოძღვრების ძირითადი სწავლა, პირველმა დააარსა ჯგუფი „კომუნა“ და ამ ჯგუფის პროკლამაციებმა პირველად შეიტანეს მუშებსა და გლეხებში კომუნიზმის შინაარსი, რწმენა და მოძღვრება, პირველად ითქვა საქართველოში სიტყვები: კომუნისტი, კომუნა, კომუნიზმი. დაიწყო ტერორისტული ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ.

მთელი 1905 წელი ფარულად მუშაობდა თბილისს, ბათუმს, ფოთს, ჭიათურასა და ქუთაისში. იყო ხან მუშადმ ხან ასოთამწყობად, ხან გლეხობაში და ყველგან ავრცელებდა ანარქისტულ კომუნიზმის რწმენას და მიმდევრებს.

1905 წლის ბოლოს მიიღო აქტიური მონაწილეობა ქუთაისის გუბერნიის აჯანყებაში, ხელმძღვანელობდა ქუთაისში ბარიკადების აშენებას, შემდეგ ნითელ რაზმების აქტიურ ბრძოლას თვითმპყრობელობის ჯალათების, ნამეტნავად ალიხანოვის წინააღმდეგ. 1906 წლის დასაწყისში მასიურ რევოლუციონურ ბრძოლის შეფერხების გამო ისევ ფარულ სტამბების დაარსებას, პროპაგანდასა და ლიტერატურის გამოცემას ხელმძღვანელობდა. ამიერკავკასიის ყველა მნიშვნელოვან მუშათა ცენტრში დააარსა ანარქისტულ-კომუნისტური ჯგუფები „ინტერნაციონალის“ სახელწოდებით, ამასთანავე, ხელმძღვანელობდა ტერორისტულ საქმიანობას. 1906 წლის აპრილში შეიპყრეს სამ ამხანაგთან ერთად და უსასამართლოდ გადაასახლეს ციმბირს (ტობოლის გუბ.), საიდანაც დაუყოვნებლივ გამოიქცა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე უფრო ფართედ იწყო მასიური პროპაგანდა, სტამბების დაარსება და ტერორისტული ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. შეჰქმნა დიდი ორგანიზაცია ბაქოს პროლეტარიატის შორის მოიწვია რამდენიმე თანამოაზრის კონფერენცია, სადაც სასტიკად გაილაშქრა ე. წ. უსისტემო ექსპორიაციების წინააღმდეგ, იწყო ფარულ ანარქისტულ ჟურნალ „ინტერნაციონალის“ გამოცემა, სხვადასხვა ადგილას მოაწყო ჯოჯოხეთის მანქანები. 1906 წლის დამლევს ბათუმში შეიპყრეს, სამხედრო-საველე სასამართლოთი გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, რაც კატორღით, უფლებების ახდით და სამუდამოდ ციმბირს გადახვეწით შეუცვალეს. 8 წელი საკატორღო ცენტრალში, მოსკოვის ბუტირკას, ირკუტსკსა და ალექსანდროვის ცენტრალში იმყოფებოდა. კატორღაში ყოფნის დროს ებრძოდა გაბატონებულ რეაქციას. 1909 წელს მონაწილეობა მიიღო დიდ შეიარაღებულ გაქცევაში ალექსანდროვის ცენტრალიდან, რომელიც მარცხით დამთავრდა. მეორედ გაიქცა და ამხანაგების დავალებით ფარულად გაიქცა „ბებია რუსეთის რევოლიუციისა“ ეკ. ბრემკო-ბრემკოვსკაია. ათასი ვერსი გაიარეს, მაგრამ ირკუტსკის ახლოს შეიპყრეს ორივენი, თვითონ ხელიდან წაუვიდათ მღვერებს, ეკ. ბრემკო-ბრემკოვსკაია კი შეიპყრეს. დ. როსტომაშვილი გადავიდა ჩინეთს, საიდანაც ჩინელებმა გასცეს და რუსეთის მთავრობას გადასცეს. ჩამოიყვანეს ისევ ციმბირს გასასამართლებლად. 1915 წელს ისევ გაიქცა. რამდენიმე ხანი უცხოეთში დაჰყო, მაგრამ ამხანაგების დავალებით ისევ ფარულად ჩამოვიდა ციმბირს ირკუტსკის მხრიდან და ორი გერმანელის (ორივე გერმანელი ამხანაგები ეკუთვნოდნენ ანარქისტ-ინტერნაციონალურ ჯგუფს) გაქცევა მოაწყო. გაქცევა შესანიშნავად ჩაატარა და ყველანი გავიდნენ ამერიკას. იმოგზაურა თითქმის ქვეყნის ყველა კუნჭულში და დედამიწის გარშემო. მონაწილეობდა საერთაშორისო ანარქისტულ მოძრაობაში. არა სწამს არავითარი სახელმწიფოებრივი ფორმა, მომხრეა თავისუფალ ანარქისტულ კომუნალურ ცხოვრებისა, ერთმანეთში ფედერატიულად თავისუფალი კავშირისა, წინააღმდე-

გია პატარა ძალდატანებისაც კი პიროვნების წინააღმდეგ და საზოგადოთ ურყევლად ატარებს პ. კრაპოტკინის სწავლის პრინციპებს.

მის შესახებ:

1. ტუსალთა გაგზავნა: [დავით როსტომაშვილის, ივანე ჯავახიშვილის და ხორბალაძის ჩრდილოეთ რუსეთში გადასახლება] // შრომა. - 1906. - 2 აპრილი. - №1. - გვ. 3;
2. 1906 წელს 15 აპრილს... // დილა. - 1907. - 21 ივნისი. - №3. - გვ. 1.

წყარო: არ არის მითითებული.

როსტომაშვილი, დავით მიხეილის ძე
[მწერლობაში – დ. ნინოშინდელი, პარტიულად – „მეხურბე“] (1871, 18/III –) – მუშა-მწერალი, მგოსანი და რევოლუციონერი, – პროპაგანდისტ-ორგანიზატორი, ავლაბრის საიდუმლო სტამბის მთავარი ამშენებელთაგანი, პოლიტიკატორღელი, – გარეკახეთიდან (დაიბადა ქ. თბილისში. მამა – სოფ. ნინოშინდელი უმიწაწყო გლეხი, შემდეგ მოქალაქე მეხილე-ვაჭარი, თვითგანვითარებული მეზღაპრე, რომლის ზღაპრებიც „აკაკის კრებულშია“ დაბეჭდილი, დედა – გარეჯელი, შინაური განათლებით). დ. როსტომაშვილმა ქართული წერა-კითხვა ოჯახში ისწავლა და ქართულისავე ნიგნებით შეუდგა თვითგანვითარებას. 1880 წელს მეტყვევსთან იყო შეგირდად, 1889 წელს – თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ხარატად. 1893 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („ჯეჯილი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.) ბეჭდავდა ლექსებს დ. ნინოშინდელის ფსევდონიმით, ამავე წლიდან ამხანაგ-მუშებში ავრცელებდა ნიგნებს (რომელთაც, სხვათა შორის, იოსებ იმედაშვილიც აწოდებდა), მნიგნობრობისა და პირადი შთაგონება-პროპაგანდით თანამომუშავეებში სოციალისტური თვითცნობიერება შეჰქმნა. 1895 წლიდან პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაება, 1896 წელს სხვებთან ერთად (არჩილ არავიაშვილი, ვანო სტურუა, მ. ბოჭორიძე, ილია კოპალეიშვილი, დ. დვალი) შექმნა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელსაც თვითვე ხელმძღვანელობდა, აგრეთვე – მეორე წრე (ყაისარ ჩაჩავა, კალ. გაგუა, ვანო ყიასაშვილი, ამათ შეიერთეს არ. ოქუაშვილი და ზაქ. ჩოდრიშვილი) და მესამე (კ. მაჭარაძე, რომელსაც მიენდო თავის ამხანაგთა შეჯგუფება). თბილისის რკინიგზის მუშათა სოციალ-დემოკრატიების პირველი არალეგალური კრება გაიმართა დ. როსტომაშვილის ბინაზე (ავლაბარი, სურფ-მინასის შესახვევი, № 12) 1896 წლის მარტში, რომელსაც დაესწრნენ: მ. ბოჭორიძე, ვ. სტურუა, დ. დვალი, ილ. კოპალეიშვილი და თვითონ დ. როსტომაშვილი, ხელმძღვანელობდა ინტელიგენტი ვანო შუაქრიშვილი). 1901 წელს დ. როსტომაშვილმა მთავარ სახელოსნოს თავი გაანება და იარმუკაში (შემდეგში აქ ბაღი გაიმართა), თავის მამასა და ძმა კოტესთან ერთად, მეხილეობა დაიწყო, ძმასაც ჩაუწერა

განმათავისუფლებელი იდეები და, საზოგადოდ, ხალხში ძველი ნესნყობილების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების აზრებს ავრცელებდა. 1903 წლიდან ბოლშევიკურ ფრთას მიემხრო და უფრო მხურვალედ დაიწყო პროპაგანდა, თავის სავაჭროში ინახავდა არალეგალურ ლიტერატურას. ამ დროს ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თანდათან საძირკველი ეყრებოდა, სოციალ-დემოკრატიული პარტია ძლიერდებოდა, მაგრამ რევოლუციურ საქმიანობის გაფართოებას ხელს უშლიდა უსტამბობა. რსდმპ ამიერკავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა საიდუმლო სტამბა მოეწყო, რის შესრულებაც დ. როსტომ-აშვილს დაავალა. ეს დაავლება დ. როსტომ-აშვილმა, თავის ძმა კოტესთან ერთად, 1903 წლის დასაწყისიდან, დიდი საიდუმლოებით შეასრულა და თვითვე იყო სტამბის პასუხისმგებელი გამგე. სტამბა, მთავრობისგან ექვმიუტანლობის მიზნით, დ. როსტომ-აშვილმა გამართა პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან (ავლაბრის ფერმა № 5), საკუთარი გეგმით, ჭაში (ჭა ათი საყენი იყო, მეშვიდე საყენზე გვირაბი (ხვრელი) გადიოდა მეორე ჭაში. ამ ჭის კედელზე კიბე იყო. კიბით მეორე სარდაფში ჩადიდნენ). სტამბის აშენებაზე მუშაობდნენ: კალატოზები მირიან და თედო მალრაძენი, დურგლები სანდრო და ვანო ჩოდროშვილები. საიდუმლოების მტკიცე დაცვის მიზნით, გვირაბი გაიყვანეს თვითონ ამხანაგებმა. დ. როსტომ-აშვილმა აქ დადგა ვლ. დუმბაძის მიერ ბაქოდან ჩამოტანილი სწრაფმბეჭდავი მანქანა (2000 მან. ღირებული ოქროს ფულზე), საიდუმლოდ ნაშოვნი ოცი კასა ქართული, სომხური და რუსული ასოთი (რომლის გადმოზიდვაში დიდი მონაწილეობა მიიღო მ. ბოჭორიძის დედამ – ნინომ), ელექტრონის შუქი, ელექტრონის მანიშნებელი – სიგნალიზაცია (გამართა მ. ჩოდროშვილის შვილმა გიორგიმ). აქ იბეჭდებოდა: ქართულად – „ბრძოლა“, რუსულად – „Борьба“, სომხურად – „Երվի“ და სხვა გამოცემანი. აქვე იყო საყუმბარო მასალები, ყოველნაირი არალეგალური ლიტერატურა, ჯარის ნაწილების ბეჭდები, ყუმბარები... სტამბას ჰყავდა საკუთარი სარედაქციო კოლეგია (ი. ჯულაშვილი-სტალინი, მ. ცხაკაია, მ. ტოროშელიძე, ს. ხანოიანი) და კავშირი (თვით როსტომ-აშვილი და მ. ბოჭორიძე). დაცული იყო დიდი კონსპირაცია: სარედაქციო კოლეგამ არც კი იცოდა, სად არსებობდა სტამბა; ამავე მიზნით, გვირაბის გათხრის დროს მინას თვით ამხანაგები ეზიდებოდნენ. როცა დ. როსტომ-აშვილს შეეკითხებოდნენ: „ამოდენა აგურს რომ ხარჯავ, რას აშენებო“, დ. როსტომ-აშვილი მიუგებდა ხოლმე: საყინულეს ვაკეთებო. სტამბის ზევიდან ოთახსა და ეზოში ცხოვრობდა საგანგებო დარაჯად მიჩენილი მ. ბოჭორიძის დეიდა ბაბედო, რომელიც საჭიროების დროს მოგუშვავებს საიდუმლო ზარით ატყობინებდა და სტამბაში მომუშავეთ საზრდოს უმზადებდა. დაბეჭდილი ლიტერატურა ქალაქში გასავრცელებლად დ. როსტომ-აშვილის ხელთსავაჭროში (იარმუკაში) გადიოდა, პროვინციაში გასავრცელებლად – ურიკით – ნავთლულის სადგურზე, იქიდან

– ბარგის სახით იგზავნებოდა. გამოცემათათვის საჭირო ქალაქს დ. როსტომ-აშვილის ძმა კოტე სამო სავაჭრო ხილის საწყობში ინახავდა. თუ ჰკითხავდნენ – მაგდენი ქალაქი რათ გინდათო, მიუგებდა: ხილს ვახვევთ რუსეთს გასავაზენადო და საკუთარ საქმეზე უმალ კოტე პარტიულ დავალებას ასრულებდა (სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, – მენშევიკებმა, – მეორე საიდუმლო სტამბის მოწყობაც ამავე დ. როსტომ-აშვილის ძმას – კოტეს დაავალეს. იგიც ბევრთად შეუდგა საქმეს, მაგრამ რადგან გააფრთხილეს: მთავრობას ეჭვი აქვს აღებულო, მან თავი გაანება). დ. როსტომ-აშვილის თაოსნობით მოწყობილი ეს სტამბა ისე საიდუმლოდ იყო შენახული, რომ 3,5 წელს მუშაობდა (რაც პირველი მაგალითია რუსეთის არალეგალურ სტამბათა ისტორიაში). შინაური გამცემლის წყალობით, 1906 წლის აპრილის 15 მთავრობამ მიაგნო. რადგან პარტიულმა კონტრდაზვერვამ ადრევე იგრძნო მოსალოდნელი ხიფათი, სტამბაში მომუშავენი მიიმაღნენ, შეპყრობილ იქნა მხოლოდ დ. როსტომ-აშვილი, რომელიც მეტეხის ციხეში ჩასვეს. სტამბის ჩხრეკის დროს მთავრობას ხელში ჩაუვარდა ისეთი ხელნაწერები, რომლებიც აშკარაავედა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლეგალური გაზეთის „ელვას“ ამ სტამბასთან კავშირს, რის გამოც მთავრობამ იმავე დღეს „ელვას“ რედაქციას ალყა შემოარტყა და 28 კაცი შეიპყრო, როგორც ვითომდა საიდუმლო სტამბის მონაწილენი (რედაქციაში შეპყრობილნი ციხეში რომ მიჰყავდათ, დაპატიმრებულნი გზადაგზა „მარსელიოზას“ მღეროდნენ). „ელვას“ რედაქცია დაიხურა, ავლაბრის სტამბა მთავრობამ გაცალა, დაწვა, დაანგრია (სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სტამბის გაცემა პარტიიდან განდევნილ თათულოვს დააბრალა და, როგორც ვითომდა ჯაშუში, გამცემი, ტერორით მოსპო კიდეც, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ სტამბა გასცა პროვოკატორმა გურჯიევმა, რომელიც ამავე სტამბასთან ასაფეთქებელ ნივთიერებათა მომზადების საქმეს ასწავლიდა). ამ სტამბის გამართვა-წარმოების, მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემათა ბეჭდვა-გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობისათვის, დ. როსტომ-აშვილს თბილისის სამოსამართლო პალატამ 1907 წლის დეკემბრის 24 სისხლის სამართლის 126-ე, 132-ე და 139-ე მუხლების ძალით მიუსაჯა ციმბირს გადასახლება (ცოლ-შვილით) და ირკუტისკის გუბ. იჩერსკის თემში გაიგზავნა. აქედან 1909 წელს დ. როსტომ-აშვილი ვლადივოსტოკს გაიქცა, სადაც პორტის მექანიკურ ნაწილში მუშაობდა კოდანოვის და ბერიძის გვართ. 1913 წლიდან იჩერსკს დაბრუნდა, ხოლო 1916 წლიდან ვლადივოსტოკს – სადგურის ბუფეტში; 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გათავისუფლდა. 1925 წლიდან, მ. ცხაკაიას და ჩიჩერინის დახმარებით სამშობლოში დაბრუნებული, სხვადასხვა სააღმშენებლო საქმეზე, პოლიტკატორღელთა ნივთსავაჭროსა და „იმელში“ მუშაობდა. იყო საკავშირო კომპარტიისა და პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრი (ბილეთი № 1936).

ციხეში ყოფნის დროს გაზეთებში წერილებს ათავსებდა ტუსალის ფსევდონიმით. მისი ნაწარები, დ. ნინონმინდელის ფსევდონიმით – წერილ-წერილი ლექსები, მოთხრობები და პოემები უფრო მამულიშვილურ-დემოკრატიული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, გაბნეულია ჟურნალ-გაზეთებში. ამათგან აღსანიშნავია პოემა „ბრძოლა“ (ჟურ. „მინა“, 1907).

დ. როსტომაშვილის თაოსნობით აგებული, ხოლო მეფის მთავრობისგან განადგურებული საიდუმლო სტამბა, საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ლ. პ. ბერიას თაოსნობით, 1936 წელს აღადგინა და იქვე მოაწყო ამ სტამბის ნაამაგდართა სურათების, ნაშრომისა და თავგადასავლის ამსახველი მუზეუმი, რასაც ექსკურსანტები დიდი ხალისით და გაოცებით ათვალიერებენ ხოლმე.

ცალკე გამოცემულია:

1. შიო თავადი: ძველი თქმულება / პოემა დ. ნინონმინდელისა; რედ.: ივანე როსტომაშვილი. - ტფ.: ივანე როსტომაშვილის საფასით გამოც., № 9, 1896 (ექვთიმე ხელაძის სტ.). - 48 გვ.; 18სმ.;
2. ჟამთა მომავალში. - თბ., 1916 (სტ. „ცხოვრება“). - 24 გვ.; 18სმ.;
3. ცოტა რამ ჩინეთზე: (პირადი დაკვირვებანი). - ტფ.: სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1926 (პოლიგრაფტრესტის მე-2 სტ.). - 44 გვ.; 18სმ. - [რეპრესირებული გამოცემა];
4. ტფილისიდან ზნამენკამდე. - ტფ.: პოლიტკატორლელთა საზ-ბა, 1933 (ზარია ვოსტოკას სტ.). - 48 გვ.; 17სმ. - (პოლიტკატორლელთა საზ-ბის გამოც. № 3).

გამოქვეყნებულია:

1. განსვენებულ ალექსანდრე ყაზბეგს: [ლექსი] (დღიურ მუშისაგან) // კვალი. - 1893. - №52. - გვ. 6;
2. წყევლა: [ლექსი] // კვალი. - 1893. - №45. - გვ. 4;
3. ახალწლის მილოცვა: [ლექსი] (თქმული დღიურ მუშის მიერ) // კვალი. - 1894. - №1. - გვ. 7;
4. გაჭირვებული: [ლექსი] // ივერია. - 1894. - 31 დეკემბერი. - №277. - გვ. 2;
5. „გულს ნუ გაიტვხ ჭაბუკო...“: [ლექსი] // ივერია. - 1894. - 30 დეკემბერი. - №276. - გვ. 2;
6. ვუძღვნი ახალ მოსწავლეებს: [ლექსი] // ჯეჯილი. - 1894. - №6. - გვ. 20-21;
7. მას იხსენებდნენ საბრალოდ...: [ლექსი] // კვალი. - 1894. - №5. - გვ. 7;
8. მგოსანს: [ლექსი] // ივერია. - 1894. - 30 ნოემბერი. - №253. - გვ. 1;
9. ნანყვეტი // ივერია. - 1894. - 8 ნოემბერი. - №237. - გვ. 2; გაგრძ. იხ.: 1895. - №3, 5, 7, 9, 10, 11, 15, 20, 29, 33, 88, 115. - [ამ სათაურით იბეჭდებოდა პატარა ლექსები დ. ნინონმინდელის ხელმოწერით];
10. აკროსტიხი: (წარმოდგენილი დ. ნინონმინდელისაგან) [დავით როსტომაშვილი] // ჯეჯილი. - 1895. - №2. - გვ. 63;
11. გაზაფხული: (ვუძღვნი დ. მაჩხანელს) [ლექსი] // ივერია. - 1895. - 2 მარტი. - №46. - გვ. 1;

12. „გამიტყდა ღერძი ურმისა...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 6 აგვისტო. - №167. - გვ. 2;
13. „დადუმდა ბაგე მეტყველი...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 26 თებერვალი. - №43. - გვ. 3;
14. „დავმონებვიარ ვმსახურებ...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 1 თებერვალი. - №24. - გვ. 1;
15. „ემავას ბალღიც შეიძლებს...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 1 ივნისი. - №112. - გვ. 2;
16. ზამთარი: [ლექსი] // ჯეჯილი. - 1895. - №1. - გვ. 31-32;
17. თუშური სიმღერები: (შეკრებილი დავით როსტომაშვილის მიერ) // მოამბე. - 1895. - №3, განყ. I. - გვ. 14-15;
18. ლოცვა: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 1 იანვარი. - №1. - გვ. 2;
19. მზე და მთვარე: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 26 აგვისტო. - №183. - გვ. 1;
20. მოციქული და ავაზაკი: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 2 აპრილი. - №70. - გვ. 3-4;
21. პატარა ანნა და მთვარე: [ლექსი] // ჯეჯილი. - 1895. - №3. - გვ. 26-27;
22. „როს მოსწყდე სოფელს მოვშორდე...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 30 მაისი. - №110. - გვ. 2;
23. სარკე: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 22 თებერვალი. - №39. - გვ. 2-3;
24. საფლავის ქვაზედ: (სახალხო ლექსი) // ივერია. - 1895. - 25 იანვარი. - №18. - გვ. 2;
25. საყვარელ პოეტს თ.რ. ერისთავს: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 22 ოქტომბერი. - №228. - გვ. 4;
26. სეტყვა: (სახალხო ლექსი) // ივერია. - 1895. - 2 მაისი. - №92. - გვ. 1;
27. ღირსია თუ არა?: [მოთხრობა] // ივერია. - 1895. - 5 მარტი. - №49. - გვ. 1-3; 7 მარტი. - №50. - გვ. 1-2;
28. შავი ფიქრები: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 8 აპრილი. - №72. - გვ. 2;
29. შვილს: (დედის პასუხი) [ლექსი] // ივერია. - 1895. - 30 სექტემბერი. - №209. - გვ. 1;
30. ჩემს მეგობარს: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 9 ივნისი. - №119. - გვ. 2;
31. ხევსურული სიმღერები: (შეკრებილი დავით როსტომაშვილის მიერ) // მოამბე. - 1895. - №2, განყ. I. - გვ. 45-46;
32. „ჰა, შენთვის ქნარი...“: [ლექსი] // ივერია. - 1895. - 4 იანვარი. - №2. - გვ. 2;
33. გოგო მიყვარდა: [ლექსი] // მოამბე. - 1896. - №3, განყ. II. - გვ. 27-28;
34. თუშური ლექსები დ. როსტომაშვილის მიერ შეკრებილი // მოამბე. - 1896. - №12, განყ. I. - გვ. 132; 1897. - №1, განყ. I. - გვ. 50; №2, განყ. I. - გვ. 110; №3, განყ. I. - გვ. 95-96; №4, განყ. I. - გვ. 116;
35. მგელი: [ლექსი] // ჯეჯილი. - 1896. - №4. - გვ. 16-17;
36. ღამის მეხრე: (სახალხო ლექსი) // ივერია. - 1896. - 9 იანვარი. - №5. - გვ. 1;
37. მურთუზას ძალი: (ამბავი) // ჯეჯილი. - 1900. - №7-8. - გვ. 44-53;
38. მუშის სიმღერა: [ლექსი] (პასუხათ „ივერიელებს“) // კვალი. - 1900. - №19. - გვ. 305-306;
39. იმედი: [ლექსი] // ცნობის ფურცელი: სურათებიანი დამატება. - 1905. - 17 თებერვალი. - №291. - გვ. 1;

40. მეგრძოლი: [ლექსი] // შრომა: სურათებიანი დამატება. - 1906. - №28. - გვ. 1;
41. ქურდი ციცა: [ლექსი] // ნაკადული: საყმანვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის. - 1906. - №20. - გვ. 9-10;
42. ვერ შემირიგებ!: [ლექსი] // მინა. - 1907. - №12. - გვ. 3;
43. მეგობარს: [ლექსი] // მინა. - 1907. - №3. - გვ. 3-4;
44. მჭედლის სიმღერა: [ლექსი] // საყვირი. - 1907. - 14 იანვარი. - №1. - გვ. 2. - ფელეტონი;
45. ნადიმი: [ლექსი] // მინა. - 1907. - №4. - გვ. 3-8;
46. სამსაჯულოში: [ლექსი] // მინა. - 1907. - №13. - გვ. 3-4;
47. საფრანგეთის მეფე: [ლექსი] // მინა. - 1907. - №7. - გვ. 3-4;
48. ჯაშუში: [ლექსი] // მინა. - 1907. - №6. - გვ. 3;
49. დედის ცრემლები // მომავალი. - 1909. - 18 ოქტომბერი. - №43. - გვ. 2;
50. მე არ მინდა: [ლექსი] // თეატრი და ცხოვრება. - 1914. - №20. - გვ. 5.

მის შესახებ:

1. დაპატიმრებულნი და გადასახლებულნი: [გაზეთ „ელვას“ რედაქციაში ყრილობისა და ავლაბარში საიდუმლო სტამბის გამართვისათვის დაპატიმრებულ პირთა სამართალში მიცემა; დავით როსტომაშვილის, 17 წლის დანიელ გოგელიას, ჯაფარიძის, ნ. რამიშვილისა და სხვათა გადასახლება] // შრომა. - 1906. - 20 აპრილი. - №14. - გვ. 1;
2. ავლაბრის საიდუმლო სტამბის საქმე // ჩვენი სიტყვა. - 1907. - 26 ივლისი. - №7. - გვ. 1;
3. კინწურაშვილი, მიხეილ (იასამანი). ქარს: (ციხის მელოდია. უძღვნი დ. ნინოწმინდელს [დავით როსტომაშვილი]). [ლექსი] // ეშმაკის მათრახი. - 1908. - №32. - გვ. 3;
4. ციხიბრის ქართველთა წარმომადგენელნი... // თეატრი და ცხოვრება. - 1919. - №12. - გვ. 16.
5. ციხიბრში და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლების პირველი კონფერენცია: (1-16 აპრილს 1919 წ. ქ. ხარბინში) [ჯგუფური ფოტო] // თეატრი და ცხოვრება. - 1920. - №1. - გვ. 8.

წყარო:

1. პირადი ცნობები;
2. მუშის შრომა. - 1921. - 19 ოქტომბერი. - № 33;
3. ჩხეიძე, გ. // რევოლუციის მატინე. - 1923. - № 1. - გვ. 94-95;
4. ნინოწმინდელი, დ. ვინ გასცა კავკასიის სოც.-დემ. დიდი სტამბა ტფილისში? // რევოლუციის მატინე. - 1923. - № 4. - გვ. 123-126;
5. ხუნდაძე, სიმონ. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. - ტ. 2: ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში. - ტფ.: სახელგამი, 1927. - გვ. 258 [სქოლიო];
6. Политическая каторга и ссылка: биограф. справ. членов О-ва политкаторжан и ссыльно-поселенцев / Всесоюз. О-во полит. каторжан и ссыльно-поселенцев. - Москва: Изд-во Всесоюз. О-ва

- политкаторжан и ссыльно-поселенцев, 1929. - Стр. 476;
7. ქართული წიგნი = Грузинская книга = Das Georgische Buch: ბიბლიოგრაფია / საქ. სსრ სახ. წიგნის პალატა. - ტ. 1: 1629-1920 / პმგ რედ. გ.ი. კიკნაძე; ბიბლიოგრ. რედაქცია: თ. ნაკაშიძე, პ. ხუნდაძე, ვ. ჯოჯუა; მხატვ. ლ. გრიგოლია. - თბ.: წიგნის პალატის გამოც. (სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), 1941. - გვ. 477.

როსტომაშვილი [როსტომოვი], ივანე პავლეს ძე (1852, 25/XII – 1924, 27/VIII) – პედაგოგი, მწერალი, ჟურნალისტი, არქეოლოგი-სტორიკოსი, მთარგმნელი, შემდგენელი, ენციკლოპედისტი, გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე, – პირველი დამაარსებელი ქართული 2-კაპიანი გაზეთის, არქეოლოგიური ჟურნალის, (დამკრძალავ და) ურთიერთდამხმარე სალაროების, ღარიბ-ობოლთა სკოლის, კოოპერატივის, საგლეხო ბანკისა და სხვ., – კახეთიდან (დაიბადა სოფ. კურდღელაურში, თელავის მაზ., 1852 წლის დეკემბრის 25. პაპამისი იყო მეფის მოძღვარი, მამა – სოფლის მეურნე, საჭიროების დროს – ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილე, ობერ-ოფიცერი, დედა – ბაბე კურდღელაშვილის ასული). სწავლობდა თელავის პირველდაწყებით სკოლაში. დედ-მამის დახოცვის გამო, გადაიყვანეს თუქურშიშას თბილისის პოლკის სამხედრო სკოლაში, ხოლო როცა ეს სკოლა საცხენისში გადაიტანეს, ივ. როსტომაშვილიც გადაიყვანეს, სადაც წველი ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა, როგორც დედ-მამით ობოლი, ღარიბი. აქ სწავლისა და ცხოვრების დროს სამშობლო ენა სრულიად გადაივიწყა, გარუსდა. კურსის შესრულების შემდეგ თელავში დაბრუნდა, სადაც უკიდურეს სიღარიბეში მყოფმა მონაფეხებმა გაიჩინა, თავიდან შეუდგა სამშობლო ენის შესწავლას. მეცადინეობდა ჭრაქზე, მოუწყობელ ბინაზე (სამეფხა მაგიდა ედგა, რომელსაც მეოთხე მხრით თავისი შედგმული მუხლის თავით იმაგრებდა). ერთი წლის შემდეგ თბილისის ფეხით ჩავიდა და საოსტატო სემინარიაში (შემდეგში ინსტიტუტად წოდებული) შევიდა, რომელიც დაამთავრა 1874 წელს. კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სტიპენდიანტად და იმავე წლიდან ზაქათალას – სოფ. კახის სკოლის გამგე-მასწავლებლად გამწესდა. 1877 წელს წვერი შეიქნა გ. რ. ერისთავის თაოსნობით დაარსებული „საზოგადოებისა“, რომელსაც მიზნად ჰქონდა ღარიბი ხალხის, განსაკუთრებით, თავადაზნაურთა შვილების რიგიანი სწავლა-განათლების ხელის შეწყობა („ივერია“, 1877, № 41). 1878 წელს, ზაქათალის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლად ყოფნის დროს, არჩეულ იქნა სოფლის მასწავლებელთა ყრილობის ხელმძღვანელის თანამემწედ. ამ ყრილობაზე პირველად აღიძრა სამშობლო ენაზე სწავლების საკითხი. 1880 წელს მასწავლებლად გადაიყვანეს ქ. თელავს, სადაც სასკოლო სასწავლო მუშაობის გარდა (სხვათა შორის, თელავში პირველად მისი თაოსნობით და

მეცადინეობით პირველდანიებითი სკოლის მონაფეთა ქალ-ვაჟთა გუნდმა გალობა დაიწყო ეკლესიაში, სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობა (საამხანაგო სავაჭრო, ნიგნთსაცავის დაარსება და სხვ.) დაიწყო, რის გამოც, ზოგიერთი ჩარჩ-ვაჭრის დასმენით, სამოსნავლო უწყებამ, დასჯის მიზნით, 1889 წელს ჯავახეთის ახალქალაქის საქალაქო სკოლის ინსპექტორად გადაიყვანა. აქ დაჰყო 5 წელი, შეისწავლა მთელი მხარე და აღწერა, სკოლაში შემოიღო სწავლების თავისებური მეთოდი (იხ. მისი წერილი რუსულ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალში „Вестник воспитания“ (1893, № 8).

1895 წლის მარტის 1 ქ. თბილისში დააარსა „მოსამზადებელი კლასები“ და მათი დანიშნულების შესახებაც წერდა: „აზრი ჩვენი კლასებისა უფრო ვრცელია: მივცეთ ყმაწვილებს იმდენადი საფუძვლიანი სწავლა-აღზრდა, რომ ისინი არათუ მიღებულ იყვნენ საშუალო სასწავლებლებში, არამედ შემდეგის, უფრო ძნელისა და რთულის სწავლის დაძლევა შეიძლონ“. ამავე დროიდან თავდადებით ჩაება სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობაში. დაწერა, თარგმნა ანუ შეადგინა და გამოსცა მრავალი ნიგნი პედაგოგიის, სასოფლო მეურნეობის, ისტორია-არქეოლოგიის, მკურნალობის, მწერლობისა და სხვ. დარგიდან. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დროს, ჯავახეთის ახალქალაქის მცხოვრები, 30 წლის წინ ნამსახური ივ. როსტომაშვილი მოიგონეს, როგორც საყოველთაოდ საყვარელი, დამსახურებული, მხნე ადამიანი, საგანგებო მოციქულების პირით გაიპატიუეს ქართული გიმნაზიის დირექტორად და დიდი პატივითაც მიიღეს. ივ. როსტომაშვილი ხელახლა შეუდგა პედაგოგიურ-პრაქტიკულ მოღვაწეობას, მაგრამ თურქ-სომეხთა შეჯახების გამო, ნახევარი წლის შემდეგ თავი გაანება და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამწესდა თელავის გიმნაზიის დირექტორად. სწავლა-განათლების შეუფერებელ პირობათა გამო, არც აქ დარჩა დიდხანს და ისევ თბილისში განაგრძო სამწიგნობრო მუშაკობა. 1921 წელს გადასახლდა კახეთს – სოფ. ლალისყურეში, სადაც მეურნეობასა და ხალხში კულტურულ მუშაობას შეუდგა. სწავლის მსურველთ უფასოდ ასწავლიდა, ხალხს ლექციებს უკითხავდა გამოსადეგ ცოდნათა შესახებ, იმავე დროს, ჰექტოგრაფიულ გაზეთს სცემდა, რაშიაც ადგილობრივი სოფლის საყოფაცხოვრებო საკითხებს აშუქებდა.

ივ. როსტომაშვილი მთელი თავისი სიცოცხლე დაულალავად შრომობდა ხალხის გონებრივ-ზნეობრივ და ნივთიერ-ქონებრივად ასამალელებად, ვითარცა ნამდვილი ენციკლოპედისტი, – მრავალი საგნის მცოდნე, წერდა პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, საისტორიო-საარქეოლოგიო, სამწერლო, სამკურნალო და სხვ. საკითხთა შესახებ. თითქმის არ არის საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეხებოდეს და ამა თუ იმ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა არ მიეღოს. მას მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ბევრი

დაბრკოლება გადაელობა, არაერთი უსიამოვნება შეამთხვიეს, იდეენებოდა როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების ზოგიერთი წევრის მიერ, ნივთიერად შევიწროებული იყო, დაწვრილმვილებული (8 შვილი ჰყავდა). პოლიტიკურ საქმეზე შვილი კატორლაში გაუგზავნეს, თითონ ციმბირი მიუსაჯეს და ციხეშიაც იჯდა მწერლობის გამო. მიუხედავად ყველა ამისა, მუდამ გულით გაუტეხავი იყო: რა გატაცებითაც სიჭაბუკეში დაიწყო საზოგადოებრივ-სამწერლო მუშაობა, ისევე განაგრძო სიკვდილამდე. სასიკვდილო სარეცელზე მწოლარემ უკანასკნელად ამოვიგინა: „მეტი სინათლე ხალხს, ცოდნა ყველას ყველასი, ურთიერთ სიყვარული და შეუჩერებელი, პატიოსანი შრომა ადამიანთა საბედნიეროდ“-ო. გარდაიცვალა 1924 წლის აგვისტოს 27, დაიკრძალა დიდუბის პანთეონში. დაედგა ორიგინალური ძეგლი – ქვისაგან გამოქანდაკებული ნიგნთა გროვა საწერ-კალმითურთ.

პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობის დანყებისთანავე საკუთარი მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობდა. ივ. როსტომაშვილის პედაგოგიური მსოფლმხედველობა სავსებით გამოთქმულია მისსავე ნიგნში „პედაგოგია და ფსიქოლოგია“ (თფ., 1920) რომელშიც, შალვა ნუცუბიძის სიტყვით: „საკმაო პოპულარობით და დალაგებით გადმოცემულია უშუალო დაკვირვებაზე დამყარებული აზრები“, რასაც „მასწავლებელთა და მშობელთათვის ერთგვარი მნიშვნელობა ექნება“, 1920). ივ. როსტომაშვილის აზრით, პედაგოგიისა და ფსიქოლოგიის შესწავლა თითოეული მშობლისა და აღმზრდელისათვის უპირველესი მოვალეობაა, – „მხოლოდ მოწოდებით აღტყინებულ მასწავლებელს შეუძლიან შეასრულოს მასწავლებლის დიადი დანიშნულება... მასწავლებელი უნდა იყოს ყოველად მომზადებული, მომნიფებული, უნდა ჰქონდეს უწყებული, განმტკიცებული რწმენანი და შეხედულებანი (როგორც საზოგადოთ ჩვენი რესპუბლიკის ჭეშმარიტი მოქალაქისა, ისე, მეტადრე, მასწავლებლობისა...). სწავლა უნდა იყოს საყოველთაო, რადგან საყოველთაო სწავლის გარეშე ყოველი ცდა საყოველთაო წინსვლისა და ბედნიერებისათვის ამოა... ყოველი პირველდანიებითი სწავლა-აღზრდა უთუოდ უნდა შეფერებული იყოს ბავშვთა ბუნებასთან, უთუოდ თვალსაჩინო, საგნობრივი, აღმზრდელითი უნდა იყოს; სკოლამ ბავშვებს უნდა მისცეს არა მარტო ცოდნა-განვითარება, არამედ კარგი აღზრდა და ზნე-ხასიათებიც, რომ სასარგებლო წევრნი გამოვიდნენ ოჯახისა და სამშობლოსათვის... სწავლა სკოლებში დამყარებული უნდა იყოს უთუოდ ბავშვთა თვითმოქმედებაზე [რადგან სწავლა-აღზრდის მიზანია არა მარტო ცოდნის მიცემა, არამედ მასთან მთელი არსების, მთელი მისი ნიჭების და ძალების განვითარება. ამიტომ], სწავლის პირველი დღიდანვე უნდა შეეჩვიოთ თვითმოქმედ საქმიანობას თუ შრომას, რადგან ბავშვთა შინაგანი ძალების გახსნა შეიძლება არ ცარიელი ცქერით, სმენით, არამედ მხოლოდ ნამდვილი საქმით, მოქმედებით, ვარჯიშობით, თამაშით წმინდა ჰაერზე... ჩვენი ბრწყინვალე მომავა-

ლი მხოლოდ ჩვენი ბავშვების აღზრდის გონიერ დასაბამზეა დამოკიდებული და ასეთი აღზრდის დასაბამი კი მხოლოდ საბავშვო ბაღია: აქ ყოველი ცოდნის ცენტრი უნდა იყოს ბუნება, – პირველდანიყებით სწავლა-აღზრდაში ყოველივე ბუნებისა და ცხოვრების შესწავლას უნდა ექვემდებარებოდეს... ჭეშმარიტი პირველდანიყებითი სწავლა-აღზრდის საღვთო მოვალეობაა, ყოველი საშუალებით გაულვიდოს და აღუძრას ბავშვებს სიყვარული მათ გარშემო მყოფ ცხოვრება-ბუნებისადმი, რომ ხელშეუშლელად შეეძლოს თავისი შემოქმედებითი ნიჭიერების განხორციელება როგორც თვით უნდა და არა ისე, როგორც ეს დიდებს უნდათ. უპირველესი საგანი, რომელსაც მთელი თავისი არსებით უნდა შეენიროს ყოველი მასწავლებელი და ყოველის ღონით ეცადოს მის აღორძინება-აყვავებისათვის, არის სამშობლო ენა“-ო.

ივ. როსტომაშვილი თავიდანვე ცნობილი იყო, როგორც იშვიათი მცოდნე, დაკვირვებული, სანიმუშო და ბავშვთა დიდი მოყვარული აღმზრდელ-მასწავლებელი.

სწავლა-აღზრდის შესახებ ივ. როსტომაშვილის აზრი, ზემოხსენებული ნიგნების გარდა, გამოთქმულია მისსავე ნაწერებში:

1. Новая постановка педагогического дела в учебных заведениях (Тфл., 1899);
 2. Новая народная школа и основы ее развития и существования (Тфл., 1903)
- და სხვ.

მწერლობა დაიწყო 1874 წელს პატარ-პატარა ცნობებით „დროებაში“, „სასოფლო გაზეთში“ (1877, № 23, გვ. 4-5. – წერილი „კახის კვირის შკოლა“), იგივე გაზ. „Кавказ“-ში (1877, № 246), „ივერიაში“ (1878, № 14, 16). პუბლიცისტური წერილების გარდა, წერდა საბავშვო მოთხრობებს, გამოკვლევებს, აგრეთვე პიესებს (დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში). მისი სამწერლო და სასაუბრო ენა იყო საყოველთაოდ გასაგები, სადა, მდაბიო. იშვიათად ხმარობდა ფსევდონიმებს (დიზრაელი, დ., ი. პ. რ-ი, ვანო).

ზეპირსიტყვაობის დარგში შეიტანა თვალსაჩინო წვლილი, – თელავში სამსახურის დროს შეკრიბა 40 ზღაპარი და 1891 წელს „ნიგნების გამოცემელ ქართულ ამხანაგობას“ გამოუგზავნა, რაც თავის დროზე მოსაწონ და მისაბაძ ღვანლად აღინიშნა („ივერია“, 1891, № 33).

არქეოლოგიურ-ისტორიულ სარბიელზე გამოვიდა ქართველი საზოგადოებისადმი მიმართული წერილით „საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის წრის დაფუძნების საჭიროება თბილისში“ („ივერია“, 1894, № 192), რომლითაც, სხვათა შორის, მოითხოვა საქართველოს საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოების შექმნა, ხოლო ჯავახეთის ქ. ახალქალაქში საქალაქო სკოლის ინსპექტორად ყოფნისას, 5 წლის განმავლობაში მოიარა მთელი ჯავახეთი, აღწერა და ფოტოთი გადმოიღო ძველი ისტორიული ნაშთები წარწერებითურთ (ამ ნაშთებისა და მათი წარწერების სის-

წორით გადმოღებისათვის ხუცუურის კითხვა და ფოტოგრაფიის ხელობა ერთ დღე-ღამეში შეისწავლა). საკუთარი ხელით გადაიღო როგორც ძველებური წარწერები, ისევე ნახატები, ნანგრევები და სხვ. ეს ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე კავკასიის სწავლა-განათლების საოლქო მზრუნველის გამოცემაში, შემდეგ ჟურ. „მოგზაურში“ (1901, № 1-9).

ამ შრომით ივ. როსტომაშვილმა როგორც სამშობლო ქვეყანას, ასევე არქეოლოგიურ-ისტორიულ მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწია იმით, რომ სრულიად გაქრობისაგან გადაარჩინა ქართველი ხალხის წინაპრების ამ კუთხეში (ჯავახეთში) ბინადრობის დამადასტურებელი ცნობები, ძეგლები, რომლებიც 1898 წლის მიწისძვრამ გაანადგურა.

სასოფლო მეურნეობას ჩვენი ქვეყნის ქონებრივ დანიშნულების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. როსტომაშვილი. ჯერ კიდევ ზაქათაღის სამაზრო სკოლაში მასწავლებლობის დროს, 1878 წლის ზაფხულში, გაემგზავრა იალტას, სადაც ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში შეისწავლა სამეურნეო საგნები, სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგს – მემინდვრობას, მესაქონლეობას, მეფრინველეობას თუ სხვ. რამდენიმე წიგნაკი უძღვნა და თვითონაც პრაქტიკულად მისდევდა ამ საქმეს.

საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა დაიწყო ქ. თელავში გადასვლისთანავე (1880). ამ ხანებში იგი ამტკიცებდა, რომ „სიღარიბის წამალი კოოპერატივები და მომხმარებელი საზოგადოებანიო“, რის განხორციელებასაც თვითონ შეუდგა. 1882 წელს დააარსა: ა) საზოგადო-სამხანაგო სავაჭრო დეპო (ახლანდელი მნიშვნელობით, კოოპერატივი), რომელმაც მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: ერთი მხრივ თუ მონივნავ საზოგადოება აღტაცებით შეეგება, მეორე მხრივ – ჩარჩ-ვაჭრები აუშხედრდნენ და მთავრობას ივ. როსტომაშვილი თელავიდან გააძევიბინეს; ბ) პირველი წიგნთსაცავ-სამკითხველო; გ) საგლეხო ბანკი (სოფ. კურდღელაურში); დ) იაფფასიანი (თვეში ათ-შაურიანი) წერა-კითხვისა და ხელსაქმის საქალებო სკოლა, სადაც ხელსაქმეს ასწავლიდა ივ. როსტომაშვილის მეუღლე-თანამოღვაწე ელისაბედ (ლიზა) ჩოლოყაშვილის ასული (ეს სკოლა დაამთავრა ასამდე ღარიბ-ღატაკმა ქალმა და შემდეგში ყველა მათგანი ოჯახის სასახელო დედა-ბურჯი შეიქნა); ე) აქტიური მონაწილეობა მიიღო სოფ. გულგულაში პირველი კომუნის შექმნა-წარმოების საქმეში; ვ) შექმნა ორსულთა და უბედურ შემთხვევაში ურთიერთდამხმარე საღაროები, რომლებიც გაიძვერა-მტაცებლებმა გაუბათილეს და სხვ.

განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც დიდ მონაწილეობას იღებდა, როგორც რევოლუციონერთა მფარველ-დამცველი და ყოველმხრივ ხელშემწყობი.

გამომცემლობა დაიწყო 1895 წლიდან თბილისში საბავშვო-სამეცნიერო ნიგნების წინასწარი ხელის მოწერით. ანბანების, ზღაპრების და სახალხო მოთხრობების გარდა, სხვათა შორის, საკუთარი რედაქციით გამოსცა:

1. ბოკლი. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში. - ტფ., 1896;
2. დარვინიზმი, თხზ. ე. ფერიერისა. - ნ. 1: ევოლუციონური თეორია ცხოველთა და მცენარეთა წარმოშობის შესახებ. - ტფ., 1896; ნ. 2: ევოლუციონური თეორია ადამიანის წარმოშობის შესახებ. - ტფ., 1896.

ეს გამომცემლობა, სახელწოდებით „ახალი მკითხველი“, ოფიციალურად დააარსა რ. ბ. კალაძესთან, პ. პ. გელიევილთან, სიმ. ჯუღელთან, ს. ბ. ჯიბლაძესთან და ვ. პ. დარჩიაშვილთან ერთად და 1896 წელს სათავეში ჩაუდგა, როგორც ტექნიკური გამცემი. გამოსცა რამდენიმე, მანამდე უჩვეულო სამეცნიერო-პოპულარული წიგნაკი, სხვათა შორის: ის. კვიციანიძის მიერ ნათარგმნი დ. კუდრიავსკის „როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად“, ვ. ცაბაძის მიერ ნათარგმნი ა. სვიდერსკის „შრომა და კაპიტალი“ და სხვ..

როგორც შემდგენელ-რედაქტორმა, სხვა მრავალ წიგნს შორის, შეადგინა და გამოსცა:

1. ალბომი „ქართველთა ტომი“: [ჩვენი ერის ყველა გვარ-ტომის (100-მდე) სურათით და მოკლე აღწერილობით რუსულ-ქართულად, ხალხში თვალსაჩინოდ სრულად საქართველოს ცნების დასამკვიდრებელი]. - ტფ., 1896;
2. სალარო ცოდნისა: [რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი 4 წიგნად]. - ტ. 1: ა, ბ, ვ, გ. - თბ., 1898-1899. - 831 გვ. - [სულ უნდა გამოსულიყო 15-16 წიგნი 12 მანეთად, შეღავათიანი ხელმოწერით, მაგრამ, უმთავრესად, პირადი ანგარიშით დაწერილი კრიტიკისა და ნივთიერი ხელმოკლეობის მიზეზით ვერ დაასრულა] და სხვ.

ჟურნალისტობას შეუდგა 1900 წელს.

I. 1901 წელს თავისი რედაქტორობით გამოსცა ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული სურათებიანი თვიური ჟურნალი „მოგზაური“, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი აღწერა-დასურათება ჩვენი ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ადგილის, ნაშთის, პირის, ცხოვრებისა და სხვ. გამოდიოდა 1904 წლის გასვლამდე. 1905 წელს ჟურნალი გადასცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურთ, კ. ჯაფარიძისა და ვარლამ ჭიჭინაძის მეშვეობით, რომელთაც ივ. როსტომაშვილმა უთხრა: „მე ყოველთვის თანაუგრძობდი ახალგაზრდებს და, რადგან თქვენ გსურთ ამ საქმეს ხელი მოჰკიდოთ, გაზეთს გითმობთ“. 1905 წლის იანვრის პირველი ნომერი საკუთარი რედაქტორობით გამოსცა, მეორე ნომრიდან კი ფ. მახარაძის რედაქტორობით გამოდიოდა თითქმის წლის მიწურულამდე, რომლის პ/მ ფორმალურ რედაქტორად ისევ როსტომაშვილი იყო. გაზეთმა დიდი სამსახური გაუწია მუშა ხალხის გარეკოლუციონერებას და მით რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებას. მისი ბოლო ნომრები გამოდიოდა მოწოდებით: „პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ამ ჟურნალში მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბევრი

წერილი დაიბეჭდა, რის გამოც ივ. როსტომაშვილს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, მაგრამ ივ. როსტომაშვილი არ უკრთებოდა, ხოლო როცა ჟურნალმა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო, ძლიერ იწყინა.

II. 1911 წელს დაიწყო ყოველდღიური ხალხური გაზ. „სინათლეს“ გამოცემა. გაზეთმა ხალხის თანაგრძობა მოიპოვა, სწრაფად გავრცელდა, ყველასთვის გასაგები ენით გამოდიოდა, ხელმისაწვდომი ფასით (პირველად 2, შემდეგ - 3, ბოლოს 1 კაპ.), ხშირად - სურათებით. გაზეთი ქადაგებდა, რომ „ერთობისა და ურთიერთ სოლიდარობის და შეთანხმების გარეშე არა და არ შეიძლება რისამე დიდი თუ პატარა საქმის გაკეთება და მეტადრე მუშათა და მუშაობათა ბრძნულად მოწყობა“, ცდილობდა ხალხის თვითმოქმედება აღედგა, ფართოდ ადგილს უთმობდა თვით მდაბიოთა ნაკალმევსა და დამწყებ მწერლებს (სხვათა შორის, ამ გაზეთში დაიბეჭდა პირველად გ. ლეონიძე). ივ. როსტომაშვილის მოღვაწეობის ძირითადი დებულება იყო: გულწრფელობა და პირუთენელობა, მოურიდელობა, სიმართლის დარაჯობა, ყოველთვის საზოგადოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობა, ყოველგვარი ნათლიმამობის გარეშე დგომა, ჩვენი დაბეჩავებული ერის სამსახური, ერის უმრავლესობის - გლეხობის, მუშების, ხელოსანთა, წვრილი ვაჭრების მხარის დაჭერა. ღრმად სწამდა ბედნიერი მომავალი ჩვენი ერისა, მისი კულტურული აყვავება, ყველა სხვა ერსა და ტომს პატივისცემით ეპყრობოდა, ამასვე მოითხოვდა მათგან, - მისი ღრმა რწმენა იყო „ეროვნება და ხალხის უმრავლესობა“. ამ გაზეთის ფართოდ გავრცელებამ მტრები გაუჩინა, რომელთაც ივ. როსტომაშვილი მთავრობასთან დაასმინეს, როგორც „არსებული წესწყობილების დამაქცევარი და დამამოხბელი“, რის გამოც ივ. როსტომაშვილი პასუხისგებაში მისცეს. სასამართლოში გამოცხადებამდე კიდევ ერთი ნომერი გამოსცა, რომელშიაც დაგმო ცენზურისა და, საერთოდ, მთავრობის მოხელეთა უკუღმართობა და განაცხადა: „ჩვენი გაზეთი ამ მხრივ ერთადერთი გაზეთი იყო, რომელმაც არა თუ გაბედა, პირდაპირ და აშკარად დაჰგმო საზოგადოების ლეშსავით დაშლა-გახრწნა და იმ მდგომარეობამდე მისვლა, სადაც ძმა ძმას და მეზობელი მეზობელს აღარ ინდობს“-ო და გაზეთი ცნობილ მწერალთა ჯგუფს (სოფ. მაგლობლიშვილი, შ. არაგვისპირელი, დ. კასრაძე და სხვ.) გადასცა იმ იმედით, „რომ ესენი იხმარებენ ყოველ ღონეს, დაიცვან გაზეთის უმთავრესი მიმართულება - ხალხის თვითმოქმედების აღძვრა... დიდი ადგილი დაეთმობა მდაბიოთა ნაკალმევს... ყოველი რედაქცია, რომელიც მართლაც ხალხს ემსახურება, სწორედ ასე უნდა იქცეოდეს“-ო. 1912 წლის 18 სექტემბერს (თუ 1911 წლის 26 აპრილს. - ი. ი.) გასამართლეს და ციხიდან გადასახლება მიუსაჯეს ყოველგვარი უფლების აყრით. მეუღლე ელისაბედის თავგამოდებული მეცადინეობით (რომელიც უფლებას ეძებდა და არა პატიებას), სენატმა საქმე უკან დააბრუნა ხელახლა განსახილვად, მაგრამ ივ.

როსტომაშვილი გასამართლებამდე ციხიდან გათავისუფლებული იქნა 1913 წელს, რომანოვთა გვარეულობის 300 წლის მეფობის შესრულების გამო გამოცემული ამნისტიის ძალით. გაზეთი გამოვიდა სულ 140 ნომრამდე.

III. 1920 წელს გამოსცა ყოველკვირეული სახალხო გაზეთი „შეისწავლეთ სოციალიზმი“, დასრულებული სახელმძღვანელო სოციალიზმისა [ფურეიმდე, Fourier (1772-1837)]. გაზეთში მოთავსებული იყო წერილები იმის შესახებ, თუ „რა არის სოციალიზმი, ვის ეწოდება სოციალისტები, რა სწადიანთ მათ, რაზე ამყარებენ ისინი თავიანთ სწავლასა თუ იდეალებს და რა საშუალებით ფიქრობენ მათს განხორციელებას“. სულ გამოსცა 6 ნომერი.

IV. შინაგინაზია და უნივერსიტეტი, – შინასწავლის სახელმძღვანელო-ჟურნალი 1917 წლიდან, 4 ნომრად.

ცალკე გამოცემულია:

1. არითმეტიკული გამოცანები: სახალხო შკოლები-სათვის და მშობლებსათვის დამატებით ბუნების მეცნიერებიდან / შედგენილი ივანე როსტომაშვილისაგან. - თბ., 1876 (ე. ხელადის გამოცემა და სტ.). - 48 გვ.; 16სმ.;
2. *Русская речь и первая книга чтения с азбукою для грузин* / Сост. учитель И. П. Ростомов. - Тифлис: тип. Г. Чарквиани, 1886. - [2], VI, 73с.; 21см.;
3. *Русская речь и первая книга чтения после азбуки для кавказских училищ* / Сост. учитель И. П. Ростомов. - Тифлис: тип. Г. Чарквиани, 1887. - [2], IV, 78 с.; 21см.;
4. *Краткий эпизодический курс русской истории применительно к программе второго класса закавказских городских училищ* / Сост. В. Кикнадзе и И. Ростомов. - Тифлис: тип. М. Вартачанца, 1888. - 47 с.; 18 см.;
5. შინაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოშენება / ივ. როსტომაშვილის მიერ. - ტფ.: ნერა-კითხვის გამავრც. საზოგ. გამოც. №18, 1893 (მ. შარაძის სტ.). - 36 გვ.; 15 სმ.;
6. ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში. - [S. L.], 1895. - უთავფურცლო, 16 გვ.; 20 სმ. - ტექსტის ბოლოს: ივ. როსტომაშვილი;
7. *Новая постановка педагогического дела в начальных школах: [Лекция, чит. в Тифлисе, Кутаисе и др. городах Закавказья] / [Соч.] И. Ростомова. - М.: Типо-лит. В. Ф. Рихтер, 1895. - 32 с.; 21см.. - Из журн. „Вестник воспитания“;*
8. ქართველთა ტომი = Картвельское племя: [ეთნოგრ. ალბომი] / ი. როსტომაშვილი. - ტფ.: ავტ. გამოც., 1896 (ექ. ხელადის სტ.). - 60 გვ. in recto: ილ.; 25 სმ.. - თავფურცელი და ტექსტი რუსულ და ქართულ ენაზე;
9. *Картвельское племя: [Этногр. альбом] / И.П. Ростомов. - Тифлис: [изд. авт.], 1896 (тип. Е.И. Хеладзе). - 60 с.: ил.; 26см.;*
10. ქართული კალენდარი. - [ტფ.], 1897. - 24 გვ.; 32სმ.;
11. *Ахалкалакский уезд в археологическом отношении: Со многими рисунками и древне-грузинскими*

- надписями в тексте / И. П. Ростомов. - Тифлис: тип. К.П. Козловского, 1898. - 136 с.: фот.-ил.+[1] вкл. л. карт.; 23 см.. - В конце текста авт.: И.П. Ростомов, учитель Тифл. жен. учебн. завед. Св. Нины. - Отд. оттиск из XXV в. „Сборника материалов для описания местностей и племен Кавказа“. - Искусственный переплет. - Библиогр. в подстроч. примеч.;*
12. *Новая постановка педагогического дела в учебных заведениях / [Соч.] И. Ростомова. - Тифлис: тип. Е.И. Хеладзе, 1899. - 35 с.; 20см.. - На 4-й с. обл.: „С требованиями обращаться... Ивану Павловичу Ростомову“. - Из предисл.: Статья эта в первый раз была напеч. в ж[урн] „Вестник воспитания“ в 1895 г. Теперь мы изд. ее отд. брош. с некоторыми изм. и доп.;*
 13. *საყმაწვილო საჩუქარი: 35 სურათით / ივ. როსტომაშვილი. - თბ., 1900 (მ. შარაძის სტ.). - 50 გვ.: ილ.; 20 სმ.;*
 14. *გამოსადეგი ცნობანი / ი. პ. როსტომაშვილი. - წიგნი პირველი. - ტფ., 1902 (გაზეთ „ტფ.ს ფურცლისა“ და ე. ი. ხელადის სტ.). - 55 გვ.; 22 სმ.; წიგნი მეორე. - ტფ., 1902 (გაზეთ „ტფ.ს ფურცლისა“ და ე. ი. ხელადის სტ.). - 40 გვ.; 23 სმ.; წიგნი მესამე. - ტფ., 1902 (გაზეთ „ტფ.ს ფურცლისა“ და ე. ი. ხელადის სტ.). - 32 გვ.; 23 სმ.; წიგნი მეოთხე. - ტფ., 1902 (გაზეთ „ტფ.ს ფურცლისა“ და ე. ი. ხელადის სტ.). - 32 გვ.; 22 სმ.; წ. მეხუთე. - ტფ., 1902 (გაზეთ „ტფ.ს ფურცლისა“ და ე. ი. ხელადის სტ.). - 1902. - 32 გვ.; წიგნი მეექვსე. - ტფ., 1902 (გაზეთ „ტფ.ს ფურცლისა“ და ე. ი. ხელადის სტ.). - 32 გვ.; 22 სმ.;*
 15. *მეურნეობა და ახალი სკოლა / ივ. პ. როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოცემა ს. კ-ძის ზუბალაშვილის საფასით № 9, 1902 (ე.ი. ხელადის სტ.). - 44 გვ.; 21 სმ.;*
 16. *ნერგი ანუ ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი. - თბ., 1902 (გაზეთ „ტფ.ს ფურცლისა“ და ე. ივ. ხელადის სტ.). - XXII, 50 გვ.; 19სმ.;*
 17. *პურის ბოსტანი: მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით / ივ. პ. როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოცემა ს.კ-ძის ზუბალაშვილის საფასით №6, 1902 (ე.ი. ხელადის სტ.). - 50 გვ.; 21სმ.;*
 18. *რა არის გონებითი გახსნა-განვითარება? (ან-ვითარებს თუ არა გონებითად ადამიანს მათემატიკისა და ძველი ენების სწავლება, ან თუ მათის შესწავლით ადამიანი მხოლოდ უწყებულს ცოდნას იძენს ამ საგნიდამ?) / ივანე პ. როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოცემა სტ. კონსტ-ძის ზუბალაშვილის საფასით, № 5, 1902 (ე. ი. ხელადის სტ.). - 16 გვ.; 21სმ.;*
 19. *რისგან იხოცებიან და სწეულდებიან უდროოდ ჩვენი ბავშვები? / ივანე პ. როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოცემა ს.კ-ძის ზუბალაშვილის საფასით, № 8, 1902 (ე.ი. ხელადის სტ.). - 22 გვ.; 21სმ. - (ჟურნ. „მოგ ზაურიდამ“ გადმობეჭდილი);*
 20. *გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებსა / (ეტტელის, ელაგინის, პოპოვის და სხვათა წიგნებიდან შედგენილი). ივ. პ. როსტომაშვილისაგან. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოცემა ს. კ. ზუბალაშვილის საფასით №10, 1903 (ე. ი. ხელადის სტ.). - 50 გვ.: ილ.; 21სმ.;*

21. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა (წერა-კითხვისა და ლაპარაკისა) ქართულის ენის შემწეობით / ივ. პ. როსტომაშვილისა. - Тифлис, 1903 (Тип. Бр. Таварткиладзе). - 80 გვ.; ილ.; 21 სმ. - (იაფფასიანი გამოცემა სტეფანე კ-ძის ზუბალაშვილის საფასით; № 13);
22. მეფე ლამზა: ზღაპარი (სურათებით) / ივანე როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოცემა № 16, 1903 (ძმ. თავართქილაძეების სტ.). - 32 გვ.; ილ.; 18სმ.. - შმუცტიტულზე: „გუძღვნი ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს სტეფანე ზუბალაშვილს“;
23. რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს დანით? (დ-რის ფიშერის წიგნიდამ) / ივ. პ. როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოც. სტეფანე კონსტ. ძის ზუბალაშვილის საფასით № 11, 1903 (ექვ. ივ. ხელაძის სტ.). - 24 გვ.; 21სმ.;
24. სულით ავადმყოფი მოსწავლენი: (დ-რ ნელლერისა და უფერის წერილებიდან) / ივ. როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოცემა ს. კ. ზუბალაშვილის საფასით № 14, 1903 (ე. ი. ხელაძის სტ.). - 21 გვ.; 21სმ.. - უთავფურცლო;
25. ხეხილის გამარავლება და მოვლა / არჩ. დარეჯანაშვილისა და ივ. პ. როსტომაშვილისა. - თბ.: იაფ-ფასიანი გამოც. ს. კ. ზუბალაშვილის საფასით № 15, 1903 (ექვ. ივ. ხელაძის სტ.). - 26 გვ.; 21სმ.;
26. Новая народная школа и основы ее развития и существования / И. П. Ростомов. - Тифлис: Электр. печ. Таварткиладзе, 1903. - 23с.; 21см.;
27. Самоучитель Русского языка (письма-чтения и разговора) с помощью грузинского языка / И.В. Ростомова. - Тифлис: Электр. печ. Бр. Таварткиладзе, 1903. - 80 с.; 21см.. - (იაფ-ფასიანი გამოცემა სტეფანე კ-ძის ზუბალაშვილის საფასით; № 13). - Тит. л. и текст на русск. и груз. яз.;
28. ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში: ხორცის ჭამა შხამი ყოფილა ადამიანისათვის / ივ. პ. როსტომაშვილისა. - თბ., 1904 (სტ. არ. ქუთათელაძისა). - 16 გვ., უთავფურც.; 23სმ.;
